

შარდენის მოგზაურობა

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ
წ ი გ ი XXXVIII

შარდენი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს შესახებ არსებული უცხო წყაროების კომისია

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში

(ცნობები საქართველოს შესახებ)

ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო
მზია მგალობლიშვილმა

გამომცემლობა მეცნიერება
თბილისი – 1975

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს გააცნოს XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ, ამოკრეფილი მისი ვრცელი თხზულებიდან „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“.

შარდენის თხზულება წარმოადგენს XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს. იგი გამოირჩევა საქართველოს შესახებ ცნობების სიმდიდრითა და მრავალმხრივობით. ასახავს საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ვითარებას; შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ არაერთი საკითხი. შარდენისეული ცნობები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველია და ამდენად მის მიერ გადმოცემული მოვლენები ავტორის უშუალო დაკვირვების შედეგს წარმოადგენს.

შარდენის თხზულების თარგმანს ერთვის გამოკვლევა და კომენტარები, რომლებშიაც დაზუსტებულია და კრიტიკულად არის შეფასებული ავტორის ცნობები.

ნაშრომი გამიზნულია როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ისე ჩვენი წარსულით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

მთავარი რედაქცია: რ . კ ი კ ნ ა ძ ე , ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი
(მთ. რედაქტორი), ო . ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი , ს . ჯ ი ქ ი ა , ნ . ჯ ა ნ ა შ ი ა

ვეროპული წყაროების სერიის რედაქტორი:

ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი



ჟან შარდენი
(1643-1713)

შარდენი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

უცხოელ ავტორთა შორის, რომელთაც საქართველოს შესახებ ცნობები მოეპოვებათ, XVII საუკუნის ცნობილ ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს; ჯერ ერთი იმ უდიდესი როლის გამო, რომელიც მისმა „მოგზაურობამ“ შეასრულა ევროპისათვის საქართველოს გაცნობის საქმეში და, მეორეც, ფაქტების სიუხვით, რომლითაც იგი გამოირჩევა სხვა ანალოგიური

თხზულებებისაგან.

ჟან შარდანი 1672 წლის სექტემბერში ჩამოვიდა და 1673 წლის 28 თებერვალს გაემგზავრა თბილისიდან. მან მოიარა დასავლეთი და აღმოსავლეთი სააქართველო. ვრცლად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი უამრავი ფაქტი თუ მოვლენა. პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და მის წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან. სათანადო ადგილი დაუთმო საქართველოში იმ დროს მყოფი კათოლიკე მისიონერებისა და თვით ქართველებსაგან მონათხრობ ფაქტებს. ფიქსირების გარეშე არ დაუტოვებია ყურმოკრული ამბებიც. ყოველივე ამის გამო, შარდენის თხზულებას საქართველოს ისტორიის სრული ცნობარის ერთგვარი პრეტენზიაც ჰქონდა და ასეთადაც მიიჩნევდნენ მას როგორც მოგზაურის თანამედროვე, ისე XVIII და XIX საუკუნეების ევროპელი ავტორები.

ჟან შარდენის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ფაქტები მისი ცხოვრებიდან ძირითადად ცნობილია იმ მოკლე ბიოგრაფიიდან, რომელიც შესავალის სახით აქვს დართული მისი „მოგზაურობის“ გამოცემებს.

ჟან შარდენი დაიბადა 1643 წლის 26 ნოემბერს პარიზში. მამამისი იყო მდიდარი იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე. ეს ხელობა მას შვილისათვის უსწავლებია. შარდენები სარწმუნოებით პროტესტანტები ყოფილან, რამაც დიდი როლი შეასრულა მომავალი მოგზაურის ცხოვრებაში.

5

შარდენს კარგი განათლება მიუღია, მაგრამ მას, როგორც პროტესტანტს, არ შეეძლო კარიერის ძიება თავის ქვეყანაში, რადგანაც იმდროინდელი საფრანგეთის ხელისუფლება აღმაცერად უყურებდა კათოლიკობისაგან განდგომილთ. ამიტომ მან გადაწყვიტა შორეულ ქვეყნებში ეძია ბედი.

1664 წელს 22 წლის ჟან შარდენი თავისი მამის კომერციული საქმეების მოსაგვარებლად ინდოეთს გაემგზავრა. ეს იყო მისი პირველი შორეული მოგზაურობა, რომლის დროსაც მან აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანა მოიარა. მოგზაურობაში მას თან ახლდა ლიონელი ვაჭარი რეზენი². ინდოეთიდან შარდენი სპარსეთში წავიდა, სადაც შაჰის კარზე ექვსი წელი დაჰყო. სპარსეთში ყოფნის დროს კომერციულ საქმიანობასთან ერთად იგი აკვირდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ ცხოვრებას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მათი ყოფის სხვადასხვა მხარეს. მალე მან შაჰის კარის იუველირის („მოგზაურობის“ ზოგი გამოცემის მიხედვით –

ვაჭრის) ტიტული მიიღო, რამაც განაპირობა კარის დიდებულებთან მისი დაახლოება. მან შეისწავლა სპარსული ენა, რითაც საშუალება მიეცა უშუალო ურთიერთობა ჰქონოდა სპარსეთის განათლებულ ადამიანებთან, შეესწავლა ამ ქვეყნის ისტორია და მისი სიძველენი. „გადაუჭარბებლად შემდილია ვთქვა, – ამბობს მოგზაური, – რომ ისფაჰანს უკეთ ვიცნობ, ვიდრე ლონდონს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ოცდაექვს წელზე მეტი გავატარე; სპარსულად ისევე ადვილად ვლაპარაკობ, როგორც ინგლისურად და თითქმის ისევე თავისუფლად ვფლობ მას, როგორც ფრანგულს“³.

სპარსეთიდან საფრანგეთში შარდენი 1670 წელს დაბრუნდა. 1671 წელს მან საფრანგეთში გამოაქვეყნა თავისი პირველი თხზულება სპარსეთის შაჰის „სულეიმანის მეფედ კურთხევა“⁴, რომელიც მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს იმდროინდელი აღმოსა-

¹ შარდენის ინდოეთში გამგზავრების თარიღად 1664 წელი მიჩნეულია „მოგზაურობის“ 1811 წლის გამოცემაში. 1686 წლის გამოცემის მიხედვით ეს მოხდა 1665 წელს.

² Raisin.

³ Voyages du Chevalier Chardin en perse, et autres Lieux de L'orient. Paris, 1811, t. I. გ, X XXIX (შემდგომი Voyages... ქართულად თარგმნის დროს ჩვენ ყველგან „მოგზაურობას“ მხოლოდით რიცხვში ვხმარობთ).

⁴ Le couronnement de Soleiman troisieme, roi de Perse, et ce qui s'est passe de plus memorable dans les deux premieres annees de son regne. Paris, 1671.

6

ვლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს – სპარსეთის შე-სახებ.

პარიზში შარდენი დიდხანს არ დარჩენილა. მას, როგორც პროტესტანტს, საფრანგეთში არ დადაედგომებოდა. „თვითონ დავრწმუნდი, – წერს ერთგან შარდენი, – ის რელიგია, რომლითაც მე ვიყავი აღზრდილი, მაშორებდა ყოველგვარ სამსახურს, და საჭირო იყო ან გამომეცვალა პროფესია, ან ხელი ამელო ყველაფერ იმაზე, რასაც პატივი და დიდება ჰქვია“⁵. ამიტომ მან გადაწყვიტა კვლავ აზიაში გამგზავრება. ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში მას დაეხმარა ცნობილი ნეგოციანტი მადამ ლესკონტი. მოგზაურობის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო შარდენის უახლოესი მეგობარი და თანამგზავრი რეზენი.

1671 წლის 17 აგვისტოს შარდენი ხელმეორედ გაემგზავრა სპარსეთში და თან ევროპული ძვირფასი საიუველირო ნაწარმი წაიღო, რომელიც მას სპარსეთის შაჰის აბას მეორისაგან ჰქონდა შეკვეთილი. ამჯერად მან უფრო მოკლე და პირდაპირი გზა აირჩია – სპარსეთში ჩავიდა კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვისა და კავკასიის გავლით. სწორედ ამ მოგზაურობის დროს დაწერა მან ის თხზუ-

ლება, რომლის ერთი საკმაოდ მოზრდილი ნაწილი საქართველოს შეეხება. მას თან ახლდა მისი პირველი მოგზაურობის თანამგზავრი რეზენი და აგრეთვე მხატვარი გრელო⁶.

შარდენი ამჯერადაც რამდენიმე წელს დარჩა სპარსეთში, საიდანაც 1677 წელს ინდოეთს გაემგზავრა⁷. ევროპაში იგი 1679 წლის ბოლოს დაბრუნდა⁸, მაგრამ უკვე ზღვით – კეთილი იმედის კონცხის შემოვლით.

როგორც ჩანს, ამჯერადაც იგი დიდხანს არ გაჩერებულა საფრანგეთში და 1681 წლის 14 აპრილს ლონდონში გადასახლებულა⁹. ლონდონში ჩასვლის 10 დღის შემდეგ შარდენს ინგლისის მეფემ კარლოს 11 „შევალის“¹⁰ ტიტული უბოძა. აქვე დაქორწინდა იგი რუ-

⁵ Voyages..., გვ. 1.

⁶ Grélot

⁷ Voyages... ტ. V, გვ. 325.

⁸ „მოგზაურობის“ ზოგი გამოცემის მიხედვით იგი ევროპაში 1677 წელს დაბრუნებულა.

⁹ ზოგი მისი ბიოგრაფის აზრით, იგი აღმოსავლეთიდან მობრუნებული პირდაპირ ლონდონში ჩასულა.

¹⁰ Chevalier.

ანელ პროტესტანტ ქალზე, რომელიც სარწმუნოებრივი დევნის გამო სამშობლოდან იყო გადახვეწილი.

1683 წელს შარდენი დანიშნეს ინგლისის ელჩად ჰოლანდიაში და ინგლის-ინდოეთის კომპანიის აგენტად. 1711 წელს იგი კვლავ ინგლისში დაბრუნდა. შარდენი გარდაიცვალა ლონდონში 1713 წლის 26 იანვარს, 69 წლის ასაკში.

*
* *
*

შარდენის 1671-79 წლების აღმოსავლეთში მოგზაურობის ნამდვილი მიზნები მისი თხზულების მკითხველისათვის ძნელი გასარკვევია. ავტორი ამ საკითხებზე მსჯელობას რატომღაც ყოველთვის გვერდს უვლის. მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ მას სპარსეთის შაჰისაგან დავალებული ჰქონდა ისფაჰანში ევროპული საიუველირო ნაწარმის ჩატანა. მაგრამ თუ „მოგზაურობის“ ტექსტს ჩავუკვირდებით, გავიგებთ, რომ მას ფულიც მიჰქონდა (საკმაოდ დიდი თანხა) და არა მარტო საკუთარი, არამედ თავისი „მეგობრებისაც“. ცხადია ისიც, რომ ეს ფული ირანის შაჰისათვის არ იქნებოდა განკუთვნილი. შარდენს, უთუოდ, სპარსული საქონლის შესყიდვა და ევროპაში მისი შემოტანა ჰქონდა მიზნად, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. თავის მხრივ ირანიც დაინტერესებული უნ-

და ყოფილიყო ევროპაში საკუთარი საქონლის (განსაკუთრებით აბრეშუმის) გატანით. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შარდენს ერთგვარად შუამავლის როლი ქონდა დაკისრებული ევროპასა და ირანს შორის სავაჭრო ურთიერთობის მოსაგვარებლად. მაგრამ ვისგან? „მოგზაურობაში“, ჩვენის აზრით, ამ კითხვაზეც მოიძებნება პასუხი.

ზემოთ ნახსენები იყო ინგლის-ინდოეთის კომპანია, რომლის აგენტი შარდენი გახდა. ამ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, უფრო ადრე იგი დაკავშირებული ჩანს საფრანგეთში არსებულ ანალოგიურ კომპანიასთან, რომელიც მოწოდებული იყო საფრანგეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობა ეწარმოებინა. „მოგზაურობაში“ იქ, სადაც შარდენი თავისი თბილისში ყოფნის ამბებს აღწერს, გაკვრით ახსენებს ჩვენს ინდოეთის კომპანიას, რომელსაც იქვე „ფრანგულ კომპანიას“ უწოდებს. ასე რომ, შარდენი ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო და არა კერძო ვაჭარი, რომელსაც მხოლოდ თავისი პირადული ინტერესები ამოძრავებდა და როგორც სურს მკითხველებს წარმოუდგინოს თავისი თავი.

8

ვისი თავი. უფრო მეტიც: იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა უნდა ყოფილიყო. მისივე ნათქვამიდან ირკვევა, რომ იგი დაახლოებული ყოფილა ევროპის სახელმწიფოების მმართველ წრეებთან. ხშირად ვხვდებოდით ევროპელ მინისტრებს, ელჩებს და ისინი პატივით მეპყრობოდნენო – აღნიშნავს მოგზაური. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, შარდენის, როგორც გარკვეული ორგანიზაციის წარმომადგენლის, აღმოსავლეთში მოგზაურობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობათა მოსიხვეჭვა და ამ ურთიერთობათათვის ახალი გზის გაკვალვა.

მოგზაურობის გეგმაც და მარშრუტიც შარდენს კარგად ჰქონია მოფიქრებული და შედგენილი. იგი პარიზიდან მილანის, ვენეციისა და ფლორენციის გზით კონსტანტინოპოლში ჩასულა, აქედან გემით – ყირიმში; ყირიმიდან – გემითვე სამეგრელოში; შემდეგ კი ახალციხის, აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთის გავლით ისფაჰანში ჩაუღწევია.

მოგზაურობის ეს მარშრუტი შარდენს, როგორც ჩანს, ისფაჰანში პირველად ყოფნის დროს უკვე შემუშავებული ჰქონია. სხვაგვარად გაუმართლებელი იქნებოდა მის მიერ ირანის შაჰისაგან დაცვის სიგელის (ფირმანის) გამოთხოვა. ფირმანში, რომელიც „მოგზაურობაშია“ ჩართული, ირანის შაჰი აბას II თავის ქვეშევრდომებს უბრძანებს, რომ ფრანგ ნეგოციანტებს შარდენსა და რეზენს არ გადაახდევინონ არავითარი ბაჟი, არ შეუქმნან რაიმე დაბრკო-

ლება, დაეხმარონ ყველაფერში. შაჰის ქვეშევრდომნი შარდენს მხოლოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეიძლება შეხვედროდნენ. მათ რიცხვში უნდა ვიგულისხმოთ ქართლისა და კახეთის მეფეები. შარდენმა ფირმანი მართლაც წარუდგინა ქართლის მეფე ვახტანგ V, რომლისგანაც სათანადო დახმარება მიიღო კიდეც.

თუ რატომ ირჩია ეს გზა, ამის შესახებ მოგზაური თვითონ არაფერს ამბობს, მაგრამ მისი გადაწყვეტილების მიზეზებიში იძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მას, როგორც ძველი ისტორიის კარგ მცოდნეს, უეჭველად ეცოდინებოდა, რომ ამიერკავკასიაზე გადიოდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. გვიან შუასაუკუნეებში ევროპა ცდილობს ამ ტრასის „გაცოცხლებას“. ამიერკავკასიაზე გაიარეს შარდენის წინამორბედებმა კონტარინიმ, ბარბარომ (XV საუკ.) და სხვებმა. ყოველივე ეს შარდენისათვის გარკვეული სტიმული უნდა ყოფი-

9

ლიყო. გარდა ამისა, შარდენის მიერ ერთხელ უკვე გავლილი ინდოეთის გზა მეტად შორი და ძნელად სავალი იყო და ამიტომ მოგზაურმა მისი მეორედ გავლა, ბუნებრივია, აღარ ისურვა. არსებობდა მესამე, ყველაზე მოკლე გზაც, რომელიც თურქეთზე გადიოდა, მაგრამ იგი ამ დროის ევროპელი მოგზაურისათვის ჩაკეტილი იყო.

საქმე ისაა, რომ XVII საუკუნეში აღმოსავლეთის ორ უძლიერეს სახელმწიფოს – თურქეთსა და სპარსეთს მუდმივი ქიშპობა ჰქონდათ ერთმანეთთან. სპარსეთი ცდილობდა ევროპის ქვეყნებთან კავშირი დაემყარებინა და ისინი თურქეთის წინააღმდეგ აემხედრებინა¹¹. ამ კავშირით ევროპის ქვეყნებიც იყვნენ დაინტერესებულნი, რადგანაც მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლის აღებით (1453 წ.) თურქეთმა ევროპაში შემოიღო ფეხი, იგი მეტად საშიში ძალა გახდა ევროპისათვის. ასეთ ვითარებაში სპარსეთში მიმავალი ფრანგი მოგზაურისათვის თურქეთზე გამავალი გზა, ბუნებრივია, მეტად სახიფათო იყო. შარდენმა ჯერ კონსტანტინოპოლიდან და შემდეგ თურქეთის კონტროლქვეშ მყოფი ყირიმიდან გაღწევაც მისთვის და მისი ქონებისათვის მეტად სარისკო კონსპირაციით მოახერხა. როგორც „მოგზაურობიდან“ ვგებულობთ, იგი სამეგრელოში ფრანგი მისიონერის სახელით ჩამოვიდა.

„მოგზაურობიდან“ ირკვევა ისიც, რომ შარდენს ჯერ კიდეც ევროპაშივე საგანგებოდ შეუსწავლია მის გზაზე მდებარე ქვეყნების შესახებ იქ არსებული მასალები. ეს განსაკუთრებით მჟღავნდება მის მიერ საქართველოს აღწერისას.

XVII საუკუნის საფრანგეთში საქართველოს შესახებ ცოტა რამ იცოდნენ. საქართველოსადმი ინტერესი ევროპაში სწორედ ამ

დროს ღვივდება განსაკუთრებით. შარდენის ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ეს ინტერესიც იყო, ხოლო მიზანს, უდავოდ, ევროპისათვის საქართველოს დაწვრილებით გაცნობაც წარმოადგენდა.

ევროპის დაინტერესება საქართველოთი, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო გზების ძიებით. კავკასიაზე კი, როგორც აღვნიშნეთ, ოდითგანვე დასავლეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი საგზაო არტერია გადიოდა; მეორეს მხრივ, გვიან შუასაუკუნეებში რომის კათოლიკური ეკლესიის მისწრაფებით – თავისი გავლენა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებზეც გაეგრძელებინა. რომის მისწრა-

¹¹ Voyages..., ტ. VII, გვ. 434.

10

ფება აღმოსავლეთისაკენ, თავის მხრივ, გამოწვეული იყო იმითაც რომ ამ დროს, რელიგიური განხეთქილების ნიადაგზე, თვით ევროპაში რომის პაპის გავლენის სფერო საგრძნობლად შემცირდა. ამასთანავე, მართლმადიდებლური ქრისტიანობის ცენტრი, ბიზანტია, უკვე აღარ არსებობდა და რომი ერთ დროს ბიზანტიურ სამყაროში შემავალი აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების შემომტკიცებას მათ შორის კათოლიკობის გავრცელებით ცდილობდა.

XVI-XVII სს. საქართველოში კათოლიკე მისიონერები განსაკუთრებით მომრავლდნენ. ისინი დროდადრო გზავნიდნენ რომის პაპთან, რელაციებს (წერილებს), რომლებშიაც მეტ-ნაკლები სისრულით არის აღწერილი საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა. როგორც ჩანს, შარდენისათვის ამ რელაციათა ერთი ნაწილი მაინც ცნობილი ყოფილა. ამაზე მიუთითებს ის, რომ მას იმთავითვე კარგად ჰქონია გარკვეული თუ სად მიდიოდა. მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყოთ აგრეთვე, საქართველოს შესახებ XIII-XVII საუკუნეების ევროპულ მოგზაურთა – მარკო პოლოს, კონტარინის, პიეტრო დე ლა ვალეს და სხვათა თხზულებები.

გარდა ამისა, შარდენს შეუსწავლია საქართველოს შესახებ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობები, რასაც მისთვის საშუალება უნდა მიეცა უფრო ღრმად გაცნობოდა საქართველოს წარსულს. მაგრამ აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ძველი ისტორიკოსების ცნობების ერთი ნაწილი XVII საუკუნის საქართველოში არსებულ ვითარებას არ შეესატყვისებოდა და, ამდენად „მოგზაურობაში“ მათი ჩართვა ხშირად იწვევს ფაქტების ერთმანეთში აღრევას, უზუსტობას და ზოგჯერ უადგილოც კი არის.

ამრიგად, შარდენი საქართველოში ჩამოვიდა ისე, რომ მას

ამ ქვეყანაზე გარკვეული, წინასწარ შემუშავებული აზრი უკვე ჰქონდა. მან იცოდა, რომ მისი მოგზაურობა უხიფათო არ იქნებოდა და ამ განწყობით შეუდგა იგი სამეგრელოს აღწერასაც. სამეგრელოს შესახებ მისი ერთ-ერთი პირველი და მეტად დამახასიათებელი ფრაზა ასეთია: „ვიდრე შევუდგებოდე იმ სიძნელების და ხიფათის შესახებ თხრობას, რაც სამეგრელოში გადავიტანე, მე აღწერ ამ ქვეყანას და მის მოსაზღვრე ადგილებს“. ამ ფრაზაში უკვე ნათლად იგრძნობა ის ტენდენცია, რომლითაც გამსჭვალულია მისი თხზულება. იგი მთელი ნაწარმოების ლეიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს და ამასთანავე ლიტერატურული ხერხია, რომლითაც ავტორი სათანადოდ განაწყობს მკითხველს და ინტერესს უღვივებს

11

მას მთელი შემდგომი ამბებისადმი. ავტორი საგანგებოდ ამუქებს ფერებს, მწვავე დრამატულ იერს აძლევს ერთის შეხედვით უმნიშვნელო ამბებს, თავის ყოველ ნაბიჯს წარმოსახავს ხიფათით აღსავსეს. ეგზოტიკით გატაცებული, იგი არარეალურ, ფანტასტიკურ თვისებებს მიაწერს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს. ყოველივე ეს ლიტერატურული თვალსაზრისით თითქოს ბუნებრივიცაა. XVII საუკუნის განათლებული ფრანგის სათავგადასავლო ამბებით გატაცება არ არის მოულოდნელი. აღსანიშნავია ისიც, რომ შარდენის თხზულების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურება ერთ-ერთი მიზეზი უნდა გამხდარიყო „მოგზაურობის“ ესოდენ დიდი პოპულარობისა ევროპაში.

ამ ტენდენციით განწყობილ მოგზაურს საქართველოშიც ისეთი მდგომარეობა დახვდა, რომელიც ხელს უწყობდა მის თხზულებას უფრო დრამატული და „საინტერესო“ ხასიათი მისცემოდა.

*

* *

XVII საუკუნე ქართველი ხალხის ისტორიაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური, რთული სოციალური ვითარების დრამატული კოლიზიებით აღსავსე ხანაა. საქართველო დაშლილია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ქვეყანა არეულია. მეფე-მთავრებს შორის განუწყვეტელი შუღლი და მტრობა სუფევს. დაქვეითებულია მეურნეობა, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება, კულტურა, საქალაქო ცხოვრების დონე, ვაჭრობა. მოსახლეობის დაბალ ფენებს აჩანაგებს ტყვეთა სყიდვა.

ქვეყანაში არსებული საყოველთაო არეულობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სპარსეთისა და თურქეთის მოძალეობა იყო, რასაც ჩვენი მოგზაურიც კარგად ხედავდა. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ საქართველოში დროდადრო შემოსევებით, ხალხის აწიოკე-

ბით, ქვეყნის ვაჟკაცურებით, ნადავლისა და ტყვეთა წასხმით. მათი ყოველწლიური ხარკი მძიმე ტვირთად აწვა ხალხს.

ქართველი ხალხი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს, მაგრამ უშედეგოდ. ქვეყნის მესვეურნი საზღვარგარეთ ეძიებდნენ ხსნას. ელჩები იგზავნებოდა რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში, მაგრამ არც რუსეთს და არც ევროპას ამ დროს საქართველოსთვის არ სცალოდა. უფრო კი, საქართველოსათვის ევროპას რეალური დახმარება არ შეეძლო, ერიდებოდა ოსმალეთსა და სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავებას.

12

1672 წლის აგვისტოში, როდესაც შარდენი სამეგრელოში ჩამოვიდა, დასავლეთ საქართველოში ახალციხის ფაშა თარეშობდა. მოგზაური დაწვრილებით აგვიწერს ამ შემოსევის ამბებს. ძნელია აუღელვებლად წაიკითხო „მოგზაურობის“ ის ნაწილები, სადაც თურქების მიერ აწიოკებული ხალხის უკიდურესი სიდუხჭირეა გადმოცემული. ხალხი ცისხე-სიმაგრეებსა და მიყრუებულ ადგილებში იხიზნებოდა. თვითონ შარდენსაც მოუხდა თავი შეეფარებინა სამეგრელოს ერთ-ერთი ციხე-სიმაგრისათვის.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ სამეგრელოში არაოფიციალურად ჩამოსული უცხოელისადმი განსაკუთრებული გულისხმობისა და მზრუნველობის გამოჩენა არ შეეძლოთ. სამეგრელოში, სხვათა შორის, იმასაც მიხვდნენ, რომ შარდენი ცრუობდა – ევროპელ მისიონერად ასაღებდა თავს და რაკი მას სიმდიდრე დაუფულეს, მოუნდომეს ძვირფასეულობის წართმევა. მან დიდი ვაი-ვაგლახით გადაარჩინა თავისი ავლა-დიდება, მაგრამ მეგრელებზე განაწყენებული დარჩა. სწორედ ეს შეიქნა მიზეზი მოგზაურის მიერ მათი ესოდენ თავშეუკავებელი ლანძღვა-გინებისა. ბუნებრივია ისიც, რომ აწიოკებული ხალხი პარიზის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლისადმი „შესაფერ“ თავაზიანობას ვერ გამოიჩენდა.

დასავლეთ საქართველოში იმ დროს არც ცხოვრების დონე იყო ისეთი, რომ განათლებული ფრანგის კაპრიზები დაეკმაყოფილებინა. ყოველივე ამას იგი ნაკლად უთვლის მეგრელებს და თავისი „მაღალი“ პოზიციებიდან მომზირალი შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ იშურებს მათთვის. თუმცა ამ შემთხვევაში მეგრელები მოგზაურისათვის გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მისთვის საერთოდ აღმოსავლეთის ხალხები და მათ შორის ოსმალები, ჩრდილოკავკასიელები და სხვანი არიან „ბარბაროსები“, „ველურები“ და ა. შ.

შარდენის თხზულების ეს ნაწილები, თუმცა მეცნიერული და ფაქტობრივი თვალსაზრისით არაფერს საინტერესოს არ შეიცავენ, მაგრამ თხრობის სისრულისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ ის-

ინიც გვეთარგმნა, მით უმეტეს, რომ საქმეში ჩახედული მკითხველი აქ ადვილად გაარჩევს ერთმანეთისაგან ავტორის სუბიექტურ ემოციებსა და ობიექტურ სინამდვილეს. გამონაკლის შემთხვევაში ამოვიღეთ მხოლოდ ის ადგილები, რომლებშიც ავტორის დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული ტენდეციურობით ხასიათდება და რომელთა ამოღება თხრობის თანმიმდევრობას არ არღვევს.

13

შარდენი ვრცლად მოგვითხრობს თავის შეხვედრებზე საქართველოს მეფე-დიდებულებთან. მას ყველაზე მეტად მოსწონებია ვახტანგ V, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ ქართლის მეფეს იგი ნადიმზე მიუწვევია და მისთვის განსაკუთრებული პატივი უცია. შარდენს საქართველოს მეფე-დიდებულთათვის რამდენჯერმე საჩუქრები მიურობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ნივთებს შორის არაფერი ძვირფასი არ ყოფილა, საზღაურად კი ყველა მათგანისაგან მფარველობა და დახმარება უთხოვია. ნიშანდობლივია ისიც, რომ შარდენის მიერ ვინმესთვის თუნდაც სრულიად უმნიშვნელო საჩუქრის მირობის ამბავს (ამ ფაქტებს კი იგი დეტალურად აღწერს) ავტორის ვაჭრული სინანული ყოველთვის თან ახლავს ხოლმე.

საქართველოში შარდენის მეგზურნი და მოამაგენი იყვნენ ევროპელი კათოლიკე მისიონერები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავლად იყვნენ ამ დროს ჩვენში. მათ გზავნიდა რომში არსებული სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც პროპაგანდა ფიდე ეწოდებოდა და რომლის მიზანს აღმოსავლეთში კათოლიციზმის გავრცელება წარმოადგენდა.

საქართველოში შარდენი ამ კათოლიკე მისიონერებთან ცხოვრობდა. ძირითადად ისინი აწვდიდნენ მოგზაურს ცნობებს ამ ქვეყნისა და ხალხის შესახებ. რაკი მოგზაურმა ქართული ენა არ იცოდა, მისიონერების მეშვეობით ამყარებდა იგი კონტაქტს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

*
* *

საქართველოში შარდენი განსაკუთრებით დაახლოებულია ერთ-ერთ მისიონერთაგანს – იტალიელს ძამპს¹², რომელიც თეათინელთა ორდენის ბერების პრეფექტი (წინამძღვარი) იყო სამეგრელოში. ძამპიც, ისევე როგორც სხვა მისიონერები, დროდადრო რეაგირებს გზავნიდა რომში. იგი პაპს აწვდიდა ცნობებს ადგილობრივი მოსახლეობისა და თეათინელი ბერების მოღვაწეობის შესახებ.

სამეგრელოში ამ რელაციების ერთი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს საქართველოში კათოლიკობის ისტორიის ცნობილ მკვლევარს

¹² Joseph Marie Zampi.

14

მ. თამარაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ძამპის ბევრი რელაცია დაკარგულია¹³.

სამეგრელოში სამისიონერო მოღვაწეობის დროს ძამპს დაუწერია ვრცელი თხზულება ამ ქვეყნის შესახებ, რომელიც შარდენისთვის გადაუცია. შარდენს ძამპის ეს ნაშრომი ჯერ ნაწყვეტების სახით, მერე კი მთლიანად თავის „მოგზაურობაში“ შეუტანია და, ამდენად, მას ჩვენს გამოცემაშიც სათანადო ადგილი დაეთმო. იოზეფ მარია ძამპი, თეათინელთა ორდენის ბერი, წარმოშობით მანტუელი იყო. ძამპის საქართველოში ჩამოსვლის ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ მისი თხზულებიდან ჩანს, რომ იგი XVII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში უკვე აქ იყო. მან შეცვალა 1649 წ. აქედან წასული მისიონერი არქანჯელო ლამბერტი¹⁴. შარდენი, რომელიც ძამპისთან 1672 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იმყოფებოდა, აღნიშნავს რომ მას ამ დროისათვის სამეგრელოში 23 წელი ჰქონდა გატარებულიო. თუ ძამპის საქართველოში ჩამოსვლის თარიღად 1649 წელს მივიღებთ¹⁵, ეს მართლაც ასეა. მაგრამ ცნობილია, რომ 1665 წელს იგი რომში გაიწვიეს, სადაც მან ოთხი წელი დაჰყო, ე. ი. აქ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. ან უნდა ვიფიქროთ, რომ შარდენი ოთხ წელიწადს, რომელიც ძამპიმ რომში გაატარა, მხედველობაში არ ღებულობს, ანდა ძამპის საქართველოში ჩამოსვლის თარიღი შესაბამისად უკან უნდა გადავწიოთ. მეორე ვარაუდი, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული. ჯერ ერთი, 1648-49 წლებამდე სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების პერეფექტი იყო არქანჯელო ლამბერტი, და, მეორეც, არსებობს ანდრეა ბორომეოს წერილი რომის პაპისადმი, დათარიღებული 1658 წლის 8 ივნისით, სადაც ნათქვამია, რომ ძამპს ოდიშში ყოფნის „10 წლის სტაჟი აქვსო“. გამოდის, რომ შარდენი ცდება ძამპის სამეგრელოში ყოფნის წლების გამოანგარიშებაში და ამ შეცდომის მიზეზი გაურკვეველია. შესაძლოა, მან არც იცოდა ძამპის სამისიონერო მოღვაწეობის ეს დეტალები, ან ყურადღება არ მიუქცია მას და ძამპის სამეგრელოში ყოფნის წლები მისი აქ ჩამოს-

¹³ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 204 და შემდ.

¹⁴ კ. ვ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 300.

¹⁵ ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე ძამპის საქართველოში ჩამოსვლის თარიღად 1648 წ.

ვლის წლიდან იანგარიშა. ასეა თუ ისე, შარდენის ძამპისთან შეხვედრის ჟამს, ამ უკანასკნელს სამეგრელოში მსოლოდ 19 წელი უნდა ჰქონოდა გატარებული.

1669 წელს ძამპი ისევ ჩამოსულა სამეგრელოში, ხოლო 1679 წლის 14 სექტემბერს აქ 25 წლის მოღვაწეობის შემდეგ, საბოლოოდ დაბრუნებულა სამშობლოში¹⁶.

რომის პროპაგანდის მიერ ძამპის მეორედ გამოგზავნა ჩვენში იმაზე მიუთითებს, რომ მის მოღვაწეობა სამეგრელოში ნაყოფიერად და საჭიროდ მიუჩნევიათ. მართლაც, თუ ძამპის თხზულებას ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მას ძალა და ენერგია არ დაუშურებია სამეგრელოში კათოლიკობის დასანერგად და ამ მიმართულებით საკმაო წარმატებებიც ჰქონია.

*
* *

ძამპის თხზულება შარდენს დაუმთავრებელი სახით მიუღია. მასვე უთარგმნია იგი იტალიურიდან ფრანგულად. ამ თხზულების შარდენისეული პუბლიკაცია მით უფრო ძვირფასია, რამდენადაც მისი იტალიური დედანი არ არის შემონახული.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ამ ორი ავტორის თხზულებანი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შარდენი დიდად ერუდირებული, ფართო განათლების მქონე ადამიანია, რომელიც დაჯილდოებულია ჭემმარიტი სამწერლო ნიჭით. მისთვის ცალკეული მოვლენა და ფაქტი საერთო დასკვნისათვის აუცილებელი კომპონენტია. ხშირად იგი მოვლენათა არსში ჩაწვდომასაც ცდილობს და ახერხებს კიდევ თავისებურად. მისი თხზულების კომპოზიციური წყობა ერთ ძირითად მიზანს ისახავს – რაც შეიძლება მეტად დააინტერესოს მკითხველი და ამისთვის არ ერიდება ამბების გადამეტებულ დრამატიზაციას და ხშირად საკუთარი ფანტაზიით მათ შელამაზებასაც. ამ თვალსაზრისით შარდენის თხზულება გამოირჩევა ყველა სხვა მოგზაურის ანალოგიური ნაწარმოებებისაგან და მას სათანადო ადგილი უჭირავს თავისი დროის ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში.

ძამპი მხოლოდ ფაქტებს აღწერს. იწონებს ან იწუნებს მათ მხოლოდ თავისი კონფესიონალური მოსაზრებების მიხედვით. მან

¹⁶ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

კარგად იცის შუასაუკუნეების საღვთისმეტყველო ლიტერატურა და ამით თავი მოაქვს კიდევ, მაგრამ მის ნაწერს ნათლად ეტყობა ავტორის გაუწაფავი ხელი.

ძამპის თხზულებას სათაური არა აქვს, მაგრამ მისი შინაარსიდან ნათელია, თუ რაზეა მასში ძირითადად ყურადღება გამახვილებული. ეს არ არის სამეგრელოს აღწერა, როგორც ამას ზოგი ავტორი თვლის. იგი ეხება მეგრელების რელიგიას და მასთან დაკავშირებულ ხალხის ყოფას, ადათ-წესებს და სხვა თავისებურებებს. თითოეულ საკითხს ნაშრომში ცალკეული თავი აქვს დათმობილი. მაგალითად, დეტალურად არის აღწერილი საქართველოს ეკლესიები, მათი ინტერიერების შემკულობა, სამრეკლოები, ხატები, წმ. რელიქვიები და სხვა.

ძამპის ნაშრომიც ტენდენციურობით ხასიათდება. ავტორი ყველაფერს კლერიკალური პოზიციებიდან უყურებს. ის, რაც კათოლიკურ დოგმებს არ შეესაბამება, მისი თვალსაზრისით მანკიერია და ხალხის სულიერ ცხოვრებას ამახინჯებს. ამით იგი, ერთის მხრივ, სამეგრელოში თავის მისიასაც ამართლებს, ხოლო, მეორეს მხრივ, რომის პროპაგანდას არწმუნებს აქ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების აუცილებლობაში.

ამრიგად, ჟან შარდენის „მოგზაურობის“ ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ძამპის თხზულებაცაა ჩართული. ისინი ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს და XVII საუკუნის სხვა უცხოელ ავტორებთან შედარებით უფრო სრულად წარმოგვიდგენენ საქართველოში არსებულ ვითარებას.

*
* *

საინტერესოა, თუ როგორ შეიქმნა შარდენის „მოგზაურობა“. სამწუხაროდ, ავტორი კონკრეტულად არაფერს ამბობს ამის შესახებ, მაგრამ თვით ნაწარმოებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ „მოგზაურობის“ წერის პროცესზე. ავტორი ერთგან გაკვრით აღნიშნავს, რომ თავისუფალ დროს წერასა და კითხვაში ვატარებდიო. როგორც ჩანს, იგი მართლაც პერიოდულად, დღიურების სახით იწერდა იმ უმთავრეს მოვლენებს და ფაქტებს, რომლებიც მისი ნაწარმოების ჩონჩხად იქცა. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა წლების, თვეებისა და რიგხვების მიხედვით თხრობას. მაგრამ ისიც კარგად შეიმჩნევა, რომ თხზულება მთლიანად გააზრებულია და დაწერილია შემდეგ, იმ

წყაროებისა და გადმოცემების მოშველიებით, რომლებიც ავტორს შედარებით გვიან აქვს მოპოვებული და რომლებიც ესოდენ უხვად არის გამოყენებული „მოგზაურობაში“. ამით ერთგვარად შენელებულია აღწერილი ფაქტების უშუალო შთაბეჭდილება, მაგრამ სამაგიეროდ დაცულია თხრობის ლოგიკური თანამიმდევრობა.

„მოგზაურობის“ ცნობები საქართველოს შესახებ მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. აქ ვხვდებით ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური მდგომარეობის აღწერას, ცნობებს ხალხის ადათ-წესების, რელიგიის, მეურნეობის, ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ; ცალკეულ ეპიზოდებს ძველი საქართველოს ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან; ცნობებს ქვეყნის ბუნების, ფაუნისა და ფლორის შესახებ; ისტორიულ პირთა დახასიათებას და ა. შ. „მოგზაურობაში“ ჩართულია ჩანახატები, რომლებიც თუმცა მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად არის საინტერესო, მაგრამ, როგორც დოკუმენტური მასალა, უდავოდ, დიდად მნიშვნელოვანია.

*
* *
*

საქართველოში ჩამოსული უცხოელისათვის ბუნებრივია, რომ ძნელი იყო გაეგო და ობიექტურად შეეფასებინა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ჩასწვდომოდა მოვლენათა ჭეშმარიტ არსს, შეეცნო ის თავისებურებანი, რომელნიც მისთვის ამ უცხო ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი. ამ მიმართულებით შარდენის თხზულებისადმი პრეტენზიები სრულიად ზედმეტი იქნებოდა. მაგრამ აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ქართულ თუ უცხოურ ენაზე იშვიათია ისეთი ისტორიული თხზულება, რომელშიაც XVII საუკ. 70-იანი წლების საქართველოს ცხოვრება უფრო სრულად იყოს ასახული, ვიდრე ეს შარდენის „მოგზაურობაშია“. სწორედ ამით არის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის შარდენის თხზულება ესოდენ ფასდებული.

„მოგზაურობაში“ მოთხრობილი ამბებიდან ზოგი რამ არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ზოგიც გაუგებარია, ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებსაც, მაგრამ არც ეს და არც მოვლენებისადმი ავტორისეული ტენდენციურობა თხზულებაში მოტანილი ცნობების მნიშვნელობას სრულიადი არ ამცირებს. ამ ცნობების მნიშვნელობა, უდავოდ, გაიზრდება, თუ მათ ჩამოვაცილებთ ავტორის სუბიექტურ სენტენციებს, სათანადოდ განვმარ-

ტავთ, შევაჯერებთ სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან და ამით შესაძლებელი სისრულით ადვადგენთ იმ რეალურ სურათს, რომელიც დახვდა მოგზაურს საქართველოში ჩამოსვლის დროს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორია დღეს შედარებით კარგად არის შესწავლილი. ამიტომ „მოგზაურობის“ ტექსტის ანალიზის დროს შევხებით ძირითადად მხოლოდ საკითხთა იმ წრეს, რომლებიც უშუალოდ ამ ტექსტიდან გამომდინარეობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ XVII საუკუნის საქართველოს ს ისტორიის უკლებლივ ყველა მკვლევარი უხვად იყენებს შარდენის ცნობებს და ეყრდნობა მას, როგორც პირველწყაროს.

*
* *

როგორც მოსალოდნელი იყო, შარდენის თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებას. შარდენმა იცის, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, რომ იგი ერთ დროს ერთიან და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და, რომ ეს ქვეყანა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დაიშალა ცალკე სამეფო-სამთავროებად. იგი ცდილობს გაიზაროს კიდევ, თუ რატომ მოხდა ასე; მოაქვს ქვეყნის დაშლა-დაქვეითების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზები.

შარდენს არ შეიძლებოდა სცოდნოდა საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების თავისებურებანი, სათავადოების სისტემის როლი ქვეყნის დეცენტრალიზაციის საქმეში, მაგრამ საკითხისადმი სხვადასხვა კუთხიდან მიდგომა, ამ რთული პრობლემის ახსნის სურვილი ავტორის უდავო დაკვირვებულობაზე მეტყველებს. თუ ერთგან იგი ქვეყნის დაქუცმაცების მიზეზად იმას თვლის, რომ ერთმა მეფემ თავის ოთხ შვილს დაუნაწილა სამეფო¹⁷, მეორეგან უფრო ღრმად წვდება საქმის არსს: „კახეთისა და ქართლის სამეფოებს გარდა – ამბობს იგი – საქართველოში ვასალების მსგავსი მრავალი მცირე მეფე არსებობდა, რომელთაც ერისთავებს უწოდებდნენ და რომლებიც ერთმანეთში მუდმივად ომობდნენ. ეს გახლდათ მიზეზი,

¹⁷ ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ლამბერტი (სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 11), ჯუდიჩე (წერილები საქართველოზე, თბ., 1964, გვ. 80), რომლებიც თავის მხრივ, როგორც ჩანს, ეყრდნობოდნენ თვით საქართველოში გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მეფე ალექსანდრე პირველმა (1412-1442 წწ.) საქართველო თავის შვილებს დაუნაწილა (იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 135-146).

მოიწვია“. აქ შარდენს ისტორიკოსის ალლო უდავოდ არ ღალატობს.

რაც შეეხება ქვეყნის დაქვეითების გარეგან მიზეზებს, შარდენი ამ შემთხვევაშიც არ ცდება. ეს იყო შედეგი, ერთის მხრივ, საქართველოს მიმართ ოსმალეთისა და ირანის აგრესიული პოლიტიკისა, ხოლო, მეორეს მხრივ, დადესტნელ და სხვა ჩრდილოკავკასიელი ფეოდალური წრეების მძარცველური თავდასხმებისა, რაც ქართველი ხალხის ამ ძნელბედობის ხანაში „ლეკიანობის“ სახელით იყო ცნობილი და არანაკლებ ზიანს აყენებდა საქართველოს. მონღოლთა შემოსევებზე, რომელთაც გააჩანაგეს ქვეყანა გაცილებით ადრე, შარდენი არაფერს ამბობს.

შარდენი საქართველოს სამეფო-სამთავროებს ცალ-ცალკე ახასიათებს. მისთვის დასავლეთ საქართველოში შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებია ცნობილი: იმერეთი, სამეგრელო ანუ ოდიში (დადიანის ქვეყანა), გურია (გურიელის ქვეყანა), აფხაზეთი; აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლი (თბილისის სამთავრო ანუ სახანო) და კახეთი. იგი საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას (ხშირად საზღვრებსაც მიუთითებს), სარგებლობს რა ანტიკური ავტორების მითითებებითა და, აგრეთვე, მისი თანამედროვე გეოგრაფოსების ცნობებით.

შარდენიც და ძამპიც არა ერთხელ ახსენებენ აგრეთვე სვანებსაც. თუმცა მათი ქვეყნის შესახებ მხოლოდ ის იცინ, რომ იგი ჩრდილოეთით, მთებში მდებარეობს (არც ერთი და არც მეორე იქ არ ყოფილა). საინტერესოა, რომ ისინი არ ახსენებენ სვანების მთავარს. მაგ.: ქართლის მეფე ვახტანგ V სამეგრელოს მთავრის ვამეყ დადიანის მოკვლას თხოვს საზოგადოდ სვანებს და არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას. როგორც ჩანს, მათთვის ცნობილია (ყოველ შემთხვევაში ძამპისათვის მაინც, რომელმაც ორნახევარი ათეული წელი იცხოვრა საქართველოში, რომ სვანებს საერთო მთავარი არ ჰყავდათ.

ცალკე საფეოდალოთა შესახებ „მოგზაურობაში“ იშვიათად არის ლაპარაკი. გამონაკლისს წარმოადგენს სალიპარტიანო, სამეგრელოს ერთი დიდი ნაწილი, რომელიც მასში შედარებით ვრცლად არის დახასიათებული.

მთელი სამხრეთი საქართველო, მათ შორის ლაზეზის ქვეყანა (გონიო და მისი მიმდებარე ტერიტორიები) და აჭარა (ამ სახელწოდებას „მოგზაურობაში“ ვერ ვხვდებით) თურქებს უჭირავთ. ოსმალები ამ მხარის განუკითხავი ბატონ-პატრონები არიან.

თურქებისაა ახალციხეც. შარდენს სპარსეთის ისტორიაში ამოუკითხავს, რომ ამ ქალაქის ციხე ქართველებისა ყოფილა და XVI საუკუნის დამლევს წაურთმევიათ თურქებს მათთვის. მაგრამ

ამ მხარეს საქართველოს ნაწილად მაინც არ თვლის. სამცხე-საათაბაგოში, საქართველოს ამ უძველეს მხარეში, ოსმალთა საბოლოოდ მართლაც 1587-1594 წწ. დამკვიდრდა¹⁸ და მას შემდეგ ეს ქვეყანა ახალციხის საფაშოდ იწოდებოდა. უფრო მეტიც, ახალციხის საფაშო იყო ის ფორპოსტი, საიდანაც ხორციელდებოდა საქართველოს სხვა მხარეებზე მუდმივი თავდასხმები და რომლის მეშვეობითაც პორტა საკუთარ ნება-სურვილს ახვევდა ხოლმე დასავლეთ საქართველოს ხალხს. „მოგზაურობაში“ ამის დამადასტურებელი არა ერთი ფაქტია მოტანილი. XVII საუკუნის 70-იან წლებში ახალციხის ფაშა იყო უცილობელი განმსჯელი და გამგებელი დასავლეთ საქართველოს საქმეებისა.

რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის ქვეყნებს, მათ შესახებ შარდენი უფრო ზოგადი მსჯელობით კმაყოფილდება. მას თავის რუკაზეც არა აქვს მითითებული ამ ქვეყნების საზღვრები. ამას იმიტ ხსნის, რომ ამ მხარეში არავინ ყოფილაო, ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობებზე დაყრდნობა კი არ შეიძლებაო. თუმცა შარდენს თვითონ ჰქონდა შემთხვევა გასცნობოდა ჩრდილოკავკასიელ ხალხებს (მაგ., ჩერქეზებთან ჰქონდა კონტაქტი), მაგრამ მისგან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ მათი ქვეყნები მთაგორიანია, ნესტიანია და სხვ. უფრო საინტერესოა შარდენის მიერ ამ ხალხების ეთნოგრაფიული ყოფის, ვაჭრობის, რელიგიის, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დახასიათება.

*
* *

„მოგზაურობა“ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სამეფო-სამთავროებში ფეოდალური საზოგადოების იერარქიული ორგანიზაციისა და სტრუქტურის შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შარდენს სასურველი სიცხადით არა აქვს წარმოდგენილი საზოგადოების მაღალი ფენების წოდებრივი მდგომარეობა. მას საქართველოს მეფეების (le roi), მთავრებისა (le prince) და აზნაურების (le gentilhomme) ტიტულატურა ხშირად ერთმანეთში

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 324.

აქვს არეული. Le roi-ს ზოგჯერ უწოდებს მეფესაც და მთავარსაც; ან le prince არის მეფეც, მთავარიც, მთავრის ძმაც (ზოგჯერ სპარსეთის შაჰიც კი), ე. ი. შარდენს ამ შემთხვევაში ერთიანი ნომენკლატურული სისტემა არა აქვს.

რეალური ვითარების ფონზე საქართველოს მეფე-მთავართა წოდება-ტიტულატურის ასეთი აღრევა სავსებით მოსალოდნელი იყო. ერთი მხრივ, ისინი ერთმანეთისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელ ხელისუფლებებს წარმოადგენენ; მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ცოცხლობს, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ნომინალურად, ტრადიციის სახით, ურთიერთობის ის ძველი ფორმები, რომლის მიხედვითაც მთავარი გაერთიანებული საქართველოს მეფის ქვეშევდრომს წარმოადგენდა; მესამეც – ფაქტიურად საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთსა და ირანზე არიან დამოკიდებულნი და, ამდენად, არც ერთ მათგანს მეფის ტიტული, ე. ი. სუვერენული მმართველის წოდება არ ერგება. ეს უკანასკნელი შარდენისათვის, ცხადია, უფრო სწორად ასახავს რეალურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვხედავთ სხვა უცხოელი ავტორების თხზულებებშიაც, მათ შორის ლამბერტისა და ჯუდიჩესთანაც, თუმცა ჯუდიჩე უფრო თანმიმდევრია: მის რელაციებში, მცირე გამოწკლისის გარდა, საქართველოს ყველა კუთხის ხელისუფალი მთავრად იწოდება, თვით იმერეთის მეფე ალექსანდრეც კი¹⁹.

მეფისა და მთავრის იურიდიქცია თითქმის ერთნაირია, მთავარი ფაქტიურად დამოუკიდებელია: ფლობს გარკვეულ ტერიტორიას, აქვს თავისი რეზიდენცია, ჰყავს მოხელეები, ამაღა, განაგებს სასამართლო საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში კრებს ჯარს და სხვ. აქტიურად ერევა რელიგიურ ცხოვრებაში – საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით თავის სასურველ პირებს აძლევს მაღალ სასულიერო თანამდებობებს. ერთი სიტყვით, თავის კუთვნილ ლოკალურ ტერიტორიაზე მთავარი დამოუკიდებელი მმართველია. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მთავარი მაინც მეფის ყმად ითვლება, თუმცა ეს ყმობა უფრო ნომინალური იყო, ვიდრე რეალური²⁰.

მეფესა და მთავარს შორის განსხვავება გამოიხატება აგრეთვე ირანსა და ოსმალეთთან მათი დამოკიდებულებით. თითოეული

¹⁹ ჯ უ დ ი ჩ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

²⁰ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 409.

სამეფო-სამთავრო „სათათრო გამოსაღებს“ ცალ-ცალკე იხდის და ამიტომაც ყოველი მათგანი სხვადასხვა დამოკიდებულებაშია დამპყრობელთან. ზოგადად: თუ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთის მოხარკეები არიან და ამდენად იურიდიულად მაინც სუვერენულ უფლებებს ინარჩუნებენ, აღმოსავლეთ საქართველოში ისინი სპარსეთის ხელმწიფის მოადგილეებს, მეფის ნაც-

ვლებს, ე. ი. შაჰის ვასალებს წარმოადგენენ.

შარდენის სიტყვით, მეფის ტიტულს მხოლოდ იმერეთის მბრძანებელი ატარებს. იგი დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ მეფის შთამომავლად თვლის თავს და მეფედ-მეფედ იწოდება.

მეფედ-მეფეს უწოდებს თავს ქართლის გამგებელიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად ხანის სახელით არის ცნობილი. ამ მხრივ საინტერესოა ქართლის მეფის ვახტანგ V-ის, ანუ შაჰნავაზ-ხანის წერილი პოლონეთის მეფისადმი. იგი სავსეა სპარსული ფორმანებისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი ეპითეტებით. ვახტანგ V ცდილობს ადრესატს თავი წარუდგინოს უამრავი ქვეყნების მფლობელად, რომელთა უმრავლესობა ან მცირე საერისთაოებია, ან სულაც არ შედის მის გამგებლობაში. იგი არის მძლეთა-მძლე, უძლეველი, მეფეთა-მეფე, უდიდესი ხელისუფალი“. ნიშანდობლივია, რომ ამ აღმოსავლური ყაიდის სიტყვაუხვობაში გარეულია ძველი, გაერთიანებული, მეფეთა ჩვეულებრივი წოდებრივი ფორმულის ელემენტები.

მაღალ ტიტულებს არც დადიანი იკლებს. 1660 წლის ბიჭვინტის სიგელში ვკითხულობთ: „...ახალგვირგვინოსან მყოფელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაზარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელმან ქონებელმან დიდმა მეფეთ-მეფემან ხელმწიფემ დადიანმა პატრონმან ვამეყ და დიდისა გურიელისა მამიას ასულმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმან ელენემ და ჩვენგან გაზრდილ გაკეთებულმან გურიელმან პატრონმან დიმიტრიმ, მას ჟამსა ოდეს ძალითა და შეწევნითა შენითა და ძისა შენისათა სრულიად საქართველო დავიჭირეთ²¹. თუმცა ეს საბუთი შედგენილია მაშინ, როცა ვამეყ დადიანს იმერეთის ტახტი ეპყრა²². მაგრამ მაშინაც კი, როცა იგი მხოლოდ თავისი სამთავროს

²¹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი პირველი, 1921, გვ. 67.

²² დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 437.

პატრონი იყო, შარდენის თქმით, იმერეთის მეფის მსგავსად, დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად თვლიდა თავს.

მოტანილი დოკუმენტი ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ დადიანი (ამ შემთხვევაში იმერეთის ბაგრატიონთა ტახტის მფლობელი) მასში, ისევე როგორც ვახტანგ V პოლონეთის მეფისადმი მიწერილ წერილში, თავის თავს თვლის მპყრობელად „ლიხთიმერისა, ლიხთამერისა, ოსეთისა, დვალეთისა“ და სხვ. ეს კი კიდევ

ერთხელ გვიდასტურებს, რომ შარდენი ამ საკითხზეც კარგად ყოფილა ინფორმირებული და მის მიერ მოტანილი ვახტანგ V წერილიც სრულიად სანდოა.

შარდენმა ისიც იცის, რომ ასე „საქართველოს უწინდელი მეფეები“ იწოდებოდნენ და რომ XVII საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს მეფე-მთავართა ტიტულატურა მათ ფაქტიურ მდგომარეობას სრულებით არ შეეფერებოდ. მაგრამ იგი ცდება, როცა ამას მხოლოდ მათი ამპარტავნობით და ქედმაღლობით ხსნის.

საქმე ისაა, რომ გვიანფეოდალური ხანის „საქართველოების“ არა ერთი და ორი მეფე-მთავარი თვლიდა თავის თავს სრულიად საქართველოს“ მპყრობელად და ყველა მათგანის „უზომოდ პატივმოყვარედ“ მიჩნევა არ იქნებოდა მართებული. მათი „ქედმაღლობის“ საფუძველი იყო საქართველოს კვლავ გაერთიანების იდეა. თითოეულს სწამდა, რომ დაშლილობა არ იყო ქვეყნის ბუნებრივი მდგომარეობა და დღეს თუ ხვალ სწორედ მისი თავკაცობით უნდა მომხდარიყო საქართველოს გაერთიანება. ამისათვის ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ (სხვა საქმეა რას აღწევდნენ) და რაკი ეს იდეა უახლოესი მომავლის საქმედ მიაჩნდათ, სრულიად არ თვლიდნენ საჩოთიროდ თავიანთი წინაპრების, საქართველოს „უწინდელ მეფეთა“ როლში წარმოედგინათ საკუთარი თავი.

სინამდვილეში კი მეფე-მთავართა მისწრაფებები უფრო მეტი ძალაუფლების, მეტი ტერიტორიის მოხვეჭისათვის იწვევდა მათ ურთიერთდაპირსპირებას, განუწყვეტელ ომებს ერთმანეთთან, ძმათა სისხლის ღვრას, ტყვეთა წაგვრას, მწარმოებელი მოსახლეობის გაჩანაგებასა და ქვეყნის დაუძლურებას. ქვეყანაში კატასტროფულად მცირდებოდა მოსახლეობა.

*
* *
*

შარდენის ჩამოსვლის წინა ხანებში დასავლეთ საქართველოში შინა პოლიტიკურმა არეულობამ კულმინაციას მიაღწია. საყო-

ველთაო ანარქია სუფევდა. აფხაზი მთავრები მოსვენებას არ აძლევდნენ სამეგრელოს. დადიანი და გურიელი ხან ერთმანეთს ებრძოდნენ და ხან იმერეთს არბევდნენ. შემდეგ სურათი კვლავ იცვლებოდა. დამარცხებული მაშველ ძალას იშოვიდა და ახლა ის ზეიმობდა დროებით გამარჯვებას და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლივ. ძმა ძმას არ ინდობდა და ნათესავი ნათესავს. ერთმანეთის დატყვევება, თვალების დათხრა, თავის მოკვეთა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული.

ამას ემატებოდა თვით სამეფო-სამთავროებში შინაური აშლილობა. დიდებულები თავიანთ პატრონებს არ ეპუებოდნენ, რაც არანაკლებ ზიანს აყენებდა ქვეყანას. მეფე-პოეტი არჩილი, რომელიც თვითონ იყო ამ ამბების მომსწრე და უშუალო მონაწილე, შესანიშნავად ახასიათებს ქვეყნის ამ ბედუკუღმართობას:

„ალადებიან თავადნი, ერთი მეორეს აიტანს.
ერთი მეორის სიკვდილად მოვა ამხანაგს მოიტანს,
ერთმანეთს ხოცვა დაუწყეს, თავს აშორებენ მოიტანს“²³.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო იმერეთი, შარდენის თქმით, ეს ერთ დროს „მდიდარი ქვეყანა“, XVII საუკუნის 70-იან წლებში „ესრეთ იწროებასა, ოჭრებასა და მწუხარებასა შინა იყო ხუთს წელიწადს, რომ ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა, მას აქეთ არავინ ისმინოს და არცა ვის სმენოდეს“²⁴. დროის ყველაზე მკვეთრ ნიშანსვეტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ დროს სულ რამდენიმე წლის მანძილზე იმერეთის სამ მეფეს „აღმოხადნენ თვალნი და განამეს“²⁵.

უკეთეს პირობებში არეც სამეგრელო, გურია და აფხაზეთი იყო. 1674 წლის ახლო ხანებში ძამპი რომს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს“²⁶.

ქვეყანაში შექმნილი ასეთი მძიმე სიტუაციის შედეგად განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალი ფენები, გლეხობა ზარალდებო-

²³ „არჩილიანი“, მაჩიტაძის გამოცემა, გვ. 185.

²⁴ თ. ჟოღანია, ქრონიკები, II ტფ., 1897, გვ. 421.

²⁵ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 311.

²⁶ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 204.

და. მაკარი ანტიოქელი, რომელიც საქართველოში 1664 წელს იმყოფებოდა. პირ დაპირ მიუთითებს: „Но особенно сильно страдают (от этих войн) простой бедный народ, так как победители разрушают его дома, уводят его в плен, а затем или продают его или же держат у себя в качестве рабов до тех пор, пока он не окажется в состоянии выкупиться большими деньгами“²⁷.

აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. ქართლსა და კახეთში ერთგვარად ხელსაყრელი პირობა შეიქმნა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის. „მაგრამ ეს რო-

დი ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან აქ თხა და მგელი ერთად მოვდა. თავადური სისტემის დროს მშვიდობიანი ურთიერთობა ძალიან პირობითი ცნებაა"²⁸.

*
* *
*

„მოგზაურობაში“ კარგად ჩანს, თუ რა მძიმე სოციალურ ჩაგვრას განიცდის საზოგადოების დაბალი ფენები საქართველოს ყველა კუთხეში. ფეოდალები უკიდურესი სისასტიკით ეპყრობიან თავიანთ ყმებს. უფლება აქვთ გაყიდონ ან სხვაგვარად გაასხვისონ თავიანთი ქვეშევრდომნი, მიითვისონ თითქმის მთელი მათი ნაჭირნახულები, ფეოდალების სიმდიდრისა და ძლიერების საზომია მათი კუთვნილი ყმა-გლეხობის რაოდენობა.

ღარიბი ხალხი თავიანთ გოგონებს აკვანშივე ათხოვებენო, რადგან ეშინიათ ბატონებმა არ მოსტაცონ ისინი გასაყიდად ან ხასადო – შენიშნავს შარდენი. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული ეს მოვლენა თუმცა სხვაგვარადაც არის ახსნილი²⁹, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება შარდენს არ დავეთანხმოთ: მასში ხალხის მძიმე სოციალური მდგომარეობაა, პირველ ყოვლისა, ასახული.

დასავლეთ საქართველოში მთავრების ფეოდალებისა და მაღალი სასულიერო პირების ჩვეულებად ქცეული მუდმივი მოგზაუ-

²⁷ П. Жузе, Грузия в XVII столетии по изображению патриарха Макария, Православный собеседник, Казань, 1905, стр. 442.

²⁸ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი: დასახ. ნაშრ., გვ.449.

²⁹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 260-261.

26

რობა აჩანაგებს მათ გზაზე მდებარე სოფლების მოსახლეობას. სამეგრელოში ხალხი უმაგალითო სიღატაკეს განიცდის.

დამპყრობელთა შემოსევები, ფეოდალთა შორის კინკლაობა და გაუთავებელი ურთიერთმიხტომა, ტყვეთა სყიდვა, მძიმე ბეგარა და ექსპლოატაციის უამრავი სხვა საშუალება, რომლებიც ძამპასა და შარდენს საკმაოდ სრულად აქვთ აღნუსხული, პირველ ყოვლისა, ყმა-გლეხის გასაჭირი და ტვირთი იყო, ყოველივე ეს ანადგურებდა მწარმოებელ კლასს. ამიტომ იყო, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მწარმოებელი მოსახლეობის რიცხვი არა თუ არ გაიზარდა, არამედ ორჯერ შემცირდა³⁰.

*
* *
*

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას შეესატყვისებოდა. საზოგადოდ ქვეყანა სამეურნეო დაქვეითებას განიცდიდა, მაგრამ ისევე როგორც პოლიტიკურად, ეკონომიურადაც ცალკეული სამეფო-სამთავროები სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ. ქართლ-კახეთი შედარებით მოლონიერებული იყო. მთელი დასავლეთ საქართველო კი უკიდურესად გაღარიბებულ ქვეყანას წარმოადგენდა.

ფეოდალური სახელმწიფოს მატერიალური დაუძლურების ყველაზე ცხად მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს შარდენის მიერ მოტანილი ერთი ცნობა: იმერეთის მეფე იძულებულია სამეფო გვირგვინი დააგირაოს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ გირაოში ფულის გადამხდელი არავინ აღმოჩნდება.

შარდენს, როგორც ვაჭარს, ბუნებრივია, განსაკუთრებული ინტერესი უნდა გამოეჩინა ვაჭრობის საკითხებისადმი. ამ მხრივაც მისი თხოვლებების მიხედვით საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირი მდგომარეობა არ არის.

სამეგრელოში ვაჭრობას ძირითადად გაცვლითი ხასიათი აქვს. იხმარება ფული – როგორც ევროპული³¹, ისე ქართლში მოჭრილი აბაზი, მაგრამ მას, შარდენის სიტყვით, დადგენილი ფასი არა აქვს. ლამბერტი და შარდენი შეთანხმებულად ირწმუნებიან, რომ ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) საკუთარ ფულს ჭრიდაო, მაგრამ ეს

³⁰ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1958, გვ. 318.

³¹ რ. ქოზულაძე, საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის, მაცნე, N4, 1965, გვ. 70.

დიდხანს არ გაგრძელებულა. ლამბერტი იმასაც გვაუწყებს, რომ ყოველ წელიწადს რამდენიმე ათას მანეთს ჭრიანო³². მტკიცე ნუმიზმატიკური ფაქტებით ეს ცნობა არ დასტურდება (ლევან დადიანის დროინდელი ფულის ნიმუში არ შემონახულა), მაგრამ ლამბერტის დროს სამეგრელოში რომ ზარაფხანა არსებობდა, ამაში არაფერია მოულოდნელი³³.

მეგრელები ძირითადად შავი ზღვის სანპიროზე გემებით შემოსულ თურქებსა და ევროპელებთან ვაჭრობენ. სამეგრელოდან გაქვთ აბრეშუმში, სელის ძაფი, ტილო, სხვადასხვაგვარი ბეწვეული, ბზა, ცვილი, თაფლი და სხვ. შემოაქვთ ქსოვილები, იარაღი, თევზი და სხვ. ლამბერტი აქ შემოტანილი და გატანილი საქონლის უფრო ვრცელ სიას გვამცნობს³⁴.

მთავარი მაინც იყო ტყვეების გაყიდვა, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური უბედურება, რომელსაც შარდენის დროს მასიური ხასიათი ჰქონდა მიღებული. „ტყვეებით ვაჭრობდნენ

მთავარი და თავადი, აზნაური და ეპისკოპოსი, მღვდელი და ხშირად თავზეხელაღებული გლეხებიც³⁵. შარდენს კარგად აქვს შენიშნული, რომ გაუთავებელ ომებთან ერთად ტყვეთა სყიდვა იყო ის უმთავრესი მიზეზი, რომელმაც სულ მცირე ხნის მანძილზე სამეგრელოს მოსახლეობა გაანახევრა. ყოველწლიურად აქედან თორმეტი ათასი კაცი გაყავთო გასაყიდად – ამბობს შარდენი. მართალია, ეს ციფრი მკვლევარებს გადაჭარბებულად მიაჩნიათ³⁶, მაგრამ რომ ოდიშიდან, აფხაზეთიდან, გურიიდან და იმერეთიდან უამრავი ტყვე გაჰყავდათ, ეს სხვა წყაროებიდანაც კარგად მტკიცდება. მაგალითად, პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე აღნიშნავს, რომ აქ „ყოველწელს გაყიდულთა რიცხვი არა ნაკლებ ორი ათასს აღწევსო“³⁷, რაც უფრო რეალური უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოდან გატანილ საქონელზე უცხოელი ვაჭრები დიდ მოგებას ნახულობენ – ოთხმაგად ყიდიან ყველაფერს. განსაკუთრებით მოგებულნი არიან ტყვეთა მყიდველები. „დღეს

³² ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

³³ დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1969, გვ. 170.

³⁴ ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

³⁵ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

³⁶ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1922, გვ. 109.

³⁷ დონ ჯ უ ზ ე პ ე ჯ უ დ ი ჩ ე მ ი ლ ა ნ ე ლ ი, წერილები საქართველოზე. თბ., 1964, გვ. 45.

28

აღმოსავლეთის ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ ქალების საყიდლად და ფასი, რომელსაც ისინი ამ ქალებისათვის იხდიან, მათ ნამდვილ ოქროს საწმისად აქცევსო“ – ამბობს შარდენი, იხსენიებს რა ბერძნულ მითს კოლხური ოქროს საწმისის შესახებ, რომელიც მას „მოგზაურობაში“ სხვაგანაც არაერთხელ აქვს გამოყენებული.

ადამიანებით ვაჭრობა ბევრ ფეოდალურ ქვეყანაში იყო გავრცელებული³⁸ და, ცხადია, შარდენი ტენდენციურობას იჩენს, როცა ამ მოვლენას მეგრელების მანკიერი ბუნებით ხსნის. ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებები გაატარა ლევან II დადიანმა. ჯუდიჩე ჩამოთვლის მეგრელ დიდებულთა გვარებსაც, რომლებმაც ხელი აიღეს ასეთ საქმიანობაზე³⁹. მაკარი ანტიოქელი მოგვითხრობს გურიელის მეუღლე თეკლე დადიანზე, რომელმაც უამრავი ტყვე გამოისყიდა და გაათავისუფლა. რაც მთავარია, იგივე ავტორის აღნიშვნით, ასეთი შესანიშნავი და სანაქებო თვისებებით, სხვათა შორის, ბევრი სხვა ქართველიც გამოირჩევაო⁴⁰.

თვითონ შარდენი, ჩანს, რომ ანტიპატიურად იყო განწყობილი ტყვეებით ვაჭრობისადმი, მაგრამ თავის განწყობილებაზე გარკვევით არაფერს ამბობს.

სამეგრელოში რამდენიმე სავაჭრო ცენტრი არსებობს. მათ შორისაა ისგაური (სკურჩა) შავი ზღვის სანაპიროზე, რომელსაც შარდენი სამეგრელოს დიდ ბაზარს უწოდებს. იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს, თუ როგორ წარმოებს აქ ვაჭრობა. სავაჭრო ცენტრია ანაკლიაც, სადაც „ძირითადად ტყვეებით ვაჭრობენ“. იგი „ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია“ სამეგრელოში. ბაზრობა იმართება აგრეთვე წიფურიაშიც – ევროპელ მისიონერთა ადგილსამყოფელში, რომელიც ზღვიდან შორს მდებარეობს (იხ. შენიშვნა). აქ ყოველწლიურად რელიგიური დღესასწაულების დროს, ოცი ათასამდე კაცი იკრიბება. მათ შორის ბევრია უცხოელი. წიფურიაში ყველაფრის შექმნა შეიძლება, რაც „არსებობისათვის არის საჭირო“.

შარდენის მიერ ჩამოთვლილი ეს სავაჭრო პუნქტები სოფლებს წარმოადგენენ. სამეგრელოში, მისივე სიტყვით, ქალაქები საერთოდ არ არის. თუ ლამბერტი რუხს მაინც თვლიდა ქალაქად, სადაც მის დროს სავაჭრო დუქნებიც არსებობდა⁴¹, შარდენი მას მხოლოდ

³⁸ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

³⁹ ჯ უ დ ი ჩ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 45-46.

⁴⁰ П. Ж у з е, დასახიო ნაშრ., გვ. 84.

⁴¹ ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ციხედ იხსენიებს, თუმცა იგი მთავრის სამყოფელია. საერთოდ კი XVII ს. სამეგრელოში ქალაქი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით სამთავროს პოლიტიკური ცენტრი – ზუგდიდიც კი არ იყო⁴².

შარდენის ცნობები იმერეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ შედარებით ძუნწია. მისი ნათქვამი – იმერეთი მდიდარი ქვეყანაა – არ შეესაბამება მის მიერვე მოთხრობილ სხვა ფაქტებს. არც ის უნდა იყოს მართალი, რომ იმერეთში ფულს ჭრიანო და რომ იმერეთს სავაჭრო ურთიერთობა აქვსო სხვა ქვეყნებთან XVII საუკ. 60-70-იან წლებში იმერეთში არ იყო ისეთი მდგომარეობა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფულის მოჭრა და არც მეზობლებთან ვაჭრობისათვის არსებობდა სათანადო პირობები.

შარდენი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც მის წინამორბედ ავტორებს დაესესხა და ამდენად მისი ეს ცნობები იმერეთში ადრე არსებულ ვითარებას უნდა შეესაბამებოდეს. ალექსანდრე III დროს (1639-1661 წწ.) იმერეთი მართლაც შედარებით მდიდარი სამეფო იყო. შარდენისავე სიტყვებით, ქართლის მეფე ვახტანგ V-ს აქედან წაუღია ის უამრავი ოქრო-ვერცხლი, რომლითაც სავსეაო მისი სასახლე.

სავსებით შესაძლებელია, რომ იმ დროს იმერეთში ზარაფხაც არსებულებოდა. იმერეთს რომ ფართო სავაჭრო ურთიერთობა

ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან, ამას ლამბერტის ერთი ცნობაც გვიდასტურებს. იგი ამბობს: „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველმხრივ ადვილად მიდიან ვაჭრები თავისი, საქონლით. მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმი, ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებს და ცხვრებს. ქართლიდან მოდიან ქართველები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი. თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭრო. მაგალითად უნაგირები და ცხენის საკაზმავები, ხალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი

⁴² Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959. გვ. 120.

დადიან თურქეთში, ირანსა და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი“⁴³.

ქუთაისი შარდენის დროს ასეთი გაცხოველებული საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიატიკური და ეკონომიური ვითარების გამო. მოგზაური ერთგან სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ ამ დროს იმერეთში ფული ნაკლებად არისო ხმარებაში, რაც ასეც უნდა ყოფილიყო. ეს ცნობა სრულიად აბათილებს შარდენისავე ზემოთ მოყვანილ ცნობას იმერეთში ზარაფხანისა და განვითარებული ვაჭრობის არსებობის შესახებ.

იმერეთში შარდენი მხოლოდ ორ ქალაქს ასახელებს: ქუთაისსა და ჩხარს. მან იცის, რომ ქუთაისი ძველი ქალაქია და რომ იგი ბერძენ ისტორიკოსებთან არის მოხსენიებული. მის დროს ქუთაისი ორი ნაწილისაგან შედგებოდა – ციხე ცალკე იყო და ქალაქი ცალკე (იმასაც ვი ა მბობს, რომ ქალაქს ციხე არა აქვსო). ქუთაისი ასევე გაყოფილია XVII საუკუნის 50-იან წლებშიც, რასაც რუსი ელჩები ნ. ტოლოჩანოვი და ა. იევლევი გვიდასტურებენ⁴⁴. შარდენის თქმით, ქალაქში მხოლოდ ორასი სახლი მდგარა.

ჩხარი, იმერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, ვახუშტის მიხედვით დაკნინებულა მას შემდეგ, რაც XVII საუკუნის 40-იან წლებში იგი ლევან დადიანს დაუნგრევია⁴⁵.

მთელს იმერეთში შარდენს ამ ორ პუნქტზე მნიშვნელოვანი დასახლება არ შეხვედრია. უფრო მეტ ქალაქებს ასახელებენ სხვა ავტორები⁴⁶.

პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერ ქართლის სამეფოში ფართოდ არის გაშლილი როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა. მიუხედავად იმისა რომ აქ, შარდენის თქმით, ქალაქები ცოტაა (სულ ოთხია), მათი როლი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდაა, განსაკუთრებით თბილისისა და გორისა.

გორი პატარა ქალაქია და მისი ციხეც სიძლიერით არ გამოირ-

⁴³ ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

⁴⁴ ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ალექსი იველევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), თბ., 1969, გვ. 141.

⁴⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941, გვ. 153.

⁴⁶ შ. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

ჩვეა. ციხეში სპარსული გარნიზონი დგას. მოსახლეობა ვაჭრობას მისდევს. არის დახურული ბაზრები. ყველაფერი იშოვება და იაფადაც.

ალი და სურამი გორზე უფრო პატარა ქალაქებს წარმოადგენენ. სურამი უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი, მაგრამ მას კარგად ნაგები ციხე აქვს, ალი კი ფაქტიურად სოფელია.

თბილისის შარდენისეული აღწერა და „მოგზაურობაში“ ჩართული ქალაქის ზოგადი ხედის ჩანახატი უნიკალურ დოკუმენტებს წარმოადგენენ XVII საუკუნის თბილისის სახის წარმოსადგენად⁴⁷.

შარდენის სიტყვებით, თბილისი დიდი არ არის, მაგრამ ულამაზესი, მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალი ქალაქია. საინტერესო ფაქტია, მას დარ ელ მელუქს, ანუ მეფეთა ქალაქსაც უწოდებენო. ქალაქი მაგარი კედლებითაა შემოზიდული. აქ არის მრავალი ეკლესია როგორც ქართული, ისე სომხური; მრავალი საკრებულო შენობა; ქვით ნაშენი ბაზარი; ქარვასლები უცხოელთათვის; მაღაზიები და დუქნები; თბილი გოგირდის აბანოები, რომლებსაც ჰიგიენური დანიშნულებისთვისაც იყენებდნენ და სამკურნალოდაც.

თბილისის მშვენიერს წარმოადგენს მეფის (მთავრი) სასახლე, დიდი დარბაზებითა და სხვადასხვა დანიშნულების შესანიშნავად მოწყობილი სათავსებით. ქალაქის განაპირას მდებარეობს კახეთის მეფის (მეფის ნაცვლის) სასახლე. გარეუბნებში სალაღობო სახლები და გაშლილი ბაღებია, რომელთაგანაც ყველაზე ლამაზი მთავრის ბაღია.

მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ. ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან.

საინტერესოა ეს სურათი თბილისში რამდენიმე ათეული წლით უფრო ადრე არსებულ მდგომარეობას შევადაროთ, ტომაზო მინა-

ლო XVI საუკუნის ბოლოს თბილისის შესახებ ამბობს, რომ იგი პატარა ქალაქია, მცირე მოსახლეობით; დამასკოს ვერ შეედრება ვერც სიმდიდრით, ვერც მოსახლეობის რიცხვით და ვერც ტერიტორიის სიდიდით⁴⁸. რუსი ელჩების მოწმობით ამავე ხანებში თბილისში მხოლოდ 2000 სახლი იყო⁴⁹.

⁴⁷ იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 127-144.

⁴⁸ III. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

⁴⁹ С. А. Б е л о к у р о в, Сношения России с Кавказом, Материалы, в. I, М., 1889, გვ. 311.

32

მას შემდეგ, რაც XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქვეყანაში შედარებით მშვიდობიანობამ დაისადგურა და ქართლის სამეფოს ეკონომიური აღმავლობისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა, თბილისიც მოშენდა, გაძლიერდა, მცხოვრებთა რიცხვმაც ერთიორად იმატა. უკვე 1663 წ. იტალიელი მისიონერი ანდრია ეპიფანე წერდა: „აქ ძლიერ ბევრი ხალხია. აქაური მკვიდრის გარდა, აუარებელი ვაჭრები არიან აღმოსავლეთიდან მოსულიო“⁵⁰.

კახეთში სხვა მდგომარეობაა. შარდენისათვის თბილისში უთქვამთ, რომ აქ უწინ რამდენიმე ჩინებულად ნაშენი ქალაქი ყოფილა, რომლებიც ნანგრევებად არის ქცეულიო. გამონაკლისია მხოლოდ ერთი მათგანი, რომელსაც ქვეყნისავე სახელი – კახეთი ჰქვიაო. აქ უთუოდ თელავი იგულისხმება, რადგან XVII საუკუნის კახეთში ერთადერთი ქალაქი თელავი იყო⁵¹. კახეთის ასეთი გაპარტახების მიზეზად შარდენი ჩრდილოკავკასიელი ტომების თავდასხმებს თვლის, რაც სინამდვილეში ასეც იყო, მაგრამ იგი აღარ იხსენიებს მის მიერვე ზემოთ მოთხრობილ ამბავს სპარსელთაგან კახეთის დალაშქრის შესახებ. როგორც ცნობილია, XVII საუკუნის 20-იან წლებში კახეთში შაჰ აბასის ორგზისმა შემოსევამ ეს მხარე იმდენად გააჩანაგა, რომ ქვეყანა დიდხანს წელში ვეღარ გაიმართა (იხ. ქვემოთი. მიუხედავად ამისა, შარდენის საქართველოში ყოფნისას კახეთი შედარებით მოღონიერებულია.

ქართლ-კახეთი ვახტანგ V დროს ფაქტიურად გაერთიანებული იყო. კახეთის ტახტი ეჭირა ვახტანგის ძეს არჩილს (1663-1675 წწ.). ამდენად ის, რასაც შარდენი ქართლის შესახებ ამბობს, ნაწილობრივ კახეთსაც ეხება.

აღმოსავლეთ საქართველო გაცხოველებულ ვაჭრობას ეწევა მეზობელ ქვეყნებთან. ღვინო იაფია და გააქვთ სომხეთში, მიდისასა და ისფაჰანში. სპარსეთის შაჰი საქართველოდან ხარკის სახით ყმაწვილებთან ერთად იღებს „საუცხოო ღვინოსა და შესანიშნავ

ხილს"⁵². აქ დიდი რაოდენობით მზადდება აბრეშუმი, რომელიც სპარსეთში⁵³, ოსმალეთში, ერზერუმსა და ახლომახლო ადგილებში გააქვთ. ქვეყანაში სავაჭრო საქონლის სიუხვეა.

(უფრო კონკრეტულ ცნობებს ვაჭრობის შესახებ შარდენი არ

⁵⁰ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 225.

⁵¹ III. A. M e c x ი ა, დასახ., ნაშრ., გვ. 108.

⁵² Voyages..., ტ. V, გვ. 394-395.

⁵³ Voyages..., ტ. IV. გვ. 162-163.

იძლევა, მაგრამ ცნობილია, რომ საქართველოდან სხვა საქონელიც გაჰქონდათ, კერძოდ, მატყლი, ტყავეულობა, პირუტყვი. შემოჰქონდათ თევზი, რკინეულობა, მარილი, ფუფუნების საგნები⁵⁴.

საქალაქო ცხოვრების მეორე უმნიშვნელოვანესი დარგის – ხელოსნობის შესახებ „მოგზაურობაში“ თითქმის ვერაფერს ვნახულვით. ამ შემთხვევაშიც სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ „XVII საუკუნის თბილისში ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი იყო წარმოდგენილი და რომ თბილისის სახელოსნოებში 25 სახის საქონელს აწარმოებდნენ“⁵⁵.

თბილისში არსებობდა ზარაფხანაც. როგორც ვნახეთ, სამეგრელოში ვაჭრობის შესახებ ლაპარაკის დროს შარდენი ერთგან ახსენებს აბაზს, რომელიც საქართველოშია მოჭრილი სპარსულ ყაიდაზე. მართლაც, XVI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში იჭრებოდა საკუთარი ფული, რომელსაც გარკვეული პირობების გამო ეროვნული იერი დაკარგული ჰქონდა და ირანულს გავდა. ეროვნულ მონეტებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ექნებოდა გასავალი, რაც ფულის სარგებლობის კოეფიციენტს დიდად შეამცირებდა. სწორედ ამიტომ ჯერ ლევან დადიანი, ხოლო შემდეგ ქართლის მეფეები როსტომი და ვახტანგ V შაჰნავაზი ირანული ყაიდის მონეტებს ჭრიდნენ. ასეთ ფულს საერთაშორისო ბაზარზე დიდიგასავალი ჰქონდა და ამდენად ქვეყნის ეკონომიურ ინტერესებსაც უფრო აკმაყოფილებდა⁵⁶.

შარდენის ნაამბობიდან ჩანს, რომ ვახტანგ V-ს გარკვეული თვალსაზრისი ჰქონდა ვაჭრობის საკითხებზე. მას კარგად ესმოდა სავაჭრო საქმიანობის გაფართოების უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიური წარმატებისათვის. ამიტომ იგი ცდილობს შარდენის მეშვეობით ევროპელი ვაჭრები მიიზიდოს საქართველოში და მათ ყოველგვარ პრივილეგიებს პირდებოდა.

ვახტანგ V-ის მიმართვაში შარდენისადმი ერთი ასეთი მეტად საინტერესო აზრია გამოთქმული: „ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ნდოეთში წასვლას, ამ ქვეყანაზე უკეთეს გზას ვერსად იპოვნიათ; დარწმუნებული ვარ, თუ ერთხელ

გაივლიან ამ გზით, მომავალში სხვა გზას აღარ ისურვებენო“. ქარ-

⁵⁴ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

⁵⁵ შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს უ რ გ უ ლ ა -
ძ ე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 126, 159.

⁵⁶ დ. კ ა პ ა ნ ა მ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

34

თლის მეფე ცდილობს ევროპას გაუღვივოს ინტერესი ამ უძვე-
ლესი სავაჭრო გზისადმი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
საქართველოზე გადიოდა და ოდითგანვე აღმოსავლეთისა და და-
სავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

*
* *
*

„მოგზაურობაში“ ქართველი ხალხის სამეურნეო და ეთნოგ-
რაფიული ყოფის გარკვეული სურათიც არის მოცემული. ამ შემთ-
ხვევაშიც შარდენი ბევრს რასმე სესხულობს მისი წინამორბედი
ევროპელი მოგზაურ-მისიონერებისაგან, მაგრამ საკუთარი დაკვირ-
ვებებიც აქვს.

მოგზაურს კარგად აქვს შენიშნული ცნობილი ფაქტი, რომ „სა-
ქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნე-
ობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო“⁵⁷. ამასთანავე ის-
იც იცის, რომ ნიადაგი ვარგისიანობის თვალსაზრისით ყველგან
ერთნაირი არ იყო. კოლხეთის ჭაობიან ტერიტორიაზე, მისი თქმით,
ნიადაგი ცუდია. დამუშავებულ მიწებს მცირე ფართობი უჭირავთ.
ქვეყნის უმეტესი ნაწილი ტყიანია. მოყავთ ღომი, ფეტვი, ბრინჯი,
ხორბალი, ქერი, მრავალნაირია ხილი, ბოსტნეული, ყურძენი.

სამეგრელოში მარცვლეულ კულტურათა შორის მთავარი ად-
გილი უკავია ღომსა, რაც ლამბერტის⁵⁸, ვახუშტისა⁵⁹ და სხვათა
ცნობებს ეთანხმება. მოგზაურს პირდაპირ არა აქვს მითითებული,
მაგრამ ჩანს, რომ ღომი სამეგრელოდან გაჰქონდათ კიდევ თბილი-
სში, ახალციხეში, სომხეთში, სადაც შარდენს ბევრი მისი მოყვა-
რული შეხვედრია.

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ დასავ-
ლეთ, შემდეგ კი მთელ საქართველოში შემოდის სიმინდინი⁶⁰. შარ-
დენი სიმინდის შესახებ არაფერს ამბობს, რაც იმაზე მიუთითებს,
რომ ამ დროს საქართველოში ეს კულტურა შესამჩნევად არ ყო-
ფილა გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. ნიადაგი და

⁵⁷ ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I,

1930, გვ. 148.

⁵⁸ ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 51.

⁵⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 145.

⁶⁰ ვ. გ უ ჯ უ შ ვ ი ლ ი , მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, თბ., 1954. გვ. 48.

ჰავა მშრალია და მიწაც მორწყვას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუსავლიანია⁶¹.

ქართლის გზებზე მოგზაურს ყველგან ლამაზი სოფლები, კარგად დამუშავებული, ნოყიერი მიწები ხვდებოდა. მას ძალიან მოსწონებია აქაური პური და ამბობს, მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არისო აქაურზე გემრიელი პური. ქართლურ პურს ვახუშტიც აქებს: „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველითა ქართველთასა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი“⁶². აქაური ხილიც საუცხოოა და მრავალნაირი.

შარდენი არაერთხელ ლაპარაკობს ქართულ ღვინოზე. აღწერილი აქვს ვაზის მოვლის, ღვინის დაწურვისა და შენახვის წესები. თუმცა სამეგრელოში ღვინის დაყენების ხერხები ფრანგულთან შედარებით არ მოსწონს, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ სამეგრელოს ღვინო საუკეთესოა და მთელს აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევო.

მოგზაურს განსაკუთრებით მოსწონებია აღმოსავლეთ საქართველოს ღვინო, რომელიც, მისი თქმით, დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სომხეთში, ისფაჰანსა და სხვა ადგილებში.

მთელს საქართველოში, მათ შორის სამცხის ტერიტორიაზეც, შარდენს მხოლოდ მაღლარი ვენახი შეუმჩნევია, მაშინ როცა ამ დროს ქართლ-კახეთში უმთავრესად დაბლარს აშენებდნენ. იმერეთში დაბლარიც იყო და მაღლარიც, ხოლო მაღლარი ვაზის ძირითადი სახეობა მხოლოდ გურია-სამეგრელოში იყო გავრცელებული⁶³.

სოფლის მეურნეობასთან ერთად ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობასაც. შარდენი გაკვირვებულია ღორების სიმრავლით საქართველოს ყველა კუთხეში. ყველგან მრავლადაა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელიც⁶⁴.

სამეგრელოში ბევრია ცხენი და თანაც კარგი ჯიშისა. შარდენი ლამბერტისთან შეთანხმებით სამეგრელოში ცხენების სიმრავლეს იმით ხსნის, რომ „ცხენების რჩენა აქ ადვილია და სარგებლობა მისგან კი ბევრიაო“⁶⁵.

⁶¹ შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1930, გვ. 148.

⁶² ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 75.

⁶³ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 16.

⁶⁴ შდრ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 185.

თუ ჩვენს მოგზაურს დავეუჯერებთ, ნადირობა და ნანადირევი ხალხის ერთ-ერთი მთავარი საარსებო წყაროა. სამეგრელოში ევროპისათვის უცნობი მრავალი ფრინველია. ნადირობენ შევარდენით, მიმინოთი, ძაღლებით. იგი აღწერს ნადირობის ხერხებს. აღმოსავლეთ საქართველოში ნადირი შესანიშნავი და მრავალნაირია. მტკვარში იჭერენ თევზს.

*
* *

„მოგზაურობაში“ ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის დამახასიათებელი მრავალი ფაქტია მოტანილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძამპისა და შარდენის მიერ შემჩნეული ხალხის ადათ-წესებიდან ბევრი რამ ჩვენს დრომდეც კი შემორჩა არსებითი ცვლილებების გარეშე, რაც მათი დაკვირვებულობის უტყუარი საბუთია.

ჩვენი ავტორები მოგვითხრობენ ქართველების გარეგნობაზე, ხალხის ზნესა და ქცევის წესებზე, ყოფაცხოვრების დეტალებზე ცალ-ცალკეა დახასიათებული ტანსაცმელი – ქალებისა და მამაკაცებისა, დიდებულთა და მდიდართა, დაბალი რიგის სასულიერო პირთა და ეპისკოპოსებისა. შარდენის სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოში მამაკაცების ტანსაცმელი პოლონელებისას ჩამოგავს, ქალებისა კი როგორც სამეგრელოში, ისე ქართლში – სპარსულის მსგავსია. ქალები ზედმეტ ფერუმარილს ხმარობენ, თმებს ევროპულ ყაიდაზე ივარცხნიან.

აღწერილია ნიშნობა, ქორწილი სამეგრელოში და მასთან დაკავშირებული რიტუალები. შარდენი ამბობს, რომ მეგრელები ცოლს ყიდულობენო, ხოლო ძამპი ცოლის შერთვასა და გათხოვებას სავაჭრო ხელშეკრულებას უწოდებს, რაც მათ მიერ ხალხის ტრადიციების არსის გაუგებრობაზეა დაფუძნებული⁶⁷. თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ ასეთ ძნელბედობის ხანაში ამ ტრადიციასაც მახინჯი ფორმები მიეღო. მრავალ მანკიერ მხარეზეა გამახვილებული ყურადღება, ოჯახური ცხოვრებისა და ბავშვის აღზრდის საკითხებზე მსჯელობის დროს. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ავტორები ხალხის ადათ-წესების მათ-

⁶⁶ შდრ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ.; თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

⁶⁷ შდრ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 259-271.

თვის მიუღებელ თავისებურებებზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას.

აღწერილია მეგრელების ეზო-კარი, სახლი და მისი მოწყობილობა. შარდენს კარგად აქვს შენიშნული სახლის წინ მდებარე ეზოების მნიშვნელობა მეგრელი კაცის ცხოვრებაში. ხშირად აქ დებულობენო სტუმარს და სადავო საკითხების გარჩევაც აქვე ხდებოდა. თუმცა შარდენი ამას მხოლოდ მთავრისა და დიდებულების შესახებ ამბობს, მაგრამ მდამიო ხალხსაც იგივე ჩვეულება ჰქონდა.

პურის ჭამა, სუფრა, მისი მოწყობილობა, ჭურჭელი, საქმელები, სუფრაზე ჯდომის რიგი, ღვინის სმის წესი – აი, საკითხების კიდევ ერთი წყება, რომლებზედაც მკითხველი ბევრს რასმე იპოვნის „მოგზაურობაში“. ქართველ დიდებულთა ყოფა-ცხოვრებაში აღმოსავლური ტრადიციები საკმაოდ არის ფეხმოკიდებული. ისინი სპარსელებს ბაძავენ ჯდომაში, წოლაში და სმა-ჭამაში.

შარდენი გაკვირვებულია იმით, რომ დიდებულები საკუთარ ყმებთან ერთად სადილობენო, რაც ევროპელისათვის სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო. ჩვენში ამ წესს საკმაოდ მტკიცე ტრადიცია უნდა ჰქონოდა, რადგანაც იგი XIX საუკუნეშიაც კი კვლავ არსებობდა⁶⁸. შარდენი დაწვრილებით მოგვითხრობს თბილისში, შაჰ-ნავაზის სასახლეში გამართული ქორწილის შესახებ. ამ ქორწილს თვითონ დასწრებია და მისი აღწერა „მოგზაურობის“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფურცლებია.

შარდენი თავის თხზულებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ავადმყოფის მკურნალობის ადგილობრივ წესებს. მას ხალხური წამლების „რეცეპტებიც“ კი აქვს მოცემული. თბილისის გოგირდის აბანოების შესახებ შარდენი ამბობს, რომ მათ ხალხი არა მარტო ჰიგიენური დანიშნულებისათვის იყენებს, არამედ სამკურნალოდაცო. აქ უადგილო არ იქნება მოვიგონოთ XVIII საუკუნის ცნობილი მოგზაურის გიულდენშტედტის მოსაზრება ამავე საკითხზე. გიულდენშტედტი თბილისური აბანოების შესახებ ამბობს, რომ მათ მცხოვრებლები მხოლოდ ტანის დასაბანად და საცვლების გასარეცხად იყენებენო, „მე პირველად შემოვიღე მისი სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენებაო“⁶⁹. შარდენის ცნობა, ცხა-

⁶⁸ ა. ბორონი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბ., 1934, გვ. 101-102.

⁶⁹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 11.

ვისადმი მიწერილ დამსახურებას.

ძამპისა და შარდენის ცნობები მიცვალებულის გლოვაზე, მასთან დაკავშირებულ რიტუალებზე, დაკრძალვის ცერემონიაზე თითქმის ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ერთგან მათ შორის შეუსაბამობასაც ვხვდებით. შარდენი ამბობს, რომ მთელს აღმოსავლეთში და მათ შორის სამეგრელოშიც მიცვალებულს კუბოს გარეშე, სუდარაში გახვეულს ასაფლავებენო, მაშინ როცა ძამპის დაკვირვებით მეგრელები მიცვალებულს კაკლის ხის კუბოში ასვენებდნენ. ამ შემთხვევაში ძამპი მართალია და მისი ცნობა გვიანდელი ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება⁷⁰.

*
* *

ხალხის ყოფის დამახასიათებელი რეალიები მჭიდროდ იყო გადახლართული რელიგიურ ადათ-წესებთან. რელიგიური დღესასწაულები ჩვენი ავტორების მითითებით ზოგან საერთო-სახალხო ზემისა და ბაზრობის ხასიათს ატარებდნენ. ასე იყო ილორსა და წიფურიაში, სადაც უცხოელებიც კი ჩამოდიოდნენ.

ხალხის დამოკიდებულება ეკლესიასთან, მარხვები მათი დაცვის წესები, ლოცვები ხატების თაყვანისცემა, ეროვნული წმინდანები (წმ. ნინო, წმ. გიორგი და სხვ.), ღვთისმოშიშობა – ყოველივე ეს საკმაოდ კარგად არის დახასიათებული „მოგზაურობაში“.

ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი ყოფის შესახებ ცნობების სიუხვე „მოგზაურობაში“ სავსებით ბუნებრივია. ძამპი მისიონერი იყო და მის უპირველეს მოვალეობას სწორედ რელიგიაზე დაკვირვება წარმოადგენდა. შარდენიც, როგორც ღვთისმოსავი კაცი, გარკვეულ ინტერესს იჩენდა ამ საკითხისადმი. მიუხედავად ამისა, მკითხველისათვის სარწმუნოების თავისებურებათა განმარტებას შარდენი თავს არიდებს. ამას იმით ხსნის, რომ მეგრული და ქართული ენები არ ვიცოდი და სხვა ენის მცოდნე, რომელიც განმიმარტავდა სარწმუნოების საკითხებს, ვერავინ ვნახეო. მოგზაურის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება. იგი სხვა ადგილას თვითონვე გვამცნობს, რომ თურქულსა და სპარსულს კარგად ფლობდა. XVII საუკუნის საქართველოში კი ეს ენები რომ ბევრმა იც-

⁷⁰ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 282-292.

ოდა, მტკიცებას არ მოითხოვს. ყოველივე ეს შარდენს იმიტომ სჭირდება, რომ „მოგზაურობაში“ ძამპის თხზულების ჩართვის აუ-

ცილებლობა გაამართლოს. „ადგილობრივი მცხოვრებლების რელიგიის საკითხების უკეთ გასარკვევად უმჯობესი იქნება გაგაცნოთ პატრი დონ იოსებ მარია ძამპის, მანტუელი იტალიელის, თეათინელების პრეფექტის და კოლხეთში მყოფი მისიონერის რელაციას“ – მიმართავს იგი მკითხველს.

ორივე ავტორი ქართული ქრისტიანობის ისტორიაში საკმაოდ კარგად არის გათვითცნობიერებულია. მათ იციან, რომ ქრისტიანობა საქართველოში IV საუკუნეში იქნა აღიარებული, რომ საქართველოს განმანათლებელი იყო წმ. ნინო, იციან აგრეთვე ლეგენდები ანდრია მოციქულის ქადაგებათა შესახებ, სვეტიცხოველის შესახებ და სხვა, რომელთა თხრობის დროსაც, რასაკვირველია, ხშირად სასურველი სიზუსტე არა აქვთ დაცული (იხ. სათანადო კომენტარები), მაგრამ XVII საუკუნის უცხოელ ავტორთათვის ამგვარი ფაქტების ცოდნა, უდავოდ, მრავლისმეტყველია.

ისინი ქრისტიანობას საქართველოში საკუთარი სარწმუნოებრივი პოზიციებიდან უყურებენ და აფასებენ. მათი აზრით ამ რელიგიის ზოგადი პრინციპები აქ საფუძვლიანად შეცვლილია და შერყვნილია. ამის დამტკიცებას ძამპი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობს, რაც სრულიად ბუნებრივია. როგორც ითქვა, მას სურს თავისი მისია გაამართლოს და საკუთარი დამსახურება სამეგრელოში, ქრისტიანობის „განწმენდის“. საქმეში, უფრო რელიგიურად წარმოაჩინოს. მღვდელთმსახურება, წირვა-ლოცვა, დღესასწაულები, ხელდასხმა, ნათლისღება, ზიარება და სხვა რელიგიური რიტუალები, მისი აზრით, სამეგრელოში ქრისტიანული დოგმების სრული დამახინჯებით სრულდება. რელიგიური ადათ-წესები ძამპის მიერ დაწვრილებით არის აღწერილი და სწორედ ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და არა ამ ფაქტების მისეული ინტერპრეტაცია.

ისიც უნდა ითქვას, რომ რეალური ვითარება ხელს უწყობდა ჩვენს ავტორებს მათთვის სასურველი დასკვნების გამოტანისათვის. ჯერ მონღოლების შემოსევებმა, შემდეგ კი მაჰმადიანური ირანისა და თურქეთის მოძალებამ საქართველოში ქრისტიანობის პოზიციები საგრძნობლად შეარყია. სამცხე-საათაბაგო მაჰმადიანურმა ტალღამ მთლიანად შთანთქა.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე თეიმურაზ I ერთ პატრთან საუბარში ამბობდა ხმლით დავიცავო ჩემს სარწმუნოებას და იცავდა

კიდევ; მიუხედავად იმისა, რომ მის მშობელს, ქეთევანს, შაჰ აბასმა საშინელი წამებითაც ვერ ააღებინა ხელი საკუთარ სარწმუნოებაზე, რაც ამ ეროვნული წმინდანის მიერ სამშობლოს სიყვარულის გამოვლინება იყო (ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილი ვრცლად აქვთ აღწერილი ორივე ავტორს), XVII საუკუნის საქარ-

თველოში ქრისტიანობა მაინც დასუსტებულია. ამას გვიდასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები მაჰ-მადიანები არიან, საქართველოს დიდებულთა ერთი ნაწილიც მაჰ-მადიანობას აღიარებს. ასეთი ფაქტები თავისთავად ქრისტიანობის პოზიციების შესუსტების მაუწყებელია. მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის ერთი მხარეა.

შარდენმა ისიც კარგად იცის, რომ ქართველი დიდებულების ქრისტიანობას მხოლოდ ფორმალურად განუდგნენ, რათა თანამდებობები, ჯამაგირი და სხვა პრივილეგიები შეენარჩუნებინათ.

მაჰმადიანი ქართლის მეფე საეკლესიო საქმეებსაც განაგებს, მის მიერვე არის დანიშნული საქართველოს პატრიარქი, რომელიც მძა არის მეფისა.

ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ არის „მოგზაურობაში“ მოტანილი ორი დოკუმენტის მონაცემებიც. ვახტანგ V პოლონეთის ქრისტიანი მეფისადმი მიწერილ წერილს ასე ამთავრებს: „თბილისის სამეფო, 26 მარტი, 1671 წელს იესო მაცხოვრის მოვლინებიდან“, ხოლო შარდენისათვის მიცემული ფირმანი, მიმართული სპარსეთის მოხელეებისადმი, გვაუწყებს, რომ იგი „დაიწერა წმინდა თვესა ზაულ-ყალას, 1083 წელს ჰიჯრით“. ასეთი სარწმუნოებრივი გაორებულობა, როგორც ჩანს, საზოგადოდ დროის დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო. ქართლ-კახეთის მეფეები ძულებულნი იყვნენ მაჰმადიანობა მიეღოთ, რადგანაც შაჰ აბასის მიერ დაკანონებული წესის მიხედვით ეს უმთავრესი პირობათაგანი იყო ტახტის მისაღებად.

ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მაჰმადიანობას, რაც „ქართველობის“ შენარჩუნებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წრმოადგენდა. თბილისში ხალხმა სპარსელებს მეჩეთი არ ააშენებინა. მოლა ქვების სროლით ჩამოაგდეს ციხის შიგნით არსებული მინარეთიდან. ამით ფარულად მეფეებიც კმაცოფილნი იყვნენ, რადგანაც ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალურად განუდგნენო – ამბობს შარდენი.

მაჰმადიანობასთან ქართველი ხალხის ბრძოლა რომ ოსმალთა და ირანელთა დამპყრობლების ძალმომრეობის წინააღმდეგ იყო მიმარ-

თული და არა რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული სიძულვილის შედეგი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ შარდენის მიხედვით, საქართველოში სრული რჯულშემწყნარებლობა სუფევდა. აქ ცხოვრობდნენ სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსმალები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, „მოსკოვიტები“, ევროპელები და ყველას უფლება ჰქონდა ეცხოვრა საკუთარი სარწმუნოებით, ადათებით, ემსჯელა მასზე და დაეცვა იგი.

ქართველოში სარწმუნოებრივი ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი „მოგზაურობის“ მიხედვით შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ქართლში არის რამდენიმე ეპისკოპოსი, ერთი არქი-ეპისკოპოსი და პატრიარქი. ეს უკანასკნელი მთელი საქართველოს ქრისტიანობის მეთაურად ითვლება, თუმცა ამის შესახებ შარდენი არაფერს ამბობს. პატრიარქი, როგორც აღინიშნა, მეფის მიერ არის დანიშნული. დიდებულებიც ასეთსავე უფლებებს იჩემებენ თავიანთ სამფლობელოებში: ეკლესიის მსახურთ ნიშნავენ და საკუთარი სურვილისამებრ ექცევიან მათ.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას კათალიკოსი, რომელსაც ასევე იმერეთის მეფე ნიშნავს. მისი ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერეთში, გურიაში, აფხაზეთსა და სვანეთში სამეგრელოს ეპისკოპოსთა შორის (ჩამოთვლილია ექვსი ეპისკოპოსი) ზოგს თავისი წოდება მთავრისაგან აქვს ნაბოძები. ჩვენი ავტორები პირდაპირ არ მიუთითებენ, მაგრამ ჩანს რომ მთავარი თავის თავს ეკლესიის მეთაურად თვლის. როგორც ითქვა, იგი თავისი ქვეყნის სრული ბატონპატრონია და მის მიერ საეკლესიო საქმეებში აქტიური ჩარევა სავსებით ბუნებრივია. ყურადღებას იქცევს მხოლოდ ძამპის მიერ შენიშნული ზოგი დეტალი: ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად მთავარი წირავსო; ეპისკოპოსები მთავრის მოთხოვნისთანავე მიდიან ომში, რადგან თავიანთი ქვეშევრდომების სარდლად ითვლებიანო და სხვ.

ეკლესია საკმაოდ მდიდარია. ეს სიმდიდრე, შარდენისა და ძამპის აზრით, მოპოვებულია უმაღლეს მღვდელთმსახურთა ზნედაცემულობისა და სიხარბის შედეგად ისინი სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ თავიანთ ქვეშევრდომებს და მრევლს. უვიცნი და უმეცარნი არიან. არავითარ საბაბს და საშუალებას არ თაკილობენ სიმდიდრის მოსახვეჭად. ყიდიან საეკლესიო თანამდებობებს, იღებენ ქრთამს, სათანადო გასამრჯელოს გარეშე არ სწირავენ, უფასოდ კაცს არ აზიარებენ. ჰყავთ საკუთარი მრევლი, რომელიც ვალდებულია

42

პურით, ღვინით და სხვა სურსათით მოამარაგონ ისინი. ასევე იქცევიან ბერებიც და პაპებიც (მღვდლები), რომლებიც ატყუებენ ხალხს და მათ უკანასკნელ სარჩოს ართმევენ. ეკლესიის მსახურთა ამგვარი საქმიანობის ჩამოთვლა-აღწერას „მოგზაურობაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

*
* *

აქვე უნდა განვიხილოთ ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც

სასამართლოსა და სამართლის წარმოების საკითხებს ეხება.

საქართველოს სამეფო-სამთავროებში უმაღლეს მსაჯულებს თვით მეფე-მთავრები წარმოადგენენ. სამეგრელოს მთავარში საკუთარ სამფლობელოში მუდმივი მოგზაურობის დროს აწარმოებს სადავო საკითხების გარიგებას. ამ მოგზაურობაში მას თან ახლავან მოხელეები, მოზრდილი ამაღა და უცხოელი სტუმრებიც კი. მთავარი ნელა მიდის, დროდადრო ჩერდება და უსმენს მომჩივანთ. შარდენს დეტალურად აქვს აღწერილი საჩივრის წარდგენის, მომჩივანთა მიერ ბრალდების წაყენების, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, მოწმეთა მოყვანის, გადაწყვეტილების გამოტანის წესები და, საერთოდ, სასამართლოს წარმოების მთელი მსვლელობა.

დანაშაულის ჭეშმარიტების დასადგენად მტკიცებათა სხვადასხვა საშუალებებიდან, რომლებიც გვიანფეოდალურ საქართველოში გამოიყენებოდა, შარდენთან მოხსენებულია ისეთი ორდალები, როგორცაა მდულარე წყლით გამოცდა და ორთაბრძოლა. თავის მართლების ეს ორივე წესი ვახტანგ VI სამართლის წიგნში სათანადოდ არის დაკანონებული⁷¹. ორთაბრძოლას მასში „ხმალში გატარება“ ეწოდება⁷².

მდულარე წყლით გამოცდას და ორთაბრძოლას ანუ სასამართლო დუელს რელიგიური საფუძველი აქვთ⁷³. როგორც შარდენი აღნიშნავს, ეს არის მართლმსაჯულების მინდობა უფლისადმი, ღვთის სამსჯავროზე გასვლა. თუ კაცი მართალია, მას ვერც მდულარე წყა-

⁷¹ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, გვ. 50-51.

⁷² სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ იხ. გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, სასამართლო დუელი XVII საუკუნის თბილისში. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1959, № 4, გვ. 35-41.

⁷³ მ. ლ ე კ ვ ე ი შ ვ ი ლ ი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 98.

ლი და ვერც ხმალი ვერას ავნებს. ამავე დროს, თუ მდულარე წყლით გამოცდა გამოიყენება მოდავის საზოგადოებრივი მდგომარეობის განურჩევლად, ხმლით ჭეშმარიტების დადგენა, შარდენის თქმით, მხოლოდ წარჩინებული წოდების წარმომადგენელთა უპირატესობაა.

შარდენი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზეც, რომ საფეოდალოებს (სათავადოებს), რომლებიც გარკვეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, სასამართლო შეუვალობაც აქვთ. ამა თუ იმ ბატონის გლეხების დავა წყდება მათივე ბატონების მიერ, თვით ფეოდალებს შორის კი უთანხმოება მხოლოდ იარაღის ძალით შეიძლება მოგვარდეს. ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს და ამის შესახებ მთავარმა (მეფემ)

შეიძლება ვერაფერი გაიგოს, თუ დაზარალებული შველას არ თხოვს, მას. მთავარი (მეფე) მოარიგებს მოდავეებს, მაგრამ მათ შორის დაზავება გრძელდება მხოლოდ შურისძიებისათვის ხელსაყრელ მომენტამდე. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ფეოდალები საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს, არც მეფე-მთავრებს უწევდნენ ანგარიშს და არც ერთმანეთს ეპუებოდნენ.

*
* *
*

მამპს და მით უმეტეს შარდენს ქართველი ხალხის კულტურა ნაკლებად აინტერესებთ. მათთვის საქართველო ჩამორჩენილი ქვეყანაა და ეს ნაწილობრივ ასეც იყო. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ქართული კულტურის დონე თანდათანობით დაეცა. არსებითად მდგომარეობა არც XVII საუკუნეში შეცვლილა⁷⁴, მაგრამ ამ დროს მეცნიერებასა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ერთგვარი აღორძინების ნიშნები გარკვეულად შეიმჩნევა. სხვა ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ დროს ცხოვრობდნენ ცნობილი მეფე-პოეტები თეიმურაზ I და არჩილი. მათ შესახებ „მოგზაურობაში“ ხშირად არის ლაპარაკი, მაგრამ რომ ისინი პოეტები იყვნენ, ამაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

მამპის თანამედროვე იყო ცნობილი ქართველი დიპლომატი და სწავლული ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, რომლის სახელ-

⁷⁴ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თ., 1958, გვ. 320.

თან არის დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. მაგრამ მამპი არაფერს გვამცნობს თუნდაც იმაზე, რომ ნიკიფორე ირუბახის ხელშეწყობით 1629 წელს რომში ქართული სტამბა დაარსდა (იხ. შენ. 120).

უცნაურიც კია, რომ შარდენს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის ესოდენ საინტერესო ფაქტისათვისაც: როგორც ცნობილია, 1670 წლიდან ქართველებს ორი ადგილი ეთმობოდათ რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში⁷⁵.

მიუხედავად ამისა, „მოგზაურობაში“ მოცემული ზოგი დაკვირვება XVII საუკუნის ქართული კულტურის შესახებ მაინც საინტერესოა. მამპის მიხედვით, სამეგრელოში წერ-კითხვის მცოდნენი ცოტანი არიან. წერა-კითხვის სწავლას უფრო ქალები ეტანებიან. იგივეს ამბობს მაკარი ანტიოქელიც⁷⁶. ეკლესიებში ბევრი წიგნი ინახება, რომელთაც, წესის მიხედვით, ეპისკოპოსები სიცო-

ცხლეში ერთხელ აახლებენ (გადაწერენ). უფრო ზევით კი აღნიშნავს, რომ ეპისკოპოსები გაუნათლებელნი არიანო. ამდენად გაურკვეველია, ისინი თვითონ აახლებდნენ ხელნაწერებს, თუ სხვას გადააწერინებდნენ ხოლმე, ან ერთი წიგნის განახლება ევალეზოდათ თუ მრავლისა, მაგრამ თვით ასეთი ტრადიციის არსებობა ფრიად ყურადსაღები ფაქტია.

„მოგზაურობაში“ უფრო მეტი ცნობებია დაცული სამშენებლო საქმეზე. ძამპი ვრცლად მოგვითხრობს ეკლესიებზე, მათ მშენებლობასა და მოწყობილობაზე. იგი აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ახლა უბრალო ხის ეკლესიებს აშენებენო, რაც ქვეყნის ეკონომიური სივიწროვითაც იყო გამოწვეული. მოგვითხრობს იერუსალიმის ქართულ სიძველეთა შესახებ.

შარდენი ხშირად იძლევა იმ პუნქტების განაშენიანების ზოგად სურათს, სადაც მას გავლა მოუხდა. რასაკვირველია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თბილისს. აღწერს შაჰნავაზის სასახლეს, რომელიც მას ძალიან მოსწონებია. ცალ-ცალკე ჩამოთვლის თბილისის ეკლესიებს და ახასიათებს ზოგი მათგანის არქიტექტურულ სახეს. ქალაქის გარეუბნებში მრავალი სალადობო სახლისა და ბაღის არსებობას მიუთითებს. შენიშნავს, რომ აქ ბაზრებიც და ქარვასლებიც ქვისაგან არისო ნაშენი, მაშინ როცა ახალციხეში მაგალითად, ქარვასლაც და სახლებიც ხისა უნახავს.

⁷⁵ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 321.

⁷⁶ П. К. Ж у з е, დასახ. ნაშრ, გვ. 67.

შარდენი ნაწილობრივ სწორია, როდესაც აღნიშნავს, რომ საქართველოში ამ დროის ნაგებობები ირანული ყაიდისა არისო. გვიან შუასაუკუნეებში ქართულ არქიტექტურაში აღმოსავლური გავლენები ცხადად შეიგრძნობა⁷⁷. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ეროვნული თვითმყოფადობა, ორგანული კავშირი წინა ხანათა ხუროთმოძღვრულ ტრადიციებთან არასოდეს არ დაუკარგავს.

*
* *
*

„მოგზაურობაში“ მოცემული გვიანფეოდალურ ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მრავალრიცხოვანი ფაქტები უფრო ვრცელ და დეტალურ ანალიზს მოითხოვს.

დასავლეთ საქართველოს ისტორიის თხრობას შარდენი იწყებს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) დროიდან და განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ამ უკანასკნელის პიროვნებისა და მოღვაწეობის დახასიათებას. თუმცა აქვე უნდა აღი-

ნიშნოს, რომ მოგზაური ამ შემთხვევაშიც ძირითადად იმეორებს ლამბერტისა და ჯუდიჩეს ცნობებს.

ლევან II დადიანი XVII საუკუნის ერთ-ერთი მეტად საინტერესო პოლიტიკური მოღვაწეთაგანი იყო და მის შესახებ უამრავი ცნობა არსებობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. მიუხედავად ამისა, დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი მისი მოღვაწეობა. ამ ამოცანას ვერც ჩვენ ვიდებთ თავს, მაგრამ შარდენის თხზულება ზოგიერთი საკითხის დამსმის საშუალებას მაინც იძლევა.

ლევანი მცირეწლოვანი ავიდა ტახტზე. წლების მანძილზე სამთავროს მართავდა მისი ბიძა და მეურვე გიორგი ლიპარტიანი, „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი“⁷⁸. ლამბერტის თქმით, გიორგი „განაგებდა ყველაფერს“⁷⁹ და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმ კონფლიქტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც მთავარსა და მის ბიძას – ამ შემთხვევაში ძლიერ ფეოდალს შორის შემდგომში ჩამოვარდა.

XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ლევანი უკვე დამოუკიდე-

⁷⁷ Г. Н. Чубинашвили, И. П. Северов, Пути грузинской архитектуры, Тб., 1936, გვ. 134.

⁷⁸ ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი: დასახ. ნაშრ. გვ. 15.

⁷⁹ იქვე.

ბელ და ენერგიულ მოქმედებას იწყებს თავისი სამთავროს გაძლიერებისათვის. იგი იმთავითვე დაუპირისპირდა იმერეთის მეფეს, მაგრამ რომ ზურგი მაგარი ჰქონოდა, მან ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული, ხოლო თავისი და, მარიამი, მალაქია გურიელის ძეს სიმონს მიათხოვა. ეს ფაქტიურად იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639) წინააღმდეგ შეკრული კოალიცია იყო. იმერეთის მეფე მიუხვდა და დასწრება გადაწყვიტა. მათ შორის პირველი შეტაკება მოხდა 1623 წ. დადიანმა გაიმარჯვა და დიდი ალაფი წაიღო. ამას მოყვა გაუთავებელი ბრძოლები სამეგრელოსა და იმერეთს შორი, რომელთა ინიციატორი თითქმის ყოველთვის ლევან დადიანი იყო.

ლევანმა არც ყოფილი მოკავშირეები დაინდო. მან აფხაზეთთან წაკიდების მიზეზად ის გამოიყენა, რომ საკუთარ ცოლს სიძვა შესწამა, დაასახიჩრა და მამას გაუგზავნა. რომ განაწყენებულ აფხაზებს არ დაესწროთ მისთვის და შურისძიების მიზნით ოდიშს არ დასხმოდნენ თავს, იგი თვითონ გადავიდა აფხაზეთში ლაშქრით, დაარბია ქვეყანა და მათ ხარკი დააკისრა. ამის შემდეგ დადიანებსა და შერვაშიძეებს შორის ურთიერთთავდასხმა და ყმა-მამულის აწიოკება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. თვით ლევანის სიცოც-

ხლეშივე აფხაზები არა ერთხელ დასხმიან თავს სამეგრელოს სა-
ნაპირო რაიონებს⁸².

ამავე დროს ლევანმა ჩამოიშორა თავისი ბიძა, მისი, ყოფილი
მეურვე. მას ჯერ ცოლი წაართვა, ხოლო შემდეგ ბრძოლაში დაა-
მარცხა. წყაროები, მათ შორის შარდენიც, განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას უთმობენ ამ ამბის პირველ ნაწილს – ლევანის მიერ
ლიპარტიანისათვის დარეჯან ჭილაძის წართმევის ფაქტს. ყურად-
ღების გარეშე კი რჩებათ არსებითი რამ, რომელიც ამ ფაქტის უფ-
რო მნიშვნელოვანი შედეგი იყო: ლევანმა თავიდან მოიშორა ძლი-
ერი ფეოდალი და ამით მთავრის ხელისუფლება უფრო გააძლიე-
რა.

ლევან II-ის ამგვარ საქმიანობას არ შეიძლება სათანადო
რეაქცია არ გამოეწვია სამეგრელოს დიდებულთა შორის. მას შე-
თქმულება მოუწყვეს.

⁸⁰ ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, V, თბ., 1953. გვ. 41.

⁸¹ З. В. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии, сухуми, 1959,
ამბერტი, დასახ. ნაშრ. გვ. 22.

⁸³ И. Г. А н т е л а в а, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков,
Сухуми, 1951, გვ. 32.

შეთქმულების ორგანიზატორი, ლამბერტის მიხედვით, ლევა-
ნის ვეზირი პაპუნა ყოფილა (შარდენი მას შეთქმულების მონაწი-
ლედ არ ასახელებს). ვეზირმა გურიელი, იმერეთის მეფე და აფხა-
ზეთის მთავარიც მიიმხრო. „მათ შორის დაარსდა საიდუმლო კავ-
შირი, რომელსაც საგნად ჰქონდა დადიანის მოკვლა და მის მაგი-
ერ მისი ძმის იოსების გამთავრება“⁸³. შეთქმულება ჩაიფუშა.
ლევანი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს. იოსებს თვალები და-
სთხარა, ხოლო პაპუნა ზარბაზანში ჩაატენინა. სიმონს, ლევანის
სიმეს, რომელმაც 1625 წელს საკუთარი მამა მოკლა და თვითონ
გამთავრდა, ლევანმა „დასთხარა თვალი, წაართვა ცოლი, შვილი
და სამთავროც. მისი სამთავრო დადიანმა გადსცა გურიელის ბი-
ძას მალაქიას“⁸⁴.

ყოველივე ამის შემდეგ ლევანს დასავლეთ საქართველოს მე-
ფე-მთავართა შორის ტოლი აღარ ჰყავდა. ოდიშის სამთავრომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია.

ლევანი მოსვენებას არ აძლევდა იმერეთის მეფეებს, ჯერ გი-
ორგი III და შემდეგ მის მემკვიდრეს ალექსანდრეს (1639-1660).
იგი „უხდებოდა მარადის იმერეთს შობას, ნათლისღებას, აღდგო-
მას და ყოველთა დღესასწაულთა შინა“⁸⁵. ბერი ეგნატაშვილის
ცნობით, იმერეთში „არსადა დაშთა დაბანი და შენობანი და სიმა-
გრენი, რომელი არა მიემძლავრა“⁸⁶ ლევანს. 1634 წელს მან ხელთ

იგდო იმერეთის მეფე და მთელი ორი წლის მანძილზე ტყვედ ყავდა⁸⁷. ლევანმა „ისე დაასუსტა იმერეთის სამეფო, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალღონით“⁸⁸.

ალექსანდრე იმდენად შევიწროვებული იყო ლევანისაგან, რომ რუს-ხელმწიფესაც კი სთხოვა დახმარება მის წინააღმდეგ⁸⁹. შურისძიება ალექსანდრემ მხოლოდ ლევანის გარდაცვალების შემდეგ მოახერხა. მან 1657 წელს დალაშქრა სამეგრელო⁹⁰.

⁸³ ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20.

⁸⁴ იქვე, გვ. 21.

⁸⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება იმერეთისა, ქც, II, 1854, გვი 199.

⁸⁶ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 189.

⁸⁷ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 427.

⁸⁸ ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

⁸⁹ М. Б р о с с е, Переписка на иностранных языках грузинских царей

С российскими государями, СПб, 1861, გვ. 66.

⁹⁰ ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 262.

48

საინტერესოა, რომ ლევან II-ს არც ერთხელ არ უცდია იმერეთის ტახტი დაეკავებინა და თავი მეფედ გამოეცხადებინა, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის შესაძლებლობა უთუოდ ჰქონდა.

ლევანის დროს სამეგრელო ეკონომიურადაც და კულტურულადაც დაწინაურდა. მან ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. შარდენის ცნობით, ლევანს ფულის მოჭრაც დაუწყია, მაგრამ იგი მალე შეუწყვეტია ლითონის სიძვირის გამო⁹¹.

ლევანმა თავის კარზე მოიზიდა იმდროინდელი განათლებული ადამიანები. სამეგრელოში დიდხანს ცხოვრობდა „მოგზაურობაში“ არაერთხელ ნახსენები ცნობილი ქართველი დიპლომატი და სწავლული ნიკიფორე ირბახი⁹². აქვე მდივან-მწიგნობარ მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაიწერა და ილუსტრირებულ იქნა „ვეფხის ტყაოსნის“ დღემდე შემორჩენილი ერთ-ერთი ნუსხა ლევანმა სპეციალური საოქრომჭედლო სახელოსნო დააარსა, სადაც წარმატებით გრძელდებოდა ქართული ოქრომჭედლობის მდიდარი ტრადიციები⁹³. მისი ინიციატივით მრავალი ეკლესია-მონასტერი და ციხე-სიმაგრე აშენდა და შეკეთდა. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა იერუსალიმის ქართულ სიძველეებსაც. როგორც ვხედავთ, მის დროს სამეგრელოში ფართო კულტურული საქმიანობა გაიშალა.

ლევან დადიანი კარგად იყენებდა თავის სასარგებლოდ თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგობებს. მართალია იგი ხონქრის უზენაესობას აღიარებდა და ხარკსაც უხდიდა მას, მაგრამ როცა სულთანმა მურადმა ირანის წინააღმდეგ ლაშქრად წასვლა

მოსთხოვა, ლევანმა უარი შეუთვალა. ლამბერტის სიტყვით, დადიანს სულთნისათვის მიუწერია: „ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩვენს საზღვრებში არ შემოხვიდეთო და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარკს და ადვილად შევძლებ ჩემი ჯარით დავიცვა სამთავრო“⁹⁴.

1634 წელს ლევანმა თავისი და, მარიამი, ქართლის მეფე რო-

⁹¹ იხ. დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

⁹² კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ნიკიფორე ირზახი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 292-313.

⁹³ ლ. ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე, ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი კერა გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, საბჭოთა ხელოვნება, 1969, № 1. გვ. 45-48.

⁹⁴ ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

სტომს მიათხოვა. ამით იგი ირანის შაჰსაც დაუკავშირდა, რომლისთვისაც ეს კავშირი მეტად სასურველი იყო. ამის გამო „ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰსეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის. ის მიაერთვეს და წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისათვის“⁹⁵.

ერთი მტაცებლის მეშვეობით მეორის დაშინების ლევანისეულმა პოლიტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ მისი მმართველობის ხანაში სამეგრელოზე გარეშე მტერთა თავდასხმა თითქმის მთლიანად აღიკვეთა.

ისტორიული წყაროები ლევან დადიანის მოღვაწეობას სხვადასხვანაირად აფასებენ. უცხოელი ავტორები, მათ შორის ლამბერტი, ჯუდიჩე, შარდენი და სხვები, მას ქებით იხსენიებენ. შარდენის თქმით, იგი იყო მამაცი, დიდსულოვანი, ჭკვიანი და სამართლიანის. გახუმტის დახასიათებით კი „ესე ლევან იყო ბოროტი, ხვანჯიანი, ამაყი, მზაკვარი და ძვირის მოხსენე“⁹⁶. თითქოს ერთი მართალია და მეორეც. მის დროს სამეგრელოს სამთავრო გაიზარდა და გაძლიერდა, მაგრამ ამასთანავე მეზობელ „საქართველოებთან“ მისი მუდმივი კინკლაობა ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანების საერთო ეროვნულ საქმეს.

XVII საუკუნის 60-იან წლებში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, თანაც საქართველოს ყველა კუთხეში და თითქმის ერთდროულად.

1657 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი ლევან II. მისი ადგილი მცირე ხნით დაიკავა ლიპარიტ III, რომელიც 1658 წ. ვამეყ დადიანმა შეცვალა (იხ. შენ. 221).

1658 წელს გარდაიცვალა ქართლის მეფე როსტომიც და აქ ვახტანგ V შაჰნავაზი გამეფდა.

1660 წელს გათავისუფლდა იმერეთის ტახტიც, გარდაიცვალა ალექსანდრე III. იმერეთის კარზე დიდი არეულობა დაიწყო. სწრაფად იცვლებოდნენ მეფეები: დიდებულების მიერ გაძევებული ერთი მეფის ადგილზე მეორე ვერ ასწრებდა მოსვლას, რომ მესამეს ტახტი უკვე დაკავებული ჰქონდა. მთელი დასავლეთი საქართველო ფეოდალურმა ომებმა მოიცვა.

⁹⁵ ფ ა რ ს ა და ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო მონაბე, II, 1925, გვ. 241.

⁹⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება იმერეთისა, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 197.

50

მოვლენები ისე სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რომ არა თუ უცხოელ მოგზაურს, არამედ იმ დროის მემატრიანესაც გაუჭირდებოდა მათი აღნუსხვა. შარდენი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ამ ამბების შესახებ, მაგრამ ვითარების შედარებით სრული სურათის წარმოდგენა და ამდენად „მოგზაურობაში“ მოცემული ცნობების სათანადოდ გაგებაც გამწვანდებოდა სხვა წყაროების მოშველიების გარეშე.

მოვლენათა თანამიმდევრობა და ზოგადი სურათი ასეთი იყო.

1660 წელს იმერეთის ტახტზე ავიდა ბაგრატ IV ალექსანდრეს ძე. პირველად მან სულ რამდენიმე თვე იმეფა. დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა, მისმა დედინაცვალმა, ბაგრატს თვალები დასთხარა და ტახტი წაართვა. დარეჯანმა იმერეთის ერთ-ერთი დიდებული, ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, რომელსაც „ბაგრატიონად იტყოდნენ“⁹⁷, ქმრად დაისვა და ერთ ხანს იმეფა ასთან ერთად. მაგრამ მალე მათ დიდებულები აუჯანყდნენ. დიდებულთა ერთმა ნაწილმა დადიანს მიმართა დახმარებისათვის, მეორემ კი ქართლის მეფე მოიწვია. ვამეყ დადიანმა დაასწრო, შეიჭრა იმერეთში, აიღო ქუთაისის ციხე და ვახტანგს დასთხარა თვალები⁹⁸.

ქართლის მეფე ვახტანგ V-მაც არ დააყოვნა. იგი ჯარით გადავიდა იმერეთს და ქვეყნის დიდი ნაწილი დაიჭირა. დადიანი და ვახტანგი მორიგდნენ; იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი ქართლის სამეფოს შეუერთდა, ხოლო დასავლეთი ნაწილი სამეგრელოს. ეს მოხდა 1660 წლის შემოდგომაზე ან 1661 წლის დასაწყისში⁹⁹.

ვახუშტის ცნობით, ამ არეულობით უსარგებლია ახალციხის ფაშას, ასლანსაც, შემოსულა იმერეთში, მოუოხრებია ქვეყანა, ვახტანგი და დარეჯანი დაუტყვევებია და თან წაუყვანია (იხ. შენ. 228).

1661 წელს ვახტანგ წ კვლავ გადავიდა იმერეთში. იმერელი ფეოდალების დიდი ნაწილი ვახტანგს მიუვიდა. მან მთელი იმერე-

თის ციხეები დაიჭირა, დალაშქრა სამეგრელოც, ვამეყ დადიანი და-
ამარცხა და იგი, სვანეთში გაქცეული, იქ მოაკვლევინა. სამეგრე-

⁹⁷ პარიზის ქრონიკა, ზ ჭიჭინაძის რედ., 1903, გვ. 65-66.

⁹⁸ სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ზემოთ მოტანილი ბიჭვინტის სიგელი, რომელშიაც ვამეყი სრულიად საქართველოს მპყრობელად იხსენიებს თავს. იხ. ს. კ ა-
კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი პირველი, 1921,
გვ. 67.

⁹⁹ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ, გვ. 438.

ლოში ლევან II ძმისწული შამადავლე იოსების ძე (ლევან III)
გამთავრა. იმერეთის ტახტზე დასვა თავისი შვილი რჩილი და
იმერეთის თავადებს ახალი მეფის ერთგულებაზე ფიცი დაადებინა¹⁰⁰.

იმერეთის დიდებულებმა არჩილი მაინც ვერ იგუეს. არჩილ-
მა იმერეთში 1663 წლამდე იმეფა. თურქეთის დაჟინებითი მოთ-
ხოვნით იგი უკან გაიწვიეს¹⁰¹.

ამ დროს თურქები კვლავ იმერეთში არიან. მათი დახმარებით
იმერეთის ტახტი ამჯერად დემეტრე გურიელმა დაიჭირა. „მან
ლევან III დადიანიც განდევნა და იწოდებოდა მეფედ, დადიანად
და გურიელად“¹⁰². არც დემეტრეს ეწერა დიდხანს მზეგრძელობა.
მალე, ოსმალების წასვლისთანავე, იმერელმა დიდებულებმა ის-
იც დააბრმავეს და მეფედ კვლავ ბაგრატ IV ისურვეს.

შინაური ომები კვლავ მძვინვარებდა. ახლა ლევან დადიანმა
შემოუტია იმერეთს. ბაგრატმა იგი დაამარცხა და ტყვედ ჰყო.

უფრო ძნელი აღმოჩნდა განდგომილ ფეოდალთა დათრგუნვა.
„ჟამებთა ამათ შინა განუდგნენ მთავარნი და მიიტაცებდიან თა-
ვისთვისთა მხარეთა და არღარა იყო მორჩილება ეგდენი მეფე-
თაო“ – ამბობს ვახუშტი¹⁰³. მეფის სახლთხუცესმა სეხნია ჩხეი-
ძემ „მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთათისისა და შე-
აყენა ოსმალნი“¹⁰⁴.

არ ცხრებოდა დარეჯანიც. 1668 წელს მან ახალციხის ფაშასა-
გან ჯარი იქირავა და იმერეთში შემოვიდა. მას მიემხრნენ დადი-
ანი, გურიელი და სეხნია ჩხეიძე. ბაგრატი ლეჩხუმს გაიქცა.
„ოსმალთა მოსრნეს, მოსტყვევენეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალ-
ნი ხატნი და ჯვარნი, მოსწვეს ქვეყანანი და ეკლესიანი“¹⁰⁵. დარე-
ჯანმა და ვახტანგმა ერთხელ კიდევ დაიკავეს იმერეთის ტახტი, მა-

¹⁰⁰ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 441. შესაძლებელია
სწორედ ამიტომ თვლიდა ვახტანგ V თავის თავს „ლიხთიმერის“ პატრო-
ნადაც პოლონეთის მეფისადმი მიწერილ წერილში, ანდა სწორედ ამას გუ-
ლისხმობდა, როდესაც შარდენს ეუბნებოდა – ჩემი სამფლობელო შავ ზღვამდე
არისო გადაჭიმული, მაგრამ 1671 (ე. ი. წერილის გაგზავნის დროს) – 1672

წლებში ვახტანგს დასავლეთ საქართველოზე ხელი აღარ მიუწვდებოდა.

¹⁰¹ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 442.

¹⁰² იქვე, გვ. 443.

¹⁰³ ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება იმერეთისა, ქ. ც, II, 1854, გვ. 204.

¹⁰⁴ იქვე.

¹⁰⁵ იქვე.

52

გრამ ამჯერადაც მცირე ხნით. მალე ისინი დახოცეს და იმერეთში კვლავ ბაგრატი გაბატონდა.

სამეგრელოსა და იმერეთს შორის ურთიერთობა კვლავინდებურად დაძაბული იყო. ლევან III ნიადაგ თავს ესხმოდა ბაგრატს, საბოლოოდ ყოველთვის მარცხდებოდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ასე მოხდა 1671 წელსაც. იმერეთში შემოსულ ლევანს ბაგრატი გაერიდა, ლეჩხუმს შეაფარა თავი, იქ ჯარი შეკრიბა და სამეგრელოს მთავარს ამჯერადაც მარცხი აგემა.

ბაგრატს მოსვენებას არ აძლევდა გიორგი გურიელიც. მან ახალციხის ფაშისაგან ჯარი ითხოვა და 1672 წელს ოსმალებს ქუთაისში შემოუძღვა. ბაგრატი შეიპყრეს. მეფემ ახალციხის ფაშას ქრთამი მიართვა, თან შვილიც მისცა მძევლად და ტახტი დაიბრუნა¹⁰⁶. ოსმალებმა იმერეთი დაარბიეს, მაგრამ ქვეყანა ისე იყო გაძარცვული, რომ, შარდენის ცნობით, მათ ველარაფერი მოიპოვეს გარდა ტყვეებისა.

ამის შემდეგ ოსმალებმა გურიელთან ერთად სამეგრელოც დალაშქრეს. შემოადგნენ რუხის ციხეს. ციხე ვერ აიღეს, მაგრამ ორი ათასსზე მეტი ტყვე წაასხეს, უამრავი ნადავლი წაიღეს და უკან წავიდნენ.

საქართველოში შარდენის ჩამოსვლა ოსმალების სწორედ ამ შემოსევას დაემთხვა.

შარდენი ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან მხოლოდ ზოგიერთზე ლაპარაკობს და საკმაოდ დაწვრილებითაც. იგი თვითონვე ამბობს, რომ მისი მონათხრობი არ არის სრული, რომ 1667-1672 წლებში იმერეთში ასამდე ანალოგიური ამბავი მოხდა (რიცხვი გადაჭარბებულია, მაგრამ იგი ისეთი ინტონაციით არის ნათქვამი, რომ „მრავალს“ უფრო ნიშნავს), მაგრამ მათ შესახებ მოგზაური განზრახ არაფერს ამბობს. ლაპარაკობს მხოლოდ ჩხარის ბრძოლაზე, რომელიც სინამდვილეში 1666 წელს მოხდა (იხ. შენ. 246).

ცხადია, ასეთ დროს იმერეთში მეფის ძალაუფლება უაღრესად დაკნინებული იყო. უსინათლო ბაგრატი არც იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ძლიერი ხელისუფალი. შარდენთან საუბრის დროს იგი ჩივის, რომ მას საკუთარი ნება-სურვილით არაფრის გაკეთება არ შეუძლია და მთლიანად კარის მოხელეებზეა დამოკიდებული.

არც ბაგრატის მუდმივი მოქიშპე სამეგრელოს მთავარი გამო-
ირჩეოდა დიდი სახელმწიფოებრივი გამჭრიახობით. მაკარი ანტი-
ოქელის დახასიათებით იგი სუსტი მმართველი იყო, არც ძალა
ჰქონდა და არც სამხედრო საქმისა გაეგებოდა რამე. სამთავროში
მთელი ძალაუფლება კარის მოხელეებს ეპყრათ, რომლებიც მთა-
ვარს არ ემორჩილებოდნენ და ყველაფერს თავიანთი ნება-სურვი-
ლით აკეთებდნენ. ლევანს რომელიმე მათგანის დასჯა არ შეეძ-
ლო¹⁰⁷. ამას ადასტურებს შარდენის ცნობაც: როდესაც ლევანს
მოგზაურმა მმართველების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მან უც-
ხოელ სტუმარს უარი შემოუთვალა იმ მიზეზით, რომ ომიანობაა
და დიდებულები არ ემორჩილებიანო.

ლევანის დაახლოებულ პირთა შორის იყო „მოგზაურობაში“
არა ერთხელ ნახსენები ცნობილი მედროვე კაცია ჩიქვანი, „კაცი
მხნე და შემძლებელი საქმეთა“, მაგრამ ამასთანავე „უღვთო და
მესისხლე“. „ესე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური“, რომე-
ლიც ერთ ხანს იმერეთის კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა.
შემდეგ მიეკედლა ლევანს, რომელმაც იგი „თვისად მისანდობელ
ჰყო ფრიად“ და სალიპარტიანო მისცა. კაცია აზრახებდა დადიან-
სა და მოსვრიდიან წარჩინებულთა ოდიშისათა“¹⁰⁸.

შარდენის დასკვნით „სამეგრელოს ეს მთავარი ახალგაზრდა
ოყო, ბაგრატი კი უსინათლო. ორივეგან დიდგვარიანი მოხელეები გა-
ნაგებდნენ სახელმწიფოს“.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შინაურ მოუ-
წესრიგებლობას, მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციას,
ურთიერთშორის ნიადაგ კინკლაობას სრული კატასტროფის პირამ-
დე მიყავდა ქვეყანა. მათი პოლიტიკური, ეკონომიური და სამ-
ხედრო სისუსტით, პირველ ყოვლისა, ოსმალეთი სარგებლობდა, რა-
საც შარდენიც მშვენივრად ხედავდა.

შარდენს კარგად აქვს შემჩნეული დასავლეთ საქართველოში
ოსმალთა პოლიტიკის ძირითადი არსი. ურთიერთმოქიშპე მეფე-მთა-
ვრები, როგორც ვნახეთ, ხშირად თურქებს უხმობდნენ ხოლმე და-
ხმარებისათვის. ისინიც სიამოვნებით თანხმდებოდნენ ქვეყნის ში-
ნაური მდგომარეობის „მომწესრიგებლის“ როლზე – ერთ-ერთი
მათგანის დახმარების საბაზით და მისსავე მხარდამხარ თავს ესხ-
მოდნენ მეორეს, რის შედეგადაც ყველა თავიანთ მოხარკეებად

¹⁰⁷ П. Ж у з е, დასახ. ნაშრ. გვ. 56.

¹⁰⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება იმერეთისა, გვ. 206-207.

გაიხადეს ერთმანეთის მიყოლებით. „მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე აფხაზთა მთავარმა, გურიელმა და დადიანმა, ხოლო უფრო გვიან იმერეთის მეფემაც, იკისრეს ოსმალთა-ყოველწლიური ხარკი“¹⁰⁹.

ოსმალებს, ცხადია, ხელს არ აძლევდა დასავლეთ საქართველოს ერთი რომელიმე ხელისუფლის ხელქვეით გაერთიანება და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამის საწინააღმდეგოდ. ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ცალკეული სამეფო-სამთავროების საოსმალო ხარკი სხვადასხვა ზომისა იყო.

იმერეთის მეფე ყოველწლიურად ხარკის სახით 80 ყმაწვილს გზავნიდა ოსმალეთში. ანალოგიური ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული გურიელსაც. მასაც ახალციხის ფაშისათვის ყმაწვილები უნდა გაეგზავნა, მხოლოდ უფრო ნაკლები რაოდენობით (46 ქალ-ვაჟი).

დადიანი მხოლოდ სელის ტილოს იხდიდა. ბუნებრივია, რომ ეს ხარკი, რაც არ უნდა ყოფილიყო იგი (70 ათასი არშინი), სამეგრელოს გაცილებით უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა იმერეთსა და გურიასთან შედარებით. სამეგრელოს ამგვარი პრივილეგირებული მდგომარეობა, ლამბერტის ცნობით, ლევან II დროს დამკვიდრებულა¹¹⁰, მაშინ როცა ოდიში ძლიერ სამთავროს წარმოადგენდა და ოსმალებიც იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ლევან მეორისათვის.

თუმცა ლევან II შარდენის საქართველოში ყოფნის დროს კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და სამეგრელოც უკვე აღარ წარმოადგენდა უწინდებურად ძლიერ სამთავროს, მაგრამ, როგორც ჩანს, თურქებს ჯერ ვერ მოეხერხებინათ ესარგებლათ შეცვლილი ვითარებით და შარდენს ძველი მდგომარეობა დახვედრია.

ამ საკითხთან დაკავშირებით შარდენს მეტად საინტერესო ცნობა მოუპოვება აფხაზების შესახებ. იგი ამბობს, რომ ხარკს უწინ აფხაზებიც იხდიდნენ, მაგრამ ახლა აღარ იხდიანო. ავტორი თვითონ არ განმარტავს, თუ რატომ არ იხდიდნენ აფხაზები საოსმალო ხარკს და არც ქართულ საისტორიო წყაროებში მოიპოვება ამ კითხვაზე პასუხი. როგორც ვიცით, 1634 წელს ლევან II-მ აფხაზეთი დალაშქრა და აფხაზთა მთავარი მოხარკედ გაიხადა. თუმცა

¹⁰⁹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 352.

¹¹⁰ ა. ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

აფხაზეთის მთავრის მორჩილება ლევან მეორისადმი ნომინალური იყო¹¹¹, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დადიანის „სათათრო გამოსაღებში“ შერვაშიძის წილიც იგულისხმებოდა. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფხაზეთი და სამეგრელო როგორც ერთი ქვეყანა, ისე უხდიდა ოსმალებს ხარკს.

გამორიცხული არ არის მეორე შესაძლებლობაც: ამ დროს სოხუმის ციხეში, ისევე როგორც ბათუმში, ციხისძირსა და ფოთში, ოსმალთა ჯარი იდგა უფრო მეტიც, თურქებს აფხაზეთში თავიანთი ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელიც ჰყავდათ, ჯერ ბეი და შემდეგ ფაშა, რომელსაც სოხუმშივე ჰქონდა რეზიდენცია¹¹². ამიტომ შესაძლოა, პორტა თუ მთელ აფხაზეთს არა, მის ნაწილს მაინც (სოხუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს) დაპყრობილად თვლიდა და ასეთ ქვეყანას, ბუნებრივია, საოსმალო ხარკი აღარ მოეკითხებოდა. აქ, ალბათ, ჩვეულებრივი ოსმალური საგადასახადო სისტემა მოქმედებდა, როგორც ეს იყო, მაგალითად, აჭარაში.

თუ აფხაზები ხარკს არ უხდიდნენ თურქებს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავროთა მოსახლეობასთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. აფხაზი ხალხის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ არანაკლებ ხანგრძლივი და მწვავე იყო¹¹³ და შედეგებიც უფრო მძიმე და საზიანო ჰქონდა.

მიუხედავად იმ საყოველთაო ანარქიისა და დაძაბუნებისა, რომელსაც XVII საუკუნის 70-იან წლებში განიცდიდა დასავლეთ საქართველო, თურქეთი მაინც ვერ ახერხებდა ამ მხარის სრულ დაპყრობა-დამორჩილებას. 1672 წელს ახალციხის ფაშის აქ შემოსვლას ჩვეულებრივი რბევა-თარემის სახე და მიზანი ჰქონდა, რასაც ხშირად ჩადიოდნენ ხოლმე ოსმალები და რომლის შემდეგაც კვლავ უკან ბრუნდებოდნენ დიდძალი ნადავლით, ტოვებდნენ რა ამ ქვეყნებს უწინდებურად მოხარკის მდგომარეობაში. მაგრამ ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. თურქები უფრო ეფექტურ საშუალებებს ეძებდნენ დასავლეთ საქართველოში საკუთარი ძალაუფლების დასამყარებლად.

¹¹¹ З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ, გვ. 121; ლამბერტი, დასახ. ნაშრ. გვ. 22.

¹¹² З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

¹¹³ დ. გვრიტიშვილი, დასახ., ნაშრ., გვ. 446.

ჩააყენეს და დიდი ხნის განმავლობაში ეპყრათ იგი. ეს ოსმალთა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო იმერეთის სრული დამორჩილების გზაზე. მართლაც, ახალციხეში შარდენს შეუტყვია, რომ თურქებს ამ მხარის დაპყრობა და აქ ფაშას დასმა ნდომიათ. მაგრამ მომხდურმა მტერმა ამ მისთვის სანუკვარ მიზანს ვერც მაშინ მიაღწია და ვერც შემდგომ, ქართველი ხალხის თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

დასავლეთ საქართველოში თურქების წარუმატებლობის მიზეზად შარდენს ის მიაჩნია, რომ აქ ისინი მაჰმადიანობას ვერ ავრცელებდნენ და ციხეებს ვერ აგებდნენო. ცხადია, ნამდვილი მიზეზი სულ სხვა იყო. პირველ ყოვლისა, ხალხის ქედმოუხრელობა მოძალადეების წინაშე, რასაც სხვა წყაროებთან ერთად თვით „მოგზაურობაში“ მოტანილი არა ერთი ფაქტი გვიდასტურებს.

გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს საქმეებში ხშირად და აქტიურად ერევა სპარსეთის შაჰიც, უმეტესად ქართლის მეფის მეშვეობით, ზოგჯერ კი პირადადაც ამის აღკვეთა, როგორც ჩანს, თურქეთს არ ძალუძს. შარდენი ერთგან შენიშნავს, რომ ეს ქვეყნები დროდადრო სპარსეთსაც უხდიან ხარკსო. ორ ფრონტზე მებრძოლი ქართველი მეფე-მთავრები თვით ამ ქვეყნებს შორის გადაულახავ წინააღმდეგობას თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ.

თუ შარდენი დასავლეთ საქართველოს (უფრო კი სამეგრელოს) ისტორიას შედარებით სრულად მოგვითხრობს, აღმოსავლეთ საქართველოს წარსულზე ლაპარაკის დროს იგი ყურადღებას ამახვილებს ძირითადად სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე და ამ ზღვარს იშვიათად გადადის ხოლმე, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია მისი პირველწყაროების თავისებურებით. რაკი ლევან II დადიანის დროინდელი სამეგრელოს ცხოვრების შესახებ მას მეტი წერილობითი ცნობები ჰქონდა ხელთ, ამდენად „მოგზაურობაში“ ეს ამბები უფრო ფართოდ აისახა, ვიდრე იმერეთის, გურიის ან აფხაზეთის ისტორია. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებს, შარდენის დასაყრდენი „სპარსეთის ისტორიები“ ყოფილა და სავსებით კანონზომიერია, რომ მათში „სპარსელების მიერ საქართველოს დაპყრობა“ იქნებოდა მთავარი საკითხი და არა საკუთრივ საქართველოს ისტორია. ამდენად შარდე-

ნის თხრობის საგანი ამ შემთხვევაში სპარსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ისევე როგორც სხვაგან, მოთხრობა ძალიან მოკლე, ზოგადი და სქემატურია, თუმცა ფაქტებისა და მოვლენების უხეშ დამახინჯებას არც აქა აქვს ადგილი.

სრულიად ლოგიკურია შარდენის მიერ სპარსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ თხრობის დაწყება XVI საუკუნის დასაწყისიდან, იმ დროიდან, როცა ირანში სეფიანთა ყიზილბაშური სახელმწიფო ჩამოყალიბდა და ამ დინასტიის დამაარსებელმა ისმაილ I-მა საქართველო დალაშქრა და დახარკა.

შარდენს აქ ერთი საინტერესო ცნობა აქვს დაცული: ქართველებს თურმე ისმაილისათვის მისი მეფობის დასაწყისში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევიათ. თუ რაში გამოიხატებოდა ეს დახმარება, შარდენს არა აქვს განმარტებული და ვერც ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში ვნახეთ ამის შესახებ რაიმე ცნობა.

ამ დროს აღმოსავლეთი საქართველო უკვე საბოლოოდ გათიშული იყო ქართლისა და კახეთის სამეფოებად¹¹⁴ და მათ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ ირანთან.

1518 წელს ისმაილის მიერ საქართველოს დალაშქრის შემდეგ მასთან გამოცხადებულან ქართველი მეფე-მთავრები, მორჩილება აღუთქვამთ და ხარკი უკისრიათ¹¹⁵. მაგრამ თუ ქართლისათვის ეს შეთანხმება მტრისაგან თავის დახსნის დროებითი საშუალება იყო, კახეთის მეფეები სხვაგვარად მოიქცნენ. „ამიერიდან ამ საუკუნის 90-იან წლებამდე კახეთ-ირანის ეს დამოკიდებულება არ შეცვლილა. კახთა მეფეების მთელი ცდა მხოლოდ იქით იყო მიმართული, რათა ეს დამოკიდებულება, რაც შეიძლებოდა, ადგილ-ასატანი ყოფილიყო“¹¹⁶. ქართლის მეფეები კი ათეული წლების მანძილზე მძიმე და უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ სპარსეთის წინააღმდეგ.

XVI საუკუნის 20-იან წლებში ქართლის მეფემ დავით X-მ (1505-1525) ისარგებლა თურქეთ-სპარსელთა შორის წარმოებულ-

¹¹⁴ ეს გათიშვა ჯერ კიდევ 1466 წელს მოხდა. იხ. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 262.

¹¹⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 228.

¹¹⁶ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 310.

ლი ომით, ჯერ ოსმალები გარეკა ქართლიდან და შემდეგ სცადა ირანის მოხარკეობისაგან თავი დაეხსნა. 1522 წელს ისმაილი კვლავ შემოვიდა ქართლში, დაარბია ქვეყანა, თბილისი აიღო და შიგ ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა, 1524 წელს ისმაილი გარდაიცვალა და ირანის ტახტზე მისი მცირეწლოვანი მემკვიდრე თამაზ I ავიდა. დავით X-მ არ დააყოვნა და ქვეყანა დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა.

1541 წლიდან იწყება შაჰ-თამაზის არაერთგზის შემოსევები

საქართველოში. ამ დროს ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას სპარსელების წინააღმდეგ სათავეში უდგას ქართლის მეფე ლუარსაბ I (1534-1558), ლუარსაბი, რომელიც „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის დროშად იქცა ირან-ოსმალეთის მოძალადეობის შავბნელ ხანაში“¹¹⁷.

1555 წელს ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო, რომლითაც ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა დაისაკუთრა, ხოლო მთელი დასავლეთ საქართველო – ოსმალეთმა. მაგრამ ლუარსაბი სულაც არ უწყევდა ანგარიშს მათ შორის გარიგებას და ქვეყნის ხსნისათვის ბრძოლას არ წყვეტდა.

როგორც ვხედავთ, ქართველები არც შაჰ-ისმაილს და არც შაჰ-თამაზს ისე უდრტვინველად არ უხდიდნენ ხარკს, როგორც ეს შარდენის სიტყვებიდან შეიძლება დაასკვნას მკითხველმა.

შარდენი არც იმაშია მართალი, როცა ამბობს, რომ ლუარსაბმა თავის ორ შვილს გაუნაწილაო სამეფო. ლუარსაბი 1558 წელს გარისის ბრძოლაში დაიღუპა. მისი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიკავა მისმა უფროსმა შვილმა სიმონმა, რომელიც მამის პოლიტიკას განაგრძობდა, მაგრამ მალე ძმამ, დავითმა, უღალატა, მიუვიდა შაჰს, გამაჰმადიანდა და თბილისისა და ქართლის მეფობა მიიღო. მალე სიმონი ტყვედ ჩაუვარდა ირანის შაჰს (1569 წ.).

ამასობაში შაჰ-თამაზი გარდაიცვალა (1576) და შაჰის კარზე დიდი არეულობა დაიწყო. ამით ისარგებლეს ოსმალებმა და სპარსეთის წინააღმდეგ დაიძრნენ. 1578 ოსმალთა სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. ვერც სპარსელებმა და ვერც ქართლის მეფე დაუთ-ხანმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. შაჰი ხუდაბენდე იძულებული გახდა ქართლში ოსმალებთან საბრძოლველად კვლავ სიმონი გამოეგზავნა. სიმონი

¹¹⁷ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 308.

მთელი ოცი წლის განმავლობაში მედგრად ებრძოდა ოსმალებს. მართალია, ქართველებმა ურიცხვი მტრის განდევნა ქვეყნიდან ვერ მოახერხეს, მაგრამ „ქართველობა კი არ დათმეს და ქვეყნის სწრაფი გაოსმალების განზრახვაზე დამპყრობელს ხელი ააღებინეს“¹¹⁸. 1660 წელს სიმონ მეფე ოსმალებს ჩაუვარდა ტყვედ, რომლებმაც იგი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს და აქ დალია სული სამშობლოს წინაშე ვალმოხდილმა მეფემ.

1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და საქართველო მთლიანად ოსმალეთმა მიიტაცა¹¹⁹. მაგრამ ეს ზავი შაჰ-აბასმა 1602 წელს დაარღვია და თავის ერთ-ერთ პირველ საზრუ-

ნავად ამიერკავკასიის თურქეთის ხელიდან გამოგლეჯა გაიხადა. მალე შაჰ-აბასმა ქართ-ლკახეთი „შემოიერთგულა“. ქართლ-კახეთის მეფეებმა გიორგი სიმონის ძემ და ალექსანდრე ლეონის ძემ შაჰის ერთგულება საკუთარი ნებით აღიარეს – ჯარით ეახლნენ მას ერევნის ციხის აღების დროს. „ორ აგრესორს შორის არჩევანის იძულებული ქართველები უფრო ერანს ირჩევდნენ, მაგრამ ეს წინასწარ აღიარებული უთუო და უთუმცაო დებულება სრულიად არ ყოფილა. მე-16 საუკუნეში ერან-შაჰების ცდები საქართველოში ყიზილბაშური წეს-წყობილების შემოდებისა ჯერ კიდევ სუსტი იყო. ყაენი იძულებული იყო ქართლ-კახეთის და მესხეთის მოხარკეობით დაკმაყოფილებულიყო. ამდენადვე ქართველობას მე-16 საუკუნეში ერანის მხრით უშუალო საფრთხე არ უდგა. თავისი მეტოქისაგან განსხვავებით ოსმალეთი იმთავითვე საქართველოს მიმართ დაპყრობის (ინკორპორაციის) პოლიტიკას ახორციელებდა. „ოსმალეთის“ (ე. ი. ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების) დანერგვით „ქართველობის“ მოსპობას ცდილობდა (თუმცა უკომპრომისო არც ოსმალეთის პოლიტიკა იყო და სადაც დაპყრობას ვერ ახერხებდა, იქ მოხარკეობასაც სჯერდებოდა) და რამდენადაც და სანამ ეს ასე იყო, ქართველთა არჩევანიც ერანის მხარეზე იყო... ორ ბოროტებას შორის საქართველო უმცირეს მათგანს ირჩევდა“¹²⁰.

¹¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 320.

¹¹⁹ იქვე, გვ. 321.

¹²⁰ ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1944, გვ. 115-116.

მართალია, ნ. ბერძენიშვილის ამ დასკვნაში მხოლოდ XVI საუკუნეზეა ლაპარაკი, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას XVII საუკუნის პირველი წლების შესახებაც, როდესაც ირანის შაჰი აბას I საქართველოს მიმართ ჯერ კიდევ ფრთხილ და კომპრომისულ პოლიტიკას ეწეოდა. ცბიერი შაჰის პოლიტიკა იმითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოსადმი ამ დროს რუსეთიც დიდ ინტერესს იჩენდა. „ამიერიდან ამიერკავკასიის ასპარეზზე ორი კი არა, სამი დიდი ძალა ექიშპებოდა ერთიმეორეს“¹²¹.

შარდენი ვრცლად მოგვითხრობს ირან-საქართველოს ურთიერთობაზე შაჰ-აბასის დროს, მის შემოსევებზე საქართველოში, თეიმურაზისა და მისი დედის – ქეთევანის შესახებ, რომლის მოწამეობრივი სიკვდილი მოგზაურში დიდ ადამიანურ თანაგრძნობას იწვევს. ლაპარაკდობს ლუარსაბ II-ზე, გიორგი სააკაძეზე, მათ და-

მოკიდებულებაზე ერთმანეთთან და სხვა მრავალ საკითხზე. უნდა აღინიშნოს, რომ „მოგზაურობის“ ისტორიულ ნაწილში ეს მონაკვეთი განსაკუთრებით ვრცელია. აქ შარდენი ძირითადად პიეტრო დელა-ვალეს ეყრდნობა¹²². არ არის გამორიცხული, რომ იგი ისკანდერ მუნშის თხზულებასაც¹²³ იცნობდა.

1606 წელს შაჰ-აბასი იძულებული იყო კახეთში კახელებისათვის სასურველი ქრისტიანი თეიმურაზ I დაესვა ტახტზე, ხოლო ქართლის მეფობა მცირეწლოვან ლუარსაბ გიორგის ძისათვის მიეცა. მაგრამ, როგორც შარდენი აღნიშნავს, „ყველანი კარგად ხედავდნენ, რომ ამ მთავარს (შაჰ-აბასს – მ. მ.) უნდოდა ქართველები თავის ქვეშევრდომებად გაეხადა. მრავალი ქართველ ჰყავდა თავის ჯარში. მრავალ წარჩინებულს აძლევდა ჯამაგირს საქართველოში... დაბოლოს, იმასაც კი მიაღწია, რომ საქართველოს სამეფო სისხლის რამდენიმე მთავარს მაჰმადიანობა მიაღებინა, რათა სამეფისნაცვლოები გაემრავლებინა და დიდი შემოსავალი მიეღო“. მაგრამ შაჰის ასეთი მშვიდობიანი პოლიტიკა მხოლოდ დროებითი იყო. 1613 წლის ირან-ოსმალეთის ზავმა, რითაც ირანმა თავისი უფლებები დაიბრუნა ქართლზე, კახეთსა და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე¹²⁴, შაჰ-აბასს სამოქმედოდ ხელ-ფეხი გაუბ-

¹²¹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 125.

¹²² იხ. პ ი ე ტ რ ი დ ე ლ ა-ვ ა ლ ე, ივერია, 1899, № 3.

¹²³ იხ. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969.

¹²⁴ ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 342.

სნა. მან კარგად იცოდა, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი სანდონი არ იყვნენ. 1614 წელს მან დალაშქრა საქართველო. შინაგანი აშლილობის გამო, რომელშიაც ცბიერი შაჰის ხელი ერია, ქვეყანამ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია მტერს. თეიმურაზმა და ლუარსაბმა იმერეთს შეაფარეს თავი. შაჰმა ოსმალების რიდით იმერეთში გადასვლა ვერ გაბედა, ხოლო იმერეთის მეფემ გიორგიმ სტუმრები არ გასცა. მიუხედავად ამისა, ლუარსაბი, შაჰის დაპირებებით მოტყუებული, მაინც მალე მტერს ჩაუვარდა ხელში და დაიღუპა. შაჰ-აბასმა ქართლში ბაგრატი-მირზა, ხოლო კახეთში ისახანი გაამეფა, „საქართველოს სამეფო სისხლის“ სწორედ ის წარმომადგენლები, რომელთაც შაჰმა მაჰმადიანობა მიაღებინა.

1616 წელს შაჰ-აბასი მეორედ მოვიდა საქართველოში, მაგრამ შარდენმა ამ შემოსევის უმთავრესი მიზეზი არ იცის. მიზეზი კი კახელების აჯანყება იყო, რომლებმაც კვლავ თეიმურაზი მოიწვიეს მეფედ. ეს იყო ქართველი ხალხის ისტორიაში არნახული ტრაგედია, რომლის დროსაც განსაკუთრებით კახეთი დაზარალდა. და-

დგა ჟამი ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობის საშიშროებისა. შაჰმა კახეთიდან „ოთხმოც ათას ოჯახზე მეტი აყარა“ და ირანის შიდა რაიონებში გაასახლა. ამის შემდეგ თითქოს უცნაურად ჩანს შარდენის დასკვნა ირანსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმების თაობაზე, რომელსაც მოგზაური შაჰ-აბასის ღმობიერების გამოხატულებად თვლის და რომელიც შაჰსა და მის მემკვიდრეებს უნდა შეესრულებინათ: „მათ ქვეყანას (საქართველოს – მ. მ.) სრულებით არ უნდა დაკისრებოდა გადასახადი; არ უნდა შეცვლილიყო სარწმუნოება; ეკლესიები არ უნდა დანგრეულიყო და მეჩეთები არ უნდა აშენებულიყო. მათი მეფისნაცვალი მუდამ ქართველი იქნებოდა მათივე სამეფო გვარიდან, მაგრამ სარწმუნოებით მაჰმადიანი; მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, რომელსაც სურვილი ექნებოდა სარწმუნოება შეეცვალა, მმართველისა და მთავარ-მოსამართლის თანამდებობას მიიღებდა ისფაჰანში იმ დრომდე, ვიდრე მამისაგან მემკვიდრეობა არ გადაეცემოდა“.

„მოგზაურობაში“ მოტანილი ეს შეთანხმება მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, აქედან კარგად ჩანს, რომ შაჰ-აბასმა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა საბოლოოდ ვერ გასტეხა. მეორეც, შემდგომ, დიდი ხნის მანძილზე, საქართველოსა და ირანის ურთიერთობა ძირითადად სწორედ აქ ჩამოყალიბებულ პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობდა. ამ შეთანხმების მხოლოდ პირ-

62

ველი პუნქტი არ შეესაბამება რეალურ ვითარებას – ქართველები ყოველწლიურ ხარკს იხდიდნენ.

შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ (1629 წ.) თეიმურაზმა დრო იხელთა და ქართლ-კახეთი ორივე დაიჭირა, მაგრამ ამჯერადაც მცირე ხნით. აბასის მემკვიდრემ შაჰ-სეფიმ ქართლის მეფედ სიმონ მეფის ძმისშვილი, გამაჰმადიანებული როსტომი დანიშნა და დიდი ჯარით საქართველოში გამოისტუმრა. როსტომმა თეიმურაზი ქართლიდან განდევნა, ხოლო 1648 წელს კახეთიც შემოიერთა. როსტომიდან დაწყებული, ვიდრე 1744 წლამდე, ქართლის ტახტი მაჰმადიან მეფეებს ეჭირათ, რომელთაც „ვალი“, ე. ი. შაჰის „მოადგილე“ ეწოდებოდათ¹²⁵.

როსტომი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი გამოდგა. მან „სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ეღირსა. შეწყდა ყიზილბაშთა თარე-

ში. თავადების ურთიერთ მიხტომა-მოხტომაც თანდათან შენელდა. თავის სამფლობელოში როსტომმა წესიერება დაამყარა. გახიზნული ხალხი უკან დაბრუნდა და სოფლებმა მოშენება იწყო. აქა-იქ ქალაქებიც აღდგა, ვაჭრობა-ხელოსნობა გამოცოცხლდა ქვეყანაში. დოვლათი დატრიალდა¹²⁶.

აღმოსავლეთ საქართველოს ასეთი მოღონიერება ირანის შაჰისათვის, რასაკვირველია, სასურველი არ იყო. შარდენმა არ იცის, თუ რა მძიმე ვითარება შეიქმნა აქ XVII საუკუნის 60-იან წლებში. 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და ერთხელ კიდევ სცადეს შაჰ-აბასის გეგმის განხორციელება – დაიწყო კახეთში მომთაბარე თურქმანების ჩასახლება¹²⁷. კახეთი ამხედრდა. იმერეთში მყოფი თეიმურაზი აჯანყებისაკენ მოუწოდებდა კახელებს.

¹²⁵ იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 375-380.

¹²⁶ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 348.

¹²⁷ ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 393-395.

1659 წელს კახელები აჯანყდნენ, მტერი ერთიანად გაწყვიტეს „და განათავისუფლეს კახეთი თათართაგან და არა სადა იპოვებოდა თათარი“¹²⁸.

როსტომს შვილი არ ჰყავდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი გარდაცვალების შემდეგ (1658 წ.) ქართლის ტახტი ვახტანგ V მუხრან-ბატონმა დაიჭირა, რომელსაც სპარსულად შაჰნავაზ-ხანი ეწოდებოდა. იგი არსებითად როსტომის პოლიტიკას ადგა. მისი ზეობის უკანასკნელ წლებამდე ქვეყანაში მშვიდობიანობა სუფევდა.

შაჰნავაზს, ისევე როგორც როსტომს, ქართლში მოსვლამდე ირანის შაჰის კარზე დიდი თანამდებობა ეჭირა – იყო ისფაჰანის მმართველი. XVII საუკუნეში საერთოდ ირანში ბევრი ქართველი იმყოფებოდა, რაც შარდენისათვისაც კარგად იყო ცნობილი¹²⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ შარდენი, როგორც ვნახეთ, წინა ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიას შედარებით კარგად იცნობს, შაჰნავაზის მმართველობის შესახებ მისი ცნობები ძუნწი და ფრაგმენტულია. ამ შემთხვევაში მოგზაურს, როგორც ჩანს, სათანადო ისტორიული წყაროები არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სწორედეს ნაწილია „მოგზაურობაში“ განსაკუთრებით საინტერესო, რადგანაც იგი ავტორის უშუალო შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს.

ვახტანგ V-მ ტახტზე ასვლისთანავე დათრგუნა ურჩი და თავ-

გასული ფეოდალები. შარდენის სიტყვებით მან „ერთი მესამედით“ გაზარდა თავისი სამფლობელო. როგორც ვნახეთ იგი აქტიურად ერეოდა დასავლეთ საქართველოს საქმეებში. თუმცა მისმა შვილმა, არჩილმა, იმერეთის ტახტი ვერ შეინარჩუნა, მაგრამ საქართველოს ყველა მეფე-მთავარს მისი „დიდი შიში და რიდი“ ჰქონდა.

1663 წელს მოხუცი თეიმურაზი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ირან-ოსმალეთის ბრძოლას შეაღია, სამშობლოდან გადახვეწილი, ირანში გარდაიცვალა¹³⁰. ვახტანგს კახეთის შემოერთებისათვის შესაფერი დრო დაუდგა. მან, მართალია,

¹²⁸ ბ ე რ ი ე გ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 205.

¹²⁹ წინამდებარე გამოცემის გარდა იხ. აგრეთვე: Voyages..., V, გვ. 225-235, 283, 307-308, 323; ტ. VI, გვ. 18, 42, 152, 424; ტ. VIII, გვ. 70.

¹³⁰ ირანში შარდენს უნახავს „თეიმურაზ-ხანის სასახლე“ და შაჰ-აბასის მიერ დასაჭურისებული და გამაჰმადიანებული მისი ორი შვილი. Voyages..., ტ. VII, გვ. 424.

64

ვერ გააუქმა კახეთის სამეფო, მაგრამ აქ ტახტზე არჩილი დასვა (1663 წ.) და ამით ქართლი და კახეთი გააერთიანა.

ვახტანგმა შეძლო მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა ოსმალეთსა და სპარსეთთან. როდესაც იგი შარდენს უთვლის „სპარსეთში დიდი პატივით ვსარგებლობ და თურქეთშიც მეტად დაფასებული ვარო“, ამაში არაფერია გადაჭარბებული. ვახტანგი ამ ორი სახელმწიფოს მიმართ მეტად ფრთხილ და მოქნილ პოლიტიკას ადგა.

ვახტანგმა და არჩილმა მოახერხეს ლეკების (შარდენი მათ ამ სახელით არ იცნობს) თარეშის ალაგმვაც. „ამისათვის მარადის ემატებოდა და შენდებოდა კახეთი და იყუნენ შეერთებულნი ქართველთა თანა უღველითურთ“¹³¹.

შარდენის თქმით, „საქართველოს მთავარი უყოყმანოდ როდი ასრულებდა სპარსეთის ხელმწიფისბრძანებებს“, მას „ისეთივე წესით ესალმებიან, როგორც სპარსეთის ხელმწიფეს“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შარდენმა კარგად იცის, რომ ქართლ-კახეთი ირანის ქვეშევრდომია, რასაც შაჰნავაზი თვითონაც აღიარებს, როცა უარს ამბობს ევროპაში ოფიციალური წერილის გაგზავნაზე სპარსეთის ხელმწიფის დასტურის გარეშე.

შარდენის მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ ვახტანგ V ენერგიული მმართველი იყო, მაგრამ მის წარმატებებს ხელი შეუწყობს სხვა გარემოებებმაც, რაზედაც, მოგზაური არაფერს ამბობს. საქმის არის, რომ ამ დროს თვით ირანში კარგად შეიმჩნეოდა სამეურნეო და პოლიტიკური დაცემის ნიშნები¹³². ირანში, ფარსადან

გორგიჯანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აირივნეს კარიცა და ნაპირის ალაგიცა“¹³¹ ეს კი ვახტანგ V საშუალებას აძლევდა შედარებით თავისუფლად და დამოუკიდებლად ეგრძნო თავი და ქვეყნისათვის ირანის ბატონობა უფრო იოლი ასატანი გაეხადა¹³⁴.

შარდენის საქართველოდან წასვლის ორიოდე წლის შემდეგ აქ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ქართლ-კახეთსა და იმერეთში კვლავ არეულობა დაიწყო. ვახტანგ V საკუთარი შვილები განუდგნენ. არჩილი ახალციხეში გაიქცა და თურქეთს სთხოვა დახმარება.

¹³¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება კახეთისა, ქც, II, 1854, გვ. 127.

¹³² История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Ленинград, 1958, გვ. 299.

¹³³ ფ ა რ ს ა და ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 289.

¹³⁴ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 433.

შარდენს ყოველივე ეს შაჰნავაზის თვალთმაქცობად მიაჩნია. იგი ჩუმად სპარსელებთან საომრად ემზადებოდა და ამბოხება მოაწყო საკუთარი შვილებისა და თავადებისაო. შაჰნავაზს ირანში იბარებენ.

ეს ცნობები შარდენს საქართველოდან მიღებული წერილებით შეუტყვია.

1674 წელს რუსეთიდან ირანში ჩამოვიდა თეიმურაზ I შვილიშვილი ერეკლე, რომელსაც შარდენი პირადად შეხვდა. ერეკლე შაჰისაგან კახეთის ტახტს ითხოვდა. იგი, როგორც თეიმურაზის შთამომავალი, კახეთის ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა თავს. ამ საქმეში მას რუსეთის ხელმწიფეც უჭერდა მხარს. შაჰმა იგი „ხელმწიფური წყალობით“ მიიღო, აღუთქვა კახეთის ტახტი, მაგრამ მისგან გამაჰმადიანება მოითხოვა. შაჰის კარზე გადაწყდა ერეკლე არჩილისა და ვახტანგისათვის დაეპირისპირებინათ. ეს, რასაკვირველია, „შინაურ ომს გამოიწვევდა, სპარსელები ერთ-ერთ მათგანს მიემხრობოდნენ, ერთს მეორის საშუალებით დააშოშმინებდნენ და, ამგვარად, უფრო შეუზღუდავი ბატონ-პატრონები გახდებოდნენ ამ ქვეყნისაო“ – ამბობს შარდენი.

ეს ვახტანგ V-ს მშვენივრად ესმოდა. იგი რუსეთის ხელმწიფეს ატყობინებს, რომ ერეკლეს აღზევებით სპარსელებს საქართველოს სრული დაპყრობა და ქრისტიანობის მოსპობა სურთო.

მოვლენათა შემდგომი მსვლელობის შესახებ შარდენი უკვე აღარაფერს გვამცნობს. თხრობის სისრულისათვის დავუმატებთ მხოლოდ, რომ 1675 წელს მოხუცი ვახტანგ V იძულებული შეიქნა სპარსეთში წასულიყო და გზაში გარდაიცვალა. ქართლში გამეფდა მისი შვილი გიორგი. ერეკლე კვლავ ირანში იმყოფებოდა. ის დი-

დხანს უარს ამბობდა მაჰმადიანობის მიღებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა. 1688 წელს იგი გამაჰმადიანებული ნაზარალ-ხანის სახელით ქართლის მეფედ დანიშნეს და გამოისტუმრეს საქართველოში.

*
* *
*

შარდენის თხზულების ზემოთ განხილულ ბოლო ნაწილებში მკითხველი ხედავს, რომ საქართველოს საქმეებში აქტიურად ერევა რუსეთი. „მოგზაურობაში“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ სხვა მასალებიც მოიპოვება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც გვიან შუასაუკუნეებში „საქართველოებსა“ და რუ-

66

სეთს შორის მჭიდრო კონტაქტები არსებობდა და საქართველოს შესახებ თხრობის დროს შარდენი ამ საკითხებსაც გვერდს ვერ აუვლიდა.

ირან-ოსმალეთისაგან შევიწროვებული საქართველოს მეფეთავრები ხშირად მიმართავდნენ ერთმორწმუნე რუსეთს დახმარებისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა ამიერკავკასიაში. რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგშიც რეალურად დადგა საქართველოს სამეფო-სამთავროებთან დაახლოების საკითხი. რუსეთის ხელისუფალნი კარგად ხედავდნენ, თუ რ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად საქართველოს მოკავშირეობას, ძლიერი მტრის – ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს რუსეთი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ირანისათვისაც, რომელიც ისევე მტაცებლური თვალთ უყურებდა საქართველოს, როგორც ოსმალეთი.

ამასთანავე თვით რუსეთის რთული საგარეო და საშინაო ვითარება ამ ქვეყნის ხელისუფალთ საშუალებას არ აძლევდა აქტიურად ემოქმედათ ამიერკავკასიაში, რეალური დახმარება გაეწიათ საქართველოსათვის: თუმცა რუსეთი „თანდათან ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა თავშესაფრად იქცა“, „დიდი ხელმწიფე“ ქართველ მებრძოლებს ხშირად უცრუებდა პოლიტიკურ იმედებს¹³⁵.

რუსეთი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა საქართველოს მომხრობის საქმეს, რათა ოსმალეთის წინააღმდეგ მისი მოკავშირე და „მეგობარი“ ირანის შაჰი არ გაენაწყენებინა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მოსკოვის ხელმწიფე „საქართველოს გამაერთიანებლისა და მისი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ დამრწამველის როლში ვერ გამოვიდა“¹³⁶ და მისი „პტრონობა“ მხოლოდ იმით შე-

მოსაზღვრა, რომ ირანის შაჰს თხოვნით მიმართავდა ხოლმე მოწყალეობა გამოეჩინა საქართველოს მეფე-მთავართა მიმართ.

თავის მხრივ, ირანის შაჰები დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის სახით მოკავშირე ჰყოლოდათ ოსმალეთის წინააღმდეგ, ერიდებოდნენ „მეგობრის“ განაწყენებას და ამის გამო წინ ვერ აღუდგნენ რუსეთ-საქართველოს დაახლოებას, თუმცა არაფრად სიამოვნებდათ ამ ორი ქრისტიანი სახელმწიფოს ურთიერთობა. ისინი კარ-

¹³⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 150.

¹³⁶ იქვე გვ. 151.

გად ხედავდნენ, რომ „რუსეთის ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში ირანისათვის არანაკლებ საშიში იყო, ვიდრე ოსმალეთისათვის“¹³⁷.

ყოველივე ამის გამო ირანის შაჰებიც რუსეთის ყოველგვარ შუამდგომლობას საქართველოს საკითხებზე ფრთხილი ანგარიშიანობით უდგებოდნენ. საქართველოს მეფე-მთავართა შეწყალებისათვის თხოვნით მოსულ რუსეთის ელჩებს კეთილი სიტყვებითა და „ხელმწიფური წყალობით“ ისტუმრებდნენ, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდნენ, თუ მათთვის სასარგებლო არ იქნებოდა. ასეთი თვალსაზრისით უყურებს შარდენიც იმ ფაქტებს, რომლებიც მას „მოგზაურობაში“ აქვს მოტანილი.

როდესაც შაჰ-აბასმა 1614 წელს ხელთ იგდო ქართლის მეფე ლუარსაბ II, შარდენის ცნობით, მეფის მომხრე ქართველ დიდებულებს მოსკოვის დიდი მთავრისათვის უთხოვიათ აბასთან ლუარსაბისათვის ეშუამდგომლა. სწორედ ამ მიზნით რუსეთიდან დიდი ელჩობა ჩამოსულა სპარსეთის კარზე, მაგრამ შაჰს წინასწარ შეუტყვია ელჩობის მიზანი და ვიდრე ისინი მასთან გამოცხადდებოდნენ, თავისი განზრახვა – ლუარსაბის სიკვდილით დასჯა – სისრულეში მოუყვანია. შაჰს ელჩები დიდი პატივით მიუღია. უცნობებია მათთვის ლუარსაბის „შემთხვევითი“, „უეცარი“ დაღუპვის ამბავი და მწუხარება გამოუთქვამს რომ ამის გამო მის ძმას, რუსთ ხელმწიფეს, თხოვნას ვერი შეუსრულებდა.

შარდენტან ვხვდებით ცნობას თეიმურაზ I რუსეთთან ურთიერთობის შესახებაც. თეიმურაზმა „როცა ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო ვერც თურქებისაგან და ვერც ქრისტიანებისაგან, მოსკოვის სახელმწიფოში გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად; მაგრამ როცა აქაც ვერაფერს გახდა, იმერეთში წავიდა“.

როგორც ვიცით, თეიმურაზი I იყო ერთ-ერთი იმ ქართველ მეფეთაგანი, რომლებიც ქედს არ იხრიდნენ ირან-ოსმალეთის წინაშე და საქართველოს მომხდურთაგან. გამოხსნის საქმეს რუსეთს უკა-

ვშირებდნენ. ამ მხრივ თეიმურაზი თავისი პაპის, ალექსანდრეს, პოლიტიკას აგრძელებდა. 1639 წელს მან თავის დიდებულებთან ერთად რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიიღოდა სათანადო აქტსაც მოაწერა ხელი. თეიმურაზის ინიციატივით საქართველოს სხვა მეფე-მთავრებმაც დაამყარეს რუსეთთან კავშირი.

თეიმურაზი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთისაგან რა-

¹³⁷ ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 88.

68

იმე რეალური დახმარება მიეღო¹³⁸, მაგრამ ამ დროს რუსთ ხელმწიფეს არ შეეძლო აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში და მისი „მფარველობა“ კვლავინდებურად მხოლოდ დროდადრო გამოგზავნილი ფულადი დახმარებითა და შაჰის კარზე დიპლომატიური შუამდგომლობით გამოიხატებოდა. თეიმურაზი იძულებული იყო საკუთარი ძალებით შებრძოლებოდა ძლევამოსილ ირანს და ამ უთანასწორო ბრძოლაში „უიღბლობით საქვეყნოდ ცნობილმა“ მეფემ საშინელი მარცხი განიცადა. შაჰ-აბასმა მის თვალწინ ააწიოკა კახეთი, ამოუწყვიტა ოჯახის წევრები და იმედგადაწყვეტილმა მეფემ სიცოცხლის უკანასკნელი დღენი მაინც შაჰის ტყვეობაში დალია.

შარდენის ზემოთ მოტანილ ციტატაში ნაგულისხმევია თეიმურაზის მოსკოვში გამგზავრება 1658 წელს. იგი დიდი პატივით მიუღიათ, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე ამჯერადაც უარი უთქვამთ.

ამის შემდეგ თეიმურაზის ერთადერთ იმედს მისი შვილიშვილი ერეკლე წარმოადგენდა, რომელიც 1652 წლიდან რუსეთის კარზე იმყოფებოდა. როგორც აღინიშნა, ერეკლეს შარდენი პირადად იცნობდა და მის შესახებ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს.

ერეკლეს რუსეთის კარზე გამგზავრებას შარდენი ასე ხსნის: მას შემდეგ, რაც თეიმურაზის ძე დავითი გარდაიცვალა „ერეკლეს დედა მიხვდა, რომ ახალგაზრდა უფლისწულის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის სიცოცხლე საფრთხეში იყო, ამიტომ მან თავისი ვაჟი მოსკოვის სახელმწიფოში გახიზნაო“. მაგრამ შარდენმა არ იცის, რომ ერეკლეს მოსკოვში წასვლას პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა ეს იყო თეიმურაზის მიერ გადადგმული კიდეც ერთი ნაბიჯი რუსეთთან დაახლოებისათვის¹³⁹.

თეიმურაზის ამ გადაწყვეტილებამ, ცხადია, ირანის შაჰის შეშფოთება გამოიწვია. „რუსეთის გზით მიმავალ ქართველ ბატონიშვილს შაჰის განკარგულებით კავკასიონის გადასასვლელების მიდამოებში ყუმუხები ჩაუსაფრდნენ და მთელი ამაღა აუწიოკეს“¹⁴⁰. შარდენის თქმით, ქართველი ბატონიშვილი რუსეთის კარზე დიდი

¹³⁸ III. А. Месхиа и Я. Зю цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958, გვ. 77.

¹³⁹ იქვე, გვ. 75.

¹⁴⁰ ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბ., 1965, გვ. 32.

ერეკლეს მოსკოვში ყოფნა, როგორც ჩანს, ირანის ხელისუფალთ მოსვენებას არ აძლევდა. თეიმურაზს, ტყვეობაში ყოფნის დროს შაჰი ეუბნებოდა თურმე: „შენი შვილისშვილი მომგვარეო, კახეთსაც მოგცემო და სხვას მრავალს წყალობასაც დაგმართე ბო“¹⁴¹.

ერეკლე ბატონიშვილი საქართველოში პირველად 1660 წელს დაბრუნდა. იგი თუშეთში დადგა და არ ისურვა შაჰის კარზე გამოცხადება, გადაწყვიტა თუშების დახმარებით დაეკავებინა მამაპაპისეული ტახტი. ორჯერ შეებრძოლა ვახტანგ V-ს და არჩილს, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა და იძულებული შეიქნა კვლავ მოსკოვში დაბრუნებულიყო. შარდენის ცნობით, მისთვის „დიდ მთავარს“ (რუსეთის ხელმწიფეს) თავისი ასული მიუთხოვებია ცოლად.

1673 წელს რუსთ ხელმწიფე საგანგებო ელჩს გზავნის ირანის შაჰთან თხოვნით, რათა მან ერეკლეს დაუბრუნოს ტახტი. შაჰის კარზე გადაწყდა ამ შემთხვევის გამოყენება. როგორც ჩანს, სპარსეთში უნდოდან გაძლიერებული ვახტანგ V თავიდან მოშორება. ერეკლეს მოსკოვში უგზავნიან საპატიო ხალათს, მეფურ ფირმანებს და იწვევენ სპარსეთის შაჰის კარზე. ერეკლე სტოვებს მოსკოვს.

აქ ყურადღება უნდა შევაჩეროთ შარდენის ერთ ფრაზაზე: „დიდმა მთავარმა საკმაოდ ღარიბული ეკიპაჟით გამოისტუმრა ეს უფლისწული“.

თუ რატომ მოხდა ასე, არ ვიცით, მაგრამ ის კი ნათელია, რომ რუსთ ხელმწიფეს არც ერეკლესათვის გაუწევია რაიმე ქმედითი დახმარება. იქნებ ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მოსკოვში ვახტანგ V-საგან უკვე იცოდნენ ერეკლეს ირანში მიწვევის ჭეშმარიტი მიზეზები.

ერეკლე ჯერ საქართველოში ჩამოდის. აქ მას დიდი პატივით ღებულობენ. ვახტანგი და არჩილი ცდილობენ მას ირანში წასვლის განზრახვა გადააფიქრებინონ, მაგრამ უშედეგოდ. იგი მალე ტოვებს საქართველოს და მიდის ირანში. ერეკლეს ირანში ყოფნის შესახებ ცნობებს „მოგზაურობის“ რამდენიმე ადგილას ვხვდებით.

¹⁴¹ ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო მოამბე II, 1925, გვ. 272.

70

სა და რუსეთს შორის ურთიერთობა საკმაოდ ინტენსიური იყო, მაგრამ იმჟამად ამ ურთიერთობას საქართველოსათვის სასურველი შედეგები არ მოჰყოლია.

*
* *
*

ახლა ვნახოთ, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ევროპის ქვეყნებთან. თვით შარდენის მოგზაურობა და ძამპის სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში ხომ ამ ურთიერთობის გამოხატულებაა. „მოგზაურობა“ უხვ მასალას იძლევა ამ საკითხის გასაშუქებლად.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XV საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც თურქებმა ევროპაში ფეხი შედგეს, „საქართველოს დასავლეთის გზა დაეხშო და დასავლეთთან უშუალო კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო“¹⁴². აღმოსავლეთისაკენ გზა დაეხშო ევროპის სავაჭრო კაპიტალსაც, მაგრამ ასე დიდხანს რ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ევროპის ქვეყნები ინტენსიურად ეძიებდნენ აღმოსავლეთისაკენ გზებს და მოკავშირეებს თურქეთის წინააღმდეგ.

ამ კავშირით არანაკლებ დაინტერესებული იყო ირან-თურქეთისაგან შევიწროვებული საქართველოც. ამიტომაც იყო, რომ „სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ერთობ მისუსტებული მე-15 საუკუნეში, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გაცხოველდა. ვაჭრებს ჩქარა მოყვნენ პოლიტიკური აგენტები, მეცნიერ-მოგზაურები, კათოლიკე მისიონერები“¹⁴³. მათი თხზულებები ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებლურ ნაშრომებს წარმოადგენენ, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროპისათვის საქართველოს გაცნობას. ეს ნაშრომები დღეს საკმაოდ კარგად არის შესწავლილი¹⁴⁴.

ევროპის ქვეყნების საქართველოსადმი ინტერესის ერთ-ერთ

¹⁴² საქართველოს ისტორია, დამხმარე სახე ლმმღვანელო, თბ., 1958, გვ. 258.

¹⁴³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 151.

¹⁴⁴ იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.; მისივე: L'église géorgienne, *Dés origines jusqu'à nos joirs*, Rome, 1910; М. П о л и е в к т о в, Европейские Путешественники по Кавказу, ტ. II, 1946; გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში, ჟრნ. „მნათობი“, 1962, № 8, გვ. 174-184; შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, ნარკვევი ევროპული ქართველოლო-

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ისიც, რომ საქართველო მიჩნეული იყო პოტენციალურ წევრად იმ ანტიოსმალური კოალიციისა, რომლის შედგენას აპირებდნენ ევროპის ქვეყნები XVI – XVII საუკუნეებში. „ქართველები ჩვენებისათვის ძლიერ სასარგებლონი იქნებიან, თუ ჩვენ რაიმე დიდი საქმე წამოვიწყეთ ზღვით ან ხმელეთით თურქეთის წინააღმდეგ“¹⁴⁵ – ასეთი იყო მეროპელის თვალსაზრისი. ამ საქმისათვის საქართველოშიც მზად იყვნენ. საქართველოს მეფე-მთავრებს ანტიოსმალური კოალიციის საკუთარი გეგმაც ჰქონიათ, რომელშიაც, რა თქმა უნდა, მათი საკუთარი ინტერესები ფართოდ იყო წარმოდგენილი¹⁴⁶.

ეს საკითხი ჩვენ აღვძარიტ შარდენის ერთ ცნობასთან დაკავშირებით. რომის პაპმა კლიმენტი VIII -მ თეიმურაზისადმი მიწერილ წერილში იგი ფილიპე II-ის ნათესავად, ხოლო ბერიელეზი და ესპანელები ძმებად მოიხსენიაო. აქ შარდენი შემცდარია, კლიმენტი VIII თეიმურაზს წერილს ვერ მისწერდა, რადგანაც იგი 1605 წელს გარდაიცვალა, ხოლო თეიმურაზი 1606 წელს გამეფდა. თეიმურაზთან მიმოწერა ჰქონდა რომის პაპს ურბან VIII, რომელიც მისი თანამედროვე იყო (იხ. შენ. 368). მაგრამ კლიმენტი VIII-ს და ფილიპე II-ს ერთად ხსენება საქართველოსთან დაკავშირებით მაინც სიმპტომატურია და მრავლისმეტყველი. საქმე ისაა, რომ ამ ორ ხელისუფალს XVI საუკუნის მიწურულს ცხოველი მიმოწერა ჰქონიათ ქართლის მეფე სიმონ I და ალექსანდრე კახთა მეფესთან. სწორედ სიმონ I-ს შეუთავაზებია რომის პაპისა და ესპანეთის მეფისათვის ზემოხსენებული ანტიოსმალური გეგმა¹⁴⁷. ეს კოალიცია თვით ევროპის ქვეყნებს შორის არსებული გადაულახავი წინააღმდეგობების გამო ვერ შეიქმნა და საქართველო ამ შემთხვევაშიც იმედგაცრუებული დარჩა.

ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები ქრისტიანულ ევროპას მიიჩნევდნენ იმ ძალად, რომელსაც შეეძლო საქართველოს გამოხსნა ირან-თურქეთის უღლისაგან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქართველ მეფე-მთავრებს ხშირი მიმოწერა ჰქონდათ რომის პაპებსა და ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებთან. 1629 წელს

¹⁴⁵ მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე, პაპი ურბან VIII-სადმი, 1627 წელს, ი. ჭყონიას თარგმანი იტალიურიდან, „ივერია“, 1899, N23, გვი 56-57.

¹⁴⁶ იხ. ვ. ვაზაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 93-95.

¹⁴⁷ იქვე.

თეიმურაზს ნიკიფორე ირბახი გაუგზავნია ევროპაში დიპლომატიური მისიით. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ურთიერთობას პოლიტიკურ სფეროში რაიმე რეალური შედეგი არ მოყოლია. თუმცა აქ კვლავ შარდენს უნდა მივმართოთ.

შარდენს კონსტანტინოპოლში ოსმალეთის კარზე საფრანგეთის ელჩისათვის სარეკომენდაციო წერილები გამოურთმევია. ერთ-ერთი წერილის ადრესატი სამეგრელოს მთავარია. ამ წერილით ელჩი თხოვს მთავარს დახმარება აღმოუჩინოს მოგზაურებს, მაგრამ წერილი სხვა მხრივ უფრო საინტერესოა. იგი ასე იწყება: „დიდად სახელგანთქმულო მთავარო! ჩემმა მეუფემ, საფრანგეთის იმპერატორმა, მიბრძანა მისი მფარველობით დავიცვა თქვენი ინტერესები ოტომანთა კარზე, ყველა იმ საკითხში, რომელიც კი შეიძლება წამოიჭრას. მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება დაგარწმუნოთ ამაში არა მარტო ამ წერილით, არამედ იმიტაც, რასაც ამ წერილის მომტანი ბატონები შარდენი და რეზენი პირადად გადმოგცემენ. დიდად დამავალებთ, თუ ირწმუნებთ მათ ნათქვამს იმ პატივის გავლენით, რომელიც მე მათ დავდე ამ დავალების მიცემით“. შემდეგ მოსდევს თხოვნა მოგზაურთათვის ხელის შეწყობის შესახებ. წერილი ასე მთავრდება: „სახელგანთქმულო მთავარო! თქვენი დიდად თაყვანისმცემელი და უმორჩილესი დე ნუნტელი; მისი უდიდებულესობის, საფრანგეთის უქრისტიანესი იმპერატორის ელჩი ოტომანთა კარზე“. წერილი მრავალ კითხვას ბადებს, მაგრამ მათ შორის ერთია მთავარი: რატომ უნდა ეკისრა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს ხონთქრის კარზე სამეგრელოს მთავრის ინტერესების დაცვა? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხს შარდენთან ვერ ვპოულობთ. ვფიქრობთ, რომ ეს დოკუმენტი ფრიად მრავლისმეტყველი მასალაა სათანადო სპეციალისტებისათვის.

არანაკლებ საყურადღებოა მეორე დოკუმენტი – ვახტანგ V-ის წერილი პოლონეთის მეფის იოანე კაზიმირისათვის: ვახტანგს წერილი გაუტანებია ცნობილი ქართველი დიპლომატის გურჯიბეგისათვის, რომელიც ამ დროს პოლონეთის მეფის კარზე მსახურობდა. იგი ირანში ყოფილა დიპლომატიური მისიით და მგზავრობისას, როგორც ჩანს, თბილისშიც გაუვლია. გურჯიბეგის, ანუ ბოგდან გურჯიგვის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ სათანადო გამოკვლევები არსებობს¹⁴⁸, ამიტომ ჩვენ მასზე არაფერს ვიტყვით.

¹⁴⁸ იხ. გ. ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე, ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიგვი, ჟურნ. „მნათობი“, № 12, 1965, გვ. 166-173; ი. ც ი ნ ც ა ძ ე, მასალები პოლონეთისა.

დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ შაჰნავაზს ადრე პოლონეთის მეფის დიდი კანცლერისაგან, იოანე ლეზუნსკისაგან მიუღია წერილები და რომ პოლონეთისა და ქართლის მეფეებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ. ამ ვრცელ, სპარსულ ყაიდაზე შედგენილ დოკუმენტში მისი დაწერის მიზანი სულ ორიოდ სიტყვით არის გადმოცემული და, სამწუხაროდ, საკმაოდ ბუნდოვანადაც. ვახტანგი პოლონეთის მეფეს მიმართავს: „უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას, იმ ურთიერთ კეთილგანწყობილებისა და მეგობრობის საწინდრით, რომელიც ჩვენს შორის სუფევს, რომ ეს კეთილი ქვეშევრდომი და ჩემი მსახური, იყოს ისევე სასურველი სტუმარი თქვენი უდიდებულესობისა, როგორც ის იყო მის წინამორბედთან“ ე. ი. ვახტანგი, თავის წარმომადგენელს აგზავნის პოლონეთში, რომელიც პირველად არ მიდის იქ, ყოფილა ადრეც, მისი უდიდებულესობის იოანე კაზიმირის წინამორბედთანაც.

ვახტანგის მიერ თავისი ქვეშევრდომის პოლონეთში წარგზავნის მიზანი გაურკვეველია, მაგრამ თვით ფაქტი სრულიადაც არ არის განკერძოებული და მოულოდნელი. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ ის ინტერესი, რომელსაც შაჰნავაზი პოლონეთის ამბებისადმი იჩენს. მეფეს შარდენისაგან სურს გაიგოს, თუ რა ვითარებაა პოლონეთსა და თურქებს შორის ომში. სხვა მასალებიდანაც ვიცით, რომ პოლონეთსა დასაქართველოს შორის XVII საუკუნეში ინტენსიური ურთიერთობა ყოფილა¹⁴⁹. აი, რას ამბობს პიეტრო დელა-ვალე 1627 წელს რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში: „პოლონეთის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, ამ მთავრებთან (დადიანსა და გურიელთან – მ. მ.) მეგობრობა და მიმოწერა აქვს. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეშისავაჭრო ხომალდები დადიანს. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველების სასარგებლოდ, რადგანაც კაზაკები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი. პოლონეთის ხელმწიფეს ამ გზით, რომელიც ძალიან მოკლეა, შეუძლია კიდევ დიდი დახმარება აღმოუჩინოს ქართველებს ყოველთვის გაჭირვების დროს, რომელიც მათ სპარსელებისა და თურქებისაგან მოელით. ქართველებს კი, თავის მხრივ, მათი ნავსადგურებით და უშიშარი თავშესაფარი

და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, XV-XVII საუკუნეები, თბ., 1966, გვ. 64-65.

¹⁴⁹ ი. ც ი ნ ც ა მ ე, დასახ. ნაშრ, გვ. 37-66.

დახმარება აღმოუჩინონ კაზაკებს მათ საქმეებში¹⁵⁰.

შარდენის ცნობით, შაჰნავაზს პოლონელი დასტაქარი ემსახურება. საერთოდ, თბილისსა და მთელ საქართველოში ევროპელები საკმაოდ ბევრნი არიან. შავი ზღვის სანაპიროზე ისინი ფართო ვაჭრობას ეწევიან და აქ ნაყიდ საქონელზე დიდ მოგებას ნახულობენ, მისიონერები ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩაბმულნი. მაგრამ ქართველ მეფე-მთავრებს სურთ უფრო მეტნი და უფრო ხშირად მოდიოდნენ ისინი მათ ქვეყანაში. მათ კარგად ესმით, თუ რა დიდი სიკეთისა და სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ევროპელებს. ამ მხრივ დამახასიათებელია სამეგრელოს დედოფლის საუბარი შარდენთან. დედოფალი ეკითხება მოგზაურს: „რატომ არ ჩამოდიან სამეგრელოში ის ევროპელი ხელოსნები, რომლებმაც ასე მშვენივრად იციან ლითონის, აბრეშუმის და შალეულის დამზადებაო...“ ეს მარტო კითხვა კი არაა, სურვილიცაა. დედოფალს თვით შარდენის დატოვება უნდა სამეგრელოში.

შაჰნავაზი უთვლის შარდენს, რომ მას ძალიან უყვარს ევროპელები, დიდი სურვილი აქვს ნახოს ისინი თავის ქვეყანაში დასახლებული, ყოველგვარ თავისუფლებას და პრივილეგიებს პირდება მათ, ვინც საქართველოში ჩამოვა სავაჭროდ და თუ ფრანგული კომპანია მის ქვეყანაში მოისურვებს გამოგზავნოს რწმუნებულები, ისინი აქ იაფად იშოვნიან ევროპისათვის გამოსადეგ ბევრ საქონელს და მათ კარგად მივიღებთო. რომ ეს ლიტონი სიტყვები არ იყო, მოგზაურმა საკუთარ თავზე განიცადა. მას დიდი პატივი დასდო ქართლის მეფემ, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეული როლი შეასრულა იმან, რომ შარდენი სპარსეთის შაჰის წარმომადგენლის ავტორიტეტით სარგებლობდა.

როგორც ვნახეთ, საქართველოში ევროპელების მიმართ საზოგადოდ კეთილი განწყობილება სუფევდა. ისინი ჩვენში სასურველი სტუმრები იყვნენ. თეიმურაზს პატრი ავიტაბილესათვის პირადად დაუვალება იტალიიდან მკურნალებისა და მხატვრების მოყვანა, რათა ამ უკანასკნელთ სპარსელებისაგან დაქცეული ეკლესიები შეეკეთებინათ, ხოლო მკურნალთ ეზრუნათ იმ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რაც მტრისაგან აოხრებულ ქვეყანაში ხშირად ჩნდებოდა ხოლმე¹⁵¹.

¹⁵⁰ „ივერია“, 1899, № 3, გვ. 56-57.

¹⁵¹ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დახას. ნაშრ., გვ. 121.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას. როგორც აღინიშნა, მათ მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიციზმის პროპაგანდა-დანერგვა და ამით რომის ეკლესიის გავლენის სფეროს გაფართოება¹⁵². ამავე დროს მათვე ევალებოდათ საქართველოში დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის ინტერესების დაცვა¹⁵³.

საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა სათანადოდ აქვს შესწავლილი ცნობილ მკვლევარს მ. თამარაშვილს¹⁵⁴ და ბევრ სხვა ავტორსაც. ამიტომ ამ საკითხს ვრცლად არ შევეხებით. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათ შესახებ ზოგიერთი ცნობის მიწოდება „მოგზაურობის“ მკითხველისათვის აუცილებელია.

შარდენის დროს აღმოსავლეთ საქართველოში კაპუცინების ორდენის ბერები მოღვაწეობდნენ, ხოლო დასავლეთში – თეათინელებისა. თეათინელები ჩერქეზეთშიც იღწვიან. კაპუცინები 13 წლის წინათ ჩამოსულან რომიდან. მათთვის შაჰნავაზს სახლები მიუცია თბილისსა და გორში. მათი ძირითადი საქმიანობა, კათოლიციზმის ქადაგებასთან ერთად, არის მკურნალობა. ერთ-ერთი ყველაზე დახელოვნებული მკურნალი მეფეს ახლავს. მკურნალობაში ღებულობდნენ გასამრჯელოს, რაც მათი უმთავრესი საარსებო წყაროა. გასამრჯელოდან ჰყიდიან ყველაფერს, რაც ზედმეტი რჩებათ. რომის პროპაგანდისაგან ეძლევათ ხელფასი. უფლება აქვთ იყოლიონ ტყვეები, ივაჭრონ, გაასესხონ ფული სარგებლით და სხვ. „მათ ისეთი განუსაზღვრელი უფლებები აქვთ, რომ შეუძლიათ და კიდევ აკეთებენ ყველაფერს იმას, რაც ყველაზე პრივილეგირებულ სასულიერო პირთათვის არის ნებადართული“.

თეათინელები სოფ. წიფურიაში ცხოვრობენ და ისინიც კარგად არიან მოწყობილნი: აქვთ ეკლესია, მიწა, სახლები, ჰყავთ ტყვეები და ორი ოჯახი გლეხებისა.

საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. მათ შორის ბევრი იყო განათლებული ადამიანი – „ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და

¹⁵² იხ. Voyages..., ტ. VII, გვ. 436.

¹⁵³ ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

¹⁵⁴ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.

სხვა საერთო ცოდნით აღჭურვილი“. ჩვენთვის საინტერესო ხანაში აქ მოღვაწეობდნენ ქრისტეფორე კასტელი, რომლის ჩანახატები საქართველოს ისტორიის უძვირფასეს მასალას წარმოადგენს; არქანჯელო ლამბერტი, ცნობილი თავისი ნაწერებით სამეგრელოს შესახებ; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი და სხვები, რომელთა

ცნობები, როგორც აღნიშნა, უხვად აქვს გამოყენებული შარდენს.

მისიონერები ადგილობრივ მოსახლეობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ როგორც მკურნალები, რაც დიდ-ად უწყობდა ხელს მათ წარმატებებს ძირითად საქმეში.

მისიონერებს საქართველოში სკოლებიც დაუარსებიათ, სადაც ქართველი ახალგაზრდები ღებულობდნენ განათლებას. შარდენის დროს თბილისში კაპუცინებს ჰქონიათ სკოლა, მაგრამ მოგზაური მას სკეპტიკურად უყურებს. ამ სკოლებში ღვთისმეტყველებასთან ერთად ისწავლებოდა ლათინური და იტალიური ენები, ასწავლიდნენ აგრეთვე ქართულ ენასაც, რომელსაც ბევრი მისიონერი კარგად ფლობდა. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ძამპის შესახებ. როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, მას კარგად არც მეგრული სცოდნია და არც ქართული. თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ მისი ენობრივი ლაპსუსები მივაწეროთ მთარგმნელს (შარდენს) და გამოცემლებს. მართლაც, საეკლესიო სამეგრელოში ესოდენ ხანგრძლივი ყოფნის დროს ძამპს მეგრული მაინც ვერ შეესწავლა.

მისიონერების ქართველ მოწაფეთაგან რჩეულნი რომში განაგრძობდნენ სწავლას, იქიდან სამშობლოში დაბრუნებულთ კი ევალებოდათ საქართველოში კათოლიციზმის პროპაგანდა. რომში მისიონერების ინიციატივით 1629 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი – ქართულ-ტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის მიერ.

დიდ როლს ასრულებდნენ მისიონერები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. „ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ქართველობისათვის მებრძოლთა ესა დასი მზად იყო პაპის უზენაესობა ელიარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინა, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღო ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ“¹⁵⁶. ქართველმა მეფე-მთავრებმა სწორად განჭვრიტეს

¹⁵⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, II თბ., 1965, გვ. 151.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 151-152.

რომ საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობით მათ საშუალება ეძლეოდათ უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ ევროპას. ყოველივე ამის გამო იყო, რომ საქართველოს მეფე-მთავრები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მისიონერთა საქმიანობას. ხშირად თვითონაც კი მიმართავდნენ ხოლმე რომს თხოვნით, გამოეგზავნათ მათ ქვეყანაში მისიონერები. მ. თამარაშვილი აღნიშნავს, მაგალითად, რომ

ლევან II დადიანს თავისი ელჩისათვის კონსტანტინოპოლში დაუვალეზია ენახა მისიონერები და სამეგრელოში ჩამოეყვანა¹⁵⁷. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მისიონერი პირდაპირ მიუთითებს, რომ ლევან დადიანმა კათოლიკობა მიიღო¹⁵⁸, ხოლო, ძამპის სიტყვით, ნიკიფორე ირბახი კათოლიკე იყო. ძნელია იმის დადგენა თუ რამდენად შეეფერება ჭეშმარიტებას ეს ცნობები, მაგრამ ის კი „მოგზაურობიდანაც“ კარგად ჩანს, რომ ერთიცა და მეორეც (და არა მარტო ისინი) დიდად თანაუგრძნობდნენ და მფარველობდნენ მისიონერებს.

მისიონერები მხარს უჭერდნენ საქართველოს ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფე-მთავართა შეთანხმებას¹⁵⁹, ცდილობდნენ ამ პერიოდის დამახასიათებელი სენის, ტყვეებით ვაჭრობის აღმოფხვრას (იხ. ზემოთ). მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მოგზაურობის“ დასტურით ეს მათ სრულებით არ უშლიდათ ხელს ჰყოლოდათ საკუთარი ტყვეები.

საქართველოს მეფე-მთავრები ხშირად მისიონერთა დახმარებით აწარმოებდნენ დიპლომატიურ კავშირსა და მიმოწერას ევროპის ქვეყნების მეთაურებსა და რომის პაპთან. აქ კიდევ ერთხელ უნდა შევეხოთ შაჰნავაზის წერილს პოლონეთის მეფისადმი. მისი ასლი შარდენისათვის კაპუცინებს უჩვენებიათ. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როგორ აღმოჩნდა მეფის წერილი უცხოელ მისიონერთა ხელში, მით უფრო, რომ მათ არავითარი კავშირი პოლონეთთან არ უნდა ჰქონოდათ. ამ კითხვაზე პასუხი, ჩვენის აზრით, მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: შაჰნავაზმა, ალბათ, კაპუცინებს დაავალა ამ წერილის თარგმნა და მათაც ასლი დაიტოვეს¹⁶⁰. საინტერესოა ისიც, თუ რა ენიდან რა ენაზე შეეძლოთ კაპუცინებს ეთა-

¹⁵⁷ M. T a m a r a t i, L'Église géorgienne“, გვ. 450.

¹⁵⁸ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 190-191.

¹⁵⁹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

¹⁶⁰ ინტერესს მოკლებული არ არის ის, რომ თვით შარდენს ისფაჰანში შაჰის კარზე თხოვენ თარგმნოს ინგლისის მეფის წერილი, იხ. Voyages..., ტ. III, გვ. 203 და შემდ.

რგმნათ იგი. ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს იქნება თუ ვივარაუდებთ – ქართულიდან ლათინურზე, თუმცა არ არის გამორიხებული, რომ მისი დედანი სპარსულად იყოს შედგენილი. შარდენს „მოგზაურობაში“ ამ წერილის ფრანგული თარგმანი (ე. ი. თარგმანის თარგმანი) მოჰყავს, რასაც აღნიშნავს კიდევ. ამდენი მანიპულაციის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ წერილში უამრავ უზუსტობას აქვს ადგილი (იხ. სათანადო შენიშვნები).

ობიექტურად მისიონერების საქმიანობას, უეჭველია, დადები-

თი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლი ქართველობის განმტკიცებისათვის, საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელების შეფერხებისათვის¹⁶¹. ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება საქართველოს მეფე-მთავრები თუ რატომ უჭერდნენ მხარს მისიონერებს.

მიუხედავად ამისა, მისიონერთა მოღვაწეობა ხშირად წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა. ამ წინააღმდეგობათა შორის უმთავრესად „მოგზაურობაში“ მიჩნეულია ბერძენთა მეტოქეობა, რომელსაც სარწმუნოებრივი უთახმოება ედო საფუძვლად. არქანჯელო ლამბერტის თქმით, პატრებს „მეტად უძნელდებათ აქ თავისი მოღვაწეობისაგან ის ნაყოფი გამოიტანონ, რომლის იმედი ჩვეულებრივ აქვთ სხვა ურწმუნო ქვეყნებში. ამის მიზეზი კიდევ ბერძნები არიან, რომელნიც მუდამ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს სიტყვებს და მეტად მტკიცედ იცავენ თავის მიმდევართა შორის თავის სარწმუნოებას“¹⁶².

ბერძნებს მართლმადიდებლური საქართველო ყოველთვის თავიანთი გავლენის სფეროდ მიაჩნდათ, მაგრამ ბერძნების განაწყენებას სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოტივი განაპირობებდა. ისინი აქ ყოველწლიურად „უფლის საფლავისათვის“ საკმაოდ დიდ თანხას აგროვებდნენ, ხოლო კათოლიკობის გავრცელებით მათ შემოსავალს საფრთხე ემუქრებოდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქს ლევან დადიანისა და კათალიკოსისათვის უბრძანებია მათ მიერ ნაბოძები ეკლესია ჩამოერთმია პატრებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ეკლესიიდან განკვეთით დამუქრებია (დამპი). იერუსალიმის პატრიარქს თეიმურაზისათვის წერილი მიუწერია და უთხოვია მისიონერების განდევნა მისი სამფლობელოდან¹⁶³, ხოლო ალექსანდრიის პატრიარქი თვითონ ჩამოსულა იმერეთის მეფესთან ამა-

¹⁶¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

¹⁶² ა. ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

¹⁶³ M. Tamara ti, დასახ. ნაშრ., გვ. 510.

ვე საკითხის მოსაგვარებლად. მაგრამ ბერძენთა ამ ცდებს მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ქართველი მეფე-მთავრები მისიონერთა განდევნაზე ყოველთვის უარს ამბობდნენ¹⁶⁴.

მისიონერთა მოღვაწეობას აბრკოლებდა საქართველოს მძიმე პირობებიც. მეფე-მთავართა შორის გაუთავებელი ომებისა და ირან-ოსმალეთის ხშირი თავდასხმების დროს ისინი იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი სამყოფელი და სადმე გახიზნულიყვნენ. მოთარეშენი არბევდნენ მათ კარმიდამოს, მარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ასეთ ვითარებას სამეგრელოში ხომ შარდენიც შეესწრო. მაგრამ, როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავს

საკმარისი იყო ქვეყანაში სიმშვიდე ჩამოვარდნილიყო, რომ მისიონს კვლავ აღედგინა თავისი მოღვაწეობა¹⁶⁴.

ისიც უნდა ითქვას, რომ პატარებს ყველა მეფე-მთავარი და დიდებული როდი წყალობდა. პირიქით, ზოგი ავიწროებდა და დევნიდა კიდევ მათ. ზემოთ ნახსენები სამეგრელოს დედოფალი თინათინი, თეათინელების თანდასწრებით, მოურიდებლად ეუბნება შარდენს: თქვენი ბერები არაფერში გამოდგებიან და არც სასურველნი არიანო. კასტელმა, რომელიც XVII საუკუნის 40-იან წლებში გურიაში იმყოფებოდა, ძლივს დააღწია თავი მისიონერებისადმი მტრულად განწყობილ ვახტანგ გურიელს¹⁶⁶.

არც ქართველი სამღვდელოება და ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ კმაყოფილნი მისიონერებით. თბილისში სამღვდელოებას მრევლის შემცირებისა ემინოდა და დროდადრო ცდილობდნენ მისიონერებისათვის ხელის შეშლას მათ საქმიანობაში, მაგრამ ვერაფერს აღწევენ. ისინი გადამჭრელ რეპრესიებს ვერ მიმართავენ, ჯერ ერთი, მეფის რიდით და, მეორეც, პატრების პოპულარობის გამო, რადგანაც „ისინი მეტად საჭირონი არიან სამედიცინო პრაქტიკისათვის და ზოგიერთი მათგანი, ვინც უფრო დახელოვნებულია ამ დარგში, დიდი წარმატებით მოღვაწეობს“.

ქალაქების ვაჭარ-ხელოსნები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ დასავლეთ ევროპის პოლიტიკური აგენტების – კათოლიკე მისიონერების სახით საქართველოში ფეხს იკიდებდა ევროპული სავაჭრო კაპიტალი. ადგილობრივ ვაჭრებს გაუჩნდათ მძლავრი კონკურენტი, რასაც არ შეიძლებოდა მათ შორის კონფლიქტი არ გამოეწვია XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ქალაქების ვა-

¹⁶⁴ M. Tamarati, დასახ. ნაშრ. გვ.538.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 572.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 531; ჯ უ დ ი ჩ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 77-79.

ჭარ-ხელოსნური ფენები არაერთხელ გამოსულან მისიონერების წინააღმდეგ¹⁶⁷.

ყოველივე ეს დიდად აფერხებდა მისიონერების საქმიანობას, რაც შარდენსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია. მოგზაურს მიაჩნია, რომ ადრე (მის ჩასვლამდე) პატრების მოღვაწეობა უფრო შედეგიანი იყო. ჩვენთვის ცნობილია შარდენის შემდეგდროინდელი ვითარებაც. ზემოთ ჩამოთვლილი დაბრკოლებები პატრებისათვის საერთოდ გადაულახავი დარჩა, მაგრამ XVII საუკუნის ბოლოს მათ საქართველოში გაცილებით მეტი მომხრეები ჰყოლიათ, ვიდრე ოდესმე მანამდე¹⁶⁸. მაგრამ, ცხადია, რომ პატრებმა, თუ რამდენი მართლმადიდებელი ქართველი გადაიბირეს თავის სარწმუნოებაზე

ამას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი იყო მათი მოღვაწეობის ობიექტური შედეგები კათოლიკე-მისიონერების საშუალებით საქართველომ უფრო მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა დაამყარა ევროპასთან.

*
* *

ჩვენ შევეხეთ შარდენის თხზულების მხოლოდ უმთავრეს ცნობებს. „მოგზაურობაში“ სხვა წვრილმანი ფაქტებიც მრავალია, რომელთა განხილვაც შორს წაგვიყვანდა. შარდენი წერდა ყველაფერ იმაზე, რაც იცოდა, რაც თვალთ უნახავს, რაც გაუგონია. ხშირად მისი ერთი სხვათაშორის ნათქვამი ფრაზა შორეულ ექსკურსებსა და უამრავი მასალის მომხრობას მოითხოვს, რაც მკვლევარს რთული ამოცანის წინაშე აყენებს. რამდენადაც მოცულობით შეზღუდული ვიყავით, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა „მოგზაურობის“ ზოგადი მიმოხილვა და ამით გარკვეული გეზის მიცემა მკითხველისათვის. ზოგიერთი ცალკეული საკითხი შეძლებისდაგვარად განმარტებული გვაქვს ამ გამოცემის ბოლოს დართულ კომენტარებში.

რაც შეეხება „მოგზაურობის“ დანარჩენ და ძირითად ნაწილს, იგი თითქმის მთლიანად სპარსეთისადმი მიძღვნილი (აქვე ვხვდებით დიდად საყურადღებო მასალებს სომხეთის შესახებ). იგი წარმოადგენს სეფევიდების ირანის ისტორიის პირველწყაროს. მასალის სიუხვე, ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა, ზუსტად და ვრცლად აღწერილი ფაქტები საშუალებას იძლევა ირანის ისტორიის მთ-

¹⁶⁷ III. A. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 234-235.

¹⁶⁸ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 708.

ლი რიგი საკითხების მართებულად გაგებისათვის. ნაშრომში ვპოულობთ მეტად საინტერესო ცნობებს ირანის ეკონომიური ცხოვრების, სახელმწიფო წყობის, აგრარულ და სოციალურ ურთიერთობათა, ფინანსური და საგადასახადო სისტემების, გეოგრაფიის, ფაუნის, ფლორისა და სხვათა შესახებ. აკად. ვ. ბარტოლდის თქმით ეს წიგნი დღესაც ინარჩუნებს კლასიკური ნაშრომის მნიშვნელობას ირანის ისტორიისათვის¹⁶⁹. შარდენის „მოგზაურობა“ ასევე მაღალ შეფასებას აძლევს პროფ. ვ. მინორსკიც. იგი მას განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს სპარსეთის შესახებ არსებულ საისტორიო თხზულებათა შორის¹⁷⁰.

¹⁶⁹ В. Б. Бартольд, История изучения Востока в Европе и России, Ле-

ნინგრად, 1925, გვ. 113.

¹⁷⁰ V. M i n o r s k y, Tadhkirat al-Muuk. A manual of Safavid Administration (circa 1137/1725). Persian Text in Facimile (B. M. Or. 9496), London, 1943, გვ. 7.

82

გამოცემისათვის

ჟან შარდენის „მოგზაურობა“ 10 ნაწილისაგან. შედგება (სხვადასხვა გამოცემებში ტომთა სხვადასხვა რაოდენობით). მასში მასალა შემდეგი თანამიმდევრობით არის განაწილებული. 1. გზა პარიზიდან სამეგრელომდე. ზოგადი ცნობები სამეგრელოს შესახებ. 2. სამეგრელო (აქვე შედის ძამპის თხზულება, ახალციხის მხარე, იმერეთი, ქართლი, თბილისი, სომხეთი, თავრიზი. 3. თავრიზიდან ისფაჰანამდე. 4. სპარსეთის აღწერა. 5. მეცნიერება და ხელოვნება სპარსეთში. 6. სპარსეთის სახელმწიფო, სამოქალაქო და სახმხედრო წყობილება. 7. სპარსეთის რელიგია. 8. ისფაჰანის აღწერა. 9. 1674 წლის მოგზაურობა ისფაჰანიდან ბენდერ-აბასში. პერსეპოლისის აღწერა. 10. მეორედ მოგზაურობა ბენდერ-აბასში იმავე 1674 წელს. სპარსეთის ხელმწიფის კარი. ევროპელები ინდოეთის ოკეანესა და შორეულ აღმოსავლეთში.

შარდენის „მოგზაურობა“ მრავალჯერ არის გამოცემული როგორც საფრანგეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ძირითად და შედარებით სრულ გამოცემებად ითვლება ოთხი¹⁷¹.

„მოგზაურობა“ პირველად გამოქვეყნდა ავტორის სიცოცხლეშივე ლონდონში 1686. წელს. ამ გამოცემის მიხედვით განზრახული იყო მისი ოთხ ტომად დაბეჭდვა, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ ერთი ტომი in-folio, რომელშიაც ჩართული იყო 18მ ილუსტრაცია.

1711 წელს ნაშრომი კვლავ გამოიცა ამსტერდამში ლონდონის გამოცემის მიხედვით სამ ტომად in-4⁰. იმავე წელს ამსტერ-

¹⁷¹ მოგვეყვას ძირითადი გამოცემები. შედარებით სრული ბიბლიოგრაფია იხ. G. Boucher de la Richarderie, Bibliothèque Universelle des voyages, ou notice Complète et raisonnée de tous les Voyages anciens et modernes, dans les différentes parties du monde, publiés tant en langue française qu'en langues étrangères, classées par order de pays dans leur série chronologique. Paris, 1808, გვ. 450-453.

83

დამწივე „მოგზაურობა“ ათ ტომად დაისტამბა in-12⁰, სადაც ჩართული იყო 79 ილუსტრაცია.

1735 წელს ჰოლანდიის წიგნის გამომცემლებმა ხელთ იგდეს შარდენის ხელნაწერები, ილუსტრაციების სპილენძის ფირფიტები და „მოგზაურობა“ გამოსცეს ოთხ ტომად in-4⁰. ამ გამოცემაში შევსებულია 1711 წლის გამოცემის ხარვეზები, მაგრამ არც იგი შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად. მასში მრავლად არის სასტამბო და კორექტორული შეცდომები.

1811 წელს პარიზში ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა ლუი მათიე ლანგლემ გამოაქვეყნა შარდენის „მოგზაურობა“ ათ ტომად. გამომცემელი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მას თხზულების ტექსტი შეუდარებია წინა სამ გამოცემასთან და ფიქრობს, რომ მისი გამოცემა უფრო ზუსტი და სრულია, ვიდრე თვით 1735 წლის გამოცემა. ლანგლეს შეუსწორებია ტექსტის ზოგიერთი შეცდომა, დაუზუსტებია ორთოგრაფიული უზუსტობანი. გამომცემის ბოლოს დართულია „სულეიმანის მეფედ კურთხევა“¹⁷², რომელიც შარდენს 1671 წელს გამოუქვეყნებია და 1735 წლის გამოცემის მეოთხე ტომში იყო შეტანილი. თუმცა ლანგლეს 1811 წლის გამოცემა თვითონ გამომცემლის სიტყვებით სრული უნდა იყოს, მაგრამ არც იგი შეიძლება ჩაითვალოს უნაკლოდ, „მოგზაურობის“ წინამდებარე თარგმანი ძირითადად ეყრდნობა ლანგლეს გამოცემას, მაგრამ ამასთანავე შედარებულია სხვა გამოცემებთან. ლანგლესეულ ტექსტში ჩართულია გამომცემლის საკმაოდ ვრცელი შენიშვნები, რომელთა ერთი ნაწილი საქართველოს ეხება, მაგრამ მათი უმეტესობა ნაშრომს ვერაფერს მატებს. ეს აიხსნება ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ლანგლე ირანისტი იყო და საქართველოზე, როგორც ჩანს, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მეორეც – გასული საუკუნის დასაწყისში ევროპული ქართველოლოგია შარდენზე ბევრად წინ არ იყო წასული.

ლანგლესეული გამოცემის ტექსტი ილუსტრირებული არ არის. ილუსტრაციების დიდი ზომის ატლასი ცალკე ტომის სახით ერთ-ვის მას.

შარდენის „მოგზაურობა“ თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე. განსაკუთრებით საინტერესოა სპარსული თარგმა-

¹⁷² „სულეიმანის მეფედ კურთხევა“ დაბეჭდილია „მოგზაურობის“ ლანგლესეული გამოცემის IX-X ტომებში.

ნი, რომელიც შესრულებულია 1956-1959 წლებში¹⁷³. შარდენის თხზულების ერთი ნაწილი – ცნობები კავკასიის შესახებ თარგმნილია რუსულ ენაზეც, იგი ეკუთვნის ე. ბაზუტოვასა და დ. კოსოვიჩს¹⁷⁴. ეს თარგმანი საკმაოდ მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს: არ არის ზუსტი, გამოტოვებულია ცალკეული ნაწილები, გე-

ოგრაფიულ და საკუთარ სახელთა უმეტესობა დამახინჯებულია და არა აქვს სათანადო განმარტებები.

საქართველოს შესახებ შარდენის ცნობები ამ ოცდაათიოდე წლის წინ თბილისში რუსულ ენაზე უთარგმნია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდადს ე. ღვინიევას, მაგრამ იგი თავის დროზე არ გამოცემულა, ხოლო ხელნაწერი, სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია. ამავე ავტორს შარდენის "შესახებ აქვს საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

არსებობს აგრეთვე „მოგზაურობის“ V ტომის ცალკეული თავების რუსული თარგმანი, რომლის სტეკლოგრაფიული ანაბეჭდი ინახება მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში¹⁷⁵.

ცნობებს საქართველოს შესახებ ძირითადად ლანგლეს გამოცემით პირველი და მეორე ტომი შეიცავს. პირველ ტომში მოცემულია სამეგრელოს აღწერა და აქვე არის ჩართული ძამპის თხზულებაც. მეორე ტომის დაახლოებით ნახევარი კი აღმოსავლეთ საქართველოს ეძღვნება. „მოგზაურობის“ ამ ნაწილების შემოკლებული ქართული თარგმანი ეკუთვნის ცნობილ მწერალს ვასილ ბარნოვს. ეს თარგმანი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1885 წელს სათაურით „შარდენი საქართველოში“ (იხ. ივერია“, 1885 №№ 125, 126, 129, 147, 115, 160, 166, 171, 187, 205, 218, 224, 234, 272). შემდგომში იგივე თარგმანი კვლავ გამოიცა აკ. გაწერელიას რედაქციით და შესავალი წერილით 1935 წელს ცალკე წიგნად.

¹⁷³ Chardin J e a n, Voyages de Charden en Perse et autres lieux de Orient. Trad. Introd. annot. Avec glpssaire et index par M. M. Abbassy. T. 1-5; Téhéran; Amir-Cabin, 1956-59. Text en pers. (Encyclopédie de la civilisation iranienne).

¹⁷⁴ Путешествие Шардена по Закавказью в 1672-1673 гг., Тифлис, 1902.

¹⁷⁵ Ш а р д е н Ж а н , Путешествие шеваляе Шардена впо Персии и дру- Гим странам Востока (Сокращенный перевод с французского, 3, 6, 7 и 8 гл. V т.), Москва, 1937, (Московский институт Востоковедения им. Нариманова При ЦИК СССР). На правах рукописи.

როგორც აკ. გაწერელია გამოცემის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, „მთარგმნელს, საპატიო მიზეზების გამო, სრულად არ უთარგმნია ის ნაწილი, რომელიც საქართველოში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილებებს გარდა სხვა მასალებსაც შეიცავს“¹⁷⁶. ძამპის თხზულების ვასილ ბარნოვისეული თარგმანი ამ გამოცემაში არ შესულა, თუმცა ღვაწლმოსილ მწერალს ისიც ჰქონია თარგმნილი. ძამპის თხზულების თორმეტი თავი (იგი 24 თავს შეიცავს) დაიბეჭდა

ჟურნალ „მწყემსში“ (იხ „მწყემსი“, 1886, N 34, 1887, №№ 2, 4)
5, 8, 12, 13, 14, 16).

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს საქართველოს შესახებ შარდენის ცნობების მთლიან თარგმანს, რომელიც „მოგზაურობის“ ლანგლესეული გამოცემის პირველი და მეორე ტომების მნიშვნელოვან ნაწილს შეიცავს. პირველი ტომიდან გამოტოვებულია მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც მოგზაურის კონსტანტინოპოლამდე ჩამოსვლის ამბებს ეხება, აქედან შარდენი უკვე იწყებს ლაპარაკს შავი ზღვის, ყირიმის, ჩრდილო კავკასიის ტომებისა და მათი ყოფის შესახებ, შემდეგ კი მეგრელებსა და სამეგრელოს ახასიათებს და ამან განაპირობა ჩვენ მიერ „მოგზაურობის“ სწორედ ამ ადგილიდან თარგმნა. გარდა ამისა, საქართველოსა და ქართველების შესახებ მცირეოდენი ცნობები შარდენის „მოგზაურობის“ თითქმის ყველა ტომშია გაბნეული (მაგ. V ტომში, გვ. 307-308, ლაპარაკია შაჰ-აბასის კარზე და მის სამსახურში მყოფ ქართველებზე; VI ტ., გვ. 18 – შაჰის ჰარამხანაში ყველაზე მეტნი ქართველი და ჩერქეზი ქალები არიანო; VIII ტ. გვ. 207 – ქართველი და ჩერქეზი ქალების სილამაზეზე და სხვ.). მაგრამ ისინი ჩვენთვის ინტერესს მოკლებული ამბების ორგანულ ნაწილებს წარმოადგენენ, დამოუკიდებელი ფრაგმენტების სახით მათ თარგმნას აზრი არ ექნებოდა და ამიტომაც წინამდებარე გამოცემაში მათი შეტანა არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად. „მოგზაურობის“ განხილვის დროს კი ზოგიერთი ცნობა სათანადოდ დავიმოწმეთ. აქ წარმოდგენილია მხოლოდ IX ტომის ის ადგილები, რომლებიც ძირითადად მეფე თეიმურაზ პირველის შვილიშვილს, ერეკლე პირველს, ეხება და საკმაოდ ვრცელია.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ნაშრომიდან ამოღებული რამდენიმე ფრაგმენტი თარგმანში მრავალწერტილით არის მინიმუმებული.

¹⁷⁶ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, ტფ., 1935, გვ. 109.

გეოგრაფიული და საკუთარი სახელები, რომლებიც „მოგზაურობის“ ტექსტში დამახინჯებულად არის გადმოცემული თარგმანში შეძლებისდაგვარად გასწორებულია. ამავე დროს სქოლიოში მოცემული მათი ფრანგული დაწერილობა საშუალებას იძლევა აქვე ჩაუვკვირდეთ მათ ავტორისეულ ტრანსკრიპციას და ამიტომ მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ ამ სახელთა ცალკე კომენტირება, გარდა ზოგიერთი აუცილებელი შემთხვევისა. ზოგჯერ ერთი და იგივე სახელწოდება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი ორთოგრაფიით არის მოცემული. ასეთ შემთხვევაში სქოლიოში ისინი შე-

საბამისად განმეორებულია. თუ სახელწოდება იმდენად არის დამახინჯებული, რომ მისი ჭეშმარიტი ფორმის დადგენა ვერ ხერხდება, ასეთ დროს ქართულად ფრანგულის კალკს ვაკეთებთ.

რადგანაც შარდენის თხზულება დღევანდელი თვალსაზრისით უფრო ისტორიული ხასიათის დოკუმენტია, ვიდრე ლიტერატურული ნაწარმოები, ამიტომ მიზანშეწონილად არ მივიჩნით მისი სრული „გაქართულება“. თარგმანში შეძლებისდაგვარად ვცადეთ დაგვეცვა ავტორისეული სტილი, თხრობის მანერა, ხშირად რთული წინადადებების წყობაც კი. ბუნებრივია, რომ ყველგან ვერ მოხერხდა ლანგლესეული ტექსტის სასვენი ნიშნების დაცვა, მით უფრო, რომ ამ თვალსაზრისით ფრანგულ გამოცემებშიაც არ არის ერთიანობა.

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა „მოგზაურობაში“ ჩართული ლათინური ტექსტების თარგმნა; ვგულისხმობთ ციტატებს საღვთისმეტყველო თხზულებებიდან, რომელთაც ძამპი ხშირად იყენებს. ზოგიერთი მათგანის ძველი ქართული თარგმანი მოვიძიეთ და უცვლელად მივუყენეთ ლათინურს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ზედმიწევნითი სიზუსტე არ არის დაცული. სხვები კი, რომლებიც ქართულ ენაზე არ იყო თარგმნილი, ჩვენ თვითონ ვთარგმნეთ.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გადავუხადოთ პროფ. ზ. ანჩაბაძეს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის წევრს თინა ნიჟარაძეს და ყველა იმათ, ვინც სასარგებლო მითითებანი მოგვცეს „მოგზაურობის“ თარგმანზე მუშაობის დროს.

შარდენის „მოგზაურობის“ ქართული თარგმანი

[1672 წლის] ¹⁾ 19 ივლისს ბერძენმა ვაჭარმა, რომელიც სამეგრელოში უნდა გამყოლოდა, შემატყობინა, რომ ჩვენი გემი შავ ზღვაში გასვლას აპირებს და მხოლოდ ამინდს ელოდებაო. მე გადაწყვიტე, მაშინვე ავსულიყავი გემზე, მაგრამ მეგობრებმა მირჩიეს დამეცადა, ვიდრე გემის გასამგზავრებლად მომზადება არ დამთავრდებოდა, რადგანაც, როგორც ისინი ამბობდნენ, შეიძლება გამქვავნებულიყო, რომ ფრანგი ვიყავი. ამიტომ სამი დღე გავატარე ბოსფორში, გენუის რეზიდენტის გრაფ სინიბალდი ფიესკის ქალაქგარეთა სახლში, ხოლო შემდეგ ოთხი დღე ვიყავი არხის ბოლოში, ევროპის მხარეს მდებარე მშვენიერ ბერძნულ მონასტერში, იმ ნავსადგურის პირდაპირ, სადაც ჩვენი გემი ქარს ელოდებოდა. თრაკიის ბოსფორი²⁾, უდავოდ, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილთაგანია ქვეყნიერებაზე. ბერძენები „ბოსფორებს“² უწოდებენ იმ

სრუტეებსა და არხებს, რომელთა გადაცურვაც ხარს შეუძლია³). ეს სრუტე სიგრძით თხუთმეტი მილია, სიგანით კი დაახლოებით ორი. იგი ზოგან ფართოა, ზოგან კი უფრო ვიწრო. მისი ნაპირები მთაგორ იანია; მოფენილია სახლებით, ტყეებით, ბაღებითა და პარკებით; აქვს მომხიზვლელი ხედები, დაუსახლებელი თვალწარმტაცი სივრცეები – ნაკადულებითა და წყაროებით. კონსტანტინოპოლის ხედი არხიდან, როცა მას ორი მილის სიშორიდან უყურებ, როგორც ჩემი, ისე სხვების აზრითაც, არის ულამაზესი, რაც კი უნახავს ადამიანს. ბოსფორზე გასეირნება ისეთ დიდ სიამოვნებას მგვრის, როგორც შეიძლება მხოლოდ წყალზე სეირნობამ მოგანიჭოს. კარგ დარში აქ უამრავი ნავი დაცურავს. გენუის რეზიდენტს ბევრჯერ უთქვამს, რომ ერთხელ თავისი სახლის წინ შუადღიდან მზის ჩასვლამდე გამავალი გემების დათვლა განუზრახავს და დაახლოებით ათას სამასამდე დაუთვლია.

¹ M. le comte Sinibaldi Fieschi. ² Bosphores

ბოსფორზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ზარბაზნებით კარგად აღჭურვილი ოთხი ციხე-სიმაგრეა: ორი მათგანი შავი ზღვიდან რვა მილითაა დაშორებული, ორი კი უშუალოდ შესართავთან დგას. ეს ორი უკანასკნელი აშენებულია მხოლოდ ორმოცი წლის წინათ არხში შესასვლელი გზის დასაცავად კაზაკების, მოსკოვიტებისა³ და, პოლონელებისაგან, რომლებიც წინათ თავიანთი გემებით მოდიოდნენ და თარეშობდნენ თვით კონსტანტინეპოლამდეც კი. ამ ციხე-სიმაგრეებს დილეგებადაც იყენებენ სამხედრო ტყვეებისა და იმ წარჩინებულ ადამიანთათვის, რომელთა რაიმე სამსახურზე იძულებითი დაყოლიება სურთ. სრუტეში შესასვლელის მაჩვენებელი შუქურა ანუ ფარანი, მისგან საკმაოდ დაშორებით, დაახლოებით ორი მილის მანძილზე დგას. ღამით ცეცხლი გემებს სწორ გზას უჩვენებს. დღისით იგი გამოიცინობა თეთრი მარმარილოს სვეტით, რომელიც არხის იმავე მხარეს პატარა მაღალ კლდოვან კუნძულზე დგას. ეს კლდე ხმელეთისაგან გათიშულია, ე. ი. ყოველი მხრიდან ზღვით არის გარშემორტყმული და ცნობილია კიანეის კუნძულების სახელით⁴). ამ კუნძულებზე პოეტებს მრავალი არაკი აქვთ შექმნილი. სვეტს „პომპეუსის კოლონას“⁴ უწოდებენ და ირწმუნებიან, რომ იგი აგებულია აღსანიშნავად დიდი რომაელი კონსულის გამარჯვებისა მითრიდატეზე, რომელიც შავი ზღვის ამ მხარეში მეფობდა⁵). იგი უთუოდ მკვიდრად უნდა იყოს ნაგები, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტელმა ქარიშხალმა და გრიგალმა მას ვერაფერი ავნო. ეს მეტად ნიშანდობლივია, რადგანაც სხვა მხრივ იგი არც ისე მაღალია და გემის მოხაზულობითაც, როგორც

ჩანს, არ ემორჩილება სამშენებლო ხელოვნების მოთხოვნებს.

17-ში⁶) ჩავჯექი გემში, რომელიც უკვე გასვლას აპირებდა. ჩვენთან ერთად სხვადასხვა ზომის ოთხმოცზე მეტი გემი გავიდა ზღვაში. ჩვენს გემზე სულ ორასი კაცი იყო: აზაკის კომენდანტი ოცკაციანი ამალით, იანიჩართა ასეული, ოცდაათი მეზღვაური და ორმოცდაათი მგზავრი. მე სამი კაიუტა მეჭირა: ორში მე და ჩემი ამხანაგი⁷) ვცხოვრობდით, მესამეში კი ბარგი მოვათავსეთ; ჩვენს მხლებლებს გემბანზე ეძინათ. კაიუტები ვიწრო და მოუხერხებელი იყო. ჩვენები კიჩოზე მოთავსდნენ. გემზე სულ ოცდაათი კაიუტა იყო, მათ შორის ყველაზე სუფთა და დიდი კაიუტა კაპიტანს ეჭირა. მასში ათი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა. თურქულ გემებზე ძლიერ მოუხერხებელია ის, რომ ყველა საარსებოდ აუცი-

³ Moscovites. ⁴ La colonne de Pompée.

ლებელი საგანი, შეშა და წყალიც კი თვითონ უნდა გქონდეს; სხვა ყველაფერი ასატანია. თითოეულს შეუძლია დღეში ორჯერ, ან თუნდაც სამჯერ, მოიმზადოს საჭმელი. კერა კიჩოს გემბანზეა. როცა საჭმლის გაკეთება სურთ, იქ მოაქვთ ზედადგარი, შეშა და წყალი. ზოგჯერ თექვსმეტი-თვრამეტი ქვაბი მინახავს ცეცხლზე ერთდროულად შედგმული. საპირფარეშო და სხვა სათავსოები მოწყობილია გემის გარე ნაწილზე, კიჩოსთან, ჯიხურების სახით, რომლებიც საჭიროების მიხედვით შეიძლება მიმაგრდეს ან მოიხსნას.

გემს ერთი გემბანი და მხოლოდ ორი ანძა აქვს ბუმპრიტით, სახელდობრ გროტი და ფოკ-ანძა; თითოეულ ანძაზე ორი აფრის შებმა შეიძლება, ჩვეულებრივად კი მხოლოდ ერთია შებმული. თოკის კიბეები საერთოდ არ არის, გარდა ერთისა, რომელიც გროტ-ანძის წვერზეა მიმაგრებული და ძირს ჩამოუყვება მას. ანძებზე მარსები არ არის, ისევე როგორც ბუმპრიტზე, რომელზედაც მხოლოდ ერთი აფრაა გამოშვებული. ქედან უკვე ცხადია, რომ თურქი მეზღვაურები აფრების გასახსნელად ან ჩამოსაშვებად ანძაზე არ ადიან. ეს არც არის საჭირო, რადგანაც რეი მუდამ ქვევით – გემბანზეა. როდესაც აფრის აშვება სურთ, მას ხსნიან და ქაჩავენ მალა რეისკენ, რომელზედაც იგი მიმაგრებულია. როდესაც რეის დადგმა სურთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფოკ-ანძის აფრები მასზე მაგრდება. აფრის რეიზე დამაგრების შემდეგ, რეის ფოკ-ანძის წვერზე მიმაგრებული ბლოკით სწევენ. ყოველივე ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ გემების აღჭურვილობა არ არის დიდად გონებამახვილური; არც რანგოუტია უკეთესი.

ამ გემებზე არ ხმარობენ არც წყლის საქაჩავ ტუმბოებს და არც ოწინარს ღუზის ამოსათრევად. წყლისთვის ხმარობენ კასრებს,

ლუზა კი შემდეგნაირად ამოაქვთ: კიჩოზე მოწყობილია ორი პატარა ბლოკი, რომლებზედაც გადის ღუზის ბაგირი. ოცი ან ოცდაათი კაცი ჩაეჭიდება ამ ბაგირს და ქაჩავს, სანამ ღუზა ზევით არ ამოვა. როდესაც დატვირთული ხომალდი ნავსადგურში შედის, მას ოთხი ღუზით აბამენ: ორი მათგანი დამაგრებულია გემის ცხვირზე და ორიც კიჩოზე. აი, ჩემ მიერ შემჩნეული ის ძირითადი თავისებურებანი, რომელიც ახასიათებს ამ გემებსა და თურქების მიერ მათი მართვის ხერხებს.

ისინი დახელოვნებული მეზღვაურები არ არიან და ამიტომ მათი ნაოსნობა ფათერაკიანია. ყველაზე უფრო გაწაფული თურქი ან ბერძენი ლოცმანები ეყრდნობიან უბრალო გამოცდილებას და არა დადგენილ წესებს; არ იყენებენ რუკას, არ აწარმოებენ, ჩვენი

90

მეზღვაურების მსგავსად, ზუსტ დაკვირვებებს განვილილ გზაზე, რათა ამ დაკვირვების საფუძველზე ყოველდღიურად იცოდნენ, თუ რა მანძილი დარჩათ დანიშნულ ადგილამდე. ბუსოლის ხმარება არ ეხერხებათ და მხოლოდ ის იციან, რომ წყლის შროშანას პირი ჩრდილოეთისაკენ აქვს მიქცეული. გამგზავრების წინ ელოდებიან კარგ ამინდსა და ქარსის მიმართულებას. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი პირობებია, მაშინვე მაინც არ ეშურებიან გზას, რვა-ათ საათს აყოვნებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ ქარი და ამინდი არ უღალატებთ. ისინი ნაპირს შეჰყურებენ და ცდილობენ ნაპირიდანაც თვალთაგან არ დაიკარგონ. როდესაც კაბოტაჟით უხდებათ სვლა, კომპასს ადევნებენ თვალყურს. როგორც სხვების ნათქვამიდან, ასევე საკუთარი გამოცდილებიდან იციან საით არის ჩრდილოეთი, რომ დანიშნულ ადგილს მიაღწიონ. მხოლოდ ამით ხელმძღვანელობენ და სხვა არაფერი გაეგებათ. ღია ზღვაში რომ უხდებოდეთ ხანგრძლივი მოგზაურობა, ვერც ერთი მათგანი თავს ვერ დააღწევდა ქარიშხალს; კიდევ კარგი, რომ ნაპირებსა და ნავსადგურებს ახლოს მისდევენ. ძლიერი ქარის დროს იალქნებს კეცავენ და ტალღებს მიყვებიან. შემხვედრ ქარს წინააღმდეგობას არ უწევენ, უკან ბრუნდებიან, ნაცვლად იმისა, რომ აბობოქრებულ ზღვას შეებრძოლონ. ქარი, რომელიც გემებს ნაპირისაკენ მიერეკება, მათი დამღუპველია და რადგან არც ლავირება იციან და არც დრეიფი – ნაპირს ეჯახებიან.

მოხუცი თურქი კაპიტნებისაგან მსმენია, რომ შავ ზღვაზე ათას ხუთასი გემია და ყოველწლიურად აქ ასი გემი ილუპებაო. ყველაზე სახიფათო ადგილი არის ბოსფორში შესასვლელი.

ეს შესასვლელი მეტად ვიწროა. აქ ხშირად ქრის შემხვედრი ქარი, რომელიც გემს უტევს, და თუ გაძლიერდა, ახეთქებს მას კლდოვან ნაპირებს: აქ მრავალი კატარღა და გემი დამსხვრეულა.

დიდი ხანი არ არის, რაც ერთ დღეში აქ ჩვიდმეტი კატარლა დაი-
ლუპა. გასულ წელს კი ერთსა და იმავე დღეს, რომელსაც ბერძ-
ნები წმინდა დემეტრეს სახელობის დღედ თვლიან, აქ ოცდათექ-
ვსმეტი კატარლა დალუპულა. ამ დღეზე საგანგებოდ იმიტომ ვლა-
პარაკობ, რომ ბერძნები და თურქები მას მეზღვაურებისათვის სა-
ბედისწეროდ თვლიან. ამიტომ თურქ მეზღვაურებს მტკიცე წესად
აქვთ შემოღებული ზღვაში წმ. გიორგის დღეს, აპრილის დამდევს
გასვლა და ნავსადგურში წმ. დემეტრეს დღეს, ოქტომბრის და-
საწყისში, შემოსვლა; ეს მათ ბერძნებისაგან გადმოიღეს, რომლე-
ბიც ყოველთვის განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ამ ორ წმინ-

91

დანს და ნავიგაციის სეზონის დაწყებას და დამთავრებას მათი სა-
ხელობის დღეებს უკავშირებდნენ, თუმცა პირველი მათგანი ლე-
გენდარულ წმინდანადაა მიჩნეული. მათივე მიზამვით პორტუგა-
ლიელებმაც აღმოსავლეთ ინდოეთში სანავიგაციო დღედ საშობაო
და სააღდგომო დღეები დააწესეს, პირველს იყენებდნენ გოადან⁸)
ლისაბონში გასამზავრებლად, მეორეს კი – ლისაბონიდან გოა-
ში. შავი ზღვის შესართავთან გემები რომ ხშირად ილუპება, ამა-
ზე ისიც მიუთითებს, რომ ზღვასთან ახლოს მდებარე სოფლები გე-
მების ნამსხვრევებით არის აშენებული და სხვა საამშენებლო მასა-
ლას მოსახლეობა არ იყენებს. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ირწ-
მუნებიან, რომ ეს ბარბაროსები ქარიშხლის დროს ყველაზე სახი-
ფათო კლდოვან ნაპირებზე სინათლეს ანთებენ, რათა ამ სიყალ-
ბით მოტყუებული გემები მიიზიდონ და დალუპონო⁹). ცნობილია,
რომ შავ ზღვაზე ხშირი ქარიშხალი წლის ყველა დროსაა, მისი, მო-
კლე და წყვეტილი ტალღები, მისი ვიწრო და შეკუმშული კალაპოტი
სახიფათო ნაპირები, რომლებიც ნაწილობრივ გარს არტყია, გემე-
ბის დალუპვის ძირითადი მიზეზია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კარგი
ლოცმანები და მეზღვაურები დალუპული გემების ნახევარზე მე-
ტის გადარჩენას უთუოდ შეძლებდნენ. რვა დღის მგზავრობის შემ-
დეგ, 3 აგვისტოს დილით კავაში⁵ ჩავედით¹⁰). ამ ხნის განმავლო-
ბაში შესანიშნავი ამინდი იდგა და სუსტი ქარი ქროდა. მეხუთე
დღეს დავინახეთ ტავრიდის ქერსონესის⁶ კონცხი¹¹). ბერძნები ქერ-
სონესს უწოდებდნენ იმას, რასაც რომაელები „Peninsule“-ს,
ჩვენ კი ნახევარკუნძულს ვუწოდებთ; ამ ნახევარკუნძულს ბერძ-
ნებმა ტავრიდა დაარქვეს, რადგანაც თავდაპირველად იგი ტავრის⁷
მთიდან ჩამოსული სკვითებით იყო დასახლებული. თანამედროვე
გეოგრაფოსები მას უწოდებენ ყირიმის სათათრეთს⁸, რაც ყირი-
მის სახელწოდებიდან მომდინარეობს, როგორც თათრები და თურ-
ქები უწოდებენ ამ ქვეყანას; ეს არის ამ ქვეყნის უძველესი მო-
სახლეობის კიმერიელების⁹ დამახინჯებული სახელწოდება¹²). მას

აგრეთვე ეძახიან პერეკოპის სათათრეთს¹⁰, ე. ი. ქალაქთა სათათრეთს, რათა ამ ნახევარკუნძულის თათრები, რომელთა უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით ზამთარში, ქალაქებში ცხოვრობს, განასხვავონ ევროპის სხვა თათრებისაგან, რომლებიც ამ ნახევარკუნძულის გარეთ ცხოვრობენ და რომელთაც ეძახიან ნოლაელებს¹¹,

⁵ Caffa. ⁶ Chersonnése Taurique. ⁷ Taurus. ⁸ Tartarie Crimée.

⁹ Cimmerien. ¹⁰ Tartarie Perécopense. ¹¹ Nogayes.

აგრეთვე ორდებს ანუ ურდუს¹², რაც ნიშნავს „თავყრილობას“. ჩვეულებრივად თურქები და სპარსელები ასე სამხედრო ან სამეფო ბანაკს უწოდებენ. სპარსეთში ამ სიტყვით მეფის ადგილსამყოფელზე აღნიშნავენ. ასე მაგალითად, „HOrdou der Sifahon“ ნიშნავს „სამეფო კარი ისფაჰანშია“. ქვეყანას, რომელიც ორი ტომით – პერეკოპელი და ნოლაელი თათრებითაა დასახლებული, პატარა ანუ მცირე სათათრეთი ჰქვია; ამით განასხვავებენ მათ აზიის თათრებისაგან, რომლებიც მეოტიდის¹³ ლიმანის ანუ ჭაობის (აზოვის ზღვა) გადაღმა კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობენ ჩინეთის საზღვრამდე. რაც შეეხება სიტყვას „თათარი“, აღმოსავლეთში ამბობენ დაწერენ „ტატარს“¹⁴ და არა „ტარტარს“¹⁵ – როგორც ჩვენ.

უნდა აღნიშნოს, რომ ტავრიდის ქერსონესი ანუ პერეკოპის ნახევარკუნძული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არის გადაჭიმული და მისი მთელი გარშემოწერილობა დაახლოებით ორას ორმოცდაათ ლიეს¹³) შეადგენს, კერძოდ, ოცდათხუთმეტი ლიეა სიგრძეში ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და ორმოცდათხუთმეტი ლიე ყველაზე განიერ ადგილას. ზოგი გეოგრაფოსი მას უფრო ვრცლად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ ის უფრო დიდიაო, ვიდრე მორეა¹⁶, უძველესი პელოპონესი¹⁴). კონტინენტთან შემაერთებული მისი ყელის განი ერთ ლიეს არ აღემატება. ზღვაში ყველაზე ღრმად შეჭრილი ნაწილიდან კაფამდე ამ ნახევარკუნძულის ნაპირები ამაღლებულია და დაფარული მაღალი ტყითა და მთებზე შეფენილი სოფლებით. ლოცმანების აზრით, შავი ზღვით კონსტანტინოპოლიდან კაფამდე არის შვიდას ორმოცდაათი მილი. არ ვიცი როგორ ანგარიშობენ ისინი, ან როგორ შეიძლება ამის შეთანხმება იმ გარემოებასთან, რომ კატარლები ამ გზას ხშირად ორ დღე-ღამეში ფარავენ. ჩემი აზრით, აქ ორას ლიეზე მეტი არ უნდა იყოს. ჩვენმა გემმა ღუზა რომ ჩაუშვა, ორჯერ გაისროლა ზარბაზნიდან. აზაკში (აზოვში)¹⁷ დანიშნულმა კომენდატმა ჯარისკაცებს უბრძანა თოფის ზალპი მიეცათ; შემდეგ ნაპირზე გადმოვიდა ოფიცრების თანხლებით, რომლებიც ფაშამ მის დასახვედრად გამოგზავ-

ნა. ქალაქიც და ნავსადგურიც სრული თავისუფლებით სარგებლობენ: აქ არც შესვლისას და არც გასვლისას ნებართვას არავინ თხოვლობს არ ჩხრეკენ გემებს. ჩაუშვებს თუ არა გემი ღუზას, მის-

¹² Hordes. ¹³ Méotide. ¹⁴ Tatars. ¹⁵ Tartares. ¹⁶ Morée. ¹⁷ Azac (Asow)

კენ მიეშურებიან ნავები, რომლებსაც მსურველები ნაპირზე გადაჰყავთ.

კაფა მთის ძირას, ზღვის ნაპირზე გაშენებული დიდი ქალაქია. იგი ვიწრო ზოლადაა გადაჭიმული სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, გარშემორტყმულია სქელი კედლებით. ორსავე ბოლოში ზღვაში ოდნავ შეჭრილი კოშკებია ჩაშენებული და როდესაც გემიდან გაჰყურებ ქალაქს, ის ნახევარმთვარეს მოგაგონებს. სამხრეთის კოშკი ბორცვზეა აღმართული და ზემოდან დასცქერის მიდამოს; იგი ძალიან დიდია და ფაშაც აქვე ცხოვრობს; მეორე უფრო პატარაა, მაგრამ კარგად არის აღჭურვილი არტილერიით; შავი ზღვა მისკენ მიმართულ მხარეს აკრავს. ეს კოშკები, ისევე როგორც ქალაქი, ორმაგი კედლითაა გამაგრებული. კაფაში ოთხი ათასი სახლია, სამი ათას ორასი მაჰმადიანისა – თურქებისა და თათრებისა, რვაასი ქრისტიანისა – ბერძნებისა და სომხებისა. სომხები უფრო ბევრნი არიან ვიდრე ბერძნები. სახლები პატარებია და ალიზით არის ნაგები. ბაზრები¹⁸ (ასე უწოდებენ იმ ადგილს, სადაც ვაჭრობა წარმოებს), საზოგადოებრივი შენობები, მეჩეთები და აბანოები აგრეთვე ალიზისაა. ქალაქში ვერც ერთ ქვის სახლს ვერ ნახავთ, მხედველობაში თუ არ მივიღებთ გენუელების მიერ აშენებულ რვა უძველეს ეკლესიას, რომლებიც ნაწილობრივ დანგრეულია. კაფა უძველესი ქალაქია, მაგრამ მისი დაარსების ისტორია ნათლად არ არის გარკვეული. სტრაბონი¹⁵) ამბობს, რომ იგი უძველეს ხანაში იყო ცნობილი და საკმაოდ ძლიერიც იყო ათენის რესპუბლიკის დროს¹⁶). ის იხსენიება რომაელების ომების დროს პონტოს მეფე მითრიდატესთან, რომლის ინტერესებსაც იგი იცავდა; ომებისა თუ სხვა რაღაც მიზეზების გამო ეს ქალაქი მთლიანად დაინგრა და V საუკუნეში ბერძნებმა აღადგინეს; მას ეწოდა თეოდოსია¹², იმპერატორ თეოდოსის სახელი, რომელიც იმ დროს მეფობდა¹⁷); ბერძნებმა იგი გაამაგრეს და იმპერიის უძლიერეს საყრდენად აქციეს კაზაკებისა და თათრების წინააღმდეგ, რომლებსაც მაშინ ჰუნებს²⁰ უწოდებდნენ¹⁸). მაგრამ თათრებმა ბოლოს მაინც ხელთ იგდეს ქალაქი და მთელი ნახევარკუნძული, რომელზედაც ის არის გაშენებული. სწორედ მაშინ შეუცვალეს მას სახელი და უწოდეს კაფა, რომელიც მომდინარეობს „კაფერისაგან“²¹, რაც არაბული სიტყვაა და ყველა მაჰმადიანურ ენაზე ნიშნავს „ურწმუ-

¹⁸ Bazars. ¹⁹ Théodosie. ²⁰ Huns. ²¹ Caffer.

ლაქს, რომ იგი ქრისტიანებით იყო დასახლებული, რომლებსაც ისინი „კაფერებს“ ანუ „ურწმუნოებს“ ეძახიან, ისევე როგორც ჩვეს, ქრისტიანები, შურისგებით ვუწოდებთ მათ. ეს მოხდა მეთორმეტე საუკუნეში, ჯვაროსანთა ომების დროს¹⁹) აღმოსავლეთის იმპერატორების²⁰) უძღურების ხანაში. გენუელები, რომლებიც იმდროისათვის ძლიერი იყვნენ ზღვაზე, ამკარად ხედავდნენ ბიზანტიის იმპერიის დაცემას, რომელიც თავს ვერ იცავდა ვერც თურქებისაგან და ვერც თათრებისაგან, იფიქრეს, რომ თუ იმპერიას დაეხმარებოდნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლებში შეძლებდნენ ხელში ჩაეგდოთ ამ ბარბაროსების მიერ შავ ზღვაზე დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილი. მართლაც, ბედმა გაუღიმათ, გაგზავნეს რა-ზღვაზე, იმ დროის კვალობაზე, მეტად ძლიერი ფლოტი, სანაპიროზე დიდძალ მიწებს დაეპატრონენ, როგორც ევროპულ, ისე აზიურ ნაწილში. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი იყო ქალაქი კაფა, რომელიც მათ 1266 წელს მიხეილ პალეოლოგის ზეობის²¹) დროს დაიპყრეს. ამ გამარჯვებით გენუელები თითქმის ორ საუკუნეზე მეტ ხანს სარგებლობდნენ, მაგრამ ამ საუკუნეების განმავლობაში აზიაშიც და ევროპაშიც ოტომანები იმდენად გაძლიერდნენ, რომ კონსტანტინოპოლიც კი მათ უღელქვეშ მოექცა²²); მათ ბოლო მოუღეს შავ ზღვაზე გენუელების ბატონობას და დაპყრობილი მიწები დაატოვებინეს. კაფა მათ წაართვეს 1474 წელს მუჰამედ 11-ის²³) მეფობის დროს. ზოგნი კი ირწმუნებიან, რომ ეს ერთი წლით გვიან მოხდაო²⁴)’.

კაფას ნიადაგი მშრალი და ქვიშიანია. წყალი აქ კარგი არ არის, მაგრამ ჰაერი ძალიან სუფთაა. ბაღები ქალაქის ირგვლივ ცოტაა, ხოლო ხეხილი საერთოდ არ არის. ხილი დიდი რაოდენობით შემოაქვთ მეზობელი სოფლებიდან, მაგრამ ცუდი ხარისხისაა. მე არ მეგულება სხვა რომელიმე ქალაქი, სადაც საკვები პროდუქტები უფრო კარგი და იაფი იყოს, როგორც ეს კაფაშია. ცხვრის ხორცს მშვენიერი გემო აქვს: გირვანქა მხოლოდ ოთხი დენი²⁵) ღირს. სხვა ხორცეული, პური, ხილი, ფრინველი, ერბო შედარებით უფრო იაფად იყიდება. მარილი, ასე ვთქვათ, გამზადებული იპოვება. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც არსებობისათვის აუცილებელია, თითქმის მუქთია. ამიტომ უწინ ამ ქალაქს სამართლიანად ეძახდნენ საბერძნეთის ბეღელს, ისე როგორც მესინას²⁶) რომის ბეღელს, რადგან ეს არის ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი სურსათ-სანოვაგის შესანახად. მაგრამ უნდა აღინიშნოს

რომ ნავსადგურის მიდამოებში ახალითევი იშვიათად იშოვება, იჭერენ მხოლოდ პატარა თევზებს და ისიც მხოლოდ წლის გარკვეულ პერიოდში – შემოდგომაზე და გაზაფხულზე. თითქმის ყველა აქაური თათარი და თურქი პატარა მაუდის ჩაჩს ატარებს, რომელსაც ცხვრის ბეწვი აქვს დაკერებული. მაგრამ რადგანაც ასეთი ჩაჩი აზიაში მცხოვრებ ქრისტიანებსაც ახურავთ, კაფას ქრისტიანები თავიანთ ქუდეზე მაუდის პატარა ნაჭერს ამაგრებენ, ისევე როგორც გერმანიაში ებრაელებს მოსასხამებზე მსგავსივე მაუდის ნაჭრები აქვთ მიკერებული. ეს იმიტომ, რომ მაჰმადიანებისაგან გამოირჩეოდნენ.

კაფას რეიდი, ჩრდილოეთისა და სამხრეთ-დასავლეთის გარდა, ყველა სხვა მიმართულების ქარისგან დაცულია. გემები ღუზას ნაპირთან საკმაოდ ახლოს – ათი-თორმეტი საჟენის დაცილებით უშვებენ შლამიან და მყარ ფსკერზე. შავი ზღვის არც ერთ ნავსადგურში არ იმართება ისეთი დიდი ვაჭრობა, როგორც აქ. იმ ორმოცი დღის განმავლობაში, რომელიც იქ გავატარე, ვნახე ოთხასზე მეტი შემოსული და გასული იალქანი, თუ არს ჩავთვლით სანაპირო ნაოსნობის პატარა გემებს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ვაჭრობა დამარილებული თევზით და ხიზილალით, რომელიც მეოტიდის ჭაობიდან (აზოვის ზღვა) შემოაქვთ და რომელიც მთელ ევროპაში, თითქმის ინდოეთამდეც კი გააქვთ. ამ პატარა მოცულობის ჭაობში საოცრად დიდი რაოდენობით იჭერენ თევზს. თევზის ასეთ სიუხვეს ადგილობრივი მცხოვრებლები იმიტომ ხსნიან, რომ ამ ჭაობის წყალი ტანაისის²² (ანუ დონის)²⁷ შერთვის გამო, ნაკლებად მლაშე და შლამიანია, იგი იზიდავს თევზს არა მარტო ტანაისისა და შავი ზღვიდან, არამედ ჰელესიპონტისა და არქიპელაგიდან²⁸); თევზი აქ იკვებება და სუქდება მცირე დროში. ბევრნი მარწმუნებდნენ, რომ აქ დაჭერილი თევზი სიგრძით ოცდაოთხიდან ოცდაექვს ფუტამდეა, იწონის რვაას-ცხრაას გირვანქას და იძლევა სამოთხ ცენტნერ ხიზილალას²⁹). ხიზილალა ამ თევზის ქვირითიდან კეთდება და უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე თვით თევზი. ხიზილალა აქ ვაჭრობის მთავარი საგანია. თვითონ მე კაფაში არ მინახავს დიდი თევზები, მაგრამ სხვების ნათქვამი მჯერა, რადგანაც ვნახე მისი ნაჭრები და ისიც ვნახე, თუ რა დიდი რაოდენობით გააქვთ იგი სხვადასხვა მხარეში. ამ თევზის ჭერა, რომელიც ზუთხის ჯიშისაა, წარმოებს ოქტომბრიდან აპრილამდე შემდეგნაირად:

²² Tanais.

თევზს მიერეკებიან ხიმანჯებით შემოფარგლულ ადგილას და იქ ხოცავენ ბარჯებით. მეოტიდის ტბაში დიდი რაოდენობითაა შლამი და, ალბათ, ამის გამო ემახიან მას ჭაობს; უფრო სწორი იქნებოდა, რომ მას ტბა ერქვას, რადგანაც აქ გემები დაცურავენ; მისი დონე არც კლებულობს და არც მატულობს და იგი უწყვეტ კავშირშია დიდ მდინარესა და ზღვასთან.

ხიზილალასა და თევზის გარდა კაფაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ხორბლის, ერბოსა და მარილის გაზიდვას ამ პროდუქტებით კაფა ამარაგებს კონსტანტინოპოლს და ბევრ სხვა ადგილს. კაფას ერბო თურქეთში საუკეთესო ერბოდ ითვლება. ვენეციელები ბევრჯერ ცდილან კაფაში ვაჭრობას ნებართვა მიეღოთ, მაგრამ ყოველთვის უარს ღებულობდნენ. 1672 წელს აზნაურმა²³ კვირინიმ³⁰) დიდი ხარჯი გაიღო ნებართვისათვის, ბოლოს მიიღო კიდევაც, მაგრამ კონსტანტინოპოლის საბაჟომ იგი გააუქმა. აი, როგორ მოხდა ეს.

ყველა ევროპელს ხელშეკრულებაში აღნიშნული აქვს, რომ მათ საბაჟო გადასახადი იმ ადგილას უნდა გადაიხადონ, სადაც საქონელს გადატვირთავენ. ამ პირობის თანახმად, ვენეციელებმა უარი განაცხადეს კონსტანტინოპოლში გადაეხადათ ბაჟი იმ საქონელზე, რომლითაც დატვირთული იყო პირდაპირ კაფაში მიმავალი პატარა გემი. საბაჟოს უფროსი დაჟინებით მოითხოვდა ბაჟის გადახდას. აზნაურმა კვირინიმ დეფთერდარს²⁴ გამოართვა ბრძანება საბაჟოს უფროსისადმი, რომლის საფუძველზეც მას ეკრძალებოდა კაფაში მიმავალი ვენეციური გემის გაჩხრეკა. დეფთერდარი სახელმწიფოს მთავარი ხაზინადარია. მის განკარგულებაშია ყველა საბაჟო. მიიღო თუ არა ეს ბრძანება, საბაჟოს უფროსმა ვეზირს მისწერა, რომ ვენეციელების ვაჭრობა შავ ზღვაზე სულთანისა და პორტასათვის³¹) მეტად საზარალო იქნებაო; მისი აღმატებულება რომ ზარალდებოდა, იქიდან ჩანს, რომ ვენეციიდან შავი ზღვით წამოსული საქონელი კონსტანტინოპოლში ბაჟს ორჯერ იხდიდა – შესვლისას და გამოსვლისას; იგივე ვრცელდებოდა იმ საქონელზეც რომელიც ვენეციელებს შავი ზღვით შემოჰქონდათ. ყოველივე ამას სულთანი კარგავდა თუ ვენეციელებს მიეცემოდათ შავ ზღვაში თავისუფალი გასვლის უფლება, რადგანაც ხელშეკრულების თანახმად ბაჟი უნდა გადაეხადათ საქონლის გადმოტვირთვის ადგილას. გარდა ამისა, შავ ზღვაში ვენეციელებისათვის თავისუფალი შესვ-

²³ Chevalier. ²⁴ Defterdar.

თათვის ამ ზღვაზე მდებარე პორტას მიმართ მტრულად განწყობილ ქვეყნებთან შეკავშირებისა და გაერთიანებისათვის. მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ ეს ნებართვა გააკოტრებდა სულთანის ქვეშევრდომებს, მრავალ ზღვაოსან ქრისტიანსა და თურქს, რადგანაც ევროპელები უფრო დახელოვნებულნი იყვნენ ნაოსნობაში, ვიდრე თურქები; ვენეციელები დაეპატრონებოდნენ გადაზიდვის საქმეს შავ ზღვაზე და საქონლის გადაზიდვას ყველა მათი გემებით მოისურვებდა. დიდი ვეზირი ყოველივე ამას მშვენივრად მიხვდა და უბრძანა კონსტანტინოპოლის გუბერნატორს ვენეციელების გემები შავ ზღვაზე არ გაეშვათ.

30-ში ჩემმა ბერძენმა გამყოლმა ბარგი და ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა იმ გემიდან, რომლითაც კაფაში ჩავედით, გადაატანინა მეორეზე, რომელიც კოლხიდაში²⁵ უნდა წასულიყო. ის წავიდა და კაფას საბაჟოს უფროსს მოახსენა, რომ აზაკის გემზე ორი ფრანკი³² პაპა იმყოფება, რომლებსაც სურთ სამეგრელოში მიმავალ გემზე გადავიდნენ, რომ ამ პაპებს უმნიშვნელო რამა აქვთ, როგორცაა წიგნები და სხვა ყოველგვარ ფასეულობას მოკლებული საეკლესიო ნივთები და თუ საბაჟოს სურს ამ ნივთების დათვალიერება, ვინმე გაგზავნოს გემზეო. აღმოსავლეთის ქრისტიანები და თურქები ეკლესიის ყველა მსახურს, როგორც უცოლოს, ისე ოჯახიანს, ეძახიან „პაპას“²⁶, ასე რომ, ჩემმა თანამგზავრმა ბერძენმა მე და ჩემი ამხანაგი მღვდლებად გაგვასალა.

ჩვენი ბერძენი არწმუნებდა მათ, რომ კოლხიდაში იტალიელ მისიონერებთან მივიდივართ და რომ მათი თანამომძმენი ვართ. საბაჟოს უფროსმა მყისვე გამოგზავნა კაცი ჩვენი ბარგის დასათვალიერებლად. ჩვენი თანამგზავრიც მას თან მოჰყვა; საბაჟოს ზედამხედველს ორი ზანდუკი გავუხსენი. მან ხელი ჩაჰყო ერთ-ერთ მათგანში, რომელშიც წიგნების, ქაღალდებისა და მათემატიკური ინსტრუმენტების გარდა არა იყო რა; რაკი დარწმუნდა, რომ ძირშიც იგივე საგნები იყო, რაც ზემოთ, სიცილი დაიწყო და ვინც იგი მოიყვანა, მას უთხრა: ღირდა კი შრომად ამ საგნების წამოღება ევროპიდან სამეგრელოშიო! ამ საგნებში ხუთ სოლსაც არ მივცემდიო, ეშმაკურად დასძინა ჩვენმა ბერძენმა: – საბაჟოს უფროსს აკი მოვახსენე ამ პაპებს წვრილმანის გარდა არაფერი გააჩნიათ-მეთქი, ხომ თვითონ დარწმუნდით, რომ სიმართლეს მოგახსენებ-

²⁵ Colchide. ²⁶ Papa.

დითო. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: მამაო, მიეცი ერთი ასლანი²⁷ ამ პატიოსან კაცს იმ შრომისათვის, რომელიც მან გასწია ჩვენთან მოსვლით და ბარგის დათვალიერებით და მოემზადეთ სამეგ-

რელოში მიმავალ გემზე გადასასხდომადო. ამოვიღე მონეტა, რომელიც ორმოც სოლს შეადგენდა და ფული ზედამხედველს გაეფუწოდე ისეთი კაცის იერით, რომელსაც ფული ცოტა აქვს და რომლისთვისაც ხუთი-ექვსი ცალი მონეტა დიდ განძს წარმოადგენს. პირველად უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს მაინც აიღო, როცა უთხრეს, რომ ეს ნავის საფასურია და არავითარ შემთხვევაში უარის თქმა არ შეიძლებაო. ზედამხედველი მაშინვე წავიდა, ჩემი თანამგზავრიც თან გაჰყვა და მოისმინა, როგორ მოახსენა მან საბაჟოს უფროსს, რომ ჩვენ მხოლოდ წიგნები, ქაღალდები, სპილენძისა და ხის უმნიშვნელო საგნები გვქონდა, რაზედაც საბაჟო გადასახადის დადება არც კი ღირსო.

ორი საათის შემდეგ ჩემი ერთგული ბერძენი დაბრუნდა. გვითხრა, როჯმ საბაჟოსაგან საბოლოოდ თავის დასაღწევად აუცილებელია გემის მწერლისთვისაც იმდენივე გადაგვებადა, რამდენიც ზედამხედველს მივეცით, რადგანაც მწერალი გემიდან გადმოტვირთული ბარგის ზუსტ სიას ადგენდა და ყოველ საღამოს მას საბაჟოს უფროსს წარუდგენდა ხოლმე. ამგვარად, ისიც კონტროლს ეწეოდა. მე ვუთხარი, რომ ემოქმედა ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა. მაშინვე დაუძახა მწერალს და უთხრა: ხომ ხედავ, საბაჟოს ზედამხედველმა ვერაფერი ნახა ფრანკი პაპების ზანდუკებში. წიგნებით სავსე ზანდუკები და ხუთი თუ ექვსი ყუთი საეკლესიო სურათებით მათ კიდევ აქვთ. ეს ყუთები არ გაუხსნიათ, რადგანაც ჰაერი მხატვრობას აზიანებს და თანაც ყუთში ისინი მჭიდროდაა ჩაწყობილი. გთხოვთ, აიღო ეს ფული და მხოლოდ ის ორი ზანდუკი დაიხსომო, რომელიც უკვე გაისინჯა და დანარჩენი არ აღნიშნო. მწერალი დაგვპირდა, რომ ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც ჩვენ გვსურდა და თავისი პირობა შეასრულა კიდევაც. მან საშუალება მოგვცა, რაც გაგვაჩნდა ყველაფერი წაგველო და გამოთხოვებისას ღვთის წყალობა გვისურვა. ჩვენი ბარგი ორ ნავზე მოვათავსეთ და გადავიტანეთ გემზე, რომელიც სამეგრელოში გასამგზავრებლად იტვირთებოდა. არავის არაფერი უკითხავს. საბაჟოს ხალხი და ყველა მგზავრი იმ გემებისა, რომელმაც ჩამოგვიყვანა და რომლითაც მივდიოდით, გულწრფელად ფიქრობდა, რომ

²⁷ Aslani.

ჩვენ პაპები ვიყავით და ჩვენი ბარგი მეტად მცირე ღირებულებებისა იყო; და რომ ტომრებში, როგორც ვამბობდი, სურსათის მეტი არა იყო რა. არსებობს ძნელად გამოსახატავი, მაგრამ მრავალი აუცილებელი პირობა, რომელიც საჭიროა თურქეთში მშვიდობიანი, თავისუფალი და უშიშარი მოგზაურობისათვის და რომლითაც გა-

დასახადებს, ცუდ მოპყრობას იოლად აღწევ თავს და ადვილად გადინხარ საბაჟოს, რომელიც არც თუ ისე მკაცრია; მაგრამ ყველაფერი მაინც ბედზეა დამოკიდებული, ე. ი. გარდა თურქების სულისკვეთებასთან შეთანხმებული მოქმედებისა, აუცილებელია ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევაც.

25 აგვისტოს გემი, რომლითაც ჩამოვედი კაფაში, აზაკის ციხე-სიმაგრეში წავიდ³³). მას თან გაჰყვა მისივე სიდიდის სამი კატარა. ამ ციხე-ესიმაგრის ახლადდანიშნულ კომენდატს არ უნდოდა გამგზავრება მანამ, სანამ არ დაბრუნდებოდა მის მიერ გაგზავნილი შიკრიკი, რომელსაც უნდა შეეტყო იყო თუ არა დადებული დროებითი ზავი მოსკოვიტებთან და იყვნენ თუ არა მეკობრეები მეოტიდის ტბაში. კაფას მცხოვრებლები თვლიან, რომ ამ ქალაქიდან აზაკამდე ზღვით ოთხას ორმოცდაათი მილია, ხმელეთით კი უფრო ნაკლები. ამ გზის გასავლელად სავსებით საკმარისია თორმეტი ან ცამეტი დღე. მეოტიდის ტბის სრუტის სიგრძე, მხედველობაში მატებს არხი ამ ტბასა და შავ ზღვას შორის, სიგრძით ხუთლიეს უდრის. ძველად ამ არხს კიმერიულ ბოსფორს³⁴) უწოდებდნენ, თანამედროვენი მას კაფას სრუტეს და ან წმ. იოანეს ყურეს ეძახიან. აზაკში მიმავალი დიდი გემები პალესტრაში²⁸ ჩერდებიან³⁵), რომელიც ციხე-სიმაგრიდან ორმოცი, ხოლო ტანაისიდან ოცი მილითაა დაშორებული; უფრო წინ გემი ვეღარ მიდის, რადგანაც წყალი არ არის ღრმა. აზაკის ციხე-სიმაგრე მდინარიდან თხუთმეტი მილითაა დაცილებული. ეს ადგილი აქ გამოგზავნილი ადამიანებისა და ფულისათვის სახიფათოა, რადგანაც მოსკოვიტები ძარცვას ხან ზღვაზე ეწევიან, ხან ხმელეთზე. ამ ციხე-სიმაგრის კომენდანტები დროებით ზავს დებენ ხოლმე მეზობლებთან, მაგრამ ეს ზავი მოკლევადიანია, რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო ერთი ან მეორე მხრიდან იგი ხშირად ირღვევა. ტანაისის შესართავში და მის ნაპირზე თურქებს ორი პატარა ციხე-სიმაგრე აქვთ, სადაც გარნიზონი დგას. შესართავი ჩაკეტილია მსხვილი ჯაჭვით, რაც ხელს უშლის მოსკოვიტებს და ჩერქეზებს³⁶) დიდი

²⁸ Palestra.

ნავებით გავიდნენ ტბასა და ზღვაში. ვიდრე ეს ციხე-სიმაგრე აიგებოდა და ჯაჭვით ჩაიკეტებოდა, ეს ხალხი თავისი ხომალდებით გადიოდა ტანაისში და თავისუფლად მიმოდიოდა ყველა მიმართულებით. ამჟამად ეს გასასვლელი მათი დიდი გემებისათვის ჩაკეტილია. ზოგჯერ ღამით ისინი მსუბუქ ნავებს გადაატარებენ ხოლმე ჯაჭვზე, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება იმის შიშით, რომ ორივე სიმაგრიდან ზარბაზნის სროლა ატყდება და ჩაძირავს მათ.

ძველად ჭაობიდან სამი ლიეს დაშორებით ციხე-სიმაგრე იდგა; მას ტანას²⁹ ეძახდნენ³⁷) მდინარე ტანაისის სახელწოდების მიხედვით. ამჟამად იგი დანგრეულია. ეს, ზოგიერთების მტკიცების საწინააღმდეგოდ არ არის აზაკი, რომელიც აქედან თხუთმეტი ლიეს მანძილზე მდებარეობს. მდინარე ტანაისი განიერია, მისი სიგრძე დაახლოებით ოთხმოც ლიეს შეადგენს, შესართავი კი, რომლითაც იგი ზღვას უკავშირდება, სიგანეში ოცდახუთიდან ოცდაათ ლიემდე აღწევს. ძველად მას ორქსანტს³⁰ ეძახდნენ. ადგილობრივი მცხოვრებლები, ერთი მხრივ, მოსკოვიტები და კაზაკები, ხოლო, მეორე მხრივ თათრები მას „დონს“, „ტონს“ ან „ტენს“³¹ უწოდებენ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარმოთქვამენ ისინი „დ“ და „ტ“ ასოებს, რომელთა აღრევაც ასე ადვილად ხდება აღმოსავლურ ენებში; მაგრამ „დონი“ დაიწერება თუ „ტონი“ ერთი რამ ცხადია, ამ დიდი მდინარის სახელწოდება „ტანაისი“ ბერძნებმა სწორედ აქედან გადმოიღეს.

30-ში ჩვენი გემი ზღვაში გავიდა და გაემართა იმ ადგილისაკენ, რომელსაც დუზლა (ტუზლაჰ)³²) ე. ი. „მარილსახდელი“ ჰქვია. ეს არის დიდი მლაშე ჭაობი ზღვის სანაპიროზე, კაფადან ორმოცდაათი მილის დაშორებით. ჩვენ იქ ჩავედით 31-ში დილით და მაშინვე მთელი ეკიპაჟი შეუდგა მარილის დატვირთვას; მათ არავინ უწევდა მეთვალყურეობას. ირწმუნებიან, რომ აქ ყოველწლიურად ორასი გემი იტვირთება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ორჯერ მეტის დატვირთვაცო. მარილსახდელები არავითარ ხარჯებს არ იწვევს ამ ჭაობებში, რომლის ფსკერზე ნიადაგი ნოყიერი და მკვრივია, შეჰყავთ ზღვის წყალი. ეს წყალი იქ ილექება და იძლევა საუკეთესო ხარისხის თეთრ მარილს, რომელიც განსაკუთრებით კარგად უნარჩუნებს დამარილებულ ხორცს სინოტივეს. მარილის დატვირთვაზე მუშაობისათვის იღებენ ორმოც სოლს, იმისდა მიუხედავად თუ რამდენს მუშაობენ. ნაპირიდან ერ-

²⁹ Tana. ³⁰ Orx entes. ³¹ Don, Ton. Ten. ³² Dousla (Toüzläh).

თი მილის დაცილებით თათრების სოფელია; მე იქ რამდენიმე კაცის თანხლებით სურსათის მოსამარაგებლად წავედი. მთელ სოფელში ათი თუ თორმეტი სახლი და ერთი პატარა მეჩეთი იყო, მაგრამ ირგვლივ დიდი რაოდენობით იყო გაფანტული ყოველი მხრიდან კარგად დაცული, მრგვალი და ოთხკუთხედი კარვები, რომელთა უმეტესი ნაწილის დიამეტრი ათიდან თოთხმეტ ფუტამდე აღწევს. იყო აგრეთვე გადახურული და კარგად შეკრული ორთვლიანი ურმები, რომელთაც ასევე საცხოვრებლად იყენებენ. საუკეთესო კარვები საკმაო სუფთაა; მათ ერთიმეორეზე გადაგრეხილი

მრგვალი წნელებით აგებენ; გარედან დახურულია კარგად გაჭიმული რუხი ნაბდის სქელი ნაჭრებით; შიგნიდანაც უფრო თხელი და ნაირფერი ნაბდის ნაჭრებითაა მოფენილი. ამ კარვებს იმავე მასალისაგან გაკეთებული ერთი კარი აქვთ, ზემოთ პატარა სარკმელია, საიდანაც სინათლე შემოდის და კვამლი გადის. მისი დახურვა სურვილისამებრ შეიძლება იმავე ნაბდის ნაჭრით მთლიანად ან ნახევრად. იატაკი ნოხებითაა დაფარული. ზოგიერთი კარავი გვერდიდან ხალიჩებითაა დაცული. ყოველ ოჯახს ერთი ასეთი კარავი აქვს და კიდევ ორი სხვა: ერთი გაკეთებული უხეში შალის ქსოვილისაგან და განკუთვნილია საქონლისა და ცხენებისათვის. მეორე ისეთივეა, როგორც პირველი, მხოლოდ ნაკლებად სუფთაა და ბევრად დიდია მასზე. შუაგულში მრგვალი ორმოა ამოთხრილი, რომელიც სიღრმით ხუთი ფუტია, ხოლო სიგანით – ორი ფუტი: საქმელი ამ ორმოში კეთდება. კარვებში ცხოვრობენ ტყვეები. აქვე ინახება ოჯახის ბარგი და სურსათ-სანოვარე. მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა, ამჟამად თურქებისა და სპარსელების ქვეშევრდომების გარდა ისეთსავე კარვებში ცხოვრობენ, როგორშიც თათრები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი კარვები უფრო დიდია, სიგანეში თხუთმეტ-ოც ფუტს აღწევს, არა აქვთ არც ბუხარი და არც ფანჯარა; ცეცხლს შუაში ანთებენ; სინათლე შემოდის ერთი ან ორი კარიდან ან ზემოთ მოთავსებული სარკმლიდან, საიდანაც აგრეთვე ბოლი გადის, როგორც უკვე აღვნიშნე. თათრები, ისე როგორც აღმოსავლეთის სხვა გლეხები, მარცვლეულს და საქონლის საკვებს ღრმა ხარობებში ინახავენ, რომელსაც უწოდებენ „ამზარს“³³, რაც ბედელს ნიშნავს. ამ ნართებს ისეთი გულმოდგინებით ფარავენ, რომ მიწას ზემოდან არაფერი ეტყობა და მათი მიგნება მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც ის გააკეთა. მე მინახავს ეს ხარობები, რომ-

³³ Arnber.

ლებითაც თაობები სარგებლობდნენ, მაგრამ მათ სინოტივე არ ეპარებოდათ, არც მარცვალს ჰქონია სიდამპლისა და შმორის სუნი. თათრები ხარობებს თხრიან კარვებში ან მინდორში და, როგორც აღვნიშნე, ისე მოასწორებენ ხოლმე ირგვლივ მიწას, რომ ნათხარი არა ჩანს. როდესაც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა სურთ, ეს მეტად ადვილად და სწრაფად კეთდება. მათი კარვები საათნახევარში იშლება და იტვირთება. მიმოსვლის საშუალებად ჩვეულებრივად ხარებს და ცხენებს იყენებენ, რომლებიც მრავლად ჰყავთ. ამ ხალხის სარწმუნოება მაჰმადიანობაა, მაგრამ მასში შერეულია ცრუმორწმუნეობა და უცნაური წარმოდგენები ჯადოსნობასა და მკითხაობაზე.

2 სექტემბერს გათენებამდე ისეთი ძლიერი საწინააღმდეგო მიმართულების ქარი ამოვარდა, რომ იძულებული გავხდით უკან დავბრუნებულიყავით კაფაში, რადგანაც ნაპირი, სადაც ჩვენ ვიყავით, საკმაოდ სახიფათოა. უკან დაბრუნებას ათი საათი მოვუწოდით.

7-ში შუალამისას კვლავ გავედით ზღვაში. ერთხანს მშვენიერი ამინდი იდგა. დილით ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომელიც დალუპვას გვიქადდა. ყველაზე უფრო ის მაშინებდა, რომ ჩვენი გემი მეტისმეტად გადატვირთული იყო. იგი იმდენად იყო გამოტენილი საქონლით, რომ ზემო გემბანზეც ეყარა თორმეტობდე ფუტი. მადლობა ღმერთს, ქარიშხალი დიდხანს არ გაგრძელებულა და ზურგის ქარმა გადაგვარჩინა.

ჩვენი გემის ტვირთს შეადგენდა: მარილი, თევზი, ხიზილალა, ზეთი, ორცხოხილა, მატყლი, რკინა, სპილენძი, სპილენძისა და ქაშანურის ჭურჭელი, ყოველგვარი იარაღი და აკაზმულობა, სამიწათმოქმედო იარაღი, ყოველნაირი ფერის მაუდი და ტილო, ქალის და კაცის მზა ტანსაცმელი, საბნები, ნოხები, ტყავი, ჩექმები, ფეხსაცმელები; ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ყველაზე მეტად აუცილებელია ადამიანისათვის. გემზე იყო აგრეთვე საგალანტერიო და საბაყლო საქონელი, ნელსურნელებანი, წამლები და ყოველგვარი ნელსაცხებლები. ეს გემი, ასე ვთქვათ, პატარა ქალაქს გავდა, სადაც ყველაფერი იყო. გემზე ასნი ვიყავით.

8-ში დილით დავინახეთ მეოტიდის ჭაობის სრუტის ნაპირები. იგი ამალელებულია და ჩვენ მისგან ოცდაათი მილით ვიყავით დაცილებული. ამ სახელგანთქმულ ჭაობს, მისი სიდიდის გამო, თურქები ზღვას უწოდებდნენ, თანაც „ლურჯ ზღვას“, რადგანაც მასში

მცირე რაოდენობითაა შერეული ზღვის წყალი. სადამოს კუოდოსის³⁴ კონცხის ახლოს ვიყავით, რომელსაც პტოლემეაიოსი³⁸) კოროკონდამეს³⁵ უწოდებს³⁹). ეს კონცხი ღრმად არის შეჭრილი ზღვაში. ნაპირები ძალიან ამალელებული აქვს და შორიდან მოჩანს. კაფადან ამ კონცხამდე სრუტით მივდიოდით; იქიდან კი სამეგრელომდე ნაპირს მივყვებოდით.

კაფადან მეოტიდის ჭაობის სრუტემდე ასოცი მილია. ქვეყანა, რომელიც მათ შორის მდებარეობს, თურქებს ექვემდებარება და დასახლებულია თათრებით; მაგრამ მოსახლეობა ცოტაა – ეს საწინაპრო თითქმის უკაცრიელია. მეოტიდის ჭაობის სრუტიდან სამეგრელომდე სანაპირო ხაზი ექვსასი მილია. აქ ტყით დაფარული ლამაზი მთებია, სადაც ჩერქეზები³⁶ სახლობენ. ამ ხალხს თურქები „ჩერქეზს“³⁷ ან „კერკეზს“³⁸ უწოდებენ. ძველი მწერლები მათ „ზიგებს“³⁹ და აგრეთვე „მთის მცხოვრებლებს“ უწოდებენ, რაც

შესატყვისება „ფენჯ-დაგუის“⁴⁰ და, როგორც ზოგიერთი აღმოსავლელი გეოგრაფოსი იხსენიებს ამ ხალხს, ეს ნიშნავს „ხუთ მთას“⁴⁰); ეს განსაზღვრული რიცხვი ქცეულია ზოგად სახელად. პომპონიუს მელა⁴¹) მათ „სარგასილებს“⁴¹ უწოდებს. ისინი პორტას ქვეშევრდომნი არ არიან და არც ხარკს უხდიან მას. კლიმატი აქ საკმაოდ ცუდია – ნესტიანი და ცივი. ხორბალს საერთოდ არ თესვენ. აქ განსაკუთრებული არაფერი მოყავთ. ამიტომაც თურქები ამ უზარმაზარი მხარისათვის ადგილობრივ მოსახლეობას არ ეცილებიან და მის დაპყრობას და დაუფლებას არ თვლიან საჭიროდ. კონსტანტინოპოლისა და კავადან სამეგრელოში მიმავალი გემები ამ სანაპიროზე რამდენიმე ადგილას უშვებენ ღუზას. თითოეულ ადგილას ერთი ან ორი დღე ჩერდებიან... ჩერქეზებთან⁴² იარაღით ხელში ვაჭრობენ. თუ ვინმეს გემზე ასვლა სურს, ისინი მათგან მძევლებს იტოვებენ. ასევე იქცევიან თვითონაც, როცა ვინმე გემიდან ჩასვლას მოინდომებს, რაც იშვიათად ხდება... ერთ მძევალში ისინი სამს იძლევიან. აქ იგივე საქონელი შემოაქვთ, რაც სამეგრელოში, რადგანაც ეს ქვეყანა უფრო მეტად ღარიბია. სანაცვლოდ აქედან გაყავთ ადამიანები სქესისა და ასაკის განურჩევლად, გააქვთ თაფლი, ცვილი, ტყავი, ტურას⁴³ ბეწვი. ეს ცხოველი მელას გავს. მაგრამ ბევრად დიდია მასზე. გააქვთ აგრეთვე „სერდავალის“⁴⁴ ტყავი, რომელიც კვერნისას გავს, და ჩერქეზების მთებში მოზინა-

³⁴ Cuodos. ³⁵Corondama. ³⁶ Circassiens. ³⁷ Cherkés. ³⁸Kerkés.

³⁹ Zagéens. ⁴⁰ Peng-dagui (pendje dâghy) ⁴¹1 Sargaciens. ⁴²Cherkés (Tcherkés). ⁴³ Chacal (Chaghâl) ⁴⁴ Serdaval.

დრე სხვა ცხოველების ტყავები. აი ყველაფერი ის, რაც ამ ხალხს გააჩნია. გაცვლა-გამოცვლა წარმოებს შემდეგნაირად: გემიდან წამოსული ნავი აახლოს მიდის ნაპირთან. ნავში მსხდომნი კარგად არიან შეიარღვებულნი. ისინი ნავთან მიახლოების უფლებას აძლევენ იმდენივე ჩერქეზს, რამდენიც თვითონ არიან. თუ დაინახეს, რომ მეტნი უახლოვდებიან, ნავი მაშინვე კვლავ ზღვაში გაყავთ. როცა ურთიერთს სალაპარაკო მანძილზე დაუახლოვდებიან, ერთმანეთს უჩვენებენ გასაცვლელ საქონელს. შეთანხმდებიან და იწყება გაცვლა-გამოცვლა... ოდესღაც ჩერქეზები ქრისტიანები ყოფილან, დღეს კი მათ არავითარი სარწმუნოება არა აქვთ, თვით პირველყოფილიც კი. მე არაფრად ვთვლი ზოგიერთ ცრუმორწმუნეობრივ ჩვევას, რომლებიც მათ მეზობელი ქრისტიანებისა და მაჰმადიანებისაგან უნდა ჰქონდეთ გადმოღებული. ჩერქეზები ცხოვრობენ ხის ქოხებში და თითქმის შიშვლები დადიან. ყოველი მამაკაცი მახლობელ მიდამოებში მცხოვრები მამაკაცის დაუძინებელი

მტერია. ადგილობრივი მცხოვრებლები ერთმანეთს ატყვევებენ და ტყვეებად მიყიდიან ხოლმე თურქებსა და თათრებს. მიწას ქალები ამუშავებენ. ჩერქეზები და მათი მეზობლები იკვებებიან ფეტვის-მაგვარი წვრილი მარცვლეულისაგან დამზადებული ფაფით. ამ სანაპიროზე მოვაჭრეები ბევრს მოგვითხრობენ ამ ხალხის მრავალ ბარბაროსულ ჩვევაზე, მაგრამ მათი მონათხრობი ამ ხალხისა და მათი ქვეყნის შესახებ არ შეიძლება სავსებით სარწმუნოდ მივიჩნიოთ, რადგანაც აქ არავინ ყოფილა. ყველაფერი რაც მათი ყოფის შესახებ არის ცნობილი, აქედან გაყვანილი ტყვეებისაგან იციან და მათ მიერ მოწოდებული ცნობები მეტად საეჭვოა. ჩემ მიერ შედგენილ შავი ზღვის რუკაზე, რომელიც ამ ტომის შესავალს ერთვის⁴²), სწორედ ამიტომ არ დავიტანე ყველაფერი. ვარჩიე ჩერქეზებით და აფხაზებით დასახლებული ადგილები ცარიელი დამეტოვებინა...

აფხაზები⁴⁵ ჩერქეზებს ესაზღვრებიან. უჭირავთ ასი მილი ფართობი ზღვის ნაპირზე ჩერქეზეთს და სამეგრელოს შორის... ვაჭრობა მათთან ისეთივე სიფრთხილით წარმოებს, როგორც უკვე აღვნიშნე. მათ იგივე საქონელი ჭირდებათ, როგორც მათ მეზობლებს, და მათსავით სანაცვლოდ ტყვეებს, ბეწვეულს, ირმისა და ვეფხვის ტყავს, სელის ნართს, ბზას, სანთელს და თაფლს იძლევიან. პროკოპი⁴³) თავის „სპარსული ომების“ ისტორიაში ამ ხალხს აბასგებს⁴⁶. უწოდებს.

⁴⁵ Abcas. ⁴⁶ Abasques.



სურ. 1

10 სექტემბერს ისგაურში⁴⁷ ჩავედით⁴⁴). სამეგრელოს ეს რეიდი ზაფხულში საკმაოდ მოხერხებულია. აქ დგას კოლხიდაში სავაჭროდ მოსული გემები. როდესაც ჩვენ ჩამოვედით, აქ უკვე შვიდი დიდი გემი იდგა. თავდაპირველად ჩვენმა კაპიტანმა თავისი გემი ოთხ ღუზაზე დააბმევინა, ორზე ცხვირის მხრიდან და ორზე კიჩოდან და დაუშვა ანძები და რეი. ისგაური მივარდნილი, სრულიად დაუსახლებელი კუთხეა. აქ წნელებისაგან გაკეთებულ ფაცხებს დგამენ ვა-

ქართა ჩამოსვლის დროს და მაშინაც, როცა იშვიათ შემთხვევაში შიში არა აქვთ აფხაზთაგან თავდასხმისა. სხვა დროს კი აქ ერთ სახლსაც ვერ ნახავთ.

ვიდრე შევუდგებოდე იმ სიძნელეების და ხიფათების შესახებ თხრობას, რაც სამეგრელოში გადავიტანე, მე აღვწერ ამ ქვეყანას და მისმოსაზღვრე ადგილებს, თანაც მოვერიდები ყოველგვარ საქვოს, რაშიაც კარგად გათვითცნობიერებული არა ვარ.

კოლხიდა⁴⁸ მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე; აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება პატარა სამეფო, რომელიც საქართველოს ნაწილს შეადგენს და რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები იმერეთს⁴⁹, თურქები კი „ფაშაჩუკს“ ან „ფაშა კუჩუკს“⁵⁰ უწოდებენ, რაც „მცირე მთავარს“ ნიშნავს⁴⁵). სამხრეთით კოლხიდას შავი ზღვა აკრავს, დასავლეთით აფხაზეთი, აღმოსავლეთით კავკასიის მთები. ეს ქვეყანა სიგრძით გადაჭიმულია ზღვიდან მთებამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი⁵¹ და ფაზისი⁴⁶), ძველი ისტორიკოსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორისა⁵² და რიონის⁵³ სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი – იმერეთისაგან. კოლხიდის სიგრძე არ აღემატება 110 მილს, სიგანე კი 60-ს. ეს არა მარტო ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან მაქვს გაგონილი, არამედ თვითონა მაქვს იგი თავიდან ბოლომდე გავლილი. ძველად იგი აფხაზებისაგან ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით⁴⁷), მაგრამ ეს კედელი დიდი ხანია რაც დაინგრა. დღეს მისი მცველი და მფარველი არის ტყე. კავკასიის მცხოვრებლები წარმოადგენენ იმ მეომარ ხალხს, რომელიც ჰუნების სახელწოდებითაა ცნობილი. დღეს. ისინი პატარ-პატარა ტომებად არიან დაყოფილნი. მათ შორის, ვინც კოლხიდის მეზობლად ცხოვრობენ, არიან ალანები⁵⁴, რომელთა ქვეყანაც ძვე-

⁴⁷ Isgaour. ⁴⁸ Colchide. ⁴⁹ Imirette. ⁵⁰ Pachatchouc, Pacha koutchouc (Pâchâ kouitchouq). ⁵¹ Corax. ⁵² Codours. ⁵³ Rione. ⁵⁴ Alanes.

ლად სომხეთის ჩრდილო საზღვარს წარმოადგენდა⁴⁸). კავკასიის მთებსა და კასპიის ზღვას შორის და სადაც ამორძალების⁵⁵ ქვეყანას⁴⁹) მიუთითებენ. იგი ცნობილი ერია, რომელიც მეათის პირველი შვიდი საუკუნის განმავლობაში⁵⁶ სპარსელების მოკავშირე იყო რომაელების წინააღმდეგ. სხვანი არიან სვანები⁵⁷, ჯიქები⁵⁸, ყარაჩაელები ანუ ყარა-ჩერქეზები⁵⁹... ეს ტომები დროთა განმავლობაში ბევრად არ შეცვლილან, როგორც ამას ადვილად შეამჩნევს მცოდნე უძველესი ისტორიისა, საიდანაც ჩანს, რომ ალანებს ერქვათ „Alains“, სვანებს „Tzaniens“, ჯიქებს „Zechiens“), ყარაჩაელებს

„Caracicioles“. ეს ყარა-ჩერქეზები, როგორც მათ თურქები უწოდებენ, ე. ი. შავი ჩერქეზები წარმოადგენენ ჩერქეზთა ჩრდილო განშტოებას. თურქებმა ამ ხალხს ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ მათი ქვეყანა მუდამ ღრუბლებით და ნისლით არის დაფარული, თორემ ეს ხალხი ულამაზესია მსოფლიოში. ოდესღაც ისინი ქრისტიანები იყვნენ. ეს ჩანს მათი ზოგიერთი რიტუალური ადათ-წესიდან, რომლებსაც ისინი თავიანთ ქვეყანაში ასრულებენ. ამჟამად მათ არავითარი სარწმუნოება არა აქვთ... ისინი სხვა ტომებთან შედარებით უფრო მაღლები არიან. მათი მძვინვარე ხმითა და გარეგნული იერით ადვილად შეიძლება დარწმუნდეთ, რომ ასეთივე ულამაზე გულისა და სულის პატრონები არიან... მათ აქვთ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული, მაგრამ საერთო თვისებების მქონე, სალაპარაკო კილოები, რომლებიც სლავურს⁶⁰ ან ქართულს უკავშირდებიან ქერსონეისთან თუ ფაზისთან (ყირიმთან თუ რიონთან) სიახლოვის მიხედვით.

კოლხთა⁶¹ ძველ სამეფოს ასეთი მცირე ტერიტორია როდი ეჭირა, როგორც დღეს. იგი, ერთი მხრივ, განვრცობილი იყო მეოტიდის ჭაობამდე, მეორე მხრივ კი – იბერიამდე⁶². მისი დედაქალაქი კოლხოსი⁶³ მდებარეობდა ფაზისის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე; სწორედ იმიტომ უწოდებენ სამეგრელოს კოლხიდას, რომ იგი აღმოსავლეთის მხრიდან ამ მდინარეს აღწევდა. ჩვენი თანამედროვე გეოგრაფოსები ამტკიცებენ, რომ კოლხოსის ადგილზე ქალაქი ფაზისი⁵⁰) იყო, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს აზრი მცდარია.

⁵⁵ Amazônes. ⁵⁶... durant les sept premiers siècles du dixième. ⁵⁷ Suanness.

⁵⁸ Gigues. ⁵⁹ Caracicioles, Cara-Cherkes (Qârah-Tcherkes). ⁶⁰ Esclavon. ⁶¹ Colchos.

⁶² Ibérie. ⁶³ Colchos.

აღმოსავლეთის ყველა ხალხი კოლხიდას უწოდებს ოდიშს⁶⁴, ხოლო კოლხებს – მეგრელებს⁶⁵. მე ვერ მოვიძიე ამ ორი სიტყვის ეტიმოლოგია და ვერც ამ ხალხის წარმოშობა. მათ დიოდორე სიცილიელი⁵¹) და სხვა ავტორები ეგვიპტიდან წარმოშობილად⁵²) და სეზოსტრისის⁵³ კოლონიად თვლიან, რაც ნაკლებად სარწმუნოა. ეს ქვეყანა ძალიან დანაოჭებულია. მთა და ბარი, ბორცვი და ვაკე ქმნიან ბუნების მრავალფეროვნებას. ქვეყანა, რამდენადაც ვმორდებით ზღვის ნაპირს, იმდენად თანდათანობით მაღლდება. იგი თითქმის მთლიანად ხშირი და მაღალი ტყით არის დაფარული, დამუშავებული მიწების გამოკლებით, რასაც მცირე ფართობი უჭირავს. აქ ისეთი ხშირი ტყეებია, რომ გზებზე და საყანეებში საგულდაგულოდ რომ არ თხრიდნენ ხეებს ძირიანად, ეს ქვეყანა მთლი-

ან გაუვალ ტყედ იქცეოდა. რაც შეეხება სიცივესა და სითბოს – ჰავა ზომიერია. ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი აქ ხშირი არ არის. იშვიათია სეტყვაც. მაგრამ ცუდია ის, რომ აქ ჰაერი ძლიერ ნოტიოა. წვიმს თითქმის გადაუღებლად. ზაფხულში ნესტიანი მიწა, გახურებული მწვავე მზით, წამლავს ჰაერს და იწვევს მრავალ დაავადებას – ხშირად შავ ჭირსა. უცხოელები ამ ჰაერს ვერ იტანენ, ისინი უძლურდებიან, საშინლად სუსტდებიან, ყვითელი ფერი ედებათ და ჩაჩანაკდებიან. ადგილობრივი მცხოვრებლები უფრო იტანენ ამ ჰავას, მაგრამ მათ შორის ძალიან მცირეა ისეთები, რომლებიც სამოც წელს აღწევენ.

ჰაერის ამ ტემპერატურას ვთვლი მეგრელებში გავრცელებული ავადმყოფობის – წყალმანკის – მიზეზად, რომელიც ეპიდემიურ ხასიათს ატარებს. ამ უკანასკნელს ისინი ებრძვიან არა მართო მუდმივი მოძრაობით, როდესაც ცხენზე ამხედრებულნი დაჰქრიან გზებსა და მინდვრებში და სამოთხ დღეზე მეტს ერთ ადგილზე არ ჩერდებიან, არამედ დიდი რაოდენობით მარილის მიღებით და მუდმივად ცეცხლთან ყოფნითაც; ამავე მიზეზის გამო არის, რომ აქ პარაზიტები დიდი რაოდენობითაა, რომელიც ასევე ცხოველებს. განსაკუთრებით ბევრი მკბენარი ჰყავთ ღორებს, რომლებიც მათ კანში ღრმად არიან ჩამჯდარნი. ბოლოს, სამეგრელოს ჰავას უნდა მივაწეროთ აგრეთვე ისიც, რომ აქ შხამიან ცხოველებს ან სულ არა აქვთ, ან ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ გესლი.

კოლხიდა მდიდარია წყლებით. მდინარეები გამოდიან მთებიდან და ერთვიან შავ ზღვას. მთავარი მდინარეებია კოდორი, იგი-

⁶⁴ Odische (Odych). ⁶⁵ MingreIs (Minkrel).

ვე კორაქსი, რომლის შესახებაც უკვე მქონდა ლაპარაკი; სოკომი⁶⁶, რომელიც ჩემი ფიქრით⁶⁴) არის არიანეს⁶⁵) ტერშენი⁶⁷ და პტოლემიოსის თაზირისი⁶⁸; ენგური⁶⁹, რომელსაც ძველი ავტორები ასტოლფს⁶⁷) უწოდებდნენ⁶⁶); ხობი⁷¹, რომელსაც არიანე ქობოსს⁷² უწოდებს⁶⁷); იგი ზღვაში ჩასვლამდე უერთდება მისივე სიდიდის მეორე მდინარეს – ჭანისწყლად⁷³ წოდებულს⁶⁸), რომელიც არის მდინარე ქიანე⁷⁴; ტეხური⁷⁵, არიანე მას უწოდებს სიგამს⁷⁶; ცხენისწყალი⁷⁷) ე. ი. ცხენის მდინარე, რომელსაც ეს სახელი დინების დიდი სისწრაფის გამო ჰქვია; ბერძნები ამავე მიზეზის გამო ეძახიან ჰიპუსს⁷⁸; დაბოლოს აბაშა⁷⁹, რომელსაც სტრაბონი უწოდებს გლაუკუსს⁸⁰, არიანე ქარიეს⁸¹ და პტოლემიოსი – ქარიტუსს⁸². ორივე ეს მდინარე უერთდება ფაზისის ოცი მილის სიშორეზე ზღვაში ჩასვლამდე. სამეგრელოს მდინარეების ძველი და ახალი სახელები განგებ მოვიტანე, რადგან ისტორიკოს-გეოგრა-

ფოსები და განსაკუთრებით არიან და ზოგიერთი უახლესი დროის ავტორიც მათ არასწორად აღნიშნავენ. გარდა ამ მდინარეებისა, არის კიდევ სხვაც, მხოლოდ პატარა მდინარეები. მათ შესახებ არაფერს ვამბობ, რადგან ზღვაში ჩასვლამდე ისინი უერთდებიან ჩემ მიერ დასახელებულ სხვა მდინარეებს. ყველა მათგანს აქვს ფონი და ხალხიც მხოლოდ ამ ფონით გადის მდინარეებზე, ამიტომაც აქ არც ერთი ხიდი არ მინახავს. ნაგებს მხოლოდ ზოგიერთ მდინარეზე თუ შეხვდებით, რადგანაც ყველა მათგანს ძალიან სწრაფი დინება აქვს. დინების ძალის დასაძლევად, ფონით გასვლისას, რამდენიმე კაცი იკრიბება და ერთი მეორესთან მჭიდროდ ხელიხელჩაკიდებულნი, გრძელ, საგანგებოდ გამოჭრილ ჯოხებზე დაყრდნობილნი, მიაპობენ დინებას.

კოლხიდაში ნიადაგი ცუდია. მოჰყავთ ზოგიერთი ჯიშის მარცვლეული და ბოსტნეული. ხეხილი აქ ველურია, უგემური და ხშირად ავადმყოფობის გამომწვევი. კოლხიდაში ხილის თითქმის ყველა ჯიშია, რაც საფრანგეთში. ნესვი აქ დიდი იზრდება, მაგრამ არაფრად არ ვარგა. ყურძენი კარგი მოჰყავთ და იგი ყველგან დიდი რაოდენობითაა. ხის ძირში დარგული ვაზი შემოეხვევა ხეს და ხის კენწეროს აღწევს. მე მინახავს ისეთი მსხვილი, ვაზები, რო-

⁶⁶ Socom. ⁶⁷Terscen. ⁶⁸ Thassiris. ⁶⁹ Langur. ⁷⁰ Astolphe. ⁷¹ Cobi. ⁷² Cobo.

⁷³ Cianiscari. ⁷⁴ Cianée (Cyanée). ⁷⁵ Tarchur. ⁷⁶ Sigame (Singamis)69). ⁷⁷ Scheniscari. ⁷⁸ hiippus⁸⁰). ⁷⁹Abascia. ⁸⁰ Glaucus. ⁸¹ Caries (Chariens). ⁸² Caritus (Charistus)⁶¹).

მელთაც ხელებს ძლივს შემოვაწვდენდი ხოლმე. ვაზებს სხლავენ ოთხ წელიწადში ერთხელ. სამეგრელოს ღვინო საუცხოოა. იგი მაგარი და ბლანტია; მეტად სასიამოვნოა სასმელად და კუჭისათვის მარგებელია. მთელ აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევ. აქაურებმა რომ ღვინის ისეთი დაყენება იცოდნენ, როგორც ჩვენ, სამეგრელოს ღვინო საუკეთესო იქნებოდა მსოფლიოში, მაგრამ ისინი ამ საქმისათვის აუცილებელ წესებს არ იყენებენ. ამოდარავენ დიდ ხეებს, ყრიან მასში ყურძენს და წურავენ. დაწურვის შემდეგ ყურძნის წვენს ასხამენ ქვევრებში, რომლებიც ან სახლში ან სახლის ახლოს მიწაში არის ჩაფლული. თითოეულ ამ ჭურჭელში ორასი ან სამასი პინტი⁶²) ჩადის. გავსილ ქვევრს ახურავენ ხის სარქველს და ზევიდან მიწას აყრიან ისე, როგორც აღმოსავლეთში ხურავენ ხოლმე ხორბლის შესანახ ხარობს რომლის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე.

თესვის დროს სამეგრელოში ნიადაგი ისეთი სველია, რომ ხორბლისა და ქერის თესვისას მიწას სრულიად არ ამუშავებენ, რათა იგი მეტისმეტად არ დარბილდეს⁶³). მარცვლეულს აბნევენ მი-

წის ზედაპირზე; ამ წესით დათესილი იგი მშვენივრად ამოდის, ფეს-
ვები კი მიწაში ერთი ფუტის სიღრმეზე აქვს გამდგარი. მეგრელე-
ბის თქმით, ხორბლისა და ქერის სათესი მიწა დამუშავების დროს
ისე დარბილდება, რომ ღეროებს სუსტი ქარიც კი წააქცევს და გა-
მართულად ვერ გაჩერდებიან. სხვა მარცვლეულის თესვისას ისინი
მიწას ხის სახნისით ამუშავებენ და მაინც ისეთი ღრმა კვალი გა-
ყავთ, როგორსაც რკინის სახნისი აკეთებს ხოლმე. ეს იმიტომ ხდე-
ბა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, მიწა სველია და რბილი. მეგ-
რელები... მუშაობის დროს თავის გასამხნეველად და გასართობად
ისე ხმამაღლა მღერიან და გაჰკვივიან, რომ ერთიმეორეს აყრუებენ.
აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელ აღმოსავლეთში ჩვეულებად
აქვთ მუშაობის დროს წასახალისებლად სიმღერა; რომ ეს ჩვევა
არის შედეგი როგორც გონების სიზარმაცისა, ისევე სხეულის და-
უძლურებისა, მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი უფრო გავრცელებულია
სამხრეთში; ინდოეთში, მაგალითად, მეზღვაურები სიმღერის გა-
რეშე თოკს არა თუ ვერ სწევენ, არამედ მას ხელსაც კი არ ჩაკი-
დებენ. აქლემები და ხარები მიჩვეულნი არიან სიარულის დროს
სიმღერის თანხლებას და რაც უფრო მძიმეა ტვირთი, მით უფრო
ხმამაღალი და უწყვეტელი უნდა იყოს სიმღერა⁶⁴).

მეგრელების ჩვეულებრივ საკვებ მარცვლეულს წარმოადგენს

111

ლომი⁸³. მისი მარცვალი ისევე წმინდაა, როგორც ქინძის კაკალი და
რამდენადმე წააგავს ფეტვს. მას გაზაფხულზე თესავენ ისეთივე
წესით, როგორც ბრინჯს. მიწაში თითოთ აკეთებენ ნასვრეტს, შიგ
ერთ მარცვალს ჩადებენ და მიწას წააყრიან. ამ მარცვლიდან აღ-
მოცენდება ცერის სიმსხო და ადამიანის სიმალლის ღერო, რომლის
ბოლოს არის სამასზე მეტმარცვლიანი თავთავი. ღომის ღერო შაქ-
რის ლერწამს წააგავს. ღომის მარცვალს ოქტომბერში მოიწევენ და
მაშინვე ჰკიდებენ მაღალ და მზიან ადგილზე დასობილ მესერზე
გასაშრობად. იგი ოცი დღე შრება მესერზე, შემდეგ კი კონებად
კრავენ. ცხვავენ მხოლოდ მოხარშვის წინ, ხარშავენ კონებად
მაშინ, როცა ჭამის დრო დადგება; იგი უგემურია და მძიმეა მოსა-
ნელებლად; იხარშება ძალიან მალე, ნახევარ საათზე ნაკლებ დრო-
ში. როდესაც წყალი, რომელშიც ღომია ჩაყრილი, იწყებს დულ-
ილს, მას ნელა ურევენ პატარა ხის ნიჩბით⁶⁵) და თუმცა ურევენ
ძალიან მსუბუქად, იგი მაინც სქელ ფაფად იქცევა. როცა ყველა
მარცვალი დაიშლება და ფაფა კარგად შეიზილება, ცეცხლს ამცი-
რებენ. დაბალ ცეცხლზე წყალი ამოშრება და ფაფა ქვაბში მშრა-
ლი რჩება.

ეს ფაფა ძალიან თეთრია; ზოგჯერ მას თოვლივით თეთრს აკე-
თებენ; სუფრაზე შემოაქვთ საგანგებოდ გაკეთებული, ხის პატარა

ნიჩბებით; თურქები ამ პურს უწოდებენ „პასტას“⁸⁴, მეგრელები კი „ლომს“. მას ადვილად იღებენ თითებით. იგი გამაგრილებელია და კუჭში გამხსნელი, არც ცივი და არც გაცხელებული საჭმელად არ ვარგა. ჩერქეზები, მეგრელები, თურქეთის მოხარკე ქართველები, აფხაზები, კავკასიის მცხოვრებლები, ყველა ისინი ვინც შავი ზღვის სანაპიროზე მეოტიდის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე⁸⁵ ცხოვრობს, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაფით იკვებება; ეს არის მათი პური, სხვა მათ არა გააჩნიათ რა. ისე არიან შეჩვეულნი ღომს, რომ ხორბლის პურსაც კი ამჯობინებენ. ეს შევამჩნიე ამ მხარის უმეტეს ქვეყნებში; მე ეს არც მიკვირს, რადგანაც, როდესაც მდგომარეობამ მაიძულა ეს ინგლისური პუდინგი – მისი შედარება თავისუფლად შეიძლება ბლუმ-ბუდინგთან-საკვებად გამომეყენებინა, იმდენად მომეწონა, რომ შემდეგში ძალიან გამიჭირდა კვლავ ჩვეულებრივ პურზე გადასვლა. თავს კარგად ვგრძნობდი და წინანდელთან შედარებით მოვიკეთე კიდევაც. სომხეთსა და საქართველოში ბევ-

⁸³ Gom. ⁸⁴ Pasta. ⁸⁵ Trébisonde.

რი წარჩინებული თურქი და ქართველი მინახავს, მათ შორის თბილისის მთავარი და ახალციხის ფაშაც, რომელთაც შემოჰქონდათ ეს მარცვლეული და სიამოვნებით მიირთმევდნენ. მისი ჭამის დროს აუცილებელია წმინდა ღვინის სმა, რათა ღომის გამაგრილებელი და კუჭში გამხსნელი თვისება შენეღდეს. ამას ღომის მჭამელები სიამოვნებით ასრულებენ.

გარდა ღომისა, სამეგრელოში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად ბრინჯი⁶⁷), ხორბალი და ქერი ძალიან მცირე რაოდენობით. ხორბლის პურს მხოლოდ შეძლებულები ჭამენ, როგორც დელიკატესს, მდაბიო ხალხმა მისი გემოც კი არ იცის.

ჩვეულებრივი ხორცეული ამ ქვეყანაში არის ძროხისა და ღორის ხორცი. ღორის ხორცი, აქ დიდი რაოდენობითაა და ხარისხით საუცხოოა. ვერსად სხვაგან უკეთესს ხორცს ვერ იგემებ. არის აგრეთვე თხის ხორციც, მაგრამ ძალიან მჭლე და უგემურია. შინაური ფრინველი ძალიან კარგია, მაგრამ ძლიერ ცოტაა. ჩემი იქ ყოფნის დროს ფრინველის შოვნა სრულებით არ შეიძლებოდა, რაც ომიანობის შედეგი იყო, რამაც ქვეყანა გააჩანაგა. თევზი მხოლოდ დამარილებული იშოვება, ძირითადად თინუსი და მცირე რაოდენობით სხვა ჯიშისაც და ისიც თურქეთიდან შემოაქვთ წლის განსაზღვრულ დროს. ნანადირევიდან სამეგრელოში ჭამენ გარეულ ღორს, ირემს, შველსა და კურდღელს; ეს ხორცი ძალიან გემრიელია და უკეთესს ვერაფერს შეჭამს კაცი. დიდი რაოდენობით არის კაკაბი, ხობი და მწყერი, ზოგიერთი წყლის ფრინველი, გარეული მტრედი,

რომელიც, ძალიან გემრიელი და მსუქანია, როგორც მარცვლეულით ნაკვები ვარიები. მე მინახავს როგორ შიგნავენ მათ და აცლიან რვა თუ ათ ჯირკვალს, რამაც მე ძალიან გამაკვირვა. მეგრელები ამ მტრედებს ბადეებით იჭერენ შემოდგომაზე. ბევრის დაჭერა შეიძლება; ზამთარში კი ისინი კავკასიის მთებში მიფრინავენ.

სამეგრელოს დიდებულნი მხოლოდ ნადირობას ეწევიან. ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი: შევარდენი, მიმინო, მარჯანი და სხვა, როგორც ეს სამეგრელოშია, ეს ფრინველები კავკასიის მთებში ბუდობენ. ახლადგამოჩეკილი ბარტყები ქვევით, ტყეებში ვარდებიან; აქ მათ დიდი რაოდენობით იჭერენ და ხუთ-ექვს დღეში იშინაურებენ.

113

ნადირობიდან ყველაზე საინტერესოა შევარდენით ნადირობა წეროზე. წყლის ფრინველსა და ხოხობზე ნადირობენ მიმინოთი. ისევე როგორც თურქეთსა და სპარსეთში, მათ უნაგირზე მიბმული აქვთ პატარა დოლი, რათა ხმაურმა დააფრთხოს და წყლიდან ააფრინოს ფრინველი; შემდეგ მასზე მიუშვებენ ხოლმე მიმინოს. როცა წეროს დაიჭერენ, მას თავზე ბუმბულს აცლიან ჯიღების გასაკეთებლად, შემდეგ კი უშვებენ. ადგილობრივი მცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ წეროებს ამ ბუმბულის ნაცვლად ისევ ახლები ეზრდებათ, რომლებიც წინანდელივით ლამაზიაო. ნადირს ისევე ერეკებიან ტყიდან, როგორც ფრინველს ააფრენენ ხოლმე წყლიდან დოლის ხმაურით; ეს ხმაური აფრთხობს გარეულ ცხოველებს და ისინი ტყიდან მინდორში გარბიან, სადაც მათ ხოცავენ. მეგრელებს სანადიროდ ძაღლები მრავლად ჰყავთ, მაგრამ ამჯობინებენ ნადირის ცხენჭენებით დაჭერას. ნანადირევის მარჯვენა ბეჭი ბატონისაა, მარცხენა – ქალბატონის, დანარჩენს კი მონადირეები ჭამენ.

ჩემ მიერ ჩამოთვლილის გარდა, სამეგრელოში სხვა ფრინველებიცაა, რომლებიც თავიანთი გარეგნობით და ფრთასხმულობით ჩვენი მხარისათვის უცნობია. აქ ბევრია არწივი და ვარხვი. ყველა ეს ფრინველი მრავლად არის კავკასიის მთებში, აქვე ბინადრობს აგრეთვე ურიცხვი გარეული ნადირი: ვეფხვი ჯიქი, ლომი, მგელი, ტურა. ეს უკანასკნელი მელიის მოდგმისაა, ძლიერ ჩამოგავს მას, მაგრამ მასზე დიდია და თანაც ბეწვი უფრო სქელი და უხეში აქვს. ამბობენ, რომ ეს არის ძველ ავტორებთან ცნობილი აფთარი. მართლაც და ეს მტაცებლები საფლავებიდან მკვდრებს თხრიან და სასნლავენ ცხოველებსა და ლეშს. აღმოსავლეთში მიცვალებულს სუდარაში გახვეულს მარხავენ კუბოს გარეშე. ბევრ ადგილას მინა-

ხავს იქ საფლავებზე დაყრილი დიდი ქვები მხოლოდ და მხოლოდ ამ მხეცების გამო, რათა მათ არ მიეცეთ საშუალება ამოთხარონ საფლავები და შეჭამონ გვამები; მაგრამ მხოლოდ გვამებს როდი ერჩიან ტურები. ისინი ცოცხლებსაც არ ინდობენ; თავს ესხმიან მათ, ვისაც წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია, მაგალითად, ბავშვებს. საოცარია როგორი სიმარდით შეძვრება ხოლმე ეს ცხოველი სახლებსა და კარვებში, საიდანაც, თუ სხვა ვერა იპოვა რა, გამოაქვს ტანისამოსი, განსაკუთრებით წინდები და ფეხსაცმელი. ამ ცხოველის ყვირილი შიშსა გვრის ადამიანს. ეს არის მკვეთრი და შემზარავი ყმუილი, გაბმული როგორც კატის ჩხავილი. რადგანაც ჩვეულებრივად ეს მხეცები ხროვებად დადიან, ამიტომ ყმუიან კიდევ ყოველთვის ერთად, ერთმანეთს ხმას აძლევენ შეთანხმებულად,

114

ლად, ამასთან ერთი იღებს მაღალ ტონებს, სხვები დაბალს, რაც მეტისმეტად შემზარავია პირველი გაგონებისას. აზია და აფრიკა შეწუხებულია ამ ცხოველებისაგან, რომელსაც აფრიკაში „dabul“-ს ეძახიან. ზოგიერთების აზრით, ეს ცხოველი არის ის, რასაც ლათინურად „Crocota“ ჰქვია, ხოლო ბერძნულად – „cycissa“ და რომელსაც წინათ გარეულ ძაღლად მიიჩნევდნენ. სამეგრელო, ისე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები, სავსეა ტურებითა და მგლებით. ზოგჯერ ეს ცხოველები გარშემო ეხვევიან ხოლმე სახლებს და საშინლად ყმუიან. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ისინი ჯოგებს და რემას ანადგურებენ. სამეგრელოში მყოფი თეათინელების⁶⁸) წინამძღვარი მარწმუნებდა, რომ მას ერთი კვირის განმავლობაში სახლის მახლობლად სამი ცხენი და ერთი კვიცი შეუჭამეს მგლებმა.

სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი რაოდენობით აშენებენ, რადგანაც მათი გამოკვება არაფერი უჯდებათ. ჩამოქვეითებისთანავე, ცხენს ხსნიან უნაგირს და აღვირს და უშვებენ საძოვრად. ცხენებს არ ჰქედავენ. ცხენები მხოლოდ და მხოლოდ საძოვრებზე იკვებებიან.

სამეგრელოში არ არის არც ქალაქები, არც დაბები, მხოლოდ ორი სოფელია ზღვისპირას. სახლები მიმოფანტულია აქა-იქ მთელ მხარეში. ათასიოდე ნაბიჯსაც ვერ გაივლი ისე, რომ ერთიმეორესთან ახლოს მდგარ სამ-ოთხ სახლს არ შეხვდე. აქ არის ცხრა თუ ათი ციხე-დარბაზი, მათ შორის უმთავრესს ჰქვია რუხი⁶⁶, რომელიც სამეგრელოს მთავრის ადგილ-სამყოფელს წარმოადგენს⁶⁹). ეს ციხე-დარბაზი გარშემორტყმულია ისეთი თხელი და ცუდად ნაშენი ქვიას გალავნით, რომ მისი შენგრევა უბრალო იარაღითაც კი შეიძლება. აქ ზარბაზანიც არის, რაც სხვა ციხე-დარბაზებს არა აქვთ. აი, როგორ არიან ისინი მოწყობილი: ხშირ ტყეში გაშლილ ადგილ-

ზე, აშენებენ ოცდაათი ან ორმოცი ფუტის სიმაღლის ქვის კოშკს, რომელშიაც შეიძლება ორმოცდაათი ან სამოცი კაცი მოთავსდეს. ეს კოშკი არის ციხე-დარბაზის გამაგრებული ადგილი; აქ ინახება ბატონის და აგრეთვე მასთან თავშეფარებულთა მთელი სიმდიდრე. ამ კოშკის მახლობლად ხუთი თუ ექვსი ხის დაბალი კოშკი დგას, სადაც ინახება სურსათ-სანოვაგე და სადაც ალყის დროს თავს აფარებენ ქალები და ბავშვები. გარდა ამისა, ამ ღია ადგილზე არის კიდევ რამდენიმე ქოხი, ზოგი ხით ნაშენი, ზოგი ტოტებისაგან და-

⁸⁶ Rucs (Roukhs).

წნული, ზოგიც ბამბუკისა და ლერწმისა. მთელი ეს ტერიტორია გარშემორტყმულია კედლითა და ხშირი ტყით ისე მჭიდროდ, რომ მასთან ახლოს მისვლა შეიძლება მხოლოდ ტყეში საგანგებოდ გაკაფული გზით. შეიტყობენ თუ არა მტრის მოახლოების ამბავს, გზას ხეებით ჩახერგავენ ისე, რომ შეუძლებელი ხდება მისი გადალახვა. კოლხები (მეგრელები) ამ ციხეებში იქამდე რჩებიან, ვიდრე მტრის საშიშროება არსებობს; როგორც კი საშიშროება გაივლის, ისინი უბრუნდებიან თავიანთ სახლებს.

სამეგრელოში ყველა სახლი ხისაა, რადგან ტყე ყველგან ძალიან ახლოსაა და მშენებლობა იაფი ჯდება. დარიბების სახლები ერთ-სართულიანია, დიდებულებისა კი ორსართულიანი. ძირს ყოველთვის ფიცარნაგია გაკეთებული დასაწოლად და დასაჯდომად, მიწის დიდი სინოტივის გამო. დიდებულები ნოხებზე სხდებიან, სხვები კი – ჯორკოზე. სახლები მეტად მოუწყობელია. მათ არა აქვთ არც ბუხრები და არც ფანჯრები. ცეცხლი შუაგულში ანთია; დღის შუქი კარებიდან შემოდის. სახლებს საძირკველი არა აქვთ და ქურდები შიგ ადვილად ძვრებიან. ისინი ხვრელს აკეთებენ ქვედა სართულის პირველი კოჭის ქვეშ, რომელიც სხვებს ამაგრებს და აქედან შედიან სახლში. როგორც კი გაიგონებენ ხმაურს, ასევე იოლად გამოდიან გარეთ. ეს გარემოება აიძულებს გლეხებს, რომ თითოეულ ოჯახს ჰქონდეს ერთი დიდი სათავსო; აქ ინახავენ მთელ ავლა-დიდებას მარცვლეულისა და ზოგჯერ ღვინის გარდა. აქვე ცხოვრობენ ისინი ერთად და საქონელსაც ღამით აქვე ამწყვდევენ. მთავრისა და დიდებულების სახლებს წინ დიდი ეზოები აქვთ, სადაც ოფიციალური მიღება და სადავო საკითხების გარჩევა წარმოებს; ეს ეზოები კი, როგორც მათ უწოდებენ, წარმოადგენენ მესერიით ან ღობით შემოფარგლულ ღია ადგილს.

მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია. კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე

შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიწიხედველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფიალს ითხოვენ. ნაკლებად ლამაზები და ხანდაზმულები გადაჭარბებით ხმარობენ ფერუმარის, იღებენ მთელ სახეს, წარბებს, ლოყებს, შუბლს, ცხვირს და ნიკაპს; ზოგიერთი მარტო წარბების შეღებვით კმაყოფილდება; ირთვებიან რამდენადაც კი შე-

116

უძლიათ. მათი ტანსაცმელი სპარსელი ქალების ტანსაცმელს ჩამოგავს. თმის დავარცხნა და დახვევა ევროპელი ქალების მსგავსად იციან. ატარებენ ხილაბანდს, რომელიც მხოლოდ თავის ზევითა და უკანა ნაწილს ფარავს. აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება; არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი, მაგრამ ამავე დროს არიან ამყინი, ქედმაღალნი, ბოროტნი, დაუნდობელნი, უღმობელნი და უტიფარნი... სიმართლე რომ ითქვას, მეშინია, ვაი თუ არ დაიჯეროს მკითხველმა და ჩემ მიერ ნაამბობი გადაჭარბებულად ჩათვალოს. ვაცხადებ, რომ ეს სრული სიმართლეა და აქ მოტანილი ფაქტები დაასაბუთებენ ჩემს ნათქვამს.

ბატონებს აქ თავის ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე განუზომელი უფლებები აქვთ, როგორც უნდათ ისე ექცევიან მათ. ართმევენ ცოლებს, ბავშვებს; ყიდიან ან სხვაგვარად ბატონობენ მათზე. თითოეული გლეხი აძლევს თავის ბატონს მარცვლეულს, საქონელს, ღვინოს და სხვა სურსათ-სანოვავს თავისი შეძლების მიხედვით. ამრიგად, მათი სიმდიდრე დამოკიდებულია გლეხების რაოდენობაზე – ეს არის მისი, საზომი. გარდა ამისა, თითოეული გლეხი ვალდებულია წელიწადში ერთი, ორი ან სამი დღე შეინახოს თავისი ბატონი; ამის გამო ბატონები მთელი წლის მანძილზე გადადიან ადგილიდან ადგილზე, აჩანაგებენ, თავიანთ გლეხებს და ზოგჯერ სხვისასაც, რაც დაუსრულებელ დავას იწვევს, რომელიც ხშირად ნამდვილ ბრძოლაში გადაიზრდება ხოლმე. მთავარიც ასეთსავე ცხოვრებას ეწევა და ამიტომ მისი ადგილსამყოფელის გაგება ხშირად გაძნელებულია. მას თან დაჰყავს მთელი თავისი ოჯახი: ქალები, ბავშვები, მოსამსახურეები, სტუმრები, როგორც არიან, მაგალითად, ელჩები და სხვა უცხოელი წარჩინებულნი, თუ ისინი მასთან სტუმრად იმყოფებიან. ყველა ესენი შეადგენენ ჩვეულებრივ ამაღას; ბარგი მოაქვთ ქვეითად მავალ მამაკაცებს და ქალებს, რომლებიც ნახევრად შიშველნი თავზე და მხრებზე მოდებული ბარგით, სირბილით მისდევენ მათ⁷⁰). მეგრელები თვლიან, რომ ფეხით მოსიარულე ამაღა უფრო სასახელოა, ვიდრე ცხენოსანი მხლებლები. ცხენოსანთა თანხლება მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს, რადგანაც როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცხენები აქ ბევრია; ამ ყოველწლი-

ური ჩამოვლის დროს მთავარი თავის ქვეშევრდომებისაგან კრეფს ხარკს და საჩუქრებს ღებულობს იმათგანაც კი, ვინც არ არის ვალდებული ხარკი უხადოს მას. გზადაგზა გააჩენს სამართალს და არჩევს სადავო საკითხებს. მთავარს გზაშივე წარუდგენენ ხოლმე სა-

ჩივარს და მას ან იქვე გამოაქვს გადაწყვეტილება, ან მოდავეებს იწვევს იქ, სადაც ღამის გათევას ვარაუდობს.

ასეთ შემთხვევაში საჩივრის წარდგენის წესი შემდეგნაირია: მომჩივანი დგება შუა გზაში, მთავრის პირისპირ და როდესაც იგი მას მიუახლოვდება, მოიდრეკს მუხლს და მუდარით მიართმევს ქალაღს. მთავარი ართმევს ქალაღს და გადასცემს თავის ვეზირს, რომელიც მას ხმამაღლა კითხულობს. მომჩივანი და მისი თანმხლებნი მაშინვე იწყებენ ხმამაღლა ყვირილს. ისინი ზეცისკენ ხელგაპყრობილნი ოხრავენ, ჯოხებს ურტყამენ მიწას, აყენებენ მტვერს, რათა გული მოუღბონ მთავარს – „ჩვენო მეუფევ, ჩვენო ღმერთო, ჩვენო ბატონო" და სხვა საკრალურ სახელებს უწოდებენ მას. მოპასუხე, რომელიც თავისი მომხრეებით არის მოსული, იწყებს ასევე ყვირილს და ორივე მხარე ცდილობს ერთიმეორეს გადააჭარბოს. ორივე მხარე ასახელებს მოწმეებს და შემდეგ მთავარს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს. ყოველივე ეს, როგორც უკვე აღვნიშნე, ხდება გზადაგზა, რადგანაც მთავარი არ ჩერდება, მაგრამ მიდის ძალიან ნელა, რათა ადვილად მისდიონ მას. სხვადასხვა ბატონის გლეხების დავა წყდება მათივე ბატონების მიერ. თვით ბატონებს შორის კი დავას ძალა სწყვეტს: იმარჯვებს ის, ვინც უფრო ძლიერია. აი, როგორ ხდება ეს: იარაღით ხელში ისინი თავს ესხმიან მტრის ჯოგს, მის ქვეშევრდომებს, მის სახლებს და მინდვრებს, ყველაფერს არბევენ, წვავენ, სპობენ და, ბოლოს, როცა აღარაფერია გასანადგურებელი, ჩეხავენ ვაზებს, ხეხილს და სხვა სასარგებლო ხეებს. ამ შუღლის დროს, თუ მოწინააღმდეგენი შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან. დაზარალებული, რომელიც უფრო სუსტია, დახმარებისათვის მთავარს მიმართავს, რომელიც ამის გარეშე ვერც კი შეიტყობდა ამ შუღლის ამბავს. მთავარი გამოიძახებს მოპასუხეს, მოდავეთა საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით შერჩეული რომელიმე საპატიო პიროვნების მეშვეობით, და შეარიგებს მოდავეებს. მაგრამ ამგვარი დაზავება ჩვეულებრივად გრძელდება შურისძიებისათვის პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევამდე.

სამეგრელოში არ არის არც ერთი აზნაური, შუღლში რომ არ იყოს გარეული, ამიტომ ისინი ყოველთვის შეიარაღებულები არიან და იმდენი კაცი ახლავთ, რამდენის შენახვაც შეუძლიათ ცხენით მგზავრობის დროს თვითონაც და მათი მხლებლებიც თავიდან

ფეხამდე შეიარაღებულნი არიან. არ წვებიან ისე, თუ ხმალი გვე-

118

რდით არ დაიდეს. დაძინებისას მუცელზე წვებიან და ხმალს ქვეშ ამოიღებენ ხოლმე.

მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, კომბალი, ფარი; ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ხმარობენ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. ძალიან დახელოვნებული არიან შუბის ხმარებაში. მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ ისარს.

მათი ტანსაცმელი თავისებურია; წვერს ყველა მოკლედ იკრეჭს, გარდა სასულიერო წოდების წარმომადგენლებისა. მრგვალად იპარსავენ თავის კორტოხს, დანარჩენი თმები, აგრეთვე, მრგვალად შემოპარსული და ჩამოზრდილი აქვთ თვალებამდე. თავზე იხურავენ პატარა, თხელი ნაბდის არახჩინს, რომლის კიდეები კბილანებივით არის შეჭრილ-შემოჭრილი. ზამთარში ატარებენ ბეწვის ქუდს. ისინი ისეთი საწყალობელნი და გაჭირვებულები არიან, რომ წვიმის დროს არახჩინს ან ქუდს ჯიბეში იდებენ, რომ არ გაუფუჭდეთ და თავშიშველი დადიან. ტანზე აცვიათ პატარა, მუხლებამდე ჩამოშვებული პერანგი, რომელიც ვიწრო შარვალში აქვთ ჩატანებული. უარესი ჩაცმულობამ ქვეყნიერებაზე არ არსებობს. ქამარზე ატარებენ რამდენიმე წყრთის სიგრძის თოკს იმ ადამიანებისა და საქონლის დასაბმელად, რომელსაც სტაცებენ მეზობლებს ან ხელთ იგდებენ ომში. დიდებულებს აქვთ ოთხი თითის სიფართის, ვერცხლის ფირფიტებით შემკული ტყავის ქამარი, რომელზედაც ჰკიდიათ დანა, სალესი ქვა, კვესი და სამი ტყავის ქისა – ერთში მარილია, მეორეში პილპილი და მესამეში სადგისი, ნემსი და მაფი. ღარიბი ხალხი თითქმის შიშველი დადის. ისინი უმაგალითო სიდატაკეს განიცდიან. უმრავლესობა სხეულის დასაფარავად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს. ამ ნაბადს, რომელიც ძველებურ ქლამიდას⁷¹) მოგვაგონებს უყრიან თავს და ატრიალებენ სურვილისამებრ იმ მხარისაკენ, საიდანაც მოდის წვიმა და ქარი, რადგანაც იგი სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს ფარავს და მხოლოდ მუხლებს სწვდება. აკეთებენ თხელ, წყალგაუმტარ ნაბდებს, რომელიც უფრო მსუბუქია ჩვეულებრივ ნაბადზე, მაგრამ შემაწუხებელია, განსაკუთრებით როცა დასველდება. თუ კაცს პერანგი და მისი ამხანაგი აქვს, მდიდრად ითვლება. თითქმის ყველა ფეხშიშველა დადის; კოლხების (მეგრელების) ფეხსაცმე-

ლი კამეჩის დაუმუშავებელი ტყავისაა. ეს ლანჩა მიმაგრებულია ფეხზე იმავე ტყავის თასმით, რომელიც ზევით იკვრება. ამგვარი სანდლები სრულიად ვერ იცავს ფეხს სისველისაგან; ფეხი ისევე სველდება, თითქოს შიშველი იყოს. სურათი 2 ასახავს მეგრელების ამ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, მაშინ როდესაც მიწას თოვლის სქელი ფენა ფარავს...

დიდებულები საჭმელს მიირთმევენ ნოხებზე მჯდარნი, აღმოსავლური წესით. სუფრის საფარი ან მოხატული ტილოა ან ტყავი, უმეტეს შემთხვევაში კი სუფრა ცარიელი ფიცარია. მდაბიონი ჯდებიან გრძელ მერხზე და წინ იდგამენ ასეთივე სიმაღლის მეორე სადგამს, რომელიც მაგიდის მაგივრობას სწევს⁷²). მთელი ჯამ-ჭურჭელი ხისაა. დიდებულებს ცოტაოდენა ვერცხლეულობა აქვთ. ამ ქვეყანაში, ჩვეულების თანახმად, ყველანი, განურჩევლად სქესისა, ერთად ჭამენ – მეფე და მთელი მისი ამალა, მეჯინიბეების ჩათვლით, დედოფალი, სეფე-ქალები, მისი ასულები, მოახლეები და ყველა თანხმლები პირნი, უკანასკნელ ლაქიამდე. თუ არ წვიმს, ჭამენ გარეთ. სხდებიან წრიულად ან რიგებად სუფრის თავში ან ბოლოში თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. როდესაც ცივა, სუფრის მახლობლად ეზოში დიდ ცეცხლს ანთებენ. სათბობი აქ არაფერი ღირს, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, მთელი მხარე ტყით არის დაფარული. როდესაც დიდ ოჯახებში საჭმელად დასხდებიან, ოთხ კაცს მხრებზე გადებული დიდი ქვაბით შემოაქვს ღომი – მოხარშული მარცვალი, რომლის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე. ჩვეულებისამებრ, ტანსაცმელდაკონკილი მსახური ჩოგნით ჩამოურიგებს ხოლმე თითოეულს თითონაჭერ ღომს, რომელიც არა ნაკლებ სამ გირვანქას იწონის. ორ, შედარებით უკეთესი იერის, მსახურს მოაქვს უფრო თეთრი ღომით სავსე ქვაბი. ამ ღომს მხოლოდ საპატიო პირებს მიართმევენ. ჩვეულებრივ დღეებში უბრალო ოჯახი ამის გარდა არაფერს ჭამს; ბატონებს კი აქვთ ცოტა ბოსტნეული ან შემწვარი თევზი და ცოტაოდენი ხორცი. სადღესასწაულო დღეებში, ან მაშინ, როცა ვინმეს უმასპინძლებიან, ნანადირევი თუ არა აქვთ, კლავენ ღორს, ხარს ან ძროხას. ახლად დაკლულ ცხოველს შიგნავენ და მარილისა და ყოველგვარი საკაზმის გარეშე ხარშავენ იმავე ქვაბში, რომელშიაც ღომს აკეთებენ. როდესაც ხორცი ცოტათი მოიხარშება, გადმოდგამენ ცეცხლიდან, წვენს ღვრიან და ასე, ნახევრად მოხარშულს, უსაწებლოდ მოიტანენ სუფრაზე. ოჯახის უფროსის წინ ყო-



ველთვის ხორცის დიდ ნაჭერს დებენ. მასვე მიართმევენ ხოლმე ბოსტნეულის დიდ ნაწილს, მთელ პურს, ფრინველსა და ნანადირევს. ამას იგი ურიგებს სტუმრებს და იმათ, ვისი პატივისცემაც სურს... ჭამის დროს ორი კაცი ჩამოატარებს ღვინოს. მდაბიო ხალხში ამ მოვალეობას ქალები ან ქალიშვილები ასრულებენ. ღვინის მოთხოვნა ან დალევაზე უარის თქმა, ერთნაირად, უზრდელობად ითვლება; უნდა დაელოდო, ვიდრე მოგაწოდებდნენ, და ჩამოართვა, როცა მოგაწოდებენ. ერთ ჯერზე გაძლევენ ნახევარ სეტიე ღვინოს; ჩვეულებრივი სადილის დროს ღვინოს სამჯერ ჩამოატარებენ. დღესასწაულების ან წვეულებების დროს სტუმრები და საპატიო პირები სვამენ მანამ, ვიდრე არ დათვრებიან.

მეგრელები და მათი მეზობლები ღვინოს ბევრს სვამენ. ისინი ღვინის სმაში აჭარბებენ გერმანელებს და ყველა ჩრდილოელს

ღვინოში არასდროს წყალს არ ურევენ. კაცი და ქალი სუფთა ღვინოს სვამს. შეზარხოშებულებს ნახევარლიტრიანი თასები ეპატარავებათ და პირდაპირ ლანგარიდან და დოქებიდან სვამენ. მე ვცხოვრობდი ქუთაისის⁸⁷ ახლოს, ერთ აზნაურთან, რომელიც ამ მხარეში საუკეთესო მსმელად ითვლებოდა. ჩემი იქ ყოფნის დროს, მან წვეულება მოაწყო და თავისი სამი მეგობარი დაჰპატიჟა. ოთხივე ისე შეეცა ღვინოს, რომ დილის ათი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე საპალნე-ნახევარი ღვინო დალიეს. ერთი საპალნე იტევს სამას გირვანქას. ამ ხალხს ჩვეულებად აქვს ნადიმის დროს სუფრიდან ადგომა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რამდენჯერაც უნდათ... სტუმრებს და მეგობრებს აიძულებენ სვან ღვინო უკანასკნელ შესაძლებლობამდე და ამავე დროს ერთმანეთს მმართველ ზრდილობითა და ქათინაურებით...

ზემოთ აღვნიშნე, რომ მეგრელი ქალები ქათინაურებისა და ცერემონიების მოყვარულნი არიან-მეთქი. ასეთივენი არიან მამაკაცებიც. უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ პირს ქალიც და კაციც მუხლმოდრეკით ესალმება. როდესაც რაიმე ამბავი საპატიო პიროვნებას მოაქვს ან გამოგზავნილია წარჩინებული ადამიანისაგან, მას მიწაზე ნოხს უგებენ იმ კაცის წინ, ვისთანაც ამბავი მოაქვს. მოსული ნოხზე მუხლს მოიდრეკს და ამ მდგომარეობაში რჩება მთელი დარბაზობის განმავლობაში, როგორც მე ამის შესახებ ვილაპარაკე. იგივე ხდება რაიმე სასიამოვნო ამბის შეტყობინების დროს.

⁸⁷ Cotatis.

ჩემ მიერ აღწერილ ამ ჩრდილო ქვეყნებში საყოველთაო წესად არის მიღებული ბატონებისათვის საჩუქრის მირთმევა, თხოვნის ან ამბის გადაცემა მუხლმოდრეკით; ბატონებთან საუბრის დროსაც მხოლოდ ასეთსავე მუხლმოყრილ მდგომარეობაში იმყოფებიან. საბერძნეთის იმპერატორების კარზე ამას თავყვანისცემა ეწოდებოდა; ბიზანტიის იმპერიის დაცემის დროისათვის პატივისცემის ეს წესი შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ქრისტიანმა მთავრებმა გადაიღეს. ამან იმპერატორები გაანაწყენა, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ თუმცა ეს მთავრები თავიანთი პატარა სახელმწიფოების მმართველები იყვნენ, ისინი მაინც იმპერიის ვასალებად რჩებოდნენ და, ამდენად, მათ არა მარტო უნდა შეეკავებინათ თავი საიმპერატორო აღკაზმულობისაგან, რომლის ტარების უფლებასაც ისინი თავის თავს აძლევდნენ, არამედ არც მუხლმოდრეკით თავყვანისცემა და სხვა მაღალი პატივი არ უნდა მოეთხოვათ ქვეშევრდომთაგან.

კოლხების (მეგრელების) ენა წარმოსდგება იბერიულიდან ანუ ქართულიდან, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ბერძნულიდან არის წარმომობილი. სამწერლო ენა ხალხურისაგან განსხვავდება. არავითარი წერილობითი ძეგლი საერთოდ არა აქვთ, თუ არ ჩავთვლით ბიბლიის ტექსტს, რომლისგანაც მხოლოდ ახალი აღთქმაა შემონახული, და ლიტურგიკას: ორივე ძეგლი დაწერილია ასომთავრულით. ამრიგად, ძველი კოლხური ენა მკვდარი ენაა, რომლის აღდგენა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია⁷³). სამღვდელოებას წირვა-ლოცვისა არაფერი ესმის, მიუხედავად იმისა, რომ მას ასრულებენ ან უნდა აღასრულონ ყოველდღიურად.

სამეგრელო დღეს ნაკლებად არის დასახლებული: აქ ოცი ათასი მაცხოვრებელი თუ იქნება. სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ მისი მოსახლეობა ორმოც ათასს შეადგენდა. მოსახლეობის ასეთი შემცირების მიზეზია მეზობლებთან წარმოებული ომები და აგრეთვე თავადაზნაურობის მიერ უკანასკნელ წლებში ორივე სქესის მრავალი ადამიანის გაყიდვა. დიდი ხანია, რაც სამეგრელოდან ყოველწლიურად თორმეტი ათასი კაცი გაჰყავთ გასაყიდად ან გასაცვლელად. ისინი ხელში უვარდებიან მაჰმადიანებს – სპარსელებს და თურქებს, რადგან მათზე მოთხოვნილება მხოლოდ მათ აქვთ. ყოველწლიურად სამი ათასი კაცი მიჰყავთ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ ქსოვილებზე, იარაღსა ან სხვა საქონელზე ცვლიან, რომელიც, როგორც აღვნიშნე, სამეგრელოში შემოაქვთ.

123

ყოველ წელს აქ მოდის თორმეტიოდე იალქნიანი გემი კონსტანტინოპოლიდან და კაფადან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდან⁸⁸, ირისიდან⁸⁹, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში იტვირთება – ტყვეების გარდა – აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავებით, კვერნის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილითა და თაფლით. სამეგრელოს თაფლი საუცხოოა; აქ ორგვარი თაფლია – ყვითელი და თეთრი: თეთრი უფრო იშვიათია, ვიდრე ყვითელი, მაგრამ ბევრად უკეთესია და უფრო ტკბილია. კვნიტი შაქარი მასზე ტკბილი როდია; მეტად სასიამოვნო საქმელია და პირში დნება. გარდა შინაური თაფლისა, არის აგრეთვე გარეული თაფლიც, რომელიც ხეების ფულუროებსა და ნაპრალებში უხვადაა. კაფას გემები მას სათათრეთში ეზიდებიან, სადაც მარცვლეულთან თაფლის შერევით ძალიან მაგარ სასმელს ამზადებენ. თურქები დიდ მოგებას ღებულობენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით – ოთხ ეკიუდ⁷⁶) ყიდიან იმას, რაშიაც ერთი ეკიუ აქვთ მიცემული. განსაკუთრებით ბევრს იგებენ ტყვეებზე... ერთმა აზნაურმა ერთ დღეს თორმეტი მღვდელი გაჰყიდა. ამ ბოროტების ამბავი იმდენად საოცარია, რომ იგი, როგორც უმაგალითო

შემთხვევა, ღირსია აღწერისა. ამ აზნაურს ერთი ქალიშვილი შეკ-
ყვარებია და მისი შერთვა გადაუწყვეტია, თუმცა უკვე ცოლიანი
იყო. ქალს ხელი სთხოვა და თანხმობაც მიიღო. მეგრული წეს-ჩვე
ულების მიხედვით ქალს ყიდულობენ. ფასი დამოკიდებულია ქა-
ლის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მის ასაკსა და სილამაზეზე.
ამ აზნაურს სატრფოს მშობლებისათვის აღთქმული საჩუქრებისა და
საქორწილო სახსრების შოვნის ერთადერთ წყაროდ ადამიანი-
ბის გაყიდვა ეგულებოდა. მისმა ქვეშევრდომებმა გაიგეს თუ არა
მისი განზრახვა, გაექცნენ მას და თან ცოლ-შვილიც წაიყვანეს.
იმედგაცრუებულმა აზნაურმა ყოველგვარ საზღვარს გადაცილე-
ბული ვერაგობა მოიგონა. მან საზეიმო წირვის შესასრულებლად
და ზვარაკის შესაწირავად თორმეტი მღვდელი მოიწვია თავისთან.
მღვდლებიც გულუბრყვილოდ მოვიდნენ. მათ აზრადაც არ მოსვ-
ლიათ, რომ განზრახული იყო მათი თურქებისათვის მიყიდვა, რა-
დგანაც მსგავსი რამ სამეგრელოში არასოდეს მომხდარა. აზნაურმა
ისინი კარგად მიიღო, წირვა აღასრულებინა, ზვარაკად ხარი დააკ-
ვლევინა და მათვე გაუმასპინძლდა. როდესაც მღვდლები მაგრად გა-
მოათრო, თავის ხალხს უბრძანა ისინი შეეპყროთ, ბორკილები და-

⁸⁸ Gonié. ⁷⁴) ⁸⁹ Irissa ⁷⁵).

ედოთ და თავპირი გაკპარსათ მათთვის. მეორე ღამეს მღვდლები
თურქების გემზე წაასხა, საოჯახო ნივთებსა და ბარგი-ბარხანაზე
გაცვალა, მაგრამ რადგანაც მონაგარი სატრფოს ყიდვისა და საქორ-
წილო ხარჯებისათვის არ ყოფნიდა, ამ მხეცმა თავისი ცოლიც წაი-
ყვანა და იმავე, გემზე გაყიდა⁷⁷).

სამეგრელოს მთელ ვაჭრობას გაცვლითი ხასიათი აქვს და წა-
რმოებს ბაზრობაზე, რომელიც მონაცვლეობით სხვადასხვა ადგი-
ლზე ტარდება; აქ მარაგდებიან ყოველივე აუცილებლობით, ისევე
როგორც სავაჭროებში. საქონელს საქონელში ცვლიან. ხალხში
ფულს დადგენილი ღირებულება არა აქვს. ხმარებაშია: პიასტრები,
ჰოლანდიური ეკიუ და აბაზი⁸⁰, რომელიც მოჭრილია საქართველოში
სპარსული ყაიდით და მისი ღირებულებაა თვრამეტი სოლი. სამეგ-
რელოს მთავარმა, რომელიც ოცი წლის წინათ გარდაიცვალა, და-
იწყო ფულის მოჭრა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა⁷⁸), შე-
მოზიდული ვერცხლის მცირე რაოდენობის გამო და, აგრეთვე, იმი-
ტომაც, რომ ვერცხლი ადგილობრივად სრულიად არ მოიპოვება;
აქ არ წარმოებს აგრეთვე არც ოქროს და არც სხვა ლითონის მოპო-
ვება. არ ვიცი რა ბედი ეწვია იმ ოქრონარევ ხრეშსა და სილას,
რომელსაც, ძველი მწერლების სიტყვით, ცხვრის ტყავით აგროვებ-
დნენ და რომლის საფუძველზეც შეიქმნა მითი ოქროს საწმისის შე-

სახეზე⁹⁰). კოლხიდაში (სამეგრელოში) ოქრო არსად არ არის, არც მთებში, არც მდინარეებში და სადაც არ უნდა წახვიდე, ვერსად ვერ ნახავ ვერავითარ საფუძველს ამ ანტიკური ამბის თანამედროვე მდგომარეობასთან შესათანხმებლად.

მთელ სამეგრელოში მხოლოდ ოთხი ათასი მეომარია, რომლებიც ფაქტიურად თითქმის მხოლოდ მხედრები არიან. ამ კავალერიასთან ერთად მხოლოდ სამასკაციანი ქვეითი ჯარი ჰყავთ. მეომრები არ არიან გაერთიანებულნი სამხედრო შენაერთებსა და რაზმებში. თითოეულ მებატონესა თუ აზნაურს თავისი ხალხი ბრძოლაში გამოჰყავს ყოველგვარი წესების, წყობისა და ოფიცრების გარეშე და ისინი მუდამ თან ახლავენ მათ, როგორც უკან დახევისას, ისე მტერზე თავდასხმის დროს.

მეგრელებისა და მათი მეზობლების ომები არსებითად თავდასხმას და ძარცვას წარმოადგენს. როცა მტერს უტევენ, ბრძოლას მძაფრი ხასიათი აქვს, რადგან მეგრელებს მამაცობა და შეუპოვრობა არ აკლიათ. თუ მტერი გააქციეს, მას ფეხდაფეხ მის-

⁹⁰ Les abassis.

დევნ, იჭრებიან მის ქვეყანაში, წვავენ, ძარცვავენ მას, ატყვევებენ ყოველგვარი ჯურის ხალხს და სწრაფადვე ბრუნდებიან უკან. ტყვეები რაც შეიძლება მეტი მიჰყავთ. თუ მხედარი გადმოაგდეს უნაგირიდან, მაშინვე ჩამოხტებიან ცხენიდან, დამარცხებულს შებოჭვენ იმ თოკით, რომელსაც როგორც უკვე აღვნიშნე, ქამარზე ატარებენ, და საკუთარ მხლებელს მიაბარებენ ხოლმე. შეპყრობილის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე დამტყვევებლის ხელთაა, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია მოექცეს მას; ჩვეულებრივად ტყვედ აქცევს და შემდეგ თურქებს მიჰყიდის. თავდასხმის დროს ისინი რომელიმე მდინარის ფონს იკავენ ბენ და საფარიდან თოფს უშენენ მტერს, რათა ხელი შეუშალონ მდინარის გადალახვაში. თუ მტერმა სძლია მათ, გარბიან და თავს აფარებენ ტყეს, ტოვებენ რა თავიანთ ქვეყანას ღვთის ანაზარა. ამრიგად ამ ხალხის ბრძოლები არ არის ხანგრძლივი; ნახევარ თვეში ყველაფერი მთავრდება. ქვეყნის დარბევის შემდეგ მტერი უკან მიდის.

სამეგრელოს მთავრის წლიური შემოსავალი ოცი ათას ეკიუს აღწევს. ამ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბაჟი სამეგრელოში შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე, ადამიანების გაყიდვა და თვითნებურად შეწერილი გადასახადები. მთავარი მთელ შემოსავალს ინახავს სკივრებში, რადგან მას არც ერთი დენიეს დახარჯვა არ უხდება. ქვეშევრდომები მთავარს უსასყიდ

ლოდ ემსახურებიან, სამამულო დომენი კი იმდენ სურსათ-სანო-
ვაგეს იძლევა, რომ მთელ მის კარს ყოფნის და რჩება კიდევ.
მთავარი სპარსეთის ხელმწიფეს ხშირად უგზავნის შევარდნებს
და ყველა სახის მტაცებელ ფრინველს. სამაგიეროდ ხელმწიფე
ოქროქარგულ ფარჩეულობას და აბრეშუმს, ნოხებს, იარაღს
ჭურჭელს და მრავალ სხვა ისეთ ნივთს უგზავნის, რაც სჭირდე-
ბა ისეთ ღარიბ მთავარს, როგორც არის სამეგრელოს მთავარი.
მსგავსი ურთიერთობა აქვს მას საქართველოს ხანთან. საზეიმო
დღესასწაულებზე მის კარზე ორასი აზნაური იყრის თავს. სხვა
დღეებში მასთან დაახლოებით ას ოცამდე კაცია. მთავრის ამაღლა,
აზნაურების გარდა, სამასი კაცისაგან შედგება, მთავრის მეუღლი-
სა კი – ორივე სქესის ასი კაცისაგან. დიდ დღესასწაულებზე მას
სამოცზე მეტი წარმოსადეგი და კარგად მორთული სეფექალი
ახლავს.

ვფიქრობ, რომ ძველ დროში კოლხებს იგივე სარწმუნოება
ჰქონდათ, რაც ბერძნებს. ეკლესიის ისტორიკოსთა ცნობებით კო-

126

ლხიდის მეფე დედოფალი და დიდებულები იესო ქრისტეს რჯუ-
ლზე ერთმა მონა ქალმა მოაქცია⁸⁰) კონსტანტინე დიდის დროს,
რომელმაც ახალმოქცეულთ მღვდლები და სწავლული ღვთისმეტ-
ყველები გამოუგზავნა, რათა ისინი მოენათლათ და ქრისტეს მოძ-
ღვრება ესწავლებინათ მათთვის. სომხური გადმოცემით, ამ მონა
ქალს სახელად ნინო⁸¹ ერქვა⁸¹). სხვა წყაროების მიხედვით მათ
ქრისტიანული მოძღვრება გაიცვინეს ვინმე კირილეს⁸² მეოხებით,
რომელსაც სლავები თავიანთ ენაზე „კიუზილს“⁸³ უწოდებენ და
რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით 860 წ. მეგრელები მიგვითი-
თებენ ზღვის ნაპირას მდ. კორაქსის (კოდორის) ახლოს ერთ ად-
გილზე, რომელსაც ბიჭვინტა⁸⁴ ჰქვია და სადაც ძალიან დიდი სამ-
ნავიანი ეკლესია დგას⁸²) ისინი ირწმუნებიან, რომ იქ, სადაც ეკ-
ლესია არის აშენებული, წმ. ანდრია ქადაგებდაო⁸³). ეკლესია მე
შორიდან ვნახე. იგი, რამდენადაც ამის შესახებ ერთი მი-
ლის სიშორიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, ძველი ნაგებობა უნდა
იყოს⁸⁴). იქ კათალიკოსი წელიწადში ერთხელ ჩადის ზეთის დასამ-
ზადებლად, რასაც ბერძნები მირონს⁸⁵ უწოდებენ⁸⁵). იგი წარმო-
დგება სისტყვა „მურონისაგან“⁸⁶, რაც არაბეთის თეთრ საცხებელს
ნიშნავს. აღმოსავლეთის ქრისტიანებმა მათი მცდარი რწმენების
გამო წმინდა რიტუალში მირონცხება შეიტანეს, რამაც დიდი მო-
გება მისცა პატრიარქებს, რომლებიც ძვირად მიჰყიდდნენ ხო-
ლმე მას თავიანთ სამღვდლოებას. სარწმუნოების შესახებ მე არც
ერთ მეგრელთან არ მიმსჯელია, რადგან ვერავის შევხვდი ისეთს,
რომელმაც იცოდა თუ რა არის სარწმუნოება, კანონი, ცოდვა, წმი-

ნდა საიდუმლოება და ღვთისმსახურება. ამ მხრივ შევნიშნე მხოლოდ ის, რომ ქალები ანთებენ პატარა სანთელს, ამაგრებენ მას თავისი სახლის ან ეკლესიის კარზე, ამავე დროს აკმევენ მცირედენ საკმეველს და მზისკენ მიბრუნებულნი ძლიერ მოიხრებიან და მრავალგზის გადაიწერენ პირჯვარს თავით ფეხამდე.

საეკლესიო ცერემონიალს, წირვას და ნათლობას მღვდლები და ეპისკოპოსები ასრულებენ. მე მინახავს ისინი მღვდელთმსახურების დროს, რომელსაც არავინ ესწრებოდა იმის გამო, რომ ღვთისმოსაობა აკლიათ.

რადგან მე არ მესმოდა არც მეგრული, არც ქართული და ვერც ვერავინ ვიპოვე სხვა ენის მცოდნე, არ მქონდა შესაძლებ-

⁹¹ Nine. ⁹² Crille. ⁹³ Chiusil. ⁹⁴ Pigivitas. ⁹⁵ Mirone. ⁹⁶ Mouron.

ლობა მათთან საუბრის საშუალებით დამედგინა, თუ რას წარმოადგენს მათი სარწმუნოება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების რელიგიის საკითხების უკეთ გასარკვევად, უმჯობესი იქნება გაგაცნოთ პატრი⁸⁶) დონ იოსებ მარი ძამპის⁹⁷, მანტუელი იტალიელის⁸⁷), თეათინელების პრეფექტისა და კოლხეთში მყოფი მისიონერის რელაცია; იგი მისი ხელით არის დაწერილი, არსად არ დაბეჭდილა და არც კია დასრულებული. ეს ნაშრომი, რომელიც მასთან ყოფნის დროს გადმომცა, ამ პატრს აქ გატარებული ოცდასამი წლის შემდეგ დაუწერია. ამდენად მას უჩნდა სცოდნოდა ბევრი რამ ღვთისმსახურებისა და სარწმუნოების შესახებ; დარწმუნებული ვარ, რომ მან ეს ნაშრომი კეთილსინდისიერად შეასრულა. აი მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი.

⁹⁷ Joseph Marie Zampi.

წინასიტყვაობა

ვშიშობ, რომ მკითხველი ამ პატარა თხზულების კითხვისას არ დარჩეს ისევე მოტყუებული, როგორც ეს დაემართათ მეფე საულის ჯამუშებს, რომლებიც მეფის ბრძანებით დავითის შესაპყრობად წავიდნენ, მაგრამ დავითის მაგივრად ლოგინში მისი აჩრდილი დახვდათ⁸⁸). ამ ხალხში ჭეშმარიტი ქრისტიანობის ძიება ფუჭი ცდა იქნება, აქ მცდარი რწმენებით შებურვილი მხოლოდ მისი აჩრდილი და ნასახებია.

ეკლესიის წარმოშობისთანავე მეგრელებმა, ისევე როგორც მათმა მეზობელმა ხალხებმა ქრისტეს რჯული უწმინდეს განმანათლებლებისაგან ბერძნული წესის მიხედვით მიიღეს. მეგრელები მრავალი წლის მანძილზე წმინდად ინახავდნენ სარწმუნოებას, ვიდრე ცოცხლები იყვნენ ისინი, ვინც ღირსეულად ნერგავდა მათში რელიგიას. შემდეგ კი მათ თავისი წეს-ჩვეულებები აურიეს ებრაელთა და სხვათა წეს-ჩვეულებებში და, მსგავსად ბერძნებისა მოსწყდნენ წმინდა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას⁸⁹).

ამ დროიდან მოყოლებული ეს ბედკრულნი, რომლებიც თავდაპირველად ზეცისაკენ მიმავალ გზას ადგნენ, გაქნილ მოძღვართა წყალობით, უმეცრების ისეთ უფსკრულში ჩაცვივდნენ, რომ დღეს საოცრად დაბრმავებულნი არიან. არავინ იცის მათ შორის რა არის რწმენა, რელიგია და უმეტესობა იმქვეყნიურ ცხოვრებას იგავად, ადამიანის მიერ გამონაგონად თვლის; მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება, რომელსაც ჩვენ უნდა დავსტიროდეთ, ისე როგორც ოდესღაც საბრალო იერემია დასტიროდა უბედურ იერუსალამს⁹⁰) მდგომარეობს იმაში, რომ მათი მღვდლები, ეპისკოპოსები, კათალიკოსი ანუ პატრიარქი ვერ ერკვევიან იმ ვალდებულებებში, რომლებიც მათ ეკისრებათ. არ იციან არც კითხვა, არც წერა და სრულიად უმეცარნი არიან ღვთისმსახურებაში: მათი მღვდლები ანუ პაპები (როგორც მათ უწოდებენ) მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მოტყუებას ცდილობენ; თავიანთ ძირითად საქმიანობად გადაქცეული აქვთ მომავლის წინასწარმეტყველება;

129

თვალთმაქცობენ, თითქოს ყოველივეს თავიანთი წიგნებიდან გებულობდნენ. საბრალო დაბრმავებულ მრევლს კი ისინი ანგელოზებად მიაჩნიათ, სჯერათ მათი და იძულებულნი არიან შეასრულონ ყველაფერი, რაც მათ მღვდლებს სურთ.

ამიტომ ხდება, რომ მძიმე ავადმყოფები ექიმებს კი არ მმართვენ, არამედ პაპას იხმობენ, თანაც არა იმისათვის, რომ მან ავადმყოფი აზიაროს ან მისი სული ღმერთს შეავედროს – ამაზე ხომ ისინი სრულებით არ ზრუნავენ – არამედ მისგან იმის გაგება სურთ, ხომ არ სწერია მათ წიგნში მოკვდება თუ არა ავადმყოფი ამ სენისაგან და რა მიზეზით შეხვდა მას ეს ავადმყოფობა. პაპა მედიდურად იწყებს წიგნის გადაფურცვლა-გადმოფურცვლას და ბოლოს ავადმყოფს ეუბნება, რომ ეს და ეს ხატი გამწერალია მასზე და მისი მოკვდინება სურს; ხატის გულის მოსაგებად საჭიროა თხის, ძროხის, ხარის ან სხვა ზვარაკის მსხვერპლად შეწირვა, ან ფულის მირთმევა, რათა ხატმა არ მოკლას იგი. სიკვდილის შიშით საბრალო ავადმყოფები მღვდელს აღუთქვამენ და აძლევენ, რასაც იგი თხოულობს; მაგრამ მღვდელი მთელ შე-

წირულებას ითვისებს და ავადმყოფები გაბრიყვებულნი რჩებიან. ასეთია ამ პაპების განსწავლულობა, რომლებიც საწყალ მეგრელებს სისხლს სწოვენ, იყენებენ რა ბოროტად მათ ცრუ რწმენებს.

სწორედ ამ გაჭირვებაში მყოფი ხალხის დასახმარებლად წმინდა მამობრივი თანაგრძნობით აღვსილმა ჩვენმა წმინდა მამამ, პაპმა ურბან VIII⁹¹⁾, ვითარცა ღირსეულმა მწყემსმა, ამ გზააზნეული ცხვრების თავის სამწყსოში დაბრუნების სურვილით, 1632 წ. მათთან გამოგზავნა რამდენიმე თეათინელი პატრი, რომლებიც თავ-გადადებულნი იყვნენ სულის ცხონებისათვის⁹²⁾. მათ უამრავი ხიფათი განიცადეს ზღვაზე; თურქებმა ისინი შეიპყრეს და კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს, სადაც მრავალი განსაცდელის შემდეგ უქრისტიანესი მეფის ჩარევამ და გავლენამ იხსნა ისინი.

მაგრამ ეს არ იყო თეათინელების პირველი მისია სამეგრელოში: ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ, იმავე წმინდა მამას, რომლის შესახებაც ჩვენ ეს-ეს არის ვილაპარაკეთ, სამეგრელოში სხვა თეათინელებიც ჰყავდა გამოგზავნილი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ მისიას; კერძოდ წმინდა პატრები – ნეტარი დონ პეტრო ავიტაბილე, ასევე ნეტარი იაკობ დე სტეფანი⁹³⁾ და კიდევ რამდენიმე სხვა. მისმა უწმინდესობამ მათ წერილები გამოატანა დადიანთან, ოდიშის ანუ სამეგრელოს მთავართან, იმერეთის მე-

130

ფესთან¹ და გურულებისა² და კახელების³ მთავრებთან. ესენი საქართველოს ნაწილებს წარმოადგენენ და სამეგრელოსა და სპარსეთს შორის მდებარეობენ. ყველა ამ მთავარმა ჩვენი პატრები გულთბილად მიიღო, განასაკუთრებით თეიმურაზ ხანმა⁴ – გორის⁵ მხარის მთავარმა საქართველოში⁹⁴⁾, სადაც თეათინელებმა თავიანთი პირველი საცხოვრებელი დააფუძნეს. დროთა განმავლობაში, როდესაც ისინი ახალმა პირებმა შეცვალეს, რომლებიც განსაკუთრებული სათნოებითა და იშვიათი კეთილგონიერებით გამოირჩეოდნენ, თეათინელებმა დიდი ვაი-ვაგლახით და სიძნეელების გადალახვით გურიელის ქვეყანასა და ოდიშში ანუ სამეგრელოში გადასვლა მოახერხეს.

¹ Meppe. ² Gourieliens. ³ Cachetiens. ⁴ Taimoras Can (Khan). ⁵ Gori.

131

თავი I

როდის მიიღეს კოლხებმა იესო ქრისტეს სჯული და ვინ

კოლხების საერთო სახელით ცნობილია რამდენიმე ხალხი; სახელდობრ: აფხაზები⁶, ჩერქეზები, ალანები⁷, სვანები⁸ და სხვები რომელთა რელიგიური წეს-ჩვეულებანი თითქმის ერთნაირია. ამიტომ მე საჭიროდ ვცანი, სანამ კერძოდ კოლხებზე ვილაპარაკებდე, მკითხველისათვის მიმეწოდებინა ცნობები თითოეული ამ ხალხის შესახებ, რომელნიც არსებითად ერთ ერს წარმოადგენენ⁹). როგორც გადმოგვცემენ, სახელგანთქმულმა წმ. მოციქუ ლმა ანდრიამ სარწმუნოება უქადაგა აფხაზებს⁶). იგი სკვითეთში⁹ ყოფილა, აქედან გადასულა საბერძნეთსა და ეპირში¹⁰, შემდეგ სოდიანებსა¹¹ და სიქტიანებთან¹². ცნობილია, რომ ბოლოს მან მიადწია აფხაზებს, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ კოლხიდის ერთ ნაწილში. ამ გადმოცემას ადასტურებს წმ. ანდრია მოციქულის სახელობის უძველესი სამნავიანი ეკლესია აგებული ამ მხარის ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც ბიჭვინტა ეწოდება. ეს ეკლესია მთელი კოლხიდის მეტროპოლიას წარმოადგენს, სადაც სიცოცხლეში ერთხელ, თითოეული კათალიკოსი ან პატრიარქი ჩამოდის ყველა ეპისკოპოსის თანხლებით წმინდა ზეთის დასამზადებლად, რომელსაც ისინი „მირონს“ უწოდებენ. აქ ჩამოდის მთავარიც მთელი თავისი კარით. თავდაპირველად ამ ეკლესიას ბიჭვინტის წმ. მარიამის სახელი ერქვა, მაგრამ ხალხის თაყვანისცემამ წმ. ანდრია-ასადმი, რომელმაც მათი აზრით ეს ეკლესია აღაშენა, დასძლია და ეკლესიაც მის სახელზე აკურთხეს.

ამბობენ, რომ ეკლესიის წინ დგას მარმარილოს სვეტი, საიდანაც ღვთის განაჩენით ამ წმინდა მოციქულის სიკვიდილით დას-

⁶ Abcas (Abkhas). ⁷ Alanes. ⁸ Soanes (Soanes). ⁹ Scythie. ¹⁰ Epire. ¹¹ Sodiannes. ¹² Suictiens⁹⁷).

ჯიშს დროს მდულარე წყლის ნაკადი გამოღვრილა. ამ ნაკადის დინება შეუჩერებია რამდენიმე კაცს ამ წმინდანისადმი ვედრების ძალით. ასეთი სასწაულის შემდეგ ხალხი ამ წმინდანისადმი განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენს; სვეტის წინ გავლის დროს მუხლს იდრეკენ და ემთხვევიან მის. ყოველივე, რასაც ვამბობ, ვიცი ერთი ჩვენებური მისიონერის პატრი ქრისტეფორე კასტელის სიტყვებიდან, რომელიც ერთ კათალიკოსს ხლებია ბიჭვინტაში და უნახავს, თუ რა მოწიწებით (თუმცა ბარბაროსულად) ეთაყვანება ხალხი ამ სვეტს, წმინდანს და მის მკერდზე გამოსახულ ჯვარს⁹⁸).

იბერიელებისა და ქართველების მოქცევის შესახებ ბარონ

ნიუსთან⁹⁹) ვკითხულობთ, რომ მათ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს 100 წელს წმინდა პაპის კლემენტის¹⁰⁰) ქადაგების შედეგად, რომელიც იმპერატორ ტრაიანეს¹⁰¹) მიერ გადასახლებული იყო ქერსონესის კუნძულზე. მე უფრო დასაბუთებულად მიმაჩნია მამა თომას დე იეზუს კარმელიტის¹³ თვალსაზრისი. მსოფლიოს ხალხების მოქცევის შესახებ IV წიგნის IX თავის 190 გვერდზე იგი ამბობს, რომ იბერიელები მოაქცია ერთმა მონა ქალმა, რომელიც მარტიროლოგიაში 15 დეკემბერს არის მოხსენებული ქრისტიანისა და იბერიელების, ანუ ქართველების ბრწყინვალე განმანათლებლის სახელით; ქართველები მას წმინდა ნინოს¹⁴ უწოდებენ. ამ წმინდანზე ნიკიფორე¹⁰²) VIII წიგნში XXXIV თავში ლაპარაკობს. ზემოთ მოხსენებული თომას იეზუსი ამბობს, რომ იგი, მონად მყოფი, წმინდა ცხოვრებას ეწეოდა – მარხულობდა, ლოცულობდა, ღმერთს თაყვანს სცემდა და ამით ეს ბარბაროსები მოხიბლავდა, როდესაც მას ეკითხებოდნენ თუ რატომ თრგუნავს ასეთი გულმოდგინებით საკუთარი სხეულს, იგი პასუხობდა, რომ მას სიამოვნებს ამაგვარი ცხოვრება და რომ იგი თავის ღმერთს, ჯვარცმულ იესო ქრიტეს ეთაყვანება.

ამ სახელის სიუცხოვემ ხალხი მოხიბლავდა და მათ იწყეს თაყვანისცემა ამ ქალისა, რომელსაც მანამდე არაფრად აგდებდნენ. ერთხელ, აქაური ჩვეულებისამებრ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ბავშვის ავად გახდომის დროს ხშირად დედებს ისინი მეზობლებში დაჰყავდათ – მოხდა ისე, რომ ერთმა დედამ უშედეგოდ ატარა ბავშვი მეზობლებში და ბოლოს გადაწყვიტა იგი ამ მონა ქალთან მიეყვანა, თუმცა მისგან ავადმყოფის განკურვნის იმედი

¹³ Père T. Thomas de Jésus, carme. ¹⁴ Sainfe Ninone.

ნაკლებად ჰქონდა, რადგანაც ამ მონა ქალს არც თუ დიდად ენდობოდნენ. ქალმა უთხრა, რომ მან წამალი არ იცის, მაგრამ ღმერთი, რომელსაც იგი თაყვანს სცემს, იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია ავადმყოფს ჯანმრთელობა დაუბრუნოს. შემდეგ მან ბავშვი ხელში აიყვანა, გადააფარა თავისი ძაძუები, ილოცა და დედას სავსებით განკურნებული დაუბრუნა. რამდენიმე ხნის შემდეგ დედოფალმა, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საშინელი ტკივილები აწუხებდა, გაიგო რა ეს სასწაულებრივი განკურნების ამბავი, ირწმუნა იგი, მოაყვანიდა მონა ქალი და მისი მეოხებით აღიდგინა ჯანმრთელობა. ამ სასწაულებრივი განკურნებით წაქეზებულმა დედოფალმა ქრისტიანობა მიიღო და ქმარსაც ურჩია მიეზამა მისთვის. ქმარი შეჰპირდა, მაგრამ დანაპირების შესრულებას აყოვნებდა. ერთხელ, ნადირობის დროს, მოულოდ-

ნელად ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ მეფე თავის მხლებლებსაც კი ვეღარ ხედავდა. მეფე განცვიფრდა და მოაგონდა, რომ მან არ შეასრულა ქრისტიანობის მიღების შესახებ ცოლისათვის მიცემული დაპირება და მაშინვე აღუთქვა ღმერთს, რომ პირობას გადაუდებლად შეასრულებდა, თუ გადარჩენდა იმ ხიფათს, რომელშიაც იგი იყო ჩავარდნილი. მაშინვე წყვიადი გაიფანტა და ცა მოიწმინდა. შინ დაბრუნებულმა ცოლს უამბო, თუ რა გადახდა თავს, მოიხმო მონა ქალი, რომელმაც, მოისმინა რა მისი თავგადასავალი და გაიგო რა მისი, სურვილი, შეაძულა მას კერპები, დააჯერა მონათლულიყო, თაყვანი ეცა ჭემმარიტი ღმერთის, ჯვარცმულ იესო ქრისტესათვის და მისთვის ტამარი აეგო. მეფემ ყველაფერი ზედმიწევნით შეასრულა: დაგმო კერპები, დაარწმუნა თავისი ქვეშევრდომნი მიებაძათ მისთვის და მრავალსვეტიანი, დიდებული ტამრისაგებას შეუდგა. მაგრამ როცა ორი სვეტი აღმართეს და უნდოდათ მესამეც აღმართათ, მისი დადგმა ვერასგზით ვერ მოახერხეს. ყველა იქ მომუშავე და დამსწრე გოცებულნი და გაწბილებულნი გასცილდნენ იმ ადგილს. მონა ქალი მარტო დარჩა ღამით ეკლესიაში და შეევედრა ღმერთს, რომ სვეტი თვითონ აღმართულიყო და დადგმულიყო განკუთვნილ ადგილზე. დილით მოსული ხელოსნები მეტად გოცებული დარჩნენ, როცა სვეტი თავის ადგილზე იხილეს. ამ ამბავმა ხელი შეუწყო ხალხში ქრისტეს რჯულის რწმენის კიდევ უფრო განმტკიცებას. მეფემ, რომელსაც ბაკური¹⁵ ერქვა¹⁰³), დესპანები

¹⁵ Bacurie.

გაუგზავნა იმპერატორ კონსტანტინეს¹⁰⁴), რათა ეცნობებინა მისთვის თავისი მოქცევის ამბავი. იმპერატორი აღტაცებული შეხვდა ამ ამბავს, მას მღვდლები და ეკლესიის მსახურნი გაუგზავნა ხალხისათვის სარწმუნოებრივი საიდუმლოების სასწავლებლად; როცა რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონ მეფე გაემგზავრა კონსტანტინოპოლს, იმპერატორმა იგი დიდი პატივით მიიღო, მიანიჭა მას პირველი ხარისხის წარჩინება, დანიშნა პალესტინის სასაზღვრო შემოგარენის გამგებლად, თავის ჯარის ორივე შენაერთის სარდლად, რომელთაც არციერთ¹⁶ და სკუტართ¹⁷ ჯარებს უწოდებდნენ¹⁰⁵). მაგრამ იმპერიის ორი სარდლის – რუსტიკესა¹⁸ და იოანეს¹⁹ – ხრიკებმა, რომელთაც ბაკურის განდიდება შემურდათ, დაღუპა იგი. ღმერთმა ეს ბოროტება დაუსჯელი არ დატოვა; სახელმწიფოს ორმოცდაათათასიანი ჯარი სპარსელების ოცდაათათასიანმა ჯარმა დაამარცხა, ხოლო რუსტიკესა და იოანეს თავი მოკვეთეს.

კარდინალი ბარონიუსი ამბობს, რომ კოლხებმა ქრისტიანობა მიიღეს 523 წ. პატრიარქ ჰორმიზდისა¹⁰⁶) და იმპერატორ იუსტინეს¹⁰⁷) დროს, რომელმაც დიდი პატივი სცა მეფე ბაკურს (რომლის შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ), როდესაც იგი კონსტანტინოპოლში მოსანათლად იმყოფებოდა, მიიღო როგორც საკუთარი შვილი, უბოძა აზიის იმპერატორის ტიტული მეფის გვირგვინით და საიმპერატორო თეთრი სამოსით.

ტარკანოტის მოსაზრება, რომელიც მისი ისტორიის V წიგნშია გამოთქმული და რომლის მიხედვითაც კოლხები და სომხები ერთდროულად მოინათლენ პაპ იულიუსის¹⁰⁸) და იმპერატორ კონსტანტინეს დროს, არ არის სარწმუნო, რადგანაც სომხებმა ქრისტიანობა მათი ბრწყინვალე მანათობელი ვარსკვლავის არქიეპისკოპოს გრიგოლისა¹⁰⁹) და თრდატის¹¹⁰) მეფობის დროს, იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში მიიღეს.

ბარონიუსი წერს, რომ კოლხები ყოველთვის წმინდად ინახავდნენ თავიანთ სარწმუნოებას, მაგრამ მიიღეს რა ბერძნული წესები წმ. კირილესა და მისი ძმის მეთოდეს მეშვეობით, რომლებიც მათ იმპერატორმა მიხეილმა გაუგზავნა, და დაემორჩილნენ რა ბერძენ პატრიარქებს, ისინი სრულ უმეცრებაში ჩავარდნენ. მიუხედავად ამისა, კოლხები ისევე მტკიცედ იცავენ ქრისტიანულ

¹⁶ Arciérens. ¹⁷ Scutariens. ¹⁸ Rustic. ¹⁹ Jean.

სარწმუნოებას, როგორც ოდითგანვე მოსდგამთ, თუმცა თურქების, სპარსელების, თათრების და ებრაელების გარემოცვაში იმყოფებიან. სპარსეთის ხელმწიფე კავადს²⁰ ძლიერი არმიის დახმარებით უნდოდა აეპულეზინა კოლხები სარწმუნოება შეეცვალათ, მაგრამ კოლხებმა თავიანთი დიდი სარდლის და ასევე ჭეშმარიტი ქრისტიანის მეფე გურგენის²¹ მეთაურობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და იმპერატორ იუსტინეს დახმარებით სძლიეს მტერს¹¹²).

სომეხი ჰეთუმის²², რომელიც 1282 წ. ცხოვრობდა¹¹³) ამბობს, რომ ამ ხალხს ხმლით ხელში სიკვდილი ერჩია მაჰმადიანობის მიღებას. ამას გადმოგვცემს რამუციო¹¹⁴) თავის წიგნში – ნაოსნობა – 1 ნაწ. XXI თავი.

თეიმურაზ ხანის²³ დედას, კახეთის დედოფალს ქეთევანს²⁴, რომელმაც პირველმა მისცა ჩვენს პატრებს თავშესაფარი თავის ქვეყანაში, თაყვანს სცემენ დღემდე იმ დიდი სიმტკიცის გამო, რომლითაც იგი სარწმუნოებისათვის ეწამა. ეს დედოფალი მისმა შვილმა ზავის დასადებად გაგზავნა სპარსეთში შაჰ აბასის²⁵ კარზე. იგი გარდაიცვალა იმ საშინელი წამების შედეგად, რომელიც

ამ ბარბაროსმა მიაყენა მას დილეგში ყოფნის ხანგრძლივი დრო-ის განმავლობაში¹¹⁵). მისი მოწამეობრივი ტანჯვის ამბავი აღწერილი აქვთ ავგუსტინელ ბერებს, რომლებიც ისფაჰანში ცხოვრობდნენ¹¹⁶).

იმავე თეიმურაზ ხანმა, თავის მტერთან – სპარსეთთან სარწმუნოებრივი უთანხმოების გამო წარმოებული განუწყვეტელი ოქმებით, დაკარგა თავისი სამეფო; ამ მთავარს ძლიერ უყვარდა ჩვენი პატრები, რომლებმაც მისი მომხრობის მიზნით, აგრეთვე მადლიერების გამოსახატავად, მას საჩუქრად ოქროქარგული და აბრეშუმის სამოსელი მიართვეს.

ერთხელ სარწმუნოებაზე კამათის დროს პატრი დონ იაკობ დე სტეფანისთან, რომელიც მას მოციქუ ლთა სადარი თავისუფლებით ელაპარაკებოდა, მეფე ისე გაცხარდა, რომ ხმალზე გაიკრა ხელი და უთხრა: თქვენ ფრანკები მეტად ჯიუტები ხართ; ჩემ სარწმუნოებას ამ ხმლით ხელში დავიცავ ყველა იმათგან, ვინც მეტყვის რომ იგი ჭეშმარიტი არ არისო. საბრალო პატრი იძულებული შეიქნა დადუმებულიყო.

²⁰ Cobade¹¹¹). ²¹ Curgene. ²² Haiton. ²³ Taimoras Can (Taymoraâp Khânt).

²⁴ Ketuane. ²⁵ Scia Abas (Châh A'bbâs).

თავი II

კათალიკოსი – სამღვდელთა მეთაური

მას შემდეგ, რაც ქართველები და იმერლები²⁶ სარწმუნოებრივად ბერძნებს მიემხრნენ, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, კათალიკოსის არჩევის საქმე დამოკიდებული გახდა საქართველოს და იმერეთის მეფეებისათვის ყველაზე მახლობელ ბერძენ პატრიარქებზე; კერძოდ, კონსტანტინოპოლისა და ალექსანდრიის პატრიარქებზე, რომლებიც კანდიდატებს თვითონ ასახელებდნენ. დღეს კი იმერეთის მეფე ერთპიროვნულად განაგებს ამ არჩევნების საქმეს. ჩვენ დროში მან მთელი საქართველოსა და ოდიშის²⁷ კათალიკოსად დანიშნა ერთი ბერი²⁸, გენათელად²⁹ წოდებული¹¹⁷). ხალხს ეს კათალიკოსი უზენაეს პატრიარქად მიაჩნია, რომელიც არაფერში აღარ ემორჩილება საბერძნეთის პატრიარქს. ამის მაგალითს წარმოადგენს ოდიშის მთავრის ლევან³⁰ დადიანის მიერ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ჩვენი პატრებისათვის გადაცემა. ამან აღაშფოთა ამ ქვეყანაში მყოფი რამდენიმე ბერძენი ბერი, რომლებმაც კონსტანტინოპოლის პატრიარქს მისწერეს ეს ამბავი; პატ-

რიარქმა კი მთავარსა და კათალიკოსს წერილები გამოუგზავნა, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამ ეკლესიის ფრანკებისათვის გადაცემის გამო; მისი აზრით, ეს ნიშნავდა კათოლიკური რწმენის მიღებაზე ფარულ შეთანხმებას და ბრძანებდა რომ ეკლესია ფრანკებისათვის ჩამოერთმიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული გახდებოდა ეკლესიისაგან განეკვეთა ისინი. მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ ამას ყური არ ათხოვეს. ამ მუქარამ უფრო ცხადი გახადა ამგვარი წერილების უაზრობა.

ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში. მისი სამიტროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინტაში, აფხაზეთის ახლოს, რომელიც წმ. ანდრიას ანუ წმ. მარიამის სახელზეა ნაკურთხი და რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ.

მის შემოსავალს შეადგენს პური, ღვინო და სხვა სურსათი, რისაც მისი მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომების თითოეული ოჯახი ვალდებულების მიხედვით უხდის მას. მის მუდმივ საქმია-

²⁶ Imirétiens. ²⁷ Odisse (Odichy). ²⁸ Bère. ²⁹ Ginacelle. ³⁰ Lavandadian.

ნობას წარმოადგენს თავის სამწყსოში მოგზაურობა, მაგრამ არა მასზე მინდობილი სულების განსანათლებლად, ან ეკლესიების დასათვალიერებლად და არც იმის შესამოწმებლად თუ როგორ გამგებლობენ მისი ეპისკოპოსები და პაპები, ან როგორ ასრულებენ ღვითსმსახურებას, ამაზე იგი ნაკლებად ზრუნავს, ეს მოგზაურობანი ყოველთვის ორას კაცზე მეტის თანხლებით, რომლებიც ისევე ხარბები არიან როგორც თვითონ – წარმოებს იმისათვის, რომ გაჭირვებულ ხალხს სისხლი გამოსწოვონ, გაუჩანაგონ საკლავი და ხელიდან გამოგლიჯონ უკანასკნელი სუ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქვეყანა უკიდურესად ღარიბია, მაგრამ ბუნება უაღრესად მდიდარი აქვს.

კათალიკოსის სიწმინდე, რასაც ხალხი ესოდენ აფასებს, მდგომარეობს იმაში, რომ მან მუდმივ უნდა ილოცოს არა მარტო დღისით, არამედ, მეტწილად, ღამით. რამდენადაც კათალიკოსი გამუდმებით ეკლესიაში უნდა იყოს, მან მთელი ღამის განმავლობაში უნდა ილოცოს. მას თაყვანსსცემენ აგრეთვე საჭმელ-სასმელისაგან თავშეკავებისათვისაც; მარხვის დროს იგი ღვინოს სრულიად არ სვამს. როდესაც ბერი კათალიკოსი ხდება, იგი ახალ ცხოვრებას იწყებს – დღე და ღამეს ეკლესიაში ატარებს; მარხვის დროს, და განსაკუთრებით ვნების კვირაში, თავს იკავებს ჩვეულებრივი საჭმელებისა და ღვინისაგან.

ისინი იმადენად გაუნათლებელნი არიან, რომ ძლივ კითხუ-

ლობენ კონდაკს და ლოცვანს; აქედან მომდინარეობს მათი წეს-ჩვეულებების უცნაურობანი.

მე ვერასოდეს ვერ დავამთავრებ მათ შესახებ თხრობას, ვრცლად რომ შევეხო სიმონიას¹¹⁹), რომელსაც კათალიკოსი აწარმოებს. იგი ეპისკოპოსს ისე არ აკურთხებს, თუ მისგან ხუთასი ეკიუ არ მიიღო. დიდი გასამრჯელოს გარეშე არავისაგან აღსარებას არ მიიღებს. ერთხელ მთავრის ვეზირმა მას აღსარებისათვის მხოლოდ ორმოცდაათი ეკიუ გადაუხადა. ავადმყოფობის დროს ვეზირმა კვლავ მოინდომა აღსარების თქმა. კათალიკოსმა უარი უთხრა, თან შეახსენა, რომ მას ჯერ წინა აღსარების ანაზღაურებაზე უნდა ეფიქრა. იგი არ წირავს ისე, თუ წინასწარ არ არის დარწმუნებული, რომ ას ეკიუს მიიღებს. უფრო მეტს ითხოვს დაკრძალვის დროს.

138

თავი III

სამეგრელოს ეპისკოპოსების შესახებ

მარტო სამეგრელოს ექვსი ეპისკოპოსი ჰყავს: დრანდელი³¹ – აფხაზეთის საზღვარზე, მოქველი³²; ბედიელი³³ – შავი ზღვის სანაპიროზე; ცაიშელი³⁴; წალენჯიხელი³⁵ და ჭყონდიდელი³⁶ – იმერეთის სამეფოსა და კავკასიის მთების მახლობლად. ეს ეპისკოპოსები სრულებით არ ზრუნავენ თავიანთ სამწყსოზე. არ დადიან თავიანთი ეპარქიის ეკლესიებში, რომელთა პაპები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მუდამ, ახალ-ახალ ცდომილებაში ვარდებიან. არ ზრუნავენ იმაზე, ინათლებიან თუ არა ბავშვები, ხომ არ ირთავს კაცი ორ ცოლს, ან რა მოელის ახალშობილს... ეპისკოპოსების ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს ყოველდღიური ქეიფი, მეტ-ნაკლები ზომით თრობა, რადგან შესანიშნავი ღვინო და საჭმელ-სასმელი უხვად აქვთ. ისინი მდიდრულად იცვამენ, ამ ფუფუნების მოსაპოვებლად უკანასკნელ სისხლს წოვენ თავიანთ ქვეშევრდომებს, ხოლო შემდეგ თურქებს მიჰყიდნიან ხოლმე ამ საცოდავებს და ამით ეშმაკის საუფლოში გზავნიან მათ. ასეთია ამ ქვეყნის ადათი ბერძნების მსგავსად, ისინი მკაცრად იცავენ მარხვას, რის შემდეგაც სინდისის ქეჯნას აღარ გრძნობენ და ფიქრობენ, რომ ამ მოვალეობის მოხდით ყოველგვარი სხვა ვალდებულებისაგან თავისუფალნი არიან და ყველა სხვა მცნება შესრულებულად მიაჩნიათ. ასეთსავე მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი კათედრალურ ტაძარში ღამით და დილით მისვლას ღვთის სავედრებლად. ეს პრელატები გულმოდგინედ ზრუნავენ თავიანთ საეპისკოპოსო საყდრებზე: იცავენ სისუფთავეს, ამკობენ ბერძნული

ყაიდის ხატებით, რომლებიც ოქროთი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასეულობითაა მოოჭვილი, და ამით ფიქრობენ ღვთის რისხვის შემსუბუქებას. როცა შესცოდავენ, ცოდვებს კი არ ინანიებენ, არამედ ხატებს სწირავენ ოქროს ან ძვირფას თვლებს და ფიქრობენ, რომ ამგვარი მოქმედება მათ მრევლის თვალში წმინდანად სახავს, ისევე როგორც მარხვის მკაცრად დაცვა, რაც თევზის ჭამისა და ღვინის დაღვევისაგან თავშეკავებაში გამოიხატება. მარ-

³¹ Dandreliens. ³² Moquariens. ³³ Bedilliens. ³⁴ Saisliens. ³⁵ Sealingicheliens. ³⁶ Scoindeliens.

ხვის დროს საჭმელს ჭამენ დღეში ერთხელ და ისიც მწუხრისას. მრევლიც ასევე იქცევა.

რადგანაც ეპისკოპოსებს შორის ბევრია ისეთი, რომელმაც კითხვა არ იცის, ისინი ლოცვებს ზეპირად სწავლობენ და წარმოთქვამენ მათ, განსაკუთრებით დასაფლავების დროს. ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ დიდი გასამრჯელოს მიღების შემდეგ ხდება; არავითარ საეპისკოპოსო მოვალეობას უფულოდ არ ასრულებენ, მსგავსად მათი მამამთავარი კათალიკოსისა.

მათი ტანსაცმელი, როგორც მე უკვე აღვნიშნე, საუცხოოა. იგი მოკლეა – თითქმის ისეთივე სიგრძისა, როგორსაც მრევლი ატარებს – ალისფერი ხავერდისა, კისერსა და ხელებზე ოქროს ძეწკვით. ისინი გამოირჩევიან გრძელი წვერით და თავზე შავი სკუფით, რომელიც მათ ყურებს უფარავს. მთავრის მოთხოვნისთანავე ისინი კარგ სამარ ცხენებზე ამხედრებულნი მიდიან ომში, რადგან ითვლებიან წინამძღოლებად და სარდლებად თავიანთი ქვეშევრდომებისა, რომლებიც ვალდებულნი არიან იარაღსხმულნი იყვნენ. ისინი თავს ესხმიან და ებრძვიან მტერს ყოველგვარი წესრიგისა და დისციპლინის გარეშე. ნადირობენ ირმებსა და გარეულ ღორებზე; ხოხობსა და სხვა სახის ფრინველებს შევარდნით იჭერენ. ზოგ ბერს ეპისკოპოსის წოდება და შემოსავალი მთავრისაგან აქვს ნაბოძები, თუმცა ეპისკოპოსად არც არის ხელდასხმული, მაგრამ ხელდასხმულია თუ არა იგი, მღვდლებს მაინც ართმევს ფულს.

თავი IV

ბერებისა და მონაზვნების შესახებ

ეპისკოპოსებს გარდა არის პრელატების ერთი ნაწილი, რომლებსაც უწოდებენ წინამძღვარს³⁷ და რომლებიც დაახლოებით

ჩვენებურ აბატებს ჩამოგავენ. მათ საკუთარი ეკლესიები აქვთ, მდიდრები არიან და ცხოვრობენ როგორც ეპისკოპოსები.

ბერებისათვის მხოლოდ ერთი – წმ. ბასილის ორდენი არსებობს. ისინი, წმ. იერემიას თქმით (ეპისტოლე ევსტათისადმი), ოდესღაც სამ ჯგუფად იყოფოდნენ. ერთნი ცენობიტებად³⁸ იწოდებოდნენ, რადგანაც ისინი, ისევე როგორც ჩვენი თანამედროვე ბე-

³⁷ Cinasuari. ³⁸ Cénobites.

რები, ერთად ცხოვრობდნენ; მეორენი – ანაქორეტებად³⁹, რომლებიც უდაბნოში ცხოვრობდნენ და მუდმივ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ; მესამენი – რემობიტებად⁴⁰, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელში ერთად ორნი ან სამნი და საერთო შრომით იძენდნენ საზრდოს; ისინი უფრო ამქვეყნიური კეთილდღეობით იყვნენ დაინტერესებულნი და ნაკლებად ფიქრობდნენ ზეციურზე; ცდილობდნენ ერთმანეთისთვის თვალი აეხვიათ კეთილი საქმეების ჩადენით და მარხვის შენახვით. კასიანე თავის თხზულებათა X წიგნის VII თავში ამბობს, რომ არსებობს ასეთი ბერების მეოთხე სახეობაც – სარაბიატები⁴¹, რომლებიც მესამე ჯგუფის ბერებისაგან ნაკლებად განსხვავდებიან.

დღევანდელი სამეგრელოს ბერები ეკუთვნიან მესამე ჯგუფს. ისინი ათონის მთიდან მოდიან და, იერუსალიმისათვის შეწირულების შეგროვების საბაბით, რჩებიან ამ მხარეში, სადაც მათ მთავარი მფარველობს – აძლევს მათ რომელიმე საკუთარ ეკლესიას. ზოგი მათგანი თავშესაფარს პოულობს ქართველი ბერის – სახელად ნიკიფორე ირბახის⁴² – სახლში, რომელსაც ჩვეულებრივად ნიკოლოზ ბერს უწოდებენ. იგი საქართველოში ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარის წარმომადგენელია. არის სამოცდაათი წლისა. აქვს არქიმანდრიტის ანუ წინამძღვრის ხარისხი. მას უწოდებენ ჯვარის მამას⁴³. ხალხი მას დიდ პატივს სცემს, სამეგრელოს მთავრები ნიშნავენ მას თავის ვეზირად ან ელჩად, რადგან იგი კარგად არის გარკვეული პოლიტიკაში და მრავალჯერ ყოფილა იერუსალიმში. შემოვლილი აქვს ევროპა. ყოფილა საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, პოლონეთსა და იტალიაში, სადაც ჩვენ პატრებთან ჩერდება ხოლმე. ქართულისა და მეგრულის გარდა, იცის მრავალი ენა: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური. მან კათოლიკური სარწმუნოება პაპ ურბან VIII-საგან მიიღო; დიდ პატივს სცემს ჩვენს პატრებს¹²⁰).

აქაური ბერები ხორცს არასოდეს არ ჭამენ, ატარებენ მოშავო ფერის შალის სამოსელს, აქვთ გრძელი წვერი და გრძელი

თმები, მარხულობენ და ლოცულობენ წესების მკაცრი დაცვით, მაგრამ სრულებით არ ზრუნავენ თავისი გაჭირვებული ხალხის

³⁹Anachorètes. ⁴⁰ Remobothés. ⁴¹ Sarabiates. ⁴² Nicéphore irbachi.

⁴³ Gievarismama.

კეთილდღეობაზე. იშვიათად წირავენ, რადგანაც საზღაურად დიდ გასამრჯელოს მოითხოვენ.

მეგრელები თავიანთ ახლობლებს შემდეგი წესით აღკვეცავენ ბერებად. ჯერ კიდევ ბავშვებს თავზე ახურავენ შავ სკუფიას, რომელიც მათ ყურებამდე აქვთ ჩამოფხატული; ჩააგონებენ მათ ხორცისაგან თავშეკავების აუცილებლობას, ვინაიდან ისინი ბერები არიან. ყოველივე ამას ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ, მაგრამ სრულებით არ ესმით, თუ რას ნიშნავს ბერად შედგომა. შემდეგ მათ სხვა ბერებს მიაბარებენ აღსაზრდელად. ისინი, ვინც ბერძენ ბერებთან იმყოფებიან, უკეთ აღწევენ მიზანს.

მონაზნობის რამდენიმე სახეობა არსებობს. ერთნი არიან ქალწულნი, რომლებსაც მოწიფულობის ასაკშიც გათხოვება არ სურთ. მეორენი – მხევალნი არიან, რომლებიც შემონაზონდებიან თავიანთ ქალბატონებთან ერთად ბატონის სიკვდილის შემდეგ; სხვები კი არიან ქვრივები, რომლებსაც აღარ სურთ კვლავ გათხოვება; არიან ისეთებიც, რომელთაც მოყირჷდათ ეს ცხოვრება და, მიაღწიეს რა გარკვეულ ასაკს, მონაზვნად აღიკვეცებიან; ზოგი ცოლყოფილია, როგორც, მაგალითად, ულამაზესი დედოფალი თამარი¹²¹), რომელსაც იმერეთის მეფე გაეყარა, რათა თეიმურაზ ხანის ასული შეერთო; ბოლოს მონაზვნად ხდებიან აგრეთვე სიღარიბის გამო. ესენი მოწყალეებას თხოულობენ ეკლესიაში და, მათი სამოსელის გამო, მათ უფრო ხელგაშლით განიკითხავენ. მონაზვნებს აცვიათ ძაძები, ახურავთ ასევე შავი თავსაფარი, ხორცს არასოდეს არ ჭამენ. მონასტრებში მუდმივად არ ცხოვრობენ და დადიან ყველგან, სადაც კი მოესურვებათ. სამუადმოდ მონაზვნად დარჩენის აღთქმა არა აქვთ დადებული და შეუძლიათ დატოვონ მონასტერი, როცა კი მოესურვებენ.

თავი V

მეგრელი პაპების ანუ მღვდლების შესახებ

მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა სავალალო მდგომარეობაში უნდა გრძნობდნენ თავს ეს საბრალო პაპები მათი საეჭვო სამღვდლო მდგომარეობის გამო, რადგან ისეთი ბერების ან ეპისკოპო-

სეზის მიერ არიან მღვდლებად ნაკურთხი, რომლებიც, შესაძლოა, თვითონ მონათლულებიც კი არ არიან; ან თუ მონათლულები

142

არიან, არ არიან ნაკურთხნი; ზოგჯერ თვითონ ეს მღვდლებიც არ არიან მონათლულები. ყოველივე ეს მათ ჭეშმარიტ მღვდლობას საეჭვოდ ხდის. მათი საერთო სახელწოდებაა – „პაპა“⁴⁴. მღვდელს, რომელსაც ეკლესია არა აქვს ეწოდება ხუცესი⁴⁵; კაპელანს – მღვდელი⁴⁶; კიურეს – კანდელაკი⁴¹, ზოგადად ყველას კი – პაპა.

მღვდლების რიცხვი ძალიან დიდია; ყველანი ღარიბები არიან და მათი ერთადერთი საარსებო წყარო მხოლოდ მათი მღვდლობაა. მღვდლად კურთხევისათვის არ არის საჭირო განსწავლულობა, საკმარისია იცოდე კითხვა ან ზეპირად ისწავლო წირვა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იმეორებ. ეპისკოპოსები არ ამოწმებენ იმ პირებს, რომლებსაც მღვდლად კურთხევა სურთ, რადგანაც ხშირად მათზე უფრო უვიცნი არიან; რადგან თითოეულ კურთხევას მათთვის არანაკლებ ერთი კარგი ცხენის ფასი შემოსავალი მოაქვს, როგორც უმეცარიც არ უნდა იყოს მსურველი, მას ადვილად აკურთხებენ.

მღვდლები ვალდებულნი არ არიან დაიცვან უბიწოება; პირიქით, ბერძნული წესის თანახმად, მღვდლად კურთხევამდე ირთავენ ქალწულს, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია ის, რომ პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეუძლიათ შეირთონ მეორე, შემდეგ მესამე და კიდევ მეოთხე; მაგრამ რადგანაც ეს საეკლესიო კანონებს და წმ. ბასილის წესდებას ეწინააღმდეგება, ამიტომ საჭიროა ეპისკოპოსის ნებართვა, რომელსაც იგი ყოველთვის იძლევა, რამდენადაც სხვა რაიმე ნებართვასთან შედარებით ორმაგ ფასს უხდის.

ამ საცოდავ მღვდლებს მრევლისაგან დიდი დაფასება არა აქვთ, რადგანაც ისინი იძულებული არიან გლეხებივით იმუშაონ არა მარტო საკუთარ, არამედ თავინთი მემამულე-ბატონების მიწაზეც და ზურგით ზიდონ მათი ბარგი, როდესაც ისინი მოგზაურობენ; თუ მცირე საბაზი მიეცათ, ეს ბატონები ისე ექცევიან მათ, როგორც საცოდავ მონებს, რასაც ისინი სინამდვილეში წარმოადგენენ. მათდამი ასეთი უპატივცემულობის მიზეზია მათი უვიცობა, ღორმუცელობა და ლოთობა, რასაც მრევლის სუფრაზე ამჟღავნებენ, სადაც იმისათვის მიდიან, რომ ჭამონ. ისინი ისეთი ღარიბები არიან, რომ ჩვეულებრივად შემოსილნი არიან ჯვალოს პერანგით და უხეში შალის მოკლე სამოსით, საიდანაც

⁴⁴ pappa. ⁴⁶ Koscessi. ⁴⁶ Ochdelli. ⁴⁷ Kandalachi.

სხეული მოუჩანთ. ფეხზე ისევე ცუდად აცვიათ, როგორც ტანზე და ვერაფრით გამოარჩევთ ერისკაცისაგან, თუ არა მრგვლად შეკრეჭილი წვერითა და თმებით. მღვდლებს სამეგრელოში მხოლოდ წირვის დროს სცემენ პატივს. წირვის შემდეგ დამსწრენი მას „შენდობას“⁴⁸, ე. ი. „დალოცვას“ თხოვენ. სუფრაზე პირველად მღვდელს მიაწოდებენ სასმელს და ისე არ დალევენ, რომ არ თქვან „შენდობა პატრონი“⁴⁹, ე. ი. „დაგვლოცეთ ბატონო“¹²⁸), ისიც უპასუხებს: „შეგინდოთ ღმე რთმა“⁵⁰, ე. ი. „ღმერთმა დაგლოცოთ“. ავადმყოფობის დროს მეგრელები დიდი პატივისცემით ექცევიან მღვდელს, რადგან სწამთ ყველაფერი, რასაც იგი მათ ეუბნება. ისინი იწვევენ მღვდლებს და სთხოვენ, რომ თავიანთ წიგნებში ნახონ სასიკვდილოა თუ არა ის სენი, რითაც დაავადებულნი არიან და რა არის ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი. პაპები დიდხანს ფურცლავენ წიგნებს და ბოლოს ამბობენ ტყუილს, რაც პირველად ენაზე მოადგებათ. ეუბნებიან, რომ ავადმყოფობა გამოწვეულია ამა და ამ ხატის განრისხების გამო; ცოდვების მოსანანიებლად და ამ ხატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საჭიროა მისთვის ხბოს ან ხარის დაკვლა, ან აბრეშუმის ნაჭრის შეწირვაო; ამის შეუსრულებლობა სიკვდილს გამოიწვევსო. ავადმყოფი ფიცულობს, რომ ამ პირობას შეასრულებს.

თავი VI

რამდენიმე შენიშვნა

მღვდლებსა და ბერებს, როგორც უკვე აღვნიშნე, ისეთივე ტანსაცმელი აცვიათ, როგორსაც ერისკაცი ატარებენ და არ ზრუნავენ იმაზე, რომ სასულიერო წოდებისათვის ოდითგან დაკანონებული ტანისამოსი ჰქონდეთ. ეს იყო გრძელი, კოჭებამდე ჩამოსული მოსასხამი, რომელსაც „კარაკალას სამოსი“⁵¹ ერქვა, რადგან იმპერატორმა ანტონიუსმა, „კარაკალად“ წოდებულმა¹²³ შემოიღო იგი მოდად რომაელთათვის. ჩვენი სამღვდელოება დღესაც მას ატარებს თავისი ღირსების აღსანიშნავად. ბედე¹²⁴) თავისი თხზულების „De Rebus Angor“ VII წიგნის VII თავში და ბარონიუსი 213 წლის ამბების აღწერის დროს ამბობენ, რომ

⁴⁸ Sandoba. ⁴⁹ Sandoba patorii. ⁵⁰ Ghinda gomert. ⁵¹ Un habit à la Caracalle.

ეს სამოსი თავდაპირველად შავი კი არა, წითელი იყო, როგორ-საც დღესაც ატარებენ პაპის კარზე. ბარონიუსის სიტყვით, სასული-ერო წოდება 393 წ. შეიმოსა ამ სამოსით. მისი ტარების უფლება მათ მიანიჭეს სათნოებით აღსავსე ცხოვრების გამო. მეგრელი მღვდლები, რომელთაც ამგვარი აღკაზმულობა სრულებით არ აინტერესებთ, კმაყოფილდებიან საერო სამოსით და ამით ებრაელ სამღვდლოებას ბაძავენ, რომელთა შესახებ ბეკანუსი ახალი აღთქმის ანალების V თავში ამბობს: „Levitoe¹²⁵) non habent sacrum ornamentum, solùm sacerdotes et pontifices utebantur illo, nisi eo tempore quo in tabernaculo vel templo ministrabant“⁵². მეგრე-ლი მღვდლებიც ასევე იქცევიან; მღვდელთმსახურების შემდეგ ისინიც მონძებში დადიან. აქვთ გრძელი თმები და ძალიან გრძელი წვერი, როგორც ძველი აღთქმის ეკლესიის მსახურთ, რომლებიც უფლის მცნებას ასრულებდნენ: ლევიტელთათვის, თავი XIX და XXVII: „Neque in rotundum attondebitis comam, neque radetis barbam“⁵³. მაგრამ რატომღა აკრძალა უფალმა ეკლესიაში უძველესი დროიდან დამკვიდრებული გაპარსვის წესი? წმ. ისიდორე თავის ღვთისმსახურების წიგნში ამბობს, რომ ის ვინც დაუტევებს ქვეყანას და შეუდგება ღმერთს, თმას წრიულად უნდა შემოიკრეჭდეს და რაც უფრო მაღლა მიიწევს ამ იერარქიაში, ამ წრესაც მით უფრო უნდა ზრდიდეს, როგორც ამას ეპისკოპოსები და უმთავრესად პაპები აკეთებენ. ეს არის ნიშანი სამღვდლოებისა და ღვთის სასუფელისა. იუზევიელის¹²⁷) განცხადებაში, VI თავში ვკითხულობთ, რომ წვერის პარსვა მართებულია, რადგან ნაზარეველისათვის კურთხევის შემდეგ წვერის გაპარსვა აუცილებელი იყო. ძველად გაპარსული პირი წარჩინებულობის ნიშანი იყო და ყველა რომაელი იმპერატორი იპარსებოდა. დიონი¹²⁷) საყვედურობს ადრიანეს¹²⁸), რადგანაც რომაელ იმპერატორთაგან პირველმა მან მოუშვა წვერი. საღვთო წერილი მწუხარების დროს თავპირის გაპარსვასაც კი მოითხოვს (ესაია – თ. VIII და XV, დაბადება XL და XLV, იერემია XLVII, იუზევიელი, V, VII). იობი,

⁵² „ლევიტელებს არ აქვთ წმინდა სამკაული, მხოლოდ მღვდლები და ქურუმები იყენებენ მათ, იმ დროს, როდესაც კარავში ან ტამარში მღვდელმსახურებას ეწევიან.“

⁵³ „არა ჰყოთ კვეცა გარემო თმისაგან თავისა თქვენისა, არცა განირყუნეთ შესახედავი წვერთა თქვენთა“.

დასტიროდა რა თავის დაკარგულებს, გაიპარსა და მიწაზე გართხმული ევედრა ღმერთს. მეგრელები ასევე იპარსავენ მთელ სახეს და წარბებსაც კი, როდესაც თავის მიცვალებულებს დასტირიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღმერთი თავის მსახურ ებრაელებს პირის გაპარსვას იმიტომ კი არ უკრძალავდა („ლევიტელთათვის“, XV), რომ ამაში რაიმე ცუდი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ისინი არ დამგვანებოდნენ ეგვიპტელებს და სხვა მეზობელ წარმართებს, რომლებიც ფიქრობდნენ რა, რომ მათ ღმერთებს უყვართ მრგვალი პირისახე, როგორც სრულყოფილი ფორმა, თმას მრგვალად იკრეჭდნენ და მრგვალ ტაძრებსაც კი აგებდნენ. მრგვალად იჭრიდნენ წვერსაც, განსაკუთრებით იზიდის და სერაპისის¹²⁹) ქურუმები, რომლებიც ამ ფორმით იპარსავდნენ არა მარტო წვერს, არამედ მთელ სხეულს.

ბედე თავისი ისტორიის V წიგნის XXII თავში ამტკიცებს, რომ თავზე თმის წრიულად შეპარსვა, ისე როგორც ჩვენი სამღვდელოება ატარებს, მიზანშეწონილია და დასძენს, რომ იგი მახვროს თავზე ვნებათა დროს დადგმულ ეკლის გვირგვინს ასახიერებს; იგი ქრისტიანის ისეთივე ნიშანია, როგორც ჯვრის გამოსახულება. ტრევის ეპისკოპოსი ნისენი ამგვარი გვირგვინებით იშვა. ლევიტელთა წიგნის XIX თავში უფალი უბრძანებს მღვდლებს „Ne corruipant effigem barboe suae“⁵⁴. მეგრელი მღვდლები ამგვარადვე უშვებენ წვერს და არც ერთ ღერს არ იკრეჭენ. დიოგენეს¹³⁰) თქმით, მან წვერი მოუშვა, რათა არ დავიწყებოდა რომ მამაკაცია. არტემიდორე¹³¹) ამბობს: „Filius tantum Ornamenti patribus, quantum ori barba decoris addit“⁵⁵. დიოგენემ, დაინახა რა უწვერო კაცი, უთხრა მას: „Numquid naturam accusas quod te virum, non autem mulierem, fecit“⁵⁶. ლევიტელთა წიგნის V, VI თავებში უფალი კრძალავს თმის გაპარსვას. მეგრელები, რომლებიც ბაძავენ ძველი აღთქმის მღვდლებს, ზუსტად ასრულებენ მის მცნე-

⁵⁴ „არცა განირყვნეთ შესახედავი წვერთა თქვენთა“.

⁵⁵ „ვაჭიშვილები მამას ისევე ამშვენებენ, როგორც წვერი პირსახეს“.

⁵⁶ „ხომ არ გინდა უსაყვედურო ბუნებას, რომ მამაკაცად გაგაჩინა და არა დედაკაცად“.

თავი VII

სამეგრელოს ეკლესიების შესახებ

ვილაპარაკე რა სულიერ ტაძრებზე, რასაც სამღვდელოება წარმოადგენს „templum Dei quod estis vos“⁵⁷, ახლა სათქმელი დავგვრჩა ნივთიერ საყდრებზე, რომლებიც ოთხი ტიპისაა. პირველი – ეს არის პატარა ეკლესიები ანუ სამლოცველოები, რომლებიც თითქმის ყველა მეგრელს აქვს და სადაც ისინი სალოცავად დადიან. მათ „საჯვარე“⁵⁸ ანუ გოლოგოთა ეწოდება¹³²). მე-

ორე – ეს არის მთავრების კარის ეკლესიები, რომელთაც იგივე სახელი – საჯვარე ქვია. მესამე – სამრევლო ეკლესიები და მეოთხე – კათედრალები. ყველაზე ლამაზი მათ შორის არის მოქვის ეკლესია¹⁸³). ყველა ეკლესია დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ, როგორც სოლომონის ტაძარი¹³⁴). ყველა მათგანს აქვს „Sancta Sanctorum“⁵⁹) მრგვალი საკურთხევლით, სადაც წირვა-ლოცვა სრულდება. ისინი მორთულია დიდი მოოქრული ან მოვერცხლილი სპილენძის ხატებით, რომლებიც გაწყობილია მარგალიტის ან სხვა ძვირფასი, უმეტეს შემთხვევაში, ყალბი თვლებით. ხატებს შორის არის ბერძნული ყაიდის ღვთისმშობელი, ასეთივე მამა ღვთისა, ჯვარცმა, ბერძენ და სხვა წმინდა მამათა მრავალრიცხოვანი ხატები. ყველა ხატს ჩამოფარებული აქვს აბრეშუმის ფარდები. ამ ხატებს შორის წმ. გიორგის ხატი ყველაზე მეტად სათაყვანოა. მის წინ ყოველთვის მრავლად არის ანთებული სანთლები. ეკლესიების ჩამოთვლილი ტიპებისათვის შეიძლება დაგვემატებინა მეხუთეც, სახელდობრ, მათი მარანი⁶⁰ ანუ სარდაფი, სადაც პაპები სალოცავად ჩადიან, რომ უფრო აღიგზნონ უფლისადმი სიყვარულით.

მეორე ტიპის ეკლესიები უმეტესად ქვისაგან, ზოგჯერ კი ხისაგან შენდება. შიგნით მოჩუქურთმებულია და გუმბათი ადგას, რომელიც სპილენძის ფირფიტებით ან მუხის თხელი შეღებილი ფიცრებით არის დაფარული. წირვა-ლოცვის ბერძნულ ყაიდაზე შესასრულებლად სამლოცველოებს აქვს ტრაპეზი და საკურთხევე-

⁵⁷ „თქვენა ხართ ტაძარნი უფლისანი“.

⁵⁸ Sa Giovari.

⁵⁹ „წმინდა ადგილი, ტრაპეზი“.

⁶⁰ Marana.

ლი, რომელსაც აქვს აბრეშუმის დაფარნა, ზოგჯერ ოქრონაქარგი. აქ, ისევე როგორც სხვაგან, გამოხატულია მთავრის, მისი მეუღლისა და წმინდანების სახეები. თითოეულ სამლოცველოს თავის კმაყოფაზე ჰყავს კაპელანი – პაპა ან ბერი, რომელიც მასზე ზრუნავს. მთავარი აქ ხშირად დადის და მისი მოსვლისას ყოველთვის იმართება წირვა. წირვა-ლოცვა წარმოებს აგრეთვე დიდმარხვის დროს.

მესამე ტიპის ეკლესიები ქვისა და ზოგიც ხისა შენდება. მათ აგებენ ამაღლებულ ადგილებზე, რათა ნესტისაგან დაიცვან მათი მოხატულობა. ამ ეკლესიების ირგვლივ გაშენებულია მაღალი, მსხვილი ხეები და გარშემორტყმულია ქვის გალავნით ან მესერიით. ამ ხეების ფესვები ხატებისათვის არის შეწირული, ამიტომ მათ არ ჭრიან და არც უბრალოდ ეხებიან, რათა ხატების რის-

ხვა არ გამოიწვიონ¹³⁵). მიცვალებულებს ასაფლავებენ ეკლესიის გალავნის შიგნით, თვით ეკლესიაში კი არასდროს. ეკლესიაში შესასვლელის წინ არის პატარა სტოა, სადაც ქალები დგებიან ეკლესიაში მოსვლის დროს. ეს ხდება მხოლოდ აღდგომას. ეკლესიაში შესვლა მარტო მთავრის ცოლს შეუძლია, როგორც ეს საბერძნეთშია წესად. ამ პატარა სტოაში ასაფლავებენ ზოგიერთ დიდებულს, ვინაიდან, როგორც წმინდა ავგუსტინე¹³⁶) ამბობს თავის XXII ქადაგებაში უდაბნოელ ძმათა მიმართ, „ut ingredientes et egredientes, mortis admonneantur, et sic ad Deum Convertantur“⁶¹. ეკლესიის კარი ყოველთვის გასაღებით არის დაკეტილი და მღვდელი, რომელიც ახლოს ცხოვრობს, ადებს მას მხოლოდ წირვის ან დასაფლავების დროს. ზევით მოწყობილია პატარა ოთახ. სადაც ზარი ჰკიდია, თუ იგი აქვთ. უმეტეს ეკლესიებში კი ზარი არა აქვთ, მის მაგივრად იყენებენ ერთი ფუტის ზომის ხის კვადრატულ თხელ ძელს და მასზე ცემით იწვევენ ხალხს ეკლესიაში. თავიანთ ეკლესიებში ჩამოკიდებულ ხატებს სწირავენ ირმის რქებს, გარეული ღორის ეშვებს, ხობხის ფრთებს, მშვილდსა და კაპარჭს, რათა ისინი ნადირობის დროს მფარველობდნენ მათ. შუაგულ ეკლესიაში არის აბრეშუმის ბაფთებისაგან გაკეთებული თეთრი ან წითელი ფერის ორი გვირგვინი, დაბოლოებული ფოჩებით, რომლებსაც ქორწინების დროს იყენებენ, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნე-

⁶¹ „შემსვლელებს და გამომსვლელებს უნდა ახსოვდეთ სიკვდილი და მით უნდა იყვნენ მიქცეულნი უფლის მიმართ“.

ბა საუბარო. იქვე ახლოს კედელზე ჰკიდია ყუთი, რომელშიაც ინახება მირონი ანუ წმინდა ზეთი. იქვე არის ძველი დაფლეთილი დროშა, რომელსაც იყენებენ ლიტანიის დროს და ძალიან გრძელი, ჩვენებურზე უფრო გრძელი, სპილენძის საყვირი, რომელზედაც ლიტანიობის დაწყებამდე უკრავენ ხალხის ეკლესიაში მოსაწვევად. ამ საყვირის ძალზე მაღალი ხმა აქვს, მსგავსად ებრაელების საყვირისა, მაგრამ ეს ხმა სრულებით არ არის სასიამოვნო. რიცხვთა წიგნში, თავი X, წერია: „Cumque increpueritis tubis, congregabitur ad te omnis turba ad ostium tabernaculi oederis“⁶². ამ ეკლესიათა უმრავლესობაში არის დამტვერილი და თავგებისაგან დაღრღნილი დიდი წიგნები. ეს ფსალმუნებია. მე მრცხვენია რაიმე ვთქვა იმაზე, თუ რამდენად ცუდად უვლიან პაპები მათ წმინდა ხატებს. ისინი სინესტისაგან, ჭიებისა და ვირთაგვებისაგან ისეა გაფუჭებული, რომ სავალალო მდგომარეობაში არიან, მაგრამ ზოგიერთ ხატზე მაინც ზრუნავენ, რომელთაც, როგორც აღვნიშნე, ამკობენ ფარჩით და თვალმარგალიტით. იატაკი ეკლესიებში ზოგ-

ჯერ თავლაზე უფრო უსუფთაოა. ტრაპეზის საფარი დახეული და ღვინით დალაქულია, რადგან მას ზოგჯერ ბარძიმის გასაწმენდად ხმარობენ. სუდარები, რომლებიც უხეში, ცუდად დამუშავებული ქსოვილისაგან არის გაკეთებული, ერთ კუთხეში თოკზე ჰკიდია. მეორე კუთხეში დგას ჭურჭელი ღვინისათვის. ტრაპეზი შუა ეკლესიაში დგას, აქვს მრგვალი ფორმა და დაბჯენილია ქვის ბოძზე. მასზე დევს ბინძური, მყრალი ბარძიმის საწმენდები, გულის ამრევი ხის ჯამი, რომელსაც ბარძიმად იყენებენ, პატარა ფიცარი, რომელიც ფეხშუმად არის გამოყენებული, და რამდენიმე ძველი ჩვარი სუდარის მაგივრად. ტრაპეზის შუაში დევს ხატი და წირვა-ლოცვა მის წინაშე წარმოებს; წირვის დროს ხელში მუდამ საცეცხლური უჭირავთ, რომელიც ყოველთვის რკინისაგან არის გაკეთებული. დანარჩენზე მე არაფერს ვიტყვი, რათა თავი არ მოვაბეზრო მკითხველს, რომელიც თუ მოისურვებს, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ კიდევ ბევრი რამ არის ისეთი, რაც მე აღარ აღეწერე. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს ეხება პაპების სამრევლო ეკლესიებს.

საეპისკოპოსო ეკლესიები ნაშენია მარმარილოს მსგავსი თეთრი, რბილი, მაგრამ სხვადასხვანაირად ნათალი ქვებით. ეკლესიებს

⁶² „და დაჰბეროს მითა და შემოკრბეს [შენდამი] ყოველი კრებული, კარად კარვისა საწამებელისა“.

წინ იმავნაირად აგებული კარიბჭეები აქვთ, რომლებიც მხატვრობითა და მრავალრიცხოვანი ქართული წარწერებითაა შემკული. შიგნით ეკლესიები სუფთა და ნათელია. აქ ვხვდებით ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ცხოვრების ამსახველ მოხატულებას და ბერძენ წმინდანთა ხატებს. მათი ფსალმუნები კარგად არის დაწერილ და მტვრისაგან დაცულია, მოთავსებულია საკეტებიან ყდაში და მართულია ვერცხლის სხვადასხვა ფიგურებით. თითქმის ადამიანის სიმაღლის ხატების ჩარჩოები ზოგი ვერცხლის და ზოგი სპილენძისაა. არის ჩვეულებრივი ზომის სხვა მცირე ხატებიც, რომლებიც გამოხატავენ ღვთისმშობელს და წმ. გიორგის, რომელნიც მათთან დიდი თაყვანისცემით სარგებლობენ. შუა ეკლესიაში ჰკიდია სპილენძის კანდელი, რომელშიც ბევრი სანთელია ჩადგმული. ეკლესიაში ბევრია აგრეთვე დიდი შანდალი. მათი ტრაპეზი სუფთაა, აქვს დიდი დაფარნა და ვერცხლის ბარძიმი. ღმერთმა ქნას, რომ ეპისკოპოსებს ისე ეზრუნოთ მრევლზე, როგორც ეკლესიებზე ზრუნავენ! მეგრელები ჭეშმარიტად ხსნის გზას დაადგებოდნენ, მაგრამ ამ ეპისკოპოსების მთელი სრულყოფილება და სიწმინდე მდგომარეობს ხორცის ჭამისაგან თავშეკავებაში, დიდმარხვისას მარხვის

მკაცრად დაცვაში, დღე და ღამე გულმოდგინე ლოცვაში და ეკლესიის საუცხოოდ მოვლა-პატრონობაში; სხვას ისინი არაფერს დარდობენ. ბერებიც იგივეს აკეთებენ ღვთისმოსაობით. მათ ეკლესიებს აქვთ სამრეკლოები კარგი ზარებით. ამ ეკლესიათაგან ზოგიერთი ძალიან ძველია, რაც კარგად ჩანს ქვის წყობაზე და კედლების დიდი სისქიდან. დღეს უკვე აღარ აგებენ ეკლესიებს არც ასეთი ღამაზი არქიტექტურული სახისას და არც ქვისას. აგებენ უბრალო ხის ეკლესიებს¹³⁷).

თავი VIII

„ზანზალაკებად“⁶³ წოდებული ზარების შესახებ; „ორად“⁶⁴ წოდებული წმინდა ძელის შესახებ, რომელსაც ზარის ნაცვლად იყენებენ და „ოყედ“⁶⁵ წოდებული საყვირის შესახებ

სამეგრელოში ლითონის სიძვირის გამო ზარები ნაკლებად არის და ზომით პატარებია. ბერების ეკლესიებში არის ორი ზარი, ხო-

⁶³ ZanzaIuchi. ⁶⁴ Ora. ⁶⁵ Oa.

ლო პაპების ეკლესიებსა და მთავრის სამლოცველოებში მხოლოდ ერთია. აღმოსავლეთში საერთოდ მარტო ზარებს არ იყენებენ. იოანე კორონა თავისი ისტორიების XXIV თავში ამბობს, რომ ხალხს ეკლესიაში უხმობენ ინსტრუმენტის საშუალებით, რომელსაც ხეს ან ძელს უწოდებენო. ეს სახელი მას სამუდამოდ შერჩა, როგორც ამას ვხედავთ წმინდა კანონებში, „Ch. DoIent de consec. Dis“. I და მეშვიდე სინოდის მიხედვით; იქ, სადაც მოთხრობილია წმ. ანასტასის¹³⁸ სასწაულებზე, რომელიც 627 წ. აწამეს, ნათქვამია, რომ როცა მისი ნეშტი კესარიაში ჩამოასვენეს, მის შესახვედრად გამოსული ხალხი „sacra ligna pulsantes“⁶⁶.

წმ. ძელი თხელია, განით ერთი მტკაველია და სიგრძით დაახლოებით ხუთი. მას იყენებენ ეკლესიაში მორწმუნეთა მოსახმობად, როდესაც ზარები არა აქვთ, მაგრამ იმ ეკლესიებშიც კი, სადაც ზარი არის, პირველად მაინც ამ წმინდა ძელს შემოჰკრავენ ხოლმე და შემდეგ რეკავენ ზარს. ერთხელ ერთ ბერს ვკითხე, რატომ არ რეკავენ ზარს თავიდანვე-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ეს არის პირველი ქრისტიანების წესი და რომ ამ ძელის ხმა მოგვაგონებს ხის ჯვარსო. მისი ხმის გაგონებაზე ყველა პირჯვარს ისახავს და ღმერთს ადიდებს, მაგრამ რადგანაც მისი ხმა სუსტია, ამიტომ ზარს რეკავენ, რათა აცნობონ ყველას, რომ მას წმ. ძელის ხმა წინ

უძლოდაო. მეორემ მითხრა, რომ ეს წმ. ძელი აღნიშნავს ჩვენი პირველი წინაპრების, ადამისა და ევას ცოდვას და რომ მორწმუნენი, გაიგონებენ თუ არა მის ხმას, ამ ცოდვას ინანიებენ და ღმერთს შესთხოვენ პატიებასო, ისევე როგორც ზარის ხმა აგონებს მათ ღვთის მოწყალებას ადამიანის მიმართ, რაც გამოიხატა უფლის გარდასახვით ან ანგელოზის მიერ ქალწული მარიამისათვის ხარებით.

ოყედ წოდებულ საყვირს მხოლოდ მაშინ აყვირებენ, როცა ხალხს მოუხმობენ ლიტანიაზე, თავყრილობებსა და სამრევლო საკმეებზე, მსგავსად ებრაელებისა. რიცხვთა წიგნში, 16,2 თავში⁶⁹), ნათქვამია: „Quando autem est congregandus populus, simplex tu-Barum clangor, et non concisè ululabunt; filii autem Aaron Sacerdotis clangent tubis“⁶⁷. ზოგჯერ ძალიან ძლიერად აახმიანებენ ხოლმე საყვირს, რათა, როგორც ისინი ამბობენ, მისმა ხმამ ქურდი

⁶⁶ „წმინდა ძელზე სცემდა“.

⁶⁷ „რაჟამს შეჰკრიბოთ კრებული, დაჰბერეთ, და ნუ საუწყებლად და ძეთა აჰრონისთა მღვდელთა დაჰბერონ [ნესტევიითა] მით“.

შეაშინოს, თითქოს იგი უფლის ხმა იყოს, რომელიც მათში სინდისის, ქეჯნას და ხატის სამსჯავროს შიშს გამოიწვევს; იეზეკიელის, თავი 33, მუხ. 5 ვკითხულობთ: „Sonum buccinae audivit, et non se observavit, sanguis ejus in ipso erit: si autem se custodierit, anlimam suam salvabit“⁶⁸.

თავი IX

ხატების შესახებ

ეს ხალხი დიდი თავყვანისმცემელია წმინდანთა გამოსახულებებისა, რომელთაც ისინი ხატებს⁶⁹ უწოდებენ; თუ მათ კარგად არ იცნობ და ნახავ რა სასოებით ეპყრობიან ხატებს იფიქრებ, რომ მსოფლიოში მათზე უფრო თავდადებული ქრისტიანები არ არსებობს, მაგრამ, ცხადია, რომ მათი ღვთისმოკრძალება უფრო ახლოსაა იუდეველობასა და კერპთაყვანისმცემლობასთან, ვიდრე ქრისტიანობასთან; ხატებს ისინი თავყვანს სცემენ არა როგორც იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და სხვა ზეცად მყოფი წმინდანების გამოსახულებებს, როგორც ამას ქრისტეს წმინდა ეკლესია – ჭეშმარიტების წყარო – ვგასწავლის, არამედ ეთაყვანებიან ხატების მიწიერ სახეს, ან იმიტომ, რომ ის ლამაზია, ან კარგად არის მორთული, ან ძვირფასი ლითონისაგან არის გაკეთებული, ან

ცნობილია სასტიკი ულმობელობით – ხოცავს ადამიანებს; მათ შიშის გამო სცემენ თავყვანს. ამიტომ ხატების უმეტესი ნაწილი გაკეთებულია ვერცხლისაგან, ზოგი მოოქრული ვერცხლისაა და მოოჭვილია ძვირფასი თვლებით, რომელთაგან ბევრი ყალბია¹⁴⁰); ამგვარ ხატებს ცნობილ ეკლესიებში ვხვდებით, მაგალითად, წმ. გიორგის ეკლესიაში¹⁴¹). მთავარ ეკლესიებში, როგორცაა საეპისკოპოსო და მთავრის ეკლესიები, ამ ხატებს პირდაპირ წარმოუდგენელ თავყვანს სცემენ. ხატებისაკენ მიმავალნი შორიდანვე იწყებენ თავყვანისცემას, გაერთხმებიან მიწაზე, პირჯვარს ისახავენ და ბოლოს სამჯერ შემოუვლიან ხოლმე ეკლესიას.

ზოგიერთნი, როდესაც ეკლესიის კარს მიუახლოვდებიან, ემთხვევიან მიწას, წელში მოიხრებიან სამ-ოთხჯერ, მრავალჯერ გა-

⁶⁸ „ვმისა საყვირისასა მსმენელმან არა დაცუა ყო, სისხლი მისი მას ზედა იყოს, და ესრეთ, და რამეთუ დაცუა ყო, სული თუისი განირინა“.

⁶⁹ Caté.

დაიწერენ პირჯვარს პირქვე განერთხმიან მიწაზე, მკერდზე ხელს იცემენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავენ ხატს თხოვნით. პირველი და მთავარი თხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ ხატმა დაამიზეხოს მათი მტრები და მათი გამქურდავნი. უკანასკნელი ნიშანი მათდამი თავყვანისცემისა არის ის, რომ მსჯავრის გამოტანისას ხატზე დაფიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად გამოტანილ მსჯავრს არასოდეს ასაჩივრებენ. ხატების შიში იმდენად დიდია, რომ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ხატზე დაფიცება არ სურთ მაშინაც კი, როცა მართალ ჩვენებას იძლევიან. სინამდვილეში კი ასეთი ადამიანები ნაკლებად არიან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ხშირად ცრუ ფიცს დებენ, მაგრამ მოქმედებენ ძალიან ფრთხილად – იფიცებენ მხოლოდ იმ ხატებზე, რომელთაც მშვიდი გამომეტყველება აქვთ და არ არიან ცნობილი ულმობელობით – როგორც ისინი ფიქრობენ, კეთილად არიან განწყობილნი მათ მიმართ. ეს თავყვანისცემა უფლის ან ხატების სიყვარულით არ არის გამოწვეული და არც იმის იმედით, რომ სასუფეველსა და იმქვეყნიურ ცხოვრებას დაიმკვიდრებენ, რადგან მათ ამქვეყნიური ცხოვრების გარდა სხვა არა სწამთ რა; ეს თავყვანისცემა გამოწვეულია ვისმესგან მოკვლის, ან ავად გახდომის, ან გაქურდვის, ან ბატონის მიერ დარბევისა და მათი თურქებისათვის მიყიდვის შიშით. ამიტომ, როდესაც მათ გაქურდავენ, შესაწირავი მიაქვთ იმ ხატთან, რომელსაც ყველაზე მეტად სცემენ თავყვანს. შესაწირავი შედგება ორი პატარა პურისა და ერთი პატარა დოქი¹⁴²) ღვინისაგან. ხატის წინ მდგარი პაპა შემწირავს

თავზე შემოავლებს ამ შესაწირავს. შემდეგ დაზარალებული შეს-
თხოვს ხატს და ისე ელაპარაკება მას, თითქოს თავის ამხანაგს ან
თანატოლს ესაუბრებოდეს, რადგან მათ ასე იციან ვედრება. იგი
მას ეუბნება: „შენ უწყი, რომ მე გამქურდეს და რომ მე არ ძალ-
მიძს ხელთ ვიგდო ქურდი; გთხოვ, ამ ძღვენით, რომელიც მე მო-
გართვი, მოჰკლა და მოსპო იგი (ამ სიტყვებით იგი იღებს ჯოხს,
ჩაასობს მას ხატის წინ მიწაში და ურტყმას მას ჩაქუჩს ან სხვა
ნივთს, ვიდრე ჯოხი მთლიანად არ ჩაეფლოდა), – და მოექცე ისე,
როგორც მე მოვექეცი ამ ჯოხს. დაამთავრებს თუ არა ამ
ჩინებულ ლოცვას, იგი პაპასთან ერთად გადის ეკლესიიდან და ერ-
თად შესვამენ და შეჭამენ ხატისათვის მირთმეულ შესაწირავს.
თავიანთ ლოცვაში ისინი ყოველთვის მტრის სიკვდილს და მისი
ყოველივე ავლა-დიდების – სახლის, მიწის და საქონლის – განად-

153

გურებას თხოულობენ. ავადმყოფობის დროს სნეულების მიზეზის
გასაგებად პირველად პაპას მოუხმობენ, რომლისაც ისე სწამთ,
როგორც ანგელოზისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაპა ფურცლავს
თავის წიგნს, შემდეგ გამოიგონებს ტყუილს, რომ თითქოს ესა და
ეს ხატი გამწყრალია ავადმყოფზე, რის გამოც მას დაუყოვნებლივ
აგზავნიან ხატის დასამოწყალობებლად; მართმევენ ხატს შესაწი-
რავს და დაჰპირდებიან ბევრ სხვა რამეს, თუ ავადმყოფი გამოჯა-
მრთელდება; მაგრამ როცა განიკურნებიან, დანაპირებს აღარ ას-
რულებენ და ამბობენ ხატს აღთქმა მხოლოდ იმიტომ მივეცი, რომ
არ მოვეკალითო.

ქურდებს, სიკვდილის შიშით ყველაზე მეტად ერიდებათ სო-
ფელ ხეთას⁷⁰ მცხოვრებ მოზომილეს⁷¹ ოჯახის მთავარ-ანგელო-
ზად⁷² წოდებულ წმ. გიორგის ხატისა და სოფელ ჰუდაზის⁷³ წმი-
ნდა იობის ხატის წინაშე დაფიცებისა¹⁴⁴). ამბობენ, რომ ეს ხატი
თავდაპირველად ჭაობის მახლობლად მდგარ ეკლესიაში ესვენაო;
აქ უამრავი ბაყაყი ყოფილა, რომელთა ყიყინსაც იგი გაუბრუე-
ბია; მოქანცული ხატი მთის წვერზე გაქცეულა. იგი ისეთ უღმრ-
ბელად ითვლება, რომ ვინც კი მიუახლოვდება მას, მაშინვე კვდე-
ბა. ამიტომ ამ ხატთან სალოცავად მისული მეგრელები მისგან
შორს ჩერდებიან, გადაუგდებენ მას თავის შესაწირავს და მაშინ-
ვე გარბია. წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ ერთი პაპა დიდი შიშით
მიდის მასთან საწირავად. როდესაც იგი ამ ხატისათვის შემოწი-
რულებას აგროვებს, ყველას დაბეჯითებით ურჩევს არ დაიფიცონ
მასზე არც ცრუდ და არც ჭეშმარიტად, რათა მისი რისხვა არ გა-
მოიწვიონ.

მრისხანე წმ. გიორგის ხატთაგან ცნობილია კავკასიონის ძირ-
ში მდებარე ხელისა⁷⁴ და ილორელთა⁷⁵ განთქმული წმ. გიორგის¹⁴⁶)

რომელსაც მეგრელები, აფხაზები, ქართველები და მეზობელი ქვეყნების მცხოვრებლები დიდ თაყვანს სცემენ. არის სხვა ხატებიც, მაგრამ ესენი, რომელთა შესახებაც ვილაპარაკეთ, ყველაზე მეტი პატივით სარგებლობენ. თითოეული თავისი სამრევლოს ხატებს აქვებს და ადიდებს. მაგალითად, ამბობენ, რომ რომელიღაც ხატი მამაცია და დაჯილდოებულია მხედრული თვისებებ⁷⁰ითო. მეგრელებს ლიტანიის დროს ხატები დააქვთ, რათა შესაწირავი შეაგროვონ; როცა რომელიმე ადგილას ბევრი შემოწირულება მოგროვ-

⁷⁰ Ketas¹⁴³). ⁷¹ Moziolle. ⁷²Tuara Angelos. ⁷³ Pudaz. ⁷⁴ Schelissa¹⁴⁵).

⁷⁵ Issoriens.

154

დება, მაშინ თითოეულ პაპას თავისი ხატი იქ მიაქვს, რათა მანაც მიიღოს შემოწირულება.

ერთი აზნაური, სახელად რამაზა⁷⁶, ავად გახდა იმ დროს, როდესაც ხორცის ჭამა აკრძალული იყო. მკურნალმა ხანგრძლივი შეგონების შემდეგ, როგორც იქნა, დაარწმუნა ხორცეულის ჭამის აუცილებლობაში; ავადმყოფი დათანხმდა, მაგრამ ერთხელ, როდესაც იგი ხორცს შეექცეოდა, მასთან პაპა მივიდა და განსაკურნავად მოუტანა კათალიკოსის მიერ გამოგზავნილი ხატი. ავადმყოფმა ხორციანი ჯამი სწრაფად დააფარვინა, რათა ხატს იგი არ დაენახა. შემდეგ პაპა შემოაყვანინა, პირჯვარი გადაისახა, მრავალი კეთილი სიტყვა უთხრა ხატს და უკან გაუგზავნა კათალიკოსს მადლობით; შემდეგ კი კვლავ განაგრძო ხორცის ჭამა. ხატების ამგვარი თაყვანისცემა, ისევე როგორც განსაზღვრულ დროს ხორცის ჭამის მკაცრი აკრძალვა, ბერძნებისაგან მომდინარეობს. ამ აკრძალვის დასადასტურებლად საიდუმლო სერობაში ისინი თევზს გამოსახავენ და არა სააღდგომო კრავს, რადგან მათ მორის ბევრი ირწმუნება, რომ იესო ქრისტეს ხორცი არასოდეს არ უჭამიაო. ერთმა მეგრელმა მღვდელმა საუბრის დროს თქვა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხარების დროს მხოლოდ თევზი იჭმება. იესო ქრისტეს საიდუმლო სერობის უკანასკნელ წელს ხარება ვნების კვირის შაბათს დაემთხვა და სანამ ჩვენი მაცხოვარი მოციქულებთან ერთად სუფრასთან იჯდა და მათ დარიგებას აძლევდა, დიდი დრო გავიდა, ხოლო სანამ ჭამას შეუდგებოდნენ შუალამე გადავიდა. მაშინ სჯა გამართეს იმაზე, შეიძლებოდა თუ არა ეჭამათ ხორცი ნაცვლად გაცივებული თევზისა, რომელიც სუფრაზე იდო და გადაწყვიტეს რა, რომ შეიძლება, დაინახეს, რომ ეს დიდი თევზი უცებ კრავად იქცა, რომელიც შეჭამესო. ექს პაპა, წინააღმდეგ სხვებისა, ამბობდა, რომ იესო ქრისტემ ხორცი ჭამაო. ჩვენ ხატებს მეგრელები არ ეთაყვანებიან და არავითარ პატივს არ სცემენ. ერთ-

ხელ ერთმა მეგრელმა გვითხრა: რატომ არ არიან თქვენი ხატები ჩვენსაზე უფრო ძლიერნი? რადგან თქვენი ხმლები უფრო მძლავრია და თქვენი ქსოვილები უფრო მაგარი, ვიდრე სხვა ხალხებისა, ამიტომ თქვენი ხატებიც უფრო ძლიერები უნდა იყვნენო. რა უაზრო ლაყბობაა!

⁷⁶ Ramaza.

თავი X

წმინდა რელიქვიების შესახებ

ამ ხალხს ბევრი რელიქვია¹⁴⁷) აქვს, რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიქვიას უგზავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიქვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტკიცებინათ. დაბოლოს, რელიქვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, რომ მაშინ კოლხიდაში ჩამოვიდაო ერთი არქიპისკოპოსი, თან ჩამოიტანაო ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭემმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც, მათი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა; ჩვენ პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი – ოთხისა, აქვს ერთი მტკაველის სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის⁷⁷ ეკლესიაში¹⁴⁹), სადაც ის ინახება; აქვე ძვირფასი თვლებით ოოჭვილ ოქროს ლუსკუმაში, ვნახე გამხმარი მკლავი; როგორც ამბობენ, ეს არის წმ. მარინეს მკლავი; ვნახე აგრეთვე წმ. კვირიკეს მკლავი და ოქროთი თუ ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები. კვართი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლისაგან გაკეთებულ ყვავილებით მორთულ ებანოზის ყუთში; მასშივე არის პატარა კოლოფი, რომელშიაც დევს მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი, რომლითაც იგი იგვემა. ეს ყუთი მთავრის ბეჭდით არის დაბეჭდილი. როდესაც ეს რელიქვიები გვაჩვენეს, ისი-

ნი ნოხზე დააწყვეს და რამდენადაც ჩვენ დიდი მოწიწებით და თაყვანისცემით ვეხებოდით და ვიღებდით მათ, იმდენად მეგრელები გულგრილად ეკიდებოდნენ ამ რელიქვიებს. ისინი უფრო ლუს-

⁷⁷ Copis.

156

კუმის ოქრო-ვერცხლის მორთულობას აფასებენ, ვიდრე ამ წმინდა ნაწილებს, რადგან რელიქვიები მრავლად მოეპოვებათ. რაც შეეხება ლიტურგიკულ წიგნებს, ისინი ბევრი აქვთ; წიგნები დიდი ფორმატისაა და მსხვილი ასოებით არის დაწერილი ქართულ ენაზე. ეპისკოპოსები განაახლებენ ხოლმე თითოეულ მათგანს გადაწერით სიცოცხლეში ერთხელ. იაკობინელი ბერი კლავდიუს როტა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ გადმოცემაში ამბობს, რომ დიდი დამასკელისა და კონსტანტინოპოლელი არქიეპისკოპოსის წმ. გერმანეს სიტყვებით დედოფალმა პულქერიანემ იმპერატორ მაქსიმიანეს¹⁵⁰) დროს, ბალტემად⁷⁸ წოდებულ ადგილას, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ააშენა. აქ იმპერატორმა მოიწვია იერუსალიმის არქიეპისკოპოსი იუბენალი¹⁵¹) და სხვა პალესტინელი ეპისკოპოსები, რომლებიც ქალკედონის საეკლესიო კრების¹⁵²) გამო კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ, და მიმართა მათ ასეთი სიტყვებით: ჩვენ გავიგეთ, რომ წმინდა ღვთისმშობელი დაკრძალულია გეთსიმანის ველზე¹⁵³) და გვსურს, რომ ეს წმინდა გვამი ჩვენს დედაქალაქში გვქონდეს; ამიტომ დაე იგი გადმოტანილ იქნას მთელი შესაძლებელი დიდებითო. ამაზე იუბენალმა უპასუხა: საღმრთო წერილში ნათქვამია, რომ მისი სხეული ამაღლდა დიდებით და საფლავში დარჩა მხოლოდ ტანსაცმელი და სუდარა, რომლითაც მისი წმინდა გვამი იყო შესუდრულიო. ამ მღვდელმთავარმა ეს წმინდა რელიქვიები კონსტანტინოპოლში გამოგზავნა და იგი შესანახად გადასცეს იმ ეკლესიას, რომელზედაც ჩვენ ახლახან ვილაპარაკეთ. ამბობენ, რომ ბედიის¹⁵⁴) ეკლესიაშიც ინახება ნაწილი ძელი ჭემმარიტისა, იესო ქრისტეს წვერის ღერები, ბაწარი, რომლითაც იგი იქნა გათოკილი და ნაგვემი და სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელი ახვევდა. ამ რელიქვიების მიმართ მეგრელების უპატივცემლობა შემადრწუნებელია – მათი არც მორიდება აქვთ და არც შიში. მათ მხოლოდ თავიანთი მოკაზმული ხატებისა ეშინიათ...

თავი XI

პაპების სამღვდლო სამოსელის შესახებ

წმ. იერონიმე იეზუიტის IV წიგნში ამბობს, რომ ეკლესია თავის მსახურებს ორგვარი ტანსაცმლის ტარების ნებას რთავს.

⁷⁸ La rue dite Baltème.

ერთია, რომელსაც ჩვეულებრივად ხმარობენ, და მეორე, რომელშიაც საღმრთო სამსახურს ასრულებენ. მეგრელი ღირსი მამანი არ ხმარობენ არც პირველს – აცვიათ ისევე, როგორც მრევლს, და არც მეორეს – საღმრთო სამსახურს ასრულებენ ჩვეულებრივად ჩაცმულნი. ეს გამოწვეულია მათი უკიდურესი სიღარიბით, რაც მათ საშუალებას არ აძლევს მხრებზე ჩამოკიდებულ ძონძებს გარდა ეკლესიისათვის სხვა ტანსაცმლის ჰქონდეთ. მათ პრელატებს უკეთესი სამოსელი აქვთ: პერანგი, რომელსაც კვართს⁷⁹ უწოდებენ, თავთისა და არა ტილოსი: ოლარი⁸⁰, რომელიც მუცელთან ზონარით არ არის განასკული; ორი გინგილა ან უფრო სწორად სახელოს ორი სამაჯური, რომელსაც სამკლავს⁸¹ ეტყვიან; სამღვდლო სამოსელი ფილონი⁸² და მოსასხამი ბასმაჩი⁸³. ეს სამოსელი ბერძნული ტიპის აბრეშუმისაა და ოქრომკედით არის მოქარგული; მას ატარებენ ეპისკოპოსები, წინამძღვრები და ბერები. რაც შეეხება პაპებს ანუ მღვდლებს, მათ უკიდურესი გაჭირვება აიძულებთ დაგლეჯილი ძონძები ატარონ სამღვდლო სამოსის ნაცვლად. ზოგი პაპა წირვის დროს ტანსაცმლის ზემოდან უბრალო ტილოს პერანგს იცვამს. არასოდეს არ წირავენ ფეხშიშველნი, თანახმად მოციქულთა შეგონებებისა: ეფესელთა მიმართ, თავი VI, V, XV – *CaIecati pedes in proeparatione Evangelii pacis*⁸⁴. ამ წესს ურყევად ასრულებენ – აქვთ ან ჩაფულა⁸⁵ ან ჩვეულებრივი სანდლები¹⁵⁵), ან რაიმე ძველი ფეხსაცმელი, რომელსაც სპეციალურად ამისთვის ინახავენ ეკლესიაში. თუ ესეც არა აქვთ, წირვის დროს ტრაპეზი ს წინ დებენ ფიცარს და მასზე დგებიან. ამას გარდა, ბერძნული წესის თანახმად, მათ აქვთ ბარძიმი⁸⁶ თავისი კოვზით, რომელსაც ლანგარი⁸⁷ ჰქვია; დისკოსი, რომელსაც ფეშუმს⁸⁸ ეძახიან; ვარსკვლავი, რომელსაც კამარა⁸⁹ ეწოდება; რიდე ანუ დაფარა⁹⁰, საფარი ანუ ბერჩელი⁹¹, ლოცვანი ანუ სახარება⁹², როგორც ისინი უწოდებენ. მაგრამ ბარძიმი, კოვზი, დისკოსი და ვარსკვლავი, რომლებიც ვერცხლის, სპილენძის ან თუთიის მაინც უნდა იყოს, ამ საბრალო, ღარიბი პაპებისა ხისგან არის გაკეთებული... თუ პაპა ვინმე ერისკაცთან იმყოფება, რომელსაც წირვის აღსრულება სურს, ის იქვე მარანში⁹³ ანუ სარდაფში წირავს, რადგან წირვა ზეპირად იცის. ამრიგად, მას წიგნი არ სჭი-

⁷⁹ Quarti. ⁸⁰ Olare. ⁸¹ Sanctavi. ⁸² Pittoni. ⁸³ Basmachy.

⁸⁴ „და შეიხსენით ფერჯთა თქუენტა განმზადებულემა სახარებისა მის მშჯდობისაჲ“. ⁸⁵ Chiapola. ⁸⁶ Barzemi. ⁸⁷ Lagari. ⁸⁸ peseuin. ⁸⁹ Camara. ⁹⁰ Daparna.

რდება. ის იღებს ჩვეულებრივ სასმელ ფიალას, იყენებს მას ბარძიმის ნაცვლად; გაქონილ ლამბაქს, ფეშხუმის ნაცვლად, სწრაფად გამოაცხობს ნაცარში პატარა პურს, რომელიც სეფისკვერს ცვლის; რაც შეეხება ღვინოს, მისი ნაკლებობა არ არის, რადგანაც მარანში იმყოფებიან. ტრაპეზის მაგივრად იყენებს ფიცარს ან რაიმე ჭუჭყიან, დამტვერილ ძელის, რომელზედაც ლოცულობს. რომელიმე შინაურს წინასწარ გამოართმევს პერანგს ან მის მსგავს რასმე და ანაფორის ნაცვლად ზურგზე მოიდებს. არ ზრუნავს არც ოდიკზე, არც ბარძიმის საწმენდზე, რადგანაც მისი ხელები ჩინებულად ეწევიან საწმენდის მაგივრობას. როდესაც სახარების კითხვის დრო დადგება, ჯიბიდან ამოიღებს ქართულად დაწერილ პატარა წიგნს, კურთხევიანის მაგვარს. იგი დახეულია, ფურცლები არეული აქვს, ასოები წაშლილი და ხშირად წიგნს ფურცლების ნახევარი აკლია. მაგრამ მღვდელს ამგვარი წიგნით წირვა არ ესირცხვილება; წიგნის გვერდებს ფურცლავს და ამავე დროს წარმოთქვამს იმ ლოცვას, რომელსაც ეძებს, რადგან მთელი წირვა ზეპირად იცის. არ წუხს აგრეთვე იმაზე, რომ საკურთხეველზე არ არის არც წმინდა ქვა და არც ოდიკი. ყოველივე ეს ეხება სამრევლო მღვდლებს, რადგან ეპისკოპოსებს, წინამძღვართ და ბერებს ეკლესიებში წირვისათვის საჭირო ყველა საგანი კარგად აქვთ მოვლილი და შენახული. ასევეა მთავრების ეკლესიებშიც.

თავი XII

წირვის შესახებ

წირვა წარმოებს ლიტერატურულ ქართულ ენაზე, რომელიც ისევე ძნელად გასაგებია მათი სამღვდელოებისათვის, როგორც ლათინური ჩვენი გლეხებისათვის. მღვდლები ყოველთვის ეკლესიისაგან შორს ცხოვრობენ, რადგან ეკლესიები განმარტოებულ ადგილებში არის აგებული. როდესაც ვინმეს თხოვნით ასრულებს მღვდელი წირვას, მას საზღაურს აძლევენ, რაც გამოიხატება ორი ან სამი ტუაზი¹⁵⁶) თოკით, ცხვრის ან თხის ტყავით, ან სადილით, ან იმით, რასაც მოითხოვს. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს – წვიმა იქნება თუ ქარი, იგი მიდის ეკლესიაში და თან მიაქვს ტყავის აბგით თავისი სამოსელი, დოქით ან პატარა ხაპით ღვინო, ნაკ-

ვერჩხალზე გამომცხვარი პატარა პური, შუაში რკინით დაწერილი პატარა ასოებით, და სანთელი. ეს საგნები მიაქვს იმას, ვინც მას წირვა სთხოვა.

ყოველივე ამით მღვდელი ეკლესიისაკენ მიემართება. მიუახლოვდება თუ არა ეკლესიას, იწყებს „oremus“⁹⁴-ის წარმოთქმას კართან მისული, თავის მოწყობილობას მიწაზე დადებს შემოჰკრავს წმ. ძელს და რამდენჯერმე დარეკავს ზარს. ამას იგი ხალხის ეკლესიაში მოსაწვევად არ აკეთებს, რადგან მეგრელები ეკლესიაში მხოლოდ საზეიმო დღეებში დადიან. ამის შემდეგ მღვდელი შედის ეკლესიაში, ანთებს სანთელს ცეცხლით, რომელიც თვითონ მოიტანა, თან არ წყვეტს ლოცვას, რომელსაც იგი ხმამაღლა წარმოთქვამს. გადაიცვამს თავის დამონძილ სამოსელს, ნაკეცებიან მოსახამს მოიდებს მხრებზე, – როგორც ამას ჩვენში აკეთებენ მღვდლად კურთხევის დროს, – თუ იგი აქვს და თუ არა აქვს, ამის გარეშეც იოლად მიდის. შემდეგ ამზადებს ტრაპეზს – გადააფარებს მასზე რაიმე ტილოს ნაჭერს ოდიკის ნაცვლად, სახარების გვერდით დებს პატარა თეფშს ან ფიცარს, რაც ფეშხუმის მაგივრობას წევს; სამოციქულო წიგნის გვერდით – ფიალას, ბარძიმის ნაცვლად და შუაში საკურთხებელ პურს, რომელსაც სეფისკვერი⁹⁵ ჰქვია, და მთელი ამ დროის განმავლობაში ლოცვებს წარმოთქვამს; ამის შემდეგ ბარძიმში ჩაასხამს ბლომად ღვინოს; მარცხენა ხელით აიღებს პურს, მარჯვენათი – პატარა დანას, ჭრის პურს იმ ადგილას, სადაც მას ჭდე აქვს და რამდენიც საჭიროა დებს ფეშხუმში. შემდეგ იღებს ვარსკვლავს, რომელსაც კამარა ჰქვია და რომელიც ორი ნახევარწრისაგან შედგება, და დაადებს მას ფეშხუმში ჩადებულ პურს. დანარჩენ პურს გადადებს გვერდზე. შემდეგ ფეშხუმს გადააფარებს თეთრ ნაჭერს, მეორე ნაჭრით დაფარავს ღვინოს, დაიხვეს უკან და დადგება ტრაპეზის გვერდით, მოსახამს გადაიგდებს ზურგზე და შეუდგება „Pater noster“⁹⁶-ის კითხვას. შემდეგ კითხულობს სამოციქულოს, მერე სახარებას და კონდაკით ხელში მიდის შუა ეკლესიაში. გალობს „Credo“-ს⁹⁷ და კითხულობს რამდენიმე ლოცვას შემწირველთათვის. შემდეგ ბრუნდება ტრაპეზთან, იღებს ფეშხუმზე დაფარებულ ნაჭერს და იღებს თავზე, მარცხენა ხელით აიღებს ფეშხუმს და მიაქვს შუბლთან, მარჯვენა ხელით ბარძიმი უჭირავს მუცელთან, და ნელი ნაბიჯით მიემართება შუა ეკლესიაში მღვარი

⁹⁴ „ლოცვები“. ⁹⁵ Sabisqueri. ⁹⁶ „მამაო ჩვენო“. ⁹⁷ „მრწამსი“.

ხალხისაკენ, გალობით ირგვლივ შემოუვლის მათ. ამას „შემოვლას“⁹⁸ უწოდებენ. ხალხი (თუ იგი ეკლესიაში არის) მღვდლის მოახლოებისთანავე მიწაზე ემხოზა და თაყვანს სცემს; როცა მღვდე-

ლი გაივლის, შეჰღალადებს ღმერთს, ამჟღავნებს უფლისადმი დიდ მოკრძალებას, გუნდრუკს უკმევს ქრისტეს ხორცს და სისხლს და მიჰყვება მღვდელს ანთებული სანთლებით ხელში. ამ პროცესის დამთავრებასთან ერთად, მღვდელი უბრუნდება ტრაპეზს, დებს მასზე ჯერ ბარძიმს, შემდეგ ფეშხუმს, იხსნის თავზე მოდებულ ნაჭერს და უჭირავს იგი „oblata“-ს წინ (ეს არის სისხლი და ხორცი) და წარმოთქვამს რამდენიმე ლოცვას. შემდეგ ხმამაღლა გალობით ამბობს სიტყვებს, რომლითაც ჯერ პურს აკურთხებს, მერე ღვინოს, აიღებს ვარსკვლავს და ოთხივე კუთხით ჯვრისებურად გარდასახავს ფეშხუმზე, აგრეთვე ბარძიმზე, და ამით აკეთებს რაღაც ნიშნებს „oblata“-ზე. შემდეგ მარცხენა ხელით აიღებს ნაკურთხ პურს, აიმაღლებს თავზე და კითხულობს ლოცვებს, რის დამთავრების შემდეგ ამ პურით სამჯერ გამოსახავს ჯვარს, მერე მას ჩაიდებს პირში და ღეჭავს. ორივე ხელით დაიჭერს ბარძიმს და სვამს ღვინოს; თუ ფეშხუმზე პურის ნამცეცი დარჩა, აიღებს და მასაც პირში ჩაიდებს ასე, პურის ჭამითა და ხელში ბარძიმით მიუბრუნდება მრევლს და იტყვის: „შიშითა“⁹⁸, რაც ძრწოლას ნიშნავს. შემდეგ ყველაფერს თავის ადგილას დააწყობს, აქრობს სანთელს, თუ იგი ბოლომდე არ დაილია, რადგანაც ხშირად იგი წირვის ნახევრამდეც ვერ ძლებს; გაიძრობს სამოსს, ჩადებს თავის ტყავის აბგაში და ბრუნდება შინ.

წირვის ეს წესი ნამდვილად წმინდა რიტუალურია და შეესაბამება წმ. ბასილის¹⁵⁷), წმ. გრიგოლ ნაზიანზელის¹⁵⁸) და სხვა წმინდანების მიერ შემოღებულ და პაპის მიერ დადგენილ წესებს". მამაზეციერმა იცის ისინი ნამდვილად მონათლულნი ან ნაკურთხი არიან თუ არა, რადგან ეპისკოპოსები მეტად უვიცნი და დაუდევარნი არიან – სრულიად არ ზრუნავენ საკუთარ სამწყსოზე. ისინი წირავენ მხოლოდ მაშინ, როცა გასამრჯელოს მოელიან, და თუ არაფერს მიიღებენ, სრულიად არ წირავენ. დიდი მარხვის განმავლობაში კვირაში მხოლოდ ორ დღეს – შაბათს და კვირას – წირავენ, რადგან ამ დღეებში კათალიკოსი, ეპისკოპოსი და ბერები მარხულობენ – დღეში მხოლოდ ერთხელ, მწუხრის ლოცვის შემ-

⁹⁸ Chambique. ⁹⁹ Sciscit.

დეგ ჭამენ. მათ რომ წირვა ჩაეტარებინათ მარხვის დღეებში, მარხვა დაირღვეოდა, რადგანაც დღეში მხოლოდ ერთხელ, მწუხრის ჟამს, უნდა ჭამონ, მანამდე კი პირში არაფერი არ უნდა ჩაიკარონ. აღსანიშნავია, რომ თუ წირვისათვის ეკლესიაში მისულ მღვდელს კარი დაკეტილი დაუხვდა, კარზე სანთელს მიაკრავს და იქვე ჩატარებს წირვას. თუ რამდენიმე მღვდელი ერთდროულად მოისურ-

ვებს ერთსა და იმავე ეკლესიაში შეასრულოს წირვა, თითოეული ცალ-ცალკე კი არ წირავს – ეს მათ წესად არა აქვთ, არამედ ყველა ერთად, რაც წირვისადმი ყოველგვარ პატივისცემას გამორიცხავს, რადგანაც იწვევს ლოცვების აღრევას ყოველგვარი სახის საუბარში.

თავი XIII

ნათლისღების შესახებ

ბავშვის დაბადებისთანავე პაპა ანუ მღვდელი მას შუბლზე პირჯვარს გადასახავს; რვა დღის შემდეგ წმინდა ზეთს წააცხებენ, რომელსაც მირონს¹⁰⁰ უწოდებენ. ნათლავენ მოგვიანებით, როცა ბავშვი დაახლოებით ორი წლის გახდება. მონათვლა ხდება შემდეგი წესით: პაპა მიდის მარანში ანუ სარდაფში, რომელიც ამ შემთხვევაში ეკლესიას ცვლის, ჯდება სკამზე. მეორე სკამზე თავის წინ სვამს ნათლიას ბავშვით; მღვდლის გვერდით დევს თასი ნიგვზის ზეთით, გეჯა ან ვარცლი, ან სხვა ხის ჭურჭელი, რომელიც ბავშვისათვის ემბაზის მაგივრობას წევს. მღვდელი იკითხავს სახელს, ანთებს პატარა სანთელს და იწყებს ხანგრძლივ კითხვას. როცა კითხვის დასასრულს მიუახლოვდება, იხდის არახჩინს ან ჩაჩს. ცოტა ხანს კვლავ განაგრძობს კითხვას, შემდეგ მობრუნდება კითხვის შეუწყვეტლივ და ერთხანს კიდევ კითხულობს; შემდეგ მოატანინებს წყალს და, რადგანაც ხშირად მოთხოვნისთანავე წყალი თბილი არ არის, ის ელოდება. როცა წყალს მოუტანენ და ჩაასხამენ ვარცლში, მღვდელი იღებს ნიგვზის ზეთს და ლოცვითა და გალობით ასხამს მას წყალში. ამასობაში ნათლია ხდის ბავშვს, შიშველს სვამს ვარცლში და თავისი ხელით მთლიანად ბანს მას. ამ პროცესის განმავლობაში მღვდელი არ ეხება ბავშვს და არც რაიმეს ამბობს.

¹⁰⁰ Myrone.

მაგრამ განზანვის დამთავრების შემდეგ იღებს რქას, რომელშიაც მირონი ანუ წმინდა ზეთია და რომელიც ისეთი სქელია, რომ გამხმარ მალამოს მოგაგონებს, ხის ნაფოტით პატარა ნაჭერს მოჭრის და აძლევს ნათლიას, რომელიც მას აცხებს ბავშვს ჯერ შუბლზე, შემდეგ ცხვირზე, თვალებზე, ყურებზე, გულმკერდზე, ჭიპზე, მუხლებზე, კოჭებზე, ქუსლებზე, კანჭებზე, დუნდულებზე, წელზე, იდაყვებზე, მხრებზე, კეფაზე. ამ ხნის განმავლობაში მღვდელი უხმოდ აცმაცუნებს პირს. შემდეგ ნათლია კვლავ სვამს ბავშვს ვარცლში, იღებს ნაკურთხი პურის ნაჭერს და აძლევს მას ღვინოსთან

ერთად. თუ ბავშვმა შეჭამა და დალია, ამბობს რომ ეს კარგის მომასწავებელია, ბავშვი ღონიერი და მამაცი იქნებაო. მერე ბავშვს დედას გადასცემს და სამჯერ წარმოთქვამს: „თქვენ მე იგი მომეცით ურიად, მე კი ქრისტიანად გიბრუნებთო“. შემდეგ ბავშვს არწევენ, რათა დააძინონ; ცოტა ხნით აძინებენ, შემდეგ ბანენ სხვა წყლით, მხოლოდ ბანს არა ნათლია, არამედ სხვა პირი, რომელიც ნათესაურ კავშირშია ბავშვის დედასთან, მაგრამ ისეთი ახლობელი არ არის, როგორც ნათლია; აღსანიშნავია, რომ ბავშვის ნათლია ისეთივე ნათესავია დედისათვის, როგორც ძმა ან და; მას ნებისმიერ დროს შეუძლია მივიდეს მასთან, ისევე როგორც საკუთარ სახლში. უნდა აღინიშნოს, რომ მღვდლები ნათლისღების წესს ასრულებენ საეკლესიო სამოსელის გარეშე, რაც სრულიად არ ადარდებთ. ისინი არც კი მონათლავდნენ არავის, რომ ამ წმინდა წესს არ მოსდევდეს საზეიმო ლხინი, რომელიც მთელი დღე გრძელდება. ამიტომ ვისაც არ შეუძლია ერთი ღორი მაინც დაკლას, თავიანთ ბავშვებს არც კი ნათლავენ. წორედ ეს არის მიზეზი, რომ ამ საცოდავი ხალხის შვილები მოუნათლავი იხოცებიან.

მდიდრები კი პირიქით – არ კმაყოფილდებიან რამდენიმე ღორის დაკვლით და, რათა დღესასწაული უფრო ბრწყინვალე იყოს, კლავენ ხარებს და სხვა პირუტყვს. ლხინში ყველა ნათესავსა და მეგობარს პატიჟებენ. ღრეობა მთელი დამე გრძელდება, სანამ უმეტესობა სტუმრებისა ძლიერ არ დათვრება. როგორც ჩანს, მეგრელებმა ბერძნულიდან გადმოიღეს ნათლობის თავიანთი წესი, რომლის დროსაც ერთდროულად სამი საიდუმლოება ხდება, კერძოდ, ნათლისღება, მირონცხება და ზიარება; ბავშვის განბანვის დროს ხდება მონათვლა, ზეთის წასმა – ეს მირონცხებაა, ხოლო პურისა და ღვინის მიცემა ზიარებას წარმოადგენს. მე კი ვფიქრობ, რომ ბავშვისათვის პურის და ღვინის მიცემა უფრო ებრაელების წაბა-

ძვანა, რომლებიც ბავშვს ღვინოს და რძეს აძლევენ, როგორც ამას წმ. იერემია ამბობს, თავი X: „Emite vinum et I ac“¹⁰¹. სინამდვილეში მეგრელები წარსულში მიყვებოდნენ ბერძნულ წესებს, მაგრამ შემდეგში ძალიან დაამახინჯეს იგი ბევრ რამეში. ზოგმა უფრო განსწავლულმა პაპამ მიაძმო, რომ მეტი ღირსებისათვის მათ ბავშვები ღვინოში დაუბანიათ და არა წყალში. ისინი რომ ძლიერ უმეცარნი არ იყვნენ, მათთვის შეიძლებოდა ლუთერანები გვეწოდებინა. ერთხელ როცა ლუთერს¹⁵⁹ ჰკითხეს, თუ რა ნივთიერებები გამოდგებაო მოსანათლავად, მან უპასუხა, რომ ასეთი ნივთიერება შეიძლება იყოს ყველაფერი, რაშიაც კი შესაძლებელია ადამიანის განბანვა, მათ შორის რძე და ღვინოცო. ამის შესახებ მოგვითხრობს ბელარმე წმინდა ნათლობის შესახებ წიგნის II თავ-

ში. ერთხელ ძლიერ ავადმყოფი ბავშვის მოსანათლავად მიიყვანეს პაპა. მან დაინახა რა, რომ ბავშვი მომაკვდავია, უარი თქვა მის მონათვლაზე და განაცხადა, რომ არ სურს ტყუილუბრალოდ დახარჯოს წმინდა ზეთი – თითქოს ნათლისღება მხოლოდ მირონცხება იყოს. როდესაც ეს ბავშვი მოუნათლავი მოკვდა, ამ ოჯახის მეგობარი მეორე პაპა მოვიდა სამძიმარზე ამ დანაკარგის გამო. თვალცრემლიანმა მამამ შესჩივლა მას, რომ ბავშვის სიკვდილი მით უფრო სამწუხაროა, რადგანაც ბავშვი მოუნათლავი გარდაივალაო, ესა და ეს პაპა მოვიწვიეთ ბავშვის მოსანათლავად, მაგრამ, წმინდა ზეთის დახარჯვის შიშით, მან უარი განაცხადა ნათლობაზეო. პაპამ სიტყვა შეაწყვეტინა ბავშვის მამას და უთხრა: განა არ იცოდით, რომ ის პაპა წუწურაქი არისო? ნუ სტირით, დაწყნარდით, მე მოვნათლავ ბავშვს, ერთი ბეწო მირონი დიდი ამბავი არააო. ამ სიტყვებთან ერთად ჯიბიდან ამოიღო რქა, საიდანაც ცოტა ზეთი აიღო და მოაცხო მკვდარ ბავშვს, როგორც ამას ნათლობის დროს აკეთებენ... აქაური ბავშვები არიან თუ არა ისე მონათლულნი, როგორც საჭიროა, მკითხველმა განსაჯოს. ამიტომაც არის რომ ჩვენი პატრები ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას მონათლონ „sub conditione“¹⁰² ყველა ბავშვი, რომელსაც შეხვდებიან, იმ საბაბით, თითქოს მათ წამალს აძლევენ ან ეალერსებიან.

ებრაელების მიზამდით, სახელი, რომელსაც მეგრელები თავიანთ ბავშვებს არქმევენ, დაკავშირებულია რაიმე შემთხვევასთან, ბავშვის დაბადებას თან რომ ახლავს. ისევე, როგორც ამას ვხე-

¹⁰¹ „შეკრბეს ღვწო და რძე“. ¹⁰² პირობითად.

ავთ ბენიამინის მაგალითზე, რომელსც „ტანჯვის შვილი“ ეწოდა, იმ ტანჯვის გამო, რომელიც მისმა დედამ, რაქილმა, გადაიტანა მისი შობის დროს (დაბადება თავი XXXV, მუხ. V, XVIII), ასევე მეგრელები თავიანთ შვილებს არქმევენ სახელებს: ობიშხა¹⁰³, ე. ი. პარასკევა, თუ ბავშვი ამ დღეს დაიბადა; გვიანისა¹⁰⁴, ე. ი. გვიან დაბადებული, თუ იგი საღამოს დაიბადა; ფრევალისა¹⁰⁵, ე. ი. თებერვლისა, თუ ამ თვეში იშვა და ასე შემდეგ. ძალიან ცოტანი ატარებენ ხოლმე წმინდანის სახელს, რადგან, მათი თქმით, უბრალო ადამიანს არ უნდა ერქვას წმინდანის სახელი, რათა არ შეურაცხყოს იგი, მსგავსად ერთი ლაჩარი მეომრისა, რომელიც ალექსანდრეს სახელს ატარებდა. მეფემ, – ვკითხულობთ პლუტარქეს¹⁶⁰) მიერ აღწერილ მის ცხოვრებაში, – მას გაგულისებით უთხრა: ან მოიქეც ისე, როგორც ალექსანდრე, ან შეიცვალე სახელიო. ამრიგად, მეგრელები, არ ატარებენ რა ქრისტიანი წმინდანების სახელებს, ამით თითქოს აღნიშნავენ: ჩვენ არ ვირჯებით მსგავსად

ქრისტიანებისა და რადგანაც განკიცხვა არ გვინდა დავიმსახუროთ, არ ვატარებთ ქრისტიანულ სახელებსო. წმინდა ავეუსტინე LXX თავში წმ. იოანეს შესახებ ამბობს: „Christianum castitati et integritatis nom en est“¹⁰⁶; მაგრამ ეს ხალხი ძლიერ შორს არის ამ ორგვარსავე სრულყოფისაგან. აღსანიშნავი ისიც, რომ ადამიანს რა ასაკშიც არ უნდა იყოს, ყოველითვე ამა და ამ კაცის ძეს ან შვილს ეძახიან, როგორც ეს საღვთო წერილში წერია: „puer centum annoru m“¹⁰⁷. მათ ენაზე ნაილისღების ფორმულა ასეთია:

„ნათელს იღებს სახელითა მამისათა ამინ. და ძისათა ამინ. და სულისა წმინდისათა ამინ“¹⁰⁸.

ძალიან ცოტაა ისეთი მღვდელი, რომელმაც ნათლობის ეს ფორმულა იცის. იგი მხოლოდ ზოგიერთმა ბერმა იცის. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ისინი ზოგჯერ მეორედაც ინათლებიან.

რაც შეეხება საცხებელს¹⁰⁹, ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადგან მეგრელებს ამის შესახებ არც კი გაუგონიათ, გარდა იმისა, რომ ბერძენთა წესის მიხედვით მირონცხებას ასრულებს ნათლია და არა მღვდელი, როგორც ნათლობაზე ლაპარაკის დროს აღვნიშნეთ.

¹⁰³ Objeca. ¹⁰⁴ Guianisa. ¹⁰⁵ Prevalisa.


¹⁰⁶ ქრისტიანის სახელი ნათელი და პატოსანია. ¹⁰⁷ ასწლოვანი ყრმა.

¹⁰⁸ „Natelis. – IghetS saccalitos Mamisata amin. Dazizata amin. Dazuliza Zininda sata amin“. ¹⁰⁹ Crème.

თ ა ვ ი X I V

ზიარების შესახებ

მეგრელები ზიარების საიდუმლოებას ასრულებენ შეძლებისდაგვარად. მსგავსად ბერძნებისა სავალდებულოდ არ მიაჩნიათ ყოველთვის გამოიყენონ აფუებული პური. აცხობენ უნციაზე¹⁶¹) ოდნავ მეტი წონის პატარა მრგვალ პურს, ფქვილისა, ფეტვისა, წყლისა და ღვინისაგან, და მას უკეთებენ აქ გამოსახულ ნიშანს:



პურს ამგვარი ნიშნით კურთხევამდე სეფისკვერი ჰქვია, ხოლო კურთხევის შემდეგ ნაზიარები საზიარებელი¹¹⁰. ზიარებას, რომელსაც ავადმყოფს სიკვდილის წინ ამღვებენ, ეწოდება ნაწილი¹¹¹. მღვდლები მას ინახავენ პატარა ტილოს ან სხვა ქსოვილის ქისაში, რომელსაც მუდამ ქამარზე მიბმულს ატარებენ. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

არკადიუსი „საეკლესიო შეთანხმებაში“ (წიგნი III) ამბობს: „ადვილად სარწმუნოა, რომ მოციქულთა ხანაში ხან აფუებული, ხან კი უმარილო პურით აკურთხებდნენო“. ლათინები იესო ქრისტეს ბაძავენ, რომელმაც უმარილო პურით შეასრულა კურთხევის საიდუმლოება; ხოლო რაც შეეხებათ მეგრელებს, ისინი ამას ასრულებენ განურჩევლად ყოველგვარი სახის პურით. მათი სეფისკვერი რომელიც ფქვილის, მარილის, ღვინისა და წყლისაგან შედგება, მსგავსია ებრაულისა, რადგანაც უფლის ბრძანებით ძველად ყოველგვარ შესაწირავში მარილი უნდა ყოფილიყო გარეული: „ლევიტელთათვის“, თავი II: „Quidquid Obtuleris sacrificii sale condies“¹¹². ამ მღვდლებს არ ჩვევიათ ბარძიმში ღვინოსთან ცოტაოდენი

¹¹⁰ Nazeroba sazerebeli .¹¹¹ NaziIi. ¹¹² „ყოველივე შესაწირავი მსხუერპლისა თქუენისა მარილითა დაიმარილენ“.

წყლის ჩამატება, მაგრამ მე მინახავს ისეთიც, რომელიც ამას აკეთებს. ერთხელ, როცა პაპას შევეკითხე, რატომ არ ასხამ-მეთქი ბარძიმში ცოტა წყალს, მან მიპასუხა: წყალს მხოლოდ ზოგჯერ ვუმატებ, როცა ღვინო ძლიერ მაგარიაო; ისედაც ბევრი რამა მაქვს სატარებელი – ღვინო, ცეცხლი, სანთელი, ჩანთა აკაზმულობით, რომ კიდევ წყალიც ვზიდოთ. შემდეგ შევეკითხე, რას იზამდი ღვინო რომ ძმრად ქცეული იყოს-მეთქი? მიპასუხა – იმასაც ვაკურთხებდიო, მაგრამ არ ვაკურთხებდი არაყს, რადგანაც იგი ღვინო არ არისო. ამ მღვდლებს, ბერძნების მიბაძვით, ჩვეულებად აქვთ კურთხევის შემდეგ და უშუალოდ ზიარების წინ ბარძიმს გამოავლონ

მცირედენი ადუღებული წყალი იმ სისხლისა და თბილი წყლის მისანიშნებლად, რომელიც გარდაცვლილ იესო ქრისტეს გვერდიდან გადმოდინდა. ეს მღვდლები თაფლის სანთელზე აცხელებენ რკინის კოვზს, მასზე ასხამენ ცოტა წყალს და ასე შემთხარს ასხამენ ბარძიმში; შემდეგ იწყებენ ზიარებას. არ უწყიან, თუ რატომ ასრულებენ ამ რიტუალს; ამბობენ, ასეთიაო ჩვენი წესი; მაგრამ ამას ყველა და ყოველთვის როდი აკეთებს.

მრავალჯერ მიკითხავს სხვადასხვა სასულიერო პირთათვის, თუ როგორი იყო მათი კურთხევის წესი, მაგრამ მხოლოდ ერთმა... შეძლო პასუხი გაეცა ჩემთვის. მან მითხრა, რომ ხორცის კურთხევისას, რასაც „მარკვერიტი“¹¹³ ჰქვია, ამბობენ შემდეგს: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა“¹¹⁴. სისხლის კურთხევისას, რომელსაც „მაგვენტი“¹¹⁵ ჰქვია¹⁶²) ამბობენ: „ჰსჯით ამისაგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და [მრავალთათვის] დანთხეული მისატევებლად ცოდვათა“¹¹⁶. ერთ დღეს ერთ-ერთ ამ ღირსმამათაგანს შევეკითხე – ამ სიტყვებით კურთხევის შემდეგ პური და ღვინო ჭეშმარიტად იქცევა თუ არა იესო ქრისტეს ნამდვილ სისხლად და ხორცად-მეთქი? მან ღიმილით მიპასუხა – თითქოს სახუმარო რამ მეკითხო (დედანში იტალიურად წერია „una facetia“): ვინ მოათავსებს იესო ქრისტეს პურში? როგორ შეიძლება იგი აქ მოვიდეს? როგორ შეიძლება მისი მოთავსება ამ პატარა პურის ნაჭერში? რატომ მოისურვებდა იგი ზეცის დატოვებას და მიწაზე ჩამოსვლას? ამის

¹¹³ Marquerit. ¹¹⁴ „Mighet Chiamet esse ars cors chiemit quentuis chate Chili missa tevebelat Zodoat“. ¹¹⁵ Maguaint. ¹¹⁶ „Suta Misganqua vesta esse ars Siseli chiemit quentuis chante chiti Zodoat“.

მსგავსი არავის არაფერი უნახავსო. შემდეგ ვკითხე – იქნება თუ არა წირვა სრულყოფილი იმ შემთხვევაში, თუ მღვდელს სისხლისა და ხორცის კურთხევის დროს დაავიწყდება სათანადო სიტყვები-მეთქი? მან მიპასუხა – რატომაც არა? მაგრამ მღვდელი, რომელიც ამ სიტყვებს ივიწყებს, დიდ ცოდვას სჩადისო. არსებითად მათ არ ესხმით შინაარსი კურთხევისა და მას ასრულებენ ჩვევისა და პირადი გამორჩენის გამო. ამრიგად, მათ მიერ შესრულებულ კურთხევის საიდუმლოებას აქვს თუ არა რაიმე ფასი, სწავლულებმა განსაჯონ.

რაც შეეხება „ნაწილს“ ანუ ზიარებას, რომელსაც მომაკვდავ ავადმყოფებს აძლევენ, მეგრელები, ბერძნების მსგავსად, მას მხოლოდ წელიწადში ერთხელ, დიდ ხუთშაბათს, აკურთხებენ, მაცხოვრის საიდუმლო სერობის აღსანიშნავად; მაგრამ ბერძნები მას ოქ-

როს ან ვერცხლის სანაწილეში ინახავენ, როგორც ამის შესახებ ამბობენ ბარონიუსი და არკადიუსი წიგნში „საეკლესიო შეთანხმება, III, წმინდა ევქარისტის შესახებ“. კოლხი მღვდლები კი მას დებენ ტილოს ან ტყავის ქისაში, რომელიც ჩვეულებრივად გაქონილი და ჭუჭყიანია, და ყოველთვის ქამარზე მიბმული დააქვთ ყველგან, სადაც კი წავლენ და რასაც არ უნდა აკეთებდნენ. მიაქვთ იქაც კი, სადაც უკადრისად იქცევიან, თითქოს იგი უბრალო ხორცის ნაჭერი იყოს, არც მეტი და არც ნაკლები. რადგან ხშირად თვრებიან, მიეგდებიან მიწაზე და ქამარზე მიბმულ ქისას არარად მიიჩნევენ. როდესაც ტანთ იხდიან და წვებიან, სასთუმლის ქვეშ ან სხვა ადგილზე დებენ მას თავიანთ სამოსთან ერთად. თუ ავადმყოფი ზიარებას თხოულობს, იგი თვითონ მიაქვთ, ან თუ თავის შეწუხება არ სურთ, მათგან გამოგზავნილ პირს გაატანენ ხოლმე, სულ ერთია, იგი კაცი იქნება, ქალი თუ ბავშვი. რადგან „ნაწილი“ ანუ ზიარება, რომელსაც გზავნიან, სიძველის გამო ზოგჯერ ხმელია, ავადმყოფმა მისი გადაყლაპვა რომ შესძლოს, იღებენ ხელში, სტეხენ და აქცევენ პატარა ნატეხებად, დებენ თეფშზე ან ქვაზე, ყურადღებას არ აქცევენ ნამცეცებს, რომლებიც იყრება ან ხელებს ეკვრის, ყრიან მას ღვინოში და აძლევენ ავადმყოფს დასალევად, თან ხატს ევედრებიან ავადმყოფის ხსნას. როდესაც ეს ხალხი ფხვნილადქცეულ ზიარებას სვამს, მისი დიდი ნაწილი მათ სქელ და გრძელ წვერებზე რჩება, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას, იწმენდნენ ხელით, პერანგის სახელოთი ან სხვა რაიმით.

ამ ზიარებას ყველა არ ღებულობს, რადგან იგი ავის მომას-

168

წავებლად ითვლება ავადმყოფის ოჯახში. ამიტომაც ავადმყოფისათვის დასალევად მიცემის ნაცვლად, მას ჩააგდებენ ღვინიან ბოთლში ან ხაპში, რომელსაც კუთხეში მიდგამენ და აკვირდებიან თუ რა მოუვა მას; ამის მიხედვით მსჯელობენ ავადმყოფობის მსვლელობაზე; თუ „ნაწილი“ ხაპის ფსკერზე დაილექა, ეს ცუდი ნიშანია – ავადმყოფი მოკვდება; თუ ზედაპირზე ამოტივტივდა – ავადმყოფი გადარჩება. „ნაწილი“ კეთდება ფქვილით, ღვინითა და მარილით. წყალს არ უმატებენ ისევე როგორც სეფისკვერს, რადგან, მათი თქმით, წყლიანი მთელ წელიწადს არ შეინახება. საკითხი, თუ რამდენად გამოსადეგია ეს ნივთიერება საკურთხებლად და არის თუ არა იგი ნამდვილი პური, სწავლულებმა განსაჯონ. წლის დამლევს დარჩენილი „ნაწილი“ მღვდლებს საკურთხეველში მიაქვთ და იქ ტოვებენ, სადაც მას თავგები ჭამენ. ასე ისანსლება ეს წმ. ზიარება და ასეთი მორიდებით ეპყრობიან მას მღვდლები. აქედან ადვილად შეიძლება განვსაჯოთ, როგორია მათი რწმენა და რამდენად სწამთ წმინდა საიდუმლოებას.

აღსარების შესახებ

ეს ხალხი აღსარების საიდუმლოებას აღიარებს და მას „განდობას“¹¹⁷ უწოდებს. შეცოდებას ეწოდება „ცოგია“¹¹⁸, მონანიებას – „ცოდუა“¹¹⁹, დაურვებას – „სინანული“¹²⁰, ყოველივე ეს კი იცინა, მაგრამ არც ერისკაცი და არც სასულიერო პირი აღსარებას არ ამბობს, სიკვდილის წინაც კი. თუ ვინმე აღსარების თქმას გადაწყვეტს, მას „habeat in bonis“¹²¹ მოძღვრისათვის მისაცემად. ერთხელ მოხდა ისე, რომ ერთმა კაცმა, სახელად პატა წულუკიამ¹²² აღსარება კათალიკოსს უთხრა და მას ორმოცდაათი ეკიუ მისცა. როცა მეორედ მოისურვა აღსარების თქმა, კათალიკოსმა არ მიიღო და უთხრა პირველად ძალიან ცოტა მომეციო. მეორე აზნაურზე ამბობენ, რომ მან ეპისკოპოსს აღსარებისათვის ცხენი და კიდევ ბევრი სხვა რამ აჩუქაო. საჩუქრებით დატვირთული ეპისკოპოსი როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ამ აზნაურის ვაჟიშვილს შეხვდა და მადლობა გადაუხადა, რომ მისმა მამამ ასე დაასაჩუქრა.

¹¹⁷ Gandoba. ¹¹⁸ Zoggia. ¹¹⁹ Zodua. ¹²⁰ Sinanuli. ¹²¹ უნდა ჰქონდეს ქონება. ¹²² Patazoluchia.

– როგორ, – უთხრა ვაჟმა, – მამაჩემს იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი და აღსარებაში ასე ცოტა მისცა თავის სულიერ მოძღვარს? მე მრცხვენია მის მაგივრად, მაგრამ გამოვასწორებ მის შეცდომას და სიტყვას გაძლევთ, რომ კიდევ ბევრს რასმე გამოგიზავნითო. ისინი ფიქრობენ, რომ ვისაც ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი, მან უფრო მნიშვნელოვანი საჩუქარი უნდა მიართვას თავის სულიერ მოძღვარს. ამ ქვეყანაში ძალიან ცოტანი ამბობენ აღსარებას, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არავინ. თუ მაინც ვინმე იტყვის აღსარებას, ეს უფრო მკრეხელობაა, ვიდრე ცოდვების ნამდვილი მონანიება, რადგან ინანიებენ მხოლოდ ცოდვების იმ ნაწილს, რომელიც სურთ და ცოდვების უმეტესობას კი ფარავენ. აქედან მომდინარეობს ის, რომ როდესაც ბოროტ საქმეს ჩადიან და მას თვითონვე ცოდვად თვლიან, ისინი მაინც ფარავენ მას და ამავე დროს მის გამოსყიდვას ცდილობენ, მისდევენ რა საერთოდ მიღებულ წესს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: როდესაც დიდ ცოდვას ჩადენ, მის გამოსასყიდად კეთილი საქმე უნდა გააკეთო. კეთილ საქმედ კი ითვლება ხატებისათვის მსხვერპლის შეწირვა ან ძღვენის აბრეშუმის ნაჭრის ან ფულის მიტანა. ამით ფიქრობენ, რომ ცოდ-

ვები მოხსნილი აქვთ და სხვაგვარ მონანიებას აღარ თვლიან საჭიროდ. ეს შეცდომა ბერძნებისაგან მომდინარეობს. ეპისკოპოსებიც და ყველა სასულიერო პირი აღმოსავლეთში ასევე იქცევა. ეს იმიტომ ხდება, რომ ძველი კანონების მიხედვით სასულიერო პირებს, რომლებიც არაწესიერ ცხოვრებას ეწევიან, წოდება სამუდამოდ უნდა ჩამოერთვათ. ამის გამო ისინი აღსარებაზე უარს ამბობენ, რადგანაც ეშინიათ ერთმანეთისათვის ცოდვების გამჟღავნებისა, ეჭვების გამოწვევისა და ამით შემოსავლის დაკარგვისა. რომ კანონებში ლაპარაკი იყოს აღსარების შინაგან მსჯავრზე, მაშინ მათი შიში აღსარების შედეგების გამო გამართლებული იქნებოდა, მაგრამ კანონებში მხოლოდ გარეგან მხარეზეა ლაპარაკი.

ეს წმინდა სასულიერო პირნი, ნაცვლად აღსარების თქმისა, წირვის წინ მდინარეში ჩადიან განსაზღვრულ და ამით უნდათ შეასრულონ აღსარების მოთხოვნა. ასევეა მსხვერპლის შეწირვის წინ, რასაც „საღმრთოს“¹²³ ეტყვიან და რომელსაც რამდენიმე პაპა ესწრება. თავდაპირველად ყველანი მდინარეში განიბანებიან, ერთი კვირის განმავლობაში ცოლებს არ ეკარებიან, ფიქრობენ და იმედი აქვთ,

¹²³ Sanctos.

რომ ეს იგივეა, რაც აღსარების თქმა. აღსარების უარყოფის მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც აღსარების საიდუმლოებას არ ინახავენ, ყველას ეუბნებია, რაც ითქვა აღსარების დროს და ხშირად ამის შესახებ თვით მომნანიებლის თანდასწრებითაც ლაპარაკობენ.

მეგრელები დარწმუნებულნი არიან, რომ თუ „მოდღარი“¹²⁴, როგორც მას უწოდებენ, გვყავს, აღსარების თქმა სრულიად არ არის საჭირო, ამიტომ თითოეულ მათგანს თავისი მოძღვარი ჰყავს. ისინი მიდიან ეკლესიის, რომელიმე მსახურთან, სულერთია იგი ეპისკოპოსი იქნება, ბერი თუ მღვდელი, მხოლოდ ცნობილი უნდა იყოს თავისი სათნოებით, ცოდნით და ჭეშმარიტი ქრისტიანობით, მიაქვთ მისთვის საჩუქრები თითოეულს შეძლებისდაგვარად და ევედრებიან გახდეს მათი მოძღვარი. იგი ღებულობს საჩუქრებს და თანხმდება ამ მოვალეობის შესრულებაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არასოდეს ამბობენ აღსარებას. თუ ავად გახდებიან, განსაკურნავად ამ მოძღვარს მოიყვანენ, ან თვითონ სხვას წააყვანინებენ მასთან თავს, მაგრამ აღსარებას მაინც არ იტყვიან. ყველაზე დიდი სამსახური, რომელიც მოძღვარს შეუძლია გაუწიოს მათ, მდგომარეობს იმაში, რომ მოუმზადებს ნაკურთხ წყალს, აპკურებს ავადმყოფს, შემდეგ რომელიმე ხატს განზანს და ამ წყალს ასმევს მას და თან ლოცვას კითხულობს. სულიერ მოძღვარს თავისი სუ-

ლიერი შვილის გარდაცვალების შემდეგ უფლება აქვს მიითვისოს მისი ცხენი, რომელიც მას უკანასკნელად ჰყავდა, მისი ტანსაცმელი და ყველა ის სამოსი, რომელიც მას ეცვა, როდესაც იგი მის სანახავად მოვიდა.

ეს საბრალო ხალხი, დაბრმავებული თავიანთი ეპისკოპოსების უძლები სიხარბით, მეტსაც აკეთებს. ისინი როცა ჯანმრთელნი არიან, მიდიან კათალიკოსთან, ეპისკოპოსთან ან თავიანთ მოძღვართან და სთხოვენ, რომ წერილობით მისცენ შენდობა ცოდვათა, როგორც წარსულში ჩადენილისა, ისე იმისა, რომელიც შესაძლებელია ჩადენილი იქნას შემდგომი ცხოვრების მანძილზე. ისინი თხოვნას უსრულებენ და წინასწარი აღსარების გარეშე აძლევენ მათ უკვე ჩადენილი და მომავალში, ცხოვრების მანძილზე მოსალოდნელი ცოდვების შენდობის საბუთს. მაგრამ რადგან ცოდვათა ასეთი შენდობა ძალიან ძვირი ღირს, მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ მისი მიღება¹⁰³). იერუ-

¹²⁴ Monzguary.

სალიმის პატრიარქმა ამგვარი საბუთი მისიცა ერთ მთავარს, რომელმაც ძალიან ძვირი გადაიხადა მასში. როდესაც ცოდვების შენდობის საბუთის პატრონი კვდება, ამ საბუთს მას ხელში უდებენ და სწამთ, რომ ამ საბუთით ხელში იგი, აღსარებისა და სხვა რაიმე ცერემონიის გარეშე, უთუოდ ცხონდება... თუ ეცდები განმარტო რატომ არის საჭირო აღსარების თქმა, რაც მე ბევრჯერ მომიხდა, გვიპასუხებენ, ცოდვები სრულიად არა გვაქვსო. საქმე ისაა რომ მათ არ იციან, თუ რა არის ცოდვა, რაში მდგომარეობს იგი და არც არავინაა ისეთი, ვისაც ამის ახსნა შეეძლოს. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ სიკვდილის პირს მიმდგარი კაცი იწინიებს თავის ცოდვებს ზოგადად; განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ, თუ რომელიმე სასულიერო პირი ამას შთააგონებს მათ. უმეტეს შემთხვევაში ისინი კვებიან ის, როგორც პირუტყენი. ამას უნდა დაუმატოთ ის გარემოება, რომ მღვდლებმა არ იციან ცოდვათა მონანიების ლოცვები და ავადმყოფთან სხვა არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ გარდა ხატზე ვედრებისა, რათა მან ავადმყოფი არ მოკლას და არ განურისხდეს.

თავი XVI

მომაკვდავის ზიარების შესახებ

მე არასდროს მომცემია საშუალება მენახა მომაკვდავის ზიარება, რაც ამ ხალხში ჩვევად არის დამკვიდრებული. ბევრთან ვყოფილვარ მათი სიკვდილის ჟამს, იქვე მღვდლებიც ყოფილან, მაგრამ

არც ერთ მათგანს ზიარების საიდუმლოება არ შეუსრულებია. ამის შესახებ მრავალი სასულიერო პირისათვის როგორც მღვდლებისათვის, ისე ბერებისათვის, მიმიმართავს შეკითხვით, მაგრამ ყველა ერთნაირ პასუხს მამლევდა, რომ ზეთით კურთხევა მხოლოდ ნათლისღების დროს ხდება, რაც მდგომარეობს კათალიკოსის მიერ დამზადებული ზეთის ცხებაში, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკეთ ზევით. ზოგიერთნი კი, როცა ავად ხდებიან, იხმობენ ბერს, რომელიც აკურთხებს რა ნიგვზის ან ზეთისხილის ზეთს, აცხებს მას ავადმყოფს, მაგრამ ეს არ არის არც მომაკვდავის ზიარება და არც მირონცხება.

172

თავი XVII

მღვდლად კურთხევისა და უცოლობის აღთქმის მიცემის შესახებ

მეგრელმა ეპისკოპოსებმა მღვდლად კურთხევის წესი შემოინახეს იმ სარგებლობის გამო, რომელსაც ისინი ამით ღებულობენ, რადგანაც კათალიკოსი ეპისკოპოსს არანაკლებ ხუთას ეკიუს ართმევს ხელდასხმაში. ეპისკოპოსი კი მღვდლად კურთხევაში ერთი კარგი ცხენის ფასს იღებს. მე ვერასოდეს ვერ გავიგე, თუ როგორ ხდება ამ პირების კურთხევა.

უცოლობის აღთქმა ყოველთვის დიდად იყო მიღებული ბერძენთა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა შორის, მაგრამ სასულიერო პირებს უპატიოსნო საქციელი რომ არ ჩაედინათ, ნება დართეს მღვდლებს სიცოცხლეში ერთხელ, კურთხევამდე შეუღლებოდნენ ქალწულს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი ქვრივად უნდა დარჩენილიყვნენ. მაგრამ სამეგრელოს წმინდა სამღვდელოებამ, რომელიც მოჩვენებითად თითქოს ბერძნულ წესებს მისდევდა, სინამდვილეში გამოიწვეს საშუალება ამ კანონის გვერდის ასახვევად, რადგანაც იმავე ქალთან, რომელთანაც მღვდლად კურთხევამდე იქორწინეს, კურთხევის შემდეგ კვლავ ქორწინდებიან, ამჯერად ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე და ირწმუნებიან, რომ კურთხევამ ქორწინება დაარღვიაო. თუ ეს ქალი გარდაიცვალა, მათ შესაძლებლად მიაჩნიათ დაქორწინდნენ მეორედ, რადგან პირველზე ხომ, ნებართვის თანახმად, კურთხევის შემდეგ დაქორწინდნენ და, ამდენად, მათ შეუძლიათ იქორწინონ მეორედ, მესამედ, მეოთხედ და რამდენჯერაც მოისურვებენ. ეპისკოპოსები უარს არასოდეს ამბობენ ნებართვის მიცემაზე, მაგრამ ამ ნებართვას ძვირად ყიდიან, რადგანაც უნდა აღინიშნოს, რომ მღვდლის მეორედ დაქორწინების ნებართვა ორჯერ მეტი ღირს, პირველი ქორწინების ნებართვასთან

შედარებით, მესამე ქორწინება კი სამმაგი ჯდება და ასე შემდეგ. ამიტომ არის, რომ ეპისკოპოსი, რომელიც მხოლოდ ფულის გამოძალვაზე ფიქრობს, ნებართვას ადვილად იძლევა და არ კითხულობს ქალი ქალწულია, ქვრივია თუ ქმარგაცილებული. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ მღვდელმა ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე შეირთო მეორედ ცოლი, იგი ეკლესიის უღირს მსახურად ცხადდება, მას გაპარსავენ წვერს და თავზე თმას და მღვდლის პატივს ჩამოართ-

173

მევენ; უნდა აღინიშნოს, – რაკი მათ არ სწამთ, რომ კურთხევის საიდუმლოება აღბეჭდავს წარუხოცელ მადლს და რადგანაც ისინი ძალიან შორს არიან ამ რწმენისაგან, ამიტომ გაკრეჭილ მღვდლებს კვლავ აკურთხებენ ხოლმე, თითქოს მათ არასოდეს მიეღოთ საეკლესიო პატივი. ამ შემთხვევაში იქცევიან ისევე, როგორც ნათლისღების დროს, როდესაც ზოგიერთი მათგანი, მეორეჯერ ინათლება ბერების მიერ, თითქოს პირველი ნათლობა არ იყო საკმარისი. ერთხელ მღვდელმა დაინახა, რომ ერთი ყმაწვილი მას ღორს პარავდა. ესროლა შურდული და მოკლა. მღვდელი მაშინვე გაკიცხეს, როგორც უღირსი ღვთის მოსამსახურე, გაკრიჭეს და ეკლესია და სამრევლო შემოსავალი ჩამოართვეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მისმა მეგობრებმა და საჩუქრებმა კათალიკოსს გული მოუღებეს. მას სამრევლო შემოსავალი დაუბრუნდა, რის შემდეგაც კვლავ აკურთხეს, თითქოს არასოდეს ყოფილიყო მღვდელი.

თავი XVIII

ქორწინების შესახებ

ქორწინების საიდუმლოებას, რომელსაც მეგრელები „გორგინუას“¹²⁵ უწოდებენ¹⁶⁴). ამ ქვეყანაში „სავაჭრო ხელშეკრულება“ შეიძლება დაერქვას, რადგან ქალის მშობლები ევაჭრებიან ფასში იმას, ვისაც მათი ქალიშვილის შერთვა სურს. ქალწულის ფასი ყოველთვის ბევრად დიდია, ვიდრე ქვრივისა. შეთანხმდებიან თუ არა, საქმრო იწყებს დადგენილი თანხის შეგროვებას ყოველგვარი საშუალებით. ბავშვებს სტაცებს თავის ვასალებს ანუ მეზვერეებს, რომლებიც მისი არა მარტო ქვეშევრდომები არიან, არამედ ნამდვილი მონები¹⁶⁵), მიჰყავს ისინი თურქებისათვის მისაყიდად, რათა ქალისათვის გადასახდელი თანხა შეაგროვოს, რომელიც უწინდელივით თავის მშობლებთან განაგრძობს ყოფნას. მაგრამ საქმროს თავისუფლად შეუძლია მისი ნახვა დროდადრო. ამის გამო ზოგჯერ ხდება, რომ იგი გათხოვებამდე ორსულდება. როდესაც საქმრო შეაგროვებს დაპირებულ თანხას, საცოლეს მამა აწყობს საზეიმო

ლხინს, რომელიც მეორე დღემდე გრძელდება. ლხინში მოწვეული არიან ნათესავები, მეგობრები და ის პირნი, რომლებმაც მოაწ-

¹²⁵ Gorghini.

ყვეს ეს საქორწინო გარიგება. საქმრო თავისი ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით მოდის და თან მოაქვს სატრფოსათვის დაპირებული თანხა, რომელსაც სუფრასთან დასხდომამდე გადასცემს ქალის მამას ან უახლოეს ნათესავს. იმავე დროს მას უჩვენებენ მზითევს, რომელიც დაახლოებით იმავე ღირებულებისაა, რაც საქმროს მოაქვს. მზითევი შეიცავს: ავეჯს, საოჯახო ნივთებს, საქონელს, ტანსაცმელს და ცოლის პირად მოსამსახურე რამდენიმე მხევალს, მაგრამ ითვლება, რომ ისინი ქმარსაც ეკუთვნიან ისევე, როგორც დანარჩენი ნივთები, გარდა ცოლის ტანსაცმლისა და სამკაულისა. ვახშმის შემდეგ, რომელიც მსოლოდ გათენებისას მთავრდება, პატარძალი უახლოესი ნათესავების, სტუმრებისა და მეგობრების თანხლებით მიჰყავთ ქმრის სახლში, თან მიაქვთ ის საჩუქრებიც, რომელიც მამამ და მისმა ნათესავებმა მას და მის ქმარს მისცეს თავიანთი შეძლებისდაგვარად. გზაზე მუსიკით და სიმღერით მიდიან. ამ დროს ორი იმათგანი, ვინც საქორწინო გარიგება მოახდინა, დაწინაურდება და ცხენების ჭენებით მიემართება ნეფის სახლისაკენ, რათა ამცნოს ყველას დედოფლის მობრძანება. მახარობლებს მაშინვე მიართმევენ ერთ დოქ ღვინოს, პურს და ხორცს. ისინი ჩამოუქვეითებლად ართმევენ დოქს, შემდეგ დააჭენებენ ცხენებს ეზოში და სახლის ირგვლივ, დაისხამენ ღვინოს და უსურვებენ დაქორწინებულთ მშვიდობიან თანაცხოვრებას. შემდეგ ჩამოქვეითდებიან, ცოტას წაიხემსებენ და დაუბრუნდებიან დედოფალს. როდესაც იგი ქმრის სახლში მოვა, შეჰყავთ დარბაზში, სადაც ჩვეულებრივად მთელი ოჯახი გროვდება და სადაც უკვე ყველა თავშეყრილია. პირველად შემოდიან მეგობრები, შემდეგ ნათესავები, შემდეგ – დედოფალი, რომელიც შესვლისას ჩვეულებრივად მდაბლად სალამს იტყვის. შემდეგ დედოფალი შუა დარბაზისკენ მიდის, სადაც დაფენილია ხალიჩა, დევს ერთი დოქი ღვინო და ქვაბი იმ მოხარული ფაფით, რომელიც პურის მაგივრობას წევს, ის ერთი ფეხის წაკრით წააქცევს დოქს, ამოიღებს ხელებით ფაფას და დიდ ნაჭრებად მიმოაბნევს მთელ დარბაზში. ამ ცერემონიის შემდეგ გადიან მეორე ოთახში, სადაც საზეიმო სუფრაა გაშლილი. ეს არის საქორწინო ნადიმი. სუფრას უსხდებიან თავიანთი რანგის მიხედვით. სვამენ, ჭამენ, მღერაინ და ასე ლხენით ატარებენ მთელ დღეს და შემდეგ ღამეს, ვიდრე ისე არ დათვრებიან, რომ დამჯდარნიც ველარ იკავებენ თავს.

და ამ ხნის განმავლობაში დაქორწინებულები ერთად არ წვებიან, რადგან საქორწინო ცერემონიალი დამთავრებული არ არის. ეს ცერემონიალი კი სრულდება საიდუმლოდ და არა დანიშნულ დროს, რადგან ამბობენ – საშიშია „მაგარემ“¹²⁶ ანუ კუდიანებმა ჯადო არ გაუკეთონ დაქორწინებულებსო. ცერემონიალი შეიძლება მოხდეს ყოველთვის – დღისით, ღამით, სარდაფში ან ეკლესიაში, მხოლოდ არა შიგნით, არამედ კართან.

მღვდელიც აქ არის მექორწინებთან და მეჯვარესთან ანუ ხელისმომკიდესთან ერთად, რომელსაც „მეგორგინეს“¹²⁷ უწოდებენ. მღვდელს ხელში ანთებული სანთელი უჭირავს და იწყებს კითხვას. გვერდით მაგიდაზე დევს ცოცხალი ყვავილების ან აბრეშუმის ორი გვირგვინი სხვადასხვა ფერის ფოჩებით, გრძელი დოლბანდი ანუ მოსასხამი, ნემსი და ძაფი, რომლითაც ახალდაქორწინებულებს ერთმანეთს მიაკერებენ, ერთი თასი ღვინო და პურის ნაჭრები.

ხელისმომკიდე ახალდაქორწინებულებს თავზე ადებს დოლბანდს და ტანისამოსით ერთმანეთს მიაკერებს მღვდელი ამ დროის განმავლობაში შეუჩერებელი კითხულობს. შემდეგ მეჯვარე იღებს ორივე გვირგვინს, ადგამს თავზე დაქორწინებულებს და დროდადრო, იმის მიხედვით, თუ რომელ ლოცვას კითხულობს მღვდელი, უნაცვლებს მათ გვირგვინებს – დედოფლისას ნეფეს ადგამს თავზე და დედოფალს – ნეფისას; ეს მეორდება სამჯერ ან ოთხჯერ. მღვდელი დაამთავრებს თუ არა კითხვას, ხელისმომკიდე იღებს პურს და თასს, ტეხს პურს ნაჭრებად, ერთ ნაჭერს ნეფეს ჩაუდებს პირში, მეორეს დედოფალს და ამგვარად ექვსჯერ იმეორებს ამას. მეშვიდე ნაჭერს თვითონ ჩაიდებს პირში და ჭამს. ასევე აძლევს თასს დასალევად ხან ერთს, ხან მეორეს – თითოეულს სამჯერ, დარჩენილს კი სვამს თვითონ. შემდეგ მეგობრულად შორდებიან ერთმანეთს.

ეს დოლბანდი ანუ მოსასხამი, რომელიც მოხურული აქვთ ჯვარდაწერილებს, არის მოკრძალებისა და უბიწოების ნიშანი. იგი გადმოღებულია ებრაელთა ცერემონიალიდან, როგორც ამას ვხედავთ რებეკას მაგალითზე („დაბადება XXIV“) ან როგორც ამას აღნიშნავს წმ. ამბროსი („ეპისტ. II; აბრამის წიგნი“, ბოლო თავი) და ისიდორე („წიგნი ღვთისმსახურებისა“). დაქორწინებულთა ტანსაცმლის ერთმანეთზე მიკერება ძველად ორი ერთმანეთში გა-

¹²⁶ Magares. ¹²⁷ Megorghini.

დაგრეხილი ძაფით ხდებოდა, რომელთაგანაც ერთი თეთრი იყო, მეორე კი წითელი. ამით აღინიშნებოდა საქორწინო კავშირი, რომელიც არასოდეს არ უნდა გაწყვეტილიყო არც გაყრით და არც განშორებით, როგორც ამას ჟაკ ბონუ აღნიშნავს თავის „ტრაქტატში ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ“ (წიგნი XX, თავი 146). მაგრამ მეგრელები, რომლებიც ერთი უბრალო ძაფით ასრულებენ ამ მიკერებას, ამით ნათლად გამოხატავენ ცოლქმრული ურთიერთობის ხანმოკლეობას რომელიც ადვილად წყდება გაყრით და მიტოვებით მათ შორის ხშირია შემთხვევა, როდესაც ქმარს ორი ან ზოგჯერ სამი ცოლი ჰყავს. პირველი მეორე ცოლის მოახლე ხდება. ეს არის ძველებრაული ცდომილება. ჯვრისწერის დროს პურისა და ღვინის გამოყენება. ძველ ქრისტიანებში მეტად გავრცელებული ცერემონიალი იყო, რადგან ახალდაქორწინებულები ზიარებას უშუალოდ ჯვარისწერის შემდეგ ღებულობდნენ. მაგრამ ამ ხალხმა, რომლებმაც წაბილწეს წმინდა ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ჭეშმარიტი არსი, დაამახინჯეს ესეც, მიანიჭეს რა მას სულ სხვა მნიშვნელობა. ეს იმიტომ, რომ ჯვრისწერას ისინი ახდენდნენ დღის ყოველ დროს, როგორც სადილობის შემდეგ, ისე სადილობამდე, როდესაც ზიარების მიღება არ შეიძლება. ერთხელ ერთმა მღვდელმა მითხრა: ღვინო და პური, რომელსაც ჯვარდაწერილები ერთად სვამენ და ჭამენ, გულისხმობს იმას, რომ მათ სასმელ-საჭმელზე თანაბარი უფლება აქვთო; დოლბანდი, რომელიც თავზე აქვთ მოხურული, საქორწინო სარეცელის აღმნიშვნელიაო; ხოლო ხელის-მომკიდე, რომელიც ჭამს და სვამს იმას, რაც დარჩა, ამით უნათესავდება ჯვარდაწერილებს და მას მოვალეობად აკისრია მოაწყოს და მოაგვაროს ყოველგვარი უთანხმოება, რაც შეიძლება მოხდეს ახალ ჯვარდაწერილებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ, ხელის-მომკიდეს იმდენად ენდობიან, რომ მისთვის ღიაა მათი სახლის კარი ისევე, როგორც საკუთარიო. ქმარმა რომ იგი თავის ცოლთან მარტო ჩაკეტილი ნახოს, არავითარი ეჭვი არ აღეძვრება. ასე არ იზღუდავენ ისინი თავს თანაცხოვრებისას.

რაც შეეხება ცოლქმრულ ერთგულებას, როგორც აღვნიშნეთ, მას იცავენ მანამ, სანამ ეს მათ სურთ. გამსაკუთრებით ეს ითქმის დიდებულებზე, რასაც იმერეთის მეფის მაგალითზე ვხედავთ; იგი გაეყარა თავის პირველ ცოლს თამარს, რათა კახეთის მთავრის თეიმურაზ-ხანის ასული შეერთო, თამარი კი მალე სხვა დიდებულს მისთხოვდა. იგივეს ვხედავთ აგრეთვე სამეგრელოს მთავრის

ქალს, აფხაზეთის მთავრის შარაშიას¹²⁸ ოჯახიდან¹⁶⁶), გაეყარა მას შემდეგ, რაც უსაფუძვლო ექვების გამო მისთვის ცხვირი და ყურები დააჭრევინა¹⁶⁷). შემდეგ შეირთო თავისი ცოცხალი ბიძის, ჩამომავლობით ლიპარტიანის¹²⁹, ცოლი, რომელიც გამოგლიჯა მკლავებიდან თავის ბიძას. შეიძლებოდა კიდევ მრავალი ამგვარი მაგალითის მოტანა. უფრო სამწუხაროა ის, რომ ქალთან ამგვარად გაყრა ჩვევად არის, განსაკუთრებით, მდაბიო ხალხში. არიან ისეთებიც, რომელთაც სამი, ოთხი ცოლი ჰყავთ ერთ ჭერქვეშ. ზოგს კი ცოლები სხვადასხვა ადგილას ჰყავთ, რათა სადაც არ წავლენ ცოლი იქ დახვდეთ. ხალხის უმეტესობა კმაყოფილდება ერთი ცოლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქალი უშვილოა, ან დაუოკებელი ანჩხლია. მაშინ ისინი ამბობენ, რომ ღმერთს ეს შეუძლება არ დაულოცავს და მისი გახანგრძლივება არ სურს, რადგანაც ღმერთი ყველაფერს კარგად აკეთებსო; ამიტომ, რადგან ქალს ავი ხასიათი აქვს, ან უშვილოა, რაც ცუდია, ეს იმის ნიშანია, რომ ღმერთი ამ ქორწინებას არ მფარველობს, იგი უნდა დაირღვეს და კაცმა სხვა ქალი უნდა შეირთოსო.

თავი XIX

ღვთისმსახურების შესახებ

ყოველგვარი ღვთისმსახურება და წირვა-ლოცვა სრულდება ძველ ქართულ ლიტურატურულ ენაზე, რომელიც ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი სალაპარაკო ენისაგან. სხვადასხვაგვარია აგრეთვე დამწერლობაც, რომელიც ორი სახისაა: ერთი ეკუთვნის ხალხურ ენას და გამოიყენება სამოქალაქო საქმეების წარმოებისას; მეორეთი წერენ საღმრთო წერილს, იყენებენ ღვთისმსახურებაში და ყველა იმ საქმეში, რომელიც სარწმუნოებას განეკუთვნება. ამიტომ ცოტანი არიან ისეთნი, ვისაც შეუძლია ამ დამწერლობის გაგება და წაკითხვა¹⁶⁸). იგი მღვდლებსაც კი არ ესმით და ამ ნაკლის გამოსასწორებლად ისინი ზეპირად სწავლობენ წირვას. ზეპირად ნასწავლ ლოცვას წარმოთქვამენ ყოველთვის და ყოველი შემთხვევის დროს. არა მარტო მღვდლებმა, არამედ თვით ეპისკოპოსებმაც

¹²⁸ Tarassia. ¹²⁹ Libardiens.

კი არ იციან კითხვა და არ ესმით საღმრთო წერილი, რასაც ხალხისათვის ძალიან დიდი ვნება მოაქვს, რადგანაც, არ ესმით რა საღმრთო წერილი, ისინი დიდ ცდომილებაში ვარდებიან.

არა მათო სარწმუნოებრივ, არამედ ზნეობრივ საკითხებშიც

უდავოა, როგორცამას წმ. ილარიონი „საეკლესიო კრების შესახებ“ ამბობს, რომ ყოველგვარი ერესი მომდინარეობს საღმრთო წერილის ცუდად გაგებისაგან. მეგრელთა შორის ძალიან ცოტანი არიან ისეთნი, რომლებმაც წერა-კითხვა იციან. წერა-კითხვის მცოდნენი ქალები უფრო არიან. ბევრ მათგანს თავი ნასწავლადაც მოაქვს და ხშირად ისეთ რამეზე ლაპარაკობს, რაზედაც წარმოდგენა არა აქვს; ამის გამო ათასგვარ სისულელეს ლაპარაკობენ. მათ მიმართ სამართლიანად შეიძლება ითქვას ის, რაც წმ. ბასილიმ უთხრა ოდესღაც იმპერატორ ვალენტინის მზარეულთუხუცესს: „Tuum est de pulmentis cogitare, non dogmata sacra et divina decoquere“¹³⁰.

მღვდლები იშვიათად გალობენ წირვა-ლოცვის დროს ან, უფრო სწორად, სრულიადაც არ გალობენ. მხოლოდ ეპისკოპოსები და ბერები ზოგჯერ ამბობენ ხოლმე საგალობელს დილით და საღამოს, განსაკუთრებით კი მარხვის დროს. ამ შემთხვევაც ისინი ადგენენ ორ გუნდს, მათ შუაში დგება მკითხველი, რომელიც ხმამაღლა ამბობს საგალობელს. დროდადრო იგი ტონს იცვლის ბერძნული ჩვეულების მსგავსად. აღსანიშნავია, რომ ისინი ამგვარად გალობენ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ბევრნი არიან, მაშინაც როცა ცოტანი არიან და იმ დროსაც, როცა მხოლოდ ერთია მაგალობელი; ეს იმიტომ, რომ სრულებით ვერ ერკვევიან მუსიკაში, მათი გალობა უსიამოვნო და ხმაშეუწყობელია.

გალობა ქრისტიანებს უძველესი დროიდან აქვთ წესად, თუმცა ყოველთვის იყვნენ სხვადასხვა ჯურის ერეტიკოსები, რომლებსაც სძულდათ სიმღერები. სხვათა შორის, ასეთი იყო იულიანე განდგომილი, რუფინუსის¹⁶⁹ მოწმობით (იხ. მისი „ისტორია“, X წიგნი, XXXI თავი). მაგრამ ქრისტიანები მის საწინაღმდეგოდ ხმამაღლა გალობდნენ, მოსემ მთელ ისრაელ ხალხთან ერთად, კაცებსა და ქალებთან ერთად, უგალობა გამარჯვებას, რომელიც მან მოიპოვა წითელი ზღვის გადალახვის დროს, სადაც ეგვიპტელები დაიხრჩენენ („გამოსვლა“, XV, I, 20)¹⁷⁰). წმ. ბასილი ამბობს („ეპ“. LXIII),

¹³⁰ „შენი საქმეა იმსჯელო საჭმელზე და არა საღმრთო და წმინდა დოგმატების შესახებ“.

რომ მის დროს მთელს აღმოსავლეთში ყველა ეკლესიაში მყოფთაგანი ერთად გალობდა. მაგრამ ლაოდიკეს საეკლესიო კრებამ¹⁷¹) დაადგინა, რომ ეკლესიაში მხოლოდ მაგალობლებმა უნდა იგალობონ ფსალმუნნი. აგათიას მსოფლიო საეკლესიო კრება (თავი XXI) ბრძანებს, რომ საგალობლები უნდა იმღერებოდეს ყოველდღე. აქედან შეიძლება გავიგოთ, თუ რატომ არის აუცილებელი გალობა ან, უფრო სწორად, რატომ არის ესოდენ ძველი ეკლესიაში გალობის წე-

სი. მაგრამ სამეგრელოს ხალხმა, რომელთაც დამრიგებელი და მას-
წავლებელი მოძღვრები არ ჰყავთ, შეცვალეს გალობის ჩვეულება
და გალობას და წირვასაც კი საკუთარ სახლებსა და სარდაფებში აწ-
ყობენ, მიუხედავად უფლის მიერ ამის აკრძალვისა. „Deuteron.,
XII; Vide ne offeras holocausta tua in omni loco quem videris,
sed in loco quem elegerit Dominus ut ponat nomen suum ibi“¹³¹.

თავი XX

პირჯვრის გამოსახვისა და ლოცვის წესის შესახებ

რადგანაც მეგრე ლებს საკუთარი ენისათვის ანბანი არ გააჩნიათ,
ისინი ქართულ ანბანს იყენებენ როგორც საღმრთო წერილისათ-
ვის, ისე საერთოდ ყოველგვარი დამწერლობისათვის, რომელიც
სარწმუნოებას ეხება. ამიტომ თითქმის ყველამ იცის ქართული. პი-
რჯვარს ბერძნების მსგავსად ისახავენ. ხელს ჯერ მარჯვენა მხარეზე
მიიღებენ, შემდეგ მარცხენაზე და ამბობენ : „სახელითა მამისა-
თა“¹³² და ხელს თავთან მიიტანენ, შემდეგ იტყვიან: „და ძისა-
თა“¹³³ და ხელს მუცელზე ჩამოუშვებენ, შემდეგ წარმოსთქვამენ:
„და სულისა წმინდისათა“¹³⁴, ხელს მიიღებენ, როგორც თავდაპირ-
ველად, ჯერ მარჯვენა მხარეზე, შემდეგ მარცხენაზე. ამგვარად იხ-
სენიებენ ისინი წმინდა სამებას: „მამა“¹³⁵, ძე“¹³⁶ და სულიწმინდა“¹³⁷
– „სამება ერთი ღმერთი“¹³⁸, ე. ი. სამებაში ღმერთია გაერთიანე-
ბული. ისინი ლოცულობენ, წარმოსთქვამენ სიტყვებს, მაგრამ არ ეს-

¹³¹ „წიგნი მეორე სჯულისა, თ. XII; ნუ უკუფ შესადამე შესწირვიდე შესაწირავ-
თა შენთა ყოველსავე ადგილთა, რომელ იხილო, არამედ მას ადგილსა, რომელ გამოირ-
ჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან“.

¹³² Zachelita mamizata. ¹³³ Dazizesta. ¹³⁴ Dazulisminda zata. ¹³⁵ Mama.

¹³⁶ Zeda. ¹³⁷ Zulisminda. ¹³⁸ Sameba erti Gometri.

180

მით მათი შინაარსი. როგორც ვთქვი, პირჯვარს ისახავენ ბერძნული
წესით – ხელი ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ მიაქვთ. ამით განა-
მტკიცებენ თავიანთ ერესს, რადგან, მათი აზრით, სულიწმინდა უფ-
რო დაბლა დგას და იგი მარცხნივ უნდა მოთავსდეს. ამდენად ისი-
ნი ცდებიან სამების საიდუმლოების სწორ გაგებაში, რომლის შე-
სახებ ვკითხულობთ ესაიასთან (თავი XL): „Qui appendit tribus
digitis in Iem terroe“¹³⁹.

უნდა ითქვას, რომ ვისაც რომის ეკლესია სწამს და აღიარებს,
იგი პირჯვარის გამოსახვისას ხელს ჯერ მარცხენა მხარეზე დაი-
დებს და შემდეგ წაიღებს მარჯვნივ. ამით გამოისახება შეჩვენები-

დან კურთხევაში გადასვლა; ისინი კი, რომლებიც წმ. რომაულ ეკლესიას ჩამოსცილდნენ, კურთხევიდან კრულვაში გადადიან. ცოტამ თუ იცის და შეიძლება არც არვინ იცოდეს, რომ პირჯვარი, რომელსაც ისინი გადაისახავენ, არის ქრისტიანობის სიმბოლო. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ნიშანი ღორის ხორცის ჭამას ნიშნავს და მართლაც ქრისტიანობის სიმბოლო ამაში რომ მდგომარეობდეს, მეგრელები უთუოდ დაიმსახურებდნენ ღირსეული ქრისტიანების სახელს, რადგან მსოფლიოში არ მოიძებნება სხვა ისეთი ერი, რომელიც ამდენ ღორის ხორცს ჭამდეს. ჩვენს წმინდა პატრებს ზოგჯერ უხდებოდათ ხოლმე უწმინდესი სამების საიდუმლოების ახსნა ზოგიერთი მეგრელისათვის, რომლებიც თითქოს ინტერესით უსმენდნენ. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც მათი ესმოდათ, რაც ჩანდა როგორც პატრების მიერ მიცემული განმარტების მოწონებაში, ასევე სხვადასხვა შეკითხვების მიხედვით, რომელთაც ისინი საუბრის დროს იძლეოდნენ. მაგრამ ზოგჯერ უცრად ეს საოცარი მეგრელები პატრებს ასეთ კითხვებს მისცემდნენ ხოლმე: არიან თუ არა ისინი ქრისტიანები? არიან თუ არა მათ ქვეყანაში ქრისტიანები და ჭამენ თუ არა ისინი ღორის ხორცს? აგრეთვე გქვაქვს თუ არა ღვინო და ვსვამთ თუ არა მას? მათ მიაჩნიათ, რომ ქრისტიანობის არსი მდგომარეობს ღვინის სმაში, წინააღმდეგ მაჰმადიანებისა, რომლებიც ღვინოს სრულიად არ სვამენ. მეგრელები ჭამის წინ ყოველთვის იწერენ პირჯვარს და თუ სუფრაზე მღვდელი იმყოფება, ღვინოს ისე არ დალევენ, თუ წინასწარ მღვდლისაგან კურთხევა არ ითხოვენ, რომელსაც მიმართავენ ამ სიტყვებით: „შენდობა პატონი“¹⁴⁰, ე. ი. დაგვლოცე ბა-

¹³⁹ „...და ყოველი ქუჭყანა მჯიღითა ვინ აწონნა...“

¹⁴⁰ Sandoba Patona.

ტონო, რაზედაც ის უპასუხებს – „გინდოთ ღმერთმა“¹⁴¹, ე. ი. ღმერთი გაკურთხებთო. მათ ჩვენი მღვდლებისათვისაც ხშირად უთხოვიათ შენდობა არა მარტო სუფრასთან, არამედ გზაში შეხვედრის დროსაც. ამ ხალხს ასეთი ჩვეულება აქვს: თუ შეხვდებიან ბერს ან პრელატს, გააჩერებენ ცხენს და დალოცვას სთხოვენ.

პირჯვარს ისახავენ როცა საომრად მიდიან, ან როდესაც ზარის რეკვას ან წმინდა ძელის ხმას გაიგონებენ, რომელიც ხალხს წირვაზე მოუხმობს; აგრეთვე ცხვირის დაცემინების დროს თუ ვინმე დააცემინებს, იქ მყოფთ ჩვეულებად აქვთ თქვან: „წყალობა“¹⁴², ე. ი. „ღმერთი გწყალობდესო“, ანუ უფრო სწორად „ღმერთი შეგეწიოსო“. ის კი ხელს შუბლზე მიიდეხს, მუხლს მოიდრეკს ისე,

თითქოს მიწაზეა გართხმული და უპასუხებს: „ათასი მადლობა“¹⁴³, ე. ი. „დიდ მადლობას მოგახსენებთ“. მგზავრობისას თუ ეკლესიის წინ მოუხდათ გავლა, მის კართან შეჩერდებიან და შიგ შეუვლელად პირჯვარს გადაიწერენ; შემობრუნდებიან ოთხი მიმართულებით და თითოეულ მხარეს მიბრუნებისას ამბობენ: „დიდება ღმერთს“¹⁴⁴ და განაგრძობენ გზას.

აი, როგორია მათი უფლისადმი ვედრების გარეგანი მხარე: პირველ ყოვლისა, დილას, პირის დაბანის დროს, ახსენებენ ღმერთს და, ადიდებენ რა მის სახელს, ამბობენ: „დიდება ღმერთს“ და სხვა მსგავს ღაღადებას. ჩაცმის შემდეგ გამოვლენ ოთახიდან, პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებენ, ორჯერ ან სამჯერ გადაიწერენ პირჯვარს და იგივეს გაიმეორებენ, თავს მდაბლად დახრიან ერთხელ და ამით მათი ლოცვა დამთავრებულია. ქრისტიანები ძველთაგანვე ასე, აღმოსავლეთისკენ პირშექცევით, ლოცულობდნენ. წმ. ბასილი წიგნში „სული წმინდის შესახებ“ (თ. XXVII) ამბობს, რომ ქრისტიანებს ეს მოციქულებმა ასწავლეთ. აღსანიშნავია, რომ მეგრელები ფეხზე მდგარნი ლოცულობენ ყოველთვის. ეს კი ყველა ძველ ეკლესიაში არ იყო წესად მიღებული. ქრისტიანები ლოცულობენ ხან ფეხზე მდგარნი, ხან მუხლზე დაჩოქილნი, როგორც ამას აღნიშნავს ბარონიუსი 58 წელს. ისინი თავშიშველნი ლოცულობენ, მაშინ როცა წარმართები თავიანთი ღმერთებისადმი თავყვანისცემის დროს, პლუტარქეს სიტყვებით ლოცულობენ თავშეპურვით. წმ. პავლე გვასწავლის „ეპის-

¹⁴¹ Guida Gomert. ¹⁴² Scaloba. ¹⁴³ A fascemi rozeba. ¹⁴⁴ Dideba Gomers.

ტოლე კორინთელთა მიმართ“), რომ თავშიშველა უნდა ილოცო. ლოცვისას ხელს შუბლთან მიიღებენ და ამავღე დროს თავს დაბლა ხრიან. წირვის დაწყების შემდეგ სამჯერ შემოუვლიან ეკლესიას გარშემო ლიტანიით და თან ლოცულობენ. ასეთია მართლმადიდებელთა უძველესი წესი, როგორც ამას ვკითხულობთ ერემიასთან („ეპისტოლე“, VII, XII და XXII). სხვა მხრივ, მათი ლოცვა არის ფამილარული საუბარი ხატთან, რომლის წინაც ჩერდებიან, ან რომელსაც მიმართავენ და სთხოვენ ჯანმრთელობას, კარგ მოსავალს, დახმარებას მათი გამმარცვაი ქურდის აღმოჩენაში და სხვა ამდაგვარ რამეებს; რაც მთავარია, დაჟინებით სთხოვენ მტრის განადგურებას და მის მოკვდინებას.

მეგრელებს წესად აქვთ მსხვერპლის შეწირვა, რასაც „ოხვამერს“¹⁴⁵ უწოდებენ. შეწირულება სამგვარია: პირველი ითვალისწინებს ხარის, ძროხის, ხბოს ან სხვა მსგავსი ცხოველის დაკვლას, რაც მღვდლის გარეშე არ ხდება; მღვდელი მოვა და კითხულობს ლოცვას სამსხვერპლოდ განკუთვნილ ცხოველზე. ანთებული სანთლით ხუთ ადგილას ამოუწვავს კანჭს, შემოატარებს მას იმ ხალხის ირგვლივ, რომელთა საკეთილდღეოდაც ხდება შეწირვა; შემდეგ შესაწირავს კლავენ და შეწვავენ ან მთლიანად, ან მის უდიდეს ნაწილს. შემწვარს დებენ მაგიდაზე, რომელიც ოთახის შუაში დგას, შინაურები და სტუმრები ანთებული სანთლებით ხელში შემოუსხდებიან ირგვლივ. ის კი, ვისთვისაც იქნა მსხვერპლი შეწირული, ანთებული სანთლით ხელში იჩოქებს ამ ხორცის წინ, მღვდელი ლოცვებს კითხულობს. ლოცვების კითხვის დამთავრების შემდეგ შეწირულების გამღები და მისი ნათესავები მცირედენ საკმევებს აგდებენ ნაკვერჩხალზე, რომელიც კრამიტზე ან სხვა რამეზე დევს ზვარაკის გვერდით. მღვდელი მოჭრის ერთ ნაჭერ ხორცს, შემოავლებს თავზე იმას ან იმათ, ვინც შეწირულება გაიღო, და შემდეგ აძლევს ხორცს საჭმელად. დამსწრეებიც მიუახ-

¹⁴⁵ Oquamiri.

ლოცვებიან მათ, შემოავლებენ თავზე თავიანთ სანთლებს, რომელთაც შემდეგ ჩააგდებენ ცეცხლში, იქ სადაც საკმეველია. შემდეგ ყველა თავის ადგილს იკავებს. მღვდელი ცალკე ზის, ზვარაკის საკმაო ნაწილი მას ეკუთვნის, რადგანაც შემწვარიდან მთელი შიგნეული მისია, ხოლო უმი ხორციდან – თავ-ფეხი და ტყავი. ეს იმ ლოცვის საფასურია, რომელიც მან ხორცის შეწვამდე წაიკითხა. სუფრის თითოეულ წევრს ხორცი შეუძლია ჭამოს იმდენი, რამდენიც მოესურვება, მაგრამ იქიდან, რაც მის წინ დევს, (არაფერს წაიღებს. მხოლოდ მღვდელს შეუძლია თავისი წილის გარდა წაიღოს ის ხორციც, რომლის შეჭმაც ვერ მოახერხა.

მეორე სახის მსხვერპლის გაღების დროს წირავენ მხოლოდ წვრილფეხა საქონელსა და ღორს. ასეთ შემთხვევაში არ არის სავალდებულო მღვდლის დასწრება, არც სანთლები და არც საკმეველი. ამ სახის შეწირულების მიზანს წარმოადგენს ოჯახის ან ნათესავების წარმატებულობა. მიუხედავად ამისა, მღვდელს ყოველთვის ეპატიჟებიან ლოცვის სათქმელად და ამის საფასურად უმასპინძლებიან მას.

მესამე სახის შეწირულება არის სისხლი, ზეთი, პური და ღვინო. ამგვარი შეწირვა ხდება მიცვალებულთათვის. მათ კუბოებზე,

რომლებიც კაკლის ხისაგან არის გაკეთებული, კლავენ ხბოს, კრავს და მტრედს და ზემოდან ასხამენ ერთმანეთში არეულ ზეთსა და ღვინოს. გარდა ამ შეწირულებისა, მეგრელები სუფრაზე ყოველდღიურად ახდენენ შეწირვას ღვინით – როდესაც ღვინის დაღვევა სურთ, სულერთია სახლში იქნება ეს თუ მეგობრებთან; იღებენ ღვინით სავსე ფიალას და სანამ დაღვევდნენ, უპირველესად ხმამაღლა ესალმებიან მთელ საზოგადოებას, უსურვებენ თითოეულის ბედნიერებასა და კეთილდღეობას; შემდეგ, ადიდებენ უფლის სახელს, ოდნავ გადახრიან ფიალას და გადაღვრიან ცოტა ღვინოს ან მიწაზე, ან მეორე ფიალაში და იგი უფლის შეწირულებაა მეფე დავითის მაგალითისამებრ, რომელმაც ბეთლემის წყალსატევიდან ისე შესწირა წყალი, რომლის დაღვევაც ძლიერ სურდა, რომ არც კი გაჰკარებია („პარალიპემენონი“. XI, XVIII).

ყველა სხვაგვარი შეწირვა აგრეთვე ებრაელების წესით ხდება, რადგანაც პირველი ორი შეწირულება უსისხლოა, მესამე კი მოჰკურებაა. ღვინოს მსხვერპლად სწირავენ აგრეთვე წმ. გიორგის რთველის დროს პატარა, დაახლოებით ოცბოთლიან კასრს¹⁷²) ავსებენ საუკეთესო ღვინით, შეწირავენ წმ. გიორგის და ინახავენ

184

ცალკე. ამ კასრს ხსნიან და სვამენ გარკვეულ დროს, სახელდობრ, წმ. პეტრეს დღეს და არა უადრესი ღვინის მაგივრად წყალს დაღვევენ, მაგრამ მას დანიშნულ დრომდე მაინც არ გახსნიან. როგორც კი დრო დადგება, ოჯახის უფროსი პატარა ჭურჭლით ამოიღებს ამ ღვინოს და მიაქვს ილორის¹⁴⁶ ეკლესიაში, რომელიც წმ. გიორგის სახელობისაა¹⁷³). იქ ლოცულობს და შემდეგ ბრუნდება შინ; ამ ჭურჭლით ხელშის შედის საოჯახო სარდაფში და ყველანი ერთად ლოცულობენ წმ. გიორგისათვის შეწირულ კასრთან, რომელზედაც წინასწარ დალაგებულია ხაჭაპური, ხახვი და პრასი. შემდეგ კლავენ ხბოს ან ღორს, რომლის სისხლს ოჯახის მამა კასრის ირგვლივ მოასხამს, და კვლავ ლოცულობენ. ამის შემდეგ მიდიან და ჭამენ და სვამენ.

მეგრელებმა სხვა მრავალგვარი „ოხვამერი“¹⁷⁴) ანუ მსხვერპლის შეწირვაც იციან. ღვინით სავსე დიდ ჭურჭელს წირავენ სხვა წმინდანებსაც, რომელსაც მხოლოდ დანიშნულ დროს სვამენ. ამ სხვაგვარ შესაწირავთან ერთს ჰქვია „სამიქელანგელოზო“¹⁴⁷ მიქელ მთავარანგელოზის პატივსაცემად; მეორე არის წმ. კვირიკეს პატივსაცემად; მესამე „საღორონთო“¹⁴⁸ ღმერთის პატივსაცემად¹⁷⁵). ამ სამ შეწირულებათაგან პირველის შეწირვის დროს კლავენ გოჭს და მამალს, მეორის დროს წირავენ გოჭს და პურს. ორივე შემთხვევაში პატიუბენ სტუმრებს. მესამის დროს კი არავის იწვევენ, მხოლოდ შინაურები ესწრებიან და მხოლოდ ისინი ჭამენ

ზვარაკს, რომელიც ყოველთვის წვრილფეხა საქონელს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ისინი წლის განმავლობაში ბევრ სხვა შეწირვასაც ახდენენ, რაზედაც მე არას ვამბობ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სათქმელი შევამოკლო და აგრეთვე იმიტომაც, რომ ისინი შესრულების წესის და ლოცვის მხრივ ყველანი ერთმანეთს გვანან. ლოცულობენ ჭამა-სმის დროს. როდესაც მსხვერპლის მიტანის დღე მოვა, ამბობენ დიდი დღე დადგაო. მაგრამ ეს დღე არ არის უფლის სადიდებელი და სათაყვანებელი დიდი დღე, რადგანაც ეკლესიაში არ მიდიან, არისმენენ წირვას, არ ევედრებიან უფალს, არ აკეთებენ კეთილ საქმეებს; ამ დღეს ატარებენ სმა-ჭამაში და ღმერთს დალოცვას და თავიანთი მტრების მოწყვეტას სთხოვენ. თუ მიდიან ეკლესიაში წირვის მოსასმენად, თავდაპირველად თავ-

¹⁴⁶ Issori. ¹⁴⁷ Samicangiara. ¹⁴⁸ Sangoronti.

ვანს სცემენ ხატს, სწრაფად ისახავენ პირჯვარს და ჩვეულებრივი ლოცვებით მიმართავენ მას. შემდეგ მოჰყვებიან ლაქლაქს, იცინიან, მღერიან და ოხუნჯობენ ისე, თითქოს ქუჩაში იყვნენ.

თავი XXII

დღესასწაულების შესახებ

ამ ხალხის დღესასწაულები სხვადასხვაგვარია. პირველი სახის დღესასწაულების დროს არავითარ სამუშაოს არ ასრულებენ, პურსაც კი არ აცხობენ და დადიან წირვის მოსასმენად. ასეთი დღესასწაულებია შობა, რომელსაც „ქირსეს“¹⁴⁹ უწოდებენ; ახალი წლის პირველი დღე, რომელსაც „კალანდას“¹⁵⁰ უწოდებენ; ხარება¹⁵¹; ბზობის კვირა, რომელსაც „ბაიობა“¹⁵² ჰქვია; აღდგომა – „თანაფა“¹⁵³ და ახალკვირა, რომელსაც იგივე სახელი ეწოდება. მეორე სახის დღესასწაულების დროს მუშაობენ წირვის დაწყებამდე, შემდეგ უმეტესობა მიდის ეკლესიაში, რომ მონაწილეობა მიიღოს ლიტანიაში. ამ სახის დღესასწაულებია: წყალკურთხევა, რასაც ისინი „წაკურთხიას“¹⁵⁴ უწოდებენ; ამ დღეს პროცესით მიდიან მდინარეზე, იესო ქრისტეს იორდანში¹⁷⁶) მონათვლის აღსანიშნავად; „პეტრობა-მირსობა“¹⁵⁵, ეს სიტყვა აღნიშნავს ლოცვას თვალთათვის, ე. ი. წმ. პეტრეს სახელობის დღეს; „მარაშინა“¹⁵⁶, ანუ ღვთისმშობლის მიძინება; „დიდი პიჩუანი“¹⁵⁷ – დიდი მარხვა და „ჯვრის ამალღება“¹⁵⁸. მესამე სახის დღესასწაულები, რომლებიც დიდმნიშვნელოვნად არ არის მიჩნეული და რომლის დროსაც მთელი დღე

მუშაობენ, არის „თავისკვეთა“¹⁵⁹ – იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა; „ფერისცვალება“¹⁶⁰; „გიორგობა“¹⁶¹ – წმ. გიორგის მიერ ხარზე სასწაულის მოხდენა; „სიპიასობა“¹⁶² – ხალხური დღესასწაული და ბაზრობა ჩვენს რეზიდენციაში – წიფურიაში¹⁷⁷). ამ დღესასწაულების გარდა ამ ცრუმორწმუნე ხალხს წლის განმავლობაში ბევრი ისეთი დღე აქვთ, რომელთაც ან პირადი ღვთისმოსიშობის გამო, ან სამუშაოსაგან თავის დამკრეწის მიზნით გულ-

¹⁴⁹ Christe. ¹⁵⁰ Kalende. ¹⁵¹ Karebat. ¹⁵² Bajoba. ¹⁵³ Tanapa. ¹⁵⁴ Zcar icorchia. ¹⁵⁵ Petroba Mersoba. ¹⁵⁶ Marisina. ¹⁵⁷ Gigi picchioani. ¹⁵⁸ Piavarisa magleba. ¹⁵⁹ Tavisqueta. ¹⁶⁰ Perit Zaloba. ¹⁶¹ Guiercoba. ¹⁶² Cipias soba.

186

მოდგინედ იცავენ. ერთ-ერთი ასეთი დღეა ყოველი თვის და წლის პირველი ორშაბათი, რომელსაც „ახალ თუთაშხას“¹⁶³ – ახალ ორშაბათს – უწოდებენ.

სამეგრელოში განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ახალი წლის პირველ დღეს, რადგან, მათი აზრით, ამ დღეზეა დამოკიდებული მთელი წლის ბედნიერება. მთავრის მოხელეები და კარისკაცები, რომელთაც სხვადასხვა თანამდებობა უჭირავთ, ახალი წლის წინა დღით მიდიან მთავართან და ღამეს სასახლის მიდამოებში ატარებენ; მეორე დღეს კი იკრიბებიან ერთად; სახლთუხუცესს მოაქვს ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მთავრის გვირგვინი; მოლარეთუხუცესს ყუთით მოაქვს ძვირფასი ნივთები; მეღვინეთუხუცესს – ულამაზესი თასი; მზარეთუხუცესს – უდიდესი ქვაბი; მეჯინიბეთუხუცესს – საუკეთესო ცხენი, მწყემსს – ყველაზე კარგი ხარი. ასე და ამგვარად, ყველას თანამდებობის მიხედვით მოაქვს ან მოჰყავს, რაც ყველაზე კარგია მის გამგებლობაში. ისინი გუნდად მიემართებიან მთავრის სასახლისაკენ, მოჰყვებათ საზეიმოდ გამოწყობილი მღვდლები და ეპისკოპოსები ხატებით ხელში და „Kyrie eleyson“¹⁶⁴-ის ხმამაღალი გალობით შედიან მთავრის სასახლის დარბაზში, სადაც მთავრის მეუღლე, დიდებულები, საზეიმოდ გამოწყობილი სეფექალები იმყოფებიან, რომლებიც სანთლებით ხელში ერთ რიგად არიან ჩამწკირვებულნი, რათა დაინახონ პროცესიის სვლა. როცა პროცესია მათ წინ ჩაივლის, ყოველი მათგანი ხელით ეხება იმას, რაც მოაქვთ და მოყავთ პროცესიის მონაწილეებს – გვირგვინს, ძვირფას ნივთებს, ქვაბს, ხარს და სხვ. მათ მტკიცედ სწამთ, რომ ვინც კარგად არ შეეხება ამ ნივთებს, ის ბედნიერი არ იქნება ამ წელიწადს: პროცესიის მონაწილენი მღერაინ – „Kyrie eleyson“ და სუროს რტოებს აბამენ სასახლის ყველა კარზე და საერთოდ მსვლელობის მთელ გზაზე მდაბიონიც, მთავრის მიბაძვით, ყველგან მსგავს პროცესიებს აწყობენ და მოაქვთ ან

მოყავთ თითოეულს საუკეთესო, რაც გააჩნია და თავიანთ კარზე სუროს რტოებს ჰკიდებენ: ძველად ხის შტოებით სახლის მორთვის ეს წესი ქრისტიანთა მიერ დაგმობილი იყო, როგორც ამას მოწმობს ტერტულიანე¹⁷⁸) („მეომრის გვირგვინის შესახებ“, თავი III, ბოლო ნაწილი): „Christianus nec domum suam laureis infamabit“¹⁶⁵.

¹⁶³ Archali tutasca. ¹⁶⁴ „უფალო შეგვიწყალებ“ . ¹⁶⁵ ქრისტიანი არ შეამკობს თავის სახლს დაფნის გვირგვინით.

მარტინ ბრაკარი საბერძნეთის სინოდის წესდებაში გვასწავლის, რომ ქრისტიანებს ეკრძალებათ ახალ წელს დაფნის, სუროს ან სხვა ხის რტოებით სახლის შემკობა. პაპმა გრიგოლ III¹⁷⁹) აკრძალა იგი რომში. არსებობს კანონი, რომელიც ადგენს, რომ იმ პირებს, რომლებიც იცავენ ამ წესს ახალ წელიწადს, სამი წლით სულიერი განკანონება ესჯებათ. მეექვსე მსოფლიო კრებამ¹⁸⁰) აღადგინა ეს სასჯელი. ტერტულიანე („კერპთა შესახებ“, თავი XV) ამბობს, რომ ღმერთმა მართლმორწმუნეებს აუკრძალა კარის გვირგვინით მორთვა და რომ ცნობილია ერთი პიროვნება, რომელიც ღმერთმა სასტიკად დასაჯა ამის ჩადენისათვის; კარის მგვარი მორთვა თუმცა განდევნილია ქრისტიანული წეს-ჩვეულებებიდან, ხალხი მაინც არ ივიწყებს მას. მაგრამ რადგანაც არავინ არის ისეთი, რომელიც წინ აღუდგება ამ ჩვევას, როგორც იგივე ტერტულიანე ამბობს „Piores jam invenies Ethnicorum fores, sine lucernis et laureis, quam Christianorum“¹⁶⁶, ქრისტიანებმა თავისი საარწმუნოების თაყვანსაცემად დააკანონეს ის, რასაც წარმართები აკეთებდნენ ცრურწმენების გამო (ბარონიუსი – „იანვრის თვის ჩანაწერები მარტიროლოგში“).

ნათლისღების დღეს, რასაც მეგრელები „წაკურთხიას“¹⁶⁷ უწოდებენ, დილაადრიან იწყებენ ქათმის ხორცის ჭამას და ღვინის სმას და შესთხოვენ ღმერთს კურთხევას. უქმობას ჩვეულებისამებრ იწყებენ და შემდეგ ცხენით ან ქვეითად მიდიან ეკლესიაში. სამღვდლო ტანსაცმელში გამოწყობილ მღვდელს ისინი ლიტანიით მიჰყავს უახლოეს მდინარესთან ასეთი რიგის მიხედვით: წინ მიდის კაცი ბუკით ხელში, რომელზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, და რომელშიაც დროდადრო ჩაჰბერავს ხოლმე. მას მიჰყვება მეორე, დროშით ხელში, რომელიც ზოგ ეკლესიებში სულ დახეულია, ზოგში კი საკმაოდ კარგად არის შენახული. მას მოსდევს სხვა კაცი ნიგზის ზეთიანი ლამბაქით და გოგრით ანუ ხაპით, რომელზედაც მიმაგრებულია ჯვრის ფორმის ხუთი სანთელი. შემდეგ მოდის კაცი ნაკვერჩხლით და საკმეველით. პროცესია მირბის მდინარისაკენ, რამდენადაც შეუძლიათ სწრაფ ტემპში და ხმაუწყობლად მღერი-

ან – „Kyrie eIeyson”. ისინი ისე სწრაფად მიდიან, რომ ხშირად იძულებული ხდებიან კარგა ხნით შეჩერდნენ და მღვდელს დაუ-

¹⁶⁶ „უკვე უფრო მეტს ნახავ წარმართთა კარს სათლსა და დაფნას მოკლებულს. ვიდრე ქრისტიანებისას“. ¹⁶⁷ Scharcorechia.

188

ცადონ, რომელიც, ჩვეულებრივად, ისეთი მოხუცებულია, რომ ჩქარა ვერ დადის. როდესაც საბრალო მღვდელი, დასვრილი და მთლად გაოფლიანებული, დაეწევა პროცესიას, მას ყიჟინით ხვდებიან და დასცინიან, რომ ჩამორჩა და თავისი პროცესია ასე წინ გაუშვა. იწყებენ ხორხოცს, მაგრამ მღვდელი ყურადღებას არ აქცევს მათ დაცინვას და ამ მდინარის კურთხევას იწყებს; დაამთავრებს თუ არა, სწვავს საკმეველს, ზეთს ჩაასხამს მდინარეში, ანთებს ხაპზე მიკრულ ხუთივე სანთელს, უშვებს მდინარეში და ხაპი ნავივით გაცურდება. შემდეგ ჯვარს ჩადებს მდინარეში, რაიმე სასხურებლით წყალს აკურებს დამსწრეებს, რომლებიც მირბიან სახის დასაბანად, რის შემდეგაც ყველა სახლში ბრუნდება და თან დოქით მოაქვთ ეს წყალი.

აქვთ აგრეთვე დღესასწაული „მირსობა“¹⁶⁸ წმ. კრავის სახელობის დღე¹⁸¹), 21 იანვარი, რომელიც თვალთა სნეულების დღესასწაულს წარმოადგენს. ამ დღეს ზეიმობენ მოსე და აარონის სახელობის ეკლესიაში. თითოეულ მომსვლელს აქ საჩუქრები მოაქვს. ზოგს სანთელი, ზოგს თოკი, ზოგს კი ძაფი, რომელთაც მღვდელს აძლევენ. მღვდელი მას შემწირველს შემოავლებს თავზე და შემდეგ მიართმევს ხატს, რათა მან მათი თვალეები სნეულებისაგან დაიცვას.

უქმობენ უძღვები შვილის კვირეულის ხუთშაბათსაც, რომელსაც „კაპონობას“¹⁶⁹ ეძახიან. ამ დღეს ოჯახის საკეთილდღეოდ კლავენ დიდ ყვერულს და მართავენ კარგ სმა-ჭამას, როგორც ყველა უქმეზე ხდება. ხორციელის კვირის ორშაბათიდან ყველიერის კვირის ჩათვლით ხორცს არ ეკარებიან, ჭამენ მხოლოდ ყველს და კვერცხს. ამბობენ, რომ ამ მარხვას მიცვალებულების საპატივცემლოდ ინახავენ. შემდეგი ორშაბათიდან იწყება დიდი მარხვა და ამ დღესაც უქმობენ.

უქმობენ ორმოც მოწამეთა დღესაც, რომელიც 10 მარტზე მოდის. რადგან ეს უქმე ვნების კვირას ემთხვევა, ეს დრო კი დიდ უქმეს წარმოადგენს და ხორცისა და თევზის ჭამა არ შეიძლება, მიუხედავად ამისა, ამ დღეს თავს თევზის ჭამის უფლებას მაინც აძლევენ. ბერებს ჩვეულებად აქვთ ამ დღეს ეკლესიაში წმ. წამებულთა სადიდებლის გალობა. გალობის დროს შუა ეკლესიაში წყლით სავსე სათლს დგამენ, რომელშიაც ოთხმკლავი ჯვარია მო-

თავსებული, თითოეულ მკლავზე მიკრული ათ-ათი – სულ ორმოცი – სანთლით. წირვის შემდეგ უხუცესი ბერი მიდის სათლთან, მდაბლად სცემს თავყვანს, იღებს ერთ სანთელს და აქრობს წყალში. სხვებიც იგივეს აკეთებენ, სანამ არ ჩააქრობენ ყველა სანთელს.

დღესასწაულობენ აგრეთვე ხარებასა და ბზობის კვირას. ისევე, როგორც ორმოც მოწამეთა უქმეებში, ამ დროსაც თევზს ჭამენ. ბზობის კვირას მღვდელი ბზის ან ზეთისხილის შტოს, ან რაიმე ყვავილს აკურთხებს და ურიგებს ხალხს. მაგრამ ეს წესი საყოველთაოდ მიღებული არ არის – ზოგი აკეთებს ამას, ზოგი კი არა. ჩვეულებად აქვთ აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც ხატს გაატარებენ, შეწყვიტონ მუშაობა და გამართონ დღესასწაული; საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილნი მიდიან ხატის შესახვედრად და წირავენ მას თოკს, სანთელს ან ძაფს, რომელსაც მღვდელი ჯერ ხატს და შემდეგ შემომწირავს შემოავლებს თავზე; იმ სახლში, სადაც ხატი ღამეს გაათევს, ისევე როგორც მთელ სოფელში ან დაბაში, სამუშაოს არავინ ეკარება. მრავლად არიან ისეთებიც, რომელთაც სინდისი აწუხებთ ჩადენილი ქურდობის გამო. ამიტომ შესაწირავს მართმევენ ხოლმე ხატს და ევედრებიან შეწყალებას, პატიებას, რათა იგი არ განურისხდეს მათ ოჯახს. ვისაც ცხენი, ძროხა ან რაიმე ამგვარი რამ ჰყავს მოპარული, სიკვდილის შიშით, არ სურს ხატის სახლში მიღება. ამიტომ განსაკუთრებული საჩუქრის ფასად უთანხმდება ხატის მტვირთველებს, რათა ხატი არა მის სახლში, არამედ სხვაგან დაასვენონ. მღვდელი ან სხვა პირნი, რომლებიც ხატს მიასვენებენ, იმდენად თაღლითები და ცბიერები არიან, რომ თუ ქურდს შიში შეატყვევს, ვაჭრობას იწყებენ მასთან. თავს ისე მოაჩვენებენ, თითქოს ჩადენილი ცოდვის სიდიდის გამო ხატს უფრო ძვირფასი საჩუქარი სურსო (სინამდვილეში არ სურთ ხატის ბინის გამოცვლისათვის ცოტა რამეზე დათანხმდნენ). ბოლოს მთხოვნელს აიძულებენ გაილოს იმდენი, რამდენსაც მოითხოვენ. ამგვარი მოტყუებით იმარჯვებენ ისინი ამ გაჭირვებულ ადამიანებზე. წმ. გიორგის ხატის დღესასწაული მოდის შუა მარხვაში.

ვნების შაბათს მღვდელი მოივლის ოჯახებს და ნაკურთხ წყალს მოასხურებს სასტუმრო და საცხოვრებელ ოთახებს, რისთვისაც საფასურის სახით იღებს კვერცხს ან ყველს.

აღდგომის დღეს პაპა თავისი სამრევლოს სხვა მღვდლებთან ერთად ღამეს ეკლესიაში ატარებს. შუაღამისას შემოჰკრავს წმინდა ძელს და იწყებს ზარის რეკვას; შემდეგ დროდადრო რეკავენ ყველანი. ალიონზე ჩაჰბერავენ საყვირს, რომელსაც „ოყა“ ჰქვია, ამ ღამეს კაცებიც და ქალებიც დგებიან, იკაზმებიან შეძლებისდაგვარად და, სანამ ირიჟრაჟებდეს, მიდიან ეკლესიაში; თან მიაქვთ წითელი ან სხვა ფერის კვერცხები; მიუხედავად იმისა, რომ ეს გათენებამდე ხდება, მამაკაცებს, უმეტეს შემთხვევაში, თავიანთი ჩვეულებრივი ლოცვა უკვე მოთავებული აქვთ, რაც კარგა ჭამითა და ბლომად ღვინის სმით გამოიხატება. ჭამენ ქათმის ხორცს და სვამენ იმდენს, რომ ნახევრად მთვრალები არიან. ასეთ მდგომარეობაში ისინი ალიონზე მიდიან ეკლესიაში და თან მორჩენილი საჭმელი მიაქვთ. აქ თითოეულ მათგანს მღვდელი აძლევს გასანთლული ძაფის სანთელს, რომელიც მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად მსხვილია. სასახლის კარზე კი თვითონ მთავარი თავის ხელით ურიგებს სანთლებს ეკლესიაში მოსულთ, თვით ეპისკოპოსებსაც კი ამის შემდეგ ქალები კაცებისაგან გამოცალკევდებიან და ანთებული სანთლებით ხელში, ეკლესიის გარეთ, სტოასთან მწკრივებად დგებიან შემდეგ მღვდელი ან ყველაზე ღირსეული ბერი, სამრევლოზე ადის და მაღალი ხმით სამჯერ ამცნობს ხალხს ქრისტეს აღდგომას, „ისმენდე, ისმენდე, ო, კაცო ღვთისა, ო, ნადირო ღვთისა, ო, თევზო წყლისა [შემდეგ გაურკვეველია – მ. მ.] ქრისტე აღდგა გიხაროდენ“¹⁷⁰. ხალხი პასუხობს – „მარდი“¹⁸²) მახარებელს“¹⁷¹. ამავე დროს თითოეული ქვას ესვრის კედელს. შემდეგ ლიტანიით სამჯერ შემოუვლიან ეკლესიას. წინ მიაქვთ საყვირი, რომელსაც დროდადრო აახმიანებენ ხოლმე; შემდეგ – დროშა; მას მიჰყვება მღვდელი; შემდეგ კი მოდის ხალხი დიდებულების წინამძღოლობით. ქალები პროცესიას არ მიყვებიან, ისინი ეკლესიის წინ, სტოაში ჩამწკრივებულნი დგანან მღვდელი ხალხთან ერთად გალობს ამგვარ საგალობელს, რომელიც მისი სიმოკლის გამო ყველამ იცის.

„აღდგომასა შენსა
ქრისტე მაცხოვარსა

¹⁷⁰ „Isminde Isminde Ocazo Ctis omadiri Ctiso Teusi zeliso oria galto qual-Dga Christi Dga ghigharodes“. ¹⁷¹ Mardi Macarebels.

ზედა ღირსა გვევენ
წმინდით გულისა
დიდებად შენდა¹⁷².

ამ საგალობელს იმეორებენ მრავალჯერ. ლიტანიის შემდეგ იწყება წირვა, რომლის მიმართ ხალხის გულმოდგინება და ყურადღება ისეთია, თითქოს მოედანზე იმყოფებოდნენ – ლაყბობენ, ხუმრობენ ხორხოცობენ, ერთმანეთს უცვლიან კვერცხებს. წირვის დამთავრების შემდეგ კვლავ სამჯერ შემოუვლიან ეკლესიას, ისე როგორც აღვწერეთ, და სხვა საგალობლებს მღერიან. შემდეგ მდაბლად დახრიან თავს, გამოვლენ ეკლესიიდან, კართან ერთხელ შემოტრიალდებიან და უფლის სახელით ერთმანეთს ულოცავენ დღესასწაულს. მთავრის კარზე წესად აქვთ, რომ წირვის ბოლოს მთავარს თონეში შემწვარი კრავი მიართვან. მთავარი თავის ხელით დაანაწილებს მას და თითო ნაჭერს ჩამოურიგებს თითოეულ თავის კარისკაცს. ასეთია მათი სააღდგომო ჩვეულება.

აღდგომის მეორე დღეს ორშაბათს, დღესასწაულობენ მიცვალებულთა დღეს. დილაადრიან ის, ვისაც ამ წელს ვინმე გარდაეცვალა, რამდენიმე ახლობელ ნათესავთან ერთად მიდის საფლავზე, თან მიჰყავს კრავი და არა რომელიმე სხვა ცხოველი, რომელიც უნდა აკურთხონ და შესწირონ. საფლავთან ფეხზე მდგარი მღვდელი აკურთხებს მას, იტყვის რამდენიმე ლოცვას, სწრაფად გამოსჭრის კრავს ყელს და სისხლს მიცვალებულის სულის საცხონებლად საფლავზე დააქცევს. ეს ცდომილება თითქმის მთლიანად მოსპობილია იმ მეგრელთა შორის, რომლებიც წიფურიას სამრევლოში შედიან და რომლის მახლობლადაც ეკლესია აქვთ ჩვენს პატრებს, თეათინელებს. ამ პატრების წყალობით მათ გაიგეს, რომ ეს წესი ებრაულია და არა ქრისტიანული. დაკლავენ რა კრავს, თავსა და ფეხებს აძლევენ მღვდელს, ხოლო დანარჩენი სახლში მოაქვთ შესაწვავად. სადილობის დროს ან ცოტა მოგვიანებით ყველანი ეკლესიაში მიდიან და თან ურიკაზე დადებული, ლხინისათ-

¹⁷² „Ad Gomaza scena
Christe Maseovarsa
Angelosi ugualoth
Zeth satha scina

Da evens masghirs
Given que Canusa
Tzeda Sinindis galiza
Di deba scenda¹⁸³).

ვის საჭირო, საჭმელ-სასმელი მიაქვთ მათ სუფრაზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა მოვიხსენიოთ ქვაბი ღომით, კვერცხგადასმული ხაჭაპურით სავსე კალათა, სხვადასხვა ფერის მაგრად მოხარშული კვერცხები, ყველი, ხორცი, რომელიც მეორე კალათშია, და ორი დიდი დოქით ღვინო. ყოველივე ამას დებენ საფლავ-

ზე. მღვდელი აკურთხებს მას და იღებს მის წილ კვერცხებს, ყველ-
სა და პურს. ჩვეულებად აქვთ, აგრეთვე, მღვდლისათვის, ოჯახის
სახელით, რამდენიმე არშინი ტილოს ან ერთი-ორი პერანგის ჩუ-
ქება. ისინი, ვისაც ნათესავი ამ წელიწადში გარდაეცვალა, განსა-
კუთრებით გულუხვობენ და აუცილებლად ასაჩუქრებენ მღვდელს
ამგვარი ნივთებით. შემდეგ ყველსა მიდის მინდორში, რომელიც
ეკლესიის წინაა, იყოფიან ორ ჯგუფად და თითოეული ჯგუფი ცა-
ლკე სუფრასთან ჯდება. მღვდელი ცალკე სუფრასთან ზის. ჭამის
დაწყებამდე იგი ხმამაღლა აკურთხებს სუფრას. შემდეგ ერთიმე-
ორეს მოიკითხავენ, საჭმელ-სასმელს გზავნიან ერთი სუფრიდან
მეორეზე. ლხინის დასასრულს ერთი ჯგუფი დგება სუფრიდან, სი-
მღერით მიდის და ესალმება მეორეს, რომელიც მას პასუხობს და
უგზავნის საჭმელ-სასმელს. შემდეგ მეორე სუფრიდან წამოდგე-
ბიან და ესალმებიან პირველს და მეორდება იგივე ცერემონიალი.
სალამოს ერთი უბნის ქალები შელამებამდე ერთად ცეკვავენ და
მღერიან თავიანთებურად. შემდეგ ახსენებენ უფალს და მიდიან
თავიანთ სახლებში.

„ამაღლების“¹⁷³ დღეს ჩვეულებისამებრ ლოცულობენ; დაკლა-
ვენ ღორს ან ქათმებს, დაამზადებენ გემრიელ კერძს. თითოეული
თავისთვის ანთებს სანთელს, აგდებს ნაკვერჩხალზე ერთ მარცვალ
საკმეველს, უფალს შესთხოვს რომ ამგვარ დღეს კიდევ მოესწროს
და ევედრება ფუტკრის დალოცვას და გამრავლებას, რათა ფუტ-
კარმა ბევრი თაფლი და სანთელი დაამზადოს. წმ. სამების დღეს ზე-
იმობენ აგრეთვე ყველაწმინდობასაც და, თავიანთი წესის მიხედ-
ვით, დროს ატარებენ ჭამაში. მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებით
ბევრს ჭამენ, რადგან მეორე დღიდან წმ. პეტრეს მარხვა იწყება.

ამ წმინდანის დღეს, რომელსაც „პეტრობა“¹⁷⁴ ჰქვია, მეგრე-
ლები შუალამიდანვე იწყებენ ჩვეულებრივ ლოცვას; ჭამენ გოჭი-
სა და ქათმის ხორცს და როდესაც ზარის ან საყვირის ხმას გაი-
გონებენ, მიდიან ეკლესიაში. მღვდელი წირვას ატარებს. ამ დღეს

¹⁷³ Amegleba. ¹⁷⁴ Petroba.

მოაქვთ კალათებით პური, მსხალი, თხილი და ყოველივე ამას მიც-
ვალებულთა საფლავზე დებენ. წირვის შემდეგ მღვდელი მიდის
საფლავთან, აკურთხებს სურსათს და ლოცავს მის მომტანს, რომე-
ლიც მას ამისათვის გასამრჯელოს აძლევს. შემდეგ საჭმელ-სასმე-
ლად სახლებში მიდიან; ზოგი ამას ეკლესიაშივე აკეთებს, ზოგი
კი სასაფლაოს მახლობლად, სანამ დაიშლებოდნენ, ყველანი სწრა-
ფად გადაისახავენ პირჯვარს ეკლესიის წინ. აღსანიშნავია, რომ
კვირა დღეს ისინი ხარებს უღელში არ გააბამენ და, საერთოდ,

არავითარ სამუშაოს არ ასრულებენ.

ღვთისმშობლის მიძინების დღეს, რომელსაც „მარაშინას“ უწოდებენ, დღესასწაულს გარიჟრაჟზე, იწყებენ ჩვეულებრივი ლოცვით – სმა-ჭამით. ჭამენ ვარიას, რომელზედაც ახალი ნიგვზის ზეთია გადასხმული. მხოლოდ ამ დროიდან იწყებენ ახალი ნიგვზის ჭამას და ყვინჩილებისა და ვარიების დაკვლას, რომელთაც ამ დრომდე არც ჭამენ და არც ყიდნიან. ამბობენ, რომ ვარიებისა და ახალი ნიგვზის გაყიდვა არ შეიძლება მანამდე, სანამ წმ. პეტრეს არ შეავედრებენ მათ. ამ დროის ლოცვები იმაში მდგომარეობს, რომ მამაზეციერს შესთხოვენ ამრავლოს მათი ქათმები; ამას გამსაკუთრებით ქალები ევედრებიან. ამ დღესვე აკურთხებენ აგრეთვე მინდვრებსა და მდელოებს, რაც ამგვარად ხდება: აიღებენ სამ თავთავს იმ მარცვლეულიდან, რომელსაც პურის მაგივრად ხმარობენ, მარწყვის პატარა რტოს, ცოტაოდენ ცვილს, შეკრავენ ზვის მსგავს კონას, აკურთხებიან მას მღვდელს ეკლესიაში, შემდეგ მიაქვთ იგი დათესილ მინდორში და რგავენ შუა ადგილზე, სწამთ, რომ ეს დაიცავს მინდორს ელჭექისაგან, სეტყვისა და სხვა ამგვარი უბედურებისაგან. დარგვისას რამდენიმე მოკლე ლოცვას იტყვიან და მინდორს ღმერთსა ხატს მიანდობენ. შემდეგ ამავე მინდორში დიდ ლხინს გამართავენ, რადგან, მათი ფიქრით, ამის გარეშე ლოცვას ფასი არა აქვს და სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

უქმობენ აგრეთვე „ელიობას“¹⁷⁵, წმ. ელია წინასწარმეტყველის დღესასწაულს, რომელსაც შესთხოვენ წვიმას კარგი მოსავლის მისაღებად; მის საპატივცემულოდ კლავენ თხას; სწორედ ამავე დღეს ჩვენი პატრების სამრევლოში, წიფურის ეკლესიაში კლავენ თხას; სამეგრელოს მთავარმა ამ დღესასწაულზე ამ ეკლესიაში

¹⁷⁵ Elioba.

თხის დაკვლა და დიდი რაოდენობით პურ-ღვინოს მოზიდვა სამუდამოდ დაამკვიდრა. ეკლესიაში თორმეტი მღვდელი მიდის და ერთად წირავს; ამის შემდეგ ერთად მიირთმევენ თხის ხორცს და დანარჩენ სურსათს, ვიდრე ძლიერ არ დათვრებიან. ეს უქმე მოდის 30 ივლისს.

14 სექტემბერი წიფურიაში სადღესასწაულო დღეა: იმართება ბაზრობა, რომელსაც „სიპიასობა“¹⁷⁶ ეწოდება; იგი ორშაბათიდან კვირამდე გრძელდება. ამ დღეს თავიანთ ეკლესიებში თავზე გვირგვინდადებულთ მიაქვთ წმ. გიორგის და საზელიენის¹⁷⁷ ხატები. რადგანაც ამ დღესასწაულზე ბაზრობის გამო ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის, მათ შორის მრავალი უცხოე ლია, რომელთა უმეტესი ნაწილი სომეხი, ქართველი და ებრაელი ვაჭრები არიან, აქ გა-

ცხოველებული ვაჭრობა წარმოებს ყოველგვარი სურსათ-სანოვა-
გით, სამკაულებით, ქსოვილებით, რომლებიც ადგილობრივი სა-
ქონლის გვერდით იყიდება. ასეთ ბაზრობას მრავალრიცხოვანი
საჩუქრები მოაქვს ხატებისათვის იმათგან, ვინც აქ მხოლოდ მათ
თავყანასაცემად ჩამოდის; თუმცა ამ საჩუქრებს შორის მნიშვნელო-
ვანი არაფერია, იგი წარმოადგენს თოკს, ცვილსა და ძაფს. ზოგჯერ
მათ ფულითაც ასაჩუქრებენ ხოლმე. მთელს მხარეში არ არსებობს
ისეთი კაცი, რომელიც ამ დღესასწაულზე არ მოდიოდეს. არის ისე-
თი წლებიც როდესაც ხატების საჩუქრები იმდენია, რომ ისინი ათი
და მეტი ურმით მიაქვთ ხოლმე. ამ დროს მღვდლები მეტისმეტად
დაკავებულნი არიან წირვით. რადგან „more groecorum“¹⁷⁶-ის მი-
ხედვით, მათ არ შეუძლიათ ერთ ეკლესიაში წირვა ერთხელ მეტად.
შეასრულონ, ამიტომ ზოგჯერ თორმეტზე მეტი მღვდელი ერთად
წირავს ხოლმე; ზოგი მღვდელი ხშირად დაგვიანებით მოდის მაშინ,
რაცა ნახევარი წირვა უკვე შესრულებულია.

21 ოქტომბერს მეგრელები დღესასწაულობენ წმ. გიორგის
სასწაულის აღსანიშნავ დღეს, რომელიც მას მათ ქვეყნაში ასი მი-
ლის სიშორიდან ჩამოსული ერთი წარმართისათვის მოუხდენია. აი,
ამ სასწაულის ისტორია: იმ დროს, როცა ბერძნების ეკლესია ლა-
თინთა ეკლესიასთან იყო შეერთებული და როცა ეს სახელგანთქ-
მული წამებული მრავალ სასწაულს ახდენდა, ამ წარმართს უყვე-
ბოდნენ ამ ამბებს, მაგრამ მას არაფერი სჯეროდა და რადგანაც ქრი-
სტიანები ურჩევდნენ არ გაჯიუტებულიყო, ერწმუნა ის, რასაც ხალ-
ხი უმტკიცებდა, ამ წარმართმა თქვა: მე ვირწმუნებ თქვენი წმინ-

¹⁷⁶ Sipiassoba. ¹⁷⁷ Saisliens. ¹⁷⁸ ბერძნული წესი.

დანის მიერ ჩადენილ სასწაულებს. თუ ხვალინდელი დღის დადგო-
მამდე ჩემთან მოიყვანს ჩემი ხარებიდან ამას და ამასო – და მან
ამ ხარის ნიშნები აღწერა. წმ. გიორგიმ მოახდინა ისე, რომ შემ-
დეგ ღამეს ეს ხარი აღმოჩნდა ასი მილის დაშორებით მდებარე და-
ნიშნულ ადგილზე, ილორელთა სოფელში, სადაც აგებულია მისი
სახელობის ეკლესია და სადაც ქრისტიანების სანუგეშებლად ეს
წარმართი მოინათლა. ხარი დაკლეს და ხორცი დაურიგეს ხალხს,
რომელიც მრავლად მოგროვდა ამ სასწაულის სანახავად. ამ სასწა-
ულის ხსოვნის აღსანიშნავად მეგრელები იმ დროს, როდესაც სარ-
წმუნოება ჰყვავდა მათთან, ყოველ წელიწადს მღვდლად კურთხე-
ვის მსურველებს ავალბდნენ დღესასწაულის დადგომამდე მოეპა-
რათ ულამაზესი ხარი წმ. გიორგის სახელით, რომელიც თითქოს
ყოველწლიურად აღნიშნულ დღეს, ამ უმველესი სასწაულის სამახ-
სოვროდ, იტაცებს ხარს და მოჰყავს იმავე ადგილზე. აქედან გა-

მომდინარე, დღესასწაულამდე თხუთმეტი დღით ადრე, საჭირო გახდა ხარებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, რადგან მეგრელები წმინდა გიორგის სახელით, სადაც კი შესძლებდნენ, იპარავდნენ საუკეთესო ხარებს და ამბობდნენ: თუ წმ. გიორგიმ მოიტაცა ხარი, ჩვენც შეგვიძლია მოვიპაროთო. ამიტომ თითოეული ჰფიქრობს, რომ ამ ქურდობისათვის არ დაისჯება. რამდენიმე ბერძენმა და ზოგიერთმა ჩვენმა პატრმა სცადა აეხსნა, თუ როგორ ხდება ხარის ეს ყალბი სასწაული, უკეთ რომ ვთქვათ – თაღლითობა. და ამისათვის მთელი ღამე ეკლესიის ირგვლივ სიარულით გაათენეს. აღმოჩნდა, რომ ქურდებს ხარი ბაწრით მოჰყავთ შებინდებისას ეკლესიაში. ეპისკოპოსების უმრავლესობამ იცის, რომ ეს თაღლითობაა და რომ ეს წოველწლიური, ეგრეთ წოდებული სასწაული, მტკნარი სიცრუეა, მაგრამ ხალხში ღვთისმოშიშობის განმტკიცების მიზნით ამას ყურადღებას არ აქცევენ. აღსანიშნავია, რომ ხალხი სასწაულის აღსრულების ღამეს ეკლესიასთან გავლას უფრთხის, რადგან ისინი დაარწმუნეს, რომ ის, ვინც ეკლესიას მოუახლოვდება – მოკვდება, არამედ წმინდანი კლავს ყველას, ვინც კი მის ეკლესიასთან ამ დროს ახლოს მივაო; ამრიგად, სასწაულის საიდუმლოება იცის მხოლოდ იმან, ვინც ხარი მოიპარა, და იმან, ვისაც იგი შეჰყავს ეკლესიაში¹⁸⁴).

წმ. გიორგის ეს ეკლესია არის სოფელ ილორში, შავი ზღვის მახლობლად, ბედიელის ეპარქიაში. მას მეზობელი ხალხებიც დიდ თავყვანს სცემენ, თვით ბარბაროსებიც კი. ასე რომ, უახლოესი მეზ-

196

ობლები, როგორც არიან აფხაზები¹⁷⁹) ალანები, ჯიქები და სხვა არამართლმორწმუნენი, მის გამარცვას ვერ ბედავენ, თუმცა იციან, რომ ეს ეკლესია ძვირფასეულობით და ფულით ძალზე მდიდარია. ეკლესიის კარი მორთულია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც გამოსახულია წმინდანებისა და მათი სასწაულების რელიეფური გამოსახულებანი. როგორც ვთქვით, ამ ეკლესიის გაქურდვას ვერავინ ბედავს იმის შიშით, რომ წმინდანი მას წამებით მოკლავს. სხვა მიზეზთა შორის, შიშის ერთ-ერთი მიზეზი იქიდან მომდინარეობს, რომ ეკლესიაში არის ორი შუბი და ბარჯი ისრისებური ორი წვერით, რომლებიც ისეთი მსხვილია და მძიმე, რომ კაცი ერთსაც ვერ ასწევს. ხალხს სწამს, რომ წმინდანი ამ იარაღს იყენებს და სწორედ ამით სწრაფად გმირავს ქურდს შიშით, რომელსაც ამ იარაღის მიმართ განიცდიან, იმდენად დიდია, რომ როდესაც ამ ეკლესიის მღვდელი რომელიმე მათგანს გარეთ გამოიტანს, ვინც მას შეხვდება, ისეთ პატივს და თავყვანს სცემს, თითქოს იგი თვით წმინდანის ხატი იყოს, რადგანაც ეწინააღმდეგებათ ამ იარაღით არ იქნენ მყისვე განგმირულნი.

დღესასწაულის წინა ღამით მთავარი, კათალიკოსის, ეპისკოპოსებისა და დიდებულების თანხლებით, მიდის ეკლესიაში, ათვალეირებს მას, რათა დარწმუნდეს ხარი ხომ არ არის დამალული სადმე. შემდეგ ეკლესიას კეტავს და კარზე თვითონ ადებს ეშვის ბეჭედს. დილით იგი ბრუნდება იმავე ამალით, ხსნის თავის ბეჭედს, ადებს ეკლესიის კარს და, ნახულობს რა ხარს, ამბობს, რომ წმინდანმა ამ ღამით მოიტაცა ხარი და მოიყვანაო. ამის გაგონებაზე გაისმის ალტაცებული შემახილები. ერთი ახალგაზრდა კაცთ რომელსაც ეს საქმე აქვს დაკისრებული, მაშინვე მოიმარჯვებს ხელში საგანგებოდ მოტანილ ჩუგლუგს, რომელსაც სხვა დანაშნულება არა აქვს, ხარს ეკლესიიდან გაიყვანს, დაკლავს და ხორცს ნაჭრებად დაანაწილებს. მთავარი იღებს პირველ ნაჭერს; მეორე და მესამე შიკრიკების ხელით ეგზავნება იმერეთის მეფეს და გურიის მთავარს. დანარჩენი ურიგდებათ სამეგრელოს დიდებულებს, მთავრის მოხელეებსა და ბერებს, რომლებიც იმის გამო, რომ ხორცს საერთოდ არ ჭამენ, უნაწილებენ მას ეკლესიის ღვთისმოსავთ და თავიანთ მოსამსახურეებს. ბევრია ისეთი, რომელიც ამ ხორცს მაშინვე ჭამს დიდი კრძალვითა და მოწიწებით, თითქოს იგი ზიარება იყოს – არც მეტი და არც ნაკლები. ზოგი მას ამარილებს და

¹⁷⁹ Abras (Abcas).

ცეცხლზე ახმობს და იმედი აქვს, რომ მომავალში, ავადმყოფობის დროს, სენისაგან განიკურნება თუ ამ ხორცს შეჭამს. ხარის დაკვლის დროს გულდასმით აკვირდებიან მის აღნაგობას, მოძრაობას, რათა ამის მიხედვით იწინასწარმეტყველონ. მაგალითად, თუ ხარი წინააღმდეგობას წევს, ბორგავს და ირჩოლება, მაშინ იტყვიან, რომ ამ წელიწადს ომი იქნებაო. თუ ბინძურია, ეს უხვი მოსავლის მომასწავებელია; თუ სველია – ბევრი ღვინო იქნება, თუ წითური ფერისაა – ეს ადამიანებისა და ცხენების სიკვდილიანობის მაუწყებელია; თუ სხვა ფერისაა, ეს კარგი ნიშანია. თუმცა ეს წინასწარ მეტყველება არც ერთ წელიწადს არ მართლდება, ისინი ასევე ცრუ მორწმუნენი რჩებიან, როგორც იყვნენ¹⁸⁵).

რაც შეეხება შობას, ისინი ჩვენსავით წირვას შუალამისას ატარებენ მაგრამ ეს უფრო ლხინს გავს, ვიდრე წირვას, რადგან როგორც საერო, ისე სასულიერო პირები მთელი ორმოცი დღის განმავლობაში ნამარხულენი, ძალიან დასუსტებულები და დამშეულები არიან, ამიტომ შუალამიდანვე იწყებენ ქათმებისა და ყვერულების ხოცვას, სვამენ და ჭამენ დილაამდე და თან ღმერთს ევედრებიან კიდევ მრავალ შობას მოგვასწარიო. ამას უმახიან ლოცვასა და უფლის თაყვანისცემას. დილით, ნახევრად მთვრალეები

მიდიან ეკლესიაში და თან მიაქვთ კალათები სავსე კვერცხიანი ხაჭაპურებით, ყურძენი, ვაშლები, ნიგოზი, თხილი და სხვა საჭმელები, რომელსაც საოჯახო საფლავზე ტოვებენ და წირვის მოსასმენად მიდიან. როდესაც წირვა დამთავრდება და მღვდელი სამოსელს გაიხდის, იგი საცეცხლურითა და წიგნით ხელში მიდის ერთი საფლავიდან მეორეზე, აკურთხებს საფლავებსა და მოტანილ საჭმელს. თითოეული ანთებს სანთელს და საცეცხლურში დებს ორ მარცვალ საკმეველს, რის შემდეგაც მღვდელს ერთ პურს აძლევს. ზოგს მტრედებიც მოჰყავს, რომელთა სისხლით საფლავებს რწყავენ მიცვალებულთა სულის საცხოვნებლად.

თავი XXIII

წმინდა ადგილების შესახებ, რომლებიც მათ
იერუსალიმში აქვთ

ამ ხალხს იერუსალიმში თავისი პატარა ეკლესია აქვს, სადაც წირვა-ლოცვა მათ ენაზე წარმოებს, მაგრამ ბერძნული წესის მი-

198

ხედვით¹⁸⁶). ამ ეკლესიაში არის ღრმული, რომელშიაც ჩადგმულია იესო ქრისტეს ჯვარი. პირველად ამ ეკლესიას ფრანცისკანელი ორდენის ბერები¹⁸⁷) ფლობდნენ, მაგრამ ეგვიპტის სულთანმა ჩამოართვა მათ, რათა იგი ამ ხალხისათვის გადაეცა იმ სამსახურის საზღაურად, რომელიც მათ გაუწევიათ მისთვის მრავალ ომში მონაწილეობით. ძველად ამ სამლოცველოში ორმოცდაშვიდი კანდელი ენთო, მაგრამ დღეს, ამ ხალხის სიღარიბის გამო, არც ერთი აღარ არის. ისინი არა წუხან იმაზე, რომ იქ კათოლიკები წირავენ, მაგრამ მოითხოვენ, რომ მხოლოდ მათი ლოცვები წაიკითხონ. ისინი ბერძნებთან ერთად ფლობენ აგრეთვე ადგილს, რომელსაც მაცხოვრის დილეგს უწოდებენ. მასზე დაშენებულია აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი ეკვდერი, რომელსაც მცირე სიღრმის წყალსატევი აქვს. ეს ადგილი უშუალოდ ეკლესიას მთავარ კედელს ეკვრის, აქვს ოთხწახნაგა ფორმა, საკმაოდ ბნელია და ფასადით გოლგოთის მთისკენაა მიმართული¹⁸⁸). ირწმუნებიან, რომ ისეო ქრისტე მხარზე გადებული თავისი ჯვრით ამ გზით მოვიდა აქ და რომ ამოთხარეს ორმო, რომელშიაც ჯვარი უნდა ჩაესვათ. ამ ორ ხალხს, ბერძნებსა და მეგრელებს, თავიანთი სიღარიბის გამო, აქ მხოლოდ ერთი კანდელი უნთიათ. ამ წმინდა ადგილებიდან იერუსალიმის პატრიარქი ოდიში ანუ სამეგრელოში, ისევე როგორც იმერეთში, რაც საქართველოს შეადგენს და გურიაში თავის წარმომადგენელს აგზავნის ამ წმინდა ადგილებისათვის შეწირულების შესაგროვებლად. წა-

რმომადგენლად, რომელიც ყოველთვის ბერია, ამჟამად არის მისი უსამღვდელოესობა ნიკოლოზ ნიკიფორე¹⁸¹; წმ. ბასილის ორდენის ბერძენი ბერი, რომელსაც „ჯვარის მამის“¹⁸¹ წოდება აქვს¹⁸⁹). იერუსალიმის პატრიარქივით, მასაც უფლება აქვს მსურველს „შენდობა“¹⁸²) ე. ი. კურთხევა მისცეს და ცოდვანი მიუტევოს, რასაც იგი აკეთებს კიდევ, იღებს რა თითოეულისაგან ორმოც ეკიუს. ამ ხალხის ფიქრით, ასეთი შენდობა მათ ათავისუფლებს ყოველგვარი ცოდვისაგან – იგულისხმება როგორც ჩადენილი, ისე მომავალში, მთელი სიცოცხლის მანძილზე, მოსალოდნელი ცოდვებისაგან განთავისუფლება. ამიტომაც ყველა, ვისაც ეს შესაძლებლობა აქვს, იღებს ამ „შენდობას“, რომელიც ქართულად არის დაწერილი. ამ გზით ეს წარმომადგენელი ბევრ ფულს აგროვებს, რომელსაც იგი იერუსალიმში სხვა ბერებს უგზავნის.

¹⁸⁰ NicolaS Nicéphore. ¹⁸¹ Jovarismama. ¹⁸² Sandoba.

თავი XXIV

ეკლესიის წინამძღვართა შესახებ

ამ საკითხზე სრულიად ზედმეტია ლაპარაკი, რადგან ეს ხალხი ცხოვრობს თავისი ბუნებრივი ინსტიქტებისა და მთავრის ნებასურვილის მიხედვით. თუ მთავარი მარხვის დროს ხორცს შექმამს, მაშინ ისინიც ჭამენ და ამბობენ, რომ ეს ცოდვა არ არის, რადგან მთავარი ამასვე აკეთებსო. თუ მთავარი ცოლს გაეყრება ან ორი ცოლი ჰყავს ერთდროულად, სხვებიც ასევე იქცევიან. რაც შეეხება დღესასწაულების დროს ეკლესიაში წირვის მოსასმენად სიარულს, მკითხველმა უკვე დაინახა, თუ რა ცუდად იცავენ ისინი ყოველგვარ უქმეებს და რომ მუშაობისაგან მხოლოდ კვირა დღეს იკავებენ თავს რამდენადმე. ამ დღეს ჩვეულებრივად წირვაზე არ მიდიან, ანდა თუ ვინმე წავა, ეკლესიაში შესვლისთანავე სწრაფად გადაიწერს პირჯვარს, ადიდებს უფალს, წმინდა ქალწულს და მაშინვე გამოდის ეკლესიიდან, დგება მის წინ და იწყებს ლაყბობას, მღვდელი კი თავისთვის განაგრძობს წირვას. ასე ხდება ყოველთვის, გარდა ხარებისა, ბზობის კვირისა და აღდგომისა, როდესაც მამაკაცები ეკლესიაში ჩერდებიან, ქალები კი გარეთ დგანან. მაგრამ ეკლესიაშიც ისე ლაპარაკობენ და იცინიან, თითქოს ბაზარში იყვნენ. ოდნავ მეტი პატივისცემით ეპყრობიან იმ წირვას, რომელსაც ბერები ატარებენ და რომელსაც მთავარი ესწრება.

*
* *
*

აქ მთავრდება პატრი ძამპის რელაცია. მე აღარაფერს დავუმატებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოვე ლივე ის, რაც შეეხება რელიგიურ ცერემონიებს და მეგრელების სარწმუნოებას, რამდენადაც მე შევნიშნე, ზუსტად არის გადმოცემული მის მიერ.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მათი გლოვის შესახებ. ეს არის სასოწარკვეთილების გლოვა. თუ ქალს ქმარი ან ახლობელი ნათესავი მოუკვდა, შემოიხევს ტანსაცმელს, შიშვლდება წელამდე, იგლეჯს თმებს, ფრჩხილებით იკაწრავს სხეულს და სახეს, იცემს გულმკერდში, კივის, ღრიალებს, კბილებს აკრაჭუნებს, ცოფდება, იშმაგდება და ბორგავს უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისული. მამაკაცებიც ასევე ბარბაროსულად ამჟღავნებენ თავიანთ მწუხარებას, იგლეჯენ ტანსაცმელს, იპარსავენ თმებს და სახეს და მჯიღს იცემენ მკერდში.

გლოვა გრძელდება ორმოცი დღის განმავლობაში, მაგრამ ასეთი მძვინვარე ხასიათი, როგორც აღვწერე, მხოლოდ პირველ ათ დღეს აქვს; შემდეგ იგი თანდათან კლებულობს ამ ათი დღის განმავლობაში მიცვალებულის ახლობლები და ყოველგვარი წოდების უამრავი კაცი თუ ქალი მიცვალებულის სატირლად მოდის. ეს ხდება შემდეგნაირად: ხალხი მიცვალებულის ირგვლივ განლაგდება, როგორც უკვე აღვნიშნე, ტანსაცმელშემოგლეჯილი, ორივე ხელს მკერდში იცემს და ყვირის: „ვაი, ვაი“¹. ყვირილი და მკერდში ცემა ურთიერთშეწყობილია და საშინელ ხმად ისმის. ყოველივე ეს სასოწარკვეთილების საზარელ სურათს წარმოადგენს, რომელსაც უდრტვინველად ვერ შეხედავ. ზოგჯერ მოულოდნელად შეწყდება წივილ-კივილი და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება, მაგრამ კვლავ უეცრად ატყდება კივილი და ყველაფერი თავის

¹ Vaih, Vaih.

პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. როგორც უკვე აღვნიშნე, უკანასკნელ მეორმოცე დღეს მიცვალებულს დაასაფლავებენ¹⁹⁰). მისი მეგობრებისათვის, მეზობლებისა და ყველა იმათთვის, ვინც სატირალში მოვიდა, აწყობენ სუფრას. ქალები კაცებისაგან განცალკევებით ჭამენ. ეპისკოპოსი წირავს და ამით ყოველივე იმის მისაკუთრების უფლებას იძენს, რაც მიცვალებულს პირადად ეკუთვნოდა, როგორცაა მისი ცხენი, ტანსაცმელი, იარაღი, ვერცხლეული – თუ იგი გააჩნდა – და სხვა ამგვარი ნივთები. სამგლოვიარო ცერემონიალი ანადგურებს მეგრელების ოჯახს. მაგრამ

მიუხედავად ამისა, ვალდებულად თვლიან თავს დიდი ბრწყინვალეობით მოაწყონ იგი. ეპისკოპოსი სულის შესანდობარს წირავს მაღდატანებით იმ სარგებლის გამო, რომელსაც ის ამისათვის დებულა. მიცვალებულის სატირლად იმიტომ მოდიან, რომ ორმოცი დღე მის მიერ დატოვებულის ხარჯზე იცხოვრონ. როდესაც ეპისკოპოსი კვდება, სულის მოსახსენებელს მთავარი წირავს და გლოვის მეორმოცი დღეს მასვე მიაქვს ყველაფერი, რაც ეპისკოპოსს გააჩნდა, გარდა უძრავი ქონებისა.

აი, ყოველივე ის, რაც კოლხიდაში გავიგე ამ ქვეყნის ბუნების, ხალხის ზნე-ჩვეულებას და სარწმუნოების შესახებ. მათი მეზობლებიც ცხოვრობენ და იქცევიან თითქმის ისევე, როგორც მეგრელები იმათ გარდა, ვინც თურქეთთან ან სპარსეთთან არიან ახლოს. ამათი ზნე-ჩვეულებანი უფრო რბილი და სამართლიანია, ვიდრე იმათი, ვინც თათრებთან ანდა სკვითებთან ახლოს ცხოვრობენ, რომელთა წესები უფრო ბარბაროსულია: წარმოდგენა არ აქვთ სარწმუნოების არსზე, მის წესებზე და არ ემორჩილებიან არავითარ კანონს. ვლაპარაკობ აფხაზებზე და იმ ხალხებზე, რომლებიც კავკასიის მთის ძირში ცხოვრობენ და ვამბობ ყველაფერს იმას, რაც გავიგე. ახლა კი აღვნიშნავ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, რაც მე დავინახე და გავიგონე სამეგრელოსა და სხვა მეზობელი ქვეყნების შესახებ. ეს ქვეყნებია გურიელის სამთავრო და იმერეთის სამეფო.

გურიელის² ქვეყანა პატარაა. იგი ესაზღვრება ჩრდილოეთით იმერეთს აღმოსავლეთით კავკასიის მთის ნაწილს, რომელიც ოსმალების მფლობელობაშია, დასავლეთით – სამეგრელოს და სამხრეთით – შავ ზღვას¹⁹¹). ის გაშლილია ამ ზღვის გასწვრივ მდინარე ფაზისიდან მეორე მდინარემდე, რომელიც თურქების სიმაგრე გო-

² Guriel.

ნიოდან³ ერთი მილის სიშორეზე მოედინება და ფაზისიდან კი მხოლოდ ორმოცი მილით არის დაშორებული¹⁹²). ეს მხარე ყველაფერში ჰგავს სამეგრელოს, როგორც თავისი ბუნებით, ისე ხალხის ზნე-ჩვეულებებით. აქ სარწმუნოება, ჩვევები... იგივეა.

იმერეთის სამეფო ცოტა უფრო დიდია, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთა შესახებაც ეს-ეს არის ვილაპარაკე; ძველად მას ძველი ავტორები იბერიას უწოდებდნენ¹⁹³). იგი მოქცეულია კავკასიის მთის, კოლხიდის, შავი ზღვის, გურიის სამთავროს და საქართველოს შორის. მისი სიგრძე უდრის ექვსას ოც მილს, განი – სამოცს. კავკასიის მთის ხალხები, რომელთაც იგი ესაზღვრება, არიან ქართველები, სამხრეთით – თურქები, დასავლეთით – ოსები⁴ და ყარაჩაელები, რომელთაც თურქები ყარაჩერქეზებს⁵ უწოდე-

ბენ იმის გამო, რის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე. ეს ის ყარა-ჩერქეზები ანუ შავი ჩერქეზები არიან, რომელთაც ევროპელები ჰუნებს ეძახდნენ და რომლებმაც იტალია და გალია დალაშქრეს. ამის შესახებ მოგვითხრობენ ისტორიკოსები და მათ შორის კედრენე¹⁹⁴). მათ ენაში შერეულია თურქული.

ისევე როგორც სამეგრელო, იმერეთიც ტყიანი და მთაგორიანი ქვეყანაა. მაგრამ აქ უფრო ლამაზი ხეობები და წარმტაცი მინდვრებია. უფრო ადვილად იშოვება პური, ხორცი და ბოსტნეული. არის რკინის მადანი. ფული ბრუნვაშია და მას აქვე ჭრიან. ვხვდებით ქალაქებსაც; რაც შეეხება ზნე-ჩვეულებებს, იგივეა, როგორც სამეგრელოში. მეფეს სამი საუცხოო ციხე-სიმაგრე აქვს; ერთს, რომელიც ხეობის პირას არის აღმართული, ეწოდება სკანდა⁶. ორი დანარჩენი აშენებულია კავკასიის მთებში – ერთს ჰქვია რეჯია⁷, მეორეს სკორჯია⁸. ორივე მეტად ძნელი მისადგომია, რადგანაც გაშენებულია ისეთ ადგილებზე, რომლებიც ბუნებრივად არის დაცული. ფაზისი მათ წინ ჩაუდის¹⁹⁶). რამდენიმე ხნის წინ მთავარს სხვა ბევრად მეტი მნიშვნელობის მქონე, ციხე-სიმაგრე ჰქონდა, რომელსაც ეწოდებოდა ქუთაისი⁹ – იგივე სახელი, რაც მთელ მის ირგვლივ მდებარე მიდამოებს ერქვა. შესაძლოა ეს ის ადგილია, რომელსაც პტოლემეოსი „კოტატენის ქვეყანას“¹⁰ ეძახის¹⁹⁷). დღეს მას თურქები ფლობენ.

დიდი ხნის მანძილზე იმერეთის სამეფოს ქვეშევრდომები იყ-

³ Gonié. ⁴ Ossi. ⁵ Caracherhes (Qarah Tcherkés). ⁶ Scander¹⁹⁵). ⁷ Regia.

⁸ Scorgia. ⁹ Cotatis. ¹⁰ Région Cotatène.

ვნენ აფხაზები, მეგრელები და გურულები, მას შემდეგ რაც ოთხივე ერთად განთავისუფლდა ჯერ კონსტანტინოპოლის იმპერატორების, ხოლო შემდეგ ტრაპეზუნდის იმპერატორების¹⁹⁸) მორჩილებისაგან. მათ შესახებ ისტორია ამბობს, რომ მათ პატივი ჰქონდათ ეტარებინათ მდინარე ფაზისის მეფეების ტიტული. გასულ საუკუნეში ეს ხალხები ამბოხების შემდეგ განცალკევდნენ და ერთმანეთს შორის ქიშკობა დაიწყეს. ვინც თურქებთან ახლოს იყო, მათგან დახმარებას ღებულობდა. თურქები ჯერ კი ეხმარებოდნენ, მაგრამ შემდეგ თავის მოხარკეებად გაიხადეს ყველა, ერთიმეორის მიყოლებით. იმერეთის მეფის გადასახადს წარმოადგენდა ოთხმოცი ყმაწვილი – გოგონები და ბიჭები, ათიდან ოც წლამდე; გურიის მთავრისას – ორმოცდაექვსი ასეთივე ყმაწვილი; სამეგრელოს მთავარი იხდიდა ადგილობრივი წარმოების სამოცდაათი ათას არშინ სელის ტილოს. ხარკი აფხაზებსაც ჰქონდათ დაკისრებული, მაგრამ ისინი მცირე ხნის განმავლობაში იხდიდნენ, ახლა

კი სრულიად არ იხდიან. იმერეთის მეფე და გურიის მთავარი თვითონ უგზავნიან ხარკს ახალციხის ფაშას. სამეგრელოს მთავართან კი ხარკის წასაღებად მოდიოდა ჩაუში¹¹. როდესაც მე ახალციხე გავიარე, ამბობდნენ, რომ თურქებს ამ მხარის დაპყრობა და ფაშის დასმა უნდათო, რადგანაც მათ სხვა საშუალება არ აქვთ ბოლო მოუღონ განუწყვეტელ ომებს, რომელიც მათ ანადგურებს და აჩანაგებსო. ადრე თურქებს ამ ქვეყნის დაპყრობაზე არ უფიქრიათ, რადგან აქ შეუძლებელია მაჰმადიანური რჯულის დაცვა იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში ღვინის და ღორის ხორცზე უკეთესი არაფერი აქვთ, რაც მაჰმადიანური კანონით აკრძალულია. ამას ისიც ემატება, რომ აქაური ჰავა არ არის ჯანსაღი, არ იშოვება პური და მოსახლეობაც შორიშორს არის გაფანტული. ასე რომ, ციხე-სიმაგრეების აგება მხოლოდ ზოგ ადგილას თუ შეიძლება და ისიც შვიდ-რვა კომლზე გაანგარიშებით. ამ მოსაზრებათა გამო თურქებმა ეს პროვინციები ძველ მდგომარეობაში დატოვეს და დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ისინი ტყვეების წყაროდ აქციეს. აქედან ყოველწლიურად შვიდი-რვა ათასი ტყვე გაჰყავთ. ალბათ, დაახლოებით ასეთივე დაბრკოლებები უშლიან ხელს თურქებს, თათრებისა და სკვითების ვრცელი ველების და კავკასიის მთიანეთის ვეება ქვეყნების თავის იმპერიისათვის შემოერთების საქმეში. ამ ქვეყნებში მცხოვრები ხალხი ქალაქებსა და გამაგრებულ ად-

¹¹ Chaoux (tchâoùch).

გილებში რომ ყოფილიყო თავმოყრილი, თურქები მალე იპოვნდნენ მათი შეზღუდვისა და თავის უღელქვეშ მოქცევის გზებს, მაგრამ როგორ დაიურვებ ისეთ ხალხს, რომელიც ყოველ თვეში ადგილს იცვლის და მთელი სიცოცხლე თავის ქვეყანაში მომთაბარეობს? რომ არ დამავიწყდეს ყველა ის ქვეყანა, რომელიც დღეს მხოლოდ თურქებს უხდის ხარკს, დროდადრო ხარკს უხდის აგრეთვე სპარსეთსაც, რადგანაც სპარსეთის მონარქებმა იციან, თუ როგორ იყოლიონ ისინი შიშის ქვეშ – ჯარებს აგზავნიან ხოლმე იქ. აბას დიდი მთელი თავისი მეფობის განმავლობაში, 1627 წლამდე¹⁹⁹), ზუსტად და თან გაურჯელადაც იღებდა მათგან ხარკს. ხარკი შედგებოდა აგრეთვე ორივე სქესის ყმაწვილებისაგან, რომელთაც კოლხიდა სპარსეთს აძლევდა უხსოვარი დროიდან. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვისპირეთის ამ მიდამოებში ყველა საუკუნეში იბადებოდა დიდი რაოდენობით კარგი ჯიშის ხალხი.

სამეგრელოს მთავარი, რომელიც ამჟამად ზეობს²⁰⁰), მერვეა მას შემდეგ, რაც სამეგრელო იმერეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა. ამ მთავრებს ყველას ჰქვია „დადიანი“¹², რაც ნიშნავს „მა-

რთლმსაჯულების გამგებელს“; სიტყვა „დად“¹³ სპარსულია და ნიშნავს „მართლმსაჯულებას“; აქედან გამომდინარე, პირველ სპარსელ მეფეებს ერქვათ „ფიშ-დადიან“¹⁴, ე. ი. პირველი მსაჯული“. ამით აღნიშნავდნენ, რომ ისინი ამ დიდი ქვეყნის პირველი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ხალხმა ამოირჩია. მართლმსაჯულების შესასრულებლად და თითოეული ადამიანის ქონების დასაცავად. იმერეთის ხელისუფალი ატარებს მეფის ტიტულს. „მეფე“¹⁵ და „დადიანი“ ორთავენი თავიანთ თავს თვლიან მეფისა და წინასწარმეტყველ დავითის შთამომავლებად. საქართველოს უწინდელი მეფეებიც ამასვე ამბობდნენ; ასევე საქართველოს ხანიც ტიტულატურაში თავის თავს მეფე სოლომონ დიდის შვილის შთამომავლად იხსენიებს. იმერეთის მეფე გაგზავნილ წერილებში თავისთავს უფრო მედიდური ტიტულებით ამკობს: მეფეთ მეფედ იწოდება.

როდესაც ჩვენი ხომალდი დადგა ისგაურის რეიდზე, როგორც უკვე ვთქვი, ჩამოვედი ნაპირზე ბერძენ ვაჭართან ერთად, რომელიც თან მახლდა. იმედი მქონდა, რომ ვნახავდი სახლებს, ცოტაოდენ ხორავს და რაიმე დახმარებას მივიღებდი. ეს იმედი არ იყო მთლად

¹² Dadian (dâdyân). ¹³ Dad (dâd). ¹⁴ Pich-Dadian. ¹⁶ Meppe.

უსაფუძვლო, რადგან ნავსადგურში შვიდი ხომალდი დავინახე, მაგრამ ძლიერ მოვტყუვდი. იქ ვერაფერი ამგვარი ვერა ვპოვე. ისგაურის სანაპირო მთლიანად ტყით არის დაფარული. ნაპირიდან ას ნაბიჯზე არის მოედანი, რომელიც სიგრძით ორას ორმოცდაათი ნაბიჯია, სიგანით კი – ორმოცდაათი. ეს არის სამეგრელოს დიდი ბაზარი. აქ გადის ქუჩა, რომლის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია ორასამდე, ერთიმეორეზე გადაწნული ხის ტოტებისაგან გაკეთებული პატარა ქოხი. თითოეული ვაჭარი ერთ ქოხს იკავებს, ბინავდება შიგ და იქვე მართავს დუქანს, სადაც ისეთი საქონელი აქვს, რომელიც ორ-სამ დღეში შეიძლება გაიყიდოს. ნაყიდ საქონელს და იმ სავაჭროს, რომლის დაუყოვნებლივ გაყიდვის იმედი არა აქვთ, ინახავენ გემზე, რადგანაც ხმელეთზე მათი შენახვა ნაკლებად საიმედოა. ბაზარზე სხვა არაფერია. არც ერთი გლეხის სახლი ახლომახლო მიდამოებში არ არის. ჩემმა თანამგზავრმა ბაზარში მოსულ რამდენიმე კაცს სთხოვა, რომ მეორე დღეს მოეტანათ ღომი – მარცვლეული, რომელსაც პურის მაგივრად იყენებენ, ღვინო და სხვა სურსათი. გლეხები დაგვპირდნენ, მაგრამ არაფერი მოიტანეს. მე ძალიან გამიკვირდა, თანაც შევწუხდი, რომ ვერაფერი ვიშოვეთ, რადგან ჩვენი საგზლის მარაგი ამოიწურა, ხოლო ამ ბაზარზე კი არაფერი იყო, გარდა ბორკილებიანი ტყვეებისა და თორმეტიოდე ში-

შველ-ტიტველი გლახისა მშვილდ-ისრით ხელში, რომლებიც შიშისმომგვრელი იყვნენ. ესენი საბაჟოს ზედამხედველებს წარმოადგენდნენ. ჩემს გაცემას და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ თურქები და გურიის მთავარი თავიანთი ჯარებით სამეგრელოს დასალაშქრად მოემშურებოდნენ, თითოეულ მათგანს იარაღი აელო ხელში და იწყებდა ბრძოლას; ისინი ძარცვავდნენ თავიანთი მეზობლების სახლებს და ყველგან, სადაც კი წააწყდებოდნენ, იტაცებდნენ ადამიანებსა და პირუტყვს. დიდი იმედი მქონდა სამეგრელოში მყოფი თეათინელი ბერებისა, როდესაც აქ ჩამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მათ ექნებოდათ სახლი, სადაც შევძლებდი უშიშრად დაბინავებას და ისინი მალე გამამგზავრებდნენ სპარსეთში. ისგაურიდან მათი სახლი ხმელეთით ორმოცი მილის სიშორეზე იყო, ხოლო ზღვით – ორმოცდათხუთმეტის. მისიონის პრეფექტს კაცი გავუგზავნე წერილით, რომლითაც ვაცნობე, რომ ჩამოვედი სამეგრელოში, სპარსეთში მივდივარ მნიშვნელოვანი საქმეების გამო და მაქვს სარეკომენდაციო წერილები მასთან საფრანგეთის ელჩისა,

206

გენუის რეზიდენტისა, საბერძნეთის კაპუცინების²⁰¹) წინამძღვრისა და კონსტანტინოპოლში თეათინელების წარმომადგენლისა... ვთხოვდი დაუყოვნებლივ გამოეგზავნა ვინმე, რომელიც გასამგზავრებლად სათანადო პირობებს შემიქმნიდა. ვფიქრობდი შიკრიკს ფულით დავიქირავებდი, მაგრამ მან გასამრჯელოდ ტილო მოითხოვა. ჩემი გამყოლი შეუთანხმდა, რომ ცისფერი ტილოს ორ ნაჭერს მისცემდა მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ორდღენახევარში დაბრუნდებოდა უკან. ეს ორი ნაჭერი ტილო კაფაში ორი ფრანკი ღირდა. გემზე დავბრუნდი ძაალიან დანადვლიანებული და შეწუხებული, რადგანაც ისეთ ქვეყანაში აღმოვჩნდი, სადაც არავითარი სურსათი არ იყიდებოდა, სადაც ფულს გასავალი არ ჰქონდა და სადაც საცხოვრებლად ბინის შოვნაც კი არ შეიძლებოდა. უამრავი ტყვე ყველა ასაკისა და ორივე სქესისა, ერთნი ბორკილგაყრილნი, მეორენი ერთმანეთზე ორ-ორად გადაჯაჭვულნი, ავაზაკური და კაცისმკვლელის სახის მქონე საბაჟოს ზედამხედველები საშინელ შიშს მგვრიდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც ყოჩაღად ვიყავი და ვცდილობდი რამდენადაც შემეძლო გამეფანტა ჩემი შიში.

ეს მწუხარება არავისთვის გამიმჟღავნებია, არც ჩემი ამხანაგისათვის და არც ჩემი მოსამსახურეებისათვის. მხოლოდ ვთქვი, რომ თუმცა კი დამპირდნენ სურსათს, მაგრამ საჭიროა მომჭირნეობით ვიკმაროთ ის ცოტა რამ, რაც დარჩენილი გვაქვს-მეთქი.

ომიანობის ხმამ, რომლის შესახებაც უკვე ვთქვი, ხელი არ შეუშალა ჩვენი გემის ვაჭრებს; მეორე დღეს გათენებამდე გადმო-

ბარგდნენ ხმელეთზე, თითოეულმა მათგანმა დაიკავა თითო ქოხი და თავისი საქონელი იქ მიიტანა.

18-ში შუადღისას ჩემი გამყოლი მოვიდა გემზე და თეათინელების პრეფექტის პასუხი მომიტანა; იგი მოკლე იყო. მითვლიდა, ორ-სამ დღეში ნავით მოვალ თქვენს გემთან და რაც კი შემძლია ყველაფერს გავაკეთებო.

19-ში საღამოს ისგაურში თავის შესაფარებლად გამოქცეულმა უამრავმა გლებმა მოიყარა თავი და ატყდა საშინელი განგაში. თქვეს, რომ აფხაზები, რომლებიც სამეგრელოს მთავარმა მოიწვია თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარედ, არბევენ და, სწვავენ ყველაფერს, იტაცებენ ხალხს და პირუტყვს და რომ ისინი შორს არ არიან ნავსადგურიდანო. ყველამ სასწრაფოდ იწყო, რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფრის გადატანა გემების ნავებზე. გვიანდა იყო – გემები ერთი მილის სიშორეზე იდგნენ ნაპი-

207

რიდან, ამიტომ მხოლოდ ორი გზის გაკეთება მოახერხეს. თითოეულმა კაპიტანმა ხმელეთზე ორ-ორი ცალი ზარბაზანი გააგზავნა. ისინი ბაზრის მისასვლელთან დადგეს და მთელი ღამე იარაღთან გაათენეს. არ შემძლია გამოვთქვა ის დიდი მწუხარება, რომელშიც ჩამაგდო ამ უბედურმა და მოულოდნელმა შემთხვევამ. ვგრძნობდი, რომ დავკარგე წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი უნარი. განსაკუთრებით სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო კაპიტანის განცხადებამ, რომ ჯერ აფხაზებსა და ჩერქეზებთან წავიდოდა სავაჭროდ და შემდეგ დაბრუნდებოდა კაფაში. ეს ნიშნავდა ზღვაზე სამი თვის გატარებას და უკან დაბრუნებას მხოლოდ წლის დამლევისათვის. ამ წინადადებით თვალწინ მესახებოდა მდგომარეობის გაუარესება, დაღუპვის საშიშროება, სურსათის უკმარობა, მისი შოვნის აშკარა შეუძლებლობა. მაგრამ ყოველივე ეს, რასაც გარკვევით ვხედავდი, უნდა განვაცხადო, მაინც არ იყო ის, რაც ყველაზე მეტად მაწუხებდა. მე ის უფრო მაფიქრებდა, რომ ჩემი მეგობრების ქონება, რომელიც, ჩემი აზრით, თითქოს უკვე გადურჩა შავ ზღვას და თურქეთს, კვლავ საფრთხეში უნდა ჩავარდნილიყო და მომიხდებოდა გადამეტანა საყვედურები და ზიზღი ადამიანებისა, უნდა მომესმინა, თუ როგორ დამდებდნენ ბრალად ამ მოულოდნელ შემთხვევებს და ჩემს გაუფრთხილებლობას მიაწერდნენ ასეთი უბედური მოვლენების ურთიერთდამთხვევას. სასოწარკვეთილება კიდევ უფრო გამიღრმავა ჩემი მსახურების გულგატეხილობამ, წყევლა-კრულვამ, რომელსაც ისინი უგზავნიდნენ ზოგი თავის ბედს, ზოგი ქვეყანას, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, სხვები კი იმ ადამიანებს, რომლებაც მე შთამაგონეს შავ ზღვაზე მემოგზაურა. ესრთი სიტყვით, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, რომ სიკვდი-

ლის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. მაგრამ ღმერთმა მოწყალება გამოიღო და გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან; მან მხნეობა შთამაგონა. მე გულს ვუმაგრებდი ჩემს ხალხს მაგრამ მათ მოთმინება დიდხანს არ ყოფნიდათ, რადგან შიმშილი, რომელიც ჩვენ გვაწუხებდა დროდადრო, მათში უხეშ გულფიცხოვას იწვევდა.

20-ში რეიდზე მღვარი ჩვენი და სხვა გემების ხალხი კვლავ გაემზადა სამგზავროდ. ირჩიეს დაეტოვებინათ მატყლი, მარილი, ფაიფური და სხვა მსგავსი საქონელი, ვიდრე ტყვედ ჩავარდნოდნენ აფხაზებს, რომლებიც, როგორც ამბობდნენ, ახლო იყვნენ და მართლაც ისინი ახლოს ყოფილან, რადგანაც საღამოს ათ საათზე მთელი ბაზარი ცეცხლში გახვეული დავინახეთ; მეორე დღეს, დი-

208

ლით, როდესაც ხალხი ამ ადგილისაკენ გაეშურა, მათ ვერაფერი ნახეს ფერფლისა და ნახანძრალის გარდა.

როგორც კი ჩვენი ვაჭრები ნაპირზე ჩამოვიდნენ, შევეცადე მათგან მეყიდა ორცხობილა, ბრინჯი, ერბო, ხახვი და ხმელი ბოსტნეული; მაგრამ არავის სურდა არაფრის გაყიდვა იმის შიშით, რომ კაფაში დაბრუნების საშუალება აღარ ექნებოდათ. ბოლოს ფულმა იმძლავრა და შევძელი რამდენიმე ვაჭრისთვის გამომეგლიჯა სამოცი გირვანქა ორცხობილა, ცოტაოდენი ბოსტნეული, რვა გირვანქა ერბო და თორმეტი გირვანქა ბრინჯი. ეს მეტისმეტად ცოტა იყო ადამიანისათვის, მაგრამ მომჭირნეობის შედეგად უფრო დიდხანს გვეყო, ვიდრე ვფიქრობდი. გემზე უხვად იყო გამხმარი თევზი და ჩვენ თითქმის სხვას არაფერს ვჭამდით. ძალიან კმაყოფილი დავრჩი, როდესაც მხლებლებს უპუროდ მოვამზადებინე საქმელი; ამ თავშეკავებას მე ვთვლიდი ბედნიერი დღის თავგადასავლად.

27-ში დავინახე რა, რომ თეათინელების პრეფექტი არ გამოჩნდა და არ ვიცოდი, თუ რისი იმედი უნდა მქონოდა მისგან, ჩავაგონე ჩემს ხალხს, რომ საჭირო იყო ერთი მათგანი წასულიყო პრეფექტთან, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ჩვენი დაცვა იმ უბედურებისაგან, რომელიც გვემუქრებოდა, მხოლოდ მას შეეძლო ჩვენი გამოყვანა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელიც ყოველდღიურად ორკეცდებოდა. საქმელ-სასმელის ნაკლოვანებამ და უიმედო სასოწარკვეთილებამ უფრო დაარწმუნა ისინი, ვიდრე ჩემმა საბუთებმა. ერთმა მათგანმა თეათინელებთან წასვლის სურვილი გამოთქვა. ჩვენს გემთან იყო ანაკლიიდან¹⁶ მოსული ნავი: ის არის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელი, რომელიც ოცი მილით არის დაშორებული წიფურიადან, სადაც ეს წმინდა მამები ცხოვრობენ. ეს ნავი მარილით დატვირთული ჩამოვიდა. ჩემ მიერ გასაგზავნად გამზადებული მსახური ჩაჯდა ნავში, მივეცი ოთხი

ოქროს დუკატი, ვერცხლი, წვრილმანი საქონელი და გავატანე ყველა სარეკომენდაციო წერილი, რომლებიც თეათინელების პრეფექტისათვის მქონდა. ასე მოვიქეცი იმიტომ, რომ ამდენ პიროვნებათა რეკომენდაციები რომელთაგან ერთნი მაღალი წოდების წარმომადგენლნი იყვნენ, მეორენი კი – თეათინელების პრეფექტის მეგობრები, აიძულებდა მას დაგვხმარებოდა იმ უკიდურეს გაჭირ-

¹⁶ Anarguie.

ვებაში, რომელშიაც ვიმყოფებოდი. მე ვრცლად ავუწერე ჩვენი მდგომარეობა და შევევედრე დაგვხმარებოდა, თუ ექნებოდა ამის შესაძლებლობა. შევუთვალე აგრეთვე, რომ ჩემ მიერ წარმოგზავნილ კაცს ფული აქვს-მეთქი და ვთხოვე გამოეყენებინა იგი თავის სურვილისამებრ. ავუხსენი, რომ მისგან მხოლოდ გარჯას ვითხოვ და რომ აუცილებლად სამაგიეროს მივუზღავ.

4 ოქტომბერს, დილით, ჩემ მიერ გაგზავნილი მსახური დაბრუნდა და თან თეათინელების პრეფექტი მოიყვანა. მე უკვე ვთქვი, რომ მისი სახელი დონ მარი ჟოზეფ დამპია და რომ ის მანტუელია. გავემუშრე მის შესაგებებლად, მივესალმე და გადავეხვიე. აი, მისი პირველი სიტყვები: „ღმერთმა შეუნდოს, ბატონო, იმათ ვინც თქვენ აქ ჩამოსვლა გირჩიათ, და ამით ამ უბედურებაში ჩაგადდოთ... უმჯობესი იქნება, თუ პირველი შემთხვევისთანავე დაბრუნდებით კონსტანტინოპოლში“. ის სიხარული, რომელიც პატრმა თავისი ჩამოსვლით მოგვიტანა, ამ სიტყვებმა სავსებით გააქარწყლა. იგი ჩემს ქოხში შევიყვანე და ჩემი ამხანაგის თანდასწრებით ვიმსჯელეთ, თუ რა უნდა გვეღონა. პირველ ყოვლისა, მაღლობა გადავუხადეთ იმ გარჯისათვის, რომელიც გასწია ასე შორიდან მობრძანებით. მან გვითხრა, რომ იგი დანიშნულ დროზე აპირებდა მოსვლას, მაგრამ აფხაზების თარეშმა და თავდასხმებმა გზები ისე სახიფათოდ აქციეს, რომ მან წამოსვლა ვერ გაბედა. შემდეგ ვუთხარი, რომ მისმა სიტყვებმა, რომლითაც მან მომმართა, როდესაც პატივი დამდო და გადამეხვია, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო და შევევედრე ეთქვა ჩემთვის, იმისათვის ხომ არ იყო ჩამოსული, რომ თავის სახლში წავეყვანეთ. მან მიპასუხა, რომ იგი ჩამოვიდა, რათა გვემსახუროს, როგორც კი ძალუძს და რომ წაგვიყვანს თავისთან, თუ ჩვენ ეს გვსურს, მაგრამ ის მოვალედ თვლის თავს თავს, გაგვაცნოს ის ქვეყანა, სადაც ჩვენ წასვლას ვაპირებთ. მან თქვა, რომ იქ არ არის პური და ამჟამად სურსათი სრულებით არ იშოვებაო. ჰაერი მავნეა... მე მივუგე – სარეკომენდაციო წერილი გვაქვს სამეგრელოს მთავართან-მეთქი. სრლიად არ მიფიქრია იმაზე, რაც ამ პატრმა წარმოგვისხა. ის ხიფათი, რაც სამეგ-

რელოში გვემუქრებოდა, მერმისის საქმე იყო და არ ვიცი რატომ, მაგრამ იმედი მქონდა, რომ მათ აცილებას მოვახერხებდი. ჩემი სატანჯველი აწმყოში იყო, მისგან მქონდა გონება აღვსილი და გული მოწამლული. მე ვუთხარი პატრი ძამპს, რომ უბედურება, რომელიც შეიძლება სამეგრელოში შეგვემთხვეს, ყოველთვის მა-

210

ინც ნაკლები იქნება იმაზე, რომელიც ჩვენ კაფაში დაბრუნების შემთხვევაში მოგველის – აგი უეჭველად დაგვლუპავს-მეთქი. ვაცნობე, რომ ჩვენ არა გვაქვს-მეთქი არც სურსათი და არც საჭმელი, რომ გემი, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით, ძველია და რომ იგი ყოველდღიურად ივსება ორივე სქესისა და ყოველნაირი ასაკის ტყვეებით, რის გამოც განძრევის საშუალებაც აღარ არის, რომ დილიდან საღამომდე ამ გემზე მოდიან აუარებელი აფხაზები და მეგრელები..., რომ გემი ორ თვეს მოუნდება კაფამდე მისვლას. ეს დრო კი შავ ზღვაზე ქარიშხალისა და გრიგალის პერიოდს დაემთხვევა, რომელიც ესოდენ მძვინვარე და ხიფათიანია ამ დროს; თუ წარმოვიდგინებ, რომ ჩვენ მაინც ჩავაღწევთ კაფამდე და კონსტანტინოპოლამდეც კი, ეს ოთხ თვეზე მალე მაინც არ მოხდება. ამის შემდეგ კი ყველაფერი მაინც თავიდან უნდა დავიწყოთ, ესე იგი, კვლავ უნდა ვემებოთ გზა თურქეთისაკენ, მოგვიწევს ისევ დაბრკოლებების გადალახვა, ისევ შეურაცხყოფა, იძულებითი საბაჟო გადასახადები; დაბოლოს, ამ დროის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ ვიქნებით დალუპვის პირამდე მისული; ასე რომ, სჯობს გადავიტანოთ ხიფათი სამეგრელოში, სადაც იგი უფრო დიდი არ იქნება და ამასთანავე არც ხანგრძლივი, რადგან სულ ოთხი დღის სავალი გზა გვექნება, ვიდრე სამშვიდობოს მივაღწევდით-მეთქი.

პატრი ძამპიმ არ უარყო არც ერთი ჩემი მოსაზრება. ჩვენი ჩამოსვლა როგორც პირადად პატრი ძამპისათვის, ისე მისი მისიონისათვის მხოლოდ კარგის მომასწავებელი იყო. იგი ახლა მხოლოდ ჩვენს წყევანაზე ლაპარაკობდა, იმაზე, თუ როგორ გავცლოდით საბოლოოდ გემს. ნავი, რომლითაც იგი ჩემმა მსახურმა მოიყვანა, ნუშასავით გრძელი იყო, მაგრამ უფრო განიერი და ღრმა. ის დაქირავებული იყო ორივე მიმართულებით სამგზავროდ. ჩავსხედით მასში მთელი ჩვენი ბარგით და სურსათით, რომელიც პატრმა ძამპიმ ას ეკიუდ გვაყიდინა გემზე. მე თვითონ ვთხოვე მას ამის შესახებ, რადგან მან უკეთ იცოდა, თუ რა უფრო ფასობდა სამეგრელოში, სადაც, როგორც უკვე ვთქვი, ფულს ისეთი გასავალი არა აქვს, როგორც საქონელს. ჩვენი ბარგი შუა დღემდე გადავტვირთეთ და მაშინვე გავუდექით გზას. ძალიან მიხაროდა, რომ შორს ვიყავი გემიდან, რომლის მყრალი სუნის ატანა უკვე აღარ შემემლო და არც ყურება იმ საზიზღარი ცხოვრებისა და სამარც-

ხვინო ვაჭრობისა, რომელიც იქ ხდებოდა. იგი კლოაკა და ტყვეების საპყრობილე იყო. ტყვეებს, მათ შორის ყმაწვილებსაც, ყოველ-

სალამოს ჯაჭვით წყვილ-წყვილად აბამდნენ; დილით ჯაჭვებს ხსნიდნენ. ეს ხმაური მოსვენებას მიკარგავდა და გულს მიწყალებდა. ყოველ დილას ნაპირზე ცეცხლს ვხედავდით. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იქ უკვე მიყვანილი ჰყავდათ ტყვეები ან სხვა საქონელი გასაყიდად. გემიდან გზავნიდნენ ნავს. ვისაც სურდა გემზე მისვლა, ცხდებოდნენ ნავში და თან მოჰქონდათ თავიანთი საქონელი, ამოდოდნენ გემბანზე და იწყებოდა ვაჭრობა. ომი სამეგრელოში მეტად ხელსაყრელი იყო ჩვენი ვაჭრებისათვის, რადგან აფხაზებს მათთან მოჰქონდათ გასაყიდად ნადავლი. ერთხელ ჩვენს გემზე მოვიდა მაღალი წოდების აფხაზი, შვიდი თუ რვა კაციანი ამალით... მას სამი ტყვე მოჰყავდა. ამაღას კი მოჰქონდა ნადავლი; მრავალნაირ საქონელს შორის იყო ხატის ვერცხლის ჩარჩო. ჩვენს შეკითხვაზე, თუ სად იყო თვით ხატი, მათ გვიპასუხეს, რომ ხატი ეკლესიაში დატოვეს, ვერ გაბედეს მისი წამოღება, რადგან შეეშინდათ, ხატს არ დაეხოცა ისინი.

ჩვენ გემზე იმ დროისათვის, როდესაც მე იგი დავტოვე, ორმოცი ტყვე იყო. კაპიტანი, თურქი და ქრისტიანი ვაჭრები მათ ცვლიდნენ იარაღზე, მრავალგვარ წვრილმანებსა და სხვა საქონელზე. ისინი აძლევდნენ ყველაფერს, რასაც კი მოსთხოვდნენ და მაინც ორჯერ მეტ მოგებას ნახულობდნენ. მამაკაცები, ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ. ორმოცზე მეტი ხნისა – რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები – ცამეტიდან თვრამეტ წლამდე – ოცი ეკიუ. სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები – თორმეტად, ბავშვები – სამ ან ოთხ ეკიუდ. ერთმა ბერძენმა ვაჭარმა, რომელსაც ბინა ჩემი ოთახის გვერდით ჰქონდა, ქალი ძუძუთა ბავშვით იყიდა თორმეტ ეკიუდ. ქალი იქნებოდა ოცდახუთი წლისა. ჰქონდა ულამაზესი ნაკვთები და ნამდვილი შრომანისფერი პირისახე. არასდროს მინახავს ასეთი ლამაზი გულმკერდი, ასეთი მრგვალი ყელი და საოცრად ნაზი ფერხორცი. ეს ლამაზი ქალი ერთდროულად ვნებასაც და სიბრალულსაც იწვევდა, ნაღვლიანად ვუყურებდი მას და ვფიქრობდი: უბედურო ტურფავ, შენ არ გამოიწვევდი ჩემში არც სიბრალულსა და არც ჟინს, მე რომ სხვა მდგომარეობაში ვიყო და თვითონ არ ვიყო მისული უდიდესი უბედურების პირამდე, თუ შეიძლება რომ მონობაზე მეტი უბედურება არსებობდეს. მე გამაოცა იმ გარემოება, რომ ეს ბედკრული ქმნილებანი არ იყვნენ გულმოკლულები და შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ თითქოს ვერც კი გრძნობდნენ

თავიანთ ბედუკუღმართობას. როგორც კი იყიდდნენ, მათ მაშინვე გახდიდნენ მონძებს, რომლებშიც იყვნენ გახვეულები, აცმევდნენ ახალ საცვლებს და ტანსაცმელს და აწყებინებდნენ მუშაობას. კაცებს და ბიჭებს ასრულებინებდნენ გემზე სამუშაოებს, ქალებს და ქალიშვილებს კი საკერავს აძლევდნენ. თითქოს ყველა კმაყოფილი ჩანდა ტანსაცმლითა და საჭმლით, რომელსაც მათ აძლევდნენ, სამუშაო კი დიდი ტანჯვა იყო მათთვის; ხშირად ჯოხით აიძულებდნენ ემუშავათ. რამდენიმე დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი მათ... და ჩემთვის ცხადი გახდა, რაც აქამდე გაუგებარი იყო, კერძოდ ის, რომ ჰარამხანები მათთვის წარმოადგენს შშვიდ და მყუდრო საპრობილეს. მაშინ მე მივხვდი, რომ ისეთ არსებათათვის, როგორც მეგრელი ქალები არიან, უდიდეს სიამოვნებას უნდა წარმოადგენდეს მთელი დღეების განმავლობაში მუხლებზე თავჩარგული უქმად ჯდომა. ასეთმა ქალებმა, ვფიქრობდი მე, ცუდად არ უნდა იგრძნონ თავი კარგ სახლებში, დიდი ბალებით, სადაც მათ უხვად ექნებათ ყველაფერი, რაც არსებობისათვის საჭიროა და სადაც არაფერს არ გააკეთებენ. მაგრამ ასე მხოლოდ ლამაზ ქალებს ექცევიათ, სხვებს კი, პირიქით, როგორც ვთქვი, ჯოხის შიშით გამუდმებით ამუშავებენ. მე მგონია, რომ საბერძნეთის რესპუბლიკის დროს მეგრელი და ჩერქეზი ქალები ბერძენ ქალებს სილამაზით დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ, რადგან მხოლოდ იაზონი²⁰²) ჩამოვიდა ამ მხარეში ქალების წასაყვანად; ახლა კი სხვა ვითარებაა – დღეს აღმოსავლეთის ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ ქალებისათვის და ფასი, რომელსაც ისანი ამ ქალებში იხდიან, მათ ნამდვილ ოქროს საწმისად აქცევს.

ქროდა ზურგის ქარი ჩვენი პატარა ნავი იალქნებისა და ნიჩბების საშუალებით მიცურავდა. მეზავრობის დროს მე მოველაპარაკე პატრ ძამპს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც უნდა მიგველო, რათა მტერს არ ჩავვარდნოდით ხელში, მეგრელებს არ დაგვხოცეთ და არ გაგვძარცვეთ. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა იმ პიროვნებებზე, რომელთა წერილები მას გავუგზავნე. მან მითხრა, რომ საფრანგეთის ელჩის წერილი იყო იმ წერილის ასლი, რომელიც მან ძამპს გასულ წელს მოსწერა, რათა წერილობითი ცნობები ჰქონოდა კოლხების სარწმუნოების შესახებ. მან გადმომცა ეს წერილი წასაკითხად. მე წავიკითხე და გაოცებული დავრჩი ამ სარეკომენდაციო წერილში, რომელიც ძამპისათვის გადასაცემად მოგვექონდა, ჩვენ მოხსენებული კი არ ვიყავით. საგონებელში ჩა-

ვვარდი იმის გამო, რომ პატრი ძამპს ეჭვი არ შეეტანა ელჩის ჩვენ-

დამი კეთილგანწყობილებასა და პატივისცემაში, ამიტომ ვცადე დამერწმუნებინა იგი ამაში და იძულებული გავხდი მეჩვენებინა მისთვის წერილი, რომელიც ელჩმა სამეგრელოს მთავრისათვის გადასაცემად გამოგვატანა. აი, მისი ასლი:

„დიდად სახელგანთქმულო მთავარო,

ჩემმა მეუფემ, საფრანგეთის იმპერატორმა,²⁰³) მიბრძანა, მისი მფარველობით დავიცვა თქვენი ინტერესები ოტომანთა კარზე, ყველა იმ საკითხებში, რომელიც კი შეიძლება წამოიჭრას. მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება დაგარწმუნოთ ამაში არა მარტო ამ წერილით, არამედ იმიტაც, რასაც ამ წერილის მომტანი ბატონები შარდენი და რეზენი პირადად გადმოგცემენ. დიდად დამავალბებთ, თუ ირწმუნებთ მათ ნათქვამს, იმ პატივის გავლენით, რომელიც მე მათ დავდე ამ დავალების მიცემით. იმედი მაქვს, რომ დაეხმარებით და მფარველობას გაუწევთ აღნიშნულ პირებს ყველაფერში, რაც დამოკიდებული იქნება თქვენს ძალაუფლებაზე, იმ დროის განმავლობაში რომელსაც ისინი თქვენს კარზე გაატარებენ და მაშინაც, როდესაც მოისურვებენ თქვენი სამფლობელოს დატოვების, სპარსეთში გასამგზავრებლად. ვიმედოვნებ, რომ სიამოვნებით გაიღებთ მათდამი ამ წყალობას, ისევე როგორც ჩემდამი ნდობით გააკეთებდით ამასვე ჩემთვის.

სახელგანთქმულო მთავარო

თქვენი დიდად თაყვანიცემელი და უმორჩილესი მსახური დე ნუანტელი

მისი უდიდებულესობის საფრანგეთის უქრისტიანესი იმპერატორის ელჩი ოტომანთა კარზე“.

შუალამისას ჩავედით მდინარე ასტოლფის²⁰⁴) შესართავთან. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან; იგი სამეგრელოს ერთი დიდ მდინარეთაგანია. ჩვენ აქ შევჩერდით და ორი მენავე გადავაგზავნეთ ანაკლიაში, რათა ცნობები შეეკრიბათ მტრის შესახებ, თან შეეტყოთ, რას აკეთებდნენ მცხოვრებლები, ხომ არ გაქცეულა. ანაკლია სოფელია, რომელიც ზღვიდან ორი მილით არის დაცილებული. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია სამეგრელოში. აქ ასამდე სახლია, რომლებიც იმდენად შორიშორსაა ერთმანეთი-

საგან, რომ პირველი სახლიდან ბოლო სახლამდე მანძილი ორ მილს შეადგენს. ამ სოფელში ყოველთვის არიან ტყვეების შემსყიდველი თურქები და ნავები, რომლითაც მიყავთ ისინი. ამბობენ, რომ ეს

სოფელი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც ოდესღაც დიდი ქალაქი იყო, რომელსაც ჰერაკლეა⁷ ერქვა²⁰⁵).

5-ში, გათენებისას, ეს ორი მენავე დაბრუნდა და მოიტანეს ამბავი, რომ აფხაზები ანაკლიის ახლო მიდამოებს არ დასცემიან, რომ ისინი ანაკლიასთან თხუთმეტ მილზე ახლოს არ მისულან და რომ ყველაფერი წესრიგში არისო. პატრმა ძამპიმ სწრაფად მოუსვა ნიჩბები, რათა მალე მიგვეღწია სოფლამდე და შეუმჩნევლად გადმოგვეტვირთა ბარგი. ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც სასურველი იყო. ჩვენ დავბინავდით ერთ გლეხთან, რომელიც ყველაზე უკეთ იყო მოწყობილი ამ სოფელში. გვქონდა ბევრი სკივრი, რომელთაგან ყველაზე დიდი წიგნებით იყო სავსე. პატრმა ძამპიმ მირჩია, როგორც კი დავბინავდებოდით, გამეხსნა იგი, ამომელაგებინა ყველაფერი ისე, თითქოს რამეს ვეძებდი, რათა იმ ხალხს, ვისთანაც გავჩერდით, არ ეფიქრა, რომ ამ სკივრებში განძეულობა ინახება და გავერცელებინა ხმა, რომ ჩვენ ბერ-მონაზვნები ვიყავით და წიგნების მეტი არა გაგვაჩნდა რა. მე შევასრულე ეს რჩევა და თავს კარგადაც ვგრძნობდი. მასპინძლები გაცებულნი დარჩნენ იმის გამო, რომ ამოდენა სკივრებში წიგნების გარდა არაფერი იყო.

9-ში ერთი თეათინელი მორჩილი მოვიდა ჩვენ სანახავად. ეს იყო მთელი სამეგრელოს დასტაქარი და მკურნალი. იგი ძლიერ ამაცობდა იმით, რომ თავისი ხელობის წყალობით მიღებული იყო მთავართან და ყველა წარჩინებულთან. არაფრად აგდება არც პატრებს და არც პრეფექტს. მისი მოქმედება და სიტყვები გამსჭვალული იყო ზედმეტი ყოყლოჩინობით. მე მას ისე მოვექეცი და მივიღე, როგორც მის პატივმოყვარეობას ეამებოდა. იგი დამპირდა, რომ დახმარებას და მფარველობას გაგვიწევდა და გვაცნობებდა აფხაზების წასვლის ამბავს, როგორც კი ამაში დარწმუნდებოდა. მან ეს დაპირება შეასრულა. 13-ში მოვიდა, რათა ეცნობებინა ჩემთვის ფრიად სასიამოვნო ამბავი. გვითხრა, რომ წინადღით ის მთავართან ყოფილა, სადაც ეს ამბავი მისთვის უთქვამთ. გვიამბო აგრეთვე, რომ აფხაზებს წაუყვანიათ ათას ორასი კაცი, ბევრი პირუტყვი და დიდი ნადავლი წაუღიათ; დაურბევიათ ერთი თეათი-

¹⁷ Heraclée

ნელის სახლი, საიდანაც სამი ტყვე წაუყვანიათ. სამეგრელოს მთავარს აფხაზეთის მთავრისათვის ორი წარჩინებული პირი გაუგზავნია და საყვედური და მუქარა შეუთვალა, მისი ვერაგული მოქმედების გამო, რადგანაც სამეგრელოში აფსაზეთის მთავარი მოსულიყო აღთქმითა და ფიცით, რომ სამეგრელოს თურქებისაგან და-

იცავდა. სინამდვილეში კი თავისი ლაშქარი გამოიყენა ამ ქვეყნის დასარბევად და ასაოხრებლად და ისე გაბრუნდა, რომ მის სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებია. მაცნობა რა ეს ახალი ამბები, მან პატრი ძამძის უთხრა, რომ ჩვენ ყველას შეგვეძლო წავსულიყავით მასთან სახლში – წიფურიაში; გვითხრა აგრეთვე, რომ მას მთავრისა და კათალიკოსისაგან ნაბრძანები აქვს მე და ჩემს ამხანაგებს მათი სახელით მოგვილოცოს კეთილად ჩამობრძანება და რომ ისინი მოგვეცემენ კაცებს და ცხენებს საქართველოში წასასვლელად. გადავწყვიტეთ მეორე დღესვე აბარება.

ანაკლიაში ცხოვრების დროს საჭმლის ნაკლებობა არ განმიცდია; ფრინველის, გარეული მტრედების, ღორისა და თხის შოვნა შეიძლებოდა. ჩემი მსახურები ყოველივე ამას იღებდნენ ტილოს, ნემსების, საკმეველის, სავარცხლების და დანების სანაცვლოდ. სურსათი საკმაოდ იაფი იყო. ღვინო უხვად გვექონდა, რადგან რთველის დრო იყო. მხოლოდ პური გვაკლდა. ანაკლიაში ცხოვრობდა ერთი წარჩინებული ქალბატონი, სამეგრელოს მთავრის ვეზირის ქვრივი²⁰⁶), რომელიც ახალი დასახლებული იყო აქ. პატრმა ძამძიმ მიმიყვანა მასთან. მას მცირედი საჩუქარი მივართვი. მადლობის ნიშნად და კიდევ ახალი საჩუქრების მისაღებად ეს ქალბატონი ყოველდღიურად მიგზავნიდა ნახევარ გირვანქა პურს სხვა სურსათთან ერთად. მაგალითად, ერთხელ გამომიგზავნა გარეული ლორი, მეორედ – ცვილის ნაჭერი, შემდეგ თაფლი, ხოხობი. მიგზავნიდა რა ამ მოსაკითხებს, ყოველთვის მთხოვდა რაიმე წვრილმანს, დანას, მაკრატელს, ბაბთას, ქალაღს და, ამრიგად, ორმაგს მახდევინებდა თავის მოსაკითხში. ერთ დღეს ჩემს სანახავად თვითონ მოვიდა და ბევრი მოთაფლული სიტყვა მითხრა, თანაც უფრო მეტი საჩუქარი მთხოვა. ასეთი ვაჭრობა არ მსიამოვნებდა, მაგრამ ვითმენდი, რათა მქონოდა პური, რადგან არ ვიცოდი სხვაგან სად შეიძლებოდა მისი შოვნა.

პატრმა ძამძიმ კაპუცინად გამომაცხადა. ამბობდა, რომ საქართველოში მყოფი კაპუცინების სანახავად არისო ჩამოსული და თურქეთში რომ არ ეცნოთ და უშფოთველად გაევილო ეს ქვეყანა,

216

ამიტომ არისო გადაცმული. ეს თვალთმაქცობა რომ სიმართლეს დამსგავსებოდა, დამარიგა ღარიბულად შევმოსილიყავი და თავი გლახაკად გამესაღებინა. მე საკმაოდ კარგად ვასრულებდი ამ როლს, მაგრამ ჩემი მსახურების საქციელი ხელს მიშლიდა. ჩემ მიერ მიღებულ ზომებს ეწინააღმდეგებოდა ის, რომ ისინი ეტანებოდნენ საჭმელ-სასმელს. სადაც კი კარგ საჭმელს ნახავდნენ, ყველაფერს ყიდულობდნენ და რა ფასიც არ უნდა მოეთხოვათ მათთვის – იხდიდნენ. ერთი სიტყვით, გადაჭარბებით ინაზღაურებდნენ წარ-

სულში საჭმელ-სასმელის დანაკლისს. ეს ხელგაშლილობა ხალხს აფიქრებინებდა, რომ მე არც ისე ღარიბი ვიყავი, როგორადაც თავი მომქონდა.

14-ში, განთიადამდე ორი საათით ადრე, ანაკლიიდან გავედით, მდინარე ასტოლფის აყოლებით გავიარეთ ორი მილი, რის შემდეგაც მთელი ჩვენი ბარგი გადავტვირთეთ ექვს ურიკაზე. სურსათი, რომე ლიც პატრი ძამპიმ იყიდა, ორ სხვა ურიკაზე მოვათავსეთ. რვა დატვირთულმა ურიკამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში. აქ ხალხი ჩვეული არ არის ამდენი ქონების ერთად ნახვას. ორ დღეში, მთელ სამეგრელოში ხმა გავარდა, რომ ჩამოვიდნენ ევროპელები, რომელთაც რვა დატვირთული ურემი ბარგი აქეთო. ამ ამბავს ისე დაწვრილებით ყვებოდნენ, რომ იგი გახდა მიზეზი ჩვენ თავს დატეხილი მრავალი უსიამოვნებისა, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ. ჩვენ გავიარეთ ხმელეთით ოთხნახევარი მილი და მზის ჩასვლისას წიფურიაში ჩავედით.

წიფურია ორი პატარა ეკლესიის სახელია, რომელთაგან ერთი მეგრელებისაა, ხოლო მეორე თათინელებს ეკუთვნის. ეს ეკლესია მისცეს თეათინელებს შემოღობილ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ეკლესია იდგა. მიწის ნაკვეთი დიდია. თეათინელებმა აქ გააშენეს ადგილობრივი ტიპის ხის სახლები. ზოგი ორსართულიანი და ზოგიც ერთსართულიანი. თითო ბერს თითო ასეთი ბინა აქვს საცხოვრებლად. ასე რომ, ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ყველაზე პატარა ქოხები სავსეა მათი ტყვეებით. აქვეა მათი მოჯალაბე გლეხების ორი ოჯახი.

თეათინელები სამეგრელოში 1627 წ. მოვიდნენ²⁰⁷). ისინი მიიღეს როგორც მკურნალნი. მთავარი, რომელიც ამ დროს სამეგრელოს მართავდა, ძლიერი ყოფილა²⁰⁸), მისთვის უთქვამთ, რომ მისი ქვეყნისათვის მეტად სასარგებლო იქნებოდა, თუ ეს ხალხი რომლებსაც ისეთი საჭირო ხელობა აქვთ, როგორიც ადამიანის ჯანმრ-

რთელობის დაცვაა, დასახლდებოდა აქ. მთავარმა მიიღო თეათინელები, მისცა მათ ბინა, რომელიც მათ ახლაც აქვთ, მიწები, გლეხები მიწის დასამუშავებლად და პური და ღვინო ოჯახების შესანახად. ოცდაერთი წლით ადრე კონსტანტინოპოლელმა იეზუიტებმა²⁰⁹) ორი თავისი თანამომე გამოგზავნეს ამ ქვეყანაში, მაგრამ ისინი მალე აქვე გარდაიცვალნენ, რამაც სხვები შეაშინა, ამიტომ აღარავინ მოისურვა აქ ჩამოსვლა. წარსულ წლებში თეათინელებს ჰქონდათ სახლები სათათრეთში, საქართველოში, ჩერქეზეთსა და იმერეთში. ეს სახლები მთლიანად განადგურდა და თეათინელებმა დატოვეს ეს ადგილები, დარწმუნდნენ რა, რომ რომის სარწმუნოება აქ ფეხს ვერ მოიკიდებდა, ხოლო მკურნალობა, რაც თავის

პროფესიად გაიხადეს, უმძიმდათ. თეათინელები მარწმუნებდნენ, რომ ისინი ამავე მოსაზრებით დიდი ხნის წინათ კოლხიდასაც დასტოვებდნენ, მაგრამ რჩებიან აქ რომის ეკლესიის პატივისცემისათვის, რომლისთვისაც სასახელოა თავისი ხალხი ჰყავდეს მთელი დედამიწის ზურგზე, განსაკუთრებით კი მათი ორდენისათვის, რომელსაც მხოლოდ ეს მისია გააჩნია მთელ ქვეყანაზე და თუ ამასაც ვერ შეასრულებს, იგი დაკარგავს ყოველგვარ პატივისცემასო.

წიფურია ჩემი ჩასვლის დროს ოთხი თეათინელი იყო. სამი მღვდელი და ერთი მორჩილი. მღვდლები მკურნალობას ეწეოდნენ, მორჩილი კი მკურნალიც იყო და დასტაქარიც. ერობაში მისი პროფესია დასტაქრობა იყო. თეათინელები ამბობდნენ, რომ სულიერი საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწევიან ამ ქვეყანაში, მდგომარეობს ბავშვების მონათვლაში, რომლებიც ან ცუდად, ანდა სრულიად არ არიან მონათლულები. ამის გარდა ირწმუნებიან, რომ მეგრელებთან რელიგიის სფეროში ისინი ვერაფერს აკეთებენ, ვინაიდან მეგრელებს შორს უჭირავთ თავი და არ იზიარებენ მათ რიტუალებს. ევროპელები, მათი აზრით, ქრისტიანები არ არიან, რადგან ისინი არ იცავენ ამდენ მარხვას, არ არიან მათსავით მტკიცენი და არ ეშინათ ხატების რისხვისა. თეათინელების საკუთარი ტყვეებიც კი არ ღებულობენ მონაწილეობას რელიგიურ ცერემონიებში მათთან ერთად. თეათინელებმა, როგორც მითხრეს, ვერავის შეაწყვლეს წირვის დროს მომსახურება. ბევრჯერ მინახავს როგორ ნათლავენ ისინი ბავშვებს; ნათლავენ ყველას, ვისაც კი იპოვნიათ სახლებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილან ან არ ახსოვთ აქვთ თუ არა შესრულებული ეს საიდუმლოება. რამდენიმე დღე დავყავი თეათინელების პრეფექტთან სამეგრელოს სხვადა-

218

სხვა კუთხეში და ბევრჯერ ვიხილე, თუ როგორ ინათლებიან ბავშვები. როდესაც მასთან მოიყვანდნენ ავადმყოფ ბავშვს გასასინჯად, ის თხოულობდა წყალს, თითქოს ხელების დასაბანად. იბანდა ხელებს და შეუმშრალებელი თითის წვერით ეხებოდა ბავშვის შუბლს, თითქოს ამით მისი ავადმყოფობა სურდა გაეგო.

ის ნათლავდა ჯანმრთელ ბავშვებს, ხელების დაბანის დროს აპკურებდა წყალს ისე, ვითომც ეთამაშებო. როდესაც პირველად გავხდი ამის მოწმე, შევამჩნიე, რომ ის კბილებში სცრიდა სიტყვებს და ღიმილით მიმხერდა; შევეკითხე, რას აკეთებ-მეთქი. ეს ბავშვები მოვნათლეო, მიპასუხა; კარგი ვქენით, რომ ამ სახლში მოვედითო. სახელი რა დაარქვი-მეთქი – ვკითხე, მე მათ სახელს არ ვარქმევ, – მიპასუხა მან, – რადგან ხშირად ისიც კი არ ვიცი, ქალს ვნათლავ თუ ვაჟს; სახელი აუცილებელი არ არის, საკმარისია ერთი წვეთი წყალი მიაპკურო და გონებაში შეასრულო ნათლობის

წესიო. საერთოდ თეათინელები ძალიან შესაბრალონი არიან სამეგრელოში; მათ ძარცვავენ, ცუდად ეპყრობიან, არც პატივს სცემენ, არც ანგარიშს უწევენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავადმყოფი ან დაჭრილი საჭიროებს მათ დახმარებას.

18-ში სამეგრელოს პრინცესა მობრძანდა თეათინელებთან²¹⁰). პრეფექტი სასწრაფოდ გაეშურა მასთან შესახვედრად. სამეგრელოს და აგრეთვე მეზობელი ქვეყნების პრინცესას უწოდებენ „დედოფალს“¹⁸, რაც ქართული სიტყვაა. იგი ცხენზე იჯდა; რვა ქალისა და ათი კაცისაგან შემდგარი ამაღლა მოჰყვებოდა; რამდენიმე კაცი მის ცხენს აქეთ-იქით ედგა ქვეითად. ყველანი ცუდად ჩაცმულები იყვნენ და ცუდ ცხენებზე ისხდნენ. მან უთხრა პრეფექტს, რომ გაიგო იმ სანოვანის მიღების ამბავი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან ყოველწლიურად ეგზავნებოდა მათ და აგრეთვე ის, რომ მის სახლში გაჩერებული ყოფილან ევროპელები, რომელთაც დიდძალი ბარგი ჩამოუტანიათ, რომ ის მეტად გახარებულია ამ ამბით და სურს მათი ნახვა, რათა მათ მიულოცოს მშვიდობით მობრძანება. მე მაშინვე დამიძახეს, რათა წარვედგინეთ მისთვის. პატრმა ძამპიმ გამაფრთხილა, რომ საჭირო იყო ძღვენის მირთმევა, ასეთი ადამიანი ამ ქვეყანისა: როცა მთავარი და მისი მეუღლე გესტუმრება, მათ საჩუქრები უნდა მიართვაო. პრეფექტს ვუთხარი ეთხოვა დედოფლისათვის, თუ დამაცდიდა, ძღვენს სასახლეში მივართმევდი.

¹⁸ Dédopale.

მან შეიწყნარა ჩემი თხოვნა და დამთანხმდა ვადის გაგრძელებაზე. დედოფალს მოახსენეს, რომ მე ვლაპარაკობდი სპარსულ და თურქულ ენებზე. მან მოაყვანილა ტყვე, რომელმაც კარგად იცოდა თურქული და უამრავი კითხვა მომცა ჩემსა და ჩემი მოგზაურობის შესახებ. ვუთხარი, რომ ვიყავი კაპუცინი და ლაპარაკშიაც და ქვევაშიაც თავს ვაჩვენებდი ღვთის მსახურად, მაგრამ არა მგონია, რომ მისმა უდიდებულესობამ ეს დაიჯერა, რადგან უმეტესი ნაწილი მისი შეკითხვებისა ეხებოდა სიყვარულს. მან უბრძანა, ჩემთვის ეკითხათ განმიცდია თუ არა სიყვარულის გრძნობა და თუ არ განმიცდია, როგორ გავმელი სიყვარულის გარეშე, ქალის გარეშე. დიდი კმაყოფილებით მესაუბრებოდა იგი და მთელი მისი ამაღლა ამ თემაზე. რაც შემეხება მე, სასოწარკვეთილებაში ვიყავი ჩავარდნილი და სურვილი მქონდა, რომ დედოფალი და მისი ამაღლა ჩემგან ძალიან შორს ყოფილიყვნენ. ყოველ წუთს შიში მიპყრობდა, რომ მას სახლის გამარცვა არ ებრძანებინა, რადგან სამჯერ მთხოვა მეჩვენებინა მისთვის, თუ რა ჩამოვიტანე, ხოლო თეათინელებს კი თხოვა ეჩვენებინათ სანოვანე, რომელსაც, როგორც მე აღვნიშნე,

ყოველწლიურად ღებულობდნენ ისინი კონსტანტინოპოლიდან; იგი წარმოადგენდა სხვადასხვა საქონელს. ისინი ვალდებულნი იყვნენ საქონლის ნაწილი მიეცათ მთავრისა და დედოფლისათვის, ვეზირისათვის და ქვეყნის წარჩინებულ დიდებულთათვის. პატრი ძამპი შეპირდა, რომ ჩვეულებრივ საჩუქრებს მიართმევდა მეორე დღესვე და რომ მეც მივუტანდი საჩუქარს. მაღლობა ღმერთს, ამით დაიმედებული, როგორც იქნა წავიდა.

19-ში დილით მან სადილად მიგვიწვია. მე წავედი პატრი ძამპსა და სხვა თეათინელთან ერთად. მისი სახლი ორი მილით იყო დაცილებული ჩვენი სახლიდან. ის მთავართან არ ცხოვრობდა. ვერ იტანდა და ჭირივით სძულდა იგი. ეს ქალი მას ძალად შეართვევინეს. დედოფალი უფრო კარგად იყო მორთული, ვიდრე წინადლით; სახეზე ფერუმარული წაესვა და ცდილობდა ლამაზად მოგვჩვენებოდა. ტანთ ეცვა ოქრონაქარგი ფარჩის კაბა. ეხურა ძვირფასი თვლებით მორთული თავსამკაული. პირბადე მოხდენილი და უჩვეულო ფორმისა იყო. დედოფალი იჯდა ხალიჩაზე, ორივე მხარეს ცხრა თუ ათი პირისფარეში ედგა. მისი სეფექალები, როგორც თქვებს გახიზნული ყოფილან ციხე-სიმაგრეში ომიანობის გამო. დარბაზი სავსე იყო ნახევრად შიშველი ადამიანებით, რომლებიც შეადგენდნენ მის ამაღას. სანამ მასთან შეგვიშვებდნენ, მომთხო-

220

ვეს დედოფლისათვის მოტანილი ძღვენი. მსახურმა, რომელსაც ეს საჩუქრები მიჰქონდა, ძღვენი ამ ხალხს გადასცა. იგი შედგებოდა გენუის მაკარონისაგან, ბაფთების, ქალაღის, ნემსების, დანების ქარქაშებისა და საკმაოდ ლამაზი მაკრატლისაგან. ყველაფერი ეს ღირდა ოცდასამი თუ ოცდაოთხი ფრანკი. მაგრამ სამეგრელოში იგი სამოც ფრანკზე მეტი ეღირებოდა. დედოფალი მეტად კმაყოფილი დარჩა. შემიპატიჯა მხოლოდ საჩუქრების დათვალიერების შემდეგ. მის ახლოს სკამი იდგა, რომელიც თურქულად მოლაპარაკე ტყვემ შემომთავაზა დასაჯდომად. პირველ ყოვლისა, მან მითხრა, რომ სურს ჩემი დაქორწინება ერთ მის მეგობარ ქალზე და რომ არ უნდა ჩემი გაშვება თავისი ქვეყნიდან, რისთვისაც სახლებს, მიწებს, ტყვეებს და ყმებს შემპირდა. შემდეგ განაახლა წინა დღით დაწყებული საუბარი, მაგრამ ამ საუბარმა დიდხანს არ გასტანა, რადგან მოახსენეს, რომ, სადილი მზად არისო.

სახლი, რომელშიაც იგი ცხოვრობდა, იდგა ხუთ თუ ექვს სხვა სახლს შუა; თითოეული სახლი ერთიმეორისაგან ასი ნაბიჯით იყო დაცილებული. სახლები არც ღობით და არც გალავნით არ იყო შემოზღუდული. წინ მოჩანდა თვრამეტი დუიმის სიმაღლის, პატარა გუმბათით გადახურული ხის ფანჩატური. ამ ფანჩატურში დააგეს ნოხები და დედოფალი დაჯდა ოთხი ნაბიჯის დაშორებით, მეორე

ნობზე, დასხდნენ მისი მოახლეები. სასახლის ურიცხვი არამზადე-
ბი, რომელნიც მის ამაღას შეადგენდნენ, ბალახზე წრიულად დას-
ხდნენ. დაახლოებით ორმოცდაათი კაცი იქნებოდა თეათინელები-
სა და ჩემთვის ფანჯატურთან ორი გრძელი მერხი იდგა, ერთი და-
საჯდომად, მეორე კი – სუფრის მაგივრად. როდესაც დედოფალი
დაბრძანდა, მისმა სუფრაჯმა წინ გრძელი მოხატული ტილოს საფა-
რი გაუშალა. მან ერთ ბოლოში დააღაგა სუფრის მოწყობილობა,
რომელიც შეიცავდა ორ დიდ და ორ პატარა ჭიქას, ოთხ ლანგარს
და რვა სხვადასხვა სიდიდის ჯამს, ერთ დიდ ბადიას, ერთ ჩამჩას და
ერთ ქაფქირს; ყველაფერი ეს ვერცხლისა იყო. ამავე დროს სხვა
მსახურებმა სუფრასთან მსხდომთა წინ დადეს ფიცარი, რაც სუფ-
რას ცვლიდა. ერთი ფიცარი დადეს აგრეთვე ქალების წინაც. რო-
დესაც ყველაფერი მოამზადეს, მოიტანეს ორი ქვაბი: ერთი ძალი-
ან დიდი, რომელიც ოთხ კაცს მოჰქონდა და სავსე იყო ჩვეულებ-
რივი ღომით, მეორე უფრო მომცრო ზომისა თეთრი ღომით სავ-
სე, რომელიც ორ კაცს მოჰქონდა. მე უკვე ვთქვი, რომ „ღომი“ არ-
ის ფაფა, რომლითაც მეგრელები იკვებებიან ისევე, როგორც ჩვენ

221

პურით. ორმა კაცმა ჯალამბერით შემოიტანა მრგვლად მოხარშული
ღორი და ოთხმაც – თითო დიდი დოქი ღვინო. ყველაფერი ეს
პირველად მიართვეს დედოფალს, შემდეგ მის მოახლეებს, შემდეგ
ჩვენ და ბოლოს ამაღას. გარდა ამისა, დედოფალს მიართვეს ხის
პინაკი, რომელზედაც ეწყო პური და ცხარე მწვანელი მადის გასა-
ღვიძებლად, და დიდი ვერცხლის ლანგარი, რომელზედაც ორი ფრი-
ნველი იყო, ერთი მოხარშული, მეორე კი შემწვარი, ისეთი უსია-
მოვნო საწებლით, რომ მე იმის ჭამა ვერაფრით ვერ შევძელი. დე-
დოფალმა მომიკითხა პატარა ხორცის ნაჭრით და მწვანელით. შე-
მომთავაზა ვახშმად დავრჩენილიყავი და შემპირდა ხარს დავაკვ-
ლევინებო. მაგრამ ეს წმინდა ქათინაური იყო. ცოტა ხნის შემდეგ
კვლავ გამომიგზავნა ფრინველის ორი ნაჭერი და მკითხა, თუ რა-
ტომ არ ჩამოდიან სამეგრელოში ის ევროპელი ხელოსნები, რომ-
ლებმაც ასე მშვენიერად იციან ლითონის, აბრეშუმისა და შალე-
ულის დამზადება და რატომ ჩამოდიან მხოლოდ ბერები, რომელ-
თაც ვერაფერში გამოიყენებ და არც სასურველნი არიანო?
ამ შეკითხვამ ძალიან გამაკვირვა, რადგან დედოფალი ხმამაღლა ლა-
პარაკობდა და მისი ტყვეც ხმამაღლა მითარგმნიდა მის შეკითხვას
თურქულად; მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს, თუ როგორ
უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ამ შეკითხვამ აქ დამსწ-
რე საბრალო თეათინელები. მართალი გითხრათ, ამ შეკითხვამ მეც
შემაცბუნა. პასუხი გავეცი მათ და ჩემს მაგივრადაც, რადგან კი-
თხვა მეც მეხებოდა, როგორც კაპუცინს: საუკეთესო ევროპელის

ხელოსნები მუშაობენ მხოლოდ მოგებისათვის, რაც საკმაოდ აქვთ და სხვაგან ძებნა არ ესაჭიროებათ; ბერ-მონაზვნებს კი ღვთის სამსახური და სულის ცხოვნება აინტერესებთ და ეს მაღალი მიზანი აიძულებთ მათ დატოვონ თავისი ქვეყანა და ასე შორს წამოვიდნენ-მეთქი.

სადილი ორ საათს გაგრძელდა. შუა ღამის დროს დედოფალმა ფიალით ღვინო გამომიგზავნა და შემომითვალა, რომ ღვინო მისი ნაპირალია, ხოლო ამ თასიდან ჩვეულებრივად იგი სვამს ღვინოს. ასეთი პატივი მან სამჯერ დამდო. ძალიან გაუკვირდა, როდესაც დაინახა, რომ ღვინოში წყალს ვურევდი და თქვა, რომ არასდროს ასეთი რამ არ მინახავსო. თვითონ და მისი ქალები სვამდნენ წმინდა ღვინოს და საკმაოდ ბევრსაც. სადილის დასასრულს მან გამომიგზავნა კაცი და მკითხა, ჩამოვიტანე თუ არა საბაყლო და ფაიფურის საქონელი. ამდაგვარი შეკითხვებით ექვსჯერ თუ

222

შვიდჯერ გამომიგზავნა კაცი. ამით მივხვდი, რომ ეს გაიძვერა ქალი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ სუვერენულ დედოფალს, ყურადღებით მეპყრობოდა გამორჩენის მიზნით. ყველა შეკითხვაზე ვპასუხობდი უარყოფითად. დასასრულს იგი განრისხდა და თქვა, რომ გაგზავნის თავის კაცებს ჩემი ბარგის გასასინჯად. მე ვუპასუხე, რომ ამის გაკეთება შეუძლია, როდესაც მოისურვებს. ასე იმიტომ ვუთხარი, რომ შემეშინდა უარის თქმითა და წინააღმდეგობის გაწევით არ გამელიზიანებინა მისი სიხარბე და ამავე დროს დამეფარა ის შეძრწუნება, რომელიც მისმა მუქარამ გამოიწვია ჩემში. მაშინ მან განაცხადა, რომ იხუმრა. მე თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ დავიჯერე, მაგრამ როგორც კი სუფრიდან ავიშალენით, ვთხოვე ერთ თეათინელს, რომელიც მე მახლდა, სასწრაფოდ წასულიყო და ჩემი მეგობრისათვის ეცნობებინა დედოფლის მუქარის ამბავი, რათა ყოველ შემთხვევისათვის მზად ყოფილიყო. სადილის შემდეგ მან ისევ წამოიწყო ლაპარაკი ჩემს დაქორწინებაზე და მითხრა, რომ რამდენიმე დღეში მანახებდა იმ ქალს, რომელთანაც ჩემი შეუღლება სურდა. ისევე როგორც წინათ, ახლაც ვუპასუხე, რომ ბერ-მონაზვნები არ ქორწინდებიან-მეთქი. ამ საუბრის შემდეგ გამიშვა. საუბედუროდ, გამომშვიდობებისას დედოფალმა იმ ღარიბულ სამოსელს ქვეშ, რომელიც მე მეცვა, შენიშნა უფრო თეთრი და თხელი საცვლები, ვიდრე სამეგრელოში ატარებენ. ის მომიახლოვდა, მომკიდა მკლავში ხელი, ამიწია სახელო იდაყვამდე და კარგა ხანს ეჭირა ჩემი მკლავი და ამავე დროს დაბალი ხმით ესაუბრებოდა ერთ-ერთ თავის მოახლეთაგანს. ამან უაღრესად შემაწუხა. ამ ქალის მოქმედება არ მსიამოვნებდა და მიუხედავად იმისა, რომ მილიმოდა, შიში მაინც არ მშორდებოდა. ყველაზე

არასასიამოვნო ჩემთვის ის იყო, რომ არაფერი მესმოდა, რასაც ის ლაპარაკობდა, მაგრამ ჟესტებით ვხვდებოდი, რომ ის ჩემზე ლაპარაკობდა და თანაც დიდი გაცხოველებით. არ ვიცოდი როგორ მოქცეულიყავი ამ საზოგადოების წინაშე – ქალთან, რომელშიც ერთდროულად ვხედავდი სუვერენის ღირსებას და მეძავის უსირცხვილობას. საშნლად დავიბენი და ბოლოს ერთმა გარემოებამ ღრმა საგონებელში ჩამაგდო. დედოფალი მიუახლოვდა პატრი ძამპს და უთხრა: თქვენ ორივენი მატყუებთ; მე მსურს რომ თქვენ ერთად მოხვიდეთ კვირას დილით და ამ ახალმოსულმა წირვა ჩაატაროსო. პატრს უნდოდა ეპასუხა, მაგრამ დედოფალმა ზურგი შეაქცია და ჩვენ გვითხრეს წავსულიყავით.

223

სახლში ძლიერ დაღონებული და დაფიქრებული დავბრუნდი. დედოფალთან საუბარმა მეტისმეტად დამაფიქრა, რადგან მის სიხარბესა და სხვა მიზეზებს შეემლო ებიძგათ მისთვის ჩემს მიმართ ბოროტების ჩასადენად. პატრმა ძამპიმ გამაფრთხილა, რომ ეს აუცილებლად მოსალოდნელი არისო. მეც მოვემზადე. მეორე ღამეს მიწაში ჩავფალით რაც კი რამ ძვირფასი გაგვაჩნდა. ერთ-ერთი თეათინელი პატრის ოთახში ამოვათხრევიანე ხუთი ფუტის სიღრმის ორმო და შიგ ჩავდე სკივრი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ჯიბის და კედლის საათებით და მარჯნით სავსე ყუთი. ეს ყველაფერი ისე კარგად იყო ჩაფლული, რომ სრულებით არ ჩანდა ნათხარი მიწა, შემდეგ ამავე მიზნით წავედი ეკლესიაში. პატრმა ძამპიმ მირჩია ექვსი წლის წინათ დამარბული თეათინელის საფლავის გახსნა და მისი ნეშტისთვის მიწობა პატარა ყუთისა, რომლის დამალვაც მსურდა, მაგრამ ღმერთმა, რომელმაც იცოდა, თუ რა მოელოდა ამ საფლავს, ხელი შემიშალა მიმელო ეს რჩევა. ვარჩიე ეკლესიის ერთ კუთხეში, კარს უკან, ორმოს ამოთხრა, რომელიც ისეთივე ღრმა იყო, როგორც ოთახში და ჩავდე პატარა ყუთი თორმეტი ათასი ოქროს დუკატით. შემდეგ ჩემი საცხოვრებელი ოთახის სახურავზე დავმალე ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხმალი, ხანჯალი და სხვა ძვირფასეულობა. სახურავი ჩალისა იყო. მე და ჩემმა ამხანაგმა დავიტოვეთ დიდი ფასეულობის, მაგრამ მსუბუქი წონის ნივთები. ნაკლები ღირებულების საგნები შესანახად მივეცით თეათინელებს.

23-ში სრულად ვიწვნიე ის, რასაც დედოფალი მიმზადებდა, როცა დამემუქრა, თქუენი ბარგის გასაჩხრეკად კაცს გამოგზავნიო. კვირა დღე იყო. ნაწილი ამ დღისა გავატარე ლოცვასა და წუხილში იმ უბედურებათა წინათგრძნობის გამო, რომელიც გულს ლოდად მაწვა და ხიფათის გამო, რაც მოსვენებას არ მამლევდა, გამოსავალი კი არსაიდან ჩანდა. თავს უკვე იმდენად გადაწყვეტივით ვთვლიდი ტყვედ რომ ვერც კი ვხედავდი ღმერთისათვის თა-

ვისუფლება მეთხოვა. მხოლოდ ეს შევევედრე მამაზეციერს, რომ კარგი ბატონი შემხვედროდა და გადავწყვიტე, თუ არჩევანი იქნებოდა, თურქების ბორკილები მერჩია კოლხიდელი ქალის, განსაკუთრებით კი ამ ახალი მედეას²¹¹) ხელში ჩავარდნას. სადილის დროს პრეფექტს მოახსენეს, ორი აზნაური ჭიშკართან გელოდებათო. ეს აზნაურები თეათინელთა მეზობლები იყვნენ. ისინი ცხენებზე ისხდნენ ჯაჭვის პერანგებში და თავით ფეხამდე შეიარაღებული იყვნენ. მათ ახლდათ ასევე შეიარაღებული ოცდაათამ-

224

დე ქვეითი და მხედარი. პრეფექტს არ გაკვირვებია მათი ნახვა ამ მდგომარეობაში და ამდენი მხლებლებით, რადგან ომიანობა იყო. ამ ორმა აზნაურმა პრეფექტს განუცხადეს, რომ ისინი მის კართან შეჩერდნენ, რადგან საუბარი სწადიათ მასთან და ახლად ჩამოსულ ევროპელებთან. ეს თქვეს, თუ არა, მაშინვე ჩამოქვეითდნენ. პრეფექტმა მე და ჩემი ამხანაგი მოგვიხმო. ჩვენ მათ შესაგებებლად გავეშურეთ, არ გვეგონა, რომ ისინი რაიმე ცუდი ზრახვებით იყვნენ მოსულნი, მაგრამ, მწარედ შევცდით. როგორც კი მიუხალოვდით, თავიანთ კაცებს ჩვენი შეპყრობა უბრძანეს, ხოლო პრეფექტს და თეათინელებს, რომლებიც მათ შეეგებნენ, გამოუცხადეს, გაგვმორდით, თორემ ვინც ჩვენკენ წამოიწევს, აქვე გავათავებთო. შიშნაჭამი პრეფექტი გაიქცა. სხივებმა კი არ მოისურვეს ჩვენი მიტოვება. მორჩილი თეათინელი გვეხმარებოდა, რაც შეეძლო; მან თავი გასწირა ჩვენთვის. კისერზე დადებულმა გაშიშვლებულმა ხმაღმა ვერ აიძულა იგი დავეტოვებინეთ. ჩვენი მსახურები მაშინვე შებოჭეს. ერთმა მათგანმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა და ამოიღო დიდი დანა, რომელსაც ქამარზე ატარებდა, მაგრამ მას შუბი ჰკრეჭს, წააქციეს მიწაზე, შებოჭეს და ხეს მიაბეს.

შემდეგ ამ მკვლელებმა გამოაცხადეს, რომ სურთ ნახონ ჩვენი ქონება. მე ვუპასუხე ბატონი ბრძანდებით-მეთქი, ჩვენ საწყალი კაპუცინები ვართ და მთელ ჩვენ ქონებას წიგნები, ქაღალდები და მონძები შეადგენს, ნუ მოგვეპყრობით ასე ულმობელად და მთელ ჩვენ ქონებას გაჩვენებთ-მეთქი. ამის გარდა სხვა გადაწყვეტილების მიღება არ შემეძლო, რადგან შეპყრობილი და შებოჭილი ვიყავი და ეს მკვლელები დაეპატრონენ ჩვენს ბინასა და იქ მყოფ ხალხს. ეს გადაწყვეტილება, ღვთის მადლით, საკმაოდ კარგი აღმოჩნდა. გამანთავისუფლეს და მიბრძანეს ჩვენი ოთახის კარი გამეღო. ეს იყო პირველ სართულზე. აქ მხოლოდნის გვქონდა, რაც გვინდოდა ენახათ, ყველაზე ძვირფასი განძი კი ჩვენ ტანსაცმელში გვქონდა დამალული, როგორც უკვე აღვნიშნე. ჩემმა ამხანაგმა თავისი განძი ბეწვდადებული დიდი ქურთუკის საყელოში ჩააკერა, რომელიც

ტანზე ეცვა. მე კი ჩემი ძვირფასეულობა ორ ქისაში ჩავდე, დავ-
ბეჭდე ისინი და შევინახე სკივრში, სადაც წიგნები ეწყო. ვერ გავ-
ბედე მათი ტანზე შემოკვრა, რადგან მოკვლის, გამარცვის ან ტყვედ
გაყიდვისა მეშინოდა. თეათინელ მორჩილს და ჩემს ამხანაგს ვუთ-
ხარი, რომ ეს ორი აზნაური გვერდზე გაეხმოთ, ლაპარაკით შეექ-

225

ციათ, ცოტა ფული შეეთავაზებინათ და ამით ჩემთვის დრო მოე-
ცათ, რათა ეს ორი ძვირფასი ქისა სკივრიდან ამომეღო და სადმე
გადამემალა. ასეც მოიქცნენ. მე შევედი ჩვენს ოთახში და ჩავიკე-
ტე კარი; ჩემმა მოქმედებამ მხლებლები დააეჭვა და შეატყობი-
ნეს ამის შესახებ აზნაურებს, რომლებიც თვითონ მოადგნენ კარს.
კარი შიგნიდან მაგრად იყო ჩაკეტილი. გავიგონე ჩემი ამხანაგის
ხმა, რომელიც ყვიროდა ფრთხილად ვყოფილიყავი, რადგან
რუტანიდან მითვალთვალებდნენ. ამან მაიძულა ჩემი ორი ქისა სა-
სწრაფოდ უკან გადმომეღო სახურავიდან, სადაც ისინი გადავმალე,
რადგან შემეშინდა, ვაი თუ უკვე დამინახეს-მეთქი; ჯიბეში ჩავიდე
ისინი და როცა ვიგრძენი, რომ ეს მკვლელები კარს აწვებოდნენ,
გადავბტი ფანჯრიდან, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. ვერაფერი
ვერ მაიძულებდა გამეკეთებინა ასეთი ნახტომი უფრო ნაკლებ გა-
საჭირში რომ ვყოფილიყავი, რადგანაც იგი თვითმკვლელობას ნიშ-
ნავდა. მაგრამ შიშით შეპყრობილი ადამიანის გონება აღარაფერს
ერიდება, გარდა იმ მოვლენისა, რომელმაც თავდაპირველი შიში
გამოიწვია. გავიქეცი ბაღის ბოლოში და ბუჩქებში ჩავაგდე ეს ორი
ქისა. იმდენად დაბნეულია ვიყავი, რომ კარგად ვერც კი შევათვა-
ლიერე ის ადგილი, სადაც ისინი დავაგდე. მაშინვე დავბრუნდი
ოთახში. იგი სავსე დამხვდა მძარცველებით. ერთნი ჩემს ამხანაგს
ჩასჭიდებოდნენ, მეორენი იარაღით ამტვრევდნენ ჩემ სკივრებს.
ცოტა გული მომეცა რადგან ვიცოდი, რომ იქ ღირსშესანიშნავი
აღარაფერი იყო და ვუთხარი, რომ ცოტა ფრთხილად მომქეცოდ-
ნენ, რადგან მე სპარსეთის ხელმწიფის წარმოგზავნილი ვიყავი და
რომ საქართველოს მთავარი საშინელ შურს იძიებდა იმ ძალადობი-
სათვის, რომელიც მე მომაყენეს. ვაჩვენე კიდეც სპარსეთის ხელმ-
წიფის რაყამი¹⁹. ერთმა აზნაურთაგანმა აიღო ეს ქაღალდი და მისი
დახევა უნდოდა, თანაც თქვა, რომ მას დედამიწის ზურგზე არც
არავისი ეშინია და არც არავისა სცემს პატივს. მეორემ შეაჩერა
და დაუშალა. ვარაყით დაწერილმა და მოოქრული ბეჭდით დაბეჭ-
დილმა წერილმა მასში რიდი გამოიწვია და ბრძანა ჩემთვის ეთქ-
ვათ, რომ ჩემი სკივრები გამეღო და ცუდს არაფერს შემამთხვევ-
და. მაგრამ თუ გაძალიანდებით, თავს წაგაცლითო – დამემუქრა.
დამორჩილების ნაცვლად სიტყვის შებრუნება მოვინდომე, მაგრამ
ეს კინალამ ძვირად დასმიჯდა; ერთმა მხლებელთაგანმა იშიშვლა

ხმალი და მომიღერა კისერში დასაკრავად, მაგრამ თეათინელმა მორჩილმა მას ხელი დაუჭირა. მაშინვე გავხსენი სკივრები და დაიწყო საშინელი მარცვა. ყველაფერი, რაც კი ამ ბატონებს მოეწონათ – დაიტაცეს.

ამ მარცვა-გლეჯის დროს მე ფანჯარაზე ვიყავი მიყრდნობილი. პირი ვიბრუნე, რათა სიმწარე არ მომმატებოდა, რადგანაც ბალისკენ რომ ვიხედებოდი, შევნიშნე, ორი ჯარისკაცი ბუჩქებში დაფათურობდა, როგორც მეჩვენა, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ძვირფასეულობით სავსე ორი ქისა დავმალე. გაშმაგებული გავექანე იქითკენ. ერთი თეათინელი პატრი გამომყვა; კაცებმა როგორც კი დაგვინახეს, არ ვიცი რატომ, მაგრამ იქაურობას განშორდნენ. მაშინვე შევუდექი ქისების ძებნას. მაგრამ იმდენად ვიყავი აღელვებული, რომ ვერ შევიცანი ის ადგილი, სადაც ისინი დავმალე. ქისები ვეღარ ვიპოვე და, ბუნებრივია ვიფიქრე მათ იპოვეს და წაიღეს-მეთქი. ქისები ოცდახუთი ათასი ეკიუს ღირებულებისა იყო და ადვილი წარმოსადგენია რაოდენ დიდ სასოწარკვეთებში ჩავვარდებოდი. იმწამსვე მოვკვდებოდი, რომ ღმერთს არ შევეწყალებინე. უფალი მფარველობდა და მისი წყალობით გაჭირვებაში მხნეობას და გონებას არ ვკარგავდი. ამ დროს გავიგონე, რომ ჩემი ამხანაგი და თეათინელი მორჩილი ხმამაღლა მეძახდნენ. გამოვედი ბაღიდან და გავეშურე ოთახისაკენ, მაგრამ ამ დროს ორმა ჯარისკაცმა ხელი მტაცა, კუთხეში მიმამწყვდიეს და ჯიბეებიდან ამომაცალეს რაც კი მქონდა. შემდეგ უნდოდათ ხელები შეეკრათ ჩემთვის. მე ვყვიროდი, წინააღმდეგობას ვუწევდი და ხელებით ვანიშნებდი, რომ თავიანთ ბატონთან წავეყვანეთ და ამ მკვლელების უფროსისათვის ვათქმევინე, რომ ჩემ წასაყვანად ან მოსაკლავად საჭირო არ არის ხელ-ფეხის შეკვრა და ყველაფერს, რასაც ისინი მოისურვებენ გამიკეთონ, მე უსიტყვოდ ავიტან-მეთთქი. გვიპასუხეს, რომ სურთ წაგვიყვანონ მთავართან, რადგან თქვენ ელჩები ხართო. მივუგე, რომ ხელ-ფეხ შეუკვრელი წამოვალთ, რომ იმედი გვაქვს მისი სამართლიანობისა, ჩვენ წერილები გვაქვს მისთვის გადასაცემად, რომლებსაც ის უსათუოდ პატივით მოუპყრობა. უკვე გვიან იყო, ღამდებოდა. მთვარის სასახლე თხუთმეტი მილის სიშორეზე მდებარეობდა. ჩვენ გაგვანთავისუფლეს, დააკავეს მხოლოდ ის მსახური, რომელმაც წინააღმდეგობა გასწია. ორი კვირის შემდეგ მე იგი ათ პიასტრად გამოვისყიდე.

როგორც კი გავთავისუფლდი ამ ყაჩაღების კლანჭებიდან, ბა-
 დისკენ გავეშურე. პატრმა, რომელიც ჩემ მიერ დამალული
 ძვირფასი ქვებით სავსე ქისების ძებნის დროს გამომყვა ბაღში,
 ყველას უამბო იმ უბედურების ამბავი, რომელიც, როგორც მე
 ვფიქრობ, თავს დამატყდა. არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში,
 რომ ჯარისკაცებმა მითვალთვალეს გამომყვენ და ის, რაც ბუჩ-
 ქებში დავმალე, მათ წაიღეს. ერთი ჩვენი სომეხი მსახური, სახე-
 ლად ალავერდი (მე მას ვასახელებ იმიტომ, რომ ჩემი პირველი
 მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ²¹², იგი ბევრმა ჩემმა ამხა-
 ნაგმა ნახა პარიზში, და იმიტომაც, რომ ამ გაჭირვების დღეებში მან
 ჩემს მიმართ დიდი ერთგულება გამოიჩინა, რისთვისაც ის ქება-დი-
 დების ღირსია), თან წამომყვა და ძლიერ გავვოცდი, როცა აცრემ-
 ლებული კისერზე ჩამომეკიდა. „ბატონო, – თქვა მან, – ჩვენ გავ-
 კოტრდით“. საერთო შიშმა და უბედურებამ ჩვენ ყველას ასე დაგ-
 ვავიწყა თუ ვინ ვიყავით. მე იმდენად დავიბენი, რომ პირველად
 იგი ვიღაც მეგრელი მეგონა, რომელიც მომვარდა ყელის გამოსაჭ-
 რელად. როდესაც ვიცანი, გული ამიჩუყა მისმა გულისხმიერებამ.
 ვუბრძანე ნუ სტირი-მეთქი. „ბატონო, – მითხრა მან, – თქვენ
 კარგად ეძიეთ?“ „ისე კარგად და იმდენხანს ვეძებე, რომ დარწმუ-
 ნებული ვარ ჩემს უბედურებაში“ – ვუპასუხე მე. მსახური ჩემი
 პასუხით არ დაკმაყოფილდა. მან მოინდომა მეჩვენებინა ის ადგი-
 ლი, სადაც ქისები დავმალე და დაწვრილებით მეამბნა, თუ როგორ
 დავმალე და შემდეგ რანაირად ვეძებდი. ამ საწყალი ბიჭის საამებ-
 ლად, რომელმაც არაერთხელ დაგვიმტკიცა თავისი ერთგულება, ავ-
 უსრულე ეს თხოვნა. იმდენად ვიყავი წინასწარ დარწმუნებული
 ძებნის უაზრობაში, რომ არც კი მოვისურვე დავსწრებოდი ამ პრო-
 ცესს. დაღამდა. მწუხარება იმდენად დამეუფლა და ამაღელვა, რომ
 არ ვიცოდი რას ვაკეთებდი, სად მივდიოდი და რას ვჭგრძნობდი.
 უცებ ძლიერ შევკრთი, როცა კიდევ ერთხელ ვიგრძენი, თუ რო-
 გორ მომეხვია საბრალო ბიჭი კისერზე და ამავე დროს მკერდთან
 მჩრიდა ქისებს, რომელთაც დაკარგულად ვთვლიდი. ადვილად წარ-
 მოსადგენია, თუ როგორი ცვლილება მოხდა ჩემ სულიერ განწყო-
 ბაში მათი აღმოჩენით. სულიერი სიმშვიდე, რომელიც დამეუფლა,
 გამოწვეული იყო არა იმ ოცდახუთი ათასი ეკიუს აღმოჩენით, რო-
 მელდაც დაკარგულად ვთვლიდი, არამედ ღვთის წყალობით, დახმა-
 რებით, სიკეთით და მფარველობით, რომელთაც მე იგი არ მაკ-
 ლებდა. ამის შეგნებამ ერთ წუთში სრულიად გამომცვალა. დღე-

ხებდა, ცხადად შევიგნე, რომ მხოლოდ უფალს შეეძლო ასეთი მფარველობა გაეწია ჩემთვის, ჩამესახა რწმენა იმისა, რომ არ დავი-
ლუპებოდი და ეს მამხნევებდა შემდეგში ყველა იმ გასაჭირში,
რომელიც თავს დამატყდა.

რადგანაც ეს ორი ძვირფასეულით სავსე ქისა გადავარჩინე,
ნაკლებად ვფიქრობდი იმაზე, რაც ჩემი სკივრებიდან შეეძლოთ წა-
ეღოთ. ჩემს ოთახში შევედი და ამხანაგს ვაცნობე ქისების პოვნის
ამბავი. იგი ჩაფიქრებული დამხვდა ამ ქვეყანაში არსებული ზნე-
ჩვეულებების გამო. წაღებული აღმოჩნდა ტანსაცმელი, იარაღი,
სპილენძის ჭურჭელი, საცვლები და სხვა წვრილმანი. შევთანხმდით,
რომ არავისთვის გაგვემხილა ორი დაკარგული ქისის პოვნის ამბა-
ვი, რათა ეფიქრათ, რომ დასაკარგი ჩვენ მეტი აღარაფერი გაგვაჩ-
ნდა. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. თეათინელების მსახურებმა იფი-
ქრეს, რომ ჩვენ მთლად გამარცხლები ვიყავით. სინამდვილეში კი
რაც დაკარგეთ, ღვთის მადლით, სულ რაღაც ორმოციოდე ფრანკს
არ აღემატებოდა.

24-ში დილით თეათინელების პრეფექტმა და მორჩილმა ძმამ
კათალიკოსსა და მთავართან წამიყვანეს სამართლის საძიებლად²¹³).
მათ მოისურვეს თითოეულისათვის ძღვენი მიგვერთმია. ტყუილად
ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ საჩუქრის მირთმევასა და გამარ-
ცვაზე, გაქურდვასა და წამებაზე ჩვილს შორის არ არსებობს-მე-
თქი არავითარი კავშირი, მაგრამ წეს-ჩვეულებამ გაიმარჯვა. კათა-
ლიკოსს მივართვი ვერცხლის დანები, კოვზები, ჩანგლები თავისი
ბუდით და ქუდი, რომელიც თითონ მთხოვა სხვისი პირით. მას და
მთავარს ვუჩვენე სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებულება და რაყა-
მი, საფრანგეთის ელჩის წერილი კი მთავრისათვის არ მიჩვენებია,
რადგან თეათინელებმა ეს საჭიროდარ ჩათვალეს. არც ერთმა და არც
მეორემ არ დააკმაყოფილეს ჩემი მოთხოვნა. მთავარმა მითხრა, რომ
ახლა ომია და რომ იგი არ არის დიდებულთა მბრძანებელი; და-
უმატა, რომ სხვა დროს ის ჭეშმარიტად სამართლიანობის დამც-
ველი იქნებოდა და ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ წარ-
თმეული ნივთები დამბრუნებოდა. კათალიკოსმაც იგივე მითხრა და
შველის მაგივრად მანუგეშა. მთავარმა და კათალიკოსმა, მიუხედა-
ვად ამისა, მაინც გამოყვეს თითო აზნაური და გაგზავნეს მძარცვე-
ლებთან, რათა მათი სახელით მოეთხოვათ რაც წაგვართვეს.

ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა მე ერთი მეტად მნიშვნელო-
ვანი ამბავი გავიგე, რომ დადიანი, ანუ მთავარი, თვითონ ყოფილა
მონაწილე წინააღმდეგობის მომხდარი ამბებისა და ნაქურდალის ერთი
მესამედი მასვე რგებია. ამ აღმოჩენამ უფრო ნათლად დამანახა
ის გარდაუვალი განსაცდელი, რომელიც ჩვენ გვემუქრებოდა.

ჩვენს დასახმარებლად მოწოდებული ორი აზნაური ღამის გასათევად ჩვენთან მოვიდნენ. საჭირო იყო მათთვის ძღვენის მირთმევა. მათ იმ დღეს და მეორე დღესაც ვითომ ძლიერ გამოიდეს თავი ჩვენ საშველად, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 26-ში საღამოს ისინი დაბრუნდნენ და გამოგვიცხადეს, რომ ვერაფერს გავხდით და აღარ ძალგვიძს ამ საქმეს მივდიოთო, რადგან ცნობა მივიღეთ თურქები შემოჭრილან სამეგრელოში, ყველაფერს წვავენ და არბევენ და ამიტომ ვალდებულნი ვართ სასწრაფოდ ვეახლოთ ჩვენს ბატონებსო.

იმდენად დამწუხრებული ვიყავი ჩემი მდგომარეობით, რომ ამ ამბისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. თეათინელები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ: გრძნობდნენ, რომ თურქების თავდასხმა მათ მთლად ბოლოს მოუღებდა. მოვემზადეთ გასახიზნად. შუადამისას ორჯერ გავიგონეთ ზარბაზანის ხმა. ეს იყო რუხის²⁰ ციხიდან მტრის მოახლოების მაუწყებელი ნიშანი. ამ ნიშანზე ხალხმა იწყო გახიზვნა ტყეებსა და გამაგრებულ ადგილებში და თან მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ.

27-ში, გათენებისას, ჩვენც სხვებივით გავიხიზნეთ. მე ხელი არ მიხვია ნივთებისათვის, რომელთაგან ზოგი მიწაში იყო ჩაფლული, ზოგიც სახურავზე და სხვა ადგილებში იყო გადაძალული. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთ პირობებში ისინი უფრო საიმედო ადგილას იქნებოდა, ვიდრე თან რომ წამელო, თეათინელებს მთელი ბარგისათვის ჰქონდათ ერთი ურემი, რომელშიაც ხარი იყო შებმული, და ჰყავდათ ორი ცხენი. ურემზე დააწყვეს სახლის ავეჯი და დასვეს ორი ბავშვი. ერთ ცხენზე დაჯდა თეათინელი მორჩილი, მეორეზე ჩემი ამხანაგი, რომელიც შეუძლოდ იყო, რაც აყოვნებდა და ართულებდა ჩვენს გახიზვნას. ორი თეათინელი პატრი და მე ფეხით მივდევი ერთ ურემს. ჩვენ გვახლდნენ ტყვეები და მსახურნი. სახლში მცველად მხოლოდ ერთი პატრი დარჩა. გადასაზიდი საშუალებების უქონლობის გამო ბევრი ნივთი სახლში დარჩა. მე დავტოვე წიგნები, დიდი ნაწილი ჩემი ქალაქებისა და

²⁰ Rucs (Ruchs).

მათემატიკური ხელსაწყოები იმ იმედით, რომ არც თურქები და არც მეგრელები არ მოისურვებდნენ მათთვის თავის შეწუხებას. პატრი, რომელიც მცველად დარჩა სახლში, გაიგებდა თუ არა მტრის მოახლოების ამბავს, გარბოდა მახლობელ ტყეში და სახლში საღამოთი ბრუნდებოდა. მე აღვნიშნე, რომ ომები, რომლებსაც მეგრელები და მათი მეზობლები ეწევიან, არსებითად თავდასხმებს და ძარცვა-გლეჯას წარმოადგენს, რომელიც დიდხანს არ გრძელ-

დება; რამდენიმე დღის შემდეგ მტერი უკან ბრუნდება. ამიტომაც არის, რომ თითოეულ ოჯახში ერთ ან ორ კაცს ტოვებენ, რათა ხელი შეუშალონ მეზობლებს, რომლებიც მიტოვებულ სახლებში საქურდლად შედიან და მიაქვთ მარცვლეული, ღვინო და სხვა, რის გახიზვნაც ვერ მოხერხდა. ზოგჯერ ამ სახლების მცველებს მტერი მოულოდნელად თავს წაადგება, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება, რადგან ფხიზლად არიან და შეუძლიათ თავი შეაფარონ დაბურულ ტყეებს, რომლებიც სულ ახლოს არის.

მძიმე სანახავი იყო, თუ როგორ გარბოდა ეს უბედური ხალხი. დედაკაცებს მიჰყავდათ ბავშვები და მიჰქონდათ ფუთები, მამაკაცებს კი ბარგი. ერთნი საქონელს მიერეკებოდნენ, მეორენი საოჯახო ნივთებით სავსე ურიკას მიაგორებდნენ. გზაზე გვხვდებოდნენ ძალაგამოლეული ცოცხალმკვდარი ადამიანები. გვხვდებოდნენ მოხუცები, პატარა ბავშვები, რომლებსაც სიარული არ შეეძლოთ და საშინელი კვნესა-ტირილით ითხოვდნენ შველას. ეს იყო სასოწარკვეთილების, მწუხარებისა და ვარამის მოთქმა, რომელიც მხოლოდ... მათ გულს ვერ ალბობდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ არც ჩემზე უმოქმედია ამ ამბავს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მე გულქვა ვიყავი, არამედ იმის გამო, რომ თანაგრძნობის თავი არა მქონდა. ჩემმა პირადმა გაჭირვებამ ისე მომქანცა, რომ სხვისი სიბრალულის განცდა აღარ შემემძლო. ჩვენ თავი შევაფარეთ ტყეში მდგარ ერთ ციხე-სიმაგრეს, როგორც მე აღვწერე. იგი ეკუთვნოდა ერთ ბატონს, რომელსაც სახელად საბახტარი²¹ ერქვა²¹⁴). იგი გამაჰმადიანებული ქართველი იყო, რომელიც შემდეგ კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებია. ის არ ჩანდა ისეთი გაიძვერა და ავაზაკი, როგორც სხვები. ჩვენ მასთან მივედით, ტალახსა და ლაფში ხუთი მილის გავლის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ჩვენი ურემი გზაში სამუდამოდ ჩარჩებოდა; მართლაც და, ორჯერ მაინც მოგვიხდა მისი

²¹ Sabatar.

განტვირთვა და დატვირთვა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ორჯერ კინალამ გაგვმარცხეს და დაგვხოცეს. ასე რომ, მუდმივ განსაცდელში ვიყავით. როდესაც მივაღწიეთ ამ ციხეს, მასპინძელმა კარგად მიგვიღო. თეათინელმა პატრებმა უთხრეს, რომ მე ისეთი ადამიანი ვარ, რომელმაც პატივისცემის დაფასება იცისო. მან მოგვათავსა ისეთ უხეირო და პატარა ქოხში, რომ იქ ცხოვრება ღია ცის ქვეშ ყოფნას უდრიდა, რადგან ყოველი მხრიდან გვაწვიმდა. მაგრამ ესეც დიდი მოწყალება იყო, რადგან არ გავერიეთ იმ ურიცხვ გაჭირვებულებში, რომლებიც ერთიმეორეზე იყვნენ მიყრილნი. როდესაც ჩვენ მივედით, ციხე ხალხით იყო გავსებული.

აქ რვაასი სული იმყოფებოდა, თითქმის ყველა ქალი და ბავშვი.

სანამ განვაგრძობდე თხრობას ჩემს შემდგომ ფათერაკებზე, მოგიტხრობთ ოსმალების შემოსევის მიზეზზე და აგრეთვე იმაზე, რაც გავიგე სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის ხალხების ბოლო ომების შესახებ, რომლებშიაც მათი სასტიკი მეზობლები თურქები და სპარსელები ერეოდნენ. აქ ისეთი ამბებია აღწერილი, რომლებიც ისტორიაში შეტანის ღირსია. ყველაზე პატარა და ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფოები დაუსრულებლად ახდენდნენ ტრაგიკული ხასიათის გადატრიალებებს. როდესაც ისტორიის ამ ნაწილს წაიკითხავდენ, ვფიქრობ, არ გამამტყუნებენ აქაური მცხოვრები ხალხის გადაჭარბებით ცუდად შეფასებაში. მათი ზნე-ჩვეულების უბრალო და პირუთვნელი აღწერა გამამართლებს მკითხველების თვალში.

სამეგრელოს ყველაზე ცნობილი მთავარი, მას შემდეგ რაც იგი აუჯანყდა იმერეთის მეფეს, იყო დღევანდელი მთავრის ბიძა, ლევან დადიანი²². იგი იყო მამაცი, დიდსულოვანი, ჭკვიანი, საკმაოდ სამართლიანი და ყველა თავის საქმიანობაში ბედი წყალობდა. მან ომი გამოუცხადა თავის მეზობლებს და გაიმარჯვა. ეს მთავარი ნამდვილად საუცხოო ადაჭმიანი იქნებოდა, რომ იგი კარგ ქვეყანაში დაბადებულიყო, მაგრამ მის ქუეყანაში არსებული მრავალცოლიანობისა და ახლობელი ნათესავების ცოლად შერთვის წესმა მიიყვანა იგი ყოველგვარ ზომას გადასულ ქმედობამდე, რამაც მისი დიდება დასცა.

ლევანი პატარაობიდანვე ობლად იზრდებოდა. მისმა მამამ

²² Levan Dadian.

სიკვდილის წინ მას მეურვედ დაუნიშნა თავისი ძმა. მას ერქვა გიორგი. ის იყო სალიპარტიანოს²³ სუვერენული მთავარი, ქვეყნისა, რომელიც მდებარეობს შორს – კავკასიის მთებში²¹⁵). იგი ერთგულად ზრუნავდა თავის მეურვეობაში მყოფ ძმისწულზე. შესანიშნავად აღზარდა და ბრძნულად მართავდა სამეგრელოს, სანამ ლევანი მცირეწლოვანი იყო.

ოცდაოთხი წლის ასაკში ლევანმა შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. ეს იყო მეტად ლამაზი და ჭკვიანი დედოფალი, მაგრამ მას ბრალად დასდეს ქმრის ღალატი. შეიძლება ეს შურისძიებით იყო გამოწვეული, მისი ქმრის აშკარა ყოველდღიური ღალატის პასუხად. იმ ქალებს შორის, რომლებიც მას მოსწონდა, იყო მისი ბიძის – გიორგის ცოლიც, ბიძისა, რომელიც მას მეურვეობდა და რომლისგანაც ის მეტად

დავალებული იყო. მას ერქვა დარეჯანი²⁴ და წარმოშობით დიდგვარიანი ჭილაძის²⁵ ოჯახიდან იყო²¹⁶). დარეჯანი არაჩვეულებრივად ლამაზი და ასევე უზომოდ ბოროტი და პატივმოყვარე იყო. ის არ დაკმაყოფილდა ცოლქმრული ერთგულების დარღვევით და ორი წლის განმავლობაში სისხლალრევითი კავშირით ქმრის ძმისწულ მთავართან; მან ამ ხნის განმავლობაში შთააგონა მთავარს, რომ მოეტაცნა და შეერთო იგი და განქორწინებოდა თავის ცოლს. ლევანმა ეს მოთხოვნა შეასრულა. ეს მრუში დედაკაცი მოიტაცა ქმრის ოჯახიდან და შეერთო ცოლად. რვა დღის შემდეგ აფხაზეთის მთავარს უამალოდ და სირცხვილნაჭამი გაუგზავნა თავისი ასული, რომელსაც ყურები, ცხვირი და ხელები ჰქონდა დაჭრილი. ასეთი უკიდურესი სისასტიკის გასამართლებლად მან ცოლს ბრალად დასდო ღალატი ვეზირთან, რომელსაც პაპუნა²⁶ ერქვა და რომ ყველა დაერწმუნებინა ამაში, ცოლის დასახიჩრებასთან ერთად ვეზირი ზარბაზანში ჩაატენინა²¹⁷); მიუხედავად ამისა, ყველა ირწმუნებოდა, რომ დედოფალსა და ვეზირს შორის არაჭვიტარ ბოროტებას არ ჰქონია ადგილი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭილაძის სიავისა და ეჭვიანობის შედეგი იყო, რასაც ლევანმა მსხვერპლად შესწირა თავისი ცოლი და ვეზირი.

ამ ბოროტი ქალის სიყვარულმა კიდევ ბევრი იმსხვერპლა, მაგრამ მისი პატივმოყვარეობა უკიდურესობამდე მიდიოდა. ლევანმა თვითონ მოწამლა თავის პირველ ცოლთან შეძენილი ორი ვაჟი. ეს

²³ Libardian. ²⁴ Darejan. ²⁵ Chilaké. ²⁶ Papon.

არაადამიანური საქმე მან ჩაიდინა ჭილაძის შთაგონებით, რომელსაც უნდოდა, რომ ტახტის მემკვიდრენი ყოფილიყვნენ მისი შვილები, რომლებიც მას ლევანისაგან ეყოლებოდა.

მთავარ გიორგის თავისი ცოლი, მიუხედავად მისი ღალატისა და ბოროტებისა, მაინც უყვარდა. მისმა მოტაცებამ იგი საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ორმოცი დღე, აქაური წესის თანახმად, ძაძებს ატარებდა ისევე, როგორც მიცვალებულზე ატარებენ ხოლმე. ამის შემდეგ იარაღი აიღო ხელში და თავს დაესხა თავისი ძმისწულის მიწა-წყალს. ლევანი ძალიან მამაცი იყო და კარგი ლაშქარიც ჰყავდა. მან გიორგი აიძულა გახიზნულიყო მთებში, სადაც იგი მალე სევდისა და მწუხარებისაგან გარდაიცვალა.

შურისძიება სწყუროდა აფხაზეთის მთავარსაც იმ შეურაცხყოფისა და შერცხვენისათვის, რომელიც მას მიაყენეს მისი ასულის ასეთ დღეში ჩაგდებათ. მაგრამ არც ეს შურისძიება დამთავრებულა წარმატებით. მან შეკრიბა თავისი ძალები და სამეგრელოს მთავართან ომი დაიწყო²¹⁸). ომი მის სასარგებლოდ არ მიმდინარეობდა,

მაგრამ მან არ ისურვა არც სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, არც დროებითი ზავი და ომი მხოლოდ მაშინ შეწყვიტა, როცა გაიგო ამ ბარბაროსი სიძის სიკვდილი.

ლევანის წინააღმდეგ აღსდგა მესამე უფრო სასტიკი მატერი, მაგრამ ასევე წარუმატებლად; ეს იყო მისი ღვიძლი ძმა იოსები²⁷. იგი გამოესარჩლა თავისი ბიძის – გიორგი და აფხაზეთის მთავრის სამართლიან გულისწყრომას და განიმსჭვალა შურისძიებით, გადაწყვიტა დამნაშავე მოეკვლევინებინა. ამ მიზნის განსახორციელებლად ამოირჩია ერთი მცველი, წარმოშობით აფხაზი. მთავრის მერიქიფეც შეთქმულებას უჭერდა მხარს. შეთქმულება შემდეგნაირად უნდა წარმართულიყო: იოსები სადილად სასახლეში უნდა მისულიყო; აფხაზი მცველი მთავრის უკან ფეხზე უნდა მდგარიყო შუბით ხელში. როდესაც მთავარი პირთან მიიტანდა ღვინით სავსე დიდ თასს, რომელსაც ჩვეულებრივად მეგრელები ლხინის დასასრულს სვამენ ხოლმე, მერიქიფეს ნიშანი უნდა მიეცა აფხაზისათვის, რომელიც ამ დროს შუბს ჩასცემდა მას. შეთქმულების განხორციელებას აღარაფერი უკლდა, როცა ის ჩაიფუშა, რადგან ღვთის სამართალმა განსაჯა, რომ ლევანის ბოროტმოქმედებანი თვითონ ქცულიყვნენ მის მკვლელად და ჯალათად, რომლებმაც დიდხანს ვერ მოუღეს მას ბოლო. მან შეამჩნია, რომ მერიქიფე ნი-

²⁷ Joseph

შანს იძლეოდა და, თითქოს ვიღაცამ შთააგონაი, დავარდა ძირს ისე, რომ ლახვარი მას არ შეხებია; აფხაზი გაიქცა, მერიქიფე შეიპყრეს, აწამეს და აკუწეს მას შემდეგ, როცა ათქმევინეს ყველაფერი, რაც შეთქმულების შესახებ იცოდა. იოსებს თვალები დასთხარეს და იგი მალე გარდაიცვალა. მას დარჩა ვაჟი, რომელიც დღეს სამეგრელოს მთავარია.

ლევანს სამი შვილი ჰყავდა სისხლადრეული ქორწინებიდან, ორი ვაჟი და ერთი ქალი, რომელთა ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა მათი მამის ბუნების საწინააღმდეგო კავშირმა. სამივენი დამბლადაცემულები იყვნენ. მათ განსაკურნავად ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ: იწვევდნენ ადგილობრივ მკურნალებს, თეათინელებს; მთავარმა კონსტანტინოპოლიდან ცნობილი ბერძენი მკურნალი მოიწვია, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. უმცროსი ვაჟი და ქალიშვილი გარდაიცვალნენ დაახლოებით ოცი წლის ასაკში; უფროსმა ვაჟმა, რომელსაც ალექსანდრე ერქვა, უფრო მეტ ხანს იცოცხლა²¹⁹), ცოლიც შეირთო და შვილიც ეყოლა. მისი ცოლი გურიის მთავრის ასული იყო. დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მას შეეძინა ვაჟი და მალე გარდაიცვალა ჯერ კიდევ მამის,

ლევანის, სიცოცხლეში.

ლევანი გარდაიცვალა 1657 წელს²⁰). მისი სიკვდილის შემდეგ ჭილაძემ ტახტის მემკვიდრედ თავისი ვაჟი გამოაცხადა, რომელიც პირველი ქმრიდან ჰყავდა, თუმცა ხალხი ამ ვაჟის მამად ლევანს თვლიდა. ამ ახალგაზრდა მთავარს, რომელსაც ვამეყი²⁸ ერქვა²¹), დიდხანს არ სჭირია ტახტი. საქართველოს იმ ნაწილის მეფისნაცვალმა, რომელიც სპარსეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა²²), ლევანის კანონიერ მემკვიდრეს ჩამოართვა მთავრის ღირსება მას შემდეგ, რაც დაიპყრო სამეგრელო და იმერეთი. რადგან ეს დაპყრობა არის ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი იმდროინდელი მოვლენებისა, მე საჭიროდ ვთვლი შევჩერდე მასზე.

იმერეთის განსვენებულ მეფეს, ალექსანდრეს, რომელიც 1658 წ. გარდაიცვალა²³) ორი ცოლი ჰყავდა; პირველი იყო გურიის მთავრის ასული თამარი²⁹, რომელთანაც მას ერთი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ამ ცოლს ალექსანდრე გაეყარა, რადგანაც იგი ხშირად ღალატობდა. ვაჟი, ბაგრატ-მირზა³⁰ დღეს იმერეთის მეფეა²⁴), ასული – სამეგრელოს დედოფალი²⁵). ეს ის დედოფალი გახლავთ, რომლის შესახებ მე საკმაოდ ვილაპარაკე და რომელსაც ჩემი გა-

²⁸ Vomeki. ²⁹ Tamar. ³⁰ Bacrat Mirza.

ქურდვა და ჩემთვის ცოლის შერთვა უნდოდა. ალექსანდრეს მეორე ცოლი, დარეჯანი, ახალგაზრდა დედოფალი, ასულია დიდებული და სახელოვანი თეიმურაზ ხანისა, საქართველოს უკანასკნელი სუვერენული მეფისა²⁶). ალექსანდრეს დარეჯანთან შვილი არ ჰყოლია. ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ ალექსანდრე გარდაიცვალა. როგორც სასწაულზე, ისე ლაპარაკობდნენ დარეჯანის სილამაზესა და მიმზიდველობაზე. თავისი გერის ბაგრატის, ტახტზე ასვლისთანავე დარეჯანმა მისი ცოლობა მოინდომა და სცადა მისი დაყოლიება. ბაგრატი მხოლოდ თხუთმეტი წლისა იყო; ამიტომ დარეჯანის მომხიბლავ სილამაზეს ჯერ კიდევ არ შეეძლო განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოეხდინა მის გულზე, ხოლო მისი ქვეყნის ადათებს იგი ჯერ კიდევ არ გაეფუჭებინათ. ამ წინადადებაში საშინლად იმოქმედა მასზე და ზიზღით უპასუხა. დარეჯანი, დარწმუნდა რა, რომ ტახტს ვერ დაიკავებდა, მან ბაგრატს შერთო თავისი ნათესავი თორმეტი წლის ნესტან-დარეჯანი³¹, თეიმურაზ ხანის ძმის, დათუნას⁷², ასული²⁷). როგორც უკვე ვთქვი, ბაგრატმა თხუთმეტი წლის ასაკში შეირთო ცოლი. ამ გზით დარეჯანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას და მეფე-დედოფლის მუდმივი მეურვეობის უფლების მოპოვებას ფიქრობდა. ბაგრატი, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, მიუხვდა თუ რა

ზრახვები ამოძრავებდა დედინაცვალს და ერთ დღეს მის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა. დარეჯანმა შესძლო დაემალა თავისი ზრახვები, ბაგრატი დააწყენარა და დაარწმუნა, რომ მას ძალაუფლება არ აინტერესებდა. მთავარი კეთილი და უბრალო ადამიანი იყო. მან ადვილად დაუჯერა დარეჯანს, კვლავ ნდობით განიმსჭვალა მისდამი და ვერ მიხვდა, რომ დარეჯანი ხიფათს უმზადებდა. დარეჯანმა თავი მოიავადმყოფა და მეფეს თხოვა მის სანახავად მობრძანებულიყო. ბაგრატი დაუეჭვებლად მივიდა მასთან. შევიდა თუ არა ოთახში, იქ ჩასაფრებულმა კაცებმა ბაგრატი დაიჭირეს და შებოჭეს. დარეჯანმა ბრძანა სწრაფად წაეყვანათ იგი ქუთაისის ციხეში, რომელიც ქვეყნის მთავარ ადგილს წარმოადგენდა და რომლის უფროსი მისი კაცი იყო. თვითონაც მაშინვე ციხე-სიმაგრისაკენ გაემართა, დაიბარა ყველა მისთვის სანდო დიდებულები და ხუთი დღის განმავლობაში ეთათბირებოდა მათ, თუ როგორ მოქცეოდა მეფეს. ერთნი ურჩევდნენ მის მოკვლას, მეორენი – თვა-

³¹ Sistan Darejan. ³² Datona.

ლების დათხრას. მიიღეს უკანასკნელი რჩევა და ბაგრატი დააბრმავეს. ეს მოხდა ბედუკულმართი მთავრის დაქორწინებიდან რვა თვის შემდეგ. ამბობდნენ, რომ საბრალომ ვერც კი მოასწრო ნამდვილი ქმარი გამხდარიყო.

დარეჯანის მომხრე დიდებულებს შორის იყო ერთი, სახელად ვახტანგი,³² რომელიც მას თავდავიწყებით უყვარდა²²⁸). დარეჯანი მითხოვდა მას და მეფედ აკურთხა იგი იქვე, ციხეში. მისთვის ასეთი უპირატესობის მინიჭებამ შეურაცხყო და გაანაწყენა დიდებულები, ისინი ჩამოსცილდნენ დარეჯანს, მიემხრნენ მის მოწინააღმდეგე პარტიას, იარაღი აიღეს ხელში და მოუწოდეს დახმარებისათვის გურიის და სამეგრელოს მთავრებს, დაპირდნენ რა სახელმწიფოს მიცემას მას, ვინც პირველი მოვიდოდა მათ დასახმარებლად. ყველაზე წინ მოვიდა ვამეყ დადიანი თავისი ქვეყნის მთელი ძალებით. მალე მის ხელში აღმოჩნდა ყველაფერი, რასაც დარეჯანი ფლობდა, გარდა ქუთაისის ციხისა. მასაც ალყა შემოარტყა, მაგრამ არტილერიის უქონლობის გამო ალყაშემორტყმულებთან ვერაფერი გააწყო და უშედეგოდ მოძრაობდა აქეთ-იქით. მათ დამორჩილებას დიდი ხანი დასჭირდებოდა, რომ ერთ დიდებულს, სახელად ოტია ჩხეიძეს³³ ცბიერება არ ეხმარა²²⁹). მან გონებაგამჭირახობით გააკეთა ის, რის გაკეთებაც ძალით ვერ მოხერხდა. იგი შევიდა ციხეში, დარეჯანს თავი მოაჩვენა, თითქოს სამეგრელოს მთავრის მიერ დაჩაგრული და გაძევებულია და მოკლებულია თავმესაფარს, მუხლმოდრეკით სთხოვა შეწყნარება და მფარვე-

ლობა ამ მთავრის შურისძიებისაგან. დარეჯანი მახეში გაება. მან ირწმუნა ყოველივე ის, რასაც ოტია ეუბნებოდა, ხედავდა რა, თუ როგორ მხურვალე გულწრფელობას ამჟღავნებდა იგი მისი ინტერესებისადმი მან ოტია გაგზავნა იმხანად თბილისის ეპისკოპოსის და საქართველოს კათალიკოსის სახელით ჩამოსულ თავის მრჩევლებთან, რომელნიც სინამდვილეში გამოგზავნილი იყვნენ ამ ქვეყნის მეფისნაცვლის მიერ, რომელსაც ეშინოდა, რომ იმათ, ვისაც დარეჯანი ენდო, არ ეღალატათ მისთვის. შემოპარულმა კაცმა გააბრიყვა ეს განათლებული ხალხი: მან მათი თანდასწრებით მოახსენა დარეჯანს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს – დახმარებისათვის მიმართოს თურქეთს რათა სამეგრელოს მთავარი გაამეგოს, წაართვას რაც კი წა-

³² Vactangle. ³³ Ottia Checaizé.

ილო და მშვიდობით იმეფოს; ამისათვის აუცილებელია მისი მეუღლის, ვახტანგის, კონსტანტინოპოლში გაგზავნა დახმარების სათხოვნელად და გვირგვინის დასამტკიცებლად; იმერეთის სამეფო ხომ პორტას მოხარკეა და თურქეთის სულთანს უფლებაც აქვს და საჭირო ძალებიც გააჩნია აქ მშვიდობის დასამყარებლად და მეფის დასანიშნად. დარეჯანი მოიხიბლა ამ რჩევით, და როდესაც ოტიამ შესთავაზა მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება – ვახტანგის ხლება კონსტანტინოპოლში, იგი მუხლებში ჩაუვარდა მას და სიტყვებით ვერ გამოეთქვა ის მაღლიერების გრძნობა, რომლითაც გული ჰქონდა სავსე. ვახტანგმა მხოლოდ ორი კაცი გაიყოლა თან, რათა უფრო სწრაფად და შეუმჩნეველად ევლო. მისმა ცბიერმა მეგზურმა ოტია ჩხეიძემ იგი ციხიდან დაღამებისას გამოიყვანა და მიხვეულ-მოხვეული გზებით ერთ საათში მეთაყვეების ბანაკში ამოაყოფინა თავი. სამეგრელოს მთავარმა ბრძანა მაშინვე თვალები დაეთხარათ მისთვის და იმავე ღამეს აცნობა დარეჯანს, რომ მისი ქმარი დატყვევებული და თვალებდათხრილია. ამ ამბავმა ისეთი ლახვარი ჩასცა დარეჯანს, რომ მხნეობა და სიმტკიცე დაკარგა და მალე ციხეც დათმო, რომელიც მტრებმა გაპარცვეს. ამბობენ, რომ სამეგრელოს მთავარმა აქედან დიდი სიმდიდრე გაიტანაო, მათ შორის, თორმეტი ურემი ვერცხლის ჭურჭელი და სხვა საოჯახო ნივთები იმასაც ამბობენ, იმერეთის მეფეებს იმდენი ვერცხლის ნივთები ჰქონიათ შეგროვილი, რომ მათ სასახლეში თითქმის ყველაფერი მასიური ვერცხლისა ყოფილა, თვით კიბეებიც თავისი საფეხურებით ეს ადვილად დასაჯერებელია ისეთი ქვეყნის მიმართ, რომელიც ვაჭრობის მხრივაც განვითარებული ქვეყანა იყო და ემეზობლებოდა ძველ დროში უმდიდრეს ქვეყნებს, სადაც ფულის მი-

მოქცევა იმ დროს არ იყო; დღესაც იგი ნაკლებად არის ხმარებაში. სამეგრელოს მთავარმა თან წამოიყვანა იმერეთის მეფეც და დედოფალიც – ბოროტი დარეჯანი და მისი უბედური ქმარი – ვახტანგი, ხოლო ორივე პრელატი სირცხვილნაჭამი გაუშვა საქართველოს მეფისნაცვალთან, რომელმაც ისინი მრჩველებად გამოუგზავნა დარეჯანს.

საქართველოში მეფისნაცვალი იყო შაჰნავაზ-ხანი²³⁰). იგი ამ ქვეყნის უკანასკნელი სუვერენული მფეების შთამომავალი იყო. მან მაჰმადიანობა მიიღო, რათა მეფისნაცვალი გამხდარიყო, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომი. ჰყავდა მხოლოდ ორი კანონიერი ცოლი²³¹) – ორივე ქრისტიანი, ერთ-ერთი მათგანი – მარიამი²³²)

238

სამეგრელოს მთავრის, ლევანის და იყო; ეს ის ლევანია, რომლითაც მე ამ ისტორიის თხრობა დავიწყე. მარიამმა როგორც კი გაიგო, რომ ბოროტმა ჭილაძემ თავიდან მოიცილა ტახტის კანონიერი მემკვიდრე და ტახტზე აიყვანა თავისი შვილი, რომელიც მას ლევანთან დაქორწინებამდე ჰყავდა, თავის ქმარს სთხოვა დაეცვა მისი ძმისწულის უფლებები და დაებრუნებინა მისთვის ტახტი, რომლის კანონიერი და ნამდვილი მემკვიდრე იგი იყო. საქართველოს მეფისნაცვალს თავდაპირველად არ სურდა ამ საქმეში ძალის გამოყენება. სამეგრელო თურქეთის სულთნის მოხარვე იყო, ამიტომ მას არ შეეძლო ომის დაწყება სპარსეთის ნებართვის გარეშე და არ იცოდა რა გზით მიეღო იგი. მაგრამ მალე მოხერხებული შემთხვევა მიეცა; როგორც კი სამეგრელოს მთავარი იმერეთის სამეფოში შევიდა, რაც ახლახან აღვნიშნე, დარეჯანმა, რომელიც საქართველოს მეფისნაცვლის ნათესავი და მასთან აღზრდილი იყო, მისმა მეუღლემ ვახტანგმა და მისმა მომხრე დიდებულებმა მეფისნაცვალს შესთავაზეს ტახტზე დაესვა მისი უფროსი ვაჟი – არჩილი²³³), იმ პირობით, თუ იგი მეგრელებს განდევნიდა. ეს წინადადება მეფისნაცვალმა აცნობა სპარსეთის ხელმწიფეს და შეჰპირდა, რომ იგი ამ სამეფოს და სამეგრელოსაც მის სახელმწიფოს შეუერთებდა, თუ იგი მათი დაპყრობის ნებას დართავდა. მისმა უდიდებულესობამ თანხმობა შემოუთვალა. შაჰნავაზ-ხანმა მაშინვე შეკრიბა ჯარი და გაემართა იმერეთისაკენ. იმერეთში შესვლისთანავე შეიტყო, რომ ერთმა ქართველმა დიდებულმა ისარგებლა რა მისი არყოფნით, აჯანყება მოაწყო და ქვეყნის დასარბევად ემზადებოდა. იგი უკანვე გამობრუნდა, თავისი ჯარი მის წინააღმდეგ დაძრა. გამოიწვია ბრძოლაში, მოკლა და შემდეგ კვლავ იმერეთში დაბრუნდა²³⁴).

ამ სამეფოს დიდებულებმა, რომლებმაც იგი მოიწვიეს, ოთხი ათასი კაცი შეკრიბეს. ეს დიდძალი ჯარია ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის, როგორც ის არის. ეს ჯარი ყოველდღიურად მატულობ-

და. ერთნი ომში მიდიოდნენ იმიტომ, რომ ძალაუფლების დაკარგვისა ეშინოდათ, მეორენი – სიმამაცის გამოჩენის სურვილით ალტყინებულნი. არც სამეგრელოში და არც იმერეთში ამ ჯარისათვის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მთავარმა ვამეყმა თავი შეაფარა სვანებს³⁴, რომლებიც კავალერიისათვის მიუვალ კავკასიის მთებში ცხოვრობენ. ასე რომ, ქართველ მეფეს ქვეყნის მარცვის მეტი არა გაუკეთებია რა; დიდი ნადავლი წაიღო

³⁴ Soüanes.

როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნიდან. ამბობენ, რომ მან აქ შეაგროვაო დიდი ნაწილი იმ ოქროვერცხლის ჭურჭლისა, რომლითაც სავსეა მისი სახლი. სამეგრელოს მთავრად მან გამოაცხადა ლევანის შვილიშვილი, თავისი ცოლის ძმისწული, რომელიც ამ სამთავროს კანონიერი მემკვიდრე იყო²³⁵), და იგი ერთ-ერთ თავის ძმისწულზე დანიშნა, რომელიც მასთან უნდა გაეგზავნა²³⁶). შემდეგ მან იმერეთის მეფის გვირგვინი დაადგა თავის უფროს ვაჟიშვილს – არჩილს³⁵; არ იცოდა მხოლოდ რა გზით მოეშორებინა თავიდან ვამეყი, რომელიც მისი შიშით მთებში გაიხიზნა. მას არ უნდოდა ეს ლტოლვილი მთებში დაეტოვებინა, რადგანაც მისი წასვლის შემდეგ ვამეყს შეეძლო ჩამოსულიყო მთებიდან და ახლად დასმული მთავრებისათვის უსიამოვნება მიეყენებინა. იგი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანა ერთმა იმერელმა დიდებულმა, რომელსაც სახელად ხოსია³⁶ ერქვა²³⁷). მან სვანებს მისწერა, რომ საქართველოს მეფისნაცვალს ვამეყის თავიდან მოცილება სურს, რომ იგი მათ დიდ გასამრჯელოს მისცემს, თუ მას მოკლავენ. ხოლო თუ ამ წინადადების შესრულებაზე უარს იტყვიან, იგი ომს გამოუცხადებს მათ სვანებმა შეასრულეს ეს მოთხოვნა; მოკლეს ვამეყი და მისი თავი საქართველოს მთავარს გამოუგზავნეს. ამის შემდეგ შაჰნავაზხანი უკან დაბრუნდა და თან წამოიყვანა იმერეთის ორივე თვალბდათხრილი მეფე: ბაგრატე და ვახტანგი, რათა მისი წასვლის შემდეგ არც მათ და არაც მათ მეგობრებს არ მოეხდინათ აჯანყება ამ ორი მეფის სასარგებლოდ, მათი ცოლები – დედოფლები – კი ქუთაისში დატოვა. ასეთი არაადამიანური საქციელი, ცოლქმრების გაყრა, მან ჩაიდინა თავის შვილის, იმერეთის მეფის სასარგებლოდ. ამ ახალგაზრდა მეფეს თავდავიწყებით უყვარდა ბაგრატის ცოლი; გადაწყვიტა წაერთმია იგი ქმრისათვის და ცოლად დაესვა²³⁸).

იმერეთის დიდებულებმა საქართველოს მეფისნაცვლის წასვლის შემდეგ ახალი მზრძანებლის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. ერთნი უკმაყოფილონი იყვნენ მფის მათდამი ცუდი დამოკიდებულებით, მეორენი კი ვერ იტანდნენ ხოსიას განდიდებას, რო-

მელიც მას მამამისმა პირველ ვეზირად დაუნიშნა, მისი მათ მიმართ მედიდური და ულმობელი დამოკიდებულების გამო. მათ ახალციხის ფაშას მისწერეს (ეს ქვეყანა თურქების ქვეშევრდომია და ესაზღვრება იმერეთს), რომ გაოცებულნი არიან იმ გულგრილობით რომლითაც იგი საქართველოს მეფისნაცვლის მოქმედებას ეკიდება, რო-

³⁵ Archyle. ³⁶ Kotzia.

მელმაც დაიპყრო და გაანადგურა თურქების მოხარკე სამეფო და სამთავრო, ტყვედ წაიყვანა მათი კანონიერი სუვერენები და მათ ადგილზე თავის სისხლხორცი დასვა. თხოვეს მას ეცნობებინა, ხომ არ მიატოვა სულთანმა ისინისპარსეთის საამებლად, თუ ეს მათი ძლიერების შიშით გამოწვეული უმოქმედობაა, რომელმაც ხელები შეუკრა მას ისეთ საქმიანობაში, რომელიც თურქეთის სულთნის ინტერესებს და ღირსებას შელახავს. ფაშამ უპასუხა, რომ მან უკვე აცნობა სულთანს საქართველოს მეფისნაცვლის თავდასხმის ამბავი, ყოველ წუთს ელოდება განკარგულებას მისგან და როგორც კი მიიღებს, შემოუთვლის მათ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. მალე ფაშამ აცნობა დიდებულებს, რომ სულთნის ბრძანება უკვე მოვიდა და როგორც კი ყარსისა³⁷ და არზრუმის³⁸ (ეს სომხეთის პროვინციებია) ფაშები თავიანთი ჯარებს, თანახმად სულთნის ბრძანებისა, შეუერთებენ მის ჯარს, იგი მაშინვე წამოვა ქართველთა უღლისაგან მათ გასანთავისუფლებლად. მანამდე კი უნდა შეაგროვონ რაც შეიძლება ბევრი ხალხი და მზად იყვნენ მათ შესაერთებლად; ამასთანავე უნდა მოკლან ხოსია, რათა მისმა ჯარმა, მისმა სიფრთხილემ და გავლენამ ხელი არ შეუშალოს ამ წამოწყებას; ამავე დროს, მისი მოკვლით იმერეთის ახალი მეფე მრჩევლის გარეშე დარჩებაო.

შეთქმულების სულისჩამდგმელები იყვნენ მეფის კარის მთავარი ვეზირი და ეპისკოპოსი გენათელი³⁹. შეთქმულებაში ჩააბეს ხოსიას ერთი აზნაურიც. დაპირდნენ რომ ცოლად შერთავდნენ დიდი ვეზირის ასულს და რომ ფაშას მიაცემინებდნენ მისთვის მისი ბატონის ხოსიას მიწებს იმ შემთხვევაში, თუ მოკლავდა ხოსიას. მოლალატე დათანხმდა ამაზე და ღამით, როდესაც წამალს აძლევდა თავის ბატონს, მოკლა იგი.

ასეთმა გაბედულმა მოქმედებამ გახსნა შეთქმულება, იმერეთის ყველა დიდებულმა ხელში აიღო იარაღი, დაჩქარდა ახალციხის ფაშის ლაშქრად წამოსვლა, დაიბნა და უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა მეფე. მან მაშინვე აცნობა თავის მამას, საქართველოს მეფისნაცვალს, ეს მდგომარეობა. ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ გაუგზავნა მას ინსტრუქციები, მრჩევლები და შეჰპირდა, რომ მალე ჩამოვიდოდა ჯარით მის დასახმარებლად. მაგრამ ახალციხის

ფაშამ მას ჩამოსწრების დრო არ მისცა, ის ისე სწრაფად შევიდა იმერეთში, რომ ახალგაზრდა მთავარმა ძლივს დააღწია თავი მის მდევრებს და თავს გაქცევით უშველა. არჩილი მამასთან მივიდა,

³⁷ Cars. ³⁸ Erzerum. ³⁹ Janatelle.

სადაც მისი ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეატყობინეს, რომ ახალციხის ფაშამ გარნიზონი ჩააყენა იმერეთის დედაქალაქში – ქუთაისის ციხეში – და გახდა ქვეყნის სრული მფლობელი. ამან აიძულა საქართველოს მეფისნაცვალი უკან დაბრუნებულიყო, რადგან სპარსეთის ხელმწიფის ბრძანების გარეშე მას არავითარი მოქმედების დაწყება არ შეეძლო თურქების წინააღმდეგ.

ბრძანებაში, რომელიც ფაშამ სულთნისაგან მიიღო, აღნიშნული იყო: რადგან, იმერეთის ხალხი და მეგრელები თავისუფლებას ერთიმეორის ჟღეტისათვის იყენებენ, ამიტომ ფაშას მათთვის უნდა ჩამოერთმია ყველა გამაგრებული ადგილი, რომელსაც კი შესძლებდა. ფაშა ამ ბრძანებას მეტად საიდუმლოდ ინახავდა. შევიდა რა მოხერხებულად ქუთაისის ციხეში, დაეუფლა მას და იქ გარნიზონი ჩააყენა. შემდეგ მან ამ მხარის ყველა აზნაურს უბრძანა გამოცხადებულიყო მასთან და შესთავაზა ერთგულების ფიცი დაედო მის მიერ დაყენებული ახალი მეფის წინაშე. ეს .იყო გურიის მთავრის ვაჟიშვილი, წმ. ბასილის ორდენის ბერი. მან გაიდრო ბერის ტანსაცმელი და მეფის გვირგვინი დაიდგა²³⁹).

სანამ ფაშა იმერეთის პატარა სახელმწიფოს ამგვარად განაგებდა, მასთან სამეგრელოს მთავარი მოვიდა და მორჩილება შესთავაზა; უთხრა, რომ სრულ მორჩილებას უცხადებს დიდ სულთანს, რომ ის იყო და სურს კვლავაც იყოს პორტას მოხარკე, რომ საქართველოს მეფემ მისი გამთავრებით მას მხოლოდ დაუბრუნა მამაპაპეული მემკვიდრეობა, რომელიც კანონით ეკუთვნოდა. ასეთი მორჩილებით და მის მიერ მორთმეული დიდძალი საჩუქრით კმაყოფილმა ფაშამ დაამტკიცა იგი მთავრად და შემდეგ დაბრუნდა ახალციხეში. მან თან წაიყვანა ბოროტი დარეჯანი და იმერეთის დედოფალი, რომლის წაყვანაც უბედურმა არჩილმა ვერ შეძლო.

ეს მოხდა 1659 წელს²⁴⁰). თურქეთის ფაშა ახალი წასული იყო იმერეთიდან, რომ ვერაგმა და ფუქსავატმა იმერეთის დიდებულებმა უარი თქვეს ახალი მეფისადმი მორჩილებაზე. საქართველოს მეფისნაცვალს კაცები გაუგზავნეს მასზე საჩივრით და სთხოვეს დაებრუნებინა მათთვის ბრმა ბაგრატი. ქართველმა მთავარმა იფიქრა, რომ ეს თხოვნა მათი ვერაგული ხრიკებია და მათ გულწრფელობაში დასარწმუნებლად უპასუხა, რომ თუ იმერეთის დიდებულები მართლაც უკმაყოფილონი არიან ახალი მეფით და სურთ

მისი გაგდება, მას თვალები დასთხარონ და თუ ამას გააკეთებენ, ის გაუგზავნის მათ ბაგრატს. პირობა მიღებულ იქნა და ზუსტად

242

შესრულდა ორსავე მხრიდან. იმერეთის დიდებულებმა თვალები დასთხარეს თავიანთ მეფეს და იგი მის ძმას, გურიის მთავარს, გაუგზავნეს. საქართველოს მეფემ მათთან გამოგზავნა ბაგრატი, წინასწარ დანიშნა რა იგი ერთ-ერთ თავის ძმისწულზე, იმის დაზე, რომელიც მან სამეგრელოს მთავარს მიათხოვა²⁴¹).

სამეგრელოს ეს მთავარი ახალგაზრდა იყო, ბაგრატი კი უსინათლო. ორივეგან დიდგვარიანი მოხელეები განაგებდნენ სახელმწიფოს. იმერეთის და სამეგრელოს ეს მოხელეები მუდმივად ერთმანეთში კინკლაობდნენ. ამ ჩხუბში ჩაიყოლიეს თავიანთი მბრძანებლები და აიძულეს ისინი დაეწყოთ ომი. სამეგრელოს მთავარი დამარცხდა და ტყვედ წაიყვანეს ცოლიანად, რომელიც საქართველოს მეფისნაცვალმა სულ ორი თვის წინ გამოუგზავნა მას. ხმები დადიოდა, რომ მან ამ ახალგაზრდა დედოფალთან შეუღლება კი ვერ მოასწრო. ქალი მეტად ლამაზი და ტანკენარი იყო; მე ბევრი ლამაზი ქალი ვნახე ამ ქვეყანაში, მაგრამ მისი მსგავსი სილამაზისა არავინ მინახავს. მას, რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღოდა იმ გრძნობების აღძვრაში, რომელსაც იგი მნახველში იწვევდა; მისი ვნებიანი, ნაზი, მიზნედილი თვალები თითქოს მოითხოვდნენ კიდევ ტრფიალს და იმედსაც გაძლევდნენ. ერთი სიტყვით, მისი გარეგნობა და ლაპარაკი ყველას იზიდავდა. ეპისკოპოსმა გენათელმა, რომელიც, როგორც მოვიხსენიე, იმერეთში მეტად ღირსშესანიშნავი პიროვნებაა, იგი პირველი ნახვისთანავე უსაზღვროდ შეიყვარა. იგი მდიდარია. მან ძვირფასი საჩუქრები მიართვა მას და ისე მოიგო მისი გული, რომ დღესაც ისინი ერთად არიან და ისე აშკარად, თითქოს ის მისი ცოლი იყო. ეშმაკობა, რომელსაც ამ ეპისკოპოსმა მიმართა, რათა ეს მზეთუნახავი ტყვე გაეჩერებინა იმერეთში, მეტად იშვიათი და გონებამახვილურია. მან ეს დედოფალი, მის სილამაზეზე ოსტატური თხრობით შეაყვარა საბრალო უსინათლო მეფეს ბაგრატს, და როდესაც ბაგრატს სიყვარულის ცეცხლი მოედო, შესთავაზა მისი შერთვა: „თქვენო უდიდებულესობავ! – უთხრა მან, – თქვენ დაკარგეთ მეუღლე, ახალციხის ფაშამ წაიყვანა იგი და ღმერთმა იცის რა მოუვიდა მას; თქვენი დანიშნული, საქართველოს მეფისნაცვლის ძმისწული, ჯერ კიდევ ბავშვია; როდის შეირთავთ თქვენ მას სინამდვილეში? დაე, თქვენმა უდიდებულესობამ შეირთოს სამეგრელოს დედოფალი, ის ხომ და არის იმ ქალისა, რომელიც თქვენ, თქვენი თანხმობით დაგინიშნეს, და მკვიდრი ბიძაშვილი იმისა, რომელიც თურქებმა მოგ-

ტაცეს. გარდა ამისა, იგი ულამაზესია. ჭკუით და სილამაზით მის მსგავს ქალს თქვენ ვერასოდეს შეირთავთ“. მეფემ გულუბრყვილოდ მიიღო მისი რჩევა; არ დაეჭვებულა, რომ იგი თავის მრჩეველის საქმეს უფრო აკეთებდა, ვიდრე თავისას. დედოფალმაც გულდიად მისცა თავისი ხელი.

ყველამ იცოდა, რომ სამეგრელოს მთავარს ცოლი გაგიჟებით უყვარდა და ის არასოდეს დათანხმდებოდა იმერეთის მეფისათვის დაეთმო იგი. ეძებდნენ მისი წართმევის მიზეზს, რომელსაც მოჩვენებითად სამართლიანი სახე ექნებოდა და აი, როგორ მოიქცნენ: იმერეთის მეფეს თავისთან ჰყავდა და, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ქვრივი იყო. მას სამეგრელოს დედოფლობა, ეხლანდელი დედოფლის მაგივრობა, შესთავაზეს. მხოლოდ მას უნდა მოეხერხებინა, რომ მთავარი შეესწროთ მასთან სარეცელზე. მეფის დისტვის, ახალგაზრდა, ეშმაკი და საკმაოდ ლამაზი აღნაგობის ქალისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა შეეცდინა გულუბრყვილო ახალგაზრდა დატყვევებული მთავარი. ისინი შე ისწრეს სარეცელზე და მაშინვე აიძულეს დაქორწინებულიყვნენ. იმავე დროს, იმერეთის მეფემ სამეგრელოს დედოფალი შეირთო. ამრიგად მოწყობილმა ქორწინებამ გაანთავისუფლა სამეგრელოს მთავარი; მას დაუბრუნეს თავისი სამთავრო, მაგრამ წინასწარ ფიცი დაადებინეს ხატზე, რომ ის თავის ახალ ცოლს არ გაეყრებოდა და სხვასაც არ შეირთავდა მის სიცოცხლეში.

დაბრუნდა თუ არა სამეგრელოს მთავარი თავის ქვეყანაში, შურისძიების გრძნობამ მოიკვა იგი და დახმარებისათვის სპარსელებსა და თურქებს მოუხმო ერთდროულად. ელჩები გაუგზავნა საქართველოს მეფისნაცვალს და ახალციხის ფაშას საჩივრით, იმერეთის მეფის თავდასხმებისა და ცოლის წაგვრის გამო. ფაშა ისედაც ძლიერ განაწყენებული იყო იმერლების მუხანათობით, მათი ამბოხებით და იმ მეფის მიმართ მათი უღირსი მოქმედებით, რომელიც ფაშამ მათ მისცა. გურიის მთავარი, ამ უბედური მეფის ძმა, დაჟინებით მოითხოვდა შურისძიებას²⁴²). ულმობელი დარეჯანი მთელი სიძლიერით აგულიანებდა ფაშას ისეთი სისასტიკით მოქცეოდა იმერლებს, როგორც ამ ბოროტმოქმედებმა დაიმსახურეს. როგორც ვთქვით, დარეჯანი არნახული სილამაზისა იყო და მისი მშვენიერება ხელშემწყობ პირობად იქცა მისი მოსაზრებისათვის. ფაშამ პირობა მისცა, რომ დაუბრუნებდა იმერეთის ტაშტს მას და მის ქმარს, რომელიც, როგორც ითქვა, საქართველოში ტყვედ იყო,

ტანგი გორის ეპისკოპოსის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. დარეჯანმა მოახერხა მისი მოტაცება და ახალციხეში მოყვანა. როგორც კი ვახტანგი ახალციხეში ჩავიდა, ფაშამ ისინი თავისთან ერთად წაიყვანა იმერეთში, სადაც დიდი საცოდაობა და საშინელი უბედურება დაატრიალა. მეფე-დედოფალი გაიქცნენ და თავი შეაფარეს რაჭის⁴⁰ ციხე-სიმაგრეს²⁴³), რომელიც ჯარისათვის მიუდგომელ მთებშია. ფაშამ ტახტზე დასვა დარეჯანი და მისი ქმარი და მათდამი ერთგულების ფიცი დაადებინა დიდებულებსა და მთელ ხალხს. წამოიყვანა მძევლები და დაბრუნდა ურიცხვი ტყვეებით, მაგრამ მცირე ნადავლით, რადგან ხუთი წლის გნმავლობაში მესამედ იყო ეს ქვეყანა გამარცვლი, აოხრებული და გაპარტახებული მეზობელი ხალხისა და სპარსელების მიერ.

ავგულ დარეჯანს თავის გადამეტებული მიმდობლობის გამო დაღუპვა ეწერა: მის ქვეშევრდომთაგან ერთმა დიდებულმა, ბოროტად გამოიყენა რა მისი მალემრწამობა, როგორც აღვნიშნე, იგი ისეთ განსაცდელში ჩააგდო, რომელშიაც მხოლოდ მისი მდგომარეობის ქალს თუ შეეძლო ყოფილიყო. მეორემ, იმავე გზით, მას დედამიწის ზურგზე ყველაზე მძიმე ტრაგიკული აღსასრული მოუმზადა. ეს ვერაგი კაცი იყო ის, რომელმაც ხოსია, ამ ქვეყნის პირველი ვეზირი, მუხანათურად მოკლა; მასაც ხოსია ერქვა. მის მიერ ჩადენილმა მკვლელობამ იგი ძლევამოსილი გახადა. იგი ფაშასთან მისასალმებლად არ წასულა, რადგან დარეჯანის მოწინააღმდეგე ჯგუფს ეკუთვნოდა და ემინოდა არ მოეკლათ. თურქების გამგზავრების შემდეგ მან დედოფალს მისწერა და აცნობა, რომ ბაგრატმა და მასზე გავლენის მქონე პირებმა მის მიმართ იმდენი ბოროტება ჩაიდინეს, რომ თავის სიცოცხლის გნმავლობაში ის მათ მტრად დარჩება. თუ დედოფალი იკისრებს დაუბრუნოს მას ფაშას წყალობა, თუ დაუბრუნებენ მიწებს, რომელიც დედოფალმა ჩამოართვა და მისცემენ აგრეთვე ბაგრატის კარის დიდი ვეზირის მიწებსაც, იგი გადასცემს მას მთავარს ცოლითურთ. დარეჯანი მას ყველა სურვილის შესრულებას შეჰპირდა. მოღალატე გამოცხადდა მასთან. დედოფალს უნდოდა ცხადად გამოეხატა შერიგების, მეგობრობის და ნდობის ის ნიშნები, რომლებიც შემოღებულია ამ ქვეყანაში ქალსა და კაცს შორის; მან იშვილა იგი და ძუძუ აწოვა. ეს ადათი, მიშვილება ადამიანებისა, რომლებიც შემდეგ ქორწინებით ვეღარ შეერთდებიან, არსებობს არა მარტო სამეგრელოში

⁴⁰ Ratchia.

საქართველოსა და იმერეთში, არამედ სხვა მეზობელ ქვეყნებშიაც. ამ მოღალატემ, რომელსაც მტკიცე საწინდარი ჰქონდა დარეჯანის

ნდობისა, მისწერა ბაგრატს ჩამოსულიყო თავის მომხრეებით და ხელში მისცემდა ცოცხალ თუ მკვდარ დარეჯანს თავისი ქმრით. იმ დღეს, როდესაც ბაგრატი უნდა ჩამოსულიყო, ვერაგმა ხოსიამ თავი მოიავადმყოფა და ჩაწვა ლოგინში. აცნობა ეს დარეჯანს და თხოვა მოსულიყო მის სანახავად, რათა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი შეეტყობინებინა, რომელიც ახლახან გაეგო და რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პირადად მის უდიდებულესობას უნდა მოხსენებოდა. დარეჯანი მხოლოდ სეფე-ქალების თანხლებით მოვიდა მასთან. როდესაც იგი ამ მოლალატის სარეცელს მიუახლოვდა, მრავალრიცხოვანი ჩასაფრებული ხალხი თავს დაესხა მას. სეფე-ქალები თავდაპირველად გარს შემოერთყნენ, მაგრამ ყველანი სწრაფად ჩამოაშორეს, გარდა ერთისა, რომელმაც მკლავები შემოაჭდო დედოფალს, მიიყვანა კუთხეში და არაფრით არ უნდოდა მისი მიტოვება. მკვლელებმა ორივენი ხანჯლებით აკუწეს. ხოსია მაშინვე ადგა და თავისი ამალით წავიდა დარეჯანის ქმართან. იგი უსინათლო იყო და წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. იგი შეიპყრეს. ხოსიამ ბრძანა ხელ-ფეხი შეეკრათ მისთვის და ისე დაახვედრა ბაგრატს. როდესაც ბაგრატი ჩამოვიდა, დაუყოვნებლივ მოითხოვა მოეყვანათ დატყვევებული და როგორც კი შეიგრძნო მისი მოახლოება, უთხრა: „მოლალატევ, შენ თვალები დამთხარე, მე კი გულს ამიგლგეჯ“ – თქვა თუ არა ეს, ბრძანა ახლოს მიეყვანათ ამ უბედურთან და ხელის კანკალით რამდენიმეჯერ ხანჯალი ჩასცა. მხლებლებმა ბოლო მოუღეს მას და მისი გული პეშვში ჩაუდეს ამ სისხლმოწყურებულ ბრძანს, რომელსაც იგი ერთ საათზე მეტ ხამს ეჭირა, სრესდა და გლეჯდა გაცოფებული.

ეს ბარბაროსული ტრაგედიები 1667 წელს მოხდა²⁴⁴). ამ დროიდან მოყოლებული 1672 წლამდე იმავე სახელმწიფოში ასამდე სხვა არაადამიანურობით და სიბილწით სავსე ამბავი მოხდა. მე მათზე არაფერს ვამბობ, რადგან ეს საშინელი ამბებია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვერაგი ხოსიაც²⁴⁵) მუხანათურად მოკლეს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მისი მკვლელებიც დაიხოცნენ ჩხარის⁴¹ ბრძოლაში. ეს არის დიდი სოფელი იმერეთის ციხე სკანდასთან ახლოს, სადაც იმერეთის ჯარი მეგრელებს შეებრძოლა²⁴⁶). ამ ხალხის უახლეს ისტორიაში, რომელთაც ღმერთი სამართლიანად სჯის, ნა-

⁴¹ Chicaris.

თლად ჩანს განგების ძალა. მკვლელებს თითქმის ყოველთვის უთუოდ კლავენ და ეს ხდება ისეთ პირობებში, რომელშიაც ჩანს, რომ თვით უფალი ერევა მათ საქმეებში და ერთს მეორის დამსჯელად იყენებს.

1672 წელს ახალციხის ფაშამ რაკი დაინახა, რომ ამ ორ პატარა სუვერენულ ქვეყნებს, სამეგრელოს და იმერეთს შორის ომები არ თავდება არც მათ შესარიგებლად წარმოებული მისი ცდებით, არც გაფრთხილებით და არც ბრძანებით, გადაწყვიტა მოესპო ისინი და მათი ქვეყნები სხვისთვის მიეცა. სამეგრელოს ტახტის ნამდვილი და კანონიერი მემკვიდრე მას ხელში ჰყავდა; როდესაც ვამეყ დადიანი გახდა ამ ქვეყნის მთავარი, ლევანის შვილის ალექსანდრეს ცოლს შეეშინდა, რომ ვამეყის დედას, პატივმოყვარე, ჭილაძეს, არ მოეკლა ალექსანდრეს შვილი; ამიტომ გაიქცა და შვილიც თან წაიყვანა. ეს დედოფალი და იყო გურიის მთავრისა, რომელსაც შეეშინდა თავისი პატარა დისწულისათვის თავშესაფარის მიცემის გამო მძვინვარე ჭილაძეს მისთვის ომი არ გამოეცხადებინა და ურჩია თავის დას წაეყვანა შვილი ახალციხის ფაშასთან. იგი ასეც მოიქცა და ეს პატარა ბავშვი ფაშას კარზე, ქალაქ ახალციხეში აღიზარდა. ის არ აიძულეს გამოეცვალა სარწმუნოება და დამყოფილდნენ მისი იმდაგვარი აღზრდით, რომლის გამოც მას ღრმად ჩაენერგა თურქების ზნე-ჩვეულებანი. ახალციხის ფაშამ ამ ახალგაზრდა მთავრის სამეგრელოს ტახტზე დასმა გადაწყვიტა, რადგანაც, როგორც აღვნიშნე, კანონით იგი მას ეკუთვნოდა, ამავე დროს იგი კარგად მოახერხებდა მართვა-გამგეობის წარმართვას და სამთავროს გაწმენდა იმ ბილწთ ჩვევებისაგან, რომელიც მას დაუფლებოდა. აი, თურქების სამეგრელოში მოსვლის მიზეზი. ფაშას ლაშქარს გურიის მთავარმა თავისი ჯარიც შეუერთა. ის აღტაცებული იყო იმით, რომ მის დისწულს სამეგრელოს ტახტს აძლევდნენ. საქმის ასეთი ვითარება კარგ იმედებს აძლევდა მას. ფაშა ჯერ იმერეთში ჩავიდა, დაიპყრო იგი და წამოიყვანა მეფე ბაგრატე. მაგრამ მის ცოლს, დედოფალს, ხელი არ ახლეს. ეპისკოპოსმა გენათელმა თხუთმეტი ათასი ეკიუ მისცა ფაშას, რათა თავისუფლება მოეპოებინა, დედოფალთან ერთად წასულიყო იქ, სადაც თვითონ მოისურვებდა და თავისი მიწები ხელუხლებლად შეენარჩუნებინა. როდესაც ფაშა ქუთაისში იმყოფებოდა, მან კაცი გაგზავნა და აცნობა დადიანს (მე უკვე ვთქვი, რომ ეს არის ტიტული, რომელიც სამეგრელოს მთავრებს აქვთ მინიჭებული)

მოსულიყო მასთან და მორჩილება ელიარებინა, მაგრამ დადიანმა იცოდა რა, რომ სამეგრელოში მთავრის გამოცვლა უნდოდათ, უარი განაცხადა დამორჩილებაზე და ჩაიკეტა რუხის ციხეში. მისი ვეზირი კაცია⁴² კიმ ლეჩხუმში⁴³ გაიქცა²⁴⁷) (ეს არის სვანებით დასახლებული სამთავრო კავკასიის მთებში)²⁴⁸) და იქიდან სთხოვა აფხაზებს მოსულიყვნენ დადიანის დასახმარებლად. ისინი მოვიდნენ სამეგრელოში, მაგრამ ნაცვლად დახმარებისა, გზადაგზა

მარცვა-გლეჯა დაიწყეს და შემდეგ უკან დაბრუნდნენ, როგორც მე უკვე ვთქვი. ფაშა ერთი თვის განმავლობაში ამაოდ ელოდა, რომ დადიანი გამოცხადდებოდა მასთან, აღუთქვამდა მას მორჩილებას და მიიღებდა მისგან განკარგულებებს. მაშინ ფაშამ სამეგრელოში თავისი ჯარი გაგზავნა. სწორედ ამ ჯარის მოახლოების ხმამ მაიძულა გავხიზნულიყავი.

27-ში გათენებამდე თეათინელების პრეფექტმა დაგვტოვა და თავის სახლს მიაშურა, რათა ცოტა ჭურჭელი და დარჩენილი სურსათი წამოეღო. იმავე საბაბით მეც მსურდა გავყოლოდი მას, მაგრამ იგი რიჟარჟამდე ორი საათით ადრე წავიდა. შესულა თუ არა სახლში, დაუნახავს, რომ იგი სავსე იყო ფაშისა და გურიის მთავრის გზირებით, რომლებსაც იგი ჯოხებით და კომბლით უცემდა. გზირებს უნდოდათ, პრეფექტს ეკლესია გაეღო, რადგან უფიქრიათ, რომ მას იქ ექნებოდა დამალული სახლის ავლა-დიდება. პრეფექტს ადრევე, შეჯგუფული ხალხის დანახვისთანავე, გასაღების ჯაგებში გადაგდება მოუხერხებია. მიუხედავად წამებისა ის მაინც არ გამტყდარა და ამბობდა თურმე, რომ გასაღები მე არა მაქვსო. ბოლოს თურქებს, რომლებიც მისი პიროვნებისადმი ერთგვარ პატივისცემას გრძნობდნენ, წაუღიათ მხოლოდ მისი ტანსაცმლის ერთი ნაწილი და მცირე ღირებულების მსუბუქი ნივთები, რაც სახლში უნახავთ. ხელი არ უხლიათ არც ჩემი წიგნებისათვის და არც ქაღალდებისათვის.

29-ში ერთი მეგრელი აზნაური მოსულა ღამით ოცდაათიოდე კაცის თანხლებით და იქაურობა აუოხრებია. მას მთელი ჩემი ოთახი გადაუქექია, რადგან უფიქრია, რომ იქ ბევრი რამ იქნება გადამალულიო. წაუღია ყველაფერი, რაც კი დამრჩა: ჭურჭელი, სკივრები, ავეჯი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც თურქებმა და მე დავტოვეთ, როგორც მძიმე და იაფფასიანი ნივთები. როგორც ვთქვი, იგი ღამით მისულა და რადგან ამ ავაზაკს ჭრაქი არ ჰქო-

⁴² Carzia. ⁴³ Lexicom (Letchkhom).

ნია, ჩემს ქაღალდებს და წიგნებს სწვავდა თურმე, რომლებსაც წინასწარ აგლეჯდა მოვარაყებულ და ღერბით მორთულ ყდებს. პარიზიდან წამოსვლისას ჩემი საუკეთესო წიგნები საგულდაგულოდ ჩამაცმევინე ყდებში. ამ წიგნებიდან ერთიც აღარ დამრჩა.

30-ში დილით გავიგე ამ გამარცვის ამბავი, რომელმაც ენით უთქმელი მწუხარება მომაცენა. საღამოს ციხეში, სადაც მე ვიმყოფებოდი, მოვიდა თურქი ჩაუში⁴⁴ და თქვა, რომ ის ფაშასაგან იყო გამოგზავნილი. საბახტარი (მე უკვე ვთქვი, რომ ეს არის სახელი იმ აზნაურისა, რომელსაც ეს ციხე ეკუთვნოდა) გავიდა გარეთ ამ-

ბის შესატყობად. ჩაუშვა აცნობა, რომ ფაშის ლეიტენანტი, რომელიც რუხის ციხესთან დგას, გაკვირვებულია, თუ რატომ აქამდე არ მოვიდა იგი მასთან პატივისცემისა და მორჩილების გამოსაცხადებლად, რადგან სამეგრელო თურქეთის სულთანს ეკუთვნის. ფაშამ ბრძანა, რომ კარგად მოვეპყროთ იმათ, ვინც თურქებს ემხრობა, ხოლო იმათ, ვინც მორჩილებაზე უარს იტყვის, მოვექცეთ როგორც მტერს. თუ მას სურს შეინარჩუნოს თავისი თავი, ქონება, სასახლე და ყველაფერი ის, რაც შიგ არის, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოცხადდეს ფაშასთან და მისგან განკარგულება მიიღოს. საბახტარმა უპასუხა, რომ იგი ფაშას თავის მბრძანებლად თვლის და რომ გულით იგი თურქია და არა მეგრელი. რომ მას ფაშასთან გამოცხადება უნდოდა მაშინვე, როდესაც მისი ჩამობრძანებ გაიგო. ახლა კი როცა შეიტყო, რომ მისი ლეიტენანტი რუხთან დგას, ის ხვალ დილითვე გამოცხადდება მასთან ბრძანების მისაღებად.

31-ს საბახტარი ოცდაათი შეიარაღებული კაცით წავიდა ფაშას ლეიტენანტთან და თან საჩუქრად ოთხი ტყვე წაიყვანა; ერთი ვერცხლის ბადია, ბლომად აბრეშუმი, სანთელი და ხილეულობა წაიღო. ბანაკში საღამოს მივიდა. მას აქ ბევრი მეგრელი დიდებული დახვდა, რომლებიც საბახტარივით მორჩილების გამოსაცხადებლად მოსულიყვნენ იმის შიშით, რომ მტერს ალყა არ შემოერტყა და არ გაემარცვა მათი ციხეები და არ გაეჩანაგებინა ნათესები. ფაშის ლეიტენანტმა უთხრა საბახტარს, რომ მის უფროსს სულთნისაგან სამეგრელოს ყველა გამაგრებული ადგილის განადგურების ბრძანება აქვს მიღებული, მაგრამ დიდგვარიანებს, რომლებიც მორჩილებას აღიარებენ, შევუნარჩუნებთ მათ; რომ სულთანს ართმევს ტახტს ლევანს, რომელიც რუხის ციხეშია და სამეგრელოს მთავრად

⁴⁴ Chiaoux (tchâouch)

აყენებს ახალციხეში აღზრდილ ახალგაზრდა მთავარს, რომ საჭიროა საბახტარმა ერთგულება შეჰფიცოს ფაშას, მძევლად მისცეს თავისი ერთ-ერთი შვილი და ძღვენი მიართვას მას. საბახტარი დათანხმდა ფაშასთვის ძღვნად ორივე სქესის ათი ახალგაზრდა ტყვე, სამასი ეკიუს ვერცხლი ან აბრეშუმი მიერთმია.

1 ოქტომბერს საბახტარი დაბრუნდა და თან მოიყოლა თურქი მცველი თავისი ციხის და მამულების დასაცავად. მთელი ღამე ფეხზე იყო, აგროვებდა ძღვენს, რომელიც ფაშისათვის უნდა მიერთმია. ყველას, მასთან შეხიზნულებს გამოუცხადა, რომ თურქებმა მცველი მომცეს ოცდახუთი ტყვის და რვაასი ეკიუს საფასურად. ეს ხარკი მან შეკრიბა ყველასაგან, ვინც იქ იყო თავშეფარე-

ბული. ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მას მიჰყავდა. ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, კრავდნენ მათ ორორად და მიჰყავდათ თურქებთან. მე შემაწერეს ოცი ეკიუ.

შეგროვებულიდან საბახტარმა ფაშის ლეიტენანტს მხოლოდ ის მიართვა, რაც დათქმული ჰქონდა, დანარჩენი თვითონ მიითვისა. მისმა ცოლებმა, შვილებმა და ყველამ, ვინც ციხეში იყო: საშინელი წივილ-კივილი ატეხეს, როდესაც დაინახეს, რომ ის წავიდა და თან თავისი უმცროსი ვაჟიშვილი წაიყვანა. თურქებისათვის მძევლად მიცემული. ბავშვები იგივე ტყვეების ბედს იზიარებენ. ისინი ვერასოდეს ვერ თავისუფლდებიან; ჩვეულებრივად მათ აგზავნიან კონსტანტინოპოლში ლამაზი ყმაწვილების რიცხვის გასამრავლებლად, რომლებსაც სერალში ზრდიან. ფაშას ლეიტენანტმა საბახტარისაგან საჩუქრები და მძევლები მიიღო და თვით საბახტარიც თავისთან დაიტოვა. ლეიტენანტმა სამჯერ მისცა წინადადება დადიანს დამორჩილებოდა და სამივეჯერ უარი მიიღო. დადიანის ციხე-სიმაგრე კარგად იყო დაცული სვანების მიერ, რომლებიც მისმა ვეზირმა გამოუგზავნა და რომლებიც დადიანზე უფრო თვლიდნენ თავს ციხის ბატონ-პატრონად. ვეზირი ყოველდღე უთვლიდა დადიანს მედგრად ყოფილიყო და რომ თვითონაც მზად იყო მტრის დასალაშქრად. ბოლოს, რუხის წინ ოთხი დღის დგომის შემდეგ, თურქებმა ორი ათასზე მეტი ტყვე წაიყვანეს და დიდი ნადავლით წავიდნენ, რადგან არტილერიის უქონლობის გამო ციხეზე იერიში ვერ მიიტანეს. თურქებმა წამოიყვანეს აგრეთვე სამეგრელოს დიდებულები, რომლებიც დანებდნენ მათ და ერთგულების ფიცი მისცეს ახალ მთავარს. ერთგულების შემფიცველ-

250

თა რიცხვში კათალიკოსიც იყო. ფაშამ აცნობა მას, რომ იგი ახალი მთავრის ვეზირად ინიშნება, რომლის სახელით ის აფხაზეთის მთავართან გაგზავნა მთავრისათვის მისი ასულის ხელის სათხოვნელად.

ფიქრობდნენ, რომ თურქების მოსვლა სამეგრელოში აღადგენდა წესრიგს, დაამყარებდა მშვიდობას და მეგრელებს იარაღს დააყრევინებდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ისინი მოვიდნენ, ქვეყანა დაარბიეს და ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩააგდეს, ვიდრე წინათ იყო, რადგან ქვეყანა გაიყო ორ ნაწილად, რომელთაგან ერთმა ერთგულება შეჰფიცა და მძევლები მისცა ახალ მთავარს, მეორე ნაწილი კი ძველი მთავრის ერთგული დარჩა. ასეთმა განხეთქილებამ თითოეულს კვლავ ააღებინა იარაღი ხელში. ვხედავდი რა ასეთ არეულ მდგომარეობას, რომელსაც მოწესრიგების პირი არ უჩანდა, გადავწყვიტე რადაც უნდა დამჯდომოდა, წავსულიყავი სა-

ქართველოში. ამ დღეების განმავლობაში იმდენი ვიხეტიალე სამეგრელოში და იმდენ ხიფათს გადავურჩი, რომ დარწმუნებული ვიყავი დიდხანს ვერ დავმშვიდდებოდი. ლევანი იმუქრებოდა, რომ გაანადგურებდა იმათ ციხეებს, მიწებს და მთელ ქონებას, ვინც თურქებს დაემორჩილებოდა. საბახტარიც კვლავ თურქებთან იყო. მისი ვაჟები, რომლებიც ბრძანებლობდნენ ციხეში, საშინელი მკვლევლები და ვერაგები აღმოჩნდნენ. მე დღითიდღე ვუძლურდებოდი ჯავრისა და შიმშილისაგან. ერთი მუჭა მარცვლისა და ერთი გირვანქა ხორცის ყიდვა დიდად მიჭირდა. ამ უკუღმართი დროების მთელ სიღუბჭირეს მე კი ვიტანდი, მაგრამ ჩემი სასოწარკვეთილებამდე მისული მსახურების მდგომარეობა მტანჯავდა. ვგრძობდი, რომ ცოტაც კიდევ და მოვკვდებოდი. ყოველივე ამან მაიძულა რისკი გამეწია და სამეგრელო დამეტოვებინა მანამდე, სანამ კიდევ მქონდა საკმაო ძალა. დავიწყე გამყოლის ძებნა. პირობას ვდებდი, ფიცით ვევედრებოდი, გასამრჯელოს ვაძლევდი, მაგრამ არაფერმა გაჭრა – არავინ ისურვა ჩემი გაყოლა. ამბობდნენ, რომ იმერეთს სამეგრელოსა და საქართველოს შორის მდებარე ქვეყნის ყველა გზა, სადაც აუცილებელი იყო გავლა, ჯარებს უჭირავსო; ამაზე ფიქრიც კი სიგიჟე იქნებოდაო; წინასწარ ვიცით ტყვედ ჩავვარდებითო. აი, პასუხი, რომელსაც მე მაძლევდნენ. ვთავაზობდი მოგვევლო ან კავკასიის მთიდან, ან ზღვისპირეთით, მაგრამ ჩემი გაყოლა მაინც არავინ ისურვა.

ვერ დაიჯერებთ, როგორ ეშინიათ მეგრელებს სიკვდილისა ან

ხიფათისა. რაც უნდა მცირედი განსაცდელი იყოს, არ არსებობს ჯილდო, რომელიც მათ აიძულებს სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდონ. ბოლრს გადავწყვიტე წავსულიყავი ზღვით თურქეთზე გავლით, ე. ი. სამოცდაათი მილის შემოვლით. ჩამოვედი ანაკლიაში, რომელიც სოფელია და პატარა ნავსადგურიც და რომლის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე. აქ ვიშოვე თურქების ნუშა ნავი და დავფრახტე გონიოში წასასვლელად. მისი დაბევეების შემდეგ დავბრუნდი თეათინელების სახლში და საბახტარის ციხეში სამგზავროდ მოსამზადებლად.

10 ნოემბერს, დილაადრიანად გავედი ამ ციხიდან, მოველაპარაკე ჩემს ამხანაგს იმის თაობაზე, თუ რა საშუალებით გავიყვანდი მას სამეგრელოდან, უკეთუ ღვთის წყალობით, ბედნიერად ჩავიდოდი ადგილზე. თან წავიღე ასი ათასი ლივრის ძვირფასი ქვები, რვაასი პისტოლი ოქროთი და მცირე ბარგი, რაც კი დამრჩენოდა. ძვირფასი ქვები ჩატანებული მქონდა ერთ ბალიშსა და უნაგირში, რომელიც მათ შესანახად საგანგებოდ იყო გაკეთებული. თან წავიყვანე ერთი მსახური, ის, რომელიც ტყვეობიდან მყავდა

გამოსყიდული. იგი ჩუმი გაიძვერა იყო, თანაც მოლალატე გამოდ-
გა, რომლის ბოროტ ხასიათს მე არ ვიცნობდი. არ მირჩევდნენ მის
წყევანას, რადგან შიშობდნენ, რომ ჩემს მიმართ რაიმე ბოროტებას
ჩაიდენდა, რასაც მისი გარეგნული იერიც ამტკიცებდა. უნდა ვა-
ლიარო, რომ მის წყევანაზე მეც გული მეთანაღრებოდა, მაგრამ
ბედმა ასე განსაჯა და ბედისწერას ვერ გავექეცი. მიზეზი, რომელ-
მაც მაიძულა წამეყვანა ის და არა სხვა, მდგომარეობდა იმაში, რომ
ის ძალიან ცუდ განწყობაზე იყო, და მეშინოდა, რომ სასოწარკვე-
თილებისა და ლოთობის გამო, რომლისკენაც მიდრეკილებას იჩენ-
და, არ გაეცა ჩვენი ნამდვილი ვინაობა სამეგრელოში. პატრი ძამპი,
თეათინელების პრეფექტი, როგორც ყოველთვის, თან მახლდა. თე-
ათინელმა მორჩილმაც მოისურვა გამომყოლოდა ანაკლიამდე.
პრეფექტი და მე მივდიოდით ფეხით, რადგან ერთი ცხენის მეტი
ვერ ვიშოვეთ, თუმც ბევრ ფულს ვიძლეოდით ცხენების დასაქირა-
ვებლად. ცხენს აკვიდე ჩვენი ბარგი დაზედ ჩემი მსახური დავსვი.
თეათინელი მორჩილიც ცხენზე იჯდა. ორი დღე კოკისპირულად
წვიმდა. თეათინელი მორჩილი კინალამ დაიხრჩო ციხიდან ერთი
მილის დაცილებით, წყლით და შლამით სავსე დიდ ორმოში, სა-
დაც მისი ცხენი ჩავარდა და საიდანაც იგი დიდი ვაივაგლახით ცო-
ცხალ-მკვდარი ამოვიყვანეთ. აღარ ვილაპარაკებ იმ ტანჯვაზე, რომ-

252

ლის გადატანაც მომიხდა ამ დღეს და მის მომდევნო დღეებში, იძ-
ულეებული ვიყავი ფეხით მევლო წვიმაში, მუხლებამდე წყალსა და
ტალახში, გამეკაფა ტყეებში გზა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამაზე მე-
ტი გაჭირვების გადატანა აღარ შეიძლება. მართლაც ქანცგაწყვე-
ტილი ვიყავი, მაგრამ მხნეობას მაინც არ ვკარგავდი და გადაწყვე-
ტილი მქონდა ყველაფერი გამეკეთებინა, ყოველივე ამეტანა, რათა
გადამერჩინა ის ქონება, რომელიც მე მქონდა მონდობილი. სადამოს
მთლად გალუმპულები, ჩავედით ანაკლიაში. ანაკლია შვიდი მილით
არის დაცილებული საბახტარის ციხეს.

12-ში ვფიქრობდით ჩავმსხდარიყავით ნავში, მაგრამ ამას ხე-
ლი შეუშალა ერთმა გარემოებამ; მითხრეს, რომ ჩერქეზების და
აფხაზების ნავები სამეგრელოს ნაპირებზე მიმოდიანო. ეს ასეც
იყო. მათ გაიტაცეს ადგილობრივი ნავები და მათ შორის ისიც,
რომელიც მე დავიქირავე. ეს დაგვიანება მგვრიდა ენით გამოუთ-
ქმელ სევდას, რომელიც გამოწვეული იყო არა ხიფათის და უბედუ-
რების შიშით, რომელშიც მუდამ ვიმყოფებოდი, არამედ უფრო
იმიტ, რომ გამოსავალს ვერ ვხედავდი.

19-ში პატრი ძამპს აცნობეს, რომ წინა ღამით ეკლესიის კა-
რი გაეტეხათ, გაემარცვათ ეკლესია, აეხადათ საფლავი, რომე-
ლიც შიგ ეკლესიაში იყო და წაეღოთ ყველაფერი, რაც მცველად

დატოვებულ თეათინელ პატრს საფლავში შეენახა, მთლად გადა-
ეთხარათ ეკლესია და კედლების გარდა მთელი აღარაფერი დაე-
ტოვებინათ. ძნელი არაა იმის წარმოდგენა, რა საშინელ მდგომარე-
ობაში ჩამაგდო ამ ამბავმა, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ეკლესია-
ში მიწაში ჩაფლული მქონდა შვიდი ათას პისტოლზე მეტი. მა-
შინვე კაცი ვაფრინე ჩემს ამხანაგთან. იგი საბახტარის ციხეში ვერ
უნახავთ. მასაც მაშინვე გაუგია ეს საშინელი ამბავი და წასულა
თეათინელების სახლში, ამ ამბის უფრო დაწვრილებით გასაგე-
ზად და იმის დასადგენად, თუ როგორ მოვქცეულიყავით ჩვენ.
მან მომწერა, რომ ღვთის მადლით, ჩვენი ფულისათვის ხელი არ
უხლიათ, იგი იმავე ადგილას უნახავს, სადაც ჩავმარხეთ. ამ ამ-
ბავმა სასწაულებისამებრ აღმიდგინა მხნეობა, მე იგი შევაფასე,
როგორც ახალი ნიშანი ღვთის წყალობისა და მფარველობისა. წა-
ვედი თურქების გასამხნეველად, რომლებმაც ნუშა ნავი მომაქი-
რამე, რათა დაუყოვნებლივ გავდგომოდი გზას.

27-ში გავედი ანაკლიიდან. ჩემი ნავი დიდი იყო. მასში ოც-
ამდე კაცი მოთავსდა – ნახევარი ტყვეები, დანარჩენი თურქები;

253

მე დავთანხმდი ამდენი ხალხის წაყვანაზე. რათა მეკობრეებისაგან,
რომლებიც ზღვის ნაპირზე მრავლად იყვნენ, თავის დაცვა შემძ-
ლებოდა. ზღვაში, ერთი საათის ცურვის შემდეგ გავედი თენ-
გურს⁴⁵, რომელზეც ჩვენ დავეშვით, ძალიან სწრაფი დინება აქვს.
მასში ბევრი მეჩეჩია, ამიტომ, როდესაც დიდი ტვირთით მიცურავ,
სიფრთხილესა საჭირო, რათა სილიან მეჩეჩზე არ გაირიყოს. ნავის
პატრონის თხოვნით მთელი დღე ზღვისპირზე გავატარე. იგი ელ-
ოდა კიდევ ორ ტყვეს, რომლებიც სალამოს უნდა მოეყვანათ.

ანაკლიაში ყოფნის დროს მიმიწვიეს ორ ნათლობაზე. მე წა-
ვედი, რადგან მინდოდა თვითონ მენახა როგორი წესით ასრულებ-
ენ მას მეგრელები. დავრწმუნდი, რომ პატრი ძამპი საკმაო სიზ-
უსტით გადმოგვცემს მას თავის რელაციაში. აი, როგორი იყო ნა-
თლობა ჩემს მეზობელთან: დილის ათი საათისათვის გააგზავნეს
კაცი მღვდლის მოსაყვანად. მოსვლისთანავე მღვდელი შევიდა ქო-
ხში, სადაც ღვინო ინახებოდა, ჩამოჯდა მერხზე და ჩვეულებრივ
ჩაცმულმა დაიწყო კითხვა ნახევრად დაფლეთილი ახალი აღთქმის
მსგავსი სქელი in – 80 წიგნისა. როდესაც მან კითხვა დაიწყო, ბავ-
შივი ჯერ კიდევ არ იყო მასთან მიყვანილი. კითხვის დაწყებიდან
თხუთმეტი წუთის შემდეგ მოუყვანეს იგი მამამ და ნათლიამ. ეს
იყო პატარა ბიჭი, ხუთი წლისა. ნათლიამ მოიტანა პატარა სანთე-
ლი და სამი მარცვალი საკმეველი. ანთო სანთელი და მიაკრა ქო-
ხის კარს, რომელიც ბავშვის მონათვლამდე დაილია, მეორე კი აღ-
არ აუნთიათ. საკმეველის სამი მარცვალი დააგდეს მცირეოდენ

აკვერჩხალზე და მიმოფანტეს ოთახში. მღვდელი კი ამ დროის განმავლობაში კითხულობდა ნაკლები გულმოდგინებით, დაბალი ხმით, სიტყვებს წარმოთქვამდა ჩქარა და გაურკვეველად, რადგანაც პასუხს აძლევდა ყველას თუ კი ვინმე რამეს კითხავდა. მამა და ნათლია მთელი ამ ხნის განმავლობაში აქეთ-იქით დადიოდნენ, ბავშვი კი ჭამდა. ხანგრძლივი კითხვის შემდეგ მოამზადეს თბილი წყლით სავსე ვარცლი. მღვდელმა ჩაასხა შიგ პატარა კოვზით ნიგვზის ზეთი და უთხრა ნათლიას ბავშვისათვის ტანთ გაეხადა. ბავშვს გახადეს, სრულიად შიშველი ჩაუშვეს ვარცლში და დააყენეს ფეხზე. ნათლიამ დაუბანა მთელი ტანი და როცა კარგად განბანეს, მღვდელმა ქამარზე მიბმული ტყავის ქისიდან ამოიღო ერთი ციციქნა მირონი. მე უკვე აღვნიშნე, რომ ასე ეძახიან საცხებ ზეთს. მი-

⁴⁵ Larigur (Engouri).

რონი ნათლიას მისცა და მან ყველგან წაუსვა ბავშვს: თავის კორტონზე, ყურებზე, შუბლზე, ცხვირზე, ლოყებზე, ნიკაპზე, მხრებზე იდაყვებზე, ზურგზე, მუცელზე, მუხლებზე და ფეხებზე. მღვდელი კი სულ კითხულობდა და გაჩერდა მხოლოდ მაშინ, როცა ნათლიამ ბავშვს ჩააცვა. როგორც კი ბავშვს ჩააცვეს, მამამ მოიტანა პური, ღვინო და ერთი ნაჭერი მოხარშული ღორის ხორცი, რომელიც პირველად ბავშვს მისცეს საჭმელად, შემდეგ ნათლიას, მღვდელს, სტუმრებს და ყველა შინაურს. შემდეგ ყველანი შემოუსხდნენ სუფარას, საიდანაც ფხიზელი არავინ ამდგარა.

ანაკლიაში მე წირვასაც დავესწარი, რომელიც ისეთივე უპატივცემულოდ და დაუდევრად სრულდება, როგორც ეს აღნიშნული იყო სამეგრელოს რელიგიის შესახებ ტრაქტატში. ერთხელ მოწმე გავხდი წირვის სასეირო შეწყვეტისა; თეათინელთან ერთად მივდიოლით ჩვენ თავშესაფარ კოშკში; გავიარეთ ეკლესიასთან, სადაც წირვა მმდინარეობდა. მღვდელმა, რომელიც წირვას ასრულებდა, გაიგონა, რომ ჩვენ კარიბჭესთან მდგომ კაც გზა ვკითხეთ. „მომითმინეთო,“ – დაგვიძახა მან საკურთხეველიდან, —მე ახლავე გიჩვენებთ გზასო“. ერთი წუთის შემდეგ ის გამოჩნდა კარებში ლოცვით ტუჩებაცმაცუნებული. გამოგვკითხა საიდან მოვდიოდით და სად მივდივართ, გვიჩვენა გზა და შემდეგ დაბრუნდა საკურთხეველში.

28-ში დილით ძალიან ადრე გავედით ზღვაში. წყნარი და მზიანი ამინდი იყო. დავინახეთ, ერთი მხრივ, ტრაპეზუნდის, ხოლო მეორე მხრივ, აფხაზეთის მაღალი ნაპირები; მათი დანახვა საკმაოდ ადვილად შეიძლება, რადგანაც აფხაზეთის ნაპირებს ქვევით ტრაპეზუნდისაკენ შავი ზღვის მიერ შექმნილ ნახევარ წრეში

ანაკლია საკმაოდ წინაა წამოწეული.

შავი ზღვა სიგრძეში, აღმოსავლეთიდან დასავლეთით დაახლოებით ორასი მილია, რაც ჰეროდოტეს²⁴⁹) მიერ განსაზღვრული სიგრძის ნახევარსაც არ შეადგენს: აი, როგორ ანგარიშობს იგი ზღვის სიგრძეს: „ექსინის პონტოს⁴⁶ შესართავიდა²⁵⁰) ფაზისამდე, – ამბობს იგი, – რომელიც ამ ზღვაზე მეტი სიგრძისაა, სანაოსნოდ არის ცხრა დღის და რვა ღამის სავალი, ესე იგი თერთმეტი ათას ასი სტადიონი“²⁵¹), რაც შეადგენს ოთხას სამოცდაორ მილს თხუთმეტ ასტრონომიულ გრადუსს ზევით. არ ვიცი როგორ ეპა-

⁴⁶ Pont Euxin.

ტიოს ამ ავტორს ასეთი შეცდომა გამოანგარიშებაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ზომები ალებულია საშუალოდ ისე, როგორც ეს, გადმოცემის მიხედვით, ჩვევად ჰქონიათ ხმელთაშუა ზღვაზე მიმომავალ ძველ მეზღვაურებს. გზის დაბნევისა და კატასტროფის შიშით ისინი ვერ ბედავდნენ ნაპირებს იმდენად დაშორებოდნენ, რომ მიწა მხედველობიდან დაეკარგათ. ამ წესით გაანგარიშებული ექსინის პონტოს სიგრძე, მდინარე დუნაიდან ფაზისამდე, რომელიც მის ორთავ ბოლოს აღნიშნავს, ორმაგ მანძილს ან ორმაგ ნაოსნობას უდრის. არაბი გეოგრაფოსებიც ამ ზღვის სიგრძის გამოანგარიშებისას ძლიერ ცდებიან – მას ათას ორასი მილით საზღვრავენ. ამ ზღვას ყველაზე დიდი განი აქვს ბოსფორისა და ბორისთენის ჩრდილოეთითა და სამხრეთით, რაც დაახლოებით სამ გრადუსს შეადგენს. ეს არის ზღვის დასავლეთი კიდე. მისი მოპირდაპირე მხარე არ არის ასეთი ფართო. ამ ზღვის წყალი ნაკლებად გამჭვირვალე, უფრო ბაცი მწვანე და ნაკლებად მლაშე მომეჩვენა, ვიდრე ოკეანის წყალი. ჩემი აზრით ეს იმიტომაა, რომ მას ბევრი დიდი მდინარე ერთვის და მისი წყლები ჩაკეტილია მასში, როგორც აუზში. ასე რომ, უმჯობესი იქნებოდა, მისთვის ტბა ეწოდებინათ, ვიდრე ზღვა, მსგავსად კასპიის ზღვისა, რომელთანაც მას ბევრი საერთო აქვს, და მათ შორის ესეც. გარდა ამისა, ისინი ერთმანეთს გვანან იმითაც, რომ არც ერთს არა აქვს კუნძული და ორივე მეტად მშფოთვარეა. შავი ზღვის წყლების ფერში სრულიადაც არ უნდა ვეძიოთ მიზეზი მისი სახელისა, რადგან მისი წყლები უფრო ღია ფერისაა, ვიდრე სხვებისა. მას იმიტომ დაარქვეს შავი, რომ აქ ცურვა მეტად სახიფათოა სხვა ზღვებთან შედარებით, ხშირი და უფრო შმაგი ღელვა იცის. ასეთივე აზრით არაბები იმ სრუტეს, რომლითაც წითელ ზღვაში შედიხარ, უწოდებენ ბაბელ-მანდებს⁴⁷, რაც ნიშნავს „დალუპვის კარს“, „უბედურების კარს“, რადგანაც აქ ხშირად ილუპება გემები. შავ ზღვას წინათ იაფეტის⁴⁸ შვილი-

შვილის სახელი აშკენაზი⁴⁹ ერქვა, მაგრამ ბერძნებმა შეუცვალეს სახელი და უწოდეს ევქსინი⁵⁰, ანუ ევქსინის პონტო⁵¹. ეს სახელი ნიშნავს „ჯიუტს, მას, რომელიც არავის უთმენს“, ხშირი და მძაფრი ქარიშხლების გამო, რომელიც ამ ზღვაზე იცის, როგორც მე უკვე ვთქვი. იმავე მიზეზით თურქები მას ყარადენგის⁵², ე. ი.

⁴⁷ Babelmandeb. ⁴⁸ Japhet. ⁴⁹ Asekenas. ⁵⁰ Euxin. ⁵¹ Pont-Euxin.

⁵² Cara Denguis.

256

„გიჟ ზღვას“ უწოდებენ. „ყარა“⁵³ თურქულად პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „შავს“, აგრეთვე „სახიფათოს“, „ულმობელს“, „საშინელს“. ამ ენაში ეს სიტყვა ხშირი ტყეების, სწრაფი მდინარების, ციცაბო და მაღალი მთების ეპითეტად იხმარება. ბევრია ისეთი მდინარე, რომელსაც ყარა-სუ⁵⁴ – შავი წყალი – ჰქვია. ამით იმის თქმა უნდათ, რომ ეს მდინარეები გამოდიან ნაპირებიდან და დიდი უბედურება მოაქვთო. იმის მიზეზი, რომ ამ ზღვაზე უფრო ძლიერი და საშიში ქარიშხალი იცის, ვიდრე სხვაზე, პირველ ყოვლისა, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ მის წყლებს მეტად ვიწრო კალაპოტი აქვს და გასასვლელი არ გააჩნია. რაც შეეხება ბოსფორის სრუტეს, ის იმდენად ვიწროა, რომ მხედველობაში მისაღები არც არის. როდესაც ზღვაზე ღელვაა, ტალღები, ვერ ნახულობენ რა გამოსავალს, ადიან მაღლა, ტრიალებენ და გემს ყოველი მხრიდან დიდი ძალით და სისწრაფით ეხეთქებიან. მეორეც ის, რომ ამ ზღვაში მხოლოდ და მხოლოდ რეიდებია, რომელთა უმრავლესობაც სრულიად არ არის დაცული, ისე რომ რეიდზე გაჩერება უფრო სახიფათოა, ვიდრე შუა ზღვაში. ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ ამ ზღვის თურქულსახელწოდება – ყარადენგის იგივეა, რაც ბერძნული მაუროტალასა⁵⁵; ამ ზღვას ისინი უწოდებენ აგრეთვე აყ-დენგის⁵⁶, თეთრ ზღვას, პროპონტიდას⁵⁷, ბერძნები კი ასპროტალასას⁵⁸, ხოლო არაბები – ევქსინის ზღვას, ბაჰარ-ბონტს⁵⁹, პონტოს ზღვას.

მთელ შავ ზღვას ფლობს დიდი მთავარი²⁵²). მხოლოდ მისი ნებართვით შეიძლება აქ ნაოსნობა. ეს უკანასკნელი გიცავს მეკობრეებისაგან, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო სახიფათოა ზღვაზე.

მთელი დღე პირქარი ქროდა და თვრამეტი მილის მეტი ვერ გავიარეთ. საღამოს შევედით მდინარე კემხელში⁶⁰. იგი უფრო ღრმა და თითქმის ისევე განიერია, როგორც ენგური, მაგრამ ნაკლებად სწრაფია²⁵³).

29-ში გათენებამდე ორი საათით ადრე, მთვარის შუქზე გავემგზავრეთ. შუადღისას მივალწიეთ მდინარე ფაზისს, ავეყვით მას

და გავიარეთ ერთი მილი იმ სახლებამდე, სადაც ნავის პატრონმა ცოტაოდენი საქონლით ნაპირზე გადმოსვლა მოინდომა.

⁵³ Cara. ⁵⁴ Cara-sou (qâr â-sou). ⁵⁵ Maurothalassa. ⁵⁶ Ak denguis (âg denguyz). ⁵⁷ Propontide. ⁵⁸ Asprothalassa. ⁵⁹ Bahar Bontos. ⁶⁰ Kelmhel.

მდინარე ფაზისი, რომელსაც აგრეთვე ფიზონს⁶¹, ეძახიან ერთ-ერთი მდინარეა მიწიერი სამოთხის ოთხ მდინარეთაგან. მისი სათავე კავკასიის მთებშია. თურქები მას „ფაშს“⁶² ეძახიან, ადგილობრივი მცხოვრებლები კი რიონს, როგორც მე უკვე აღვნიშნე. ამ ორ სახელს პროკოპი შეცდომაში შეყავს, ის ფიქრობს, რომ ეს ორი სხვადასხვა მდინარეა. მე იგი ვნახე ქუთაისში. აქ იგი ვიწრო კალაპოტში მეტად სწრაფად მიედინება და ზოგ ადგილას ისეთი მეჩხერია, რომ ფონით გადიან. ქუთაისიდან ოთხმოცდაათი მილის დაცილებით, იმ ადგილას, სადაც ის ზღვას ერთვის, მისი სიგანე ერთნახევარ მილს აღწევს, სიღრმე კი სამოც საუენზე მეტია. მის წყალს ამ ზომამდე ზრდის მრავალი შენაკადი. ფაზისი მიედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი წყალი დასალევად ძლიერ კარგია, თუმცა მღვრიე, სქელი და ტყვიის ფერია. არიანე ამბობს, რომ ეს ფერი მას მიწის შერევის შედეგად აქვსო. ის, ისე როგორც სხვა გეოგრაფოსები, იმასაც ამბობს, რომ ყველა გემი მდ. ფაზისის წყლით მარაგდება, რადგან მისი წყალი ნაკურთხია და ყველაზე უკეთეს წყლად ითვლება ქვეყნიერებაზეო. ამ მდინარის შესართავთან მრავალი პატარა, მეტად ლამაზი ტყით დაფარული კუნძულია, რაც ხელს უშლის დიდი გემების ნაოსნობას, რომლებიც იძულებული არიან შესართავიდან სამი ან ოთხი მილის დაცილებით გაჩერდნენ. ამ კუნძულებიდან ყველაზე დიდ კუნძულზე დასავლეთის მხრიდან ციხის ნანგრევები მოჩანს, რომელიც თურქებმა ააშენეს. ეს იყო სულთანი მურადი⁶³, რომლის ბრძანებითაც ააგეს იგი 1578 წ. უფრო სწორად, იგი ააგო მისი ჯარის მთავარსარდალმა მუსტაფამ²⁵⁴) თურქებსა და სპარსელებს შორის დიდი ომების დროს. თურქთა ამ იმპერატორმა განიზრახა შავი ზღვის ჩრდოლოეთი და დასავლეთი მხარეების დაპყრობა, მაგრამ მისი განზრახვა ვერ განხორციელდა. მან უბრძანა გალერებს²⁵⁵) ფაზისს აღმა აყოლოდნენ, მაგრამ იმერეთის მეფე იმ ადგილზე, სადაც მდინარე მეტად ვიწროა, ჩაუსაფრდა და დიდი ზიანი მიაყენა მურადის გალერებს, ერთი ჩაიძირა, სხვებმა კი გაქცევით უშველეს თავს. ფაზისის ციხე-სიმაგრე 1640 წელს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს შეერთებულმა ჯარებმა აიღეს და მიწასთან გაასწორეს. ოცდახუთი ზარბაზანი, რომელიც იქ იყო, იმერეთის მეფის განკარგულებით გადაიტანეს ქუთაისის ციხეში და დღესაც იქ

დგას. მაგრამ ისინი კვლავ თურქებს ჩაუვარდათ ხელში, როდესაც მათ ეს ციხე აიღეს. მე შემოვუარე ფაზისის კუნძულს, რათა აღმომეჩინა რეას⁶⁴ ტაძრის ნანგრევები, რომლის შესახებაც არიანე ამბობს, რომ მის დროს იგი არსებობდა²⁵⁶), მაგრამ მისი ვერავითარი კვალი ვერ ვნახე. ისტორიკოსები კი ირწმუნებიან, რომ ეს ტაძარი მთელი იყო რომის იმპერიის დაცემის დროს და რომ იმპერატორ ზენონის²⁵⁷) მეფობის ხანაში აქ იესო ქრისტეს სახელობის ტაძარი იყო. ვეძებდი აგრეთვე დიდი ქალაქის, სებასტის⁶⁵ კვალს²⁵⁸), რომელიც გეოგრაფოსების მითითებით მდებარეობდა ფაზისის შესართავთან, მაგრამ ამ ქალაქის ნაშთები ისევე დაკარგულია, როგორც კოლხოსისა⁶⁶, რადგან მე იქ ვერაფერი აღმოვაჩინე²⁵⁹). ყველაფერი დანარჩენი, რაც შავი ზღვის ამ ადგილებში ვნახე, სავსებით ეთანხმება იმას, რასაც ძველი მწერლები წერდნენ შავი ზღვის ამ მხარის შესახებ. მაგალითად, აქ ძალიან ბევრია ხობი და იგი უფრო მსუქანი, ლამაზი და გემრიელია, ვიდრე სადმე სხვაგან, როგორც ეს მე შევამჩნიე. ზოგი მწერალი, და მათ შორის მარციალეც²⁶⁰), ამბობს, რომ არგონავტებმა ეს ფრინველები საბერძნეთში წამოიყვანეს, სადაც მას მანამდე არ იცნობდნენო. ეს სახელიც „faisan“ იმათ შეარქვეს, რადგან ისინი ფაზისის ნაპირებიდან წამოიყვანესო. მდინარე ფაზისი სამეგრელოს ჰყოფს გურიის სამთავროსაგან და იმერეთის პატარა სამეფოსაგან. ანაკლია ამ მდინარის შესართავიდან დაცილებულია ოცდათექმსმეტი მილით. მისი ნაპირები ყველგან დაბალია, ქვიშიანია, დაფარულია. ისეთი ხშირი ტყეებით, რომ შიგ ექვსი ნაბიჯის მანძილზე ველაფერს გაარჩევ.

სალამოს ზურგის ქარით ზღვაში გავედით. შუალამისას გავიარეთ ქობულეთის⁶⁷ ნავსადგურის წინ²⁶¹), რომელიც გურიის მთავარს ეკუთვნის.

30-ში ნაშუალამევს ჩავაღწიეთ გონიოში. მდინარე ფაზისიდან აქამდე ორმოცი მილია. მთელი ეს ნაპირი მაღალი და კლდოვანია, ზოგან ტყით დაფარული, ზოგან შიშველი. იგი ეკუთვნის გურიის მთავარს, რომლის ქვეყანა გადაჭიმულია მდინარემდე, რომელიც გონიოლან ნახევარი მილით არის დაცილებული²⁶²).

გონიო, რომელსაც ქალკონდილი გორეას⁶⁸ უწოდებდნენ, არის დიდი კვადრატული ციხე-სიმაგრე, რომელიც აგებულია არაჩვეუ-

⁶⁴ Rea. ⁶⁵ Sébaste. ⁶⁶ Colchos. ⁶⁷ Copolette. ⁶⁸ Gorea.

ლებრივი სიდიდის მაგარი გაუთლელი ქვეებით. იგი დგას ზღვის ნაპირზე, ქვიშიან ნიადაგზე. მას არც თხრილები აქვს და არც სამაგრები. მხოლოდ ოთხი კედელია, ორი კარით – ერთი აღმოსავლეთით, რომელიც ზღვას გაჰყურებს და მეორე – ჩრდილოეთით. აქ მხოლოდ ორი ზარბაზანი ვნახე. ამ ციხეს იანიჩარების მცირერიცხოვანი რაზმი იცავს. ციხის შიგნით ოცდაათიოდე ხის, პატარა, დაბალი, მოუწყობელი ფიცრის სახლი დგას. გარეთ მასთან ახლოს სოფელია, ამდენივე სახლით. თითქმის ყველა აქაური მეზღვაურია; თუ დავუჯერებთ ადგილობრივ მცხოვრებლებს, სწორედ ამიტომ ეწოდა ამ მხარეს სახელი „ლაზი“⁶⁹, თურქული სიტყვა „ლაზ“-იდან⁷⁰, რაც ზუსტი მნიშვნელობით „ზღვის კაცს“ ნიშნავს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით – „უხემ, სასტიკ და ველურ ადამიანს“. მე კი ვფიქრობ, რომ სახელი „ლაზი“, რომელსაც ეს ხალხი ატარებს, წარმოშობილია არა თურქულიდან, არამედ უბრალოდ ეს მათი უძველესი სახელია. ძველად მათ ეძახდნენ ლაზებს და მათ ქვეყანას ლაზიკას⁷¹, როგორც უწოდებენ მას ბერძენი ისტორიკოსები და, კერძოდ, პროკოპი წიგნში სპარსეთთან ომის შესახებ; აქ ისინი ხშირად იხსენიება, თანაც ისე კარგადაა აღწერილი მათი ქვეყანა, რომ იგი ზუსტად ემთხვევა იმ ადგილებს, სადაც გონიო მდებარეობს და ამაში დაეჭვებაც არ შეიძლება. აგათია²⁶³) ამ ქვეყანას იხსენიებს როგორც მეტად მნიშვნელოვანს, ძლიერს იმით, რომ აქ ბევრია მამაკაცი და უხვია სიმდიდრე, აქვს მოხერხებული მდებარეობა, რაც ხელს უწყობს მას ყოველი მხრიდან საჭირო მარაგის მიღებაში. ის ამბობს, აგრეთვე, რომ რომაელების ლაზებთან ხშირმა მიმოსვლამ დადებითი გავლენა იქონია მათ ზნეჩვეულებებზე, სამართლიანობაზე. მაგრამ ეს ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ისინი თურქებმა დაიპყრეს. დღეს ლაზების უმეტესობა გამაჰმადიანებულია და თუმცა საქართველოსა და სომხეთიდან იქ ხშირად ჩადიან ქრისტიანები, ისინი იქ არ ჩერდებიან ისევე, როგორც ლაზების უახლოესი მეზობლები ტრაპეზუნდელები.

გონიოში არის საბაჟო, რომელიც ცნობილია თავისი სიმკაცრით, მაგრამ ის არ აღმოჩნდა ისეთი მკაცრი, როგორც მე მიხასიათებდნენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს მისგან საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვთ, ევროპელებისათვის კი ის ნამდვილი ყაჩაღების

⁶⁹ Lazi. ⁷⁰ Laz. ⁷¹ Lazique.

არც თურქეთის სულთნის რაყამს, არც მხარდაჭერას, რომელიც შეიძლება გქონდეს პორტაში. რაიმე დახმარების მიღებაზე ხომ ტყუილად გექნება იმედი. იმპერიის განაპირად მდებარე ამ საბაჟოს გამგებლები ძლიერ შორს თვლიან თავს სულთნისაგან და, დარწმუნებული არიან, რომ მისი ხელი მათ ვერ მისწვდება.

მიადგა თუ არა ჩვენი ნავი ხმელეთს, სიხარულისაგან ალტაცებულმა ჩემმა მსახურმა ნაპირს მიაშურა. იგი ხან ზეცისაკენ ადაპყრობდა თვალებს, ხან მიწას კოცნიდა, წყევლა-კრულვას უთვლიდა სამეგრელოს და ათას ლოცვა-კურთხევას თურქთა ქვეყანას. ერთი წუთის შემდეგ ის უკვე ციხეში იყო, მე ნაპირზე დამტოვა მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო მესაჭიროებოდა მისი მსახური. საფუძველი მომეცა მეფიქრა, რომ იგი საბაჟოში წავიდა, რათა იქ თავისი მოსაზრება გამოეთქვა ჩემი ვინაობის შესახებ, რადგან, როდესაც საბაჟოს ზედამხედველი და ციხისთავის ლეიტენანტი ნავიდან გადმოტვირთული ბარგის დასათვალიერებლად და საბაჟო გადასახადის ასაღებად მოვიდნენ, მაშინვე მითხრეს რომ მე ევროპელი ვარ, სამეგრელოში მრავალი ხიფათი გადამხდა და ახალციხეში ვაპირებ წასვლას. ამან ძალიან გამაკვირვა და მივხვდი, რომ გამცეს. მიუხედავად ამისა, არ დავიბენი და ღვთის წყალობით არ დაკვარე მხნეობა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემმა მსახურმა ზუსტად არც კი იცოდა ჩემი ვინაობა. მე ის კონსტანტინოპოლიდან წამოვიყვანე. იგი ხედავდა, რომ ხშირად ვხვდებოდი ელჩებს და ევროპელ მინისტრებს, რომ პატივისცემით მეპყრობოდნენ და რომ დანარჩენ დროს კითხვასა და წერაში ვატარებდი. ალბათ დარწმუნებული იყო, რომ ცნობისმოყვარე მოგზაური ვიყავი. ჩემი მსახური დავარიგე თურქებისათვის ეთქვა, რომ ვაჭარი ვარ და სამეგრელოში ჩავედი ევრობისათვის მტაცებელი ფრინველის შესასყიდად; ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სრულიად გამძარცვეს და მივდივარ ახალციხის ფაშასთან სამართლის საძებნელად. მტკიცედ დავდექი ამ სიცრუეზე, რადგან სხვა უკეთესი თვალთმაქცობა ვერაფერი მოვიფიქრე და არც მინდოდა, რათა ჩემი მსახური დამერწმუნებინა, რომ მე არა ვარ მიმხვდარი მის ღალატს და არც ეჭვი მეპარება მის ერთგულებაში. მებაჟემ ბევრი კითხვა დამისვა, რაზედაც საკმაოდ კარგად გავეცი პასუხი. მან ბრძანა დაეთვალიერებინათ ჩემი ბარგი; იქ ვერაფერი ნახეს. იქვე იყო უნაგირი, რომელსაც ქვეშ გაკეთებული ჰქონდა ღრმული

ძვირფასეულის შესანახად. ის სავსე იყო და ამიტომაც – მძიმე. ეს სიმძიმე საეჭვოდ ხდიდა მას, მით უფრო, რომ თურქული უნაგირი ძალიან მსუბუქია. ზედამხედველებმა ხელში აიღეს იგი, გასინჯეს, მაგრამ რადგან ხელში ყველგან მხოლოდდ ძუა და ბალა-

ნი მოხვდათ, დაანებეს თავი.

რვაასი პისტოლიდან, რომელიც მე მომანდეს, ნახევარიტანზე მქონდა; მეორე ნახევარი კი ბოქლომით დაკეტილ ჩანთაში იდო სხვა მცირე ღირებულების მქონე უმნიშვნელო წვრილმანებთან ერთად. კარგად ვიცოდი, რომ თურქები მათ წაიღებდნენ, თუ კი თვალს მოჰკრავდნენ. სამეგრელოდან წასვლისას გადავწყვიტე ეს ჩანთა შესანახად მეზღვაურებისათვის მიმეცა, როდესაც ქობულეთის ნაპირს მივადგებოდი. ეს არის აქ ახლოს მდებარე ნავსადგური, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე. მეზღვაურების ბარგს არ ათვალიერებენ და მათ ნავებსაც იშვიათად ჩხრეკენ. მაგრამ ზურგის ქარმა შეუჩერებლად გაგვატარა ეს ადგილი, რამაც ხელი შემიშალა სისრულეში მომეყვანა ჩემი გადაწყვეტილება. ნავში კი ამის გაკეთება მგზავრების წინაშე წინდაუხედაობა იქნებოდა.

მეზღვაურებმა უკვე იცოდნენ, რაც მქონდა: ჩავიდნენ ნავში და ნახეს ეს ჩანთა. იკითხეს თუ ვის ეკუთვნოდა იგი. ვთქვი, რომ ის ჩემია და შიგ ბაჟის დასადები არაფერია-მეთქი. მეზღვაურმა მისი გახსნა მიბრძანა. ვუპასუხე, რომ სიამოვნებით გავაკეთებ ამას სახლში და არა ზღვის ნაპირზე, ამდენი ხალხის წინაშე. მეზღვაურმა თავისთან წამიყვანა. ციხისთავის ლეიტენანტიც ჩვენ გამოგვყვა. ის იღებს ბაჟის ერთ პროცენტს, ხოლო მეზღვაურს – ხუთს. ჩემგან წაიღეს ოცდაორი პისტოლი ოქროთი და ყველაფერი ის, რაც მოეწონათ იმ წვრილმანი ნივთებიდან, რომელიც ჩანთაში მქონდა. სხვათა შორის, წაიღეს ჩემი ერთადერთი იარაღი, წყვილი დამბაჩა. მართალია მასში ფული მომცეს, მაგრამ მხოლოდ ნახევარი ფასი. მეზღვაურმა შემომთავაზა მასთან გაჩერება. მე ვუპასუხე, რომ ის ალბათ დამცინის, როდესაც ასეთ წინადადებას მაძღვეს მას შემდეგ, რაც უსამართლოდ აიღო ბაჟი ჩემი ფულიდან, რადგან არც ვერცხლზე და არც ოქროზე ბაჟი არ არის დაწესებული. მან მიპასუხა, რომ მე ვცდები, რომ ის უსამართლოდ არ მომქცევია და რომ გონიოში უგამონაკლისოდ ყველაფერზე ახდევინებენ ბაჟს, ხოლო რაც შეეხება მის წინადადებას ჩემი მასთან დაბინავების შესახებ, ეს მხოლოდ თავაზიანობაა მისი მხრიდან. მაღლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ თუ მას უნდა სიკეთე მიყოს, რისთვისაც მთელი სიც-

262

ცხლე მისი მაღლიერი ვიქნები, დამეხმაროს ჩავიდე ახალციხის ფაშასთან; მთელი გონიო გაიგებს, რომ მე ერთი ჩანთა ოქრო მი-ნახეს, ეჭვი არ მეპარება, რომ დარჩენილი ოქროსათვის მომკლავენ მთებში, სადაც მე უნდა გავიარო, რომ ვარ მარტოკა, უცხოელი, უიარაღო, რომ უკანასკნელი იარაღი მან თვითონ წამართვა და რომ კეთილი ინებოს და ცოტაოდენი დახმარება გამიწიოს. მან მიპასუხა, რომ ტყუილად აუტანივარ შიშს, რადგან, მაღლობა ღმერთს

მე ვიმყოფები მართლმორწმუნეებთან (ასე უწოდებენ თავიანთ თავს თურქები), სადაც არ უნდა მეშინოდეს გაქურდვის ან მოკვლისა, რომ ის თავდებია ჩემი სიცოცხლისა და ჩემი ქონებისა და შემოდ-ლია სრულიად უშიშრად და აშკარად წავილო ჩემი ოქროთი სავსე ჩანთა; რაც შეეხება ახალციხის გზას, ის ძალიან ცუდია, პირველი ორი დღე ფეხით სავალია, რადგან ცხენები ვერ გაივლიან ამ მთე-ბის ვიწრო და დაკიდულ ბილიკებზე; რომ ხვალ დილით ის მომ-ცემს კაცებს ბარგის გადასაზიდად პირველ გაჩერებამდე. იქიდან ახალ გამცილებლებს მომცემდნენ შემდეგ გაჩერებამდე და ასე მივიდოდი ახალციხემდე.

მითხრა რა ყოველივე ეს, მან კიდევ მესამედ და დაბეჯითე-ბით შემომთავაზა ღამე მასთან გამეთია. როგორც შემდეგ გავიგე, ეს წინადადება მის მიერ სრულიად უანგაროდ და ჩემს საკეთილდღე-ოდ იყო შემოთავაზებული, მაგრამ ღმერთმა არ მოისურვა მაშინ-ვე გამეგო ეს. ვერ განვჭვრიტე, თუ რას მიმზადებდა განგება. შე-მეშინდა, ვაითუ მებაჟე იმიტომ მირჩევს მასთან ღამის გათევას, რა-თა უკეთ დაათვალიეროს ჩემი ნივთები და ჩემი უნაგირი და, რომ მას შეიძლება ჩემი ტანსაცმლის გაჩხრეკის სურვილიც მოუვიდეს-მეთქი. ტანისამოსში, როგორც აღვნიშნე, მქონდა მოზრდილი ჩან-თა და სამ ადგილას მარგალიტები.

თითქმის ბნელოდა, როდესაც მებაჟესაგან წამოვედი. იგი გო-ნოს ოლქის მმართველიც იყო. ჩემმა მსახურმა ჩემი ნივთები წა-იღო იქ, სადაც ჩემთან ერთად ჩამოსული ხალხი დაბინავდა. ეს იყო ერთი სამაგელი ქოხი, ყოველ მხრიდან ფარღალაღა, ფრიად ბინძური და მყრალი. აქ, თუ შეიძლება ითქვას, თანაგრძნობის გა-მომხატველი ბევრი ქათინაური მითხრეს; მართალი რომ ვთქვა, ვფიქრობ, ჩემი მსახურის გარდა, რომელსაც ჩემთვის ჩამორთმეუ-ლი ოცდაორი პისტოლიდან მასაც უნდა ჰქონოდა მიღებული წი-ლი, ყველა იქ მყოფი შეწუხებული ჩანდა. სათითაოდ მსაყვედუ-რობდნენ რომ ჩანთა მათ არ დავუტოვე შესანახავად. მე თავი მო-

ვაჩვენე დამწუხრებულად და დაჩაგრულად, მაგრამ გულის სიღრმე-ში კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ ფასით დავაღწიე თავი ამ მდგომა-რეობას. ერთადერთი სურვილი, როლმელიც მქონდა, ეს იყო მზის დანახვა, რათა ამ ყაჩაღების ბუნაგიდან თავი დამეღწია

ნამცხვარს შევექცეოდი, როდესაც ერთი იანიჩარი მოვიდა და აცნობა ჩემს მსახურს ციხისთავის ლეიტენანტი გკითხულობსო. ციხისთავი იქ არ იყო და მისი ლეიტენანტი ასრულებდა მის მოვა-ლეობას. ჩემი მსახური წავიდა. ერთი საათის შემდეგ ლეიტენანტ-მა იგივე იანიჩარი ჩემს წასაყვანად გამოგზავნა. მე რომ მივედი, ლეიტენანტი ჩემს მსახურთან ერთად სუფრასთან იჯდა და ორი-

ვენი შეზარხოშებულნი იყენენ. მან ჯერ ძალით მასვა და მაჭამა, შემდეგ გამომიცხადა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ყველა სასულიერო პირი, რომელიც გონიოს გაივლის, ვალდებულია მის უფროსს გადაუხადოს ორასი დუკატი; რამდენადაც მე ამ წოდების წარმომადგენელი ვიყავი, ამიტომ მეც უნდა გადამეხადა ეს თანხა. მივუგე, რომ იგი ცდება, რომ მე ვაჭარი ვარ და საბაჟოს თანხაც უკვე გადახდილი მაქვს, თუმცა არაკანონიერად კი, და რომ მებაჟემ გამათავისუფლა; ჩემი ვინაობა კი მან არ შეიძლება იცოდეს ზუსტად; დაბოლოს, თუ ვალდებული ვარ რაიმე გადავუხადო ციხისთავს, ამას ხვალ გავაკეთებ, ღამით კი დრო არ არის ასეთი ლაპარაკისათვის-მეთქი. ამის შემდეგ დავაპირე წამოდგომა და წასვლა. ორმა იანიჩარმა დამაკავა, ლეიტენანტმა ისევ დამსვა, ძალდატანებით მასვა, დამაყოვნა ორი საათი, თავხედურად მელაპარაკებოდა ათასგვარ რამეებზე, სხვათა შორის დამიწყო იმის მტკიცება, რომ ქრისტიანების ქონება კანონით თურქებს ეკუთვნისო, რომ მალტიელებმა ჩემი ორი ძმა წაიყვანესო, რომ ჩემ მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის ოცი პისტოლი საკმარისიაო. საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი; საქმე მქონდა მთვრალეებთან. ჩემი მსახური, ნაცვლად იმისა, რომ დამხმარებოდა, ჩემს მსაჯულთან ერთად სუფრას მოსჯდომოდა და ფაქტიურად ბრძანებლობდა ჩემზე, თითქოს ის იყო ჩემი უფროსი და არა მე მისი. ცხადად ვხედავდი მის სიმუხთლეს, მაგრამ უარესის შიშით ხმის ამოდებას ვერა ვხედავდი. განზე გავიხმე და ვუთხარი, ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა განემტკიცებინა ჩემში ჯერ კიდევ დარჩენილი რწმენა მისი ერთგულებისა, რომლითაც იგი მემსახურებოდა, რადგან მხოლოდ მას შეუძლია ამ საქმის მოგვარება და რომ სრულ უფლებას ვაძლევ შესთავაზოს ლეიტენანტს ოც დუკატამდე. ჩემი მიზანი იყო ამ მოჩვე-

264

ნებითი ნდობით, რომელსაც ჩემთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეეძლო, ამელაგმა ამ მოლაღატის ვერაგობა და ხელი შემეშალა, რათა მისი ბოროტება უკიდურესობამდე არ მისულიყო. შემდეგ მივმართე ლეიტენანტს, ვთხოვდი, თვალის ასახვევად ვემუქრებოდი, ვუმტკიცებდი, რომ გონიოში აღარავინ ჩამოვა, როცა გაიგებენ, როგორი ძალადობით და უსამართლოდ ექცევიან გამვლელებს-მეთქი. ლეიტენანტმა სიცილით მიპასუხა, რომ გონიო მისი საკუთრება არ არის, რომ ის აქ მხოლოდ ერთ წელიწადს დარჩება, ამიტომ მას არ აწუხებს მისი წასვლის შემდეგ თუ აქ არავინ ჩამოვა, ანდა თუ ციხე დაინგრევა; ის სარგებლობს შემთხვევით და მომავალი არ აწუხებს. ბოლოს მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ ლეიტენანტმა რაკი ვერ მაიძულა მიმეცა მისთვის რასაც იგი ითხოვდა, კაცი გააგზავნა ჩემი ბარგის მოსატანად. ჩემმა ვერაგმა მსახურმა

მხარი დაუჭირა მას. ლეიტენანტმა მითხრა, ოქრო ამომელო ჩანთი-
დან. გადაწვევით გავპალიანებოდი და ვუპასუხე, რომ ნებით არც-
ერთ სუს არ მივცემ, მიუხედავად იმ უკიდურესი ზომებისა, რომე-
ლიც მას შეუძლია გამოიყენოს, რადგან მე მისი მოვალე არა ვარ,
და ვინაიდან წინააღმდეგობას ვერ გავუწევ მის ძალმომრეობას, ამი-
ტომ წაიღოს რაც სურ, მაგრამ გავაფრთხილე, რომ ვიცი საშუა-
ლებები, რომლებიც მას აიძულებენ ყველაფერი დამიბრუნოს. მა-
შინ ამ ავაზაკმა ბრძანა ხუნდები და რკინის საყელო მოეტანათ. სი-
მართლე რომ ვთქვა, ამან ცოტა შეარყია ჩემი სიმტკიცე, რადგან
საქმე მქონდა ჯარისკაცებთან, რომლებსაც ოქროს დანახვა და და-
ლეული ღვინო ყველაფერს აკისრებინებდა. ერთი მათგანი მომია-
ხლოვდა და მითხა: – რაც უფრო დანაყავ ნიორს, მით უფრო
აყროლდებო. ამით იმის თქმა უნდოდა, რომ საქმე რაც უფრო
გაგრძელდება, მით უფრო გაძნელდება. იმავე დროს ჩემმა მსა-
ხურმა მირჩია გადამეხადა ასი დუკატი. საქმე რომდამემთავრები-
ნა, მივეცი ეს ფული და კიდევ ოთხი დუკატი ჩავუთვალე იანიჩა-
რებს, რომლებიც სერჟანტს ემსახურებოდნენ. ფასეულობა, რო-
მელიც თანაც და ბინაშიც მქონდა, ადგილმა, სადაც ვიმყოფებო-
დი და ათასმა სხვა გარემოებამ მაიძულა დავმორჩილებულიყავი.
სხვა მდგომარეობაში მუქარა ვერ გამტეხდა. არ შევუშინდებოდი
ბორკილებს და ამ მდგომარეობას ნაკლებად დაზარალებული და-
ვალწევდი თავს. როდესაც ლეიტენანტს ასი დუკატი ჩავუთვალე,
მან ძალდატანებით სახარებაზე ფიცის დადება მომთხოვა, რომ ამ
ფულს მას ჩემის ნებითვე ვაძლევ და ამის შესახებ არავის ვეტყვი.

265

ახლა ამაზე დაიწყო ისეთი გაცხარებული დავა, როგორც პირველ-
ზე. მე ფიცის დადების სურვილი არ მქონდა, რადგან მართლაც ვა-
პირებდი ჩვილს და მასთან სიმტკიცის გამოჩენით მონდოდა ჩე-
მი მდგომარეობა მომავალში უზრუნველმეყო. ეს ავაზაკი კი გა-
ჯიუტდა და არ იღებდა ას დუკატს, თუ ამ პირობას არ მივცემდი.
მეტი გზა არ მქონდა, მისი თანდასწრებით ისეთი ფიცი მივეცი, რო-
გორც მას სურდა, ამავე დროს მოითხოვდა შევხვეწნოდი, რათა
ეს ფული მიეღო.

მეორე დღეს დილით ადრე, ეს იყო I დეკემბერს, საბაჟოს
ზედამხედველები მოვიდნენ ჩემ თავშესაფარში და თვალყურს მა-
დევენებდნენ გამგზავრებამდე. მათ ნაბრძანები ჰქონდათ ჩემი უნა-
გირისა და პირადად ჩემი გაჩხრეკა: დაუძახეს ჩემს მსახურს და,
რამდენადაც შეეძლოთ, ზრდილობიანად გამოუცხადეს ეს ამბავი.
ხელმეორედ გასინჯეს უნაგირი და სანამ იგი იმათ ხელში ეჭირათ,
შიშით ვთრთოლი, გული გასკდომაზე მქონდა. ხელით ვერაფერი
მოსინჯეს, მაგრამ მაინც უნდობლად უყურებდნენ, რადგან მისი

სიმძიმე საეჭვო იყო. დავინახე თუ არა, რომ დიდხანს ატრიალებდნენ ხელში, ვუთხარი, ეს უნაგირი საგანგებოდ გავაკეთებინე იმ ანგარიშით, რომ საჭიროების შემთხვევაში კურტნად გამომეყენებინა და ამიტომ გამოვიდა ასეთი, მძიმე-მეთქი. ამ ხრიკმა გასჭრა, მაგრამ შემდეგ შევამჩნიე, რომ მათ ჩემი ტანზე გაჩხრეკვის სურვილი ჰქონდათ, რადგანაც ჯერ ერთმა და მერე მეორემ განზე გამიხმო და მითხრა, თუ ისეთი რაიმე მქონდა, რაც მებაჟეს მხედველობიდან გამორჩა, მათთვის საჩუქარი მიმეცა და ისინი აღარ გამჩხრეკდნენ. „მეგობრებო, – ვუთხარი მათ, – ნუ მიმართავთ ხრიკებს, თუ გინდათ ჩემი გაჩხრეკა, გააკეთეთ ეს უფრო გაბედულად“. ვთქვი რა ეს, გავიხსენი ქურთუკი, გადავიწიე კალთები და მუჩვენე ჯიბეები. ამ სიყოჩაღემ გადამარჩინა. მებაჟეებმა იფიქრეს, რომ შიშისათვის საფუძვლის მქონე ასე თამამი არ იქნებოდაო და აღარ გამჩხრიკეს. მათთან ერთად წავედი მებაჟესთან და ტირილითა და მწუხარებით მოვახსენე, რომ არ ვისარგებლე რა მისი მასპინძლობით, წამართვეს ჩემი ოქროს ნაწილი. – „მე ხომ გთხოვდი ჩემთან გაგეთია ღამე, ეჭვი არ მეპარებოდა რომ ასეც მოგივიდოდაო“ – მითხრა მან. შემდეგ დაჟინებით მომთხოვა მეთქვა მისთვის, თუ რა წამართვეს და ვინ ჩაიდინა ეს. მარწმუნებდა, რომ სამართლიანად მოიქცევა და აიძულებს ამის ჩამდენს დამიბრუნოს ყველაფერი. ვუპასუხე, რომ მოკვლას დამეჭადნენ, თუ ვიტყვი-

266

მეთქი. ეს სიმართლე იყო. გარდა ამისა, ისეთი დიდი სურვილი მქონდა გონიოს გავცლოდი, რომ დავის დაწყება აღარ შემემლო. შევევედრე მებაჟეს თავისი ნათქვამი აესრულებინა; მანაც შეასრულა, მომცა ორი კაცი, რომლებსაც საღამომდე უნდა ეზიდა ჩემი ბარგი, და ერთი თურქი, რომელიც ახალციხემდე მიმიყვანდა. ამ ორ კაცს უბრძანა ჩემგან ბარათი მიეტანათ მისთვის, რათა დაწმუნებული ყოფილიყო, რომ მე მშვიდობით ჩავედი პირველ გაჩერებამდე. თურქს მისცა ბრძანების ფორმის რაყამი, რომელიც მთელ გზაზე გვემსახურებოდა. აი, მისი თარგმანი.

„გზის მცველებო, მამასახლისებო, მსაჯულნო, ქეთხუდებო, მიაცილეთ გაჩერებიდან გაჩერებამდე, ჰასან ფაშის²⁶⁴) ბედნიერ კარამდე ივანე, მისი ზარაფი. მიეცით მას ფულში ცხენები და კაცები, რამდენიც მოითხოვოს. მისი პიროვნების და მისი ბარგის დაცვა ევალება იმ ადგილების მცხოვრებლებს, სადაც ის გაივლის. ეს უკანასკნელნი პასუხს აგებენ მის სიცოცხლეზე“.

მებაჟემ მისცა რა ხელში ეს საბუთი ჩემს თანმხლებ თურქს, მითხრა, რომ ბრძანებაში იგი მე მიწოდებს ფაშის ზარაფს, ამიტომ საჭიროა მე და ჩემმა მსახურმა თავზე თეთრი ყაუხი დავიხუროთ, რათა მეტი პატივისცემა გამოიწვიოთ. მეც ასე მოვიქეცი

და დილით რვა საათზე გავუდექი გზას აღფრთოვანებული იმით, რომ ეტოვებდი ამ ავბედით და საშიშ ადგილს და მივდიოდი თავისუფალ ქვეყანაში, სადაც არაფრის შიში აღარ მექნებოდა. როგორც იქნა თავისუფლად ამოვისუნთქე, თანდათან დამიბრუნდა სულიერი სიმშვიდე. ხუთი თვის განმავლობაში საშინელი მღელვარება და უბედურებები გადავიტანე: შეურაცხყოფა, კატასტროფა, ტყვეობის, ცოლის შერთვის, ქონების, თავისუფლების და სიცოცხლის დაკარგვის მუქარა. ეს საშინელი ფიქრები რიგრიგობით აწვალებდნენ ჩემს გონებას, მთელი ამ ხნის განმავლობაში ათასმა რეალურმა უბედურებამ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა, რომლის წარმოდგენაც ძნელია. გამგზავრების დღეს გამოუთქმელ სიხარულს ვგრძნობდი, ჩემი გული მშვიდად ცემდა. კავკასიის მთებზე ისე მსუბუქად ავდიოდი, რომ ჩემი მეზარეულები გაოცებული იყვნენ. როგორ მსუბუქად გრძნობ თავს, როდესაც გულზე არაფერი გაწევს! ამას ვამბობ უბრალოდ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს საშინელი ტვირთი მომეხსნა ზურგიდან და კი რ მივდიოდი, არამედ მივფრინავდი. გავიარე ოთხი მილი სულ კლდეებში. შემდეგ ნავით გადავედი მდინარეზე, რომ-

267

ლის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე და რომელიც გურიას თურქეთის ტერიტორიებისაგან გამოყოფს.

3-ში ხუთი მილი ფეხით გავიარე, ჩემი ბარგი მოჰქონდა სამკაცს. ხშირად ისე ახლოს მივდიოდი საშინელ უფსკრულებთან, რომ შიში მიტანდა. გავლილი გზიდან სწორი ორი მილი თუ იქნებოდა, დანარჩენი სულ აღმა ავდიოდი.

4-ში დავრჩი თურქებით და ქრისტიანებით დასახლებულ ერთ სოფელში, სადაც წინა დღით ჩავედი. წვიმდა, თოვდა და ქროდა ქარი. ჩვენ გზის გაგრძელება ვერ გავბედე.

5-ში და 6-ში გავიარე თერთმეტი მილი. თუმცა ცხენები გვყავდა, მაგრამ შემოდლია ვთქვა, რომ ცხენით ჩვენ სამი მილიც არ გავივლია. ყოველ წუთში ჩამოვდიოდი ცხენიდან საშინელი გზების გამო, სადაც ცხენი ძლივს იმაგრებდა ფეხს.

7-სა და 8-ში გავიარე თექვსმეტი მილი. აქედან ოთხი აღმართ-დაღმართს წარმოადგენდა, შემდეგ რვა ვაკეზე გადიოდა, მაგრამ სულ დაკლანკილი იყო. ავედი კავკასიის მთაზე. დანარჩენი ოთხი მილი სულ დაღმართი იყო. შუა დაღმართიდან მთის მწვერვალებზე ეცლესიისა და ციხის ნანგრევები მოჩანდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ ციხეები და ეკლესიები აქ ბევრი იყო, მაგრამ თურქებმა დაანგრიესო. მთის ძირში იწყება შესანიშნავი ხეობა, რომლის განი სამი მილია. ეს ხეობა ძალიან ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი და მჭიდროდ დასახლებულია. შუაში ჩაუდის მდინარე

მტკვარი⁷².

ცნობილია, რომ აზია ერთი ბოლოდან მეორემდე დაყოფილია ქედით, რომლის ყველაზე მაღალ ნაწილებს ჰქვია: ტავრი⁷³, იმაუსი⁷⁴ და კავკასიონი⁷⁵. პირველის ნაწილი ყველაზე უფრო შეჭრილია აზიაში; მთელ ამ მთაგრეხილს ზოგადად ემახიან ტავრის ქედს. ვამბობ ზოგადად, რადგან თითოეულ ნაწილს აქვს თავისი საკუთარი სახელი, რომელსაც მის ახლოს დასახლებული ამა თუ იმ ერის მოსახლეობა უწოდებს მას. მისი ბოლო ნაწილი ევროპასთან ყველაზე უფრო ახლოსაა, გადაჭიმულია შავ და კასპიის ზღვებსა, მოსკოვის სახელმწიფოსა და თურქეთს შორის. ბევრი ავტორი ამ სამ ნაწილს ერთმანეთში ურევს. სხვათა შორის, პლინიუსსა²⁶⁵) და კვინტ კურციუსს²⁶⁶) კავკასიის მთები ინდოეთში ეგულებათ. სტრაბონი ამ მთის შესახებ თავის „გეოგრაფიის“ მეთვრამეტე წიგნში ამბობს,

⁷² Kur. ⁷³ Taurus. ⁷⁴ Imaus. ⁷⁵ Caucase.

268

რომ თუმცა ყველა ავტორი ამ საკითხში შეთანხმებულნი არიანო, მაინც არ შეიძლება მათ დაუუჯეროთ, რადგან ამას ისინი სწერენ პირველობით, რათა ცეტად განადიდონ ალექსანდრე, რომლისთვისაც უფრო სასახელო იქნებოდა თავისი ძლევამოსილება ინდოეთის მთებს იქით გაეგრეცელებინა, ვიდრე იარაღით ხელში მხოლოდ ევქსინის პონტოს მახლობელი მთები გარდაეელო²⁶⁷). შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს უბრალო გეოგრაფიული შეცდომაა, რომელიც კვინტ-კურციუსს განზრახ არ ჩაუდენია. მაგალითად, იგი თვლიდა, რომ განგი²⁶ სამხრეთიდან მოედინება²⁶⁸), ან იაქსარტე⁷⁷ ტანაისად მიაჩნდა²⁶⁹). დაუუჯერებდი, რომ მეექვსე წიგნში იგი კავკასიის მთას ჰირკანიასა⁷⁸ და მდინარე ფაზისს შორის არ ათავსებდეს²⁷⁰).

ვუბრუნდები კავკასიის მთის აღწერას. იმ მთებს შორის, რომელიც კი მინახავს, ეს მთა ყველაზე მაღალი და ყველაზე ძნელი გადასალახავია. ეს ჩანს ჩემი ზემოთ ნაამბობიდან. აქ მრავლად არის ციცაბო კლდეები და საშინელი უფსკრულები. ბევრი შრომა დასჭირებია აქ ზოგიერთ ადგილას ბილიკების გაყვანას. როდესაც მე აქ გავიარე, იგი მთლიანად თოვლით იყო დაფარული, რომლის სისქე თითქმის ყველგან ათ ფუტს აღემატებოდა. ბევრ ადგილას ჩემს გამყოლთ გზის ნიჩბებით გაწმენდა დასჭირდათ. ფეხზე ეცვათ სანდლებისმაგვარი სპეციალურად თოვლში სასიარულო ფეხსაცმელები, რომლებიც მე მხოლოდ ამ ქვეყანაში ვნახე. მისი ძირი თავისი ფორმითა და სიგრძით თხილამურსა ჰგავს, თუმცა ისე განიერი არაა. ბადეც უფრო მეჩხერია, ხოლო ხე, რომელსაც ბადე უკეთდება, მრგვალია. ეს ფეხსაცმელი თოვლში არ ეფლობა, მხოლოდ ერთი თითის სიღრმეზე ჩადის. ამ ფეხსაცმლით თოვლზე სწრაფად

მოდრაობენ. ტოვებენ მქრქალ და გაურკვეველ კვალს, რადგან ამ ფეხსაცმელს არც თავი აქვს და არც ბოლო. კავკასიის მთის მწვერვალი მუდმივი თოვლითაა დაფარული და რვა მილის მანძილზე, რომელიც უნდა გაიარო მისი გადაკვეთის დროს, დაუსახლებელია. 7-სა და 8-ში ღამე თოვლში გავატარე. მოვაჭრევინი ორი ნამდვის ხე, დავეწქე მასზე და დიდი კოცონი დავანთებინე. როდესაც მივაღწიე მწვერვალს, ჩემი გამყოლები დიდხანს და გულმოდგინედ ევედრებოდნენ თავიანთ ხატებს, რათა მათ მოწყალება მოეღოთ და ქარი არ ამოვარდნილიყო. მართლაც, ქარი რომ ცოტა გაძლიერებულიყო, ჩვენ უეჭველად თოვლში დავიმარხებოდით, რადგან თოვ-

⁷⁶ Gange. ⁷⁷ jaxartes. ⁷⁸ Hyrcanie.

ლი აქ ისეთი ფხვიერი და მსუბუქია, როგორც მტვერი. იგი ქარს დააქვს და ჰაერში ატრიალებს. მაღლობა ღმერთს, ქარი თითქმის არ იყო. ზოგ ადგილას ცხენები ისე ღრმად ეფლობოდნენ თოვლში, რომ ვფიქრობდი, ველარ ამოვლენ-მეთქი. ამ საშინელი მთის გადალახვისას, ოცდათექვსმეტი მილის მანძილზე, მე თითქმის სულ ფეხით მივდიოდი და ცხენით რვა მილიც არ მექნება გავლილი. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, მეჩვენებოდა თითქოს ღრუბლებში მივდიდი და ოც ნაბიჯზე ვერაფერს ვარჩევდი. თანაც შორს ხედვას ხელს უშლიდა ხეები, რომლებიც მთის მწვერვალს ფარავს. აქ მხოლოდ ნამძვებია, სხვა ხეები არ მინახავს. ამან გული დამწყვიტა, რადგან, წარმოვიდგინე რა, რომ ვიმყოფებოდი მსოფლიოში არსებულ უმაღლეს მთაზე, ან ყოველ შემთხვევაში აზიის უმაღლეს მთაზე, მინდოდა შემემოწმებინა ბუნებისმეტყველთა მოსაზრება, რომ ყველაზე მაღალი მთების უმაღლეს მწვერვალებზე ხეთა ფოთლები ყოველთვის ერთსა და იმავე მდგომარეობაშია, რადგან ქარი და ღრუბლები, რომელიც მათ ცვენას იწვევენ, ყოველთვის დაბლა არიან და ვერ აღწევენ მათ სიმაღლეს, მაგრამ ეს ვერსად შევამჩნიე. ვერც ის შევნიშნე, რომ ჰაერი იქ ჯანმრთელობისათვის მავნე იყოს, როგორც ამას ამტკიცებენ იგივე ავტორები. მართალია, ის ძალიან სუსხიანი და მშრალია, მაგრამ, ვგონებ, აქ ისევე შეიძლება ცხოვრება, როგორც რბილჰავიან ადგილებში. თუ ამ ადგილებში ადამიანი არ ცხოვრობს, ამისი ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ აქედან მეტად ძნელია სავაჭრო და სხვა ურთიერთობის დაჭერა მსოფლიოს სხვა კუთხესთან. ამ საშინელი მთიდან ჩამოსვლისას ვხედავდი, თუ როგორ მოძრაობდნენ ღრუბლები თვალუწვდევნელ მანძილზე ქვევით, ჩემს ფეხებთან. ჩემი თავი ჰაერში მეგონებოდა, რომ არ მქონოდა დედამიწაზე დგომის შეგრძნება²⁷¹).

კავკასიის მთა მთელ სიმაღლეზე მოსავლიანია; აქ უხვად არის

თაფლი, ხორბალი, ღომი; ამ მარცვლეულის შესახებ მე ვილაპარაკე სამეგრელოს აღწერის დროს. არის აგრეთვე ღვინო, ხილი, ღორი და მსხვილფეხა საქონელი. წყლები ყველგან შესანიშნავია. აქ ბევრი სოფელია გაშენებული. ვაზი ხეებს ეხვევა და ისე მაღლა ადის, რომ ხშირად მტევნებს ვერა ჰკრეფენ. როცა აქ გავიარე, სოფლებში რთველი იყო; შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამას გირვანქას ერთ ეკიუდ ყიდნიან. რადგანაც მთელ მოწეულ ღვინოს ვერ ასადებენ, გლეხები ხშირად ყურძენს არ კრეფენ და ვაზ-

270

ზე ტოვებენ. გლეხები ცხოვრობენ ხის ქოხებში, თითოეულ ოჯახს ოთხი ან ხუთი ასეთი ქოხი აქვს. ყველაზე დიდი ქოხის შუაში აჩალებენ დიდ ცეცხლს და ირგვლივ შემოუსხდებიან. ქალები ფქვავენ მარცვალს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა პურის გამოსაცხობად. ცომი ცხვება მრგვალი ქვის კეცში, რომლის დიამეტრი დაახლოებით ერთი ფუტია, სიღრმე კი ორი-სამი თითი. კეცს ძალიან აცხელებენ, დებენ მასში ცომს და ზედ წააყრიან ცხელ ნაცარს და ნაღვერდალს. ზოგ ადგილას პურს პირდაპირ ლადარში აცხობენ; ამისათვის კერაში გამოასუფთავენ ერთ კუთხეს, ჩადებენ იქ ცომს, დაფარვენ ჯერ ცხელი ნაცრით და ნაკვერჩხლით. ასე გამოცხვარი პურის ქერქი თუმცა ძალიან თეთრი არ არის, მაგრამ პური მეტად გემრიელია. ღვინოს ისევე ინახავენ, როგორც სამეგრელოში. მე ჩვეულებრივად ღამეს ვათევდი იმ გლეხთან, რომლისგანაც ცხენს ან მეზარგულეებს ვქირაობდი. ჩემი გამყოლი თურქი დიდი გულმოდგინებით მემსახურებოდა, რამდენადა შესაძლებელი იყო იმ ადგილებში. ჩვენ უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხებს, ბოსტნეულს. ღვინო, პური და ხილი ბლომად გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად დიდი დოქით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა. ჩემგან ფულს არ იღებდნენ და ჩემი მეგზურიც არ მაძლევდა ნებას მაღლობა რაიმე საჩუქრით გადამეხადა.

საჭმელს ხარბად შევექცეოდი, მაგრამ მხოლოდ ორი-სამი საათით ვნაყრდებოდი. ესეც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად გამოვიფიტე სამეგრელოში, საადც სამი თვის განმავლობაში არ მქონდა პური, ვშიშმილობდი და ვძრწოდი უფრო დიდ უბედურებათა მოლოდინში. ღვთის წყალობით მივალწიე ისეთ ქვეყანას, სადაც სიმშვიდე და უხვად საჭმელი მქონდა. დავტოვე ქვეყანა, სადაც ფულზედაც კი არ მაძლევდნენ საჭმელს და ჩამოვედი ისეთ კუთხეში, სადაც უსასყიდლოდ მასაზრდოებდნენ. უნდა მიხვიდე იმ უკიდურეს მდგომარეობამდე, რაც მე გამოვიარე, რომ ღირსეულად დააფასო სიამოვნების ის გრძნობა, რომელსაც განი-

ცდი ასეთი ბედნიერი ცვლილების დროს.

ამ მთების მცხოვრებლები უმეტესად ქართული წეს-ჩვეულების ქრისტიანები არიან. სახის კანის ფერი კარგი აქვთ: მათ შორის ბევრი ძალიან ლამაზი სახის ქალი ვნახე. ისინი ბევრად უკეთესად ცხოვრობენ ვიდრე მეგრელები და კავკასიის მთის სხვა ხალხი, რომლებიც ოტომანთა ხელქვეით არ იმყოფებიან.

271

9-ში გავიარე ხუთი მილი ხეობაში, რომლის შესახებ უკვე ვილაპარაკე. ნიადაგი აქ დასამუშავებლად გამოსადეგია. ბორცვებზე, რომლებიც მას გარს ეკვრის, დიდი რაოდენობით მოჩანს პირუტყვი. საღამოს ახალციხეში ჩავედი.

ახალციხე არის კავკასიის მთებში აშენებული ციხე-სიმაგრე. მდებარეობს ქვაბურში, რომელიც გარშემორტყმულია დაახლოებით ოცი ბორცვით, საიდანაც ძალიან ადვილია ყოველი მხრიდან მისთვის ცეცხლის დაშენა. მას ორმაგი კედელი და კოშკები აქვს. ორთავეს ძველებური ქონგურები აქვთ. ციხეში არტილერია ცოტაა. მის მახლობლად ბორცვებზე და მალლობებზე გაშენებულია დიდი დაბა ოთხასიოდე სახლით. სახლები ყველა ახალი აშენებულია. დაბაში, გარდა სომხების ორი ეკლესიისა, ძველი არაფერია. ახალციხეში ცხოვრობენ თურქები, ქართველები, სომხები, ბერძნები და ებრაელები. ქრისტიანებს აქვთ ეკლესია, ებრაელებს – სინაგოგა. აქვეა აგრეთვე პატარა ახალი ქარვასლა, რომელიც ხისგან არის აშენებული ისევე, როგორც საერთოდ ყველა სახლი ახალციხეში. მდინარე მტკვარი, რომლის სათავე ამ დაბიდან თორმეტიოდე მილის დაშორებით კავკასიის მთებშია, ახლოს ჩამოუდის მას. სტრაბონი ამბობს, რომ მისი სათავე სომხეთშიაო; პტოლემეაიოსის აზრით, იგი კოლხიდაშია, ხოლო პლინიუსის მიხედვით იგი გამოდის კოლხიდის ზემოთ მდებარე სათათრეთის მთებიდან, რომელთაც იგი უწოდებს კორაქსის⁷⁹, მდინარე კორაქსის სახელს, რომელიც ამ მთებიდან გამოდის და ჩადის, როგორც ვთქვი, შავ ზღვაში. ეს ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები შესაძლოა მართალიც იყოს, ან ყოველ შემთხვევაში ერთმანეთს უდგებოდეს, რადგანაც სომხეთი გარს არტყია კოლხიდას, ხოლო კოლხიდა, როგორც უკვე აღვნიშნე, ოდესღაც დიდი სახელმწიფო იყო. ახალციხის ფაშა ცხოვრობს ციხეში. მთავარი ოფიცრები და ჯარი უახლოეს სოფლებშია დაბანაკებული. სპარსეთის ისტორიაში ნათქვამია, რომ ეს ციხე ქართველებს აუშენებიათო და იგი თურქებმა ქართველებს უკანასკნელი საუკუნის დამლევს წაართვესო. თურქებს მისთვის ახალი შენობები მიუმატებიათ, ისევე როგორც მეორე ციხისათვის, რომელიც სამი დღის სავალზე მდებარეობს იქიდან²⁷²) და იწოდება ტემამად⁸⁰.

მართეთ აღმოსავლეთისაკენ. სამი მილის იქით ახალციხის ველს მთები ისე უახლოვდება, რომ განით იგი ნახევარი მილილა თუ იქნება. ამ ადგილას, მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდეზე დგას ძლიერი ციხე-სიმაგრე. კლდეს ქვევით ორმაგი გალავანი აქვს შემორტყმული და ირგვლივ პატარა ქალაქია, ისეთივე, როგორც ახალციხე, რომელსაც ციხესა და მოპირდაპირე მთას შორის ფართობი უჭირავს. ამ ქალაქს აწყური ჰქვია. აქ არის სანჯაყი²⁷³), ჯარი, მცველები და საბაჟო. ძალიან შემეშინდა აქ არ გავეჩერებინეთ და არ გავესინჯეთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისე გამატარეს, რომ სრულიად არა უთქვამთ რა. ჩემი ახალი გამყოლი საქართველოს ქალაქ გორიდან იყო. მცველების მეთაურმა ჰკითხა, აქაური ხარო? მან მიუგო – დიახო. სხვა აღარაფერი უკითხავთ და ყველანი გაგვიშვეს. საქართველოს ხანი და ახალციხის ფაშა კეთილ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან, რის გამოც თურქები კარგად ექცევიან ქართველებს. აწყურიდან ორი მილის მანძილზე მთა არის გადასასვლელი, რომელიც აქ სპარსეთს ჰყოფს თურქებისაგან. ჩვენ გადავედით ამ მთაზე და გავყევით მას გასწვრივ. აქ ბევრი სოფელია გაშენებული, ქვევით მტკვარი მიედინება. ბევრ ადგილას მოჩანს ციხეების, კოშკების და ეკლესიების ნანგრევები. ეს არის კვალი საქართველოს დიდებისა და მასზე თურქეთ-სპარსეთის მოძალებისა. გავიარეთ ათი მილი და ღამე დავდექით ერთ პატარა სოფელში.

14-ში ჩვენ მხოლოდ ოთხი მილი გავიარეთ. ამ მთებში ერთობ ცუდი გზებია; ისეთი ადგილები გვხვდებოდა, რომლებსაც დიდის ვაივაგლახით ვძლევდით; ხშირად გვხვდებოდა ციხეების ნანგრევები. გავჩერდით სურამის⁸² ველზე, ციხესთან ახლოს დიდ სოფელში, რომელსაც აგრეთვე სურამი ჰქვია. სურამის ველი ძალიან ლამაზი ადგილია, დაფარულია დაბალი ტყეებით, სოფლებით, ბორცვებით, აგარაკებითა და ქართველ დიდებულთა პატარა ციხეებით. მთელი მხარე დამუშავებულია; ერთი სიტყვით, იგი უმშვენიერესი კუთხეა.

15-ში გავიარეთ ათი მილი, ცხრა ამ ველზე, ერთიც დაბალი მთის გადასვლისას, რომელიც ამ ვაკეს გორიდან გამოჰყოფს. ყველგან ლამაზ სოფლებს, კარგად დამუშავებულ ნოყიერ მიწებს ვხვდებოდით. მთაზე ასვლამდე ხელმარჯვენით, მოჩანს დიდი ქალაქი, თილქმის მთლიანად დანგრეული, სადაც ხუთიოდე სახლი თუ იქნება; ძველად კი, ამბობენ, თორმეტი ათასი იყო. აქ ცხოვრობ ეპის-

⁸¹ Usker. ⁸² Surham.

კოპოსი, არის ერთი დიდი ეკლესია აშენებული იმ დროს, როდესაც ქართველები თავისუფალნი იყვნენ²⁷⁴).

როდესაც მთიდან გორში ჩამოვდიოდი, ღამემ მოგვისწრო, ვიდრე გორამდემოვალწევდით. მე პირდაპირ წავედი იტალიელი კაპუცინების ბინაში, რომლებიც პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის²⁷⁵) მისიონერები იყვნენ. მათთან სარეკომენდაციო წერილები მქონდა. სამი წლის წინათ იმათ ქუთაისში თავშესაფარი დააარსეს. აქედან ისინი სამეგრელოში გადასვლას და იქ დამკვიდრებას ფიქრობდნენ, მაგრამ ამ ქვეყანაში დაუცხრომელი ომებისა და განუწყვეტილი ავაზაკობის გამო, რომლის აღმოფხვრაზეც მეფე სრულებით არ ზრუნავდა ან, უკეთ რომ ვთქვათ, რომლის აღმოფხვრაც მან ვერ მოახერხა, კაპუცინები იძულებულნი გახადა საქართველოში გადმოსულიყვნენ. ამგვარად, მათთან შეხვედრა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რამდენადაც მათ შეემლოთ საჭირო რჩევის მოცემა და დახმარების გაწევა. პირველ ყოვლისა, გავაცანი ჩემი თავი. ვუთხარი, რომ სპარსეთის ხელმწიფემ თავისი საქმეების მოსაგვარებლად გამაგზავნა საფრანგეთში, რომ მაქვს მისი ბრძანებები და აგრეთვე, განკარგულება მისი სახელმწიფოს ყველა მმართველისადმი, რომლითაც მისი უდიდებულესობა უბრძანებს მომეკყრან პატივისცემით და ყველაფერში დახმარება გამიწიონ. შემდეგ ვუამბე, რომ ამოვიჩიე რა შავი ზღვით მგზავრობა და შემდეგ სამეგრელოს გავლით სპარსეთში დაბრუნება, იქ მომისწრო ომმა და ათასი უბედურება დამატყდა თავს. რადგან საშუალება არ მქონდა ხელმწიფისათვის წამოღებული ნივთები უშიშრად წამომეღო, ისინი სამეგრელოში დავტოვე ამხანაგის მეთვალყურეობის ქვეშ; თვითონ საქართველოში წამოვედი დახმარების სათხოვრად. დასასრულს წრფელი გულით ვთხოვე მოეცათ ჩემთვის საუკეთესო რჩევა და კეთილმოწყალების და მოყვასისადმი სიყვარულის გრძნობიდან გამომდინარე, მიეღოთ მონაწილეობა ჩემს საქმეებში. ამ კეთილმა პატრებმა, გულაჩვილებულებმა ჩემი უბედურებებით და იმ განსაცდელით, რომელიც მოელოდა როგორც ჩემს ამხანაგს ისე იქ დატოვებულ ქონებას, დამამშვიდეს და მითხრეს, რომ გააკეთებენ ყველაფერს, რისი შესაძლებლობაც აქვთ, როგორც კი მიიღებენ მათი პრეფექტის განკარგულებას, ურომლისოდაც ისინი ვერ იმოქმედებენ. ამჟამად პრეფექტი თბილისში, საქართველოს დედაქალაქში და მეფის ადგილსამყოფელში არისო. თბილისამდე ორი დღის სავალია, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა პირადად

წასულიყავით იქ და გენახათ პრეფექტით. მათ იმდენი დამაჯერებელი საბუთი მოიყვანეს, რომ მაშინვე გადავწყვიტე წასვლა და ცხენები სასწრაფოდ დაიჭირეს. უფროსმა უბრძანა ერთ მორჩილ ძმას, ანჟ დე ვიტერბს, მომზადებულიყო და გამეყოლოდა.

ეს მორჩილი ძმა მეტად კეთილი და პატიოსანი, დახელოვნებული მკურნალი და დასტაქარი იყო. საბედნიეროდ, იმის წყალობით, რომ საქართველოსა და იმერეთში სხვადასხვა განუკურნებელი ავადმყოფობა და ჭრილობა მოარჩინა, დიდი პატივისცემა და დამსახურება ჰქონდა მოპოვებული. კარგად იცოდა აქაური ენა და მთელი მხარე თავიდან ბოლომდე დავლილი ჰქონდა. იყო გამბედავი, ამტანი, ლმობიერი და კეთილგონიერი. არ შეიძლება უკეთესი თანამგზავრი მყოლოდა. დიდი თავაზიანობით დათანხმდა ჩემს გაყოლას, მეც გამოვუტყედი, რომ მისი თანამგზავრობა დიდი დახმარება და ნუგეში იქნებოდა ჩემთვის სამეგრელოში დაბრუნებისას. მან მირჩია პრეფექტისაგან ნებართვა ამელო და იგი სიამოვნებით გამომყვებოდა²⁷⁶).

16 დეკემბერს გორიდან გავემგზავრე ამ კეთილი ძმის თანხლებით. გავიარეთ შვიდი ლიე, უმთავრესად მდინარე მტკვრის გასწვრივ. გზა მეტად თვალწარმტაცი იყო იმ ნაყოფიერ დაბლობთა წყალობით, რომლებზედაც მრავალი სოფელი მდებარეობს. აქვეა თითქმის მთლიანად ნანგრევებად ქცეული ქალაქი კალი-კალა⁸³. გზა ზედ ამ ქალაქზე გადის და იგი გორიდან ოთხ ლიეზეა დაშორებული²⁷⁴).

17-ში გავიარე ექვს ლიეზე ცოტა მეტი. გზა იყო სწორი და ალაგ-ალაგ ქვიანი. შუა გზაზე ახლოს ჩავუარეთ მტკვრის ნაპირზე მდგარ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიას. ერთი ნაწილი ეკლესიისა დანგრეულია, მეორე ნაწილი კი შორიდან მთელი და მეტად ლამაზი ჩანს. ამბობენ, რომ აქ ეკლის გვირგვინის ნაწილი, კვართისა და წინასწარმეტყველ ელიას კაბის ნაჭრები ინახებო. პირადად მე არ მინახავს ეს რელიქვიები მაგრამ კაპუცინები მარწმუნებდნენ, რომ საკუთარი თვალთ ვნახეთო²⁷⁸).

თბილისში საღამო ხანს ჩავედი. უფრო ადრე ჩასვლა ვერ მოვახერხე, რადგანაც მთელი დღის განმავლობაში ბარდნიდა და თოვლმა შემიშალა ხელი. ჩემმა თანმხლებმა მორჩილმა კაპუცინებმა ბინაში მიმიყვანა. პრეფექტს ჩემი მოსვლის მიზეზი მაშინვე ვუ-

⁸³ Cali-cala.

ამბე, რადგანაც არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ჩემი ვინაობა სარეკომენდაციო წერილების საშუალებით შეიტყვეს. აუცილებელი იყო როგორმე ჩამეგონებინა მათთვის, თუ რარიგ

საფრთხეში იყო ყოველივე ის, რაც სამეგრელოში მქონდა დატო-
ვებული და რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ამ ნივთების და-
ხსნა, რისთვისაც ყოველი ღონედ უნდა მეხმარა. პრეფექტს მოვახ-
სენე, რომ ამისათვის, ჩემი აზრით, ორგვარი საშუალება არსებობს
და ორთავეს თავისი კარგი და ცუდი მხარეები აქვს-მეთქი. პირვე-
ლი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს მთავრის წინაშე წა-
რმდგარიყავი, გადამეცა მისი მბრძანებელი ხელმწიფის განკარ-
გულებები და შემწეობა მეთხოვა მისთვის, რათა წამომელო სამეგ-
რელოში დატოვებული, მისი აღმატებულებისათვის განკუთვნი-
ლი ნივთები. მეორე გეგმის თანახმად, ჩენი ვინაობისა და ჩამოსვ-
ლის მიზნის გაუმჟღავნებლად, საიდუმლოდ უნდა დავბრუნებუ-
ლიყავი სამეგრელოში. პრეფექტს არ ვაგრძნობინე, რომ ეს მეორე
გზა უფრო მერჩივნა, რადგანაც ვშიშობდი, ვაი თუ, მისი აზრი წი-
ნასწარ გამოვთქვა-მეთქი. მან მთხოვა: ვიდრე ჩემს აზრს მოვახსე-
ნებ, ცოტახანს მადროვეო, თანაც მირჩია ყოველივე, რაც მას ვუ-
ამბე, მისიონის ბერებისათვის მეცნობებინა, რადგანაც ბევრი მათ-
განი სამეგრელოსა და იმერეთში ყოფილან და ჩემი საქმის თაობა-
ზე სასარგებლო რჩევის მოცემა შეეძლოთ. მან პირობა მომცა,
რომ წმინდად შენახვიანებდა მათ ჩემს საიდუმლოებას. შევასრუ-
ლე პრეფექტის თხოვნა, ბერებსაც ვუამბე ყოველივე, რაც პრე-
ფექტს მოვახსენე და შევევედრე ერჩიათ რაიმე და შეძლებისდა-
გვარად დამხმარებოდნენ იმ გასაჭირში, რომელშიაც ვიმყოფებო-
დი.

18-ში, ნაშუადღევს, პრეფექტმა თავის ოთახში შემიყვანა ბე-
რებთან ერთად. შემატყობინა თავისი მოსაზრება ჩემი საქმის თა-
ობაზე. ბერებმაც თავიანთი აზრი გამოთქვეს. თითქმის ყველანი
იმ შეხედულებისა იყვნენ, რომ საჭირო იყო მეცადა საიდუმლო გზა,
მემოქმედა ჩემი ვინაობის გაუმჟღავნებლად. ერთი სიტყვით, სა-
მეგრელოში ფარულად ჩავსულიყავი, ისიც მითხრეს, თუ საქართ-
ვლელს მთავარს ჩემს ამბავს შეატყობინებდნენ, იგი საჭირო დახ-
მარებას უეჭველად გამიწევდა – გაგზავნიდა კაცებს და, ალბათ,
წამოიღებდა ყველაფერს, რაც კი სამეგრელოში დავტოვე, რადგა-
ნაც მისი დიდი შიში და რიდი აქვთ სამეგრელოშიც და იმერეთ-
შიც, მაგრამ ეს დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა და ვაი თუ

276

სულ დაიღუპოო; დაბრუნებისას შეუძლიათ რაიმე ხიფათი შეგამთ-
ხვიონ, მოგკლან და სულ ერთიანად წაიღონ ყველაფერი, რაც კი
გაბადიაო. ის ადგილები კი, სადაც მე უნდა გამევილო, ხომ თავზე-
ხელაღებული ყაჩაღებითა და მკვლელებით არის სავსე... ამის გა-
მო ყველაფრისა უნდა ეშინოდესო კაცს. ამას წინათ საქართველო-
ზე გავლისას, გაუძარცვავთ ერთი პატრიარქი და ამაში მთავარს

დებდნენ ბრალს, ვითომ მან საიდუმლოდ გასცაო ბრძანება მისი გამარცვისა, რათა ხელში ჩაეგდო ის სიმდიდრე, რომელიც პატრიარქს თან ჰქონდა. ამასთანავე გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავარი უყოყმანოდ როდი ასრულებდა სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებებს. დაბოლოს, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი კიდეც, რომ მთავარი, კეთილი და ალალის გულით დაგვეხმარებოდა, მხედველობაში უნდა მიგველო ისიც, რომ ამის საფასურად იგი ძვირფასი საჩუქრების მიღებას მოიწადინებდა, ხოლო მისი და მისი ოჯახის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, რადგანაც ისინი, მიუხედავად მათი წოდებისა, მეტად უძღებნი იყვნენ.

დიდად მესიამოვნა, რომ კაპუცინებიც ჩემი აზრისა იყვნენ და თითქმის ყველაფერი ისევე განსაჯეს, როგორც მე. გადავწყვიტეთ ფარულად წავსულიყავი ძმა ანჟის თანხლებით. ისინი კი გაავრცელებდნენ ხმას, ვითომ მე თეათინელი ვარ, რომ ომის შედეგად დიდ გასაჭირში ჩავარდნილმა კოლხიდის თეათინელებმა შემწეობის სათხოვნელად გამომგზავნეს კაპუცინებთან და რომ კაპუცინები ერთერთ თავიანთ თანამომძეთაგანს გზავნიან მათ წამოსაყვანად. როგორც კი შევჩერდით ამ გადაწყვეტილებაზე, გასამგზავრებლად სამზადისს შევუდექი, უნაგირსა და ბალიშში დამალული ძვირფასეულობა ამოვიღე, ჩემ მიერ ჩამოტანილ სხვა ნივთებთან ერთად ყუთში ჩავკეტე და პრეფექტს მივაბარე შესანახად. გვეგონა ცხენებს ვერ ვიშოვიდით ქირით, რადგანაც სამეგრელოში არავის უნდოდა წამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ფულის წყალობით, ორი გამოყოლი ვიშოვეთ, რომელთაც აღვუთქვით, რომ ავუნაზღაურებდით ცხენებისა და ბარგი-ბარხანის საფასურს, თუ რაიმე ხიფათი შეგვემთხვეოდა.

20-ში გავემგზავრე ძმა ანჟისა და ერთი ქართველის, კაპუცინების ნაცნობის, თანხლებით. იგი წარმოშობით ქუთაისელი იყო, მრავალჯერ ყოფილა კოლხიდაში და მის მიდამოებში. პრეფექტმა იგი გამაყოლა, როგორც სანდო პიროვნება, ხუთნი ვიყა-

ვით და მხოლოდ ოთხი ცხენი გვყავდა. ძმა ანჟი, და მე ორ ცხენზე ვისხედით, ორ დანარჩენს კი სურსათი მოჰქონდა. გზად ყველგან ვამბობდით, რომ სამეგრელოს თეათინელებთან მივდივართ. ჩემი მსახური ჯერ კიდეც თბილისიდან გამგზავრებამდე დავითხოვე. ამ გაიძვერამ ათას ხიფათს გადამკიდა და არაერთხელ ცდილა ჩემს დალუპვას. მე ვთქვი, თუ რა გამიკეთა მან გონიოში. კაპუცინებმა მირჩიეს ჩემს დაბრუნებამდე ჩამეგდო საპყრობილეში და სამართალში მიმეცა, მაგრამ ღვთისაგან მიღებულმა წყალობამ გადამაწყვეტინა ყველაფერი მეპატიებინა მისთვის. ვიფიქრე ზეცის რის-

ხვას გამოვიწვევ, თუ იმ დროს, როცა იგი წყალობას არ მაკლებს, მე ამ უკუღმართის დასასჯელად შევჩერდები-მეთქი. მთლიანად გადავუხადე სამსახურის ქირა და დავითხოვე. თანაც გადავუშალე მთელი მისი მოღალატური საქმეები, რაც კი ვიცოდი და მოვუწოდე გამოსწორებულყო. მის მიმართ გამოჩენილ ჩემ სიკეთეს სრულებითაც არ უმოქმედია მასზე. იგი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა იმის გამო, რომ დავითხოვე და ისე გამძვინვარდა, შემეშინდა, ვაითუ კიდევ ჩაიდინოს-მეთქი რაიმე ახალი ბოროტება. ბორკილების დადებაც კი ვიფიქრე. საკმარისი იყო ჩემი ერთი სიტყვა და კაპუცინები თვალის დახამხამებაში გააკეთებდნენ ყველაფერს, რადგანაც საკმაო გავლენა ჰქონდათ თბილისში. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი მე არ ჩამიდენია. ალბათ, განგებამ შემიშალა ხელი, რადგანაც იგი ყველაფერში არსებობს. მე ერთთავად უფლის ჩემდამი მოვლენილი წყალობის შთაბეჭდილებათა ქვეშ ვიმყოფებოდი, უფრო მეტს მოველოდი, მეტს ვითხოვდი მისგან და ამიტომაც არ შემეძლო ცუდი რამ ჩამედინა. უფალსაც ეამა ჩემი ასეთი საქციელი. ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ მაგრძნობინა მან ეს, როცა ამ მოღალატემ მეტად სახიფათო მახე დამიგო.

21-ში გორში დავბრუნდი.

22-ში კვლავ გავუდექით გზას და ღამით გორიდან ექვს ლიეზე მდებარე იმ პატარა სოფელში ჩავედით, რომელიც ახალციხის გზაზეა და რომლის გავლაც გორში ჩასვლისას მომიხდა.

23-ში ალიონზე აქედან გავედით. მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ახალციხისაკენ მიმავალი გზა. შუადღისას ჩავედით ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ალი⁸⁴ ეწოდება. იგი მთებშია გაშენებული, გო-

⁸⁴ Aly.

278

რიდან ცხრა ლიეს დაშორებით²⁷⁹). ამ ქალაქიდან ორი ლიე ვიწრო ხეობით ვიარეთ, რომელიც ხის კარიბჭით ბოლოვდება. ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფოს საზღვარი. კიდევ ერთი ლიე გავიარეთ და პატარა სოფელში შევჩერდით.

24-ში თოვლით დაფარულ მთებში, შვიდი ლიე გავიარეთ. ძლიერ თოვდა. კავკასიონის ქედის ეს მთები დიდტანიანი ხეების ტყით იყო დაფარული. გვეგონა გზა აგვებნეოდა, რადგანაც თოვლს სულ დაეფარა ყოველგვარი ნაკვალევი, რაც ხელს გვიშლიდა გზის გაკვლევაში, შევჩერდით სოფელ კოლბეურში⁸⁵. ამ სოფელში ორასამდე სახლია. სახლები ერთ მწკრივად არის განლაგებული და ისე დაშორებულია ერთმანერთისაგან, რომ ერთი სახლიდან მეორემდე ერთ ლიეზე მეტი იქნება²⁸⁰).

25-ში სამ ლიეზე მეტი ვერ გავიარეთ. უამინდობამ, თოვლ-მა, სიცივემ, ბურუსმა ხელი შეგვიშალა უფრო წინ წავსულიყავით ამ მაღალ მთებში. შევჩერდით პატარა, ოცდაათკომლიან სოფელში.

26-ში ნისლი გაიფანტა, თოვლი შეწყდა და სიცივეც მწვავე აღარ იყო. გავიარეთ ექვსი ლიე, მივდიოდით სულ ტყით შემოსილ მთებში. გზა საკმაოდ სწორი იყო. აღმართ-დაღმართი არ იყო მძიმე სავალი. შევჩერდით დიდი მდინარის პირას მდებარე ერთ პატარა სოფელში.

27-ში ეს მდინარე ნავით გადავცურეთ და სამი ლიე გავიარეთ ისეთ ადგილებში, რომლებიც წინა დღეებში ჩვენ მიერ განვლილ მხარეს წააგავდა. შემდეგ მთიდან მშვენიერ თვალუწვდენელ ველზე დავეშვით და სოფელ საზანოში⁸⁶ დავბინავდით²⁸¹). ამ ველის სიგანე თითქმის ყველგან ერთ ლიეს შეადგენს. იგი მეტად ნაყოფიერი და ღმაზ'ია, უხვად ირწყვება მდინარეებით, გადაჭიმულია სამეგრელომდე. ეს არის იმერეთის ულამაზესი კუთხე. მთები, რომლებიც ამ ველს ერტყმის, ტყითა და სოფლებითაა დაფენილი, რადგანაც ამ მთების მიწების უმეტესი ნაწილი დასამუშავებლად ვარგისია. აქ მრავლად არის გაშენებული ვენახი. გაზაფხულის მსგავსი თბილი ჰავა დაგვხვდა და თოვლიც ნაკლები იყო.

საზანო ახლოსაა იმერეთის მეფის მოხუცი მამიდის⁸⁷ სასახლესთან, რომელიც ავად იყო, როცა ჩვენ იქ გავიარეთ. მან შეიტყო თუ არა სოფელში კაპუცინი ჩამოვიდაო, მაშინვე თავისთან

⁸⁵ Colbaure. ⁸⁶ Sesano. ⁸⁷ Tante.

იხმო იგი სამკურნალოდ. ყველა მისიონერს ამ მხარეში მკურნალოდ თვლიან, რადგანაც ისინი სამედიცინო დახმარებას უწევენ ხალხს. ძმა წავიდა ამ მანდილოსანთან იმ იმედით, რომ ჩვენთვის რაიმე დახმარებას გამორჩენოდა. ორმა საათმა გაიარა მისი წასვლის შემდეგ, როდესაც ერთი გორული კაპუცინი გამოცხადდა ცხენით ჩვენთან მეგზურის თანხლებით, რამაც მე ძლიერ გამაოცა. იგი მოვიდა იმის შესატყობინებლად, რომ მსახური, რომელიც მე გავაძევე, თურმე თბილისიდან გორში ჩასულა, ჩემი საქმის შესახებ თუკი რაიმე იცოდა, ყველაფერი უთქვამს. თანაც დამმუქრებია – დავლუპავო, შემდეგ კი უკვალოდ გამქრალა. ამ ამბავს დიდად არც გავუკვირვებოვარ, რადგანაც მსგავს რასმეს მოველოდი. კაპუცინს ჩემთან დარჩენა ვთხოვე. ათასი მადლობა შევწირე და რაც შემეძლო ქება შევასხი მისონს ჩემდამი გაწეული დიდი სამსახურისა და უსაზღვრო ერთგულებისათვის. მართლაც და ჩემს მიმართ დიდ ყურადღებას ისინი ამაზე ძლიერი საბუთით ვერ გა-

მოხატავდნენ.

28-ში ხუთი ლიე გავიარეთ ზემოხსენებულ ველზე. იგი მთლიანად სოფლებითა და ტყეებითაა დაფენილი. ნიადაგი ისეთი რბილია, რომ ცხენები იფლობოდნენ და ძლივძლივობით მიიწევდნენ წინ. ორი ლიეს გავლის შემდეგ, მარჯვნივ დაგვრჩა სკანდის⁸⁸ ციხე. ადგილობრივი მოსახლეობა მას სკანდას⁸⁹ უწოდებს²⁸²) და ამბობენ, იგი ალექსანდრე დიდმა²⁸³) ააშენაო. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ხალხები ამ დამპყრობელს „სკანდერს“⁹⁰ უწოდებს. ისინი ირწმუნებიან, რომ მას თითქოს თექვსმეტი ციხე-სიმაგრე აუშენებია და ყველასათვის თავისი სახელი დაურქმევიაო. შესაძლოა ეს ციხე-სიმაგრე სწორედ ერთ-ერთი იმ თექვსმეტთაგანია, რომლის შესახებაც კვინტ-კურციუსი VII წიგნში ლაპარაკობს. ამის შესაძლებლობა მისმა მდებარეობამ მაფიქრებინა. იგი მთის ძირშია აგებული და არაფრით არ იქცევს ყურადღებას. აქვს მხოლოდ ორი ოთხწახნაგა კოშკი უგალავნოდ, გარშემო რამდენიმე საცხოვრებელი სათავსო და სრულებითაც არ ტოვებს ასეთი დიდი სიძველის შთაბეჭდილებას. პროკოპი, რომელიც იხსენიებს ამ ციხე-სიმაგრეს, მას ლიანდს⁹¹ უწოდებს²⁸⁴). იგი ცნობილია რომაელებსა და სპარსელებს შორის განუწყვეტელი ომების ისტორიაში როგორც ციხე, რომელიც ასჯერ მაინც გადასულა ხელიდან ხელში, არაერთ-

⁸⁸ Scander. ⁸⁹ Scanda. ⁹⁰ Scander. ⁹¹ Liands.

280

ხელ დანგრეულა და კვლავ აშენებულა რომის დაარსების VII საუკუნიდან მაჰმადიანობის წარმოშობამდე.

სკანდიდან ერთი ლიეს დაშორებით გავიარეთ ჩხარი⁹². ეს არის სოფელი, რომელშიაც ოცდაათი კომლია. იგი იმერეთში ქალაქად ითვლება, თუმცა არც გალავანი აქვს და არც არაფრით განსხვავდება სხვა სოფლებისაგან²⁸⁵). ამ სოფლიდან ერთი ლიეს დაშორებით შევჩერდით.

29-სა და 30-ში აქ დავრჩით, რადგანაც ჩვენმა გამყოლებმა აღარ მოისურვეს გზის გაგრძელება. მათ მხნეობას უკარგავდა ცნობები ომის შესახებ, რომელზედაც ყოველი გამვლელ-გამომვლელი ლაპარაკობდა, ამბობდნენ, დასახოცად ან დასატყვევებლად მოგყვართო და ამით დიდად გვაბრკოლებდნენ. დიდის მოთმინებით ვეპყრობოდი მათ და ორთავე კაპუცინსაც მოვუწოდებდი ასევე, მოქცეულიყვნენ. ჩემს თანამგზავრებს ვარწმუნებდი, რომ თბილისიდან გამომგზავრებისას მშვენივრად ვიცოდი, თუ რა დიდი გამბედაობა და უკიდურესი მოთმინება იყო საჭირო ჩემი მიზნის მისაღწევად და იმ დიდი დაბრკოლებების გადასალახავად, რომელიც აუცილებლად უნდა წინ დაგვხვედროდა; რომ საჭირო იყო გამყოლებს

ფრთხილად მოვქცეოდით და დაპირებებითა და კარგი მოპყრობით დაგვეყოლებინა ისინი გზის გაგრძელებაზე; ხოლო რაკის ერთხელ მოვახერხებდით მათ სამეგრელოში ჩაყვანას და უკან დასახვევი გზა აღარ ექნებოდათ, იძულებული იქნებოდნენ საკუთარი თავის გადასარჩენად ჩვენი სურვილისამებრ ემოქმედათ. ვუხმეთ გამყოლებს და იმ ქართველს, რომელიც პატრმა პრეფექტმა გამოგვაცოლა. ჩავაგონეთ მათ, რომ საშიში არაფერია, და რომ ჩვენთვის ყველაფერი კარგად არის ცნობილი; ჩვენც ხომ მათსავით გვინდოდა სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნება; რომ მათს ცხენებსა და მათზე პასუხს ჩვენ ვაგებთ. ერთმა, რომელიც სხვა დანარჩენი სამის მაგივრად ლაპარაკობდა, წერილობითი საბუთი მომთხოვა იმის შესახებ, რომ მე ვალდებულებას ვიღებ ამ მოგზაურობის დროს მათი ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში გამოვიხსნა ისინი, ხოლო თუ დაიხოცებიან, მათ ცოლებს ოთხმოცი ეკიუ გადავუხადო. მე სიამოვნებით დავაკმაყოფილე მათი მოთხოვნა და დიდი დაპირებებიც აღვუთქვი. ყოველივე ამან ისინი გზის გასაგრძელებლად განაწყო.

31-ში გავუდექით გზას. ძლიერ ცუდი დარი იდგა და გზაც

⁹² Chicaris.

მძიმე იყო გავედით სამ საკმაოდ განიერ და სწრაფ მდინარეში და საღამო ხანს ქუთაისში⁹³ ჩავედით. დავბინავდით ეპისკოპოს გენათელის⁹⁴ სახლში. თუმცა თვით ეპისკოპოსი შინ არ დაგვხვდა, მაგრამ მაინც კარგად მიგვიღეს. მსახურები იცნობდნენ მმა ანჟს და იცოდნენ, რომ სახლის პატრონი მას განსაკუთრებულ პატივს სცემდა.

ქუთაისი მდინარე ფაზისის ნაპირზე, მთის ძირას გაშენებული ქალაქია. მეექვსე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსები მას „ქოთეზს“⁹⁵ უწოდებენ და მნიშვნელოვან ქალაქად თვლიან. ამჟამად იქ მხოლოდ ორასი სახლია. ირგვლივ დიდებულთა სახლები და მეფის სასახლეა, რომლებიც ახლოს დგანან ერთმანეთთან. ამ ქალაქს არც ციხე-სიმაგრე აქვს და არც გალავანი. იგი ყოველი მხრიდან ღიაა, გარდა იმ მხრისა, რომელთაც მდინარე და მთა აკრავს. ქალაქის პირდაპირ, მდინარის გაღმა, უფრო მაღალ მთაზე, ვიდრე თვით ეს ქალაქია გაშენებული, დგას ქუთაისის ციხე-სიმაგრე, რომლის შესახებაც მე იმერეთში უკანასკნელ ხანს მომხდარი არეულობის აღწერისას ვილაპარაკე. ამ ციხეში მე არ შევსულვარ. მოპირდაპირე მხრიდან იგი მთლიანად ჩანს; მას აქვს კოშკები, ერთი დონჟონი და ორმაგი კედელი, რომელიც მაღალია და მტკიცე უნდა იყოს.

ქუთაისში მისვლისთანავე ახალი ამბები გავიკითხე. ყველა გვარწმუნებდა და მართლაც ასე იყო, რომ სამეგრელოს ახალ მთავარსა და გურიის მთავარს უკან დაუხევიათ, რადგანაც დაუნახავთ,

რომ თურქებს აღარ სურდათ ომის გაგრძელება. მათთან ფიცით შეკრულ აზნაურთა უმეტესობას მიუტოვებია ისინი. დადიანის ვეზირი თურმე მთებიდან ჯარის ჩამოსაყვანად ემზადებოდა. ამ ვეზირს, როგორც კი გაუგია თურქებისა და ამ ორი მთავრის უკან დახვევის ამბავი, დადიანისათვის რვაასი კაცი გამოუგზავნია და მიუწერია გამოსულიყო თავისი ცხე-სიმაგრეიდან და შეეგროვებინა იმდენი ხალხი, რამდენსაც კი მოახერხებდ. მას შენდობა გამოუცხადებია ყველა იმათთვის, ვინც მას კვლავ შეუერთდებოდა, ბოლოს ქუთაისში მოსულა, სადაც მას იმერეთის მეფე შეერთებია თავისი ქვეყნის დიდებულებით და ყველანი, ერთად მთავარ გურიელის ქვეყნის დასალაშქრად დაძრულან. ეს ლაშქრობა ყვეელასათვის დიდად სასურველი იყო, რადგანაც სწორედ გურიის მთავარი იყო მიზეზი თურქების შემოსევისა და იმ რბევისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ომის დროს. ჯარებს სულ რაღაც სამი დღის წინათ

⁹³ Cotatis. ⁹⁴ Janatelle. ⁹⁵ Coteze.

გადაელახათ ფაზისი, ისე რომ ჩემი საქმისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი, რადგანაც აღარ იყო იმის საშიშროება, რომ ჯარებს გადავყროდით.

1673 წლის 1 იანვარი ქუთაისში გავატარე, რათა რელიგიური წესებისათვის პატივი მეცა. მე და ჩემი ორი მოწყალე კაპუცინი სადილად ვისხედით. სუფრასთან ჩვენთან ერთად იყვნენ ჩემი გამყოლებიცა და მეგზურიც, თანახმად აქაური ჩვეულებისა, რომლის მიხედვითაც ბატონები და მსახურნი ერთად ჭამენ. უეცრად ოთახში შემოვარდა ჩემი მუხთალი მსახური, ის, რომელზედაც მე ვილაპარაკე. მას თან ახლდნენ ერთი ახალციხელი სომეხი და ერთიც ქუთაისელი მღვდელი, რომელიც ჩემი ბინის საჩვენებლად გამოჰყვოლოდა. მისი მოსვლა დიდად არ გამკვირვებია, რადგანაც მისი გამოჩენის შიში ერთი წუთითაც არ მშორდებოდა. არ შევიძინე ის შიში, რომელმაც სულ ერთიანად ამიტანა. მას თავზე თეთრი ჩალმა ეხურა; ვიფიქრე, ხომ არ გამუსულმანდა-მითქი. ეს გაიძვერა, გაშმაგებული და გააფთრებული შემოვარდა და არც კი დალოდებია სკამის შეთავაზებას ისე მოკალათდა ჩემი ხალხის გვერდითი ამ უტიფრობამ სასტიკად აღმაშფოთა. ვკითხე, საიდან მოდიხარ-მეთქი ასე გახელებული. მიპასუხა – ახალციხიდან მოვდივარო, ორ დღეში გავიარე ეს გზაო. – განა გზები ასე ადვილად სავალი იყო, განა მთები თოვლით არ არის დაფარული რომ ორ დღეში შესძელ ამ მანძილის გავლა? – ვკითხე მე. მან მიპასუხა: გზა საშინელი იყო, მთებიც ისევე დათოვლილი როგორც ას მთები, რომლებზედაც გადავიარეთ, გონიოდან როცა მოვდიოდითო. თქვენ

თვითონ ნახავთ, რადგან ახალციხეში უნდა წამოხვიდეო, ფაშასგან მაქვს ნაბრძანები იქ წაგიყვანოთო. – რადგან ახალციხეში არაფერი საქმე არა მაქვს და არც სურვილი მაქვს იქ წასვლისა, ამას მხოლოდ მაშინ შეძლებ მაიძულო, თუ მეტი ძალა აღმოგაჩნდება, ვიდრე მე მაქვს იმისათვის, რათა შენს ზრახვებს წინ აღვუდგე ყმაწვილო, – განვაგრძე მე, – ცუდ დარიგებებს აჰყოლიხარ. თავს ნუ იწუხებ ჩემთვის ზიანის მოყენებით, მერწმუნე, ღმერთი არ დაუშვებს შენი ბოროტი ზრახვები განახორციელოს ჩემს მიმართ. თბილისში სრულად გადავიხადე, რაც გეკუთვნოდა. თუ უკმაყოფილო იყავი, იქვე უნდა გეთქვა რაც გასურდა-მეთქი.

ასე იმიტომ ველაპარაკე, რომ ვცდილობდი ეს მოღალატე როგორმე თავიდან მომეცილებინა. მან მიპასუხა – თბილისი უსამართლობის ქვეყანაა, ხოლო ახალციხეში სამართალს ვიპოვიო. მე

283

ვუთხარი – ასეთი უმნიშვნელო დავის მოსაგვარებლად რა საჭიროა ასე შორს წასვლა, როცა შეიძლება ქუთაისშიც მოიძებნოს ხალხი, რომლებიც შესძლებენ ამ საკითხის განსჯას-მეთქი. რამდენადაც შემემლო ტკბილად ვლაპარაკობდი, მაგრამ ამ, გაიძვერაზე არაფერმა არ იმოქმედა. იგი გაბრაზებული მიუბრუნდა თავის ამხანაგს და უბრძანა თურქები შემოიყვანეო. ეს უკანასკნელი სწრაფად გავიდა, მაგრამ ეს ხრიკი თურმე ჩემს შესაშინებლად იყო მოგონილი, რადგანაც, როგორც შემდეგ შევიტყვე, არავითარი თურქები არ ელოდებოდნენ დამახეხას. მე კი მართლაც თავზარი დამეცა, ვიფიქრე დავიღუპე-მეთქი. ქუთაისელ მღვდელს ვერაფერი გაეგო რა ხდებოდა, რადგან თურქულად ვლაპარაკობდით, მას კი თურქულისა არა ესმოდა რა. მან ძმა ანჟს ჰკითხა – რაშია საქმეო. ძმამ მიახლოებით იცოდა საქმის ვითარება და უამბო. შემდეგ ვთხოვე ძმას მღვდლისათვის ეთქვა, რომ მე, ამ გაიძვერას შევთავაზე რჩეული ხალხისათვის მიგვენდო ჩემს მიმართ მისი სარჩელის განსჯა და მისი ბოროტი განზრახვის შესახებ – ძალათ წავეყვანე ახალციხეში.

მღვდელმა და ხმაურზე მოსულმა რამდენიმე ქართველში ჩემი წინადადება სამართლიანად ჩათვალეს და დაუწყეს ამ უბედურს დარწმუნება დათამხმებულებიყო; მაგრამ რამდენადაც მეტად არწმუნებდნენ, იმდენად უფრო დიდგულდებოდა და იმუქრებოდა. ამან საბოლოოდ გამომიყვანა მოთმინებიდან და შევძახე: მოღალატე, შენ მხოლოდ ბოროტი ზრახვები გამოქმედებს, მაგრამ გარწმუნებ, ღვთის მადლით, ვერ წამიყვან ახალციხეში. ვთქვი თუ არა ეს, ხმალი ვიშიშვლე და ვეცი მოღალატეს. ხელი მტაცეს, ხოლო დაბნეული და შიშისაგან ათრთოლებული მოღალატე, რომლისთვისაც იყო განკუთვნილი ეს მოღერებული ხმალი, გაიქცა. ყოველი-

ვე ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ხიფათი არ ამცდებოდა და გადავწყვიტე იქაურობას გავცლოდი. გენათელის მსხურმა შემაჩერა, – დამარწმუნა, რომ მისი პატრონის სახლში საშიშროება არ მომელოდა და რომ თურქები ჩემს შესაპყრობად აქ მოსვლას ვერ გაბედავდნენ. ჩემს ორ კაპუცინთან მოვითათბირე, თუ რა გზას დავდგომოდით. გადავწყვიტე ძმა ანჟი მეორე დღესვე წასულიყო სამეგრელოში, ხოლო პატრი იუსტინ ლივორნელი⁹⁶ (ეს ის კაპუცინია, რომელიც, როგორც ზევით ვთქვი, ჩვენთან მოვიდა) და მე

⁹⁴ P. JsStin de Livourne.

284

აქ დავრჩენილიყავით. ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ცხენები ვერ ვიშოვეთ ვერც სასყიდლად და ვერც ქირით. ისიც ვიცოდით, რომ ვერც სამეგრელოში ვიშოვიდით ცხენებს. სწორედ ამან მაიძულა დავრჩენილიყავი და ცარიელი ცხენები გამეგზავნა, რათა ჩემს ამხანაგს გამოეყენებინა ისინი.

2-ში ძმა ანჟი გაემგზავრა ყველა იმ ცხენებითა და ხალხით, რომლებიც თბილისიდან წამოვიყვანეთ. მე კი პატრი იუსტინთან ერთად ჩხარში დავბრუნდი, რომელიც ქუთაისს რვა ლიეთი შორავს. აქ უნდა დავლოდებოდი ძმა ანჟს. ეს ადგილი იმიტომ ვირჩიე, რომ იგი გენათელის საზაფხულო სასახლის პირდაპირ მდებარეობს, სადაც თვით გენათელი იმყოფებოდა დედოფალთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო თავშესაფარი გვეპოვნა მათთან.

5-ში ეპისკოპოსმა და დედოფალმა კაცი გამოგვიგზავნა და თავისთან მიგვიწვიეს. ჩვენთც ვეახელით და იმ დღეს მათთან ერთად ვისადილეთ. შემდეგშიაც ხშირად დავდიოდით და ვსადილობდით მათთან. ეს დიდ პატივისცემად არ ითვლება, რადგანაც ისინი თავიანთი უმდაბლესი ყმებისა და მსახურთა მიმართაც ასევე იქცევიან. როგორც უკვე ვთქვი, დედოფალი ძალიან ლამაზია, მაგრამ მისი საქციელი ყველაფერს აბათილებს. იგი უტიფრობამდე თავდაუჭერელია; იქცევა და ლაპარაკობს უსირცხვილიოდ, ყოველ შემთხვევაში, თავშეუკავებლად, ყოველ სიტყვაში, რაც არ უნდა თქვას, უწმაწურობა გამოსჭვივის... ეპისკოპოსმა გენათელმა ლამის თვალებით შეჭამოს იგი. მრუშული სიყვარული არასოდეს არ ყოფილა ასე გამჟღავნებული და ასეთი თავშეუკავებელი. საკმარისია ერთხელ შეხედოთ ამ მიჯნურებს, რომ, მიხვიდეთ, თუ რა ურთიერთობაშიც არიან ისინი ერთმანეთთან. სუფრის წესები იმერეთის დედოფალთან ისეთივეა, როგორც სამეგრელოს დედოფალთან; მხოლოდ მაგიდა აქ უფრო მდიდრულადაა გაწყობილი ვერცხლის ჭურჭლით და მსახურებსაც ნაკლებად ბეჩავი შესახედაობა აქვთ.

8-ში გენათელთან მოვიდა იმერეთის მეფის მიერ თბილისში გაგზავნილი ერთი აზნაური, რომელმაც დედოფალს მოახსენა თუ რა წარმატებით შეასრულა მეფის დავალება. ეს აზნაური გაეგზავნათ რვა ათასი ეკიუს სასესხებლად, რისთვისაც გირაოდ სამეფო გვირგვინი გაეტანებინათ. ეს არის ძვრფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი, რომლის ღირებულება, ალბათ, ოთხი ათასი პისტოლი იქნება, მაგრამ ფულის სესხება ამ გირაოთი არავინ მოი-

285

სურვა. საქართველოს მთავარმა შეიტყო თუ არა, რომ იმერეთის მეფე და დედოფალი გასაჭირში არიანო, მათ საჩუქრები გამოუგზავნა: მეფეს – სამი ცხენი, იარაღი და ათასი ეკიუ ფულად; დედოფალს – ოქრონაქსოვი და მოვერცხლილი ფარჩა, ატლასი, თავთა და ხუთასი ეკიუ! საქართველოს მთავარი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ამით სურდა განემტკიცებინა მათი უდიდებულესობის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი მისი ვაჟიშვილთაგანი ეშვილებინათ.

12-ში ვინახულე მეფე. იგი ლაშქრიდან დაბრუნებულიყო, რადგანაც შეუძლოდ გამხდარიყო. დიდი პატივითა და აღერსით მოგვეპყრო, გვერდით მოგვისვა და მეგობრული საუბარი გაგვიბა. საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ პატრმა იუსტინმა და მისმა თანამომძიებმა ქუთაისი დატოვეს. პატრს მოუმიზეზებია დაუსრულებელი ომები, რომლებმაც მათ დიდი ზიანი მიაყენეს. დიდი სევდა მაწევსო გულზე – თქვა მეფემ, მაგრამ რა ვქნა, ერთი საბრალო ბრმა ვარ ყველაფერს მაკეთებინებენ რაც კი სურთ. ვერა ვბედავ ჩემი გულისწუხილი ვინმეს გავუმჟღავნო, რადგანაც ქვეყანაზე ვერავის ვენდობი; მიუხედავად ამისა, იძულებული ვარ ყველას ავყვე, ვერ ვბედავ ვინმეს ვაწყენინო იმის შიშით, რომ წუთისოფელს არ გამომასალმონო ვინმეს ხელით. საბრალო მეფე ახალგაზდაა და საკმაოდ კარგი აღნაგობა აქვს. სახის ზედა ნაწილი მუდამ თავსაფრითა აქვს შეხვეული, რომლითაც თვალების ფოსოებიდან გამონაჟონი სითხე შეიწოვება და რომელიც ამ სისამაგლეს მნახველის თვალთაგან ფარავს. იგი დიდად გონებამახვილია; უყვარს ხუმრობა და ოხუნჯობა. პატრ იუსტინს უთხრა, ჩემს ქვეყანაში უნდა დაქორწინდეო. პატრმა უპასუხა – ამის უფლება არა მაქვს, რადგანაც ისეთივე ალთქმა, მაქვს დადებული, როგორც იმერეთის ეპისკოპოსებსა და ბერებსო, რითაც ქორწინება იკრძალებათ. ჩვენს ეპისკოპოსებსა და ბერებსო, სიცილით შეაწყვეტინა მთავარმა, თითოეულს ცხრა-ცხრა ცოლი ჰყავს, რომ არ ჩავთვალოთ მეზობლის ცოლებიო.

16-ში გათენებისას, ჯერ კიდევ საწოლში ვიყავი, როცა ჩემმა ამხანაგმა გამაღვიძა, რამაც დიდად გამახარა. მან მიაბო, რომ

ძმა ანჟი, ჩემ მიერ გაგზავნილი ხალხითა და ცხენებით 9-ში ჩასულა წიფურიაში. ჩემი ამხანაგი მეტისმეტ დარიდსა და სასოწარკვეთილებებში ყოფილა ჩავარდნილი, რადგანაც ჩემს შესახებ დღიდან ჩემი გამგზავრების არაფერი სცოდნია და ვერავითარი საფასუ-

286

რით ეერ მოუხერხებია ვერც გამყოლების და ვერც ცხენების შოვნა საქართველოში წამოსასვლელად. დიდად გახარებია, როცა გაუგია, რომ მშვიდობით ჩავედი თბილისში და რომ ქუთაისთან ახლოს ველოდები მას. მაშინვე მომზადებულა წამოსასვლელად; ტყეში ამოუთხრია და სახლის სახურავიდან ჩამოუღია ნაწილი იმ განძისა, რომელიც იქ გადავმალეთ; თერთმეტ საათამდე, დალოდებია, რათა ცხენებს დაესვენათ, შემდეგ კი წამოსულა. ერთი ჩვენი მსახურთაგანი, რომელიც ყველაზე სანდო იყო, იქ დაუტოვებია, რათა მას ყური ეგდო განძის იმ ნაწილისათვის, რომლის წამოღებაც ვერ გაუბედია იმის შიშით, რომ მთელი ქონება ერთიანად არ ჩაეგდო საფრთხეში. როცა ყოველივე ეს მიაშობო ჩემმა ამხანაგმა, დასძინა: ნუ შეგაშინებთ ის, რაც კიდევ უნდა მოგახსენოთ, რადგანაც ღვთის მადლით, ყველაფერი კეთილად დასრულდაო; შაბათს, 14-ში, საღამოს რვა საათისათვის მშვიდობით ჩამოვედით ქუთაისში. ძმა ანჟმა გენათელის სახლში მიმიყვანა. მე მხოლოდ გუშინ შევიტყე როგორ დიგმუქრებიათ ახილი წლის პირველ დღეს თქვენ მიერ დათხოვნილი მსახური. ეს ამბავი რომ მცოდნოდა, ქუთაისში არც შევჩერდებოდი. არც ძმა ანჟს და არც ჩვენს ხალხს არ უფიქრიათ ამაზე და კვირა დილას მთხოვეს შუადღემდე გავჩერებულიყავი და საშუალება მიმეცა მათთვის დადლილობისაგან სული მოევითქვათ. მეც დავთანხმდი და ვუთხარი სადილის თადარიგი დაეჭირათ. სუფრასთან ვისხედით, როცა ის არამზადა მსახური ოცი შეიარაღებული იანიჩრის თანხლებით ოთახში შემოგვივარდა. სად არის ჩემი ბატონი – გაათრებულმა იღრიალა – მას ჩემი მოკვლა სწადდა, მაგრამ იარაღი ამაცდინა; მე კი ნამდვილად არ ავაცდენო – ამბობდა იგი და თან დაგეძებდათ. იქ რომ ვერ გიპოვათ, მეორე ოთახში შევარდა, ეგონა რომ იქ იქნებოდით დამალული. მეც თან შევეყევი, ფეხებში ჩავუვარდი თვალცრემლიანი და ამ სიტყვებით მივმართე: ჩემო მეგობარო, რა დაგიშავე, რად გინდა ჩემი დალუპვა? თუ ჩემი ამხანაგი ცუდად მოგექცა ან არ დაგაკმაყოფილა, ამაში მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის; მითხარი რაც გინდა და ახლავე მოგცემ, ოღონდ ეს შენი თანხლები თურქები აქედან გაიყვანე-მეთქი. კარგიო, – მიპასუხა ამ გაიძვერამ – წავიყვან მათ და ახლავე დავბრუნდები თქვენთანო.

თქვა თუ არა ეს, დარბაზში შემობრუნდა, იანიჩარებს ძმა ანჟზე მიუთითა და უბრძანა: შეიპყარით ეს კაცი და ციხის უფრო-

ნეს. იანიჩარები თვალეზს აქეთიქით აცეცებდნენ, რათა რაიმე აეწაპნათ. ისინი მივარდნენ ნაბდეზს, რომლებიც ფარაჯის მაგივრობას გვიწევდა. მათ მხოლოდ და მხოლოდ ეს ნაბდეზი წაიღეს. ჩემს იარაღს არ გაკარებთან და, რაც მართლაც ღვთის მოწყალების უდავო ნიშანი იყო, ხელიც კი არ უხლიათ ჩემ მიერ ჩამოტანილი ტომრებისათვის, რომლებშიც სავსე იწყო ორმოცდაათი ათასი ეკიუს ღირებულების ოქროთი და ძვირფასი ქვებით. როგორც კი დავინახე რომ იანიჩრები სახლიდან გავიდნენ, ერთი მსახური ძმა ანჟს დავადევნე, ხოლო გამყოლებს დაჟინებით ვთხოვე სასწრაფოდ გავცლოდით იქაურობას. წუთში შევკაზმეთ ცხენები, ბარგი ავიკიდეთ და მოვკურცხლეთ, ღმერთმა მიშველა, მისი წყალობითა და სიკეთით მოვალწიე სამშვიდობოს მთელი იმ ბარგით, რაც კი წამოვიღე სამეგრელოდან. ხოლო ის, რაც იანიჩრებმა წამართვეს, ორიოდ პისტოლი თუ ეღირება.

აქ არ მოვეყვები იმ მაღლიერებისა და სიხარულის გრძნობების აღწერას, რაც მე ამ ამბის მოსმენამ მომანიჭა, ამისი გადმოცემა შეუძლებელია და მკითხველისათვის არც იქნება საინტერესო პატრი იუსტინა მაშინვე გენათელთან გაემართა, რათა თავისი გულისწყრომა გადაეცა დედოფლისა და ეპისკოპოსისათვის მათ სახლში თურქების მოქმედების გამო, და თან იმის სათხოვნელად, რომ რაიმე ეღონათ ძმა ანჟის გამოსახსნელად. პატქრი შუადღით დაბრუნდა და დავგარწმუნა, ამ საქმის მოსაგვარებლად ციხის უფროსთან ორი აზნაური გაგზავნესო. იმდენად მეშინოდა თურქებისა, თუმცა ამჯერად სრულიად უსაფუძვლოდ, რომ მინდოდა სასწრაფოდ გავდგომოდით გზას. ნაშუადღევს ჩემმა ამხანაგმა ცხენები დაიქირავა სამეგრელოში დასაბრუნებლად, რათა იქიდან დარჩენილი ნივთები წამოეღო, მე კი მის მიერ ჩამოტანილი ბარგით თბილისში გასამგზავრებლად გავემზადე.

17-ში მე და ჩემი ამხანაგი ჩვენ-ჩვენ გზას დავადექით; იგი ხუთი კაციითა და ოთხი ცხენით სამეგრელოში წავიდა, მე კი თბილისისაკენ გავემართე პატრი იუსტინეს, სამი კაცისა და სამი ცხენის თანხლებით. ვბრუნდებოდი იმავე გზით, რა გზითაც მოვედი.

22-ში ღამით გორში ჩავედი. აქ ორი დღე დავყავი, რათა ოქრო გადამეცვალა და დავხმარებოდი პატრი იუსტინეს მომზადებულიყო ქუთაისში დასაბრუნებლად, ჯერ ერთი იმისათვის, რომ ფული გადაეცა ჩემი ამხანაგისათვის და თან წამოყოლოდა თბილისში;

ამასთანავე იმისათვის, რომ თუ ძმა ანჟი კვლავ დაჭერილი იქნებოდა, ელონა რამე მის გამოსახსნელად.

25-ში დილით პატრი იუსტინე ქუთაისში გაემგზავრა ამ მიზნით, მე კი მაშინვე თბილისისაკენ გავემურე. ღვთის წყალობით, 26-ში ნაშუადღევს თბილისში ჩამოვედი ერთ კაპუცინთან ერთად, რომელიც გორის მისიონის წინამძღვარმა გამომაყოლა, რადგანაც ჩემი მარტო გამოშვება არ ინდომა.

ნ თებერვალს, საღამო ხანს, თბილისში ჩამოვიდა ჩემი ამხანაგი, კოლხეთში დატოვებული მსახურების, პატრი თეათინელის და ძმა ანჟის თანხლებით. როგორც კი გადავეხვიე მათ, ძმა ანჟმა განზე გამიხმო და თავისი თავგადასავალი მიაჩნო: თქვენ უკვე იცით, მითხრა მან, თუ როგორ შემიპყრო თქვენმა გაიმვერა მსახურმა იანიჩრების ხელით. ეს იანიჩრები მისთვის ქუთაისის ციხისთავს მიუცია. თქვენს მსახურს ციხისთავისათვის უთქვამს, რომ თქვენ მისი სამასი ეკიუ გმართებთ, რომ თქვენ ელჩი ხართ და სამეგრელოში მიდიხართ, რათა წამოიღოთ იქ დატოვებული აურაცხელი სიმდიდრე და რომ თქვენით მას შეუძლია ხელში ჩაიგდოს ისეთი ნადავლი, რომელიც მას სამუდამოდ გაამდიდრებს. ეს ორგული იანიჩრებს, რომლებსაც ციხეში მივყავდი, ეუბნებოდა მაგრად შევებოჭე და რაც შეიძლება ცუდად მომქცეოდნენ. ისინი კი, პირიქით, პატივით ეკიდებოდნენ ჩემს სამოსელს. მათ შორის იყო ერთი იტალიელი რენეგატი, რომელიც განსაკუთრებული გულისყურით მეპყრობოდა. რამდენადაც შემემლო ნელა მივდიოდი, თან ვცდილობდი რითიმე შემექცია ეს არამზადები, რათა თქვენი ამხანაგისათვის გასაქცევი დრო მიმეცა, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი სწორედ ასე მოიქცეოდა. როდესაც ციხისთავთან მიმიყვანეს, მან ამ არამზადას, რომელმაც მე შემიპყრო, ჰკითხა – ეს არის შენი ბატონიო? მან უპასუხა არაო; ჩემი ბატონი ვერ ვიპოვე, მაგრამ ამ კაცმა ნამდვილად იცის მისი ადგილსამყოფელიო. ციხისთავმა თქვენი ამბები გამომკითხა. ვუპასუხე, რომ არაფერი ვიცი თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ, ჩვენი განშორებისას თბილისში აპირებდა-თქო წასვლას. შემდეგ ციხისთავმა ათასი კითხვა დამისვა თქვენი ვინაობის გამოსარკვევად და განმიცხადა სამასი ეკიუ უნდა გადაიხადო, რომელიც ვითომ თქვენ გემართათ. მე ვუპასუხე, რომ თქვენ ერთი საწყალი ბერი ხართ, რომელმაც თავს იდო დიდი ტვირთი, შეეტყობინებინა ჩვენთვის თუ რა სავალალო მდგომარეობაში არიან სამეგრელოში ჩვენი ბერები და რომ ამ ამბის გაგებისთანავე მე

მათ სანახავად გავემურე-მეთქი. დაბოლოს მოვახსენე, რომ თქვენს შესახებ სხვა არა ვიცი რა, რომ ფული სრულებით არა მაქვს და რომ ქუთაისში მეფიდან დაწყებულმა მის უკანასკნელ ქვეშევრ-

დომამდე ყველამ იცის, რომ გლახაკობის აღთქმა მაქვს მიცემული-
მეთქი.

ციხისთავმა ბრძანა გავეჩხრიკეთ. მინახვს თქვენი მოცემული
ქამარი, რომელშიაც კიდევ შვიდიოდე პისტოლი იყო დარჩენილი.
ამის მეტი მე არა მქონდა რა. ღვთის სასწაულებრივი მოქმედების
წყალობით თქვენს ამხანაგს არავითარი ძვირფასეულობა არ მოუ-
ცია ჩემთვის შესანახად, როგორც თქვენ წერდით. როცა ციხის-
თავმა ასე ცოტა ფული ნახა, თქვენს მსახურს უთხრა: სად არის ის
სიმდიდრე, რომლითაც გონება ამირიე? ეს საწყალი კაცი იმისათ-
ვის ხომ არ მომიყვანე, რომ მასხრად ამიგდო? შენ არამზადა ხარ,
ჯოხით ზამოგხდი სულსო. ბატონო – უპასუხა აკანკალებულმა
მსახურმა, – ის სიმდიდრე ჩემი პატრონის ამხანაგის ხელშია, რო-
მელიც გენათელთან არისო. – ძაღლო, – შეუტია ციხისთავმა,
– რატომ ის არ მომიყვანე?– თქვა თუ არა ეს ციხისთავმა, იგი
უკან გააბრუნა იმ იანიჩრებთან ერთად, რომლებმაც მე მომიყვა-
ნეს ციხეში და მკაცრად უბრძანა მოეყვანათ თქუენი ამხანაგი. ში-
შმა ამიტანა, ვაითუ იპოვნონ-მეთქი, მაგრამ ჩემი შიმი უსაზღვრო
სიხარულით შემეცვალა, როცა იანიჩრები დაბრუნდნენ და ციხის-
თავს მოახსენეს – ის კაცი იქიდან გაქცეულაო. მაშინ ციხისთავ-
მა თქვენს მსახურს შეუტია. ეს ავაზაკი შიშსა და სიბრაზეს აეტანა.
მიხვდა, რომ ღმერთმა შერისხა იგი და არ მისცა საშუალება ხელ-
ში ჩაეგდო თქვენი მეგობარი და ყოველივე ის, რაც მას თან
ჰქონდა. ამის შემდეგ ციხისთავს ვუამბე, თუ რა ბოროტი მზაკვრო-
ბა ჩაიდინა ამ მოღალატემ თქვენს მიმართ და რაოდენ ლიბერალო-
ბასა და სიკეთეს იჩენდით თქვენ, როცა მას ჯამაგირს უხდიდით.

სალამო ჟამს ციხისთავმა ვახშმად მიმიწვია. როცა შეიტყო,
რომ ექიმი ვარ, მაშინვე უგუნებოდ შეიქნა. მასაც და ციხე-სიმაგ-
რის ზოგიერთ მცველს რაღაც წამლები მივეცი. დარაჯად იტალი-
ელი რენეგატი დამიყენეს. თქვენი მსახური ეუბნებოდა, ბორკი-
ლები დაადეთო, რადგანაც ეშინოდა არ გავქცეულიყავი. ეს არამ-
ზადა ათასნაირ სისამაგლეს იგონებდა, რათა ცუდად მომქცეოდნენ.
მეორე დღეს დედოფალმა და გენათელმა ციხისთავთან ორი აზნა-
ური გამოგზავნეს და ჩემი განთავისუფლება ითხოვეს, რადგანაც
მე ვიყავი მათი და აგრეთვე მეფის ექიმი. შუადღეზე ამ ქვეყნის

ერთი დიდებულისგან კიდევ ორი კაცი მოვიდა. მას მეუღლე გახ-
დომოდა ავად. როცა მისთვის უთქვამთ თითქოს ვალების გამო
ვიყავი ციხე-სიმაგრეში დაკავებული, მან თავისი კაცები გამოგზავ-
ნა და ჩემი განთავისუფლება თხოვა ციხისთავს, თან ჩემი ვალების
გადახდა იკისრა. თუმცა სავსებით ნათელი იყო, რომ მე არავისი
არაფერი მემართა, მაინც საჭირო გახდა ციხისთავისათვის ოცდა-

ხუთი ეკიუს გადახდა. ამის შემდეგ გამანთავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი მსახური ერთ ამბავში იყო – ციხისთავს ურჩევდა არავითარ შემთხვევაში არ გავეშვი, რადგანაც, მისი ფიქრით, თქვენ ჩვენს გამოსახსნელად ათას ეკიუს გადაიხდიდით, იქ კი არ დამტოვებდით. წამიყვანეს იმ დიდებულის სახლში, რომლის წყალობითაც გამანთავისუფლეს. იქიდან ჩხარში გავაგზავნე კაცი თქვენი ამბის გასაგებად, შევიტყვე, რომ თქვენ თბილისში დაბრუნებულხართ, თქვენი ამხანაგი კი სამეგრელოში, რამდენიმე დღის შემდეგ ჩხარში პატრი იუსტინე ჩამოვიდა. იქ შეიტყო ჩემი ადგილსამყოფელი და ჩემთან მოვიდა. ის ოცდახუთი ეკიუ, რომლითაც ციხიდან გამანთავისუფლეს, თქვენი ფულიდან გადავიხადეთ და შემდეგ ჩხარში გავემგზავრეთ. ორი დღის შემდეგ თქვენი ამხანაგი ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა ყველაფერი, რაც სამეგრელოში გქონიათ დატოვებული. გვიამბო თუ რა გზა აირჩია, რომ, ქუთაისს ასცდენოდა. როცა ნავით გადაუცურავს ფაზისი, რომელიც ამ ქალაქიდან ექვსი ლიეს დაშორებითაა, მენავეებს უთქვამთ, რომ თქვენს ბოროტ მსახურს, რომელიც ამდენ მახეს გვიგებდა, მათთვის ორი ეკიუ მიუცია, რათა მისი გზაკვალი შეეტყობინებინათ. ამ ავაზაკს თურმე ოთხი იანიჩარი ჰყავდა მცველად, რომელთაც ციხისთავისაგან ჰქონდა ნაბრძანები თვალყური ედევნებინათ მისთვის, რათა იგი არ გაქცეულიყო; ციხისთავს სურდა მისთვის დანაპირები შეესრულებინა. ხომ ხედავთ, დაუმატა მან, ყველაფერი ბედნიერად დაბოლოვდა და ღმერთმა ხელი არ მოუმართა ამ გაიძვერას ბოროტი ზრახვების აღსრულებაში. ექვს გარეშეა ღვთის სამართალი არ დაუშვებს, რომ იგი თურქ ციხისთავს დაუსჯელად გაუსხლტეს ხელიდან.

გვიან იყო, მაგრამ არც ჩემს მეგობარს და არც მე არ შეგვეძლო ვახშმად წასვლა, ვიდრე გული არ ვიჯერეთ ჩვენი საქმეების კეთილად დამთავრებისა და ყველი იმ უბედურებათა შესახებ ლაპარაკით, რომელთაგან ჩემ მიერ ნაამბობი ფაქტიურად მხოლოდ მცირედ ნაწილს წარმოადგენს. მხურვალე ლოცვით ვაუწყეთ უფ-

აღს ის, რასაც მისი უსაზღვრო სიკეთისათვის, მისი ყოვლისშემძლე დახმარებისათვის და ჩემი ამხანაგის სასწაულებრივი განთავისუფლებისათვის ვგრძნობდით მის მიმართ. მძიმე განსაცდელობაში მყოფთ, ჩვენ ვერც წარმოგვედგინა მსგავსი რამ. მართლაც, ვის შეეძლო ყველაფრის გადარჩენის იმედი ჰქონოდა, როცა ყოველი მხრიდან იმის საშიშროება იყო, რომ ყველაფერს დაკარგავდით? მომდევნო დღეებში დავიანგარიშეთ ამ საბედისწერო მოგზაურობის დროს ჩვენი დანაკარგი. აღმოჩნდა, რომ დანაკარგი არ აღემატებოდა ერთ პროცენტს ყოველივე იმისას, რაც შევინარჩუ-

ნეთ და დამსხვრევისა და გაფუჭების გარეშე ჩამოვიტანეთ თბილისში.

საქართველო (ვგულისხმობ მთელ ქვეყანას, რომელიც ასე იწოდება და სპარსეთს ექვემდებარება) დღეს აღმოსავლეთით ჩერქეზეთსა და მოსკოვის სახელმწიფოს⁹⁷ ესაზღვრება, დასავლეთით – მცირე სომხეთს, სამხრეთით – დიდ სომხეთს, ჩრდილოეთით კი შავ ზღვასა და კოლხეთის იმ ნაწილს, რომელსაც იმერეთი⁹⁸ ეწოდება. ჩემი აზრით, მთელი ეს ქუეყანა უნდა იყოს სწორედ ის, რასაც ძველი ხალხი იბერიას უწოდებდა. საქართველო უწინ გადაჭიმული იყო თავრიზიდან და ერზერუმიდან ტანაისამდე და მას ალბანია ერქვა. როგორც ვხედავთ, დღეს ის დამცრობილია. იგი წარმოადგენს ტყიან და მთაგორიან ქვეყანას, სადაც ვიწრო, მაგრამ გრძელი, მშვენიერი დაბლობებიც მრავლად არის. საქართველოს შუა ნაწილი უფრო სწორი და ბრტყელია, ვიდრე დანარჩენი ნაწილი. ქუეყნის შუაში მიედინება მდინარე მტკვარი⁹⁹, რომელსაც გეოგრაფოსთა უმეტესობა კირს¹⁰⁰ და აგრეთვე კორუსს¹⁰¹ უწოდებს. მისი სათავე კავკასიონის მთებშია, ახალციხიდან დღენახევრის სავალზე. ერთვის კასპიის ზღვას. სპარსეთის სხვა მდინარეებთან შედარებით, ამ მდინარეს ის უპირატესობა აქვს, რომ ქუეყნის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე სანაოსნოდ გამოიყენება. ასეთი ვრცელი იმპერიისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც სხვა მდინარეზე, მსგავს რასმე ვერა ვხვდებით. სპარსეთის ცნობილი მეფე კიროსი²⁸⁶) სწორედ ამ მდინარე მტკვარში ჩააგდეს ყმაწვილობაში, მაგრამ იგი არ ჩაძირულა. ძველ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით აქედან წარმოსდგა, მისი სახელწოდება კიროსი. ამ საკითხზე ისტორიკოსთა აზრი უფრო იმიტომაც არის სარწმუნო, რომ

⁹⁷ Moscovie. ⁹⁸ Imirette. ⁹⁹ Kur. ¹⁰⁰ Cyr. ¹⁰¹ Corus.

ყველა იმ ქვეყანაში, რომელთა შესახებაც ახლახან ვლაპარაკობდი, მდინარე მტკვარს საერთოდ უწოდებენ შაჰ-ბაჰმან-სუს¹⁰², ე. ი. „ხელმწიფე ბაჰმანის მდინარეს“. სახელი „ბაჰმანი“¹⁰³ ერთი იმ სახელთაგანია, რომლითაც სპარსული მატრიანეები მეფე კიროსს იხსენიებენ.

სპარსეთის... თანამედროვე აღწერებში საქართველო ცალკე არის მითითებული „გურჯისტანის“¹⁰⁴ სახელწოდებით, რომელიც დაყოფილია ოთხ ნაწილად: იმერეთი, რომლის შესახებაც ჩვენ ასე ვრცლად ვილაპარაკეთ; გურიელის ქვეყანა, რომელშიაც შედის ახალციხის მმართველობის ქვეშ მოქცეული მხარე; კახეთის¹⁰⁵ სამეფო, რომელიც ღრმად არის შეჭრილი კავკასიონის მთებში და რომელიც საკუთრივ ძველ იბერიას წარმოადგენს და საქართვე-

ლოს აღმოსავლეთი ნაწილი – ქართლი¹⁰⁶, რომელსაც ძველი გეოგრაფოსები აზიის ალბანიას უწოდებენ²⁸⁷). კახეთის სამეფო და ქართლი სპარსეთის იმპერიაში შედიან. ეს არის სწორედ ის, რასაც სპარსელები გურჯისტანს ეტყვიან. გეორგიანები¹⁰⁷ თავიანთ თავს მხოლოდ ერთ სახელს – ქართველს¹⁰⁸ უწოდებენ. ეს სახელი ახალი არ არის. მას ვხვდებით, თუმცა ოდნავ დამახინჯებული სახით, მრავალი ძველი ავტორის თხზულებებში, უმთავრესად წმინდა ეპიფანესთან, რომელიც, ამ ხალხზე ლაპარაკის დროს, მათ ქარდიელებს¹⁰⁹ უწოდებს. ამბობენ, სახელწოდება გიორგიელები თითქოს ბერძნებს მიეცეთ მათთვის *γεοργίς* სიტყვისაგან, რაც მათ ენაზე „მიწათმოქმედს“ ნიშნავს. სხვები კი ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება წმინდა გიორგის სახელიდან არისო წარმომდგარი, რომელიც ბერძნული რიტუალის მიმდევარ ქრისტიანთათვის უმნიშვნელოვანეს წმინდანს წარმოადგენს; მაგრამ ეს ეტიმოლოგიური შეცდომაა, რადგანაც სახელწოდებას „გეორგიანები“ ვხვდებით ბევრად უფრო ადრეული ხანის ავტორებთან, ვიდრე თვით წმინდა გიორგია, როგორც არიან, მაგალითად პლინიუსი და პომპონიუს მელა.

როგორც ვნახეთ, საქართველოში ქალაქები ცოტაა. უწინ კახეთის სამეფოში რამდენიმე ქალაქი ყოფილა. ახლა ყველა ისინი ნანგრევებად არის ქცეული, გამონაკლისია მხოლოდ ერთი ქალაქი, რომელსაც აგრეთვე კახეთი¹¹⁰ ჰქვია²⁸⁸). თბილისში ყოფნისას მი-

¹⁰² Cha-bah-mensou. ¹⁰³ Bahmen. ¹⁰⁴ Gurgistan. ¹⁰⁵ Caket. ¹⁰⁶ Carthuel.

¹⁰⁷ Géorgiens. ¹⁰⁸ Carthueli. ¹⁰⁹ Cardiens. ¹¹⁰ Caket.

თხრეს, რომ ეს ქალაქები, თურმე, დიდი და ჩინებულად ნაშენი ყოფილა. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის, რაც ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დანგრეული, არამედ ნანგრევებიც კი. კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხები: ალანები, სვანები, ჰუნები და სხვანი განთქმულნი არიან თავიანთი ძალითა და გამბედაობით; სხვათა მოწმობით ამორძალებიც ასევე გულადნი არიან და სწორედ მათ ააოხრეს კახეთის ეს პატარა სამეფო. ამორძალები კახეთის სამეფოს მეზობლად, ზემოთ, ჩრდილოეთით ცხოვრობენ. ამ საერთო აზრს იზიარებენ როგორც ძველი, ასევე თანამედროვე გეოგრაფოსები. პტოლემეაიოსი მათ ქვეყანას აზიის სარმატიის¹¹¹ ფარგლებში ათავსებს, რომელიც დღეს სათათრეთად იწოდება და მდებარეობს ვოლგის დასავლეთით, ამ მდინარესა და ჰიპიკის¹¹² მთებს შორის, ეს არის სწორედ კახეთის სამეფოს ჩრდილოეთი მხარე. კვინტ-კურციუსი იმავე აზრით ამბობს, რომ თალესტრის¹¹³ სამეფო მდიდნარე ფაზისის მახლობლად იყო. ამას-

ვე ფიქრობს სტრატონიც, როცა პომპეუსისა და კანიდიუსის ლაშქრობებზე ლაპარაკობს. საქართველოში არავინ მინახავს ამორძალების ქვეყანაში ნამყოფი, მაგრამ მათი ამბები ბევრისგან მსმენია. შალის უხეში ქსოვილისაგან დამზადებული, უცნაური ფორმის ქალის ტანსაცმელიც კი მაჩვენეს მთავართან, რომელიც თურმე, როგორც ამბობენ, ერთი ამორძალი ქალისა ყოფილა. იგი უკანასკნელი ბრძოლების დროს კახეთის ახლოს მოუკლავთ. თბილისის კაპუცინებმა მითხრეს, რომ გაზაფხულზე ორი მისიონერი აპირებსო მათ ქვეყანაში გამგზავრებას, რადგანაც კონგრეგაციისაგან მიუღიათ ბრძანება. ასე რომ, მალე შესაძლებლობა გვექნება ამ მამაცი მებრძოლი ქალების შესახებ ცნობები მივიღოთ. ერთხელ ამის თაობაზე საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი მქონდა საქართველოს მთავრის ვაჟიშვილთან. სხვათა შორის, მან მითხრა, რომ კახეთის ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ ხუთი დღის სავალზე ცხოვრობს სრულიად უცნობი ხალხი, რომლებიც განუწყვეტლივ იბრძვიან თათრების წინააღმდეგო. მათ მეტსახელად კალმახებს¹¹⁴ ეძახიან. ეს ის ხალხია, რომელთაც ჩვენ ყალმუხებს¹¹⁵ ვუწოდებთ. ისიც მითხრეს, რომ კავკასიონის მთებში მცხოვრები ხალხები მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს, მათ შორის მშვიდობის დამყარება ან ზა-

¹¹¹ Sarmatie asiatique. ¹¹² Hippiques. ¹¹³ Thalestris. ¹¹⁴ Caimacs.

¹¹⁵ Calmouques.

294

ვის დადება შეუძლებელია, რადგანაც ისინი ველურნი არიან, არა აქვთ არც რელიგია, არც პოლიცია ჰყავთ და არც კანონები გააჩნიათო. კახეთთან ახლოს მცხოვრები ხალხები ხშირად ესხმიან მას თავს. ეს გარემოება მეფისნაცვალს, ე. ი. საქართველოს მთავრის უფროს ვაჟიშვილს²⁸⁹), აიძულებს მუდამ მზად იყოს ამ ბარბაროსების მოსაგერიებლად.

ამ ახალგაზრდა მთავარს ვუამბე, თუ რას წერდნენ ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები ამორძალების შესახებ. ამ საკითხზე კარგა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ მან აზრი გამოთქვა, რომ ეს ხალხი, ალბათ, მოხეტიალე სკვითები არიან ისევე, როგორც თურქმენები და არაბებიო, რომლებიც აშინელების¹¹⁶ მსგავსად ქვეყნის გამგებლობას ქალებს აბარებენ, და რომ ამ დედოფლებს თავიანთი სქესის წარმომადგენლები ემსახურებიან, რომლებიც ყველგან თან დაყვებიანო. ადვილი გასაგებია, რომ ისინი შეიარაღებულნი დადიან და რომ მათ ისევე კარგად უნდა იცოდნენ ცხენოსნობა, როგორც მამაკაცებმა, რადგანაც აღმოსავლეთში ქალებმა მამაკაცების ვით კარგად იციან ცხენზე ჯდომა, ზოგიერთმა კი მათზე უკეთესად. დედოფლებს გვერდზე ხანჯალი ჰკიდიათ. რაც შეეხება მწერლის

დამახინჯებას და სხვა ამგვარ ჩვეულებას, რასაც ამორძალ ქალებს მიაწერენ, ჩვენ ისინი ისეთივე ზღაპრებად მიგვაჩნია, როგორითაც ერთი ლათინი პოეტის გავლენით ერთმა მატყუარა ბერძენმა აავსო თავისი ისტორიები.

ქართლის პროვინციაში მხოლოდ ოთხი ქალაქია: გორი, სურამი¹¹⁷, ალი და თბილისი. თბილისის აღწერას ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ. გორი პატარა ქალაქია, გაშენებული ორ მთას შორის გაშლილ ვაკეზე, მდინარე მტკვრის ნაპირზე, ბორცვის ძირში, რომელზედაც ციხე-სიმაგრე დგას და რომელსაც სპარსელები იცავენ. იგი ააშენა სპარსეთის ჯარის მხედართმთავარმა როსტომ-ხანმა¹¹⁸ გურჯისტანის უკანასკნელი ბრძოლების დროს, ორმოცი წლის წინათ. ერთმა ავგუსტინელმა მისიონერმა, რომელიც იმხანად გორში იმყოფებოდა, მისი გეგმა აიღო. ციხე-სიმაგრე კარგად არ არის დაცული. მის მთავარ ძალას მისი ადგილმდებარეობა წარმოადგენს. გარნიზონი შედგება ასი კაცისაგან. მის ძირში გაშენებული ქალაქი პატარაა. სახლები, ისევე როგორც დახურული ბაზრები, ალიზისაგან არის ნაშენი. მცხოვრებლები ვაჭრობას მისდევენ და საკ-

¹¹⁶ Achinois. ¹¹⁷ Suram. ¹¹⁸ Rustan Can.

მაოდ შეძლებულნიც არიან. აქ ბლომად და იაფად შეიძლება იშოვო ყველაფერი, რაც არსებობისთვის არის აუცილებელი. სახელწოდება გორი წარმოდგება სიტყვისაგან, რომელიც „ღორს“ ნიშნავს, რადგანაც ღორები აქ დიდი რაოდენობითაა და თანაც საუკეთესო ჯიშისა.

სურამი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ დაბას წარმოადგენს. იგი უფრო პატარაა, ვიდრე ქალაქი გორი, მაგრამ მის ახლოს დიდი და კარგად ნაგები ციხე-სიმაგრეა. მისი გარნიზონიც ასი კაცისაგან შედგება. სურამის ახლოს არის ადგილი, რომელიც სამცხედ¹¹⁹ იწოდება²⁹⁰). ეს არის ქართული სახელი და ნიშნავს „სამ ციხეს“. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, თითქოს ნოე, კიდობნიდან გადმოსვლის შემდეგ, ამ მხარეში დასახლებულა და მის ვაჟებს თითოეულს აქ თითო ციხე აუშენებიათო. ალის შესახებ აქ არაფერს ვამბობ, რადგანაც მასზე სხვაგან მქონდა საუბარი.

საქართველოში ჰავა ჯანსაღი და მშრალია. ზამთარში აქ ძალიან ცივა, ზაფხულში კი ძალიან ცხელა. კარგი ამინდები მხოლოდ მაისის თვეში დგება, მაგრამ ნოემბრის ბოლომდე გრძელდება. მიწები აქ მორწყვას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუსავლიანია. მორწყული მიწები კი უხვად იძლევა სხვადასხვა სახის მარცვლეულის, მწვანე ხილისა და ხილის მოსავალს. საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც

ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალნაირი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბროწეული. საქონელი აქ დიდი რაოდენობითაა და ძალიან კარგი ჯიშისა, იქნება ეს მსხვილფეხა თუ წვრილფეხა. ნადირი შესანიშნავი და მრავალნაირია. ბევრია ფრინველიც. დიდი რაოდენობითაა აგრეთვე გარეული ღორიც, რომლის ხორცი ისეთივე გემრიელია, როგორც კოლხეთში. უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ღორის ხორცი იკვებება. მთელი სოფლები ღორებითაა სავსე. უნდა ითქვას, რომ ამ ხორცზე უკეთესს ვერაფერს იგემებ. ადგილობრივი მკვიდრნი ირწმუნებიან, რომ რამდენიც არ უნდა ჭამოს კაცმა ღორის ხორცი, არასოდეს არ აწყენსო. ვფიქრობ, რომ მართლაც ასე უნდა იყოს, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ჩემი ულუფა ღორის ხორცისაგან შედგებოდა, მას არასოდეს უწყენია ჩემთვის. საქართველოსთან ახლო მდებარე კასპიის ზღვა და

¹¹⁹ Sémachè.

მასზე გამდინარე მტკვარი იმდენი თევზითა და მტკნარიწყლით ამარაგებს ქვეყანას, რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, წლის არც ერთ დროს არ შეიძლება აქაურზე უკეთესად ჭამოს და სვას ადამიანმა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ არ არსებობს ქვეყანა სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ. ისევე როგორც კოლხეთში, აქაც ვაზები ხეებზეა გაშენებული. მეფეთა სასამელად თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისფაჰანში. ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წონით სამას ფუტს უდრის, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანკი ღირს; მე ვლავარაკობ საუკეთესო ღვინოზე, რადგანაც ჩვეულებრივ, საშუალო ღვინოს ამისი ნახევარი ფასი აქვს. ყველა დანარჩენი სურსათი ამის შესაბამისად ფასობს. თუმცა საქართველო დიდი რაოდენობით აწარმოებს აბრეშუმს, მაგრამ რასაც მოგზაურთა უმეტესობა წერს ამის შესახებ, აქ იმის ნახევარიც კი არ მზადდება. ადგილობრივმა მოსახლეობამ მისი კარგად გამოყვანა არ იცის. მათ აბრეშუმი ოსმალეთში, ერზერუმსა და ახლომახლო ადგილებში გააქვთ, სადაც ისინი ფართო ვაჭრობას აწარმოებენ.

ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, რო-

გორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია; არიან მაღალნი, კობ-ტა და მოქნილი ტანისა და საოცრად წელწვრილნი. ფერუმარილი, რომელსაც ერთნაირად ხმარობენ ლამაზებიც და ულამაზონიც, მათ არ უხდებათ. იგი სამკაულის შემცვლელია და მას ისეთსავე მორთულობად იყენებენ, როგორც ჩვენში თვალმარგალიტსა და ლამაზ ტანსაცმელს...

ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელები და თავდაჭერილები არიან. მათი ადათ-წესები გარშემო მცხოვრები ხალხების უმეტესობის ზნე-ჩვეულებათა ნარევს წარმოადგენს. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს შედეგი მათი სავაჭრო ურთიერთობისა სხვა ხალხებთან და იმ თავისუფლებისა, რომელიც საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული: აქ უფლება გაქვს იცხოვრო

297

შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოვიტებსა და ევროპელებს. სომხები აქ ისე მრავლად არიან, რომ ქართველებსაც კი სჭარბობენ. ამასთანავე ისინი ყველაზე მდიდრები არიან, მაგრამ პატარა ადგილები და დაბალი თანამდებობები უკავიათ. ქართველები უფრო უფლებამოსილნი, ამაყნი, თავმომწონენი და დიდების მოყვარულნი არიან...

ქართველების ტანსაცმელი თითქმის პოლონელებისას ჩამოგავს. ატარებენ პოლონურის მსგავს ჩაჩებს. ქურთუკი გულმკერდთან შეხსნილია, იკვრება ღილებითა და საღილე ყაითნებით. ფეხსაცმელები ისეთივეა, როგორც სპარსელებისა. ქალების ტანსაცმელი სპარსულისაგან არაფრით არ განსხვავდება.

დიდებულების სახლები და საზოგადოებრივი შენობები სპარსული ნაგებობების მსგავსად არის ნაშენი. მშენებლობა იაფი ჯდება, რადგანაც ხის მასალა, ქვა, თაბაშირი და კირი დიდი რაოდენობით აქვთ. სპარსელებს ბამბვენ აგრეთვე ჯდომაში, წოლასა და სმა-ჭამაში.

დიდებულები თავიანთი ყმების მიმართ ტირანულზე უმკაცრეს ძალმომრეობას იჩენენ. აქ უფრო უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ, ვიდრეკოლხეთში. თავიანთ ყმა-გლეხებს მთელი თვეების განმავლობაში საკუთარი სურვილისამებრ ამუშავებენ ისე, რომ არ ამლევენ საფასურს და არც საზრდოს, უფლება აქვთ თავიანთი ვასალების ქონებაზე, თავისუფლებასა და სიცოცხლეზე; ართმევენ შვილებს და ყიდიან ან მონებად აქცევენ, მაგრამ ოც წელზე მეტი ხნისას, განსაკუთრებით ქალებს, იშვიათად თუ გაყიდიან. სარწმუ-

ნოება ქართველებს დაახლოებით ისეთივე აქვთ, როგორც მეგრელებს. ერთმაც და მეორემაც სარწმუნოება ერთდროულად, კერძოდ მეოთხე საუკუნეში მიიღეს ერთი იბერიელი ქალისაგან, რომელიც კონსტანტინოპოლში მოქცეულა ქრისტიანობის რჯულზე. ახლა როგორც ერთს, ისე მეორეს დაკარგული აქვთ ქრისტიანობის მთელი არსი. ასე რომ, ის რაც მეგრელების შესახებ ვთქვი – მათ სახელს გარდა ქრისტიანობისაგან აღარაფერი აქვთ-მეთქი შემორჩენილი. რომ არ იცავენ და არც კი იცნობენ იესო ქრისტეს თითქმის არც ერთ ცნებას-მეთქი, – არანაკლებ სამართიანი იქნებოდა გვეთქვა საქართველოს ხალხის შესახებაც. მიუხედავად ამისა, ქართველები უფრო მტკიცედ ინახავენ მარხვას და წარმოთქვამენ უფრო გრძელ ლოც-

298

ვებს. ჩემი თბილისში ყოფნის დროს მისიონერებმა რომში მათი მისიის შესახებ რელაცია გაგზავნეს, რომელიც მე მაჩვენეს. მასში ერთი მეტად სასაცილო ამბავი იყო მოთხრობილი, რომელსაც აქ მოვიტან, რადგანაც იგი ჩემს თემას ეხება და აქ უადგილო არ იქნება ცხოვრობდა გორში ერთი ცუდი ყოფაქცევის ქალი, რომელიც ავად გამხდარა. უფიქრია ჩემი აღსასრული მოვიდაო, გაუგზავნია კაცი მღვდლის მოსაყვანად და, აღსარებაში უღიარებია რა თავისი გარყვნილება, აღთქმა დაუდვია, რომ თავისი ქმრის გარდა სხვა კაცს არ გაიკარებდა. მღვდელს უთქვამს: ქალბატონო, მე თქვენ იმდენად კარგად გიცნობთ, რომ თქვენს ნათქვამს ვერ დაგიჯერებო. ცხადია, თქვენთვის შეუძლებელი იქნება სამიჯნურო კავშირების გაწყვეტა, მაგრამ ამასა გთხოვთ, კავშირი დაიჭიროთ მხოლოდ ორ-სამთან, თანაც ჩემის ნებართვით და ჩემ მიერ ნაკარნახევი პირობებითო. მისი წინადადებით შეურაცხყოფილი ქალს მღვდელი გაუძევებია და სასწრაფოდ მოუყვანინებია კაპუცინი, უამბნია ყოველივე, რაც მოხდა და შემდეგ აღსარება უთქვამს მისთვის. იმავე რელაციაში ნათქვამია, რომ აღსარებაზე მოსულ ცოდვილებს, რომელთა ცოდვასაც სხვისი ქონების მოტაცება წარმოადგენს, მღვდლები უბრძანებენ ნაქურდალი დაუბრუნონ არა მის მფლობელს, არამედ გადასცენ მათ, ასე რომ, გატაცებული ქონება მის პატრონს არასოდეს არ უბრუნდება.

საქართველოში რამდენიმე ეპისკოპოსია, ერთი არქიეპისკოპოსი და ერთიც პატრიარქი, რომელსაც კათალიკოსს უწოდებენ. მთავარი, თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანია, საეკლესიო საქმეებსაც განაგებს და ჩვეულებრივად ამ თანამდებობებზე თავის ნათესავებს ნიშნავს ხოლმე. პატრიარქი მისი ძმია²⁹¹). დიდებულებიც ასეთსავე უფლებებს ჩემულობენ თავიანთ მამულებში; ისინი არა მარტო განაგებენ საეკლესიო თანამდებობებს და იძლევიან ბენეფიციებს, არამედ ეკლესიის მსახურთ ისევე განუსჯელად აგდებენ

საპრობილეში და სჯიან, როგორც სხვებს. მათ იყენებენ ყოველგვარ მიმომე სამუშაოზე, ართმევენ შვილებს; არ კმაყოფილდებიან იმით, რომ ხელიდან აგლეჯენ იმას, რაც ადამიანისათვის სიცოცხლეზე უმვირფასესია, ვგულისხმობ მათ შვილებს, და ამ გაუბედურებულ ხალხს არანაკლებ ძვირფას განძს – თავისუფლებას – ართმევენ და როგორც უკვე აღვნიშნე, მათ მაჰმადიანებზე ჰყიდიან.

საქართველოს ეკლესიები რამდენადმე უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე სამეგრელოსი. ქალაქში ეკლესიები საკმაოდ სუფ-

299

თაა, სოფლებში კი ძლიერ მოუვლელი. ქართველებს მათ ახლო-მახლო-ჩრდილოეთით და დასავლეთით – მცხოვრები ქრისტიანი ხალხების მსგავსად, ერთი საკმაოდ უცნაური ჩვეულება აქვთ: ეკლესიებს მთის წვერზე, შორეულ და თითქმის მიუდგომელ ადგილებში აშენებენ. ასეთი ეკლესია შორიდან მოჩანს და მას სამი-ოთხი ლიეს მანძილიდან სცემენ თაყვანს; იქ კი თითქმის არასოდეს არ ადიან; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიების უმეტესობას ათ წელიწადში ერთხელ თუ გააღებენ ხოლმე. ააშენებენ ეკლესიებს და შემდეგ ბედისა და განგების ანაბარა მიატოვებენ. ვერაფრით ვერ შევძელი დამედგინა ასეთი უაზრობის მიზეზი. ვისაც კი არ ვეკითხებოდი, მუდამ ერთნაირ უცნაურ პასუხს ვიღებდი: ასეთი ჩვეულება გვაქვსო. ქართველები თვლიან, რომ როგორი ცოდვაც არ უნდა ჩაიდინონ, პატარა ეკლესიის აშენებით შეწყნარებას მიიღებენ. მე პირადად ვფიქრობ, რომ ეკლესიებს მიუდგომელ ადგილებში აშენებდნენ იმიტომ, რათა თავიდან აიცილონ მისი მორთვა და მოვლა. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ წმინდა გიორგი ამ ქრისტიანებისათვის უმთავრესი წმინდანია. მას „მარ გერგის“¹²⁰ უწოდებენ და თვლიან, რომ იგი დაბადებულია კაბადოკიაში, სირიელი პატრიარქის ვაჟიშვილია და დიოკლეტთანეს დროს იქნა წამებულიო²⁹²). ამ წმინდანს თვით მაჰმადიანებიც არანაკლებ სცემენ პატივს. მათში გავრცელებულია ლეგენდა, რომელშიაც დაახლოებით ასეთი რამ არის მოთხრობილი: წმინდა გიორგის მიერ მოხდენილ სხვადასხვა სასწაულთა შორის, მან მკვდრეთით აღადგინა ხარი ერთი საწყალი მოხუცი ქალისა, რომელთანაც იგი დაბინავდა; ეს ამბავი, თუ იგავი, ამ წმინდანის შესახებ მეგრელების ნაამბობს წააგავს, რომლის მიხედვითაც წმინდა გიორგის ღამით გადაჰყავს ხარი ას ლიეზე მეტი მანძილით დაშორებული ერთი ადგილიდან მეორეზე. ეს იგავი მე მოვიხსენიე მეგრელების რელიგიის შესახებ ტრაქტატში.

სპარსელების მიერ საქართველოს დაპყრობა იმდენი რელაციებისა და ისტორიების საშუალებითაა აღწერილი, რომ მე თავს შევიკავებდი ამის შესახებ ლაპარაკისაგან, რომ ავტორები ერთი აზ-

რისანი და კარგად ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ იმაზე, რასაც წერენ. აი, მოკლედ ის, რაც სპარსეთის ისტორიებში ვპოვე.

დიდმა ისმაილმა²⁹³) (რომელსაც ჩვენმა ისტორიკოსებმა სეფი¹²¹

¹²⁰ Mar Gergis. ¹²¹ Sophy.

300

შეარქვეს) მას შემდეგ, რაც კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ქვეყნები – მიდია და არმენიის ნაწილი დაიპყრო და ამ ადგილებიდან ოსმალები განდევნა, ომი გამოუცხადა ქართველებს, თუმცა თავისი მეფობის დასაწყისში სწორედ მათგან ჰქონდა მიღებული მნიშვნელოვანი დახმარება. ეს ომი მისი გამარჯვებით დამთავრდა და ქართველები აიძულა ხარკი ეხადათ და მძევლები მიეცათ მისთვის. კახეთისა და ქართლის სამეფოების გარდა, საქართველოში ვასალების მსგავსი მრავალი მცირე მეფე არსებობდა, რომელთაც „ერისთავებს“¹²² უწოდებდნენ და რომლებიც მუდმივად ერთმანეთთან ომობდნენ. ეს გახლდათ მიზეზი, ყოველ შემთხვევაში საბაზი მაინც, რამაც ქართველების დაცემა გამოიწვია. ისინი ხარკს უხდიდნენ ისმაილს¹²³ მთელი მისი მეფობის განმავლობაში და მის მემკვიდრეს თამაზს¹²⁴, რომელიც დიდსულოვანი და ომებში სვებედნიერი მმართველი იყო²⁹⁴). მის სიცოცხლეში საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც ქართლს უწოდებენ და რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, საქართველოს აღმოსავლეთი მხარეა და სპარსეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება, მეფობდა ლუარსაბი¹²⁵. ამ მეფეს ორი ვაჟიშვილი დარჩა და მათ გაუნაწილა თავისი სამეფო²⁹⁵). უფროსს სიმონი¹²⁶ ერქვა, მეორეს დავითი¹²⁷. ამ განაწილებით ორთავენი უკმაყოფილონი დარჩნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ ომში დახმარებისათვის ორთავემ თამაზს მიმართა. ამ უკანასკნელს უმცროსის თხოვნა პირველად მიუვიდა. თამაზმა შეუთვალა მას, რომ მამამისის მთელ სამფლობელოებს მისცემდა, თუ მაჰმადიანობის მიღებაზე დათანხმდებოდა. დავითმა მიიღო ეს წინადადება. გადავიდა მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე და სპარსეთის სარდლობას წარუდგა, რომელნიც ოცდაათიათასიანი ცხენოსანი ჯარით იყვნენ მოსულნი ამ ქვეყანაში. დავითი თამაზთან გაგზავნეს, რომელიც ამ დროს ყაზვინს¹²⁸ იდგა. თამაზმა მოაქცია თუ არა თავისი გავლენის ქვეშ ქართველი მთავარი, ახლა სიმონს მისწერა იგივე, რაც მის ძმას, კერძოდ, წინაპართა მამული თუ გინდა, ჩვენი სარწმუნოება მიიღე და ჩემთან გამოცხადდიო. სპარსეთის ჯარებისაგან შევიწროებული სიმონი დანებდა, მაგრამ თავისი სარწმუნოებისაგან განდგომა არ ისურვა. ამგვარად თამაზმა, გახდა რა საქართველოსა და მისი მთავრების პატონ-პატრონი, უფროსი ძმა დაატყვევა და კასპიის ზღვასთან ახლოს მდებარე განჯის¹²⁹ საპყრობილეში გაგზავნა, ხოლო მეორე ძმა საქართველოს

მმართველად დასვა, შეუცვალა რა სახელი დავითი დაუდ-ხანად¹³⁰, რაც მაჰმადიანობის საწინდარი იყო²⁹⁶). შემდეგ თამაზმა ქართველ დიდებულებს ერთგულებაზე ფიცი დაადებინა და მათი და დავითის შვილები მძევლებად წაიყვანა.

თამაზის სიკვდილის შემდეგ ქართველებმა, ისევე როგორც სპარსეთის სხვა მრავალმა პროვინციამ, სპარსელების უღელი გადაიდეს: ისმაილ II მეფობის ხანაში, რომელმაც მხოლოდ ორ წელიწადს გასტანა²⁹⁷), და მაჰმადის (მეტსახელად ხუდა ბენდე¹³¹) ე. ი. „ღვთის მონა“²⁹⁸) მეფობის პირველი ოთხი წლის განმავლობაში ქართველები დამოუკიდებელნი იყვნენ, შემდეგ კი მაჰმადმა ჯარი გაგზავნა საქართველოში, რათა იგი კვლავ დაემორჩილებინა. მისი მოახლოებისთანავე დაუთხანი გაიქცა. მისმა ძმამ სიმონმა, როგორც მეუკვე ვთქვი, კასპიის ზღვის ახლოს დატყვევებულმა, ეს გარემოება გამოიყენა თავისი ქონების დასაპატრონებლად, მიიღო მაჰმადიანობა და სიმონ-ხანის სახელით თბილისის ხანად დაინიშნა²⁹⁹).

კახეთის მეფე, სახელად ალექსანდრე, მაჰმადი ხუდა ბენდეს მეფობის დროს გარდაიცვალა. მას სამი ვაჟი და ორი ქალი დარჩა. უფროსს დავითი ერქვა. ეს მთავარი თავისი გამბედაობითა და უიღბლობით საქვეყნოდ არის ცნობილი თეიმურაზ-ხანის სახელით, რომელიც მას სპარსელებმა შეარქვეს³⁰⁰), როცა მისი მამა გარდაიცვალა, როგორც უკვე ითქვა, იგი შაჰ-თამაზს ჰყავდა წაყვანილი მძევლად სპარსეთის კარზე. რადგანაც იგი დაახლოებით აბას-დიდის ასაკისა იყო, მასთან ერთად იზრდებოდა დიდი პატივითა და მზრუნველობით. მან სპარსელების ზნე-ჩვეულება შეისისხლხორცა, რომელიც ქართველების ზნე-ჩვეულებაზე, უდავოდ, უკეთესია. მამის გარდაცვალებისთანავე დედამისმა, მშვენიერმა და ჭკვიანმა დედოფალმა, ქართველების მიერ ქეთევანად¹³², ხოლო სპარსეთის ისტორიაში მარიანად¹³³ წოდებულმა, ხუდა ბენდეს მისწერა³⁰¹): „ხელმწიფო, ჩემი ქმარი გარდაიცვალა, გემუდარებით ჩემი ვაჟი თეიმურაზი გამომიგზავნოთ, რათა მამის მაგიერ იმეფოს. სანაცვლოდ გიგზავნით მის ძმას“. თეიმურაზს ჩამოართვეს ერთგულების ფიცი და გამოგზავნეს.

ქართლის მეფე სიმონი, რომლის შესახებაც ჩვენ ვილაპარაკეთ, აბას დიდის მეფობის დასაწყისში გარდაიცვალა და გვირგვინი თა-

¹³⁰ Daoud-Can (Dáoūd-Khân). ¹³¹ Koda-bendé. ¹³² Ketevane. ¹³³ Mari-Ane.

ვის უფროს ვაჟიშვილს, მცირეწლოვან ლუარსაბს¹³⁴ დაუტოვა³⁰²), რომელსაც მეურვედ დაუნიშნეს მისი ვეზირი, დიდად ჭკვიანი, მაგრამ მდაბიო წარმოშობისა, ქართველთაგან მეჰრუდ¹³⁵) ხოლო სპარსელთაგან მორადად¹³⁶ წოდებული³⁰³). იგი იყო აგრეთვე თბილისის მოურავი და სამეფოში აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდა. მეჰრუს ჰყავდა მეტად ლამაზი ასული, რომელიც ლუარსაბს გაგიჟებით შეუყვარდა, ქალიც სიყვარულითვე პასუხობდა. რა საშუალებას არ მიმართა მამამ, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა მიჯნურთა შეხვედრები აღეკვეთა. ერთხელ, როცა ერთად ჩაკეტილებს შეუსწრო, მთავარს უთხრა: „თქვენო აღმატებულებაჲ, პატივის ნუ ახდით ნურც ჩემს ქალს და ნურც ჩემს ოჯახს. თუ თქვენ უდიდებულესობას იგი მოსწონს, ცოლად შეირთეთ; ხოლო თუ ცოლად შერთვა არა გასურთ, ნუ დარჩებით მასთან მარტო“. ლუარსაბმა მისცა ფიცი, სხვა ქალს არასოდეს ვისურვებო; ფიცით გულდაჯერებულმა მეჰრუმ ნება დართო თავის ქალს მთავართან ისე ყოფილიყო, როგორც საკუთარ ქმართან. მაგრამ ეს ქორწინება არ შემდგარა, ვინაიდან დედოფალი და ქვეყნის სეფექალები წინ აღუდგნენ ამ გადაწყვეტილებას და გამოაცხადეს – დაბალი წარმოშობის პიროვნების ქვეშევრდომები არ გავხდებითო. ლუარსაბი, როგორც ჩანს, ამ წინააღმდეგობით მეტად კმაყოფილი დარჩა და მეჰრუს განუცხადა, რომ მისი ქალის შერთვა არ შეეძლო³⁰⁴). მე უკვე აღვნიშნე, რომ ქართველები მეტისმეტად შურისმაძიებლები არიან; მეფეს ურჩიეს მეჰრუს მორიდებოდა და მოეკვლევინებინა იგი, რათა ხელი შეეშალა მისგან შურისძიებისათვის. მეფე დათანხმდა. გადაწყვიტეს პირველსავე ნადიმზე, რომელსაც მისი უდიდებულესობა გამართავდა, დაეთროთ იგი და შემდეგ მოეკლათ. სწორედ იმ მომენტში, როცა შეთქმულება უნდა განხორციელებულიყო, მეჰრუს შეატყობინეს ამის შესახებ. იგი კარგა შეზარხოშებული იყო. მეფის მსახური, რომელიც მას ერთგულებდა სასმისის მიწოდების დროს, თითქოსდა პატივისცემის ნიშნად, მისკენ დაიხარა და უთხრა: ბატონო, თქვენ მოკვლას გიპირებენო. მეჰრუ არ შემკრთალა. იგი წამოდგა, სასმისი სხვას გადასცა და გარეთ გავიდა. ამ ქვეყნებში ეს როდის ითვლება სათაკილოდ, რადგანაც ლხინი ნახევარი დღე გრძელდება ხოლმე. მეჰრუ პირდაპირ თავის საჯინბოსაკენ გაიქცა, აიღო პირველადვე ხელში მოხვედრილი ქუდი, მეჯინბის ლაბადა და, თავისი

¹³⁴ Luarzab. ¹³⁵ Mehrou. ¹³⁶ Morad.

ამოსდო, მოახტა და მოჰკურცხლა. მეჰრუმ ისე მოხერხებულად განახორციელა თავისი გაქცევა, რომ ეს ვერავინ შეამჩნია და წარმატებაც უზრუნველყოფილ იქნა. იგი აბას-დიდთან მივიდა, რომელიც საქართველოსა და კასპიის ზღვის მეზობლად მდებარე შირვანს¹³⁷ და შემახაზე¹³⁸ გამარჯვების შემდეგ ისფაჰანში ბრუნდებოდა და ფეხქვეშ ჩაუვარდა მას. მეჰრუმ უამბო როგორ ემსახურებოდა იგი ლუარსაბს და მის მამას, აწ განსვენებულ მეფეს, და ყოველივე ამის სანაცვლოდ როგორი ჯილდო მიიღო მისგან: განიზრახა მისი მოკვლა მას შემდეგ, რაც ნამუსი ახადა მის ერთადერთ ქალიშვილს და ფიცი გასტეხა. მეჰრუმ ხელმწიფეს შეჰვედრა, რადგანაც მისი სპარსული უდიდებულესობა საქართველოს ნამდვილი მპყრობელი იყო, გამოეჩინა სამართლიანობა და დაებრუნებინა მისთვის მისი ქონება.

ლუარსაბზე შურისსაძიებლად მეჰრუმ უფრო საიმედო საშუალება გამონახა. იგი შეეცადა აბასისათვის ჩაენერგა ამ მთავრის დის, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ასულის, სიყვარული, რომლის მშვენიერაც სპარსეთის ყველა პოეტის მიერ იყო შექცეული. დღესაც მღერიან სპარსეთში სიმღერებს, რომლებმაც მის სიტუაციას უფრო მეტად გაუთქვეს სახელი, ვიდრე რომელიმე მისი თანამედროვისას. ამ სიმღერებში ასახულია მშვენიერი რომანი ამ ქალისა და აბასისა. მისი ნათლობის სახელი დარეჯანი¹³⁹ იყო, სპარსული გადმოცემების მიხედვით კი მას ფარი¹⁴⁰ ჰქვია³⁰⁵). მეჰრუმ ყოველ ხელსაყრელ დროს აბასს მის შესახებ ელაპარაკებოდა და მთელ თავის მოხერხებულობას არ იშურებდა, რომ სიყვარულის ცეცხლი გაედვივებინა მისთვის. აბასმა ლუარსაბს ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე ელჩი გაუგზავნა მისი დის ხელის სათხოვნელად. პირველი ლამაზი სიტყვებით გამოისტუმრეს, ხოლო მეორეს მოახსენეს, რომ დედოფალი კახეთის ქვრივ მეფე თეიმურაზზე არისო დანიშნული. ამ უარისაგან უფრო მეტად გაწბილებულმა აბასმა მესამე ელჩი გაუგზავნა ლუარსაბს, რომელსაც დაავალა ყოველგვარი დაპირებებითა და მუქარით ეთხოვა ლუარსაბისათვის მისი და, ამავე დროს თეიმურაზს მისწერა არ შეერთო ცოლად ლუარსაბის და, და მასთან გამოცხადებულიყო. ასეთი მედიდური და დაჟინებითი მოთხოვნით განაწყენებულმა ლუარსაბმა პასუხის ნაცვლად დი-

¹³⁷ Chirvan (Chyrvân). ¹³⁸ Chamaky (Chamakhy). ¹³⁹ Darejan.

¹⁴⁰ Pehry.

დად შეურაცხყო ელჩი, რათა ამ საქმეზე მასთან აღარავინ გამოეგზავნათ. ეს მოხდა დაახლოებით 1610 წელს. აბასს არ შეეძლო საქართველოს მიმართ თავისი გეგმების განხორციელება. იგი ომს აწარ-

მოებდა თურქების წინააღმდეგ. მან გულში ჩაიხშო წყენა და თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მთავრების ასამხედრებლად ევროპაში გაგზავნილ ერთ კარმელიტ მისიონერს დაავალა საქართველოზე გაეგლო და განსაკუთრებით ჩაეგონებინა თეიმურაზისათვის, რომ არ შეკავშირებოდა თურქებს და არ ემოქმედა მათ მხარეზე სპარსელების წინააღმდეგ. მეტისმეტად ადვილად მიმდობმა თუ მეტისმეტად მშიშარა თეიმურაზმა გააკეთა ის, რასაც მისგან ითხოვდნენ და რაც მალე სანანებელი გაუხდა, რადგანაც 1613 წელს აბასი ისფაჰანიდან იმ განზრახვით გაემგზავრა, რომ ომი დაეწყო საქართველოს წინააღმდეგ. სხვა დიდებულ თვისებებთან ერთად მეტისმეტად ვერაგი ბუნებითა და მტკიცე ხასიათით დაჯილდოებული ხელმწიფე ამ ომს უყურებდა როგორც სამიჯნურო ინტრიგას. ამტკიცებდა, რომ ლუარსაზის და უყვარდა და სურდა იგი; რომ თავისი გულითადი მეგობრის საშუალებით წერილებს უგზავნიდა მას. იმასაც ამბობდა, თითქოს დარეჯანს პირობა ჰქონდა მისთვის მიცემული, ლუარსაზი კი მოღალატე და უსამართლოაო. სინამდვილეში კი მისი სამზადისი სხვა რამისათვის იყო გამიზნული და არა ქალის მოცილესთან შესაბრძოლებლად; ყველანი კარგად ხედავდნენ, რომ ამ მთავარს უნდოდა ქართველები თავის ქვეშევრდომებად გაეხადა. მრავალი ქართველი ჰყავდა თავის ჯარში. მრავალ წარჩინებულს აძლევდა ჯამაგირს საქართველოში და მეჭრუც ყოველდღე კრებდა ხალხს მისი სამსახურისათვის. თეიმურაზის ორი ვაჟი, ლუარსაზის ერთი ძმა და ერთი და ჰყავდა მძევლად დაბოლოს, იმასაც კი მიაღწია, რომ საქართველოს სამეფო სახლის რამდენიმე მთავარს მაჰმადიანობა მიაღებინა, რათა სამეფისნაცვლოები გაემრავლებინა და დიდი შემოსავალი მიეღო. აბასი დარწმუნებული იყო, რომ ქართველებს ბოლოს მოუღებდა თუ მათ შორის შუღლს ჩამოაგდეზდა, რაც ადვილი საქმე იყო, განსაკუთრებით ასეთ... ხალხში. თეიმურაზს მისწერა ლუარსაზი უმადური, მეამბოხე, უგუნური და მეფობის უღირსიაო; რომ გადაწყვეტილი ჰქონდა მისთვის გვირგვინი ჩამოერთმია და თუ თეიმურაზი მას შეიპყრობდა ან მოკლავდა, მის სამეფოს თეიმურაზს გადასცემდა. ლუარსაზსაც იგივე მისწერა თეიმურაზის მიმართ. ამავე დროს კი თავისი ჯარის მთავარსარდალს

ლოლა-ბეგს¹⁴¹ უბრძანა ოცდაათათასიანი ცხენოსანი ლაშქრით საქართველოს შესეოდა და ცეცხლითა და მახვილით მოესრა იქაურობას³⁰⁶).

ლუარსაზსა და თეიმურაზს ურჩიეს შეკავშირებულიყვნენ. ისინი შეხვდნენ და გადასცეს ერთიმეორეს აბასის წერილები. როცა დარწმუნდნენ, რომ ორთავეს ნამდვილი დაღუპვა მოელოდათ, ფიცი დასდეს ერთად დაღუპულიყვნენ ან დაეხსნათ თავი. მათი კავ-

შირი რომ უფრო მჭიდრო და მტკიცე ყოფილიყო, ლუარსაბმა თავისი და, მშვენიერი დარეჯანი, მართლაც მიათხოვა თეიმურაზს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ქვრივი იყო. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, აბასი განრისხდა – საკუთარი ხელით უნდოდა ყელი გამოეჭრა თეიმურაზის ორი ვაჟისათვის და საქართველოდან წამოყვანილი სხვა მძევლებისათვის. იფიცებოდა, რომ ყველას გამოასალმებდა სიცოცხლეს. ბოლოს კი იმით დაკმაყოფილდა, რომ თავისი ლაშქრობა დააჩქარა, რათა მისი შეურაცხმყოფელი მეფეები ჩქარა დაესაჯა.

თეიმურაზმა, იგრძნო თუ არა სპარსეთის ჯარის მოახლოება, გადაწყვიტა თავის დასაცავად მომზადებულიყო. მაგრამ შეიტყო, რომ მისი სამეფოს დიდებულთა ერთი ნაწილი დანებებას ირჩევდა. მან თავისი დედა გაუგზავნა აბასს. მას შემდეგ, რაც დედოფალს უბედურება დაატყდა თავს და დაქვრივდა, იგი მონაზვნად იყო აღკვეცილი. მეგრელების რელიგიაზე საუბრის დროს, რომელც ისეთივეა როგორც ქართველებისა, მე აღვნიშნე, რომ ამ ქვეყანაში შემონაზვნებისათვის მხოლოდ მონაზვნის ტანსაცმლის ტარებაა საკმარისი, ასე რომ არც აღთქმის დადება და არც საკუთარი შეჩვეული ბინის დატოვებაა საჭირო. მარიამი ანუ ქეთევანი (მას ეს ორი სახელი ერქვა) ამ ტანსაცმელში იმიტომ გამოეწყო, რომ მის ღვთისმოსაობას მეტი ასკეტურობა და გამბედაობის იერი მისცემოდა. დედოფალი ამალითა და საუცხოო ძღვენით გაემგზავრა აბასთან და ისეთი სისწრაფით იარა, რომ აბასს ჯერ კიდევ ისფაჰანში ჩაუსწრო. ფეხქვეშ ჩაუვარდა მას და თავისი შვილისათვის პატიება შესთხოვა აბასს ყოველგვარი მორჩილება აღუთქვა, რადგანაც ფიქრობდა ამით ხელმწიფეს დააშოშმინებდა.

დედოფალი ხანდაზმული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი უნდა ყოფილიყო. პირველ დანახვისთანავე აბასს შეუყვარდა დედოფალი ან, შესაძლებელია, თავი მოაჩვენა

¹⁴¹ Lolla-beg.

მიჯნურად დედოფალს მაჰმადიანობის მიღება და ცოლობა შესთავაზა. ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი საოცრად ურყევი სიმტკიცითა და გამბედაობით დედოფალმა უარი განუცხადა ხელმწიფეს, უფრო თავის ღვთისმოსაობისა და უბიწოების გამო, ვიდრე იმის გამო, რომ სპარსეთის დედოფლების კარჩაკეტილი ცხოვრება ეზიზღებოდა. უარით გაწბილებულმა აბასმა, ან კიდევ, შესაძლოა, ეს მხოლოდ საბაზი იყო (რადგანაც ფიქრობენ, რომ ქეთევანის შერთვა მას თითქოს მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზზე შურისძიებისათვის უნდოდა), დედოფალი დაატყვევა და ერთ დამო-

რებულ სახლში გაგზავნა, ხოლო მისი ორი შვილიშვილი, როგორც უკვე ვთქვი, თეიმურაზისაგან მძევლად გამოგზავნილები, დაასაჭურისა და მაჰმადიანობა მიაღებინა. ამის შემდეგ იგი საქართველოსკენ გაემურა. ქეთევანმა მრავალი წელი დაჰყო საპყრობილეში, შემდეგ იგი შირაზში¹⁴² გადაიყვანეს, სადაც 1624 წელს აწამეს, აბასის მიერ საქართველოს დაპყრობის დიდი ხნის შემდეგ. ამ ქალაქის მმართველს, იმამ-ყული-ხანს¹⁴³ აბასმა მისწერა³⁰⁷), რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ქეთევანი გაემაჰმადიანებინა და თუ დაპირებები, მუქარა და თვით გვემაც კი არ გასჭრიდა, უკიდურესი წამებისათვის მიემართა. იმამ-ყული-ხანმა დედოფალს ბრძანება უჩვენა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ეს გასჭრიდა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ნამდვილად გმირულ და წმინდა სულზე თვით წამებამაც კი არ იმოქმედა. მან იგემა ჯოხი, ბორკილები, ცეცხლი და სული დალია გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე, რომელზედაც აწამეს მას შემდეგ, რაც რვა წლის განმავლობაში იესო ქრისტესათვის იტანდა წამებას, მით უფრო მტანჯველს იმით, რომ ყოველდღე ცვლიდნენ და აახლებდნენ მას. მისი გვამი შარაზე დააგდეს. შირაზში იმ დროს მყოფმა ავგუსტინელებმა ღამით მოიტაცეს გვამი, ბალზამირება გაუკეთეს, ჩადეს კუბოში და თეიმურაზს მალულად გაუგზავნეს ერთ-ერთი მათი თანამომძის საშუალებით³⁰⁸).

დავუბრუნდეთ საქართველოს წინააღმდეგ ომის მსვლელობას. აბასი თავისი ჯარით შეიჭრა საქართველოში. მეჰრუ წინ მიუძღოდა ჯარს, რომელიც ქართველებით იზრდებოდა, მათი რიცხვი დღითიდღე მატულობდა; ერთს იმედი და დაპირებები იზიდავდა, მეორეს კი შიში და შურისძიების სურვილი უბიძგებდა; ლუარსაბმა წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა, იმედი ჰქონდა, რომ სპარსელებს

¹⁴² Chiras. ¹⁴³ Iman-Kouli-Can (Imân quôly Khân)

ტყეში მოიმწყვდევდა და იქ გაანადგურებდა. თვით აბასმაც კი იფიქრა მიღალატეს და დავილუპეო; რადგან მისი ლაშქარი შეიჭრა თუ არა ქვეყანაში დაახლოებით ოცდახუთი ლიეთი, ლუარსაბმა თავისი ჯარი ორ ნაწილად გაჰყო და გასასვლელები დიდრონი მორებით ჩახერგა, ასე რომ სპარსეთის ჯარს არც წინ წასვლა შეეძლო და არც უკან დახევა. აბასი სასოწარკვეთილებლაში ჩავარდა, ხოლო მეჰრუს შეეშინდა, ვაითუ სიცოცხლეს გამომასალმონ, როგორც მოღალატეო, და ამიტომაც აბასს მოახსენა: თქვენო უდიდებულესობავ, გეფიცებით სამ დღეში გაგიყვანთ აქედანო. მეჰრუმ თავისი სიტყვა შეასრულა მან ქვეითი ჯარი ტყიდან გასასვლელი მოკლე გზაზე დააყენა, ხოლო თვითონ ქართველებით გარშემორტყმული ბანაკი მიატოვა და მხოლოდ ცხენოსანი ჯარი გაიყოლა თან. აბასმა

ისურვა თვითონ გაძლოლოდა ცხენოსან ჯარს და ტყიდან გამოსვლის შემდეგ შეიჭრა კახეთის სამთავროში და ისე გააჩანაგა, რომ თუთის ხეებიც კი ააჩეხინა, რათა ქვეყანა, რომელიც ამით უდიდეს მოგებას იღებდა, უსახსრობისაგან განადგურებულიყო³⁰⁹). როცა ლუარსაბმა ეს ამბავი შეიტყო, იფიქრა ჩემი აღსასრულის ჟამი დადგაო და

სამეგრელოში გაიქცა. აბასმა კარგად იცოდა, ვიდრე საქართველოს მეფეები თავისუფლები იქნებოდნენ, მისი გამარჯვება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა. ამიტომაც მან ლუარსაბს ასე მისწერა:

„რატომ გაიქეცი? მე მხოლოდ უმადური, მუხანათი, მეამბოხე თეიმურაზის წინააღმდეგ ვიბრძვი. მოდი, დამემორჩილეთ. საქართველოს სამეფოს მფლობელობას დაგიმტკიცებთ; ხოლო თუ არ მოხვალთ, საქართველოს სამეფოს მთლიანად გავაჩანაგებ და უდაბნოდ ვაქცევ“.

ლუარსაბი, სიფრთხილისა და თავისი ხალხის სიყვარულის გამო, აბასს დანებდა. ხელმწიფემ იგი მეგობრულად და დიდი პატივით მიიღო, რაც შეიძლება დიდი ზეიმითა და ბრწყინვალეობით კვლავ დახვა ტახტზე. ყოველივე ეს ქართველების უკეთ მოტყუებისა და ქვეყნის უბრძოლველად დაპატრონებისათვის იყო გაკეთებული. აბასმა ძვირფასი საჩუქრები უძღვნა ლუარსაბს, მათ შორის ძვირფასი თვლებით მორთული ჯიღა³¹⁰) და დაავალა მუდამ ეტარებინა იგი, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მასთან გამოცხადდებოდა. „ეს არის სამეფო ნიშანი, – უთხრა მან, – მე მსურს მუდამ გედგათ იგი თავზე, რათა ყველამ იცოდეს, რომ თქვენ მეფე ხართ“. თბილისიდან გამგზავრების დღეს აბასმა ლუარსაბს უთხრა: „აქედან ექვს ლიეზე შეგჩერდები; ხოლო ჩემს ჯარს წინ გავუშვებ. ხომ არ ინე ბებდით გამოყოლასო?“ ასე დაუგო აბასმა ლუარსაბს მახე,

308

რათა საცოდავი ქართველი მეფე მშვიდად გაეყვანა თავისი დედაქალაქიდან. ლუარსაბი თან გაჰყვა ისე, რომ ვერ მიუხვდა ბოროტ განზრახვას. აბასმა ლუარსაბისათვის ჯიღის მოპარვა უბრძანა მის მცველთაგან ერთ ცნობილ გაიძვერას, რომელიც მეტად დახელოვნებული იყო ამგვარ საქმეებში. ბრძანება შესრულებულ იქნა; როცა ლუარსაბი ხელმწიფესთან გამოცხადდა, მისმა უდიდებულესობამ ჰკითხა: „ლუარსაბ, სად არის თქვენი ჯიღა? განა არ დაგავალეთ მუდამ თან გეტარებინათ ეს სამეფო ნიშანი?“ – „თქვენო უდიდებულესობავ, – უპასუხა ლუარსაბმა, – ჯიღა მომპარეს, სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, გუშინდელი დღიდან ყველას ვაძებნინებ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვიპოვეთო“. „როგორ, – გაბრაზებით წამოიძახა ხელმწიფემ, – ჩემს ბანაკში საქართველოს მეფე გაქურდეს? მომგვარეთ მთავარი მოსამართლე, გუშაგი და სასამართლოს უფროსი მრჩეველი“. ეს მეორე ოინი იყო, რომლის საშუა-

ლებითაც საცოდავი ლუარსაბი უბრძოლველად უნდა შეეპყრათ. მართლაც, ლუარსაბი შეიპყრეს, აბასმა მისი მოკვლა ვერ გაბედა, რადგანაც ეშინოდა ამ ამბავს საქართველოში ამბოხება არ გამოეწვია. მან ლუარსაბი მაზანდარანში¹⁴⁴ (ეს არის ჰირკანია) გაგზავნა იმ იმედით, რომ ამ მხარის ცუდი ჰავა მომაკვდინებლად იმოქმედებდესო მასზე; მაგრამ როცა დაინახა, რომ ლუარსაბი იტანდა ამ ჰავას და სიკვდილს არ აპირებდა, იგი შირაზში გადააყვანინა) დაბოლოს, აქ გამოასალმა სიცოცხლეს ამ შემთხვევის შესახებ საჭიროა ცალკე იქვას.

ლუარსაბის მომხრე ქართველი დიდებულები დიდი ხნის განმავლობაში დაჟინებით სთხოვდნენ მოსკოვის დიდ მთავარს აბასთან ლუარსაბისათვის ეშუამდგომლა. მოსკოვის დიდმა მთავარმა სწორედ ამ მიზნით გამოგზავნა დიდი ელჩობა. გასაოცარი ჭკუისა და მოქმედების უნარის მქონე სპარსეთის ხელმწიფემ უბრძანა შირაზის მმართველს, რომელიც კასპიის ზღვაზე მდებარეობს და რომელიც უნდა გაეგლო სპარსეთში მიმავალ მოსკოვის ელჩს, გამოერკვია მხოლოდ ლუარსაბის საქმეების მოსაგვარებლად მოდიოდა ეს ელჩი თუ არა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი მართლაც დიდ ინტერესს იჩენდა ამ საქმისადმი, ხომ არ იყო მათთან რაიმე უთანხმოების ჩამოვარდნის საშიშროება. აბასს მოახსენეს, ელჩი მხოლოდ ამისათვის მოდისო. იგი დიდად წარჩინებული პიროვნებაა და რომ მისი ინსტრუქციები მეტად საჩქაროაო. რადგანაც აბასს არავითარი

¹⁴⁴ Mazenderan.

სურვილი არ ჰქონდა ქართველი მთავრისათვის თავისუფლება მიეცა და არც უარი ეთქვა მოსკოვის დიდი მთავრისათვის, მან შირაზის მმართველს მისწერა დატყვევებული ლუარსაბი თავიდანმოემორებინა ისე, რომ მის სიკვდილს უბრალო შემთხვევითობის ხასიათი მისცემოდა. აბასის ბრძანება შესრულებულ იქნა და მოსკოვის ელჩის ჩამოსვლის ორი დღით ადრე აცნობეს აბასს ამის შესახებ. ხელმწიფემ ბრძანა საჯაროდ შეეტყობინებინათ მისთვის ეს ამბავი და საშინლად გაოცებული და გაბრაზებული სახე მიიღო. “ოჰ! ღმერთო ჩემო, – თქვა მან, – რა საწყენია; კი მაგრამ როგორ მოკვდა?” „თქვენო უდიდებულესობავ, – უპასუხა შიკრიკმა, – იგი სათევზაოდ წავიდა და როცა ბადე გადაისროლა, ტბორში ჩავარდა და დაიხრჩო“³¹¹). „ჩემი სურვილია, – ბრძანა ხელმწიფემ, – ყველა მცველი დახოცონ, რადგანაც მის მიმართ სათანადო მზრუნველობა არ გამოიჩინეთ“. მოსკოვის ელჩმა აუდენცია მიიღო; ნადიმის შემდეგ, როცა კარგად ასვეს ღვინო, ხელმწიფემ ბრძანა მოახლოვებოდა მის უდიდებულესობას და უთხრა: „მამ ასე, ბატონო ელჩო, რა სურს

ჩემს ძმას, რუსეთის მეფეს? ელჩმა მოახსენა მისი დავალება. მაგრამ როგორც კი წარმოსთქვა მან ლუარსაბის სახელი, ხელმწიფემ უთხრა: „მე ვფიქრობ, თქვენ იცით რა უბედურება შეემთხვა ამ საცოდავ მთავარს. უსაზღვროდ ვწუხვარ. ღმერთს რომ მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, სულითა და გულით შევასრულებდი თქვენი, მბრძანებლის სურვილს“.

ლუარსაბის ადგილზე საქართველოს მმართველად მისი ძმა დასვეს, რომელსაც წინასწარ მაჰმადიანობა მიაღებინეს. იგი ერთდროულად ატარებდა ქართულ და სპარსულ ტიტულს – ერქვა ბაგრატ-მირზა,¹⁴⁵ ე. ი. „სამეფო მთავარი“³¹²). აბასმა დატოვა აგრეთვე საქართველოში ჯარი, თეიმურაზისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ეს მთავარი თავდაპირველად ომს აწარმოებდა იმ მცირეოდენი დახმარებების წყალობით, რომელსაც იგი იღებდა თურქებისაგან და შავი ზღვის მხრიდან მეზობელი ქრისტიანი მთავრებისაგან, რომელთა მამულებშიც იგი გადაიხვეწა თავისი საქმეების მოსაგვარებლად. მაგრამ როცა თეიმურაზმა დაინახა, რომ ამით ვერას გახდებოდა, კონსტანტინოპოლს წავიდა, თურქებს დახმარება სთხოვა, და მიიღო კიდევ. საქართველოში მოვიდა თურქების დიდი ჯარი, რომელმაც მრავალჯერ სძლია სპარსეთის ჯარებს და თეიმურაზს თავისი

¹⁴⁵ Bagrat-Mirza.

კახეთის სამეფო დაუბრუნა. მაგრამ თეიმურაზი დიდხანს არ ყოფილა აქ; წავიდნენ თუ არა თურქები, აბასი საქართველოში დაბრუნდა და სახე უცვალა მას; ააშენა ციხე-სიმაგრეები და შიგ წმინდა სპარსელები ჩააყენა. საქართველოდან კი ოთხმოც ათას ოჯახზე მეტი აყარა და უმრავლესობა ჩაასახლა კასპიის ზღვაზე მდებარე ქვეყანაში – მაზანდარაში, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, იყო ჰირკანია; დანარჩენები – არმენიაში, მიდიასა და სპარსეთის (ფარსის)¹⁴⁶, პროვინციაში, ხოლო მათ ადგილას სპარსელები და სომხები დაასახლეს³¹³). ასეთ სიმკაცრესთან ერთად, მან ღმობიერებაც გამოიჩინა, რადგანაც უნდოდა ნიადაგი მოესინჯა – ამით უკეთ ხომ ვერ იყოლებდა ამ ხალხს მორჩილებაში; მან ფიცით განმტკიცებული შეთანხმება დადო ქართველებთან, რომელიც მას და მის მემკვიდრეებს უნდა შეესრულებინათ: „მათ ქვეყანას სრულებით არ უნდა დაკისრებოდა გადასახადი; არ უნდა შეცვლილიყო სარწმუნოება; ეკლესიები არ უნდა დანგრეულიყო და მეჩეთები არ უნდა აშენებულიყო; მათი მეფისნაცვალი მუდამ ქართველი იქნებოდა მათივე სამეფო გვარიდან, მაგრამ სარწმუნოებით მაჰმადიანი; მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, რომელსაც სურვილი ექნებოდა სარწმუნოება შეეცვალა, მმართველისა და მთავარ-მოსამართლის თანამდებობას მიიღებდა ისფაჰანში

იმ დრომდე, ვიდრე მამისაგან მემკვიდრეობა არ გადაეცემოდა“.

1628 წელს აბასი გარდაიცვალა; თეიმურაზმა შეიტყო თუ არა მისი სიკვდილის ამბავი, საქართველოში დაბრუნდა, ქართველები აამხედრა, მეფისნაცვალი მოკლეს და ამოჟლიტეს ყველა სპარსელი, რომელსაც კი შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მან სძლია რამდენიმე გამაგრებული ქალაქი, გარდა თბილისისა, მაგრამ მათი შენარჩუნება ვერ შეძლო. აბასის მემკვიდრემ, მისმა შვილიშვილმა სეფიმ¹⁴⁷, 1631 წელს თეიმურაზის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა როსტომ-ხანი¹⁴⁸ მეთაურობით³¹⁴). იგი ქართველი იყო, იმ მეფისნაცვლის სიმონ-ხანის¹⁴⁹ ვაჟი, რომელიც ქართველებმა მოკლეს. აბასის სიკვდილის შემდეგ იგი მთავარი მოსამართლე იყო. ისფაჰანში და ხოსრო-მირზად¹⁵⁰ იწოდებოდა.. ხელმწიფე სეფი მას მამაც მებრძოლად თვლიდა და ფიქრობდა, რომ იგი მეტად გაჯავრებული უნდა ყოფილიყო ქართველებზე, ამიტომაც დანიშნა იგი თავისი ჯარის მხედართმთავრად და საქართველოს მეფისნაცვლად მისი მ-

¹⁴⁶ Fârs. ¹⁴⁷ Sefy. ¹⁴⁸ Rustan-Can (Roustam Khân). ¹⁴⁹ Simon-Can.

¹⁵⁰ Cosrou Mirza (Khosrou-Myrzâ).

მის ადგილზე³¹⁵). როსტომ-ხანმა ქართველები მრავალ ბრძოლაში დაამარცხა, კვლავ დაეპატრონა მთელ ქართლსა და კახეთის სამეფოს ერთ ნაწილს და გამოედევნა თეიმურაზს, რომელიც იძულებული შეიქმნა კავკასიის მთის გამაგრებულ ადგილებს შეფარებოდა. ეს მთავარი ერთდროულად მამაციცაა და უბედურიც. რამდენიმე წლის განმავლობაში მედგრად იდგა ამ მთებში; იგი ლტოლვილს უფრო ჰგავდა, რომელიც თავის სიცოცხლეს იცავს, ვიდრე მეფეს, რომელიც გვირგვინის დასაცავად იბრძვის; როცა ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო ვერც თურქებისა და ვერც ქრისტიანებისაგან, თეიმურაზი მოსკოვის სახელმწიფოში გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად; მაგრამ როცა აქაც ვერაფერს გახდა, იმერეთში წავიდა თავის დასთან³¹⁶) იმერეთის დედოფალთან, რათა აქ დაესრულებინა თავისი სიცოცხლე. მას იმედი გაუწყდა, რომ ოდესმე დადგებოდა ის დღე, როცა იგი თავის წინაპართა სამფლობელოში დაბრუნებას შეძლებდა. შაჰნავაზ-ხანმა¹⁵¹ აქ შეიპყრო თეიმურაზი, როცა იმერეთის ამ პატარა სამეფოს დაეპატრონა და იქ თავისი ვაჟი დასვა მეფედ. როგორც მე უკვე ვთქვი, თეიმურაზს დიდი სურვილი ჰქონდა თავის ქვეყანაში დამარხულიყო; სწორედ ამის გამო უარი თქვა თურქეთში წასვლაზე, რაც ადვილად შეეძლო განეხორციელებინა გარდა ამისა, იგი ფიქრობდა, რომ თავისი ხანდაზმულობის გამო თურქები მას უფრო ცუდად მოექცეოდნენ, ვიდრე სპარსელები. შაჰნავაზ-ხანმა იგი თბილისში ჩამოიყვანა და ხელმწიფეს მისწერა

ცნობილი თეიმურაზ-ხანი ჩემს ხელშიაო. ხელმწიფემ შემოუთვა-
ლა კარზე მომგვარეო. თეიმურაზი ღრმა მოხუცი იყო. დაღლილობამ
და სევდა-კაემანმა იგი დააავადმყოფა. ხელმწიფემ იგი ჩინებულად
დაასახლა ერთ-ერთ თავის სასახლეში და თავის მკურნალებს უბრ-
ძანა დიდი მზრუნველობით მოევლოთ მისთვის. 1659 წელს თეიმუ-
რაზი გარდაიცვალა³¹⁷). მისი ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს
და ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ზარით მიაბარეს მიწას.

როდესაც როსტომ-ხანმა კვლავ დაიმორჩილა საქართველო,
მან გორის ციხე ააგო, როგორც უკვე ვთქვი. ყველგან მშვიდობა და
წესრიგი დაამყარა და მმართველობდა დიდი ღმობიერებითა და სა-
მართლიანობის დაცვით. მან ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის,
ლევან დადიანის და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქრისტიანი იყო და
განათხოვარი მისი ქმარი გურიის მთავარი იყო. ლევანმა, განრისხე-

¹⁵¹ Chanavas-Can.

ბულმა იმით, რომ გურიის მთავარს მის წინააღმდეგ პირი ჰქონდა
შეკრული, მას სამთავრო წაართვა, დააბრმავა და წამოიყვანა მისი
ცოლი, რომელიც როსტომ-ხანს მიათხოვა ისე, რომ სამეგრელოსა
და საქართველოს სამღვდელოებამ ვერ შეძლო ხელი შეეშალა ამ
შემზარავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კავშირისათვის. ამ დედოფალს
მარიამი ერქვა. ჩვენ მის შესახებ ვილაპარაკეთ იმერეთის უკანასკ-
ნელ გადატრიალებებზე საუბრის დროს. დღეს იგი შაჰნავაზ-ხანის,
საქართველოს მმართველის ცოლია.

1640 წელს გარდაიცვალა როსტომ-ხანი³¹⁸). მისი ცხედარი
ყუმს¹⁵² გადაასვენეს და მიწას მიაბარეს. შაჰნავაზ-ხანი თეიმურაზის
ნათესავი, იმ დროისათვის ისფაჰანის მმართველი და მთავარი მოსა-
მართლე იყო. როსტომ-ხანს შვილი არ ჰყავდა, მან იგი იშვილა, გაგ-
ზავნა კარზე და ხელმწიფეს შესთხოვა როგორც მისი ვაჟი, ისე მიეღო
და დაემტკიცებინა მისი შვილად აყვანა. მისმა აღმატებულებამ
არჩევანი მოიწონა. წინადაცვეთის ცერემონიალი ჩაუტარა ამ ახალ-
გაზრდა უფლისწულს და ქალაქის მმართველობა მისცა. დღეს სა-
ქართველოს მეფისნაცვალის სწორედ ეს შაჰნავაზ-ხანია. იგი ოთხ-
მოც წელზე მეტისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად არის.

როგორც კი გარდაიცვალა როსტომ-ხანი, მისმა მეუღლემ, დე-
დოფალმა მარიამმა, შეიტყო, რომ მის უდიდებულესობას უბრძა-
ნებია დედოფალი მისთვის მიეგვარათ, რადგანაც სპარსეთის ხელ-
მწიფეს ბევრი რამ სმენია მისი წარმტაცი სილამაზის შესახებ. დე-
დოფალს ურჩიეს ან სამეგრელოში გაქცეულიყო, ან სხვაგან გადა-
მალულიყო. მან საწინააღმდეგო გზა აირჩია, რადგანაც კარგად
იცოდა, რომ სპარსეთის სახელმწიფოში არ იყო ისეთი ად-

გილი, სადაც ხელმწიფეს არ შეეძლო მისი პოვნა; სამი დღით თბილისის ციხეში ჩაიკეტა, რათა ხელში არ ჩავარდნოდა იმას, ვისაც იგი სურდა; ამ ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ციხისთავის ცოლები ნახულობდნენ. შემდეგ კი ციხისთავი მოიწვია თავისთან და უთხრა, რომ ნდობოდა მის ცოლებს, რომლებიც მას ნახულობდნენ და ხელმწიფისათვის მიეწერა, რომ დედოფალი არც თუ ისეთი მომხიბლავი სილამაზისაა, ხანდაზმულია და ამავე დროს ცოტა მახინჯიც და რომ დედოფალი მის უდიდებულესობას ემუდარება ნება მისცეს სიცოცხლის უკანასკნელი დღეები თავის ქვეყანაში დაჰყოს. ამავე დროს დედოფალმა ხელმწიფეს ძღვენი გაუგზავნა, უამრავი ოქრო-ვერცხლი და ოთხი უტურფესი ყმაწვილი ქალი. ძღვენის

152 Com.

313

გაგზავნის შემდეგ დედოფალს აღარავის ნახვა აღარ სურდა, მან მოკრძალებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი, დიდ მოწყალებას აძლევდა ღარიბებს, რათა ღვთის წინაშე ელოცათ მისთვის. სამი თვის შემდეგ კი შაჰნავაზ-ხანმა მისი შერთვის ბრძანება მიიღო. მთავარი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ბრძანებას, რადგანაც მარიამი მეტად მდიდარი იყო და შეირთო იგი, თუმცა მას სხვა ცოლიც ჰყავდა³¹⁹). მარიამს მუდამ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მისი სიმდიდრის გამო. დედოფლის პირველი ქმარი, გურიის მთავარი, ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ძალზე მოხუცია და მოტეხილი. იგი საქართველოში ცხოვრობს. დედოფალმა მას ერთ-ერთი სეფექალი მისცა, რათა ნუგეში ეცა მისი დაკარგვის გამო და საარსებო სახსრებიც გაუჩინა, თუმცა სიმართლე რომ ვთქვათ, მეტად მცირე, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ კიდევ იჩენდა სინაზეს; რამდენიმე წლის წინათ, იმერეთის საზღვარზე ყოფნის დროს, დედოფალმა იგი თავისთან მოიწვია და რვა დღე დაიტოვა. ამის გამო შაჰნავაზ-ხანმა იეჭვიანა, დედოფალმა კი სასაცილოდ აიგდო მისი ეჭვიანობა და უთხრა, რომ მან დიდი პატივი დასდო ამ ბრმა, ლატაკ, საბრალო, მასავით უსუსურ, საწყალ მოხუცს თავისი ეჭვიანობით.

ქართველ დიდებულთა უმრავლესობა გარეგნულად მაჰმადიანობას აღიარებს. ზოგი ამ სარწმუნოებაზე გადადის იმიტომ, რომ თანამდებობა ჰქონდეს კარზე და სახელმწიფოს ჯამაგირი მიიღოს; სხვები კი იმისათვის, რომ გახდნენ ღირსნი ხელმწიფისათვის საკუთარ ასულთა მითხოვებისა, ან კიდევ მხოლოდ იმისათვის, რომ ხელმწიფის ცოლებთან მოახლეებად მაინც შესძლონ მათი დაყენება. ამ ლაჩარ წარჩინებულთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც თვითონ მიჰყავთ თავიანთი ულამაზესი ქალიშვილები ხელმწიფისათვის, ჯილდოდ კი იღებენ ჯამაგირს ან თანამდებობას. მაჰმადიანურ

სარწმუნოებას ყოველთვის წინასწარ ღებულობენ. ჯამაგირი ეძლე-
ვით მათი წოდების შესაბამისად. მაგრამ ჩვეულებრივად იგი ორი
ათას ეკიუს არ აღემატება. თბილისში ჩემი ყოფნის დროს ერთი
მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა ამ ნიადაგზე. ერთმა ქართველმა
დიდებულმა ხელმწიფეს აცნობა, ულამაზესი დისწული მყავსო.
მისმა უდიდებულესობამ მაშინვე ბრძანა მისთვის მიეყვანათ ეს ქა-
ლი ამ ბოროტმა კაცმა თავის თავზე აიღო ამ ბრძანების შეტყობი-
ნება და მისი შესრულება. თავის ქვრივ დასთან მივიდა და უთხრა:
სპარსეთის ხელმწიფეს შენი ასული სურს და საჭიროა იგი დაიყო-
ლიოო. როცა დედამ ამ ძალმომრეობის შესახებ თავის საცოდავ

314

ქალიშვილს აცნობა, იგი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მას მეზობ-
ლად მცხოვრები ერთი ახალგაზრდა დიდებული უყვარდა ამ ახალ-
გაზდასაც ძლიერ უყვარდა ქალიშვილი. დედამ კარგად იცოდა ეს
ამბავი. მათ გადაწყვიტეს თავიანთი უბედურება ყმაწვილი კაცისა-
თვის ეცნობებინათ. მას მსახური გაუგზავნეს ამბავის შესატყობი-
ნებლად. ყმაწვილმა შუალამეს მიირბინა მათთან და ნახა კარჩაკე-
ტილი დედა და შვილი, რომლებიც დიდი მწუხარებით დასტიროდ-
ნენ თავიანთ უკუღმართ ბედს. ყმაწვილი ფეხებში ჩაუვარდა მათ
და უთხრა: არაფრისა ისე არ მეშინია, როგორც ჩემი სატრფოს და-
კარგვისაო. სპარსეთის ხელმწიფის ყოველგვარი გულისწყრომა
არაფრად მიმაჩნია ამ სიმწარესთან შედარებითო; დაბოლოს, ამ
მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა ჩვენი ახლავე
შეუღლებაო; ხვალ კი გაიძვერა ნათესავს შევატყობინოთ, რომ
ქალიშვილი, რომელსაც ხელმწიფე მოითხოვს, უკვე გათხოვილიაო.
ყმაწვილის რჩევა მიიღეს. როცა დედა ოთახიდან გავიდა, შეყვარე-
ბულმა ყმაწვილმა ცრემლები მოწმინდა თავის სატრფოს და ისინი
მაშინვე შეუღლდნენ. ბიძა მიუხვდა მათ ოინს და ხელმწიფეს აც-
ნობეს ეს ამბავი. მისი უდიდებულესობა განრისხდა და სასტიკი ბრძა-
ნება გასცა: დედა, ქალიშვილი და ქმარი კარზე მოეყვანათ. მაგრამ
ისინი გადაიმაღლნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში იმალებოდნენ
ხან აქ, ხან იქ. ბოლოს, როცა დაინახეს, რომ ვეღარ შეძლებდნენ
მდეგრის ხელიდან გასხლტომას, ახალციხეს შეაფარეს თავი და
ფაშამ თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ისინი.

ამისთანა შემთხვევებისა ეშინიათ საქართველოში და ისინი,
ვისაც ლამაზი ქალიშვილები ჰყავთ, იძულებულნი არიან რაც შეიძ-
ლება ადრე, თვით ბავშვობაშიც კი გაათხოვონ ისინი. მეტადრე
ღარიბი ხალხი ათხოვებს თავიანთ ქალიშვილებს ძალიან ადრე,
ზოგჯერ აკვანშიც კი. ამას იმიტომ ჩადიან, რომ მებატონებმა, რო-
მელთა ქვეშევრდომებიც ისინი არიან, არ მოსტაცონ ქალიშვილები
გასაყიდად, ან კიდევ ხასებად არ დაისვან. ცხადია, რომ გათხოვილი

ქალების მიმართ, ბავშვებიც რომ იყვნენ დიდ თავდაჭერილობას იჩენენ და ადვილად ვედარ ბედავენ თავიანთ ოჯახებს მოაშორონ ისინი.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, კახეთის სამეფო ახლა სპარსეთის ხელმწიფეს ემორჩილება. შაჰნავაზ-ხანმა საბოლოოდ დაასრულა მისი დამორჩილება. მეფისნაცვალი რომ გამხდარიყო, მისმა ვაჟმა არჩილმა მაჰმადიანობა მიიღო. ჩვენ ვილაპარაკეთ მის შესა-

315

ხებ და იმ სიყვარულის შესახებ, რომელიც მას იმერეთის მეფის ცოლის ნესტან-დარეჯანის მიმართ ჰქონდა, როცა ამ პატარა სამეფოში უკანასკნელ ხანს მომხდარ არეულობათა შესახებ გვქონდა საუბარი. ნესტან-დარეჯანი ახალციხეში იყო დატყვევებული. ფაშები მას დიდი პატივით ეპყრობოდნენ მას შემდეგ, რაც არჩილმა თვალთაგან დაკარგა ნესტან-დარეჯანი, იგი მუდამ ფიქრობდა მათზე. მამამისმა იმდენი იმოქმედა ფაშაზე საჩუქრებით თუ ხრიკებით, რომ 1660 წელს ამ ქალის განთავისუფლება შეძლო. ნესტან-დარეჯანი დიდი ამბით ჩამოიყვანეს თბილისში. არჩილმა მაშინვე ჯვარი დაიწერა მასზე და ამ ქორწინებით მან უფლება მიიღო კახეთის სამეფოზე, რომლის მეფისნაცვალაც იგი ფაქტიურად იყო, რადგანაც ნესტან-დარეჯანი იყო თეიმურაზ-ხანის ქალიშვილი და ერეკლეს¹⁵³ და; ეს არის ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც ამ ბედკრულ მთავარს დარჩა და რომელსაც შეეძლო მისი მემკვიდრე გამხდარიყო³²⁰) მისი დანარჩენი შვილები თვალეზდათხრილები იყვნენ. ერეკლე თავის დედასთან ერთად მოსკოვს გადაიხვეწა ამბობენ დიდ მთავარს მათი წოდების შესაფერი ამალითა ჰყავს ისინი გარემომორტყმულიო. არჩილთან, კახეთის მეფისნაცვალთან ერთი საინტერესო ამბავია დაკავშირებული. სიყმაწვილეში იგი დანიშნული ყოფილა საქართველოს ერთ მეტად წარჩინებული ოჯახის ქალზე³²¹). ქალიშვილს დიდი იმედი ჰქონია, რომ მისი ცოლი გახდებოდა, რადგანაც ამ ქვეყანაში გაუგონარი ამბავია საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა. როცა ქალმა შეიტყო, რომ არჩილი ნესტან-დარეჯანს ირთავსო ცოლად, მან კაცი გაუგზავნა არჩილს და პასუხი მოსთხოვა იმ დანაშაულის გამო, რომლითაც იგი ჩრდილს აყენებდა მის პატიოსნებას. საქართველოში ასე გამოხატავენ იმ შეურაცხყოფას, როდესაც დანიშნულ ქალს მიატოვებენ და სხვაზე დაქორწინდებიან. ამ ქალმა მოინდომა დამნაშავისათვის პასუხი მართლმსაჯულების საშუალებით მოეთხოვა; მაგრამ რადგანაც მისი მოწინააღმდეგის დიდი ავტორიტეტისა და თანამდებობის გამო ამ გზით ვერაფერს გახდა, იგი ოთხას კაცს გაუძღვა და თავისი ორგული საქმრო საბრძოლველად გამოიწვია. არჩილმა უარი განაცხადა და შემოუთვალა არავითარი სურვილი არა მაქვს ქალის წინააღმდეგ ვიბრძოლო;

ისე კი ჯობს დიდ ხმაურს ნუ ატეხ, თორემ საჯაროდ განვაცხადებ, რომ სიზი¹⁵⁴ (კარის ერთი ახალგაზრდა დიდებული) შენთან სატრ-

¹⁵³ Heraclē. ¹⁵⁴ Sizi.

316

ფიალო კავშირით კვეხულობდაო. ქალი მეტისმეტად განრისხდა და თავისი გულისწყრომა ახლა სიზის წინააღმდეგ მიმართა, რადგანაც მის აბუჩად აგდებას ცილისწამებაც დაემატა; სიზი ორთაბრძოლაში გამოიწვია, მაგრამ ვერ დაიყოლია; მაშინ ჩაუსაფრდა მას, გააქცია, დაედევნა და ოც კაცზე მეტი მოუკლა. ამ ქალს ძმა ჰყავდა, რომელმაც სიზის ჩხუბი აუტეხა. მთავარმა და მთელმა კარმა ძალღონე არ დაიშურეს, რათა ისინი შეერიგებინათ, მაგრამ რადგანაც ვერაფერს გახდნენ, ნება დართეს იარაღის საშუალებით გადაეწყვიტათ თავიანთი დავა. ასეთი ჩვეულებაა საქართველოში: როცა მართლმსაჯულება ვერ ახერხებს დიდებულთა შორის დავის ვერც გადაწყვეტას და ვერც შეთანხმებას, მათ ერთმანეთთან შებრძოლების ნება ეძლევათ. მოწინააღმდეგენი აღსარებას იტყვიან, ეზიარებიან და ამგვარად სასიკვდილოდ შეებმიან ერთმანეთს. ამას უწოდებენ „ღვთის სამსჯავროზე გასვლას“. ქართველები ირწმუნებიან, რომ ეს გზა – დამნაშავეის დასჯის ღვთისადმი მიზნობა – ძალიან კარგი და მიუდგომელია, მაშინ როცა ადამიანურ მართლმსაჯულებას არ ძალუძს გაარკვიოს დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, ან ტყუილად დებს თუ არა მას ბრალმდებელი ბრალს. სიზი და მისი მოწინააღმდეგე დანიშნულ ადგილას გამოცხადდნენ, მაგრამ მოჰკიდეს თუ არა ხელი იარაღს, მეომრებისაგან შემდგარმა რაზმმა ისინი გააშორა. სირცხვილისა და ჯავრისაგან ქალი მალე გარდაიცვალა, ხოლო მისი ძმა მთავრის გავლენამ აიძულა არჩილსა და სიზის შერიგებოდა.

ვიდრე იმის თხრობაზე გადავიდოდე, თუ რა შემემთხვა თბილისში, საჭიროა ავწერო იგი, თუმცა თანდართული ნახატი (სურათი 3.) საკმაო წარმოდგენას იძლევა ამ ქალაქის შესახებ.

თბილისი... ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. თუმცა ძილიან დიდი არ არის. იგი გაშენებულია მთის ძირში, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან მდინარე მტკვარი ჩამოუდის. ამ მდინარეს, რომელიც კირს ან კირის შენაკადს³²²) წარმოადგენს, სათავე საქართველოს მთებში აქვს და ქალაქ შემახას ახლოს მდებარე პეინარდად¹⁵⁵ წოდებულ ადგილას უერთდება არაქსს¹⁵⁶, აქედან კი ისინი ერთად ერთვებიან ზღვას. მდინარის ნაპირზე გაშენებული სახლების უმრავლესობა ციცაბო კლდეზე დგას. ქალაქი, გარდა მდინარის მხარისა, საუცხოო და მაგარი კედლითაა შემოზღუდული, კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის გადაჭიმული, რომელზედაც სამხრეთის



მხრიდან მთის ფერდობზე დიდი ციხე დგას³²³) მასში მეციხოვნეები-
ცა და მცხოვრებლებიც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სპარსელები
არიან. არსებული საასპარეზო მოედანი ერთდროულად
საკრებულოც არის და ბაზარიც. ეს ციხე თავშესაფარს წარმოად-
გენს. იგი უსაფრთხო ადგილია დამნაშავეთათვისაც და იმათთვისაც
ვისაც ვალი აქვს გადაუხდელი. 'საქართველოს მთავარი, როდესაც
ხელმწიფის წერილებისა და საჩუქრების მისაღებად, ჩვეულებისა-
მებრ, ქალაქის კარიბჭის გარეთ გადის ხოლმე, მან ციხის შუაგულ-
ში უნდა გაიაროს, რადგანაც სპარსეთიდან თბილისში შემოსვლა
მხოლოდ და მხოლოდ ამ ციხის გავლით შეიძლება. დარწმუნებით
შეიძლება ითქვას, რომ მთავარს აქ გავლის დროს მუდამ იმის შიში
აქვს, არ შემიპყრონო, ვაი თუ ციხისთავს საიდუმლო ბრძანება აქვს
მიღებული ჩემი შეპყრობისაო. სპარსელებმა მეტად გონივრულად
დაამკვიდრეს ეს წესი: საქართველოს მეფისნაცვალს და მათ სახელ-
მწიფოში შემავალი პროვინციების სხვა მმართველები ხელმწიფის
გზავნილებათა მისაღებად ქალაქგარეთ წუნდა გავიდნენ, რადგანაც
ეს არის უადვილესი საშუალება მათი შეპყრობისა, ყოველგვარი
გართულებისა და საფრთხის გარეშე.

თბილისის ციხე თურქებმა ააშენეს 1576 წელს, მას შემდეგ, რაც
ისინი ქალაქისა და მთელი მისი გარეუბნების ბატონ-პატრონი გახდ-
ნენ, უმაღლესი მთავარსარდლის ცნობილი მუსტაფა-ფაშას¹⁵⁷ წინამ-
ძღოლობით, რომელსაც სიმონ-ხანი, ამ ქვეყნის იმდროინდელი მე-
ფე, ვერ გაუმკლავდა. მუსტაფამ სულეიმანს¹⁵⁸ ურჩია საქართვე-
ლოში რამდენიმე ციხე-სიმაგრე აეგო, რომლის გარეშე იგი ვერ
შეძლებდა ქვეყანა მორჩილებაში ჰყოლოდა; სულეიმანი ასეც მო-
იქცა და, მართლაც, საქართველოს ციხე:სიმაგრეთა უმრავლესობა
თურქების მიერაა აშენებული. მუსტაფამ ასზე მეტი ზარბაზანი
დადგა ამ ციხის კედლებზე და ციხისთავად დააყენა ერთი ფაშა,
რომელსაც მაჰმადი ერქვა¹⁵⁹.

მაგრამ დავუბრუნდეთ ქალაქ თბილისის აღწერას; აქ არის რამ-
დენიმე ეკლესია. მათი რიცხვი თორმეტამდე აღწევს. ეს უდავოდ
ბევრია ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ღვთისმომშიშობა ესოდენ დაკ-
ნინებულია. ექვსი მათგანი ქართველებისაა – ისინი სარგებლობენ
ამ ეკლესიებით, დანარჩენები სომხებს ეკუთვნის. ტაძარი, რომელ-
საც სიონი¹⁶⁰ ეწოდება, მდინარის ნაპირზეა გაშენებული და ნაგებია

157 Mustafa-pacha. 158 Soliman. 159 Mahamet bassa (Pâchâ). 160 Sion.

მშვენიერი თლილი ქვით იგი უძველესი ნაგებობაა და ჰგავს აღმო-
სავლეთის ყველა ძველ ეკლესიას, რომელიც ოთხი ნავისაგან შედ-
გება; შუაში ოთხ დიდ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათია აღმართუ-

ლი, მას ზემოთ კი სამრევლოა. მთავარისაკურთხეველი აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი ნაწილის შუაშია მოთავსებული. ეკლესია შიგნით ბერძნული სტილის უხეირო მხატვრობითაა მორთული. მხატვრობა დიდი ხანი არ არის რაც შეუსრულებიათ ისეთ ხელგაუწაფავ მხატვრებს, რომ ძნელი გასარკვევია რის წარმოსახვა სურდათ მათ³²⁴). საეპისკოპოსო სახლი ეკლესიას ეკვრის. აქ ცხოვრობს თბილელი¹⁶¹. ასე უწოდებენ თბილისის ეპისკოპოსებს. ამ კათედრალის შემდეგ, საქართველოს მთავარი ეკლესიებია: თეთრაშენი¹⁶², ე. ი. „თეთრი შენობა“, რომელიც მარიამ დედოფალს აუგია, და ანჩისხატი¹⁶³, ე. ი. ავგარის¹⁶⁴ ხატი. ქართველები ავგარს ანჩს უწოდებენ და ფიქრობენ, რომ სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მან იესო ქრისტესაგან მიიღო, დიდი ხნის განმავლობაში აქ ინახებოდა³²⁵). ამ ეკლესიას უწოდებენ აგრეთვე კათალიკოსის ეკლესიას, რადგანაც ამ პრელატის სასახლე მას ეკვრის და იგი არასოდეს არ დადის სხვაგან წირვა-ლოცვის შესასრულებლად. ეკლესია მდინარის ნაპირზე ეპარქიის პარალელურად მდებარეობს. ქართველებს ჰქონდათ აგრეთვე ერთი მშვენიერი ეკლესია ქალაქის ბოლოს, სამხრეთის მხარეს. ამ რამდენიმე წლის წინათ მთავარმა მისაკუთრა ეს ეკლესია და თოფის წამლის საწყობად აქცია. მართალი რომ თქვას კაცმა, იგი საეკლესიო მსახურებისათვის აღარც კი ვარგოდა, რადგანაც ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იგი მეხს დაუზიანებია. მთავარმა იგი შეაკეთებინა და საწყობს ახლაც ეკლესიის ძველი სახელი მეტეხი¹⁶⁵ ეწოდება, რაც წარმოდგება სიტყვისაგან „ტეხა“. ამ ეკლესიას ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ იგი საქართველოს ერთ მეფეს აუშენებია იმ ცოდვის მოსანანიებლად, რომელიც მან თავის მეზობელ მთავართან ზავის უმიზეზოდ დარღვევით ჩაიდინა³²⁶).

სომხების მთავარი ეკლესიებია: ფაშა-ვანქი¹⁶⁶, ე. ი. „ფაშას მონასტერი“. თბილისის სომეხი ეპისკოპოსი ამ მონასტერში ცხოვრობს. ამ ეკლესიას ასე იმიტომ უწოდებენ, რომ, სომეხთა თქმით, იგი აუშენებია ერთ ფაშას, რომელიც თურქეთიდან გამოქცეულა და

¹⁶¹ Tibilèle. ¹⁶² Tetrachen. ¹⁶³ Ariguéscat. ¹⁶⁴ Abagare. ¹⁶⁵ Metek.

¹⁶⁶ pacha-vane.

ამ ქალაქში მიუღია ქრისტიანობა. შემდეგ მოდის სურფ-ნიშანი¹⁶⁷, ე. ი. ზუსტად რომ ვთქვათ, „წითელი ნიშანი“, რაც გადატანითი მნიშვნელობით „წმინდა ჯვარს“ ნიშნავს. შემდეგ ფეთხაინი¹⁶⁸ ანუ ბეთლემი¹⁶⁹; ნორაშენი¹⁷⁰ ანუ „ახლად ნაშენი“ და მოგნაი¹⁷¹. მოგნაი ერევანთან ახლოს მდებარე სომხების ერთი სოფლის სახელწოდებაა, სადაც როგორც ირწმუნებიან, დიდი ხნის განმავლობაში ინა-

ხეზოდა წმინდა გიორგის თავის ქალა. მაგრამ შემდეგ თავის ქალის ნაწილი აქედან მოგნაის ეკლესიაში გადმოუტანიათ. ამ უკანასკნელისათვის სწორედ ამიტომ უწოდებიათ იმ ადგილის სახელი, საიდანაც იგი წამოიღეს³²⁷).

თბილისში არც ერთი მეჩეთი არ არის³²⁸) მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მას მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიებითურთ მაჰმადიანი მთავარი განაგებს. სპარსელები არაფერს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ აქ მეჩეთი აეშენებინათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიუყვანიათ. ხალხი მაშინვე აღსდგებოდა ხოლმე, იარაღით ხელში ანგრევდა ნაგებობას და სასტიკად უსწორდებოდა მშენებლებს. საქართველოს მთავრები გულის სიღრმეში მეტად კმაყოფილნი იყვნენ ხალხის ამბოხებებით თუმცა გარეგნულად საწინააღმდეგოს გამოხატავდნენ. ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალურად განუდგნენ იმისათვის, რომ მეფისნაცვლობა მიეღოთ და მოქმედებდნენ თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, როცა მაჰმადიანობის გავრცელებას ხელს უწყობდნენ. როგორც უკვე ითქვა, ქართველები ქედუხრელნი, თამამნი და გულადნი არიან. ინარჩუნებენ გარკვეულ თავისუფლებას. ცხოვრობენ თურქებთან ახლოს. ყოველივე ეს სპარსელებს ხელს უშლის უკიდურესი ზომები მიიღონ და თბილისი ქალაქსა და მთელ საქართველოს სრულ ნებას აძლევენ შეინარჩუნონ თავიანთი რელიგიის ყველა გარეგნული ნიშანი. ყველა ეკლესიის სამრეკლოს ზემოთ გაკეთებული აქვს ჯვრები და მრავალრიცხოვანი ზარები, რომლებსაც რეკავენ. სხვა ხორციულთან ერთად საჯაროდ და დაუფარავად ყოველდღე იყიდება ღორის ხორციც, ხოლო ღვინოს ყოველ გზაჯვარედინზე შეხვდებით. სპარსელები, ალბათ, დიდი უკმაყოფილოდ უყურებენ ყოველივე ამას, მაგრამ ვერაფერს გამხდარან.

ამ რამდენიმე წლის წინათ, სპარსელებს ციხეში აუშენებიათ

¹⁶⁷ Sourph-nichan. ¹⁶⁸ Betken. ¹⁶⁹ Bethlehem. ¹⁷⁰ Norachen. ¹⁷¹ Mognay.

ერთი პატარა მეჩეთი იმ კედელთან, რომელიც ციხეს თბილისის დიდი მოედნისაგან გამოჰყოფს. ეს მეჩეთი ამ ადგილას იმიტომ აუშენებიათ, რომ ხალხი შეჩვეოდა მეჩეთებისა და მოლების ყურებას, რომლებიც შენობის ზემოდან მოუწოდებდნენ ხალხს სალოცავად. ქართველებმა ვერ მოახერხეს ამ მეჩეთის მშენებლობისათვის ხელი შეეშალათ, რადგანაც ვერ გაბედეს იარაღით ხელში ციხეში შეჭრა, რომელიც კარგად იყო გამაგრებული; მაგრამ ავიდა თუ არა ზემოთ მოლა სარწმუნოებრივი აღსარების შესასრულებლად და მათი ჩვეულების მიხედვით ხალხის მოსახმობად, ხალხი მოე-

დანზე მოგროვდა, ქვეები დაუშინეს მეჩეთს და მოლა იძულებული შეიქნა სასწრაფოდ ძირს ჩამოსულიყო. ამ ჯანყის შემდეგ მოლა აღარ აუშვიათ ზევით.

თბილისში რამდენიმე ლამაზი საკრებულო შენობაა, ბაზრები¹⁷²) ე. ი. სავაჭრო ადგილები, არის დიდი, ქვით ნაშენი და კარგად მოვლილი. ასეთივეა ქარვასლებიც – უცხოელების საცხოვრებელი ადგილები. ქალაქში აბანოები ცოტაა, რადგანაც ყველა ციხეში არსებულ ცხელი წყლის აბანოებში დადის. ამ აბანოების წყალი მინერალურია, გოგირდოვანი და ძალიან ცხელი. იმ ხალხის რიცხვი, რომელიც ამ აბანოებს სხადასხვა ავადმყოფობის სამკურნალოდ იყენებს, არ აღემატება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც სხეულის სისუფთავისათვის დადის. დუქნები კიდევ უფრო უკეთესად არის ნაგები და კარგად მოვლილი. ისინი განლაგებულია დიდი მოედნის ახლოს, გორაკზე.

მთავრის სასახლე, უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენიერებაა³²⁹). მას აქვს დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და სასახლის უზარმაზარ ბაღებს გადასცქერიან. აქვეა ყაუშხანები, რომლებშიაც მრავალი სხვადასხვანაირი ფრინველია, მწევარ-მეძებრების დიდი სადგომი და ისეთი მშვენიერი საბაზიერო, უკეთესს რომ ვერაფერს ნახავს ადამიანის თვალი. ამ სასახლის წინ კვადრატული მოედანია, სადაც ათასამდე ცხენი დაეჭევა. მას გარს არტყია დუქნები და ბოლოვდება გრძელი ბაზრით, რომელიც სასახლის კარიბჭის პირდაპირაა. ბაზრის ზემოდან საუცხოო სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი. კახეთის მეფისნაცვალს ქალაქის ბოლოს აქვს სასახლე, რომელიც აგრეთვე ღირს იმად, რომ კაცმა ნახოს და დაათვალიეროს.

¹⁷² Bazars.

თბილისის გარეუბნებს მრავალი სალადობო სახლი და საუცხოო ბაღი ამშვენიებს. ყველაზე უფრო დიდია მთავრის ბაღი. ხეხილი აქ ნაკლებად არის, მაგრამ სამაგიეროდ უმშვენიერესი, ჩრდილისა და სივრცის მფენი ხეები აურაცხელია.

როგორც უკვე ითქვა, თბილისში მისიონერ კაპუცინებს თავიანთი საცხოვრებელი აქვთ. ამ ორდენს საქართველოში უკვე ჰყავს მისიონერთა პრეფექტი, რომლის რეზიდენცია თბილისშია. იმედი აქვთ, რომ მომავალში მისიონერი ახლომახლო მდებარე ქვეყნებშიაც ეყოლებათ. ცამეტი წელია, რაც ისინი რომიდან გამოუგზავნიან; მკურნალთა სახელის წყალობით, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ და როგორადაც მათ მიიჩნევენ, ყველგან კარგად მიუღიათ, სადაც კი მოუსურვებიათ დაბინავება, რადგანაც მედიცინას და

განსაკუთრებით ქიმიას მთელს აღმოსავლეთში ნაკლებად იცნობენ და დიდად აფასებენ. თავდაპირველად ისინი დამკვიდრებულან თბილისში, შემდეგ კი გორში. შაჰნავაზ-ხანს ორსავე ქალაქში თითო სახლი უბოძებია მათთვის, თანაც ნება მიუცია თავიანთი სარწმუნოება თავისუფლად ექადაგათ. მათ მთავრისათვის პაპისა და პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის წერილები მიუთრმევიათ და მათი სახელით მშვენიერი საჩუქრები უძღვნიათ მისთვის, დედოფლისა, კათალიკოსისა და კარის დიდებულთათვის. ასეთი საჩუქრების მირთმევას მისიონერები ახლაც აგრძელებენ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. მისიონერთა შორის ის, ვინც უფრო დახელოვებულია მკურნალობაში, მთავარს თან ახლავს და მისი მფარველობის ქვეშ არის. ეს მათთვის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს ქართველი და სომეხი სამღვდელოების წინააღმდეგ, რომლებიც დროდადრო ცდილობენ ამ მისიონერთა განდევნას, რადგანაც ხედავენ მათ მეტისმეტად გულმოდგინებას ხალხის თავიანთ სარწმუნოებაზე გადასაყვანად. მაგრამ რადგანაც საქართველოში არც მკურნალებია და არც დასტაქრები, ისინი მეტად საჭირონი არიან სამედიცინო და ქირურგიული პრაქტიკისათვის და ზოგიერთი მათგანი, ვინც უფრო დახელოვებულია ამ დარგში, დიდი წარმატებით მოღვაწეობს. მათ პაპისაგან მკურნალობაში გასამრჯელოს მიღების ნებართვა აქვთ, რასაც ისინი იყენებენ. ასე რომ, მკურნალობა მათი საარსებო საშუალებაა. ჩვეულებრივად მათ გასამრჯელოს უხდიან ღვინით, ფქვილით, პირუტყვითა და ახალგაზრდა ტყვეებით. ზოგჯერ ცხენებსაც აძლევენ. ისინი ჰყვიდიან ყველაფერს, რაც მათთვის სარჩოდ საჭირო არ არის ან რაც გამოუსადეგარია. ამ დიდი დახმარების გა-

323

რეშე, რომელსაც მკურნალობისაგან იღებენ, მათ გაუჭირდებოდათ კონგრეგაციის მიერ გაცემული წლიური ხელფასით თავის რჩენა, რადგანაც თითოეული მისიონერისათვის განკუთვნილია მხოლოდ თვრამეტი რომაული ეკიუ, ე. ი. წ სამოცდათორმეტი ლივრი ფრანგულ ფულზე. იმ ნებართვის გარდა, რომლის შესახებაც ვილაპარაკეთ, ეს მისიონერები სხვა მრავალი პრივილეგიითაც სარგებლობენ როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში; ასე მაგალითად, მათ ნება აქვთ სწირონ მსახურის გარეშე ყველგან და ყოველგვარ ტანისამოსში, მიუტევონ ყოველგვარი ცოდვა, ჩაიცვან სხვადასხვანაირი ტანისამოსი, იყოლიონ ცხენები, მსახურები, ტყვეები, ივაჭრონ, ფული ისესხონ და გაასესხონ სარგებლით; ერთი სიტყვით, მათ ისეთი განუსაზღვრელი უფლებები აქვთ, რომ შეუძლიათ და კიდევაც აკეთებენ ყველაფერ იმას, რაც ყველაზე პრივილეგიურებულ სასულიერო პირთათვის არის ნებადართული. მიუხედავად იმისა, რომ მისიონერები ოსტატურად მოქმედებენ და შეღავათებითაც სარ-

გებლობენ, მათ მაინც ვერ მოახერხეს ქართველთა შორის თვალსა-ჩინო წარმატების მიღწევა, რადგანაც ქართველები ისეთი ჯიუტნი არიან, რომ მათებურად შესრულებული მარხვა ჰგონიათ მთავარი ქრისტიანულ სარწმუნოებაში, კაპუცინებს კი ქრისტიანებად არა თვლიან, რადგანაც გაუგიათ, რომ ევროპაში ისინი მათსავით არ ინახავენ მარხვებს. ამგვარი საოცარი კერპობა მისიონერებს აიძულებს ქართული წესის მიხედვით იმარხულონ და არ ჭამონ ისეთი ცხოველების ხორცი, როგორცაა, მაგალითად, კურდღელი, კუ და სხვა, რომლებიც ქართველებს ძლიერ ეზიზღებათ. ისინი მარხულობენ ოთხშაბათობითა და პარასკეობით, მისდევენ ძველ კალენდარს და, შეიძლება ითქვას, რომ გარეგნულად ქართველ ქრისტიანებს გვანან. თავდაპირველად მათ ეკლესიაში თბილისში ბევრი ხალხი დადიოდა, მათ იზიდავდა წირვის ორიგინალობა და გუნდი, რომელიც შედგებოდა ოთხ ან ხუთი ხმისაგან, ბარბითისა და შპინეტის აკომპანიმენტისაგან; იახლა კი აქ აღარავინ დადის, გარდა ხუთი თუ ექვსი გლახაკისა, რომელთაც ეს მისიონერები რაღაც გასამრჯელოს აძლევდნენ ხოლმე, კაპუცინებმა სკოლაც კი დააარსეს. მაგრამ აქ ღარიბთა ოჯახიდან შვიდი თუ რვა პატარა ბიჭი დადის, რომლებიც მოდიან არა იმდენად სასწავლებლად, რამდენადაც გამოსაკვებად, როგორც ამას თვითონ ეს კეთილი პატრები აღიარებენ. ხშირად უთქვამთ, რომ არავითარი საფასურით არ დათანხმდებოდნენ შეესრულებინათ თავიანთი მისია, რომ არ იცავდნენ „რომაული ეკლესიის ღირსებას, რომელიც ვერ იქნება კათოლიკური ეკ-

324

ლესია, თუ თავისი წარმომადგენლები არ ეყოლება მსოფლიოს ყველა დასახლებულ კუთხეშიო“. საერთოდ ამ მისიონერებს მთელ საქართველოში მხოლოდ ორი სახლიდა აქვთ, რომლის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე. იმერეთისა და გურიის ბრძოლებმა და ამ ქვეყნების სილატაკემ აიძულა ისინი დაეტოვებინათ მრავალი დასახლება, რომლებიც იქ ჰქონდათ. როცა თბილისიდან მივემგზავრებოდი, ისინი იენისის თვეში კახეთსა და კავკასიის ქედის სხვადასხვა ადგილებში აპირებდნენ გამგზავრებას. მათი მისიონი მაშინ თორმეტი კაცისაგან შედგებოდა, აქედან ცხრა მღვდელი იყო და სამი მორჩილი.

ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ; ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან; კარი პროვინციის დედაქალაქს რომ შეეფერება, ისეთი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალეა; აქ მუდამ არის მრავალი დიდგვაროვანი დიდებული. რაც შეეხება ამ ქალაქის სახელწოდებას, მე ვერ შევძელი მისი წარმომავლობის დადგენა. როგორც ამბობენ, მისთვის ეს სახელი სპარსე-

ლებს შეურქმევიათ. ხოლო ქართველები დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მას თბილისს კი არა, „კალას“¹⁷³ ე. ი. „ქალაქს“ ანუ „ციხეს“ უწოდებენ. ასე ემახიან ისინი ყოველგვარი სახის მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს, რომელიც კედლით არის შემოზღუდული. რადგან მრთელ ქვეყანაში სხვა გალავნიანი ქალაქი არ არის, ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მათ არ მოისურვეს ამ ქალაქისათვის სხვა სახელი მიეცათ, თუ არა კალა. ზოგი გეოგრაფოსიძას „ტებილე-კალას“¹⁷⁴ უწოდებს, ე. ი. „თბილ ქალაქს“, აქაური ცხელწყლიანი აბანოების გამო, ან კიდევ იმის გამო, რომ ჰაერი აქ არც ისეთი ცივი და მკაცრია, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენ ნაწილში. ვერც ის შევიტყვე, თუ როდის იქნა ქალაქი დაარსებული. ზოგი მწერალი ამტკიცებს, რომ იგი არის ძველ ავტორთა არტაქსატი¹⁷⁵. მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა. არა მჯერა რომ იგი მხოლოდ ათასი წლისაა³³⁰). სპარსეთის ისტორიიდან ვიგებთ, რომ, დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 851 წელს ერთი თათარი სარდალი, ბულა დიდი¹⁷⁶, ჰირკანისა და მიდიის აზერბაიჯანის¹⁷⁷, გავლით შეიჭრა საქართველოში, დაიპყრო იგი და ყველაფერი ცეცხლს მისცა; როცა თბილისმა უარი განუცხადა კარი გაეღო, მან ანთებული ფიჭვის

¹⁷³ CaIa. ¹⁷⁴Tebilé-CaIa. ¹⁷⁵ Artaxate. ¹⁷⁶ Boga le Grand. ¹⁷⁷ Médie Atropatienne.

გირჩები დაუშინა ქალაქს, რითაც მასალის ადვილად ანთებადობის გამო გადაწვა ქალაქი და ორმოცდაათი ათასი კაცი გაჟლიტა³³¹). სამას ორმოცდაათი წლის შემდეგ უზბეკების სათათრეთის¹⁷⁸ სხვა მთავარმა, კარეკლემის (ხვარაზმის)¹⁷⁹ მეფის, მაჰმადის ვაჟიშვილმა თბილისი დაიპყრო და სასტიკად გაანადგურა³³²). ამ უკნასკნელი საუკუნეების განმავლობაში იგი ორჯერ მოექცა თურქების უღელქვეშ პირველად სპარსეთის მეფის ისმაილ II-ის ხანაში³³³), ხოლო მეორედ – შემდეგი მეფის სულეიმანის მეფობის დროს, რომელიც ქვეშ, პირველად სპარსეთის მეფის ისმაილ II-ის ხანაში³³³), ხოლო ბელი. სპარსეთის ტაბულების მიხედვით, თბილისის განედი 83 გრადუსზეა, ხოლო გრძედი 43,5-ზე. მას მეტსახელად „დარელ მულუქი“¹⁸¹ შეარქვეს, ე. ი. „მეფეთა ქალაქი“, რადგანაც იგი სამეფოს დედაქალაქია.

10-ში კაპუცინთა პრეფექტმა ჩემი ჩამოსვლის ამბავი მეფის-ნაცვალს შეატყობინა. მე თვითონ ვთხოვე ასე მოქცეულიყო იმიტომ, რომ, ვინაიდან ხალხი მახლდა, ბარგიც მქონდა და კაპუცინებთან უნდა გავჩერებულიყავი, ჩემი ჩამოსვლა არ შეიძლებოდა არ გაეგო ამ მთავარს, რომელმაც ყველაფერი იცოდა, რაც კი ხდებოდა თბილისში, თვით უმნიშვნელო რამეც კი; მით უმეტეს, არ შე-

იძლებოდა არ შეეტყო იმ ფათერაკების შესახებ, რაც მე სამეგრელოში გადამხდა და რომლის შესახებაც ბევრი ლაპარაკობდა. გარდა ამისა, ჩემთვის სასიამოვნო იყო მისი ნახვა და მისთვის სპარსეთის ხელმწიფის ფირმანების წარდგენა, რომლებიც ყველა პროვინციის მმართველისადმი იყო მიმართული და რომლებითაც ხელმწიფე ბრძანებდა კარგად მიგულეთ დარწმუნებული ვიყავი, რომ მთავარი ნახავდა თუ არა ამ ბრძანებებს, ძალიან კარგად მიმიღებდა და ჩემი მოგზაურობის გასაგრძელებლად საჭირო მხლებლებსაც მომცემდა. როცა შაჰნავაზ-ხანს ჩემი ვინაობა გაუგია და შეუტყვია, რომ აწ განსვენებული ხელმწიფისაგან ვიყავი ევროპაში გაგზავნილი თავის საქმეზე, პრეფექტისათვის უბრძანებია, გადმოეცათ ჩემთვის, რომ მე მისთვის ძვირფასი სტუმარი ვარ, იგი მოხარულია ჩემი ჩამოსვლისა, და რომ დიდად ვასიამოვნებ, თუ რაც შეიძლება მალე ვესტუმრები. მე არც შემემლო და არც ვაპირებდი მაშინვე ვხლებოდი მთავარს; მინდოდა დამეცადა, ვიდრე სავსებით არ გავემზადებოდი გასამგზავრებლად, რათა იძულებული არ ვყოფი-

¹⁷⁸ Tartarie des Usbecs. ¹⁷⁹ Careclem (Khowârezm). ¹⁸⁰ Tauris. ¹⁸¹ Dar El Melec.

326

ლიყავი ყოველდღე მევლო მის კარზე. მთავრის ექიმს, პატრ რაფაელ პარმელს¹⁸² ვთხოვე მისთვის გადაეცა, რომ დიდი სიხარულით მივიღე ჩემს მიმართ მის მიერ გამოხატული პატივისცემა და როგორც კი გავემზადებოდი, აუცილებლად ვეახლებოდი, რათა ჩემი პატივისცემა გამომეცხადებინა მისთვის, მაგრამ რადგანაც ძალიან ბევრი რამ მაკლდა, ერთი ათი დღე კიდევ ვერ შევძლებდი გარეთ გამოსვლას. არ ვიცი პატრმა რაფაელმა სწორად არ გადასცა მთავარს ჩემი დანაბარები, თუ მთავარმა არ გაუგონა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, 12-ში დილით მან ერთი აზნაური გამომიგზავნა, რომლის საშუალებითაც შემატყობინა, რომ ვინაიდან სადღესასწაულო კვირეული იწყებოდა, რომლის დროსაც ყოველდღე ნადიმი იმართებოდა, სურდა ეწვეოდი მას. ამ ამბავმა განმაცვიფრა და გამაჯავრა კიდევაც; პრეფექტს და პატრ რაფაელს ვთხოვე მთავრისათვის გაეგებინებინათ, რომ ჯერ კიდევ არ შემემლო გარეთ გამოსვლა დათან დაერწმუნებინათ იგი, რომ ველოდი მომავალ კვირას, რათა მესარგებლა იმ პატივით, რომლის გამოხატვაც მას ჩემს მიმართ სურდა. კაპუცინებმა აღმითქვეს ამ საქმეს მოვავარებთო, მაგრამ არაფერიც არ გაუკეთებიათ. წავიდნენ თუ არა სასახლეში, სწრაფადვე მობრუნდნენ და მითხრეს, მთავარი დიდი მოუთმენლობით ელის ევროპის ამბების გაგებასო. სინამდვილეში თურმე თვით კაპუცინებს ჰქონიათ ჩემი წარდგენის დიდი სურვილი; უნდოდათ

ჩემი სახით წარედგინათ თავიანთი ერის წარმომადგენელი, სპარსეთის ხელმწიფესთან დაახლოებული პიროვნება, რათა მათ მეტი პატივისცემით მოპყრობოდნენ. მე და ჩემს ამხანაგს გვითხრეს უძვირფასესი ტანსაცმელი ჩაგვეცვა და მათი პატივისცემით მთავრისათვის მიგვეერთმია უფრო მეტი ძღვენი, ვიდრე ეს ჩვენ გვექონდა გათვალისწინებული. რამდენადაც შემემლო შევუსრულე მათ ეს თხოვნა და აგრეთვე ყველა სხვა სურვილიც, რათა ამით მადლობა გადამეხადა იმ დიდმნიშვნელოვანი სამსახურისათვის, რაც მათ გამიწიეს.

დაახლოებით შუადღე იქნებოდა, როცა სასახლეში წავედით პრეფექტიც და პატრი რაფაელიც თან გვახლდნენ. ჩვენ სადილად გველოდნენ, მთავარი ბრძანდებოდა დარბაზში, რომლის სიგრძეც ას ათ ფუტს, ხოლო სიგანე ორმოც ფუტს შეადგენს. იგი გაშენებულია მდინარის პირას და მთლიანად ღიაა ამ მხრიდან. მოზაიკით მორთული ჭერი ეყრდნობა მოოქრულ და მოხატულ სვეტებს, რო-

¹⁸² P. Raphaël de Parme.

მელთა სიმაღლე ოცდახუთმეტიდან ორმოცამდე ფუტს შეადგენს; მთელი დარბაზი საუცხოო ხალიჩებითაა დაფარული³³⁴). მთავარი და დიდებულები სამ პატარა ბუხარს შემოსხდომოდნენ, რომლებიც მრავალ ჩირაღდანთან ერთად ისე ათბობდა დარბაზს, რომ სიცივე არ იგრძნობოდა. შაჰნავაზ-ხანი მოითხოვს მასთან პირველად მიახლოებისას ისეთივე წესით მიესალმონ, როგორც სპარსეთის ხელმწიფეს: მისგან ორი თუ სამი ნაბიჯის დაშორებით მუხლს იდრეკენ და ზედიზედ სამჯერ თავსა ხრიან მიწამდე. ევროპელებს ყოველთვის უჭირდათ ამგვარად მისალმებოდნენ აღმოსავლეთის მთავრებს, რადგან უფრო მდაბალი თავყვანისცემა წარმოუდგენელია, მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის წინაშე შეიძლება მოიდრიკო ამგვარად მუხლი. ზოგჯერ ევროპელებს ასეთი მისალმებისაგან ათავისუფლებენ, რადგანაც ამბობენ, რომ ისინი უცხოელები არიან და არ იციან ამ ქვეყნის ეტიკეტიო. მთავარს მივესალმე სამჯერ თავის დაკვრით, მუხლი კი არ მომიდრეკია. შემდეგ ორმა აზნაურმა ჩემს ადგილამდე მიმაცილა. არ მინდოდ კაპუცინებზე მაღლა დავმჯდარიყავი, მაგრამ აზნაურებმა და მსახურთუხუცესმა, რომელიც შუა დარბაზში ტრიალებდა, დაჟინებით მოთხოვეს ასე მოვქცეულიყავი. ჩემი სურვილი იყო კაპუცინებისათვის მეცა პატივი, რათა სხვებიც ასევე მოქცეოდნენ მათ. პრეფექტს დიდად ესიამოვნა ჩემი ქცევა და მოისურვა მის კომპანიონზე მაღლა დავმჯდარიყავი.

ვიდრე თავყვანისცემის ცერემონიალს ვასრულებდი, ერთმა აზნაურმა, რომელმაც დარბაზის კარებში ხელიდან გამომართვა

სპარსეთის ხელმწიფის ფირმანები და მთავრისათვის მორთმეული ძღვენი, ისინი დიდ ვერცხლის ხონჩაზე დააწყო და მთავარს ფერხით დაუდო. მთავარმა აიღო ფირმანი, გახსნა, წამოდგა სავარძლიდან, მიიტანა იგი ტუჩებთან და შუბლთან, შემდეგ კი თავის დიდ ვეზირს გადასცა, რათა შინაარსი მოესმინა. შემდეგ დიდი ცნობისმოყვარეობითა და სიამოვნებით შეათვალიერა საჩუქარი, რომელიც სხვადასხვა ნივთისაგან შედგებოდა. აქ იყო: მთვარის დიდი საათი, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და მოჩუქურთმებული კოლოფით.

მთის ბროლის სარკე, ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული. მომინანქრებული ოქროს ყუთი, რომელშიაც თრიაქის აბები ინახებოდა; სპარსელების უმეტესობა ამ აბებს დღეში რამდენიმეჯერ იღებს.

ქირურგიული იარაღების ბუდე, მთლიანად მორთული და საუცხოო ხელოვნებით გაკეთებული.

328

დანები, რომელთა გრეხილი ტარები დიდი ოსტატობით იყო შესრულებული.

დიდმა ვეზირმა წაიკითხა ფირმანი და მთავარს დაბალი ხმით მოახსენა მისი შინაარსი. შემდეგში შევიტყვე, რომ მთავარსა დამის ვაჟიშვილებს უთქვამთ თურმე, არასოდეს გვინახავსო ფირმანი უფრო ნათელი და საპატიო და ამას მხედველობაში მივიღებთო. დიდებულები ტკბებოდნენ მისი ოქროთი მოვარაყებული ასოებით და სამკაულებით, რომლებითაც მორთულია მისი ფართო არშიები (იხ. სურათი 4)³³⁵. მთავარმა მისი ასლი გადააღებინა, აი მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი: -

ის [I] ვინც არს, იგია ღმერთი, ქება და დიდება მას –
(მეუფება) ღვთისა ა. ღმერთი ყველაზე უზენაესია [III]. სახელითა [IV] ღვთისათა, მოწყალისა და შემწყნარებლისა

(წინასწარმეტყველური) [III].

|| (ო. მუჰამედ! ო, ალი;)

|| (განსჯა ეკუთვნის) ღმერთს.

|| (დახმარება მოდის) ღმერთისაგან.



აბას მეორე, ძლევაშოსილი ხელმწიფე, მსოფლიოს მბრძანებელი, მამაცი მმართველი, შთამომავალი შეიხისა, სეფისა, მოსესი, ჰუსეინისა.

ა ლ ი	ჰუსეინი	ჰუსეინი	ა ლ ი
მუჰამედი	ჯაფარი	მოსე	ა ლ ი
მუჰამედი	ა ლ ი	ჰუსეინი	მუჰამედი




უმაღლესი ბრძანებულება

მბრძანებელთა მბრძანებელნი [V], ლომგულნი დასთანის¹⁸³ [VI] გარეგნობისანი მთავარნი თაჰამთანის¹⁸⁴ ტანისანი, წარმომავალნი არდევონის¹⁸⁵ [VII] ჟამთაგან, მმართველნი ფერიბურსის¹⁸⁶ სიდიადისანი, სამეფოთა მპყრობელნი, გამგებელნი მძლეველნი [VIII] მერკურიდან მომდინარე [IX] დაბრკოლებათა, ხაყანის¹⁸⁷ [X] საუფლოს ნავთსაყუდელთა მეზაჟენო; საგზაო გამოსაღებთა ამკრებნი და ზედამდგომნი დიდთა გზათა და გასასვლელთა (სამთავროთა), უწყოდეთ, რომ ამ დროიდან ჩვენ ვბრძანებთ საგანგებო ბრძანებით, რათა აღა რეზენმა და შარდენმა, ფრანგმა ნეგოციანტებმა, დიდვაჭართა [XI], შეასრულონ თავის თავზე აღებული მოვალეობა, და აღასრულონ ბრძანებები, რომლებიც მათ მიეცათ. აუცილებელია, რომ ამ ვრცელ სამეფოთა რომელ ნაწილშიც არ უნდა მოხვდნენ ისინი, და ჩვენი უკიდევანო საუფლოს რა ადგილსაც არ

გაივლიან იქით თუ აქეთ მიმოვალნი, არ მოსთხოვონ მათ არც ვედრებითა [XII] და არც ძალდატანებით არავითარი ბაჟი და გზის გადასახადი, რამდენიც არ უნდა იყოს იგი და როგორი უფლებაც არ უნდა ჰქონდეთ მისი მოთხოვნისა; ნუ შეუქმნით რაიმე დაბრკოლებას მათ განზრახვას, ნურაფრით შეაწუხებთ, ყველგან დიდი ღირსებითა და პატივით მოეპყარით, გაუწიეთ მათ საჭირო დახმარება, ყოველთვის როცა კი ამას მოითხოვენ, და როგორც კი ეს ფირმანი მოირთვება, განათლდება, გაკეთილშობილდება და გაცხოველდება [XIII] ბეჭდით, თავისი ღირსებითა [XIV] და სათნოებით მზის დართით, განმასახიერებლით ქვეყნიერების მეუფის ბრძანებისა [XV], რომელიც ყოვლის მომცველად ვრცელდება ყველაფერზე და სამყაროსათვის კანონია, როდესაც მასზე დაისმება სხივმომფენი, წმინდა (დიდებული) ზეალმატებული, სწორუპოვარი ბეჭედი, მთლიანად ირწმუნეთ და სრულად დაემორჩილეთ მას, რასაც იგი შეიცავს, როგორც ბრძანებას ზემოდან, რომელიც ყველაფერზე უზენაესია და რომელიცს მუდმივად ემსახურება იმ პირთ, რომელთაც იგი ებოძა. დაიწერა [XVI] საპატიო თვესა შავალს, 1077 წ. წმინდა გაქცევიდან [XVII]; მშვიდობა და ბედნიერება სუფევს. განუწყვეტლივ წმ. გაქცევის მიმდევართა შორის. აშრაფ [XVIII], გაკეთილშობილებული, თაბარესთაანის პროვინციაში, სადაც უფალს სურს კეთილდღეობა და სიუხვე მუდამ იყოს.

¹⁸³ Deston. ¹⁸⁴ Tahem ten-ten. ¹⁸⁵ Ardevon. ¹⁸⁶ Feribours. ¹⁸⁷ Caagôn.

XIX



ფირმანი წარმოადგენდა გრძელ ფურცელს, რომლის სიგრძე ორნახევარი ფუტი, ხოლო სიგანე ცამეტი-თოთხმეტი დუიმი იყო. იგი დაწერილი იყო ოქროს, ცისფერი წითელი და შავი ასოებით; ის, რაც ოქროს ასოებით იყო მოცემული, მე დიდი ასოებით აღვნიშნე, ხოლო ორიგინალში ფერადი ასოებით მოცემული ფრჩხილებში მოვათავსე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამეფო აქტში, სადაც ღმერთის სახელია ჩართული, როგორც ეს ასეთ ფირმანებშია, ეს სახელი ოქროს ასოებითაა დაწერილი; თუ მას ერთვის აგრეთვე რომელიმე წინასწარმეტყველის ან წმინდანთა სახელები, შემდეგ

კი ხელმწიფის სახელი, წმინდანთა სახელებს ცისფერი ასოებით წერენ, ხელმწიფისას კი წითლით, ხოლო თუ არც ღმერთის და არც რომელიმე წმინდანის სახელი არ არის ჩართული, ან თუ ხელმწიფის სახელი ღმერთის შემდეგ არის და არა მის წინ, მაშინ სწორედ ხელმწიფის სახელი იწერება ოქროს ასოებით. ოქროს ასოებით ისევე ლამაზად და წვრილად წერენ, როგორც მელნით; ამისათვის ოქროს ფირფიტებს ძალიან დიდხანს ფხვნიან მარმარილოზე, შემდეგ ფუნჯით აგროვებენ ოქროს, რომელშიაც როგორც მელანში, ისე აწებენ კალამს. ასევე იქცევიან წითელი და სხვა ფერების მომზადების დროს; ყოველივე ამის გამო ნაწერი ფუნჯით შესრულებულს უფრო წააგავს, ვიდრე კალმისას.

I. ორიგინალში არის „hou alla sub hou“³³⁶). ეს არის ყურადნიდან აღებული არაბული გამოთქმა. ამ ენაში ღმერთის ძირითადი სახელია „hou“ და არა „alla“, რაც ნიშნავს „უზენაესს“. ეს „hou“ არის ებრაელების „jehova“ და ნიშნავს „მას“ ან „იმას“³³⁷. იგი აღნიშნავს აგრეთვე „არის“, ე. ი. „ის ვინც არის“, რაც გულისხმობს თავისთავად წარმოდგენილ არსებას და არსებულს თავისთავში. ამ სახელს ყურანში მრავალ ადგილას ვხვდებით და ცრუ წინასწარმეტყველი³³⁸), რომელმაც ეს წიგნი შეთხზა, თითქოს მიუთითებს გამოსვლათა წიგნის III თავზე: „ის ვინც არს, მე გამომგზავნა“.

332

მაჰმადიანები ამ სიტყვას „hou“-ს ათავსებენ წერილის, განაჩენის, ბრძანების, თხზულების და თითქმის ყველა თავიანთი საქმიანი ქალაქის თავში. ზოგჯერ უმატებენ „alla taà Alla“-ს, ე. ი. „ის ვინც არს, ეს არის ზენაარი ღმერთი“, – და ქვემოთ დიდ ცარიელ ადგილს ტოვებენ. მათი თქმით, ასე კეთდება იმის მისანიშნებლად, რომ ღმერთის არსი, ე. ი. მისი ბუნების სრულყოფა და მისი თვისებები აუწერელია, და რომ არც ერთ ადამიანს არ ძალუძს მათი გადმოცემა. მის ქვემოთ მოთავსებული გამოთქმა, რომელიც მე ამგვარად გადმოვთარგმნე – „მეუფება ღვთისა“, აღებულია „წიგნი მეორე სჯულისადას“ (თავი 1, მუხლი 17). „განსჯა ეკუთვნის ღმერთს“.

II. ეს სიტყვები შეესაბამება ფირმანის ბოლოს თქმულ შემდეგ ფრაზას: „როგორც – ბრძანება ზემოდან, რომელიც ყველაფერზე უზენაესია“, რითაც იმის თქმა უნდათ, რომ ღმერთი კიდევ უფრო მაღლა დგას. სპარსელებს ჩვეულებად აქვთ აქტებში ღმერთის სახელი ფურცლის ბოლოში არასოდეს არ მოათავსონ, არამედ დაწერონ იგი გვერდით, ზემოთ; ხოლო იქ, სადაც ის უნდა იქნეს მოხსენებული, თავისუფალ ადგილს ტოვებენ. სიფრთხილის გამო ისინი დიდად იძნელებენ საქმეს და ფიქრობენ, რომ ვინც ამაში სცოდავს, სცოდავს აგრეთვე ღვთისადმი საკადრისი თავყანისცემის გამოხატვაშიც. ასეთსავე თავყანისცემას იჩენენ ისინი ხელმწი-

ფისა და მთავარი ვეზირების სახელების მიმართაც; იურიდიულ საქმიან ქალაქებში, თხოვნებსა და სახალხო აქტებში მათ ეს სახელები ტექსტში არასოდეს არ მოჰყავთ, ათავსებენ ქალაქის ზემოთ, მარჯვენა მხარეს.

III. სიტყვა „წინასწარმეტყველური“, რომელიც, ახლახან აღნიშნული მიზეზის გამო, ზემოთ არის მოთავსებული, შეესატყვიება ფირმანის ბოლოში ნათქვამ სიტყვებს – „წმინდა გაქცევა“, რომლებითაც აღნიშნავენ იმას, რომ დროის გამოთვლა, რომელიც მუჰამედის მექიდან მედინაში გაქცევით იწყება, არის სარწმუნოების დაარსების ხანა და რომ მისი სათავე და საწყისი არის ის დრო, როცა ამ პიროვნებამ, ცნობილმა უპირატესად „წინასწარმეტყველის“ სახელით, დაიწყო თავისი მისია³³⁹).

IV. მაჰმადიანების სარწმუნოებასა და ადათ-წესებზე ოდნავი წარმოდგენაც თუ აქვს ადამიანს, ადვილად შეიცნობს ამ მოწოდებას, რადგანაც სწორედ ამით იწყება მათი ყოველგვარი მოქმედება და ლოცვა. აღმოსავლური ენების ცნობილ პროფესორთა თქმით, იგი ასე უნდა ითარგმნოს: „მოწყალე უფლის სახელით“. მართლაც არაბული სიტყვა „rahmen“, – რომელიც აღნიშნავს „მოწყალეს“,

333

არის განუყოფელი თვისება, რომელსაც ღვთის მოწყალების გამო-სახატავად იყენებენ. ყველა მაჰმადიანი ფიქრობს, რომ ეს მიმართვა დიდ იდუმალებას ფარავს და უსაზღვრო მადლის შემცველია. მუდამ პირზე აკერიათ ეს მიმართვა. წარმოთქვამენ მას როცა დგებიან, ჯდებიან, იღებენ ხელში წიგნს, იარაღს თუ კალამს. ერთი სიტყვით, დარწმუნებული არიან, რომ მიზანს ისე ვერ მიაღწევენ, თუ ამ მიმართვით არ დაიწყებენ საქმეს. ირწმუნებიან, რომ სოლომონი და ადამი სწორედ ასე იქცეოდნენ, ვიდრე რამე საქმეს შეუდგებოდნენო. ყურანის ყოველი თავის დასაწყისში ეს მიმართვაა მოთავსებული. ცხადია, რომ ეს არის კიდევ ერთი მიზანძვა ებრაელებისა და ქრისტიანების ლოცვების დასაწყისისა; პირველნი ლოცვას ყოველ-თვის ამ სიტყვებით იწყებენ: „დაე, იყოს შველა ჩვენი უფლის სახელით, რომელმაც შექმნა ცა და დედამიწა“; ხოლო მეორენი ამ სიტყვებით: „სახელითა მამისათა, ძისათა და წმიდისა სულისათა“.

ქვემოთ ჩვენ ვილაპარაკებთ იმ ბეჭდის შესახებ, რომლითაც ფირმანს ამტკიცებენ და იმის შესახებ, თუ რა არის მასზე ამოტვიფრული. ქვემოთ მოთავსებულ გამოსახულებას ეწოდება „ni-Chan“¹⁸⁸) ე. ი. „ნიშანი“ და აგრეთვე „გრიფი“. ყველა მაჰმადიანი ხელმწიფე მსგავს ნიშნებს უსვამს თავის ფირმანებს და უწოდებს მათ საერთო სახელს „თულრა“¹⁸⁹. ეს ტერმინი ებრაულიდან მოდის და იგივე მნიშვნელობა აქვს³⁴⁰). ეს არის გამოსახულება, რომელიც შეიცავს დიდი ასოებით დაწერილ მონარქი მმართველის სახელსა

და ტიტულებს; ამგვარად, ეს ჩვენი ვენზუელებისა, რომლებიც ჩვე-
ულებრივად სახელის მხოლოდ და მხოლოდ პირველ ასოებს შეი-
ცავს, და გრიფებისაგან სავსებით განსხვავდება. „თულრა ეწოდება
აგრეთვე ამგვარი გრიფის გადამწერსაც და იმასაც, ვინც ამ გრიფის
კარგად შედგენა იცის, რაც ყველას როდი ეხერხება. აქ მოცემული
გრიფის ასოები მწკრივებად არის დაყოფილი, ხოლო ორიგინალში
გამოხატულება გაკეთებულია ასოების კუდებით, რომელთაც მწე-
რალი ისე ზუსტად და გამართულად ხაზავს, რომ ისინი სახაზავითა
და ფარგლით შესრულებული გეგონებაო. გრიფი მთლიანად ფერა-
დი ასოებისაგან შედგება, გარდა სიტყვებისა „სამყაროს მეუფე“ და
იმის გარდა, რომლებიც ვთარგმნე ასე: „უმაღლესი ბრძანებულება“,
რომლებიც ოქროს ასოებითაა დაწერილი. გამოთქმა, ჩემ მიერ თარ-
გმნილი სიტყვებით „სამყაროს მეუფე“, არის „Sakeb Kerant“ და
სიტყვასიტყვით ნიშნავს: „სასიკეთო შენაერთთა მეუფეს“ იმავე

¹⁸⁸ (Nychân). ¹⁸⁹Togra (Thoghra).

334

აზრით, რა აზრითაც ჩვენ ვამბობთ „ბედის მბრძანებელი“, რადგა-
ნაც „Kerant“ აღნიშნავს „მრავალი პლანეტის შეერთებას ზოდი-
აქოს ერთ-ერთი ნიშნით“³⁴¹). მთავარ შენაერთად მიიჩნევენ იუპი-
ტერისა და სატურნის შეკავშირებას მესამედ ასპექტში, რომელიც
ორას ორმოც წელიწადში ერთხელ ხდება. უფრო იშვიათია ამ ორი
ვარსკვლავის შეერთება ვერძის ნიშნით, რადგანაც ამას ადგილი აქვს
მხოლოდ ცხრაას ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ. უფრო დიდი
შეერთებაა ყველა პლანეტის შერწყმა ამ ნიშნით, რომლისთვისაც
ათასი საუკუნეებია საჭირო. მათი სიტყვით, ასეთი შეერთება მხო-
ლოდ ორჯერ მომხდარა, ერთხელ წარღვნის დროს, ხოლო მეორედ
დიდი სათათრეთის მბრძანებლის, ცნობილი ჩინგიზ-ხანის¹⁹⁰ აზი-
აში შემოსევის დროს³⁴²). ეს შეერთება ყოველთვის დიდი უბედურე-
ბების მომასწავებელია. სიტყვები „zelsziouzoumis“¹⁹¹ ძველი
თურქული წარმოშობისაა, მაგრამ ახლაც ხმარობენ მცირე სათათ-
რეთში. იგი ზუსტად ნიშნავს „ჩემი სიტყვები“ ან „მე ვამბობ“.
თავდაპირველად თემურ-ლენგმა¹⁹² გამოიყენა ეს სიტყვები თავის
ფირმანებში³⁴³), ხოლო შემდგომში მას სპარსეთის ხელმწიფეებმაც
მიბადეს. გრიფის შუაში მოთავსებული თორმეტი სახელი, სპარსე-
ლების რწმენით, არის თორმეტი იმამის თუ უმაღლესი ქურუმის
სახელი, რომლებიც მაჰმადის ნამდვილი და კანონიერი მემკვიდრე-
ები იყვნენ.

V. სპარსეთში განასხვავებენ დიდ და პატარა მეფისნაცვლებს.
მიდია³⁴⁴) და საქართველო, მაგალითად, დიდ სამეფისნაცვლოს წარ-
მოადგენენ, ხოლო კარამანია¹⁹³ და გედროზია¹⁹⁴ – პატარებს. დიდი

სამეფისნაცვლოს გამგებელს უწოდებენ ბეგლარბეგს¹⁹⁵, რაც ნიშნავს³⁴⁵) „მთავართა-მთავარს“¹⁹⁶, ხოლო პატარისას უწოდებენ ხანს¹⁹⁷. დიდ მეფისნაცვლებს უწოდებენ აგრეთვე ერქან-ედოულეთს¹⁹⁸, ე. ი. „იმპერიის ხელისუფალს“³⁴⁶), ებრაული სიტყვიდან „არქი“¹⁹⁹, რაც ნიშნავს „მთავარს“, საიდანაც ბერძნებმა, როგორც ჩანს, აიღეს ტიტული არქონტი²⁰⁰, რომელსაც მათ რესპუბლიკებში უბოძებდნენ ხოლმე დიდ მოხელეებს³⁴⁷) და საიდანაც წარმოდგება ჩვენი სიტყვა „არქი“, როგორცაა „არქიმანდრიტი“, „არქიდიაკონი“.

VI. დასთანნი, თაჰამთანნი და ფერიბურსი არის ძველი სპარსე-

¹⁹⁰ Genguiscan (Djenguyzkhân). ¹⁹¹ (Seùzém). ¹⁹² Tamerlan. ¹⁹³ Carmanîe. ¹⁹⁴ Gedrosie. ¹⁹⁵ Begler-beg. ¹⁹⁶ Seigneur des Seigneurs. ¹⁹⁷ Kan. ¹⁹⁸ Arkonddaulet. ¹⁹⁹ Arki. ²⁰⁰ Arkontes.

ლი გმირების, ან, უფრო სწორად, ძველი გოლიათების სახელები, რომლებიც იგავებსა და რომანებში ცოცხლობენ. ესენი არიან სპარსელების ალკიდე²⁰¹ და თეზევსი²⁰² და ისევე, როგორც ბერძნების ალკიდე რამდენიმე სახელით იყო ცნობილი, სპარსელებისასაც მრავალი სახელი აქვს. მისი ყველაზე გავრცელებული სახელია როსთემი²⁰³, რომელიც ყველას მუდამ პირზე აკერია³⁴⁸).

VII. არდევონი ძველი გიგანტისა თუ გმირის სახელია, რომელმაც, სპარსელების თქმით, დაიპყრო მთელი აზია და თავისი იმპერიის ცენტრად სპარსეთი ირჩია. მის საქმეთა შესახებ მათ მატიანებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ, ხოლო რომანებში მოთხრობილი ამბები მთლიანად ზღაპრულია³⁴⁹).

VIII. დედანშია „რომელიც ხსნის ყოველგვარ კვანძს“.

IX. მსოფლიოში არსად ისე სულელური ცრურწმენით არ ეკიდებიან ვარსკვლავთმისნობას, როგორც სპარსეთში. სხვაგან ვრცლად ვილაპარაკებთ ამის შესახებ, აქ კი დავკმაყოფილდებით იმის თქმით, რომ სპარსელები მწერლებს, წიგნებსა და საქმიან ქაღალდებს მერკურის სამფარველოდ მიიჩნევენ, რომელსაც უწოდებენ „ათარედს“²⁰⁴ და ფიქრობენ, რომ ამ პლანეტაზე დაბადებულნი ნათელი გონების, შორსმჭვრეტელნი, განათლებულნი და მოხერხებულნი გამოდიანო.

X. ხაყანი³⁵⁰) არის ძველი ჩინეთის ხელმწიფის სახელი. მთელს აღმოსავლეთში არავის ხსოვნა არ შენახულა ისე წმინდად, როგორც მისი. გადმოცემის მიხედვით, ის უმთავრესად ცნობილი ყოფილა მშვიდობიანი საქმეებით – პირუთვნელი მართლმსაჯულებით, ვიდრე იარაღის ძლევამოსილებით. აღმოსავლეთის ხელისუფალნი მის სახელს ირქმევენ ისევე, როგორც რომაელი იმპერატო-

რები მოითხოვდნენ, რომ მათთვის კეისარი ეწოდებინათ. სპარსულში მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ფრანგულში ავგუსტეს, რადგანაც, როცა სპარსელებს სურთ რაიმე დიდი და მეფური გამოხატონ, ისინი ამბობენ – „ხაყანური“. აი ნამდვილი არსი გამოსახულებისა; ვფიქრობ, ძნელი არ იქნება მისი გაგება, ისევე როგორც ამ ფირმანის ენისა, თუმცა იგი ჰიპერბოლებითა და მეტაფორებით არის ზედმეტად გადატვირთული.

XI. ტერმინი, რომელიც მე გადავთარგმნე როგორც „დიდვაჭარი“²⁰⁵, ზუსტად აღნიშნავს „ჩინებულს, რჩეულს, საუკეთესოს“ ან

²⁰¹ AlcideSs. ²⁰² Thésées. ²⁰³ Rustem. ²⁰⁴ Attared (âthâred). ²⁰⁵ La fleux des négocians.

336

„საუცხოოს“. ჩვეულებრივად სპარსელები ამ ეპითეტს ყოველგვარი წოდების ადამიანის მიმართ იყენებენ, იქნება ეს დიდი სენიორი, უცხოელი მინისტრი, ვაჭარი თუ თვით ხელოსანიც კი.

XII. სპარსულში ნათქვამია – „არც მომაბეზრებელი გულკეთილობით, არც ქედმაღლური თხოვნით“.

XIII. სიტყვა, რომელიც მე გადავთარგმნე როგორც „გაცხოველებდა“, ზუსტად ნიშნავს „მორწყულს“³⁵¹).

XIV. სიტყვები – „ღირსებითა და სათნოებით“ ფირმანში არ არის: მე ისინი სიტყვების – „უკეთილშობილესი ბეჭედი, მზისებრი“ – ნაცვლად ჩავსვი.

XV. ეს სიტყვები უნდა მიუყენოთ გამოთქმას – „უზენაესი ბრძანებულება“, რომელიც გრიფის ქვემოთ არის მოთავსებული. აქ ასეა – „ბრძანებულება ქვეყნიერების მეუფისა“. თემურ ლენგმა პირველმა უწოდა თავის თავს ეს ქედმაღლური და ამპარტავნული სიტყვები, რომელიც მაჰმადიან ხელმწიფეთა აზრით უდიდესი ტიტულია, რაც კი შეიძლება უმაღლეს ხელისუფალს მიენიჭოს; ეს ის არის, რასაც სპარსელები უწოდებენ „Saheb Coran“-ს ანუ „Sa-hed Queironi“-ს, რაც „გამარჯვებათა მომპოვებელს“³⁵² ნიშნავს და რომელიც შეიქმნა ებრაელების ყველაზე რჩეული ღმერთის სახელის „Dominus Sabaoth“-ის მიბადვით³⁵³). ინდოეთის დიდი ხელისუფალნი და ხელმწიფე ისევე ატარებენ ამ ტიტულს, როგორც სპარსეთის ხელმწიფე; თითოეული იმ აზრისაა, რომ ეს ტიტული მას შეჰფერის და თვლის მას თავის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ტიტულად. იგი შეიძლება გაგებულ იქნას აგრეთვე როგორც „საუკუნის მბრძანებელი“. მაგრამ ზემორე თარგმანი უფრო ნათელი და გასაგებია და სავსებით აამკარავებს იმ სულელურ ამპარტავნობას, რომელსაც იგი შეიცავს.

ამბობენ, რომ ის ვრცელი და ქედმაღალი ტიტულატურა, რო-

მელსაც სპარსელები იყენებენ, თათრებისაგან მომდინარეობს და ახალი შემოღებულიაო. მაჰმადიანობამდე მათ არ იყენებდნენ და თვით ხელმწიფეებიც კი თავიანთ აქტებსა და წერილებს რომაელების მსგავსად ასე იწყებდნენ: „ესა და ეს, ამას და ამას“.

XVI. სხვაგან უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ როგორ აღნიშნავენ სპარსელები დროს, აქ კი თარიღის გასარკვევად იმის თქმაც საკმარისია, რომ შავალ²⁰⁶ არის მეორე თვე და რომ არა-

²⁰⁶ Chaval (Chawwâl).

ბებმა ყველა თვე ეპითეტებით შეამკეს; ასე მაგალითად, პირველ თვეს უწოდეს „წმინდა“, მეწვოდეს - „საქები[4, მვისრეს - აკურ-თხეული41) ხოლო შავალს- „საპატიო“. „წმინდა გაქცევაში“ იგულისხმება მაჰმადის გამოსვლა ქალაქ მექიდან, ანუ, როგორც მაჰმადიანები ამბობენ, კერპთაყვანისმცემლობიდან; სიტყვა „ჰიჯრა“ ნათარგმნი როგორც „გაქცევა“, მოდის ზმნიდან, რომელიც აღნიშნავს „გაქცევას, წასვლას“. ამგვარად, მაჰმადიანების ჰიჯრა იგივეა, რაც „ებრაელების გამოსვლა“; ეჭვს გარეშეა, რომ ომარს²⁰⁷ სწორედ ეს გამოსვლა ჰქონდა მხედველობაში, როცა მაჰმადიანურ ხანას საწყისი დაუდო იმ დროიდან, როცა მაჰმადი არაბეთის ქალაქ მექიდან გამოვიდა, სადაც ყველაზე მეტი კერპი და კერპთაყვანისმცემელი იყო.

VII. ორიგინალში არის „hamhager“²⁰⁸, ე .ი. „ერთად მორბენალი“³⁵⁵).

VIII. ახლახან ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ არაბები თვეებს ეპითეტებით ამკობენ, სპარსელები კი ასეთ ეპითეტებს თავიანთი იმპერიის მთავარ ქალაქებსაც აძლევენ. ისფაჰანსა და ყაზვინს მათ „ხელმწიფეთა საჯდომი“ შეარქვეს³⁵⁶); ქაშანს²⁰⁹ ეწოდა „ერთგულთა სამყოფელი“; ყანდაჰარს²¹⁰ – „საიმედო თავშესაფარი“; აშრაფს²¹¹ – „გაკეთილშობილებული“, რადგანაც აბას დიდმა აქ დიდი და მდიდრული სასახლე გააშენა და, ჩვეულებრივ, აქ იყო ხოლმე მისი რეზიდენცია, როცა მაზანდარანის პროვინციაში იმყოფებოდა. ეს პროვინცია აქტებში, საფინანსო უწყებაში, სახელმწიფო დივანში თაბარისტანად²¹² არის წოდებული, ხოლო ჩვეულებრივი ლაპარაკის დროს „მანზანდეროონს“²¹³ უწოდებენ³⁵⁷). „Taber Estaan“ ნიშნავს „ადგილს“, ანუ „ცულების ადგილს“. სპარსელებმა ამ პროვინციას ასე იმის აღსანიშნავად უწოდეს, რომ იგი ტყეებით იყო დაფარული; ხოლო იქ, სადაც ბევრია ტყე, ბევრი ცულიც არის საჭირო მათ მოსაჭრელად. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სპარსელები არასოდეს არაფერს იტყვიან თავიანთ იმპერიაზე ისე, რომ იგი რაიმე ბრწყინვალე ეპითეტით არ შეამკონ. ასე, მაგალითად:

„კურთხეული სახელმწიფო, ბედნიერი სახელმწიფო, უკიდევანო სივრცის სახელმწიფო“, როგორც ეს ამ ფირმანშიც გვხვდება.

XIX. ბეჭდის ანაბეჭდი, რომელიც თარგმანში მოთავსებუ-

²⁰⁷ Omar. ²⁰⁸ (Hamhâdjér). ²⁰⁹ Cachan. ²¹⁰ Candahar. ²¹¹ Archeref.

²¹² Tabar estaan (thabar èstâun). ²¹³ Manzanderoon.

338

ლია თარიღის ქვემოთ, დედანში ფირმანის უკანა მხარეზე, ასევე ქვემოთ არის დასმული. იგი პირველი ვეზირის, სახელად მუჰამედ მეჰმადის²¹⁴, ბეჭედი. სპარსელები, ჩვეულებრივ, არასოდეს არ აღნიშნავენ ბეჭედებზე თავიანთ წოდებას, არც რაიმე ტიტულს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მათი გამოცნობა. ამას აკეთებენ მხოლოდ საფინანსო უწყების მოხელეები თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს, სხვა შემთხვევებში კი – არა, რადგანაც, უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ყველას სხვადასხვა ბეჭედები და სიქები აქვთ. აქ აღბეჭდილია მხოლოდ მათი და მათი მამების სახელი, რომელიც მათთვის, ებრაელების მსგავსად, ზედსახელს წარმოადგენს; აღბეჭდილია აგრეთვე მათი გვარი, თუ მათ აქვთ პატივი მუჰამედიდან წარმომავლობისა, მისი ასულის ფატიმას²¹⁵ მხრიდან. მაჰმადიანები მხოლოდ და მხოლოდ ასეთი წარმომავლობის პირს თვლიან ნამდვილ დიდებულად.

სპარსეთის ხელმწიფის ფირმანს მისი მსახურთუხუცესის სარეკომენდაციო წერილიც დაეურთვე; მიწოდდა მეფისნაცვალს ისიც ენახა, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, იგი უფრო მეტ ზემოქმედებას მოახდენდა მასზე, ვიდრე თვით ფირმანი; მართლაც ასე მოხდა და შემდეგში შევიტყვე, რომ სწორედ ამ წერილს უნდა ვუმაღლოდე იმ სამსახურსა და პატივს, რაც თბილისში გამიწიეს; აი, ამ წერილის თარგმანი:

„ხელმწიფის ნაცვალთა დივანის მოსამსახურეებმა, სამეფობის მოიჯარადრეებმა და დიდი გზების ზედამხედველებმა, უწყოდნენ, რომ ბატონებმა შარდენმა და რეზენმა, ფრანგმა ვაჭრებმა, ვაჭრებთა შორის რჩეულებმა მოიტანეს რა უზენაეს და დადებულ კარზე იშვიათი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ნივთები, რომლებიც ღირსეულ არს ქონების დროებითი დამრიგებლის მონათა ხაზინისა, მათ დაევალათ მოტანა სხვა საგნებისა და ებრძანათ საგანგებო ბრძანებით თავიანთ ქვეყნებში დაემზადებინათ მრავალი ნივთი ამ მონათათვის. ამის გამო მათ პატივი დასდეს წმინდა ბეჭდიანი ფირმანით და სწორედ ამ საქმისათვის მოგზაურობენ ისინი. აუცილებელია, რომ ყოველგან, სადაც კა ისინი გაივლიან, დიდი პატივით მოექცნენ და რაც შეიძლება რიგიანი დახმარება გაუწიონ ყველაფერში. აგრეთვე აუცილებელია სიფრთხილე, რათა ისინი მძიმე მდგომარეო-

ბაში არ აღმოჩნდნენ. არ გამოამჟღავნონ აგრეთვე, როგორადაც არ უნდა იყოს, რომ მათგან ელიან ან სურთ საზღაური, რადგანაც თუ

²¹⁴ Mahomet Mehdy. ²¹⁵ Fathmé (Fathiméh).

ქვეყნიერების ხელმწიფის ყურამდე მივიდა ამბავი, რომ მათ რაღაც პრეტენზიები აქვთ ვინმეს მიმართ, ეს ცნობა ცუდ ნაყოფს გამოიღებს. დაიწერა საპატიო თვესა შავალს. 1076 წელს წმინდა გაქცევიდან³⁵⁸). პატივი და დიდება მას".

ამიაზე მინაწერი:

„ამ წერილის მიზანია ეცნობოს იმათ, ვისაც იგი ეგზავნება, რომ ამის წარმომადგენლებს უნდა მოეპყრან ფირმანის შინაარსის შესაბამისად, რომელსაც ყველა მოწიწებით უნდა ექცეოდეს“.

ბეჭედში ჩაწერილია – „მაყსუდი, ყალების ვაჟი²¹⁶, სანეტარო ქმნილებები“³⁵⁹).

I. სპარსულში ნათქვამია: „აქვთ პატივი იმათ, რასაც აუწყებენ“. სპარსეთის დიდებულები ასე მიმართავენ დაბალი რანგის მოხელეებს, განსაკუთრებით, როცა ეს მოხელეები მათ მორჩილებაში არიან. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ზღვარი, რასაც ძალაუფლება და თანამდებობა დებს მათ შორის, ურთიერთობამ არ წაშალოს და მუდამ იყოს დაცული.

II. ტერმინი, რომელიც ჩემ მიერ თარგმნილია, როგორც „ფრანგი“, ორიგინალში არის „ფერენგი“²¹⁷ – ეს არის საერთო სახელი, რომელსაც სპარსელები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები უწოდებენ ქრისტიანულ სახელმწიფოებში დაბადებულ ევროპელ ქრისტიანებს³⁶⁰), გარდა მოსკოვიტებისა, რომელთაც უწოდებენ „ორუსს“²¹⁸. სახელი „ფერენგი“ მომდინარეობს ან გალიის პრინცის „ფრანკუსისაგან“²¹⁹, ან კიდევ „ფრანგი“ ხალხისაგან, რადგან ეს არის ევროპის პირველი ქრისტიანი ერი, რომელმაც სავაჭრო კავშირი დაამყარა მაჰმადიანებთან, როგორც ეს მე უკვე აღნიშნული მქონდა. ცხადია, სახელი „ფერენგი“ ანუ „ფრანკი“²²⁰, რომელსაც ევროპის ქრისტიანებს მიაწერენ, ხმარებაში წმინდა ომის დროს შემოვიდა³⁶¹) და აღნიშნავდა არა ეროვნულ წარმომავლობას, არამედ რაიმე ლიგას. ზოგი ავტორი „ფრანგს“ ხსნის არაბული ეტიმოლოგიით, თითქოს იგი „Ferhenc“³⁶²) სიტყვისაგან მომდინარეობდეს და ნიშნავდეს „დიდსულს“.

III. სიტყვა, რომელიც ასე ვთარგმნე – „ხაზინა“ ორიგინალში არის „Sercar“. იგი ზუსტად აღნიშნავს „სამუშაოთა უფროსს“ და აგრეთვე „მაღაზიას“³⁶³). სპარსეთის ხელმწიფესა და დიდებულებს აქვთ ყოველგვარი სახის მანუფაქტურები, რომელთაც ეწოდებათ

„ქარხანე“²²¹, ე. ი. „სამუშაო სახლი“³⁶⁴), ანუ, უფრო ზუსტად, „ლა-ბორატორია“. ეს იგივეა, რაც ფლორენციის დიდი ჰერცოგის გალერეა ან ლუვრის გალერეები. აქ თავმოყრილია მრავალრიცხოვანი ხელოვანი ოსტატები, რომელთაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში დიდი ხელფასი და სარჩო ეძლევათ. მათ სამუშაო მასალებით ამარაგებენ; აძლევენ საჩუქრებს ან უდიდებენ გასამრჯელოს მათ მიერ შესრულებული ყოველი ღირსშესანიშნავი საგნისათვის.

IV. გამოთქმას – „ღირსეულ არს ხელმწიფის მონათა ხაზინისა“ ისინი ხმარობენ უბრალოდ ამპარტავნობით, ვითომც იმის სათქმელად, რომ მისი უდიდებულესობის ხაზინა იმდენი იშვიათი ძვირფასეულობითაა სავსე, რომ არაფრის მოტანა არ შეიძლება ისეთის, რომელიც ღირსი იქნება იქ მოთავსებისა. სპარსული კაზმულსიტყვაობა ასეთ გამოთქმებს ხშირად იყენებს სხვადასხვა პირთა მიმართაც; როდესაც ლაპარაკია ელჩზე, რომელიც ხელმწიფესთან თაყვანისსაცემად მოვიდა, ისინი ამბობენ – „მან დაუკოცნა ფეხები ხელმწიფის მონებსო ან როცა უნდათ აღნიშნონ, რომ რომელიმე დიდებულმა დიდი საქმე გააკეთაო, ამბობენ – „ამ დიდებულის მონებმა დიდი საქმე მოიმოქმედესო“; ლაპარაკის ეს მანერა კარგად გამოხატავს აღმოსავლეთის ხალხების ამპარტავნობას. ვფიქრობ, ამგვარი გამოთქმები ამოღებული უნდა იყოს ყურანიდან, რომელსაც მაჰმადიანები ჭეშმარიტი მჭერმეტყველების წყაროს“ უწოდებენ. მასში ხშირად ვხვდებით მსგავს გამოთქმებს, მაგალითად, ღმერთის საქმეთა შესახებ ლაპარაკისას ნათქვამია – „ანგელოზთა საქმეები, ანგელოზებმა შექმნეს ცა და დედამიწა“. მაჰმადიანთა თქმით, ეს უფრო კარგად გამოხატავს ღმერთის ძლევამოსილებას, რადგანაც თუ ანგელოზებს იმდენი ძალა აქვთ, რომ სამყარო შექმნან, მაშ რაოდენი შეძლება უნდა ჰქონდეს თვით იმას, ვისიც მხოლოდ მსახურნი არიან ისინიო? საერთოდ მთელი აღმოსავლეთის ხალხები ნამდვილი მონები არიან; მათ ხელმწიფეებს უფლება აქვთ მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, მათ ცოლებსა და შვილებზე. მაგრამ ასეთი მდგომარეობა სრულებითაც არ იწვევს მათში შიშის გრძნობას, პირიქით, ისინი ამაცობენ ამით. თვით დიდი ხელმწიფეებიც კი დიდ პატივად თვლიან იწოდებოდნენ „მონებად“. შაჰ-ყული²²² ანუ ყულუმ-შაჰი²²³, რაც „ხელმწიფის მონას“ ნიშნავს, სპარსეთში საპატიო ტიტულიცაა, ისევე როგორც მარკიზი საფრანგეთში.

²²¹ Carconé (Kâr-khaùnéh). ²²² Cha-couli (Châh-qòuly). ²²³ Coulom-Cha (ghojâm-châh).

V. „Valineanet“²²⁴, რომელიც მე ვთარგმნე „დროებითი“³⁶⁵). ქონების დამრიგებელი არის შედგენილი სიტყვა. „Vali“ ნიშნავს დამოუკიდებელს, შეუზღუდავს, სუვერენულ მოხელეს, რომელსაც თავის სამფლობელოში ისეთივე ძალაუფლება აქვს, როგორც იმპერიის გამგებელს. სპარსელები თავიანთ ხელმწიფეს ხშირად უწოდებენ „Vali Iron“-ს, რათა ამით ხაზი გაუსვან, რომ იგი სპარსეთში, რომელსაც ისინი Iron“-ს უწოდებენ, არის ნამდვილი მემკვიდრე და მოხელე ალისა, რომელიც უფალმა მაჰმადის სიკვდილის შემდეგ მთელ მსოფლიოზე საბატონოდ დალოცა³⁶⁶). „Neamet“ მოდის Iram“-დან, რაც აღნიშნავს „საჩუქარს, წყალობას, დროებით მადლს, ქონების სიუხვეს“. ამგვარად, სახელში „Vali-Neamet“, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად უწოდებენ სპარსელები ხელმწიფეს, როცა მის აღმატებულებაზე ლაპარაკობენ, ისინი გულისხმობენ, რომ „იგი არის უფლის ამქვეყნიური მოხელე, რომელმაც, თავის მხრივ, ადამიანებს უნდა დაურიგოს ყოველგვარი წყალობა, და იყოს გზა, რომლის საშუალებითაც ზეცა თავის მადლს დედამიწას გადასცემს“.

VI. სპარსულში არის „Moubarec-Nichan“²²⁵. უკვე ითქვა, რომ გრიფს, რომელშიაც მაჰმადის თორმეტ მიმდევართა სახელებია ჩამოთვლილი, „ნიშანი“ ჰქვია, ხოლო „Moubarec“ ზუსტად „კურთხეულს“ ნიშნავს.

როცა მეფისნაცვალს მივესალმე, არაფერი მითქვამს, ისიც მდუმარედ შემხვდა და არც კი განძრეულა. ერთი წუთის შემდეგ, როცა სუფრა გააწყვეს, მან ოქროს თევზით გამომიგზავნა იმ დიდი პურის ნახევარი, რომელიც მის წინ იყო და სუფრაჯის პირით შემომითვალა, რომელმაც პური მომაწოდა, რომ „მე ვარ სასურველი სტუმარი“, ცოტა ხნის შემდეგ მეფისნაცვალმა კაცი გამომიგზავნა რათა ეკითხა ჩემთვის, თუ როგორ მიმდინარეობდა თურქებსა და პოლონელებს შორის ომი. როცა მეორე თავი საჭმელი შემოიტანეს, მან ბრძანა დაგვესხა ღვინო იმ თასიდან, რომლიდანაც თვითონ სვამდა.

ღვინო დიდ მომინანქრებულ ოქროს სურაში ესხა, ლალითა და ფირუზით მორთული თასიც ოქროსი იყო. აზნაურმა, რომელიც ღვინოს გვისხამდა, მთავრის სახელით მოგვმართა: „იმხიარულეთ და მიირთვითო“. როცა მესამე თავი საჭმელი შემოიტანეს, მთავარმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინა – გამოგვიგზავნა მისთვის გან-

²²⁴ (Valyy né'amet). ²²⁵ (Moubârek Nychân).

კაკაბი, ფურიერემის მეოთხედი და შემოგვითვალა, „თუმცა ღვინო ნადირის ხორცს ძლიერ უხდება, მე მაინც ვბრძანებ ძალა არ დაგატანონ სმაში“. ყველა ამგვარ პატივს უხმოდ ვიღებდი და მდაბლად ვუკრავდი თავს; კაპუცინებიც ასევე იქცეოდნენ. ასეთი ჩვეულება აქვთ სპარსელებს – ამგვარ პატივისცემას სხვანაირად არ პასუხობენ.

არაფერს ვიტყვი ამ ნადიმის არც თადარიგზე და არც ბარაქიანობაზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბევრი ღვინო სვეს; იყო უსაზღვრო სიუხვე სურსათისა. მოჰქონდათ სახსნიხლოც და სამარხვოც; ეს უკანასკნელი იქ დამსწრე პატრიარქისა და ეპისკოპოსის პატივსაცემად იყო, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავშეკავებულ ცხოვრებას ეწევიან. სუფრიდან სამი საათის შემდეგ ავიშაღეთ. ზოგი სტუმარი უკვე წასული იყო, თუმცა შემწვარი ხორციელი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ალაგებული სუფრიდან. წამოსვლისას მთავარს მოკრძალებით დავუკარით თავი. მან კიდევ ერთხელ შემომითვალა, „სასიამოვნო სტუმარი ხარო| და ბრძანა შინ გავეცილებინეთ.

14-ში მთავარმა ორი დიდი სურა ღვინო, ორი ხობობი და ოთხი კაკაბი გამომიგზავნა. აზნაურმა, რომელმაც ეს ძღვენი მოგვართვა, გვითხრა, რომ მთავრისაგან ნაბრძანები ჰქონდა შეეტყო, ხომ არ მჭირდებოდა რაიმე და კაპუცინები ზრუნავდნენ თუ არა ჩემს გართობაზე. მანვე გადმომცა: თუ მთავრის მიერ გამოგზავნილი ღვინო მომეწონებოდა, შემემლო ყოველდღე გამეგზავნა კაცი მისი მარნიდან ღვინის წამოსაღებად. მე ვთხოვე ამ აზნაურს დაერწმუნებინა მთავარი, რომ ჩემი მასპინძლები არაფერს მაკლებდნენ და რომ ჩვენ ერთად შევსვამთ-მეთქი მთავრის სადღეგრძელოს მის მიერ გამოგზავნილი ღვინით. ამ ღვინოზე უკეთესს ვერაფერს დალევედა კაცი. სადამოს დიდი სუფრა გავშალეთ; ვახშამზე მოვიპატიჟეთ პოლონელი დასტაქარი და ორი სირიელი, რომლებიც მთავრის სამსახურში იყვნენ.

16-ში მთავარმა მიმიპატიჟა სასახლეში გამართულ დისწულის²²⁶ ქორწილზე. ხუთ საათზე პრეფექტისა და პატრი რაფაელის თანხლებით სასახლისაკენ გავემურე. როცა მივედი, საქორწინო ცერემონიალი თითქმის დამთავრებული იყო. იგი იმ დიდ დარბაზში ტარდებოდა, სადაც წინა კვირას ვისადილეთ დიდი სურვილი მქონდა მენახა ჯვრისწერის ცერემონიალი, მაგრამ დარბაზი მანდილოს-


²²⁶ Nièce.

ნებით იყო სავსე და იქ, გარდა მთავრისა, მისი ახლო ნათესავებისა, კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისა, არც ერთ უცხო მამაკაცს არ უშვებდნენ.

მას აქეთ, რაც ქართველები სპარსეთს დაემორჩილნენ, აქაურ ქალებს მამაკაცებთან ყოფნა ეკრძალებათ, მაგრამ ეს აკრძალვა მხოლოდ ქალაქებში მოქმედებს, რადგანაც სოფლებში და იმ ადგილებში, სადაც სრულებით არ არიან მაჰმადიანები, ქალები ჩადრის გარეშე დადიან, სრულიად თავისუფლად ხვდებიან და ელაპარაკებიან მამაკაცებს.

მაგრამ რადგანაც საქართველოში მაჰმადიანური ჩვეულებები რელიგიასთან ერთად სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს, ქალების თავისუფლებაც აქ თანდათანობით იკვეცება და ეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლები იძულებულნი არიან მისდიონ წესს და განცალკევებით მოიყარონ თავი. საქორწილო ნადიმი სასახლის ტერასაზე გაიმართა, რომელიც ორი ფუტის სიმაღლისა და ექვსი ფუტის სიგანის ფიცარნაგით იყო გარშემორტყმული. ფიცარნაგი გადახურული იყო დიდი ფანჩატურით, რომელიც ოცდაორი ფუტის სიმაღლისა და დაახლოებით ხუთი გოჯის დიამეტრის მქონე ხუთ დიდ სვეტს ეყრდნობოდა. ფანჩატურს ისე მარჯვედ და ოსტატურად ჰქონდა აკრული ოქროსა და ვერცხლისფერი ფარჩა, ხავერდი და სახიანი ტილო, რომ ჩირაღდნების შუქზე ყვავილოვან და მავრიტანულ სამკაულს წააგავდა. ამ დარბაზისმაგვარი ნაგებობის შუაში წყლის დიდი აუზი იყო, მაგრამ სრულებით არ ციოდა, რადგანაც უამრავი ხალხი და აგიზგიზებული დიდი კოცონები ისე ძლიერ ათბობდა იქაურობას, რომ ჩემი წამოსვლის ჟამს სიცხე უკვე შემაწუხებელიც კი გახდა. იატაკზე საუცხოო ხალიჩები ეფინა. მთელი დარბაზი ორმოცი დიდი ჩირაღდნით იყო განათებული. ოთხი მათგანი, რომელიც მთავართან ახლოს იდგა, ოქროსი იყო, დანარჩენი კი – ვერცხლისა. ერთი ცალი ასეთი ჩირაღდანი ჩვეულებრივად ორმოც გირვანქას იწონის. მის საყრდენს თხუთმეტიოდე გოჯის დიამეტრი აქვს. ერთნახევარი ფუტის სიმაღლის სადგამზე საზეთურია დამაგრებული. იგი საქონლის სუფთა ქონითაა სავსე, რომელშიაც ორი პატრუქი დევს. ამგვარი ჩირაღდანი დიდ სინათლეს იძლევა.

თანდართული სურათი (სურ. 5) საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ ნადიმის შესახებ. სტუმრები შემადლებულ ადგილებზე ისხდნენ. მთავარი სიღრმეში იჯდა უფრო მომაღლო ადგილას,



345

რომელიც გუმბათის ფორმის მქონე ჩარდახით იყო დაფარული. მთავრის ვაჟიშვილი და ძმები ისხდნენ მის მარჯვენა, ეპისკოპოსები – მარცხნივ, ხოლო ნეფის ადგილი მათ შორის იყო. მთავარმა მე ეპისკოპოსის გვერდით დამსვა კაპუცინებთან ერთად. ნადიმზე ას კაცზე მეტი იქნებოდა. მესაკრავეები ქვემოთ იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყველანი მოვთავსდით, შემოვიდა ნეფე, რომელსაც კათალიკოსი მოუძღოდა. როგორც კი თავისი ადგილი დაიკავა, მას მთავრის ნათესავები მიუახლოვდნენ, მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს. სტუმართა უმრავლესობამაც იგივე გააკეთა თავიანთი რანგის მიხედვით. ყოველივე ეს ძალიან წააგავდა საზეიმო პროცესიას მან ნახევარ საათს გასტანა. საჩუქრები ოქროსა და ვერცხლის ფული და ვერცხლის პატარა თასები იყო. მაინტერესებდა გამეგო მირთმეული საჩუქრების ზუსტი ღირებულება. ჩემი აზრით, ბევრი არაფერი იყო, მათი ფასი ორას ეკიუზე მეტი არც კი იქნებოდა.

ამასობაში ვახშამიც გააწყვეს შემდეგნაირად: თავდაპირველად ყველა სტუმრის წინ, სეფის სამ მხარეს, გაშალეს სუფრები. ისინი ფიცარნაგის სიფართისა იყო. შემდეგ მოიტანეს სამნაირი პური: ერთი თხელი როგორც ქალაღი, მეორე თითის სისქე, მესამე მომცრო ზომისა და ტკბილი. საჭმელი ვერცხლის მოზრდილ ლანგრებზე ეწყო. ევროპაში ასეთ დიდ ლანგრებს არ აკეთებენ. ასეთი ლანგარი ხუფიანად ჩვეულებრივ ორმოცდაათ ან სამოც მარკას იწონის. მსახურთაგან ერთნი შემოიტანდნენ დარბაზში ლანგრებს, დააწყობდნენ გაშლილ სუფრაზე, მეორენი მიიტანდნენ მათ სუფრაჯებთან, ხოლო ესენი კი საჭმელს ღრმა თეფშებზე დააწყობდნენ და შემდეგ სტუმრებთან მიჰქონდათ. პირველად მთავარს მიართმევდნენ, ხოლო შემდეგ სხვებს, მათი რანგის მიხედვით. თავდაპირველად ყველას ერთნაირ ხორცეულს მიართმევდნენ, შემდეგ მეორე სახის ხორცეულს და ა. შ. მთელი ნადიმის განმავლობაში სამი თავი საჭმელი შემოიტანეს. თითოეული დაახლოებით სამოც ასეთ დიდ ლანგარზე იყო გაწყობილი. პირველი თავი იყო მრავალნაირი შილაფლავი მოხარშულ ხორცთან ერთად. ფლავს სხვადასხვა გემოსი და ფერისას ამზადებენ. ყვითელი ფერისა შემზადებულია შაქრით, დარიჩინითა და ზაფრანით. წითელში ბროწეულის წვენია გარეული, თეთრი კი ნატურალურია და ყველაზე უკეთესი. ფლავი შესანიშნავი საჭმელია, ძალიან გემრიელი და მარგებელი. მეორე თავი იყო ღვეზელები, ჩაშუშული და მოხრაკული ხორცეული, მოტკბო და მომყავო საწებლით და სხვა ამგვარი საჭმელები. მესამე თავი წარმოადგენდა მშრალად შემწვარ ხორცს. სამივე თავს სასულიერო

346

პირთათვის მოსდევდა თევზი, კვერცხები და მწვანილი. იყო როგორც სახსნილო, ასევე სამარხვო საჭმელები. კერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროდ შემოჰქონდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდაათი კაცი.

ამ საუცხოო წესრიგის შემდეგ, ყურადღებას ყველაზე მეტად ჭურჭლეულობის სიუხვე იქცევდა. აქ იყო დაახლოებით ას ოცი ფიალა, თასი, ხელადა და ყანწი, სამოცი სურა და თორმეტი აზარფეშა. თითქმის ყველა აზარფეშა ვერცხლისა იყო. სურები ან სადა ოქროსი იყო, ან მომინანქრებული ოქროსი. თასები და ხელადები ზოგი ოქროთი იყო დაფერილი, ზოგიც ოქროთივე მოხატული, ზოგსაც ძვირფასი ქვები და ვერცხლის მოჭედილობა ამშვენებდა. ყანწებიც ძვირფასი თასების მსგავსად იყო მოზარნიშებული. ყანწები სხვადასხვა ზომისაა. ყველაზე მეტად გავრცელებულია რვა გოჯის სიმაღლისა და ორი გოჯის სიფართის კუპრით შავი და სათუთად გაპრილებული ყანწები. ზოგი მათგანი მარტორქისა და გარეული ნადი-

რისაა, ძირითადად კი მათ ხარისა და ვერძის რქებისაგან აკეთებენ. რქების სასმისებად გამოყენება და მათი მორთვა ყოველთვის დიდ-ად გავრცელებული ყოფილა აღმოსავლეთის ხალხებში.

არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ნადიმი, რადგანაც მის დამ-თავრებას ველარ დაველოდე. ვიცი მხოლოდ, რომ ნაშუადამევს, როცა ჩვენ წამოვედით, ხორცეული სუფრიდან ჯერ კიდევ არ იყო ალაგებული. თავდაპირველად ერთხანს ღვინოს საერთოდ არ სვამ-დნენ; მხოლოდ მესამე თავი კერძის შემოტანისას მიემალნენ ღვინოს. სვამდნენ საკმაოდ უცნაურად, ასეთი წესით: მთავართან ახლოს მსხდომ რვა კაცს, ოთხს მარჯვნივ, ოთხსაც მარცხნივ, რვა თანაბა-რი სიდიდისა და ფორმის ღვინით სავსე სასმისებს მიართმევდნენ. ისინი წამოდგებოდნენ და ვიდრე სასმისებს არ დასცლიდნენ, ფეხ-ზე იდგნენ. პირველად მარჯვნივ მსხდომნი დალევდნენ ერთად, ხო-ლო მარცხნივ მსხდომნი მათ პასუხობდნენ, შემდეგ რვანივე დაჯდე-ბოდნენ და ეს რვა სასმისი მათ უახლოეს მეზობლებს გადაეცემოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადღეგრძელო ყველას არ შემოივ-ლიდა. შემდეგ ყველაფერი იწყებოდა თავიდან; ახალი სადღეგრძე-ლო რვა უფრო მოზრდილი სასმისით ისმებოდა. ამ ქვეყნის ჩვეუ-ლების თანახმად, დიდებულების სადღეგრძელოები დიდი სასმისე-ბით ბოლოს უნდა დაილიოს. ეს იმიტომ, რომ სტუმრები უფრო მე-ტად დაათრონ, რადგანაც მათი ხათრისა და პატივისცემის გამო ისი-

347

ნი იძულებული არიან სვან მანამ, ვიდრე მაგრად არ დათვრებიან. ამგვარად სვამდნენ ამ ნადიმზე ჩემი ყოფნის უკანასკნელი ორი სა-ათის განმავლობაში და, როგორც შემდეგ გავიგე, გათენებამდე ასე-ვე გაგრძელებულა. პირველი სასმისები ჩვეულებრივი ჭიქის ტევა-დობისა იყო, ხოლო ჩემს იქ ყოფნაში დაცლილთაგან ბოლო სასმის-ში სამი ნახევარი სეტიე ჩადიოდა, თუმცა იგი მხოლოდ და მხოლოდ საშუალო ზომის სასმისად ითვლება. კაპუცინები და მე სმისაგან გაგვანთავისუფლეს. მართალი რომ ვთქვა, იმდენი ღვინო რომ და-მელია, რაც ჩემმა თანამესუფრეებმა დალიეს, იქვე გავთავდებოდი; მაგრამ მთავარმა საკმაო წინდახედულება გამოიჩინა და ბრძანა ჩვე-თვის სადღეგრძელოები არ შემოეთავაზებინათ. ჩვენს წინ იდგა ღვინო, წყალი, ოქროს თასი და როცა მოვითხოვდით, მხოლოდ მა-შინ შეგვივსებდნენ ხოლმე სასმისებს. სმის დაწყებისთანავე საკრა-ვებიც აჟღერდნენ და სიმღერაც დაიწყო. იქ შემოკრებილთ სიმღერები ძლიერ მოსწონდათ და აღტაცებულიც კი იყვნენ. მე კი ვერაფერს სასიამოვნოს ვერ ვხედავდი ამ მუსიკაში, პირიქით, იგი ყურისმომჭ-რელი და არაჰარმონიული მეჩვენა. მთავარმა, რომელიც მეტისმე-ტად გაერთო და გამხიარულდა, პრეფექტს სთხოვა შპინეტი მოა-ტანინეო. მთავრის ამ ახირებამ პრეფექტი და მისი თანამგზავრი სა-

გონებელში ჩააგდო. უხერხულობის მთავარი მიზეზი მე ვიყავი, რადგანაც შეეშინდათ მათთვის არასასიამოვნო წერილი არ მიმეწერა ვინმესთვის იმ ლაჩრული მლიქვნელობის გამო, რომელიც მათ ამ შემთხვევის დროს გამოამჟღავნეს – მისიონის პრეფექტი იმდენად დაეცა, რომ ვიოლინოზე უკრავდა მაჰმადიანი მთავრის წინაშე, ურწმუნოთა და ერეტიკოსთა, სამღვდელთა და საერო საზოგადოების წინაშე, რომელთათვისაც იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ისინი ღვინომ ჩააგდო, შეიძლება ლოთების ბრბო გვეწოდებინა. შპინეტი მოიტანეს და დარბაზის შუაში, ფილებით მოგებულ იატაკზე დადეს. პრეფექტი იძულებული შეიქნა დაეკრა; როდესაც მთავარმა უბრძანა, რომ დაკვრასთან ერთად ემღერა კიდევაც, მან დაიწყო „Magnificat“ და „Te Deum, le Tantum ergo“-ს სიმღერა. მაგრამ პიმნების ჰანგები მთავარს მაინცდამაინც არ ეამა, ამიტომ პრეფექტმა იტალიურ და ესპანურ ენებზე სასახლის სიმღერები და არიებიც შეასრულა. შპინეტი საშინლად აუწყობელი იყო. მთლიანად გათეთრებული, წლებისა და დაღლილობისაგან მოტეხილი პრეფექტი უგუნებოდა უკრავდა. ყოველივე ამის გამო ადვილი წარმოსადგენია თუ როდენ ცუდი გასართობი იყო მისი კონცერტი. მიუხედავად ამისა,

348

მთავარი ორი საათის განმავლობაში მაინც ერთობოდა ამით. ამ კონცერტის დროს მომიახლოვდა მესტუმრეთუხუცესი, წარმოშობით მაჰმადიანი და მკითხა – თქვენი სარწმუნოება არ კრძალავსო მუსიკალური საკრავების ხმარებას? მე ვუპასუხე – არა-მეთქი. მაჰმადიანური სარწმუნოება კი ამას კრძალავსო – მითხრა. ნახევარი საათი ვისაუბრეთ ამ საკითხზე და ამ ბატონმა დამიდასტურა ის, რაც მე დიდიხანია ვიცოდი, რომ მუსიკალური საკრავები მუჰამედის მიერ აკრძალულია, მაგრამ რადგანაც მთელ სპარსეთში საყოველთაოდაა იგი ხმარებაში, ამიტომ კანონით აკრძალვას არავინ უწყევს ანგარიშს. მანვე მითხრა, რომ საკრავები განსაკუთრებით ღვთისმსახურებაში არისო აკრძალული, რადგანაც უფალს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ხმით სურსო ქება-დიდების შესხმა. ამ საუბრის დროს ერთმა ქართველმა ეპისკოპოსმა პატრ რაფაელთან ამავე საკითხზე დაიწყო მსჯელობა. მე დაწვრილებით არ ვიცი რა ითქვა მათ შორის, რადგანაც მათი ენა არ მესმოდა, პატრმა კი არ მოისურვა ყველაფერი ეამბნა ჩემთვის. მან მხოლოდ ის მითხრა, რომ ეს ეპისკოპოსი აღშფოთებული ყოფილა პრეფექტის საქციელით, რომელიც ისეთივე ხერხით ართობდა საზოგადოებას ნადიმზე, როგორითაც ის ეკლესიაში უფლის სადიდებლად იყო მოწოდებული. პატრმა რაფაელმა დაუმატა, რომ იგი მეტისმეტად შეწუხებულია იმ თვითნებობით, რასაც მეფისნაცვალმა მათ მიმართ იჩენს – აიძულებს პრეფექტს დაუკრას და იმღეროს ყველგან, სადაც კი მოესურვება; მაგრამ რად-

განაც მათი უშიშროება მთლიანად მთავრის წყალობაზეა დამოკიდებული, ისინი ვერ ბედავენ წინააღმდეგობის გაწევას.

როგორც უკვე ითქვა, შუალამეს წამოვედით, მას შემდეგ, რაც დიდის მოწიწებით გამოვეთხოვეთ მთავარს. გამომშვიდობებისას მან მკითხა, როგორ ბრძანდებო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო. მან მოისურვა კაპუცინებსა და მეც ამ მდიდრული სასმისით შეგვესვა ეს სადღეგრძელო. არ ვიცი, ეს იმიტომ გააკეთა, რომ ჩვენთვის თავი მოეწონებინა, თუ პრეფექტის პატივსაცემად, რომელიც მისი კათოლიკე უბრწყინვალესობის³⁶⁷) ქვეშევრდომი იყო.

17-ში დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან. კაპუცინებს ვკითხე – როგორ ესმის-მეთქი ეს ნათესაობა მთავარს. მათ მიპასუხეს, რომ კლ.იმენტი VIII თეიმურაზისადმი მიწერილ წერილებში იგი ფილიპე II³⁶⁸)-ს ნათესავად, ხო-

349

ლო იბერიელები და ესპანელები ძმებად მოიხსენიან; ამის გამო თეიმურაზი, ხოლო მის შემდეგ მისი მემკვიდრეები დაჟინებით იჩემებენ ამ მოგონილ ნათესაობასო. ამასთან დაკავშირებით მათ ბევრი რამ მიაძმეს ქართველთა ქედმაღლობასა და მედიდურობაზე, განსაკუთრებით კი მეფისნაცვალზე და მაჩვენეს ერთი წერილის ასლი, რომელიც ორი წლის წინათ მთავარს პოლონეთის მეფისათვის მიუწერია. ამ წერილის თარგმანი აქვე მომყავს... ამპარტავნული ტიტულებით სავსე ეს წერილი აშკარად გვიჩვენებს, რომ აღამოსავლეთის ხალხები, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, უზომოდ პატივმოყვარენი არიან.

„ქება, დიდება და თაყვანისცემა უფალს, რომელიც არს ყოვლისმძლე, შემოქმედი და მომცველი ყოვლისა, არც ნაყოფი და არც ნაშიერი, განწმენდილი ყოვლისა სიბოროტისაგან, შემწყნარებელი, მიმტვევებელი ცოცხალთა და მიცვალებულთა, უცილობლად მბრძანებელი უდიდესთა და უმცირესთა და მოწყალე გამგებელი მათი, უმაღლესი და უმლიერესი ხელისუფალი მეფე ქართველთა, ლიხთიმერისა, ლიხთამერისა, ლეკთა, მთიულთა, მოხვეეთა, ხევსურთა, სვანთა, ოსთა, დვალთა, ჩერქეზთა, თუშთა, თიანეთელთა, ფხოველთა, ჟალეთისა²²⁷, – ხალხთა, რომლებიც უმაღლესი მთების იქით და აქეთ არიან და ყველა იმ დასახლებულ ადგილთა, რომლებიც აქაა³⁶⁹), სამი დიდი ქვეყნის ხელისუფალი (ქართველთა ტერმინით არის ერისთავი, ერი ნიშნავს ხალხს, თავი – მეთაურს ან მთავარს)³⁷⁰. და ყველა იმ პროვინციების დედაქალაქის, წმინდა ადგილის, მცხეთისა²²⁸, რომელიც მოწყალე უფალმა სამკვიდროდ მოგვიბოძა, მეფე იბე-

რიისა, მუხრანისა, საბარათიანოსი, თრიალეთისა, ტაშირისა, სომხითისა, შაქისა, შარვანისა²²⁹ და მრავალთა სხვათა სამეფოთა, სრული და მტკიცე მფლობელი და უცილებელი პატრონი მათი; იესიანი, დავითიანი, სოლომონიანი²³⁰; უფლის წყალობითა და ძლიერებით წარმატებული ყოველგნით, მძლეთა მძლე, უძლეველი, მეფეთა-მეფე, უდიდესი ხელისუფალი შაჰნავაზ-ხანი. თქვენ, იოან კაზიმირ²³¹, აღვსილო ყოვლითა წყალობითა და მითვე მიმგებო კაცთადმი, სახელმოხვეჭილო მშვიდობიანობით და გამსჭვალულო სათნოებით, უფლის ძალითა და მოწყალებით აღმატებულო, უავგუსტესო,

²²⁷ Lictimériens, Listameriens, Litiens, Mésiulctiens, Chéviens, Chévou-ratiens, Suanes, Ossi, Bualtiens, Circassiens, Tusciens, Psianétiens, Fidiciens, Jalibusiens. ²²⁸ Schette. ²²⁹ Mucranie, Sabatian, Trialet, Taschire, Somette, Chianchie, Schianvande. ²³⁰ Jessé, David, Salomon. ²³¹ Jean Casimir.

350

უნეტარესო, დაბადებულო ბედნიერ ვარსკვლავზე, ნიადაგ სიკეთის მთესველო, ღირსეულად მომხვეჭო ტახტისა და გვირგვინისა, უდიდესო სუზერენო, მძლეთა მძლეო, შებმუსრავთ მტერთა და დამთრგუნავო ურჩთა, ხელისუფალთ დაბადებულო ქრისტიანად და ქრისტიანული რწმენით აღზრდილო, განთქმულო იარაღის ძალით, მემკვიდრე მეფეო პოლონეთისა, გოთიისა, ვანდალიისა, ლიტვისა, რუსეთისა, პრუსიისა, მაზოვიისა, ლივონიისა, სამოტისა, კიევისა, ჩერნიგოვიისა²³², და მრავალთა სხვათა სამეფოთა და პროვინციათა, უმშვენიერესო სენიორო, რომლის სახელი ყველგანაა ცნობილი მზისა ქვეშე; თქვენ მოგმართავთ პოლონეთის უბადლო დიდო მეფეო, სიბრძნესა და ყოველგვარ მეცნიერებაში ღრმად განსწავლულო და განდიდებულო პირუთვნელი ხოტბით, რომლითაც თქვენ გამკობენ მრავალ მშვენიერ ენათა ფლობის გამო, მოგესალმებით მთელი სიყვარულით და სასოებით გისურვებთ სრულ კეთილდღეობას, ხანგრძლივ სიმშვიდეს და მრავალ წარმატებას. უსაზღვრო მადლობას ვწირავთ უფალს, ცისა და მიწის შემომქმედს, რომ შევიტყვეთ თქვენი ჯანმრთელად ყოფნის ამბავი იმ წერილების საშუალებით, რომლებიც უდიადესი და უბრწყინვალესი სენიორის, ლესრნოს²³³ გრაფის, თქვენი სამეფოს დიდი კანცლერის, დიდი პოლონეთის გენერალ-ლეიტენანტის იოან ლეზუნსკის²³⁴ სახელით მოგვივიდა. ნიადაგ ვთხოვთ ზენაარ უფალს გვამცნოს დროდარო თქვენი ჯანმრთელობის სრულყოფილების ამბავი, რომ თქვენ უჭმუნველად ტკბებით ბედნიერი მშვიდობის ნაყოფით და ნეტარებას განიცდით. თქვენი კეთილი მსახური გურჯიბეგ დანბეკი²³⁵, თქვენი სამეფოს ოფიცერი, ერთგულებითა და კეთილშობილებით ცნობილი დიდებული³⁷¹) მოვიდა აქ, ვითარცა მოციქული თქვენი სამეფო უდიდებულესობისა, რათა განეახლებინა მშვიდობა და განემტკიცებინა მე-

გობრობა და კეთილი ურთიერთობა, რომელიც გაქვთ სვებედნიერ ხელმწიფე სულთან სულეიმანთან²³⁶, რომლის სიდიადე ცამდეა ატყორცნილი და მთელ დედამიწაზე დამყარებული³⁷²; იგი, უმაღლესი ხელისუფალი უდიდესი, სწორუპოვარი, უძლიერესი, შეჩვეული იმას, რომ ყველაზე საშიში მტრებიც კი აიძულოს თავიანთი სცენ მას, რომლის წყალობით მთელი სამყარო არანაკლებ სიმდიდრეს იღებს, ვიდრე ზღვიდან, და რომელიც ღირსია უფრო მეტი

²³² Pologne, Gothie, Vandalie, Lithuanie, Russie, Prusse, Mazovie, Livonie, Samots, Chiovie, Ciarnacovie. ²³³ Lesrno. ²³⁴ Lesczunschi. ²³⁵ Burbibug-Danbec. ²³⁶ Sultan soliman.

ქება-დიდებისა ვიდრე ეს ადამიანს ძალუმს, მონარქი სპარსეთისა, პართიისა²³⁷, მიდიისა, ჰირკანიისა, სპარსეთის ყურისა და მისი კუნძულებისა, კარამანიისა, არაქოზიისა, მარგიანისა²³⁸) და სხვათა ურიცხვ სამთავროთა და სამფლობელოთა. თქვენმა ზემოხსენებულმა მოციქულმა ისე გაიარა ჩვენი მიწა, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია და არც არავითარი უსიამოვნება არ განუცდიია. ახლა იგი, უფლის შეწევნით, თქვენს სამეფო უდიდებულესობასთან ბრუნდება. უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას იმ ურთიერთკეთილგანწყობისა და მეგობრობის საწინდრით, რომელიც ჩვენს შორის სუფევს, რომ ეს კეთილი ქვეშევრდომი და ჩემი მსახური, იყონ ისევე სასურველი სტუმარი თქვენი უდიდებულესობისა, როგორც ის იყო მის წინამორბედთან³⁷³). თბილისის სამეფო 26 მარტი, 1671წ. ისეო მაცხოვრის მოვლინებიდან³⁷⁴).

20-ში პრეფექტსა და პატრ რაფაელს ვთხოვე მთავრისათვის მადლობა მოეხსენებინათ იმ პატივის გამო, რაც მან დამდო და თან ეთხოვათ დიდი სომხების დედაქალაქ ერევანამდე²³⁹ მისი რომელიმე ხელქვეითი გამოეყოლებინა ჩემთვის. მთავარმა მიიღო მადლობაც და თხოვნაც. მან კაპუცინებს დაავალა გადმოეცათ ჩემთვის, რომ მას ძალიან უყვარს ევროპელები და რომ მისი დიდი სურვილია უფრო ხანგრძლივად დავრჩე თბილისში, რათა უკეთ გავეცნო ამ ქალაქს; მაგრამ რადგანაც ხელმწიფის ბრძანება გაქვთო შესასრულებელი, ვერა ვბედავ თქვენს დაყოვნებას და ამისი სურვილიც არა მაქვსო. შეგიძლიათ განაგრძოთ გზა, როცა კი მოგესურვებათო. ჩემს მიწა-წყალზე არავითარი საფრთხე არ მოგელით და ამის გამო სრულებითაც არა გჭირდებათ ამაღლა, მაგრამ რაკი აგრე გსურთ, ერთერთ ჩემს მოხელეთაგანს მაინც გამოგაყოლებთო. შემდეგ პატრებმა მიამბეს, რომ მთავარს დიდხანს ულაპარაკია იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი სურვილი აქვს მას ნახოს ევროპელები თავის ქვეყანაში დასახლებული. მას პატრებისათვის უთქვამს ჩემთვის გად-

მოსაცემად, რომ თუ ვინმე ჩამოვა საქართველოში სავაჭროდ, მე მათ ყოველგვარ თავისუფლებასადა პრივილეგიებს მივანიჭებ, რასაც კი მოისურვებენო; ჩემი საბრძანებელი შავ ზღვამდეა გადაჭიმული, და რადგანაც სპარსეთში დიდი პატივით ვსარგებლობ, ხოლო თურქეთშიც მეტად დაფასებული ვარ, ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყნებზე უკეთეს გზას ვერსად იპოვიანო; დარწმუნებული ვარ,

²³⁷ Parthe. ²³⁸ Caramanie, Aracosie, Margiane. ²³⁹ Irivan.

352

თუ ერთხელ გაივლიან ამ გზით, მომავალში სხვა გზას აღარ აირჩევენო. პატრებს ვუთხარი, დიდი მადლობა გადაეხადათ მთავრისათვის იმ კეთილი განწყობილების გამო, რაც მას ჩვენი ქვეყნის ხალხის მიმართ ჰქონია და ვთხოვე გადაეცათ მისთვის, რომ მის სურვილს აუცილებლად შევატყობინებ ჩვენს ინდოეთის კომპანიას-მეთქი; თუ იგი პატივს დამდებს და ინებებს წერილის დაწერას, მის ბარათს აუცილებლად გადავაგზავნი-მეთქი; დაბოლოს მისგან უსაზღვროდ დავალებული ვიქნები, თუ მისი კარის რომელიმე მოხელეს გამაყოლებს უახლოეს ქვეყანამდე, რის შესახებაც ისფაჰანში ჩასვლისთანავე მოვახსენებ ხელმწიფესა და ვეზირებს-მეთქი.

24-ში თბილელი²⁴⁰ (მე აღვნიშნე, რომ ასე უწოდებენ თბილისის ეპისკოპოსს) მობრძანდა ჩემს სანახავად. მას მთავრისაგან ჰქონდა დავალებული ჩემთვის გადმოეცა შემდეგი: მთავარს დიდხანს უფიქრია ჩემს წინადადებაზე ბარათი მიეწერა ფრანგული კომპანიისათვის საქართველოში ვაჭრობის განვითარებისა და ამ ქვეყნის გასასვლელ გზად გამოყენების შესახებ; მთავარი მზად არისო იმისათვის რათა დაარწმუნოს კომპანია, თუ რა დიდი სარგებლობა შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყანაში ვაჭრობას, მაგრამ მაინც თავს იკავებსო, რადგან სპარსეთის ხელმწიფის ვასალია და ეშინია მისმა უდიდებულესობამ დანაშაულად არ ჩაუთვალოს მისი ნებართვის გარეშე საქმიანი წერილის მიწერა უცხოელებისათვისო; მაგრამ თქვენ სრული დარწმუნებით შეგიძლიათ გადასცეთო მათ, რომ თუ კომპანია რწმუნებულების გამოგზავნას მოისურვებს ამ ქვეყნებში, ისინი აქ იაფად იმოვნინან ევროპისათვის გამოსადეგ ბევრ საქონელს და მათაც, რამდენადაც შეიძლება, კარგად მიიღებენო. თბილელს მოვახსენე – გთხოვთ მთავარი დაარწმუნოთ, რომ მის დავალებას პირნათლად შევასრულებ-მეთქი. პრელატმა თხუთმეტიოდე წუთი დაჰყო ჩემს ბინაში. წასვლისას საჩუქრად მარჯნის საუცხოო კრილოსანი მივართვი. ასეთია აქაური ჩვეულება – წარჩინებულ პირთა ვიზიტი აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს. კაპუცინები მეტად ნასიამოვნები დარჩნენ თბილელის ვიზიტითაც და ჩემ მიერ გაღებული

მისი საზღაურითაც, რადგან თბილისის ეპისკოპოსი აქამდე არასოდეს ყოფილიყო მათთან.

25-ში მთავარმა ღვინო გამომიგზავნა და შემომითვალა, რომ ჩემს გასაყოლად უკვე დაენიშნა ერთი სპარსელი და განკარგულება

²⁴⁰ Tibillele.

გაეცა დაემზადებინათ მისთვის ბრძანების ქაღალდი. ასე რომ, მეორე დღესვე შემემძლო გამგზავრება.

26-ში პატრმა რაფაელმა ორი საათი გამატარებინა ერთი ბებერი დედაკაცის სახლში, რომელიც ათასგვარი საიდუმლო საშუალებით აქიმობას ეწეოდა და ზოგი რამ, რომლის შესახებაც ქება გაუგონია, ჩემს უბის წიგნაკში ჩამაწერინა. აი, რამდენიმე მათგანი:

წყალმანკის მოსარჩენად საჭიროა ნახევარი დრახმა ბაკლას ძირების წვენი; წამალი უნდა გამეორდეს ყოველ ორ დღეში, ვიდრე ავადმყოფობა არ განიკურნება.

უნებური შარდის დენის შესაწყვეტად საჭიროა სამი დღის განმავლობაში შემწვარი ყვერულის ჩინჩახვის შიგა ტყავების ჭამა, დღეში ხუთჯერ.

მორიელის ნაკბენის საწინააღმდეგოდ აიღე ცოცხალი ქათამი, გაკუტე კუსუბო და მიიღე ჭრილობაზე. ქათამი ამოსწოვს შხამს და თვითონ კვდება. როგორც კი ქათამს კრუნჩხვები დაეწყება, უნდა აიღო მეორე ქათამი და მოიქცე ისევე, როგორც პირველად და გაიმეორო მანამ, სანამ ქათამი შეწყვეტდეს შხამის ამოწოვას.

სიყვითლის საწინააღმდეგოდ მოხარშე ბრინჯი, ზედ დააწვინე ავადმყოფი და თბილად დაახურე, ან მიაღებინე რძის აბაზანა. ამ უკანასკნელსაც ისეთივე მოქმედება აქვს.

სახსრების გარეგანი ტკივილების დროს, მაგალითად, სამგორ ველისა, უნდა მიიღო ან ნახარში, ან შეიბოლო სამი დრახმა ხარისძირა.

შინაგანი რევმატიული ტკივილებისათვის, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა მიიღო ჟანგმიწის ხსნარი.

ყოველგვარი სახის დაბეჭილობის, მოტეხილობისა და ჭრილობისათვის ასევე აიღე ჟანგმიწის ხსნარი, შეახვიე ავადმყოფი ძროხის ტყავში და გამოუდინე სისხლი. შეახვიე ჭრილობა დაფხვნილი ბალახით, რომელსაც ფრანგულად ჰქვია „bouillon”²⁴¹, ხოლო ლათინურად „taxus barbatus”.

კატარის – თავში ან ყელში სისხლის მოწოლის დროს უნდა შეიბოლო ქარვა.

დიზენტერიის საწინააღმდეგოდ მიიღე ტვიას ფოთლებისა და ნაყოფის ნაყენი, ან კიდევ კურდღლის შემწვარი სისხლი, ღვინოზე

ბუასილის მოსარჩენად დანაყე მრავალმარღვას ფოთლები და დაიყარე.

თირკმელების ტკივილებისათვის, იხმარება ტუხტის ფოთლებისა და თესლის ნახარში.

კენჭების საწინააღმდეგოდ იხმარება აგრეთვე ტუხტის ნახარში.

თირკმელებში წყლულის საწინააღმდეგოდ იხმარება რძე.

პლევრიტის საწინააღმდეგოდ უნდა აიღო ჩვეულებრივი ფქვილისაგან დამზადებული ორი ძალიან თხელი კვერი, დიდხანს ხარშო წყალში შაბით და ბალახით, რომელსაც ფრანგულად ეწოდება „garance“²⁴², ხოლო ლათინურად „rubea tinctorum“, შემდეგ უნდა დაიდო გვერდზე, ერთი წინა მხარეს, მეორე კი უკანა მხარეს, რამდენადაც შეიძლება ცხელი, ისე, რომ ავადმყოფმა აიტანოს. წამალი უნდა იხმარო ყოველდღე, ვიდრე არ განიკურნები.

ხველების საწინააღმდეგოდ უნდა იხმარო „Cynoglossum“-ის ძირები, რომელსაც ფრანგულად ეწოდება „Langue de chien“²⁴³.

ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ, რომლის შეტევის დროსაც ადამიანს შეამცივნებს, ამ ქვეყანაში ჩვეულებრივი სამკურნალო საშუალებაა სალბუნები შემზადებული ცხვრის ღუმით, დარიჩინით, სანელებელი მიხაკითა და ჰილით. პაროქსიზმის დროს იღებენ მათ შუბლზე, კუჭსა და ფეხებზე. როდესაც ციება გაივლის, იღებენ ამ სალბუნებს, შუბლსა და კუჭზე იღებენ სხვა სალბუნებს, რომლებიც დამზადდება ვარდკაჭაჭასა და მრავალმარღვას ფოთლებისა და ბალახისაგან, რომელსაც ეწოდება „Solanum“²⁴⁴. შემდეგ აიღებენ გოჭს, ორად გაჭრიან და დაიდებენ ფეხებზე. ავადმყოფობის განმავლობაში ავადმყოფს კვებავენ მხოლოდ პურითა და ნუშის რძის ნაღებით, ისე რომ შემწვარ-მოხარშულს არაფერს აძლევენ.

პატრი რაფაელი მარწმუნებდა, რომ მას უნახავს ამ ქვეყანაში ციებ-ცხელებისაგან განკურნებულნი, რომლებიც წყლის პირას მიუყვანიათ და აკანკალებულები წყალში ჩაუშვიათ. ეს ძნელი დასაჯერებელია და, მართალი რომ ვთქვა, იგი სავსებით უაზროდ მეჩვენება, რადგანაც საშიშია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ქვეყნის ჰავისა და ბუნების სხვადასხვაობის გამო წამლები ძალიან განსხვავებულ შედეგს იძლევიან. ასე რომ, ერთი თუ, ასე ვთქვათ, მომაკვდინებლად მოქმედებს ერთ ქვეყანაში, სხვაგან არაფერს არ იწვევს" .

სალამოს მთავრის დიდი ვეზირის მდივანმა მომიყვანა ერთი მოხელე, რომელიც ერევანში უნდა გამყოლოდა. ჩემი თანდასწრებით გადასცა მას ბრძანების ქალაქი ამ საქმის თაობაზე, რომლის თარგმანიც მომყავს:

„სახელითა უფლისათა“

კეთილშობილ დიდებულს ემინ-აღას²⁴⁵ [I] მკაცრი სასაჯელის შიშით ეკისრება ზუსტად შეასრულოს ფირმანის შინაარსი, რომელიც აწ განსვენებულმა ხელმწიფემ – ამქვეყნად ბედინ გამგებელმა [II] და ამჟამად ზეცად ამაღლებულმა, [III], მისცა ევროპელ ფრანგებს – ბატონებს შარდენსა და რეზენს, რომლის ძალითაც ქალაქთა მმართველნი [IV] დიდი გზების ზედამხედველნი, ბაჟების ამკრეფნი და იმპერიის ყველა მოხელე ვალდებულია პატივი სცენ მათ და მოერიდონ მათგან რაიმე გადასახადის მოთხოვნას:

ზემოხსენებული ემინ-აღა უნდა შეეცადოს მიაცილოს ისინი კურთხეულ ქალაქ ერევანამდე ისე, რომ გზაში რაიმე ზიანი და უსიამოვნება არ შეემთხვეთ, რათა არაფერმა არ შეუშალოს მათ ხელი მშვიდობით მიაღწიონ სასახლეს – კაცობრიობის მოდგმის საყრდენს [V]. ყველა, ვინც ამ ბრძანებას იხილავს, სიფრთხილე მართებთ, რათა არ დაირღვეს იგი.

დაიწერა წმინდა თვესა ზულ-ყადას²⁴⁶ [VI] 1083 ჰიჯრით (1673 წ. თებერვალი-მარტი)".

I. „ემინს“ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „მირს“; ეს ერთი და იგივეა: ისინი აღნიშნავენ „ბატონს, წარჩინებულს, მამაცს, ოჯახის ან ტომის უფროსს“. „წიგნი მეორე სჯულისა“. II თავის X მუხლის მიხედვით შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ამ სიტყვის ზოგიერთი, მნიშვნელობა ძალიან ძველია; ებრაულად იგი სიტყვასიტყვით აღნიშნავს „შემადრწუნებელს“.

II. სიტყვასიტყვით რომ გადმოგვეთარგმნა, უნდა ყოფილიყო „შეერთების მბრძანებელი“. სპარსელები, რომელთაც დაბეჯითებით სწამთ ასტრონომიული წინასწარმეტყველებისა, თვლიან, რომ გამარჯვებები და ბედის ყოველგვარი წყალობანი დამოკიდებულია ორი მფარველი მნათობის შეერთებაზე. აქედან გამომდინარე, როცა მხოლოდ წარმატება და ბედნიერება აქვთ, ამბობენ შეერთების მბრძანებელი ვართო.

²⁴⁵ Emin-aga (Emyn âghâ). ²⁴⁶ Zialcadé (Zouïl-qa'déh).

III. სპარსულში სიტყვასიტყვით ნათქვამია – „რომლისთვისაც ზეცა არის საცხოვრებელი ადგილი“. ალის მიმდევრები სპარსეთის ხელმწიფეებს წმინდანებად თვლიან, როგორც მაჰმადის მემკვიდრეებსა და უფლის მოციქულთ; მათ სარწმუნოების დოგმად აქვთ მიღებული, რომ ეს ხელმწიფეები წინასწარდანიშნულებით გარდაუვალად ზეცად ამაღლდებიან და ეს ისევე ბუნებრივია, როგორც ჩიტების დაბრუნება თავიანთ ბუდეებში.

IV „ომმალ“²⁴⁷, რომელიც მე გადმოვთარგმნე როგორც „მმართველი“, ნიშნავს „მცირე მთავარს“ ან „დაქვემდებარებულ მმართველს“. ამ სიტყვით აღინიშნება „ტარულა“²⁴⁸, რომელიც ნიშნავს მმართველსა და მოსამართლეს. „მუსთოუფი“²⁴⁹ აღნიშნავს მმართველს; „შეიხ ოლ ისლამ“²⁵⁰ – სამოქალაქო მსაჯულს. „ვაზირი“²⁵¹ – მთავარი მეზაჟყა, ხოლო „ქალანთარი“²⁵² – ვაჭრების ზედამდგომი³⁷⁵).

V. „ალამფანაჰ“²⁵³ ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულებრივი ტიტულია, რომლითაც სპარსელები ამკობენ თავიანთ ხელმწიფეს და რომელიც ნიშნავს ქვეყნის საყრდენსა და საფუძველს⁽³⁷⁶⁾.

VI. ეს არის წლის II თვე.

დიდი ვეზირის მდივანს ერთი პისტოლი ვაჩუქე იმ შრომის საფასურად, რომელსაც იგი ეწევა ასეთი სახის ბრძანებების დასამზადებლად. ეს საზღაური განსაზღვრული არ არის. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბრძანება, როგორ არის გაფორმებული და როგორი ხარისხისაა იგი. პირველ ყოვლისა, ჩემმა გამყოლმა გამომიცხადა – ცხენები არა მყავს და ხუთი პისტოლი მომეცი ერთი ცხენის საყიდლად. კარგად ვიცოდი, რომ ეს წმინდა წყლის ოინი იყო ფულის წინასწარ დასაცინცლად. მას ეშინოდა უპირო კაცი არ გამოვმდგარიყავი და ერევანში ჩასვლისას მცირედი გასამრჯელო არ მეკმარებინა მისთვის, ან სრულებით არაფერი მიმეცა...

28-ში, დილის თერთმეტ საათზე, თბილისიდან გავემგზავრე. პოლონელმა ქირურგმა, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, და ჩემმა ნაცნობმა რამდენიმე ქართველმა გადასასვლელამდე მიმაცილეს. გამყოლი წინ მიდიოდა, რათა ქალაქიდან გამოსულ დატვირთულ ყველა ცხენზე მცირე გადასახადის ამკრეფები გაეფრთხილებინა, არაფერი მოეთხოვათ ჩემი ხალხისაგან. ასეთ გამყოლებს ეძა-

247 Homal (O'mmâl). 248 Darôga (Dârôghah). 249 Mustaufi (Mustaufy). 250 Cheic-el-islam (Cheykh âl-islâm). 251 Visir. 252 Kelonter. 253 Alempenha.

ხიან „მეჰმენდარს“²⁵⁴, რაც ნიშნავს „სტუმარზე მზრუნველს“³⁷⁷). მათ აძლევენ მსტოვრებს, ელჩებსა და ყველა საპატიო უცხოელს. მათ მოვალეობას შეადგენს, ის პირები, რომელთა გამყოლებიც ისინი არიან, უზრუნველყონ ბინით, სურსათითა და ეკიპაჟით; ერთი სიტყვით, გაათავისუფლონ ისინი მოგზაურობასთან დაკავშირებული საზრუნავისაგან. ისინი, ასე ვთქვათ, მსახურთუხუცესნი ან მომმარაგებელნი არიან იმ პირთა, რომელთაც მიყვებიან, რადგან ყველგან და ყველაფერში იყენებენ მათ: აგზავნიან საყიდლებზე ან ვეზირებთან დავალებით, როცა არ სურთ თავი შეიწუხონ პირადად მისი გადაცემით. გამყოლებს მათი სამსახურისათვის კარგ გასამრჯელოს უზდიან; თვით ასეთი დავალებაც ხომ უკვე ჯილდოს უდრის. ამასთანავე ის სოფლები, რომლებშიც ისინი გაივლიან, ქრთამს აძლევენ მათ, რათა ნაკლები სიმკაცრით აკრიფონ ის, რაც ევალებათ მიართვან მათ მიერ მოყვანილ ხალხს, და დიდი ზარალი არ მოუვიდეთ. ეს გამყოლები კისრულობენ ვაჭრების მფარველობას და ისინიც სიამოვნებით თანხმდებიან მათ სამსახურზე, რადგანაც, გარდა იმისა, რომ ამით თავს იზღვევენ გამარცვისაგან, ამასთანავე თავისუფლდებიან საგზაო და საბაჟო გადასახადებისაგან, რისთვისაც გამყოლები დამატებით საფასურს იღებენ. ყველაზე დიდი შემოსავალი მათთვის არის საჩუქარი, რომელსაც ისინი უკან დაბრუნებისას იღებენ...

[თბილისიდან გამოსვლის) დღეს ორი ლიე გავიარე დაბალ მთებში, რომელიც ქალაქის სამხრეთით მდებარეობს. ღამე გავათენე დიდ სოფელში, რომელსაც ეწოდება სოღანლული²⁵⁵, ე. ი. „ხახვების ადგილი“ და რომელიც მდინარე მტკვარზეა გაშენებული. შორიახლოს დავინახე სამეფო სასახლე, რომელსაც სეფი-აბადი²⁵⁶ ანუ სეფის საცხოვრებელი ეწოდება. ეს სპარსეთის ის ხელმწიფეა, რომელიც 1627 წელს ავიდა ტახტზე³⁷⁸). სასახლე გაშენებულია ბორცვზე, აქვს ფართო ტერასები, არხები და წყალვარდნილები. გაზაფხულზე ეს არის მდელოებითა და სურნელოვანი ყვავილებით დამშვენებული საუცხოო ადგილი, ხოლო წლის მომდევნო დროებში იგი ხილის სიუხვით გამოირჩევა³⁷⁹).

* * *

[1674 წლის 28 ოქტომბერს³⁸⁰) ხელმწიფის სასახლეში ყოფნის დროს შემატყობინეს ხელმწიფის კარის პასუხი მოსკოვის საგან-

²⁵⁴ Mehemandaar. ²⁵⁵ Sogan lou (Sòghân lou). ²⁵⁶ Sefi-abad (Ssèfy âbâd) .

გებო ელჩისადმი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ ჩამოვიდა სპარსეთში და მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება,

თუ რა დავალება ჰქონდა ამ ელჩს. უკეთ რომ გავერკვეთ ამ საკითხში, გავიხსენოთ რაც ზემოთ იყო თქმული საქართველოში მომხდარი გადატრიალებების შესახებ ლაპარაკის დროს. როდესაც საქართველოს უკანასკნელი მეფე თეიმურაზი სპარსეთის ხელმწიფის ჯარებმა შეიპყრეს, მისი რძალი, თეიმურაზის რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი უფროსი შვილის ცოლი, მოსკოვის სახელმწიფოში გადაიხვეწა. თან წაიყვანა ერთადერთი ვაჟი, რომელიც ამ მთავრისაგან ჰყავდა და რომელიც ამდენად თეიმურაზის შვილიშვილი და მისი მემკვიდრე იყო³⁸¹). დიდმა მთავარმა³⁸²), როგორც იქვე აღვნიშნავდი, დიდი პატივით მიიღო დედოფალი და მისი ვაჟი – მიუჩინა მათი ჩამომავლობისა და უწინდელი მდგომარეობისათვის შესაფერისი ბინა; ხოლო როდესაც ვაჟმა გარკვეულ ასაკს მიაღწია, თავისი ასული მიათხოვა მას და დაჰპირდა, რომ გამოიყენებდა თავის გავლენას სპარსეთის ხელმწიფესთან, რათა იგი საქართველოს სამეფოში მეფისნაცვლად დაებრუნებინათ. სწორედ ამის გამო მოვიდა ეს საგანგებო ელჩი სპარსეთის ხელმწიფის კარზე. დიდი მთავარი ხელმწიფეს ელჩისპირით უთვლიდა, რომ რაკი მან თავს იღო თეიმურაზის შვილიშვილის, საქართველოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის მფარველობა და რაკი იმ პირობების შესაბამისად, რომლითაც ეს სამეფო დაემორჩილა სპარსეთს, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული იყო, რომ საქართველოს მეფისნაცვლები მის უკანასკნელი მეფის, თეიმურაზის, საგვარეულოდან უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ვინაიდან თეიმურაზის შვილიშვილი მტკიცედ არის დაკავშირებული მის პიროვნებასთან, იგი იმედოვნებს, რომ მისი სპარსელი უდიდებულესობა კეთილინებებს მისცეს მას ამ სამეფოს მეფისნაცვლობა, მით უმეტეს, რომ კანონით, როგორც თეიმურაზის შვილიშვილს, ტახტი სწორედ მას ეკუთვნის. რადგანაც მას ეჭვი არ ეპარება, რომ მისი უდიდებულესობა სიამოვნებით მოიქცევა სწორედ ასე. დაიცავს სამართლიანობას და აუცილებლად ჩაერევა ამ საქმეში, საგანგებო ელჩთან ერთად, გზავნის თავის სიძეს – ახალგაზრდა უფლისწულს, რათა მან მის უდიდებულესობას ფეხები დაუკოცნოს და მიიღოს მისგან საქართველოს მეფისნაცვლობა. ასეთი იყო დიდი მთავრის წერილების შინაარსი, რომლებიც საგანგებო ელჩმა წარუდგინა სპარსეთის ხელმწიფეს. ამ ელჩს თან ახლდა ერთი აზნაური ამ ახალგაზრდა უფლისწულისა, რომლის შესახებ იყო ლაპარაკი. აზ-

ნაურმა თავის მხრივ წარადგინა თავისი ბატონის წერილი, რომელშიაც უფლისწული ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ იგი მოსულია იმისათვის, რათა ფეხქვეშ ჩაუვარდეს მას და მიიღოს მისგან კეთილი წყალობა; რადგანაც იგი მისი უდიდებულესობის მსახური და ვასალია, მას სჯერა, რომ ხელმწიფე ინებებს პატივით მიიღოს იგი

და მოეპყრობა მისი მეფური ღირსების შესაბამისად; ჯერჯერობით კი ხელმწიფის ბრძანების მოლოდინში იგი საზღვართან დგას. წარმოგზავნილებისადმი გაცემულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ ხელმწიფე იწონებს დიდი მთავრის შუამდგომლობას თეიმურაზის შვილიშვილის სასარგებლოდ და მხედველობაში მიიღებს მის თხოვნას. ახალგაზრდა უფლისწულს კი ნება დაერთო ხელმწიფის კარზე მოსვლისა. ამას გარდა თავისი წყალობის ნიშნად და საწინდრად ხელმწიფემ უფლისწულს გაუგზავნა უძვირფასესი ხალათი²⁵⁷, რომელიც შედგებოდა ცხრა სრული ჩასაცმელისაგან: ერთი მათგანი ძვირფასი თვლების საკინძებით იყო მორთული, ოთხი – ოქროქარგული, ხოლო დანარჩენები – ოქროთი და ვერცხლით მოქარგული ფარჩისა³⁸³). გაუგზავნა აგრეთვე ძვირფასი თვლებით მოჭედილი დაშნა და ხანჯალი, ოცი ცხენი და ოცი ათასი ეკიუ ვერცხლით. ამ უფლისწულის მოსვლამ ქართველები დიდად შეაშფოთა, განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის მეფისნაცვალი, რომელიც მისი ნათესავი და იგივე სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ეს მეფისნაცვალი ცნობილი იყო არა მარტო მრავალრიცხოვანი შვილებით – ქალიშვილებითა და ვაჟებით, რომლებიც კარგად იყვნენ დაბინავებულნი და გამოირჩეოდნენ მამაცობითა და განათლებით³⁸⁴), არამედ დიდი სიმდიდრითა და მრავალრიცხოვანი შესანიშნავი მოხელეებით, რომლებიც მის კარზე იყვნენ თავმოყრილნი. მეფისნაცვლის მეორე ვაჟი შვილთან, რომელიც ისფაჰანის მმართველი და მთავარი მოსამართლეა, მითქმა-მოთქმა დაიწყო – მეფისნაცვალი ნებით არ დათმობს თავის სამეფოს და რომ მეტად სახიფათოა მასთან შეჭიდება, თუ მოწინააღმდეგე ბევრად უფრო ძლიერი არ იქნაო, რადგანაც იგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავს სამეფოს, რომელიც დაპყრობების შედეგად გააფართოვა და გაზარდა ერთი მესამედითო. ფიქრობდნენ, რომ ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს შეუქმნიდა სპარსელებს, მაგრამ დიდი ვეზირის²⁵⁸ აზრით, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ეს შემთხვევა იმის იმედსაც იძლეოდა, რომ საქართველო საბოლოოდ დაეპყროთ დასა სავსებით დაემორჩილებინათ ეს ამაყი და ურ-

²⁵⁷ CaIate. ²⁵⁸ Le premier ministre.

ჩი ხალხი, რომელიც ესოდენ მტკიცედ იცავდა ჯერ კიდევ შემორჩენილ მცირეოდენ თავისუფლებას და ხშირად თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებებს. ამბობდნენ დიდი ვეზირის მიზანს ახალგაზრდა უფლისწულის საქართველოში დამკვიდრება წარმოადგენსო. მან კარგად იცოდა, რომ უფლისწულის აქ გამოჩენას აუცილებლად მოჰყვებოდა საქართველოს დაქუცმაცება, რადგანაც ქვეყნის მრავალი დიდებული დაუძინებელი

მტერი იყო მეფისნაცვლისა; ამ არეულობის საფუძვლით, ბოლოს-დაბოლოს, მის ადგილზე დაინიშნებოდა წარმოშობით სპარსელი და ამგვარად საქართველო მთლიანად იქნებოდა დამორჩილებულ.

რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოდან წერილები მივიღე, რომლებმაც დაადასტურეს ყოველივე ის, რაც თეიმურაზის შვილი-შვილის ჩამოსვლის შესახებ ვთქვი. გარდა ამისა, ამ წერილების საშუალებით შევიტყვე, რომ კოლხიდასა და მის მახლობლად მდებარე პატარა სამთავროებში, სადაც მაჰმადიანობა ჯერ კიდევ არ იყო ფეხმოკიდებული, ახალი ბრძოლები დაწყებულა; მოუკლავთ მეფე, რომელიც თურქებმა 1672 წლის ბოლოს უწინდელი მეფის ნაცვლად დასვეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი მეფე კოლხიდის სამეფო გვარს ეკუთვნოდა და თავისი წინამორბედის ნათესავი იყო. ეპისკოპოსს ეს ახალი მეფე დიდ ნადიმზე მიუწვევია თურმე. ვიდრე იგი სიამოვნებით შეეცეოდა გემრიელ საჭმელებს, ისე რომ არავითარი სიბოროტის შიში არ ჰქონია, მოხუცი მეფე ამალითურთ თავს დასხმია მას ამ სახლში, რომლის პატრონიც მათი მომხრე ყოფილა. საბრალო მთავარი მყისვე ნაკუწ-ნაკუწად უქცევიათ³⁸⁵). ასეთივე ბედი სწვევია იმათაც, ვისაც მისი დაცვა განუზრახავს. კავკასიის მთებისა და შავიზღვისპირეთის თურქები, როცა გაუგიათ ამ ამბოხების ამბავი, მეტისმეტად გაცხარებულან, იმის გამო რომ ეს საბრალო კოლხები და მათი მეზობლები თავიანთი საქციელით აიძულებენ მათ მთლიანად მოსპონ ისინი. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად თურქები დაძრულან საქართველოსაკენ და, როგორც წერილებიდან ჩანდა, წლის დასაწყისამდე უნდა ჩასულიყვნენ იქ.

* * *

[1675 წლის 18 მაისს]³⁸⁶) ყაზვინში რამდენიმე წარჩინებული-ქრისტიანი ვნახე. მათ შორის საქართველოს უკანასკნელი მეფის თეიმურაზ ხანის შვილიშვილი და ერთი დომინიკანელი, რომელსაც აქ პაპის ელჩს უწოდებენ. თეიმურაზ ხანის შვილიშვილის სახელია

ერეკლე²⁵⁹, მამამისისა კი დაუთ-ხანი²⁶⁰, რომელიც საქართველოს უკანასკნელი გადატრიალებების დროს, ნდაახლოებით 1650 წ. გარდაიცვალა; მაშინ მან კახეთის სამეფო – იბერიის ანუ საქართველოს ერთი ნაწილი დაკარგა³⁸⁷). ერეკლეს დედა³⁸⁸) მიხვდა, რომ ახალგაზრდა უფლისწულის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის, სიცოცხლე საფრთხეში იყო, ამიტომაც მან თავისი ვაჟი მოსკოვის სახელმწიფოში გახიზნა, სადაც ისინი დიდმა მთავარმა თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო. 1673 წელს, როცა ერეკლე ოცდამესამე წელში გადადგა, დიდმა მთავარმა სპარსეთის კარზე ერთი მოხელე წარგზავნა თხო-

ვნით – ახალგაზრდა უფლისწულისათვის თავისი სამეფო დაებრუნებინათ. მახვილი პოლიტიკური ალლოთი დაჯილდოებულმა დიდმა ვეზირმა გადაწყვიტა ეს შემთხვევა გამოეყენებინა საქართველოში შინაური ომის გაღვივებისათვის, რაც საშუალებას მისცემდა სპარსეთს მთლიანად დაემორჩილებინა ეს ქვეყანა. საქართველო, როგორც ცნობილია, გარშემორტყმულია თურქებით, მოსკოვიტებითა და თათრებით; ხალხი მებრძოლი სულისკვეთებისაა, რელიგია სხვადასხვაგვარია, რადგანაც მოსახლეობის ნაწილი მაჰმადიანია, ნაწილი კი – ქრისტიანი. სწორედ ამან აიძულა სპარსეთის ხელისუფლება ფრთხილად გამოეყენებინათ ეს შემთხვევა. მათ იცოდნენ, რომ ერეკლესათვის მისი მამის სამეფოს დაბრუნება საქართველოს კანონიერ მფლობელს, მეფისნაცვალს შაჰნავაზ-ხანს საკმაოდ დაასუსტებდა. შაჰნავაზ-ხანმა კახეთის სამეფო საბოლოოდ დაუმორჩილა სპარსეთს, მას შემდეგ, რაც სავსებით მოახრევინა ქედი საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც თეიმურაზ ხანის გამგებლობაში შედიოდა, მიუხედავად იმისა, რომ შაჰნავაზ-ხანიც თეიმურაზის საგვარეულოს წარმომადგენელი იყო; თუ ეს ცვლილება ქართველებს შორის ომს გამოიწვევდა, სპარსელები ერთ-ერთ მათგანს მიემხრობდნენ, ერთს მეორის საშუალებით დააშოშმინებდნენ და, ამგვარად, უფრო შეუზღუდავი ბატონ-პატრონები გახდებოდნენ ამ ქვეყნისა, ვიდრე მანამდე იყვნენ. სწორედ ეს იყო მათი დიდი საწაღელი. მათ მოსკოვის კარზე ერთი ცნობილი სომეხი სოვდაგარი წარგზავნეს, რომელიც იქ სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა მოსკოვის სახელმწიფოს კარზე სპარსეთის ხელმწიფის სახელით. მას უფლისწულ ერეკლესათვის ფირმანები გაატანეს. ფირმანები მისი პიროვნების ღირსებასა და პატივს გამოხატავდნენ. ამასთანავე სპარსეთის ყველა ხელისუფალსა თუ მეფისნაცვალს ნაბრძანები ჰქონდა ისე მოქცეოდნენ და

²⁵⁹ Héraclé. ²⁶⁰ Daoud Can.

362

მიეღოთ იგი, როგორც მთავარი. დესპანს გაატანეს აგრეთვე ძვირფასი საჩუქარი – ოქრონაქარგი ფარჩის შვიდი ჩასაცმელი, ერთი დაშნა, ერთი ძვირფასი თვლებით მოჭედული ხანჯალი და ერთიც ცხენის მასიური ოქროს აკაზმულობა. ასეთ საჩუქრებს სპარსეთში „ხალათს“²⁶¹ უწოდებენ³⁸⁹), რაც არაერთხელ განმიმარტავს. დიდმა მთავარმა საკმაოდ ღარიბული ეკიპაჟით გამოისტუმრა ეს ახალგაზრდა უფლისწული; იგი მის წინაპართა ქვეყანაზე, კახეთის სამეფოზე გამავალ გზას დაადგა, რადგანაც ეს იყო უმოკლესი გზა³⁹⁰). კახეთის მმართველი საქართველოს მეფისნაცვლის შაჰნავაზ-ხანის ვაჟიშვილი შაჰნავაზ-ხანი²⁶² იყო³⁹¹). მამამისი მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო. მან კარგად იცოდა – ერეკლეს იმიტომ აბრუნებდნენ, რომ იგი მის-

თვის დაეპირისპირებინათ და ეს ქართველების სრული განადგურებისათვის გამოეყენებინათ. მან ამ ამბებთან დაკავშირებით თავის შვილს საიდუმლოდ რჩევა-დარიგება შეუთვალა. შაჰნაზარ-ხანმა დიდი სიყვარულით მიიღო უფლისწული ერეკლე; მეორე დღესვე ძვირფასი საჩუქრები მიართვა: ცხენები, ავეჯი, სხვადასხვა ნივთი, ძვირფასი თვლები და ვერცხლი, რაც მთლიანად ოცი ათასი ეკიუს ღირებულებისა იყო. დიდებულად უმასპინძლა რამდენიმე დღის განმავლობაში, შემდეგ კი იწყო მისი შეგულიანება: დარჩი ჩემს ქვეყანაში და სპარსეთის ხელმწიფესთან ნუ წახვალ. არაფერს იშურებდა მისი გულის მოსაგებად. საკუთარი დაც კი შესთავაზა ცოლად და აღუთქვა ჩემს სამეფოს გაგიყოფო. მაგრამ ერეკლეს მახეში გაბმა ადვილი როდი იყო. მისი მონადირება რომ ასე იოლი ყოფილიყო, დიდხანს როდი დააყოვნებდნენ მის მოკვლას ან მოწამლვას. მან მადლობებითა და ეშმაკური დაპირებებით თავი დაიძვრინა; მაგრამ რადგანაც ეშინოდა თბილისში ან საქართველოს რომელიმე სხვა მხარეში ხიფათს არ გადაჰყოფდა, ჩერქეზების ქვეყნის გავლით ირჩია წასვლა და შემახაში ჩავიდა. აქ მას დიდი ბატონის ძმისწული ელოდებოდა, რომელსაც იგი მისი აღმატებულების ხარჯით სასწრაფოდ უნდა წაეყვანა კარზე და ეზრუნა იმაზე, რომ მას როგორც მეფური ჩამომავლობის მთავარს, ისე მოქცეოდნენ. შემახის მმართველს ნაბრძანები ჰქონდა უფლისწულისათვის გადაეცა თხუთმეტი ათასი ეკიუ ნაღდი ფული. როცა იგი კარზე წარდგა, ხელმწიფემ მას ახალი საჩუქრები მიართვა და დიდი პატივით მიიღო. მის ყოველდღიურ ულუფას შეადგენდა ორმოცი ლანგარი ხორცი, თხუთმეტი ლანგარი ხილი და რძის ნაწარმი, თხუთმეტნაირი

²⁶¹ Calaat (khil'at). ²⁶² Chanezer Can.

ტკბილეული, თითოეული რვა თეფშით. ყოველივე ამის მორთმევა მასიური ოქროს ჭურჭლით ხდებოდა, ისევე როგორც შარბათისა, სალათებისა და სხვა საკაზმებისა; ღებულობდა სასმელსაც სამას ოცდახუთ პინტა საუცხოო ღვინოს, ათ პინტა შირაზის ღვინოს. პირველი შეხვედრისას ხელმწიფემ მას არაფერი უთხრა. მეორედ კი განუცხადა – დარდი ნურაფრის გექნება, იმედი იქონიე, რომ წინაპართა ტახტს დაგიბრუნებო³⁹²).

* * *

8 – [ივნისს]³⁹³) ერეკლე უფლისწულმა გამომიგზავნა ერთი რომელი კაპუცინი, საქართველოს მისიონერი, ამჟამად მასთან ერთად კარზე მყოფი და მთხოვა მეჩვენებინა ნაწილი იმ ძვირფასი ნივ-

თებისა, რომელიც, როგორც გავიგე, ჩამოგიტანიათო. ხელმწიფის კარის ნებართვის გარეშე ამ უფლისწულს უფლება არ ჰქონდა ვინმე ენახა. ჩემი ნახვის ნება კი დიდმა ბატონმა მაშინვე მისცა, როგორც კი მას ამის შესახებ მოახსენეს.

* * *

18 – [ივნისს]³⁹⁴) ხელმწიფემ ერეკლეს (შეუთვალა თავისი ამალიდან დიდი ნაწილი, ნახევარი მაინც დაეთხოვა; – ამიერიდან, როცა ისეთ ქვეყანაში იმყოფებით, სადაც არავითარი საფრთხე არ მოგელით, რაღა საჭიროა ამდენი ხალხიო. ამაღა ორას ორმოცდაათი ქართველისაგან შედგებოდა. მთავრის მესტუმრეთუხუცესმა ისიც მოახსენა, რომ ხელმწიფემ ბრძანაო, როცა თქვენი ამაღა ამგვარად შემცირდება, სახარჯოდ ყოველდღიურად ორმოცდაათ ეკიუს მიიღებთ, ნაცვლად იმ სურსათისა, რომელსაც ხელმწიფის სასახლე ყოველდღიურად გიგზავნიოთ. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მთავარი შეევედრა ხელმწიფეს – ნება მომეცი ჩემი ხალხი სრულად შევიწარჩუნოო, ყველა ისინი ჩემი ოჯახის ხანდაზმული მსახურებია, რომელთაც უსაზღვრო ერთგულება დამიმტკიცეს გაჭირვებაშიო; ისინიც ხომ ისეთივე მონები არიან, როგორც მის უმაღლესობას ჰყავსო; მეც და ჩემი მსახურებიც ყველგან, სადაც კი არ წავალთ, თქვენი მორჩილი ვიქნებითო. ხელმწიფემ შეიწყნარა უფლისწულის თხოვნა და ნება დართო მთელი ამაღა შეეწარჩუნებინა.

364

* * *

27 – [ოქტომბერს]³⁹⁵) შირაზში ჩავედი უფლის წყალობით გამოჯანმრთელებული, თუმცა ისფაჰანიდან გამომგზავრებისას ავად ვიყავი.

აქ ხელმწიფის კარის წერილები მივიღე. სხვადასხვა ცნობებთან ერთად მატყობინებდნენ რა ამბები დატრიალებულა იქ და საქართველოში ქართველ უფლისწულთან, ერეკლე მირზასთან²⁶³ დაკავშირებით, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკე ამ ჩემს „დღიურში“²⁶⁴. მე აღვნიშნავდი, როგორ ცდილობდა საქართველოს მეფისნაცვალის შაჰნავაზ-ხანი და მისი ახლობლები გადაეთქმევიანებინათ ერეკლესათვის სპარსეთის კარზე წასვლის განზრახვა იმ საბაბით, რომ მაჰმადიანობას მიგაღებინებენო. ეს მეტად ძლიერი საბუთი იყო, მაგრამ საკმაოდ უცნაურად ჟღერდა მაჰმადიანი მეფისნაცვლის ბაგეთაგან, რომელმაც, წარმოშობით ქრისტიანმა, თვითონ მიიღო მაჰმადიანობა, რათა საქართველოს მეფისნაცვალის გამხდარიყო. ნამდვილი მიზანი მისი მოქმედებისა გახლდათ მშვიდად მოემორებინა თავიდან უფლისწული, რათა აეცილებინა მისთვის კარგად ცნობილი

განზრახვა სპარსეთის კარისა, სპარსელებს სურდათ შაჰნავაზ-ხანი-სათვის ჩამოერთმიათ ქვეყნის მმართველობა და, კანონიერი მემკვიდრის საბაბით, გადაეცა იგი ამ ახალგაზრდა უფლისწულისათვის. ამას მოჰყვებოდა შინაური ომი, რასაც სპარსეთის ხელმწიფე საქართველოში ჯერ კიდევ არსებული თავისუფლების ნაშთების მოსასპობად გამოიყენებდა და, ამგვარად, საქართველო მისი განუკითხავი უფლის ქვეშ მოექცეოდა. იგი ისეთივე აბსოლუტური გამგებელი იქნებოდა მისი, როგორც სპარსეთის მორჩილი სხვა სახელმწიფოებისა. შაჰნავაზ-ხანი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ამ მიზნისათვის გამოიწვიეს ერეკლე მოსკოვიდან და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა თავისთვის და თავისი შვილებისათვის სამეფისნაცვლო. მისი ვაჟი შაჰნავაზ-ხანი, კახეთის სამეფოს – იბერიის ნაწილის, მმართველი, მისივე გავლენის ქვეშ მყოფი, იმ საბაბით, რომ მოეხილა თავისი ქვეყანა, მიეარ-მოეარა და ენადირა, საიდუმლოდ გაემგზავრა ახალციხეში. ახალციხე თურქეთის საზღვარზე მდებარეობს და ვრცელი ქვეყნის დედაქალაქია; მის მმართველს ასლან ფაშა²⁶³ ჰქვია. შაჰნავაზ-ხანმა მას პორტას მფარველობა და სპარსეთის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. იმ შემთხვევაში, თუ

²⁶³ Héracle Mirza. ²⁶⁴ Journal. ²⁶⁵ Aslan pacha.

სპარსეთი საქართველოში მისი მამის ნაცვლად სხვა მეფისნაცვლის დასმას მოინდომებდა. თურქმა ფაშამ ეს ამბავი პორტას შეატყობინა, პორტა კი დაჰპირდა მოთხოვნისთანავე ათი ათას კაცს გამოგზავნით საქართველოში. შაჰნავაზ-ხანმა შვილის მოგზაურობა გაქცევად გამოაცხადა; ხელმწიფესთან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა ჩემმა ვაჟმა მიღალატა, სად გაიქცა არ ვიცი, მაგრამ თვითონ დავედევნები და თქვენ უდიდებულესობას ყველაფერს მოვახსენებო; დიდად შეწუხებული ვარ, რომ ხელმწიფისა და მამის წინააღმდეგ მუამბოხე შვილები მყავს, მე კი თქვენი უდიდებულესობის ერთგული მონა ვარ და ასეთად დავრჩები მთელი სიცოცხლეო. შაჰნავაზ-ხანმა სასწრაფოდ მოამზადა ხალხი სალაშქროდ და თავისი ამალით შავი ზღვის ნაპირისაკენ გაემართა. მაგრამ სპარსეთის კარი როდი გაბრიყვდა; მან კარგად იცოდა, რომ ეს ბებერი მელა, ასეთი ვრცელი, ერთგულების საბუთის მიუხედავად, იმისათვის აიყარა, რომ თავისი ქონება საიმედოდ შეენახა მეფესთან²⁶⁶ – მის ახლო ნათესავთან: ასე ეძახიან სუვერენულ ხელისუფალს საქართველოს იმ ნაწილისას, რომელიც შავ ზღვას ეკვრის³⁹⁶). სპარსეთში ისიც შეიტყვეს, რომ შაჰნავაზ-ხანს მოსკოვის სახელმწიფოს დიდი მთავრისათვის დესპანი გაუგზავნია და უცნობებია, რომ უფლისწულ ერეკლეს აღზევება მის წინაპართა ადგილზე მხოლოდ საბაბია, სინამდვილეში კი სპარსე-

ლებს საქართველოს აბსოლუტური და განუკითხავი ბატონ-პატრონობა სურთ და აქ ქრისტიანობის მოსპობა სწადიათო. ამავე დროს, როგორც ეს აღმოსავლური კარისათვის არის დამახასიათებელი, სპარსეთის ხელმწიფის კარმა დაფარა ყოველივე ეს, რადგანაც იცოდა რა სიძნელეები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართველების ამბოხებას. ხელმწიფემ შაჰნავაზ-ხანს ერთი საპატიო მოხელის პირით შეუთვალა, შენს ერთგულებას ვერწმუნებით და შენით დიდად კმაყოფილი ვართო; იმედი გქონდეთ ჩვენი სამართლიანობისა და კეთილგანწყობილებისა ყველაფერში, რასაც კი მოისურვებთო; ამავე დროს, რადგანაც ჩვენი სახელმწიფოს უდიდეს მეფისნაცვლებს პატივი დავდეთ და ვუბრძანეთ გამოცხადდნენ კარზე, რათა პირადად შევხვდეთ და მოვითათბიროთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, გვსურს აგრეთვე შენი ნახვაცო, შენი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მამაცობითა და სიბრძნით სახელგანთქმული მთავარი ხარო. ხელმწიფე უხმობდა შაჰნავაზ-ხანს ჰირკანიაში, სადაც იგი მიემგზავრებოდა. მას სეფი-ყულიხანი²⁶⁷ და მუჰამედ-ხანი²⁶⁸ უნდა დაენიშნა სომხე-

²⁶⁶ Meppe. ²⁶⁷ Sefi Coulican. ²⁶⁸ Mahammed can.

366

თისა და ბაქტრიის²¹⁹ მეფისნაცვლებად; ისინი რამდენიმე თვის წინათ კარზე იმყოფებოდნენ, როგორც მე ამის შესახებ უკვე ვილაპარაკე. უკეთ რომ აეხვიათ თვალები ამ ბებერი მეფისნაცვლისათვის, წერილებს თან დიდი საჩუქრებიც დაურთეს. მაგრამ ამ უკანასკნელს, უფრო ცბიერსა და უნდობელს, ისღა დარჩენოდა, რომ მეტი სიფხიზლე გამოეჩინა. მან ხელმწიფის მოხელე და ძვირფასი საჩუქრები დიდი პატივით მიიღო; ორი-სამი კვირის განმავლობაში, ვიდრე ეს მოხელე თავისთან ჰყავდა კარზე, სულ თავისი მოგზაურობისა და საჭირო სამზადისის შესახებ ელაპარაკებოდა. გამგზავრებისას კი დაავალა სპარსეთის ვეზირებისათვის გადაეცა, რომ დაუყოვნებლივ უკან გამოეყვებიო. ასეც ეგონათ, რადგანაც ხედავდნენ, როგორ სამზადისში იყო შაჰნავაზ-ხანი; მაგრამ ეს ომისათვის მზადება იყო და არა მოგზაურობისათვის. როდესაც სამზადისს მორჩა, მან ამბოხება მოაწყო საკუთარი შვილებისა და თავადებისა²⁷⁰; ასე ეწოდებათ საქართველოს დიდებულებს. შაჰნავაზ-ხანმა სასწრაფოდ გაგზავნა დესპანები სპარსეთის კარზე და ეს ამბავიც შეატყობინა. წერილებში ნათქვამი იყო, რომ მისმა შვილებმა ამ ამბოხებაში ქვეყნის დიდებულები ჩააბეს, ისინი თურქებისაგან იღებენ დახმარებას და ფრიად შეწუხებული ვარ, – წერდა შაჰნავაზი, – რომ ამდენი წლების მანძილზე საქართველო სპარსეთის მორჩილებაში მყავდა და ახლა კი, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მისი მოშლის საშიშროებას ვხედავო; მეამბოხეთა წინააღმდეგ სალაშქროდ მივემგზავრები,

მერე კი, სასწრაფოდ ხელმწიფესთან გამოცხადდებიო. ხელმწიფემ ვეზირების საშუალებით მისწერა – მეტად შეწუხებული ვარ, რომ ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდიო; ჯარებს გამოგიგზავნი მეამბოხეთა გონზე მოსაყვანადო. ამის შემდეგ უფრო მეტად იწყეს ერთ-კლე უფლისწულის მოფერება, ეუბნებოდნენ წინაპართა სამკვიდროს დაბრუნების დრო დაგიდგა, ხელმწიფე საქართველოს ჯარის მთავარსარდლად დაგნიშნავს, ოღონდ შენი მხრიდან საჭიროა მაჰმადიანობა მიიღო. უფლისწულს ყოველთვის აჩქარებდნენ გადაედგა ეს საბედისწერო ნაბიჯი, ის კი საკმაოდ გაბედულად უწევდა წინააღმდეგობას. ერთხელ, დღესასწაულზე ხელმწიფემ იგი თავისთან მიიწვია; ამ დღეს უფლისწული მარხულობდა. ხელმწიფემ ერთი თეფში კერძი გაუგზავნა, რომელსაც თვითონ მიირთმევდა; კერძი ხორცისა იყო; უფლისწული კერძს არ გაეკარა, თავი მოიავადმყოფა და სუფრიდან ადგ³⁹⁷).

²⁶⁹ Bactriane. ²⁷⁰ T a v a i.

კომენტარები

1. შარდენის თხზულების ამ ადგილას წელი არ არის აღნიშნული, მაგრამ თხრობის სისრულისათვის საჭიროდ ვცანით 1672 წელი ჩაგვესვა, რადგანაც აქ სწორედ ეს წელი იგულისხმება. შარდენი პარიზიდან გაემგზავრა 1671 წლის 17 აგვისტოს. 1672 წლის 7 თებერვალს უკვე სმირნაში იყო. აქ მან 12 დღე დაჰყო, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, სადაც 9 მარტს ჩავიდა. აქედან იგი წავიდა ადრიანოპოლის მიმართულებით, საიდანაც 9 ივნისს მობრუნდა და 15 ივნისს კვლავ კონსტანტინოპოლში იყო (იხ. Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient, I, Paris, 1811, გვ. 1, 6, 26, 46, 67, 107).

2. თ რ ა კ ი ს ბ ო ს ფ ო რ ი – ბოსფორის სრუტე, რომელიც შავ ზღვასა (ევქსი ნის პონტოს) და მარმარილოს ზღვას (პროპონტიდას) აერთებს.

3. შარდენს მხედველობაში აქვს ძველი ბერძნული მითი ძროხად ქცეული ინაქოსის ასულის იოს შესახებ, რომელმაც ბოსფორი გადაცურა. „სახელი ბოსფორი („ბოსოს პოროს“) მართლაც ნიშნავს ხარის ანუ ძროხის გადასასვლელს. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ეს სახელი უფრო იმიტომ უნდა ერქვას, რომ სივიწროვის გამო, ვითომდა, ხარისათვის ადვილი გადასალახავაო“ (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 148).

4. კ ი ა ნ ე ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი – ორი პატარა კუნძული შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან. დღევანდელი ურეკ-ადი.

5. რომაელმა სარდალმა გენუს პომპეუსმა (ძვ. წ. 106-48 წწ.) 66 წელს ძვ. წ. გაილაშქრა პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის (დაახ. ძვ. წ. 132-63 წწ.) წინააღმდეგ და დაამარცხა იგი.

6. აქ უდავოდ 27 რიცხვი უნდა იყოს, რადგანაც 19 ივნისს შარდენს შეატყობინეს, რომ „გემი შავ ზღვაში გასვლას აპირებსო“ ამის შემდეგ მან სამი დღე გენუსის რეზიდენტთან დაჰყო, ხოლო ოთხი დღე „ბერძნულ მონასტერში“. მიუხედავად ამისა, „მოგზაურობის“ ჩვენთვის ხელმისაწვდომ გამოცემებშიც (1735 წლის ამსტერდამის, 1830 წლის პარიზის და სხვ.) 17 რიცხვია აღნიშნული. საყურადღებოა ისიც, რომ

ამ გამოცემებში რიცხვს წელი დაჰ თვეც უზის (Le 17 juillet 1672...), ლანგლესეულ გამოცემაში კი არც წელი და არც თვე არ არის მითითებული. ტექსტის ასე გამართვა, ვფიქრობთ, რომ უფრო სწორია, რადგანაც შარდენი დღიურებს გარკვეული სისტემით ალაგებს – წლის დასაწყისში აღნიშნავს წელს და თვის დასაწყისში თვეს, შემდეგ კი მხოლოდ რიცხვებს მიუთითებს.

7. იგულისხმება რეზენი, შარდე ნის თანამგზავრი, რომელსაც იგი თავის თხზულებაში მხოლოდ და მხოლოდ ასე იხსენიებს. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ამ ორ

368

მოგზაურს შორის შარდენი რაღაც პრივილეგიებითაც სარგებლობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ იყო. რეზენის სახელი გვხვდება „მოგზაურობაში“ ჩართულ საბუთებში, სადაც ამ დოკუმენტების გამცემი ხელისუფალნი მათ ერთნაირი პატივით იხსენიებენ (სპარსეთის შაჰის ფირმანში რეზენი შარდენზე წინაც კი არის მოხსენებული). გარდა ამისა, ჩანს, რომ რეზენს, საკუთარი ქონება მიჰქონდა სპარსეთში, ე. ი. იგი შარდენზე არაფრით არ იყო დამოკიდებული.

8. გოა – ინდუსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი. 1510 წელს დაიპყრეს პორტუგალიელებმა. იგი გახდა ინდოეთში მათი კოლონიების ცენტრი. 1542 წ. აქ ჩამოვიდნენ იეზუიტები და დაიწყეს კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება.

9. ანალოგიური ცნობა აქვს დომინიკანელ ემიდიო დორტელი დ'ასკოლის, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში ათზე მეტი წელი ცხოვრობდა ყირიმში, როგორც კავის პრეფექტი: «Весьма нередко также случается, что бывающие на высотах пастухи разводят в тёмные ночи огонь, по необходимости или из хитрости, а моряки, принимая этот огонь за маяк, правят прямо на него, но оказываются вскоре обманутыми; тогда пастухи спускаются и грабят» (Описание Чёрного моря и Татарии, составил доминиканец Эмиддио Дортелли д'Асколи, префект Каффы, Татарии и проч. 1634; Одесса, 1902; Перевёл с итальянского Николай Пименов, стр. 5).

10. კაფა – ქალაქი ყირიმში, რომელიც ბერძენმა კოლონისტებმა დააარსეს ძვ. წ. VI საუკუნეში და რომელსაც ფეოდოსია ეწოდებოდა. XIII-XV საუკუნეებში იგი გენუელების კოლონია იყო. 1475 წელს თურქებმა დაიპყრეს და მას კაფა შეარქვეს. ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1783 წ.) ქალაქს კვლავ ფეოდოსია ეწოდა (იხ. Описание Черного моря и Татарии..., стр. 23).

11. ტავრიდა || ტავრიკა || ტავრია – ძველი სახელწოდება ყირიმის ნახევარკუნძულისა, ხოლო ტავრიდის ქერსონესი (– ხერსონესი) იყო ძველი ბერძნული კოლონია სევასტოპოლის მახლობლად. იგი დაარსდა ძვ. წ. V-IV საუკ. მიჯნაზე. სხვადასხვა დროს იყო პონტოს სამეფოს, რომის იმპერიის, ბიზანტიისა და კიევის რუსეთის გავლენის ქვეშ. 1464 წელს იგი თურქებმა დაიპყრეს.

12. კიმერიელი – შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები მომთაბარე ტომები, რომლებიც სკვითებმა განდევნეს მცირე აზიაში (დაახლ. ძვ. წ. VII ს.).

13. ლიე – ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც უდრიდა 4444,44 მ; 5555,5 მ ან 6172,78 მ. იმისდა მიხედვით თუ დედამიწის რომელი მერიდიანით 1/25°, 1/20° ან 1/18° იანგარიშებოდა იგი

14. კელიკონი (მორეა) – სამხრეთ საბერძნეთში მდებარე მთაგორიანი ნახევარკუნძული, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს უერთდება კორინთოს ყელით.

15. სტრაბონი – ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი (დაახლ. ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24 წწ.). იმოგზაურა მცირე აზიაში, იტალიაში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. ავტორი მრავალტომიანი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომი-სა. აქვს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს შესახებ (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ, 1957).

16. იგულისხმება ათენის მონათმფლობელური რესპუბლიკა, რომელიც წარ-

17. ი მ კ ე რ ა ტ ო რ ი თ ე ო დ ო ს ი – თეოდოსი II მცირე; ბიზანტიის კეისარი 408-450 წლებში.

18. ჰ უ ნ ე ბ ი – თურქული მოდგმის ტომები, რომლებიც თავდაპირველად ჩრდ. ჩინეთში ცხოვრობდნენ, შემდეგ გადმოინაცვლეს კასპიის ზღვის სანაპირო-ებზე. V საუკუნეში შეიჭრნენ ევროპაში. მათი მხედართმთავრის ატილას სიკვდილის შემდეგ (453 წ.) გაიფანტნენ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ადგილებში.

19. ჯ ვ ა რ ო ს ნ უ ლ ი ო მ ე ბ ი – დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მიერ „წმინდა ადგილების“ განთავისუფლების მიზეზით აღმოსავლეთის ქვეყნებში მოწყობილი ლაშქრობები 1096-1270 წლებში. ამ ლაშქრობებს მძარცველური ხასიათი ჰქონდა.

20. იგულისხმება აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის იმპერია.

21. მიხეილ VIII პალეოლოგი (1224-1282 წწ.) – ნიკეის იმპერატორი 1259-1261 წწ. ბიზანტიის იმპერატორი 1261-1282 წწ.

22. თურქებმა კონსტანტინოპოლი 1453 აიღეს.

23. მ უ ჰ ა მ ე დ II – თურქეთის სულთანი 1451-1481 წწ.

24. ემიდიო დორტელი დასკოლის ნაშრომში (Описание Черного моря и Татариин..., стр. 23), თურქების მიერ გენუელებისათვის კავას წართმევის თარიღად 1475 წელია მითითებული. საინტერესოა, რომ ამ ნაშრომში მოცემული ცნობები კავას შესახებ ხშირად შარდენის ცნობებს ემთხვევა.

25. დ ე ნ ი ე – ძველი ფრანგული წვრილი სპილენძის ფული.

26. მ ე ს ი ნ ა – იტალიის საპორტო ქალაქი. მდებარეობს კუნძულ სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მესინის ყურესთან.

27. ტ ა ნ ა ი ს ი – მდ. დონის ძველბერძნული სახელწოდება. მდინარის შესართავთან მდებარეობდა ქ. ტანაისი.

28. ჰ ე ლ ე ს კ ო ნ ტ ი – დღევანდელი დარდანელის სრუტე, რომელიც აერთებს მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს.

არქიპელაგი (ბერძნული არქიპელაგი) – კუნძულების ჯგუფი, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მცირე აზიას შორის მდებარეობს.

29. ციფრები არარეალურია, მაგრამ ეს ლანგლესაც არ გაუხდია საეჭვოდ და არ განუმარტავს.

30. კ ვ ი რ ი ნ ი – ვენეციელი ვაჭარი და ელჩი, რომელსაც შარდენი პირადად იცნობდა. ისინი ადრიანოპოლში შეხვდნენ ერთმანეთს (Voyages..., I, გვ. 91).

31. პ ო რ ტ ა – თურქეთის სულთნის კარი. ფართო მნიშვნელობით – თურქეთი.

32. შუასაუკუნეებიდან მოყოლებული თითქმის ჩვენს დრომდე ყველა ჯურის ევროპელი მთელს აღმოსავლეთში „ფრანკად“ იწოდებოდა. ამას შარდენიც მიუთითებს; აღმოსავლეთის ხალხები ევროპელებს ფრანკებს (Frances) უწოდებენ (Voyages..., III, გვ. 423).

33. ა ზ ა კ ი – თურქული ფორმაა აზოვისა. ერთ-ერთი უძველესი ქალაქი შავი ზღვისპირეთში. მდებარეობს მდ. დონის შესართავთან. XIV საუკუნეში აქ მოსულმა იტალიელებმა მას ტანაისი შეარქვეს. „მოგზაურობის“ გამომცემლის ლანგლეს თქმით (Voyages..., I, P., 1811, გვ. 138; ქვემოთ ჩვენ მიერ გამოყენებულ ლანგლეს კომენტარებს მივუთითებთ „მოგზაურობის“ მხოლოდ ამ გამოცემის გვერდების მიხედვით), შარდენის მიერ აზაკის ანუ აზოვის აღწერა სინამდვილეს არ შეეფერება. თვით შარდენი აზოვში არ ყოფილა და სხვების მონათხრობს ეყრდნობა.

34. კ ი მ ე რ ი უ ლ ი ბ ო ს ფ ო რ ი – დღევანდელი ქერჩის სრუტის ძველ-ბერძნული სახელწოდება, რომელიც ჩრდილო შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის კიმერიელების სახელწოდებიდან მომდინარეობს.

35. პ ა ლ ე ს ტ რ ა – ლანგლეს აზრით იგი დღევანდელი ტაგანროგი უნდა იყოს (Voyages..., I, გვ. 138).

36. ჩ ე რ ქ ე უ ბ ი – ჩრდილოკავკასიელი ხალხი, რომელთაც მდ. ყუზანის მარცხენა ნაპირი ეჭირა. დღევანდელი ადიღეელები.

37. ტ ა ნ ა ი ს ი (-ტანა) – ბერძნული კოლონია მდ. დონის დელტაში. იგი ბოსფორის სამეფოში შედიოდა და ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრთაგანი იყო.

38. კ ლ ა ვ დ ი ო ს პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს ი – ბერძენი გეოგრაფოსი და ასტრონომი ახ. წ. II საუკუნისა (იხ. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 39-65).

39. კ ო რ ო კ ო ნ დ ა მ ე – სოფელი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, კიმერიის ბოსფორთან (იხ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 94; 112; სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 115, 120, 285).

40. ლანგლეს შენიშვნით (Vayages..., I, გვ. 145) უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ხუთი მთის მცხოვრებნი, რადგანაც თურქულ სიტყვაზე dâgh (მთა)ყა და-მატებით აღნიშნება ერის სახელწოდება, ე. ი. ეს სიტყვა აღნიშნავს მთიელს, მთის მცხოვრებლს.

41. კ ო მ კ ო ნ ი უ ს მ ე ლ ა – I საუკუნის (ახ. წ.) რომაელი გეოგრაფოსი.

42. იხ. – შავი ზღვის რუკა.

43. პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი – VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, ავტორი ცნობილი წიგნისა (ომებზე **ΠΡΟΣΜΙΚΤ'Α** ჰელიც VI საუკუნის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს (იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, II, თბ., 1965, გვ. 38).

44. ი ს გ ა უ რ ი – დღევანდელი სკურჩა, შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი.

45. ბ ა შ ი ა ჩ უ კ ი – თურქები მართლაც ასე უწოდებდნენ იმერეთს. გვიანი ხანის (X VI-XVII ს.) სპარსულ და სომხურ ისტორიოგრაფიაშიც იმერეთი „ბაში-აჩუკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ სახელის წარმოშობას ვარაუდობენ იმ ფაქტიდან, რომ იმერლები ბრტყელ ქუდს (ფაფანაკს) ატარებდნენ. ამიტომ თურქები მათ „ბაშიაჩუკს“ („ღია თავი“), ე. ი. უქუდობს უწოდებდნენ.

46. ქ. ფაზისისა და მდ. რიონის ძველი სახელი „მოგზაურობის“ ტექსტში სხვა-დასხვანაირად არის მოცემული: Phase, Fasso, Phison და სხვ.

47. როგორც ჩანს, იგულისხმება ე. წ. აფხაზეთის დიდი კედელი, რომელიც ზოგი მკვლევარის აზრით ლევან II განუახლებია. (იხ. З. Анчабадзе, Из истории Средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959, стр. 266; М. Иващенко. Великая абхазская стена, Известия Абхазского научного общ-ва, вын. IV, 1926, стр. 85-86). ლამბერტის თავის რუკაზე სწორედ ეს კედელი უნდა ჰქონდეს აღნიშნული (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბ., 1938, ჩანართი რუკა).

48. ა ლ ა ნ ე ბ ი – სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ტომები, რომ-

ლებიც I-XIII სს. ცხოვრობდნენ ჩრდ. კავკასიაში, მდ. დნეპრის ქვემო წელსა და სამხრეთ ურალის მიდამოებში. შარდენის დროს ალანები ოვსებად (ოვსნი-ოსები) იწოდებოდნენ.

49. ა მ ო რ ძ ა ლ ე ბ ი || ა მ ა ზ ო ნ ე ბ ი || ა მ ა ძ ო ნ ე ბ ი – მეომარ ქალთა ლეგენდარული ტომი. „ამორძალები კოლხეთიდან არიან, მოსახლეობენ კავკასიონის სამხრეთით, კიმერიის ბოსფორთან და მეოტიდის ტბასთან ახლოს. მეოტიდესთან მოვიდნენ ამორძალები და აქ დასახლდნენ სკვითიაში, დონის აღმოსავლეთით და მეოტიდის ჩრდილოეთით“ (არიანე, მოგზაურობა... გვ. 79-80).

50. ფ ა ზ ი ს ი – მკვლევართა ვარაუდით იგი ფოთის მიდამოებში მდებარეობდა (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 178; ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 36-42; გეორგიკა, ტ. I, გვ. 112, 154; ტ. II, გვ. 4; М. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1962, стр. 128). რაც შეეხება შარდენის მტკიცებას, თითქოს, ძველი გეოგრაფოსების მიხედვით, ფაზისიქ. კოლხოსის ადგილზე იყო გაშენებულიო, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგანაც კოლხოსი საერთოდ არ არსებობდა (იხ. შენ. 259).

51. დ ი ო დ ო რ ე ს ი ც ი ლ ი ე ლ ი – ბერძენი ისტორიკოსი (დაახ. ძვ. წ. 80-29 წწ.). „ისტორიული ბიბლიოთეკის“ ავტორი, რომელშიც მოთხრობილია მსოფლიო ისტორია უძველესი დროიდან ძვ. წ. 60 წლამდე.

52. კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ ლეგენდა ჯერ კიდევ ჰეროდოტეიდან მოდის (თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 71). იგივე ცნობებს უფრო მოგვიანო ხანის სხვა ავტორებთანაც ვხვდებით (გეორგიკა, I, გვ. 111-112).

53. ს ე ზ ო ს ტ რ ი ს ი || ს ე ს ო ს ტ რ ი ს ი – ეგვიპტის ფარაონი რამზეს II. ცხოვრობდა ძვ. წ. XIII საუკუნეში. ანტიკური ტრადიციის მიხედვით მის მიერ კოლხეთში ჩამოსახლებული ეგვიპტელების შთამომავალნი არიან ამ მხარის მკვიდრნი (იხ. ავ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ. 1964, გვ. 57, 152, 332).

54. მდ. სოკომი არ არსებობს. შესაძლოა აქ მდ. ოქუმი (ბგერათმსგავსება) იგულისხმება, მაგრამ არიანეს „ტარსურა“ (და არა ტერშენი – იხ. „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, გვ. 41, 70, 88, 121) დღევანდელი მოქვის წყალია და არა ოქუმი. რაც შეეხება პტოლემიოსს, იგი ტარსურას საერთოდ არ ახსნებს (იხ. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 43).

55. ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე – ახ. წ. II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი. იხ. მისი მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961).

56. აქაც სახელწოდებები არეულია. ასტელეფი (და არა ასტოლფი) ეწოდებოდა არა ენგურს, არამედ პატარა კოდორს (არიანე, მოგზაურობა ..., გვ. 41, 43, 90, 103), მდ. ენგურს კი ქობოსს უწოდებდნენ (იხ. Н. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1967, № 4, стр. 215).

57. მდ. ხობს არიანე ქარიენტს უწოდებს (მოგზაურობა... გვ. 40, 68, 69, 88). უნდა ვიფიქროთ, რომ შარდენი ხობს ქობოსთან (კობო) მათი ერთნაირი ფონეტიკური ჟღერადობის გამო აიგივებს.

372

58. შარდენის Cianiscari ჭანისწყლად გადმოვიღეთ, რადგანაც ეს მდინარე ერთვის ხობს და სიდიდითაც თითქმის ამ უკანასკნელის ტოლია. რაც შეეხება კიანეს, შარდენი აქაც ცდება: კიანე II კიანეოსი პტოლემიოსის რუკაზე მოთავსებულია ტარსურას (მოქვის წყლის) ადგილას (იხ. ВДИ, 1948, №9 2, გვ. 250).

59. ს ი გ ა მ ე || ს ი ნ გ ა მ ე – ეწოდებოდა ახლანდელ ერისწყალს (არიანე, მოგზაურობა... გვ. 41, 43, 69, ვვ 90). ტეხურს სიგამეს უწოდებს არქანჯელო

ლამბერტი (იხ. სამეგრელოს აღწერა, გვ. 175).

60. ჰიპოსის ჩვეულებრივად ცხენისწყალთან აიგივებენ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 301), მაგრამ ზოგი მკვლევარის ვარაუდით ეს მდინარე კოდორის სახელწოდებაა (ნ. კეკელიძე, არიანე – მოგზაურობა... გვ. 70).

61. სტრაბონის გლავკოსი მკვლევართა ვარაუდით თანამედროვე ყვირილაა (ВДИ, 1947, № 4, გვ. 215; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 275). რაც შეეხება Caries, Caritas, აქ აბაშა არაფერ შუაშია – ეს კვლავ ქარიენტი – ხოდა ბი უნდა იყოს.

62. პ ი ნ ტ ი – თხევადი ნივთიერებების საზომი ერთეული, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობას აღნიშნავდა. საფრანგეთში ერთი პინტი უდრიდა 0,931389 ლიტრს.

63. ის, რაც შარდენის მიხედვით მთლიანად სამეგრელოს ნიადაგს ახასიათებს, უფრო კომპეტენტური ლამბერტისათვის მხოლოდ ზოგიერთი ადგილის თავისებურებაა: „...ზოგან ნიადაგი ისე რბილია, რომ როგორც კი წვიმა ცოტად იმატებს და თან ქარიც ამოვარდება, ნათესი მაშინვე მიწაზე დაეგება და დაილუპება. ამის გამო ოდიშის ერთ ადგილას, რომელსაც გაგიდა (gaghidas) ჰქვია, მიწას არ ხნავენ გუთნით, რათა არ დაარბილონ და ასე შეუმუშავებულ მიწაში ჩაჰყრიან პურის თესლს, რომელიც კარგად ამოდის და მშვენივრად იზრდება, რადგან ამ მაგარ მიწაში კარგად იდგამს ფესვებს და ქარი ისე ადვილად ვერ წააქცევს“ (ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 54-55).

64. შრომის სიმღერების ხასიათი და ფუნქცია შარდენს სრულებით არ ესმის. მისთვის გაუგებარია ის შინაგანი კონტაქტი, რომელიც არსებობს სიმღერასა და შრომას შორის (ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ К. Бюхер, Работа и ритм., Н. М., 1923; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963; მ. ჩიქოვანი, შრომის პოეზია, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956; იხ. აგრეთვე ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 51-52; Жузе П. К. Грузия в XVII столетия ло изображению патриарха Макария, «Православный собеседник», Казань, 1905, стр. 90).

65. იგულისხმება მარცვლეული, რომელსაც სამეგრელოში ღუმუ (ღუმუშ-ღუმუ) – ღომი (ღომის-ღომი) ეწოდება.

66. ამ „ნიჩაბს“ სამეგრელოში ჩოგანი ეწოდება.

67. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში ბრინჯის კულტურა იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ იგი ზღვით ოსმალეთშიაც გაჰქონდათ (იხ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 55; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ. 1930, გვ. 360-361; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., III, თბ., 1959, გვ. 295).

68. თ ე ა თ ი ნ ე ლ ე ბ ი – კათოლიკური ბერების ორდენი, რომელიც დაარსა კარდინალმა კარაფამ (შემდეგში პაპი პავლე IV) და ეპისკოპოსმა თეათემ რომში 1524 წელს. ამ ორდენის წევრები გაფანტულნი იყვნენ მთელს იტალიაში, საფრან-

გეთში, გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთში და სხვ. სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ აგრეთვე კავკასიაში. ორდენის პრინციპი იყო ბერებისათვის მკაცრი რეჟიმი და მოციქულთა სადარი უბრალოება. ორდენს სათავეში ედგა გენერალი. ორდენის წევრებს შორის იყვნენ ქალებიც.

69. რუხის ციხე მდებარეობს მდ. ენგურის პირას, სოფ. რუხში, ზუგდიდიდან 19 კმ დაშორებით. რუხი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი იყო დასავლეთ საქართველოში. 1647 წელს ლევან II დადიანმა ააშენა რუხის ციხე, დაასახლა აქ ჩხარდანი მოყვანილი ვაჭრები და აქცია იგი ქალაქად. (III. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 118-119).

70. ასეთი მოგზაურობის დროს, რომელიც წესადჰქონდათ არა მარტო მთავ-

რებს, არამედ დიდებულებსა და ეპისკოპოსებსაც (მათზე შარდენი ქვემოთ ლაპარაკობს), მათი ქვეითად ხლება და ბარგის ზიდვა მოყალნე ანუ მეტეგრე გლეხების ვალდებულებას წარმოადგენდა (ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1922, გვ. 123). მოგზაურობის დროს მთავარი (ბატონი) მარტო გადასახადის აკრეფით არ კმაყოფილდებოდა. ბეგარის გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა აგრეთვე მისი „მასპინძლობაც“ („შინ ცხენისა და კაცის ჩაჯდომა“) ანუ „გოჭკომური“ (ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 130-131), როცა ბატონი ამა თუ იმ სოფელში შეჩერდებოდა ხოლმე.

71. ქ ლ ა მ ი ნ დ ა – უხეში შალის ქსოვილისაგან შეკერილი მამაკაცის მოსახამი, რომელიც მკერდთან იკვრებოდა.

72. ასეთ დაბალ სასადილო მაგიდას სამეგრელოში „ტაბაკი“ ეწოდება.

73. მეგრულ ენას საკუთარი დამწერლობა არ ჰქონია, ხოლო აქ ნახსენები „დიდი ასოებით“ ანუ ასომთავრულით დაწერილ წიგნებში ქართული წიგნები იგულისხმება.

74. გ ო ნ ი ე || გ ო ნ ი ო – უძველესი ციხე-სიმაგრე შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმის მახლობლად.

75. ი რ ი ს ი – მდინარე მცირე აზიაში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე; აწინდელი იემილ-ირმაკი (ერშილ-ირმაკი).

76. ე კ ი უ – ფრანგული ოქროს მონეტა, რომელიც დაახლ. 4,5 - 3,9 გ იწონიდა.

77. ეს ამბავი რამდენადმე განსხვავებული ვარიანტით მოთხრობილი აქვთ სხვა ავტორებსაც (ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 161; Жузе П. К. Грузия... стр. 448). ლამბერტის მიხედვით ბოროტმოქმედი „იყო ერთი უპირველესი დიდებული ოდიში, გვარად ჭილაძე“, რომელსაც მღვდლები სულ სხვა მიზნით გაუყიდია.

78. შარდენი აქ გულისხმობს სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს.

79. იგულისხმება ძველი ბერძნული მითი არგონავტებზე და ოქროს საწმისზე (იხ. ავ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში).

80. იგულისხმება საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქრისტიანობაზე მოაქცია (იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ი. აბულაძის რედ., თბ., 1963, გვ. 81-163).

81. სომხური წყაროების მიხედვით, ქართველთა განმანათლებელი იყო ვინმე ლტოლვილი ქალი ნუნედ (იგივე ნინო) წოდებული (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 183).

374

82. ქართულ „ბიჭვინტას“ ბევრი უცხოური შესატყვისი აქვს: პიტინტი, პიტისი, პიცუნდა, პიგივიტასი და სხვა. აფხაზურად ამ ადგილს ლმაა ეწოდება. შარდენთან გვხვდებ: პიჩივტა, პიჩიოტა, პიტინტა. ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ყველგან ერთი, ქართული ფორმა – ბიჭვინტა გვეხმარა.

83. ანდრია მოციქულის დასავლეთ საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ ქართული საისტორიო წყაროებიც მოგვითხრობენ (IX საუკუნიდან მოყოლებული), მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ეს რეალურ ვითარებას არ შეესაბამება (ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, ჟურნ. მოამბე, 1900, № 5-6).

84. იგულისხმება ბიჭვინტის დიდი გუმბათიანი ეკლესია, რომელიც X საუკუნის ნაგებობას წარმოადგენს.

85. ძამპის მიხედვით, კათალიკოსი აქ ჩამოდის ერთხელ თავისი ზეობის განმავლობაში (იხ. ქვემოთ). საქმე ისაა, რომ ბიჭვინტა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეტროპოლიას წარმოადგენდა. 1545-1569 წლებში სხვადასხვა მიზეზების გამო საკათალიკოსო რეზიდენცია გადმოტანილ იქნა გელათში, მაგრამ მიუხედავად

ამისა, ბიჭვინტა, როგორც საკათალიკოსო ტამარი, გაუქმებული არ ყოფილა და ამის სიმბოლური გამოხატულება იყო კათალიკოსის მიერ აქ მირონის მომზადება (იხ. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 164-240).

86. „მოგზაურობის“ ლანგლესეულ გამოცემაში P არის პატრი (მრავლობითი PP).

87. Z a m p i-ს ქართულ დაწერილობას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად იძლევა: ძამპი, ცამპი, ზამპი. იტალიურად „ძამპი“ იკითხება ძირითადად და ჩვენ ამიტომ ვწერთ ასე.

88. ს ა უ ლ ი – ებრაელთა ბიბლიური მეფე, რომელიც დევნიდა დავითს. საულის სიკვდილის შემდეგ დავითი გახდა მეფე. მან იერუსალიმი ისრაელთა დედაქალაქად აქცია.

89. აღმოსავლეთისა და დასავლეთის (რომისა და ბიზანტიის) საეკლესიო გათიშვა მოხდა 1054 წელს, როცა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და რომის პაპმა დასწყევლეს ერთმანეთი.

90. წმ. ი ე რ ე მ ი ა – ისრაელთა ბიბლიური წინასწარმეტყველი. იგულისხმება მისი გოდება ბაბილონელთა მიერ იერუსალიმის განადგურების გამო (VI საუკ. ძვ. წ.). იგი ცალკე პოემის სახით შედის ბიბლიაში და წარმოადგენს თავისებურ რეკვიემს (იხ. გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი, დაბადება (ბიბლია), ტფ., 1884, გვ. 592-605).

91. უ რ ბ ა ნ VIII – რომის პაპი 1623-1644 წწ.

92. იგულისხმება არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ 1631 წელს (და არა 1632 წ.). ისინი კარგა ხანს გორში ცხოვრობდნენ, 1633 წელს კი სამეგრელოში გადავიდნენ (იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1938; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964; M. Tamarati, L'église géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 527-531, 549-558).

93. დ ო ნ პ ი ე რ (პ ი ე ტ რ ო) ა ვ ი ტ ა ბ ი ლ ე – საქართველოს მისიონის პრეფექტი 1626 წლიდან. მ. თამარაშვილის მიხედვით – 1628 წლიდან (იხ. ისტორია

კათალიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902 გვ. 99-100). მ. თამარაშვილი შენიშნავს, რომ იგი რომიდან 1624 წელს გამოგზავნეს, მაგრამ საქართველოში 1628 წელს ჩამოვიდა (იხ. მისი L'église géorgienne... p. 508).

ი ა კ ო ბ (ჯ ა კ ო მო) დ ე ს ტ ე ფ ა ნ ი – თეათინელი ბერი, საქართველოში ჩამოვიდა პიეტრო ავიტაბილესა და ფრანჩესკო დაპრილესთან ერთად.

94. გორის მხარე XVII საუკუნეში ცალკე დამოუკიდებელი ერთეულის სახით უცნობია. საქართველოში პატრების ჩამოსვლის დროს თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფე იყო (ქც, II, 1894, გვ. 45) და გორის მხარეც, ცხადია, მის გამგებლობაში შედიოდა. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ 1632 წელს, როდესაც თეიმურაზი იძულებული იყო ტახტი დაეტოვებინა (ირანის შაჰმა ქართლში როსტომი გაამეფა), მას მცირე ხნით მხოლოდ გორის მხარე სჭეროდა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით თბილისიდან წასული თეიმურაზი ერთ ხანს გორში მდგარა (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 239).

95. იგულისხმება ძველი კოლხეთი, რომელიც XVII საუკუნეში ასე აღარ იწოდებოდა. ჩერქეზები, ალანები, სვანები მასში არ შედიოდნენ და ამ ტომებს ამ დროს არც რელიგია ჰქონდათ ერთნაირი. შარდენი ქვემოთ აფხაზებს, ალანებს, ჯიქებს არაერთმორწმუნეებს უწოდებს.

96. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების შესახებ იხ. შენიშვნა 83.

97. ს კ ვ ი თ ე თ ი, ს კ ვ ი თ ე ბ ი – ძველი ბერძენი ავტორების მიერ შექმნილი კრებითი სახელი ჩრდ. შავი ზღვისპირეთის სტეპებში მცხოვრები სხვადასხვა მოდგმის ტომებისა. სკვითებს ეკირათ ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე.

ე კ ი რ ი – საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, იონიის ზღვის სანაპიროზე.

ს ო დ ი ა ნ ა || ს ო გ დ ი ა ნ ა || ს ო გ დ ი – უძველესი სახელმწიფო შუა აზიის ტერიტორიაზე, მდ. ზერავშანის ბასეინში.

ს ი ქ ტ ი ა ნ ე ბ ი – ლანგლეს აზრით აქ იგულისხმება ასირიის ქ. სუზის მოსახლეობა (Voyages..., I, გვ. 196).

98. ქ რ ი ს ტ ე ე ო რ ე კ ა ს ტ ე ლ ი – თეათინელთა ორდენის იტალიელი ბერი, მხატვარი. საქართველოში ჩამოვიდა XVII საუკუნის 30-იან წლებში. ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას. 1634 წელს აღმოსავლეთ საქართველოდან გურიაში გადავიდა. 1640-1646 წწ. სამეგრელოში იმყოფებოდა, შემდეგ – ქუთაისში, ხოლო 1649 წელს კვლავ სამეგრელოში დაბრუნდა. საქართველოში სულ 26 წელი დაჰყო. გააკეთა უამრავი ჩანახატები თავისი მინაწერებით, რომლებიც შესანიშნავ დოკუმენტურ მასალას წარმოადგენენ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების შესასწავლად. მისი ნახატები ჯერჯერობით სრულად არ არის შესწავლილი და გამოცემული. მათ ხშირად ვხვდებით ამ ეპოქის ამსახველი საისტორიო თხზულებების ილუსტრაციებად. ყველაზე უხვად გამოყენებულია ისინი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის წერილებში საქართველოზე (იხ. ტაბულები).

არსებობს ბიჭვინტის ტაძრის კასტელისეული ჩანახატი, ტაძრის წინ დგას მარმარილოს სვეტი, მასზე აღმართული ჯვრით, რომელსაც მლოცველები პირქვედამხობილნი ეთაყვანებოდნენ.

პატრი კასტელი მალაქია კათალიკოსს ახლდა ბიჭვინტაში (იხ. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 194-195, 200).

376

99. ბარონიუსი – იტალიელი საეკლესიო ისტორიკოსი (1538-1607 წწ.), კათოლიკური ოპოზიციის წარმომადგენელი, ცნობილი თავისი ნაწარმოებით „საეკლესიო ანალებით“ (იხ. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17-18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 72).

100. რომის პაპი კლემენტი მართლაც იყო გადასახლებული ყირიმში რომის იმპერატორის ტრაიანეს მიერ. მაგრამ როგორც მ. თამარაშვილი აღნიშნავს (M. Tamarati, L'égglise géorgienne..., გვ. 151), მას ქრისტიანობა საქართველოში არ უქადაგია.

101. ტ რ ა ი ა ნ ე, მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს – რომის იმპერატორი 98-117 წლებში.

102. ეს უნდა იყოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკიფორე (806-815 წწ.). აქვს საინტერესო თეოლოგიური ნაწერები და 602-769 წლების ბიზანტიის იმპერიის ისტორია, რომელსაც Braviarium Nicephori ეწოდება.

103. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში იბერიის პირველ ქრისტიან მეფედ აღიარებულია მირიანი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 90-91), მაგრამ არსებობს როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები, რომლებიც იბერიის პირველ ქრისტიან მეფედ ბაკურ დიდს მიიჩნევენ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ., 228-234).

104. რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306-337 წწ.), რომელმაც 313 წელს მილანის ედიქტით ქრისტიანობა უფლების მქონე რელიგიად გამოაცხადა (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948, გვ. 37-42).

105. ა რ ც ი ე რ თ (- ა რ ც ი რ ი ე ბ ი ს) ჯ ა რ ი – წმინდა იმპერიის ჯარი, რომელიც შეიარაღებული იყო შვილდებით.

ს კ უ ტ ა რ თ (- ს კ უ ტ ა რ ი ე ბ ი ს) ჯ ა რ ი – „ფაროსნები“, იმპერატორის კარის მცველი ჯარის ქვეგანაყოფი, რომლის სახელი მათი ერთ-ერთი იარაღის სახელწოდებიდან მომდინარეობს (გეორგიკა, I, გვ. 91).

106. ჰო რ მ ი ზ დ ა – რომის პაპი 514-523 წლებში. 519 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა.

107. ი უ ს ტ ი ნ ე – ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე I, 518-527 წწ.

108. პაპი იულიუს I; პაპობდა 337-352 წლებში.

109. ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი გ რ ი გ ო ლ ი (III საუკ. დასასრული-IV საუკ. დასაწყისი) – ქრისტიანობის მქადაგებელი სომხეთში. მისი სახელის მიხედვით სომხური ეკლესია გრიგორიანულად იწოდება.

110. სომ ხეთის მეფე თრდატ III (287-330 წწ.). მისი მეფობის დროს, 301 წელს სომ ხეთში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (იხ. История армянского народа, ч. I, Ереван, 1951, стр. 63).

111. კ ა ვ ა დ ი – სასანიდების დინასტიის სპარსეთის მეფე (488-531 წწ.) (იხ. М. М. Дьяеонов, Очерк истории древнего Ирана, 1961, стр. 304-315, 411-414).

112. ეს მოხდა 528 წელს, მაგრამ კოლხეთის მეფეს ერქვა არა გურგენი, რომელიც ამ დროს იბერიის მეფე იყო, არამედ წათე. წათეს დაეხმარა ბიზანტიის კეისარი. ლაზებისა და ბიზანტიელების შეერთებულმა ლაშქარმა სპარსელები დაამარცხა და უკუაქცია (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 244).

113. ჰ ე თ უ მ ი (ჰაიტონი) – XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი (იხ. Книга Марко Поло, 1955, стр. 248).

377

114. რ ა მ უ ც ი ო (რამუზიო) ჯ ო ვ ა ნ ი ბ ა ტ ი ს ტ ა (1485-1557 წწ.) – იტალიელი სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე. ავტორი ცნობილი თხზულებებისა „ნაოსნობა და მოგზაურობა“.

115. შარდენს ქეთევან დედოფლის წამების ამბავი ვრცლად აქვს მოთხრობილი ქვემოთ.

116. ა ვ გ უ ს ტ ი ნ ე ლ ე ბ ი – კათოლიკე ბერების ორდენი, რომელიც წმ. ავგუსტინე ნეტარის (354-430 წ.) სახელიდან მომდინარეობს. ისფაჰანში მყოფ ავგუსტინელ ბერს, პატრი ამბროზიოს, სპეციალური მოხსენება წარუდგენია რომისათვის ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. ასევე გრიგოლ ორსინს, რომელიც იმ დროს (1624 წ.) სპარსეთში იყო, ვრცლად აუწერია სპარსელების მიერ საქართველოს აოხრება და ქეთევან დედოფლის წამება (იხ. შენ. 310 (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 37; M. Tamarati, L'église géorgienne..., p. 482-485).

117. ძამპის „Ginacelle“ უდავოდ არის გელათელი ანუ გენათელი || გაენათელი; ასე იწოდებოდა გელათის ეპისკოპოსი. ბ. ლომინაძის აზრით, ძამპი გულისხმობს კათალიკოს ზაქარია ქვარიანს, რომელიც 1657-1660 წლებში ზეობდა (იხ. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 200).

118. ლ ე ვ ა ნ II დ ა დ ი ა ნ ი – ოდიშის მთავარი 1611-1657 წლებში. მას ისტორიული წყაროები ლევან დიდს უწოდებენ. იგი იყო მანუჩარ დადიანის ძე, კახთა მეფის ალექსანდრე II შვილიშვილი.

119. ს ი მ ო ნ ა – საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვის სისტემა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით კათოლიკურ სამყაროში). ამ სისტემას საფუძვლად უდევს ერთი ქრისტიანული ლეგენდა, რომლის მიხედვითაც სიმეონ მოგვს „სული წმინდის მადლი“ სურდა ეყიდა

მოციქულებისაგან.

120. ნ ი კ ი ფ ო რ ე ი რ ბ ა ხ ი – ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, XVII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე, დიდად განათლებული პიროვნება. 1626-1629 წლებში ელჩად იყო ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. 1627 წელს რომში მიიღო კათოლიკობა. აქვე დააარსა პირველი ქართული სტამბა და 1627 წელს სტეფანე პოლინისთან ერთად გამოსცა ქართულ-ტალიური ლექსიკონი. იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ილუმენი (ჯვარისმამა). დიდხანს ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში და ძლიერ დაახლოებული იყო ლევან II დადიანთან. გარდაიცვალა აქვე 1658 (თუ 1659) წელს (იხ. კ. კვეციანი, ნიკიფორე ირბახი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 292-313; ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე, გვ. 16-28).

121. დ ე დ ო ფ ა ლ ი თ ა მ ა რ ი – იმერეთის მეფის ალექსანდრე III პირველი ცოლი. მეფე გაეყარა მას და შეირთო თეიმურაზის ასული ნესტან-დარეჯანი, ზურაბ ერისთავის ცოლყოფილი.

122. „P a t o r i i “ – უდავოდ არის „პატონი“, მეგრული ფორმა სიტყვისა „ბატონი“.

123. კ ა რ ა კ ა ლ ა – მარკუს ავრელიუს ანტონიუს ბასიანუს, რომის იმპერატორი 211-217 წლებში. ისტორიაში უფრო ამ მეტსახელით არის ცნობილი.

124. ბ ე დ ე – ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ისტორიკოსი (673-735წწ.). ავტორი ძველი და ახალი აღთქმის კომენტარებისა, ჰომილიებისა, ზოგი წმინდანის

378

ცხოვრებისა, ჰიმნებისა და სხვ. მისი მთავარი ნაშრომია „Historia ecclesiastica gentis Anglorum“ (5 წიგნად), რომელიც ძველი ინგლისის ისტორიის (731 წლამდე) უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

125. ლ ე ვ ი ტ ე ბ ი – იერუსალიმის ტაძრის ქურუმნი, კასტა, რომელიც ებრაელთა მაღალი საზოგადოების წევრებისაგან იყო შედგენილი. მათი სახელის მიხედვით ბიბლიის ერთ-ერთ ნაწილს (მოსეს მესამე წიგს) ლევიტელთა წიგნი ეწოდება.

126. ი ე ზ ე კ ი ე ლ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი – ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში მესოპოტამიაში, ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის დროს. ავტორი ბიბლიის ერთ-ერთი წიგნისა.

127. დ ი ო ნ კ ა ს ი უ ს ი (დაახლ. 155-235) – ბერძენი ისტორიკოსი.

128. ა დ რ ი ა ნ ე, კ უ ბ ლ ი უ ს ა ე ლ ი უ ს – რომის იმპერატორი 117-138 წლებში.

129. ი ზ ი დ ა || ი ს ი დ ა – ძველ ეგვიპტეში ნაყოფიერების ღმერთი. სერაპოსი – პტოლემეოსების დინასტიის (305-30 წწ. ძვ. წ. აღ.) დროის ეგვიპტის მთავარი ღვთაება. მისი კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში.

130. დ ი ო გ ე ნ ე (დაახლ 401-323 წწ. ძვ. წ. აღ.) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ცინიკოსთა სკოლის დამაარსებლის, ანტისტენეს მიმდევარი.

131. ა რ ტ ე მ ი დ ო რ ე ე ფ ე ს ე ლ ი – ძვ. წ. II-I საუკუნის ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი.

132. „Sa giovani“ ანუ გოლგოთა: გაუგებარია თუ რას ნიშნავს sa. ასეთი სიტყვა მეგრულში არ არსებობს; თუ პრეფიქსია, მაშინ იგი მეორე სიტყვასთან ერთად უნდა ნიშნავდეს საჯვარეს და ასეც გადმოვიღეთ იგი ქართულად; თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკლესიების ტიპი ასეთი სახელწოდებით საქართველოში უცნობია.

133. მ ო ქ ე ის ტ ა ძ მ ა რ ი – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნიკალური ძეგლთაგანი. აგებულია X საუკუნის მეორე ნახევარში (იხ. Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947, стр. 194).

134. ისრაელ-იუდეველთა გაერთიანებული სამეფოს (დაახლ. ძვ. 960-936 წწ.) მეფემ, სოლომონმა, კულტის ცენტრალიზაციის მიზნით, იერუსალიმში ააგო ტა-

მარი, რომელიც ებრაელთა საერთო სალოცავად იქცა. სოლომონი ბრძენის სახელით არის ცნობილი და მას ტრადიციის მიხედვით მიეწერება ბიბლიაში შესული რამდენიმე ნაწარმოები.

135. წმინდა ხის კულტი ოდითგანვე იყო გავრცელებული საქართველოში. შუა საუკუნეებში იგი წინაქრისტიანული რწმენების გადმონაშთის სახით შემორჩა (ამის შესახებ საინტერესო მასალები იხილეთ ჟურნ. „მწყემსი“ 1886, № 3, № 36, 1887, № 10). ხის კულტის კვალი დარჩენილია ისეთ ტოპონიმებში, როგორცაა ჭყონდიდი, რკონი, ჭუბურიშჯინჯი, მუხაესტატე, კოპიტნარი, ბია, წიფური და სხვ. (იხ. ვ. ბარდაველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, ტფ., 1927; მისივე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმოხილველი, I, 1949, გვ. 129; ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 20).

136. წ მ . ა ვ გ უ ს ტ ი ნ ე – რომაელი თეოლოგი და ფილოსოფოსი (354-430 წწ). ცნობილია მისი „წერილები“, რომლებიც ფილოსოფიურ, დოგმატიკურსა და მორალურ საკითხებს ეხება.

379

137. აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში ხის ეკლესიების მშენებლობა ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, სამშენებლოდ გამოსადეგი ქვის უკმარისობა, ხოლო, მეორე მხრივ, საუკეთესო ჯიშის ხე-ტყის სიუხვე.

138. როგორც ჩანს, აქ იგულისხმება წმ. ანასტასი სინაელი, რომელიც ერთ ხანს ანტიოქიის პატრიარქი იყო. ცხოვრობდა VII საუკუნეში.

139. რიცხვთა წიგნის ეს ადგილი ტექსტში შეცდომით არის მითითებული. უნდა იყოს თ. 10, მუხ. 7,8.

140. მართლაც, ქართულ ხატებს მრავლად ჰქონდათ ყალბი ძვირფასიან ნახევარად ძვირფასი ქვები (იხი . გ. ნ. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959).

141. იგულისხმება ილორის წმ. გიორგის ეკლესია.

142. „Le bouteiHe“ – ყველგან ვთარგმნეთ როგორც დოქი.

143. „K et a s“ – შეიძლება იყოს სოფ. ხეთა, რომელიც ხობის რაიონში მდებარეობს.

144. კ უ დ ა ზ ი - ძამპის თხზულების ვ. ბარნოვისეულ თარგმანშიც „P u - d a z“ გადმოღებულია ამნაირადვე (ჟურნ. „მწყემსი“, 1887, N 13). სამეგრელოში ასეთი სახელწოდების სოფელი უცნობია და მისი ადგილმდებარეობის გარკვევა ვერ ხერხდება.

145. „C h e I i s s a“ – ხელისა, ასევე აქვს გადმოღებული ვ. ბარნოვისაც (ჟურნ. „მწყემსი“, 1887, № 13). როგორც ჩანს, აქ რომელიღაც დასახლებული პუნქტი, სოფელი იგულისხმება, მაგრამ რომელი – ამის გარკვევა დღესდღეობით ვერ ხერხდება. შესაძლოა, ეს არის წველკარი, სოფელი გალის რაიონში, სადაც X საუკუნის ეკლესიის ნანგრევებ“ არსებობს. შემორჩენილია წარწერის ფრაგმენტი – წმინდაო გიორგი მწყელისაო(იხ. ლ. შერვაშიძე, Цкелკარი (Ацкар), Материалы по археологии Абхазии, Тб., 1967).

146. ილორის წმინდა გიორგის ხატის შიში სამეგრელოში სულ უკანსკნელ წლებამდე იყო შემორჩენილი. აქ მლოცველები მოდიოდნენ თავიანთი მტრების დასაწყევლად, რასაც ილორის ხატზე „გადაცემა“ (მეგრ. „გინოჩამა“) ეწოდებოდა. მოკვადათ უამრავი საკლავი (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 348-358).

147. წ მ . რ ე ლ ი ქ ვ ი ე ბ ი – წმინდა ნაწილები, ნივთები ან სხვა რამ, რომლებიც ტრადიციის მიხედვით ამა თუ იმ წმინდანის კუთვნილებას წარმოადგენდა და რომლებსაც ამის გამო ხალხი თაყვანს სცემდა.

148. ხობის მონასტერი წარმოადგენს ხუროთმოძღვრულ კომპლექსს, რომელშიაც შედის ეკლესია, სამრეკლო, სასახლე, გალავანი და სხვა სამონასტრო ნაგებობათა ნანგრევები. ეკლესია აგებულია XIII-XIV სს. (ხობის სიძველეთა შესახებ იხ. ძველი საქართველო, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1913-1914 წწ., გვ. 153).

149. იგულისხმება იოანე დამასკელი – VIII საუკუნის ბიზანტიელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, რომელმაც აღმოსავლური ქრისტიანობის საეკლესიო დოგმატების სისტემატიზაცია მოახდინა.

150. როგორც ჩანს, ლაპარკია არა მაქსიმიაზე, არამედ მარკიანზე, რომელიც ბიზანტიის იმპერატორი იყო 450-457 წლებში. იგი მის ცოლთან, იმპერატორ არ-

380

კადიუსის ქალიშვილთან, პულქერიანესთან ერთად იბრძოდა მონოფიზიტების წინააღმდეგ (იხ. ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ., 137, შენ. 5, 6).

151. ი უ ბ ე ნ ა ლ ი – იერუსალიმის პატრიარქი 428-458 წლებში, ქალკედონიტი.

152. ქალკედონის საეკლესიო კრება (IV მსოფლიო კრება) შედგა 451 წელს. ამ კრებაზე დაგმობილ იქნა, მონოფიზიტობა (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I, გვ. 86-90).

153. გ ე თ ს ი მ ა ნ ი ის ე კ ლ ი (დაბა, ზადი) – ადგილი, სადაც, სახარების მიხედვით, ქრისტეს უყვარდა განმარტოება და სადაც იუდასმ გასცა იგი.

154. ბ ე დ ი ის ე კ ლ ე ს ი ა – მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში. იყო ბედიელი ეპისკოპოსების საჯდომი. ეკლესია გუმბათიანია. აგებულია X-XI სს. და განახლებულია XIII-XVI საუკუნეებში.

155. მეგრული „ჩაფულა“ წუღას ნიშნავს.

156. ტ უ ა ზ ი – სიგრძის საზომი ერთეული. საფრანგეთში ერთი ტუაზი უდრიდა 1,9490 მ.

157. წ მ ბ ა ს ი ლ ი – ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი (329-379 წწ.).

158. გ რ ი გ ო ლ ნ ა ზ ი ა ნ ზ ე ლ ი ა ნ უ ღ ვ თ ის მ ე ტ ყ ვ ე ლ ი (დაახლ. 329-389 წწ.) – აღმოსავლეთ რომის ეკლესიის ცნობილი მოღვაწე. ყოველგვარი მწვალებლობის დაუძინებელი მტერი.

159. მ ა რ ტ ი ნ ლ უ თ ე რ ი (1483-1546 წწ.) – რეფორმაციის დროინდელი გერმანიის ცნობილი მოღვაწე. ლუთერანობის მამამთავარი. იბრძოდა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. გერმანელი ბიურგერების იდეოლოგი.

160. პ ლ უ ტ ა რ ქ ე – რომაელი ისტორიკოსი (46-120 წწ.). ბერძენ და რომაელ გამოჩენილ ადამიანთა პარალელური ბიოგრაფიების ავტორი.

161. უნცია 28, 35 გ.

162. „Marquirit“, „Maguant“ – გაუგებარია თუ რა ქართული (ან მეგრული) სიტყვები უნდა ვივარაუდოთ აქ.

163. ძამპი მეგრელებს მანკიერებად უთვლის იმას, რომ ისინი ცოდვათა მონაწიეების საბუთს აღსარების გარეშე ღებულობენ. თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ევროპის ხალხთა რელიგიური ყოფის ერთ-ერთი ყველაზე მანკიერი მხარე იყო ცოდვათა მონაწიეების საბუთებით – ინდულგენციებით ვაჭრობა. ინდულგენციებით ვაჭრობამ დიდი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია XVI საუკუნის ევროპაში და ერთ-ერთი მიზეზი გახდა რეფორმაციისა. XVII საუკუნეში კათოლიკე მისიონერს არ შეიძლებოდა ეს არ სცოდნოდა. ეს წვრილმანიც კარგად გვიჩვენებს თუ რამდენად ტენდენციურად იყო განწყობილი ძამპი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

164. მ ე გ რ უ ლ ი „გ ო რ გ ი ნ ი“ – გვირგვინი; აქედან „გორგინუა“ – გვირგვინდება.

165. ამ დროის დასავლეთ საქართველოს გლეხთა კატეგორიების შესახებ იხ.

ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხების სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს., ენიშის მოამბე, ტ. V-VI, 1940; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 59-76; ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადობის სისტემა) თბი., 1966, გვ. 66-101; აგრეთვე ი. ქობალიას შენიშვნა: ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 198, შენ. 17.

166. შ ა რ ა შ ი ა – შერვაშიძე; მეგრულად ასე გამოითქმებოდა აფხაზეთის მთავართა გვარი.

167. იგულისხმება ლევან II მიერ მისი მეუღლის, სეტემან შერვაშიძის ასულის, დარეჯანის დასჯის ამბავი, რომელიც სხვა წყაროებიდანაც კარგად არის ცნობილი (იხ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 16-19). არსებობს დასახიჩრებული დარეჯანის კასტელისეული პორტრეტიც, სათანადო მინაწერით (იხ. ჯუდიჩე, წერილები..., გვ. 131, სურ. 24). ამ ამბავს შარდენი ქვემოთ უფრო ვრცლად მოგვითხრობს.

168. იგულისხმება ქართული მხედრული და ნუსხური დამწერლობა, რომელიც, მართლაც, ძირითადად ამგვარად გამოიყენებოდა.

169. რ უ ფ ი ნ უ ს ი – ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. დაიბადა 346 წლის ახლოს. გარდაიცვალა 410 წელს. საქართველოს შესახებ მისი ცნობები იხილეთ გეორგიკა, I, გვ. 201-207.

170. მ ო ს ე – ბიბლიური წინასწარმეტყველი, „ძველი აღთქმის“ პირველი ხუთი წიგნის ავტორი. მას მიეწერება ეგვიპტის ფარაონთა ტყვეობიდან ებრაელთა გამოხსნა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მოსეს შესახებ ორგვარი აზრი არსებობს: ერთნი ფიქრობენ, რომ იგი უნდა ყოფილიყო ებრაელთა ერთ-ერთი მცირე ტომობრივი გაერთიანების ბელადი, მეორენი კი ვარაუდობენ, რომ იგი სემიტების ღვთაებას წარმოადგენდა.

171. ლ ა ო დ ი კ ე – ფრიგიის უძველესი ქალაქი. დაარსებულ იქნა ძვ. წ. III საუკუნეში. რომის იმპერიის დროს იგი მცირე აზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი იყო. ლაოდიკეს საეკლესიო კრება შედგა დაახ. 360-370 წწ. ამ კრების დადგენილების ერთი ნაწილი შევიდა საერთო საეკლესიო კანონებში. ლაოდიკე დაანგრეს თურქებმა 1255 წელს.

172. სამეგრელოში ღვინის შესანახავად იყენებდნენ ქვევრს (ჭურს), (იხ. ჯუდიჩე, წერილები..., გვ. 99) ანუ ლაგვანს. გაურკვეველია ზუსტად რა ტევადობის ქვევრს გულისხმობს შარდენი, რადგანაც თვით ბოთლის „flacon“ ზომა არა აქვს განსაზღვრული.

173. „I s s o r i i“ – 1711 წლის გამოცემის მიხედვით „I f f o r i i“ – ილორის წმ. გიორგის ეკლესია – დასავლეთ საქართველოს სახელგანთქმული სალოცავი. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და აგებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში. გვიან საუკუნეებში გადაკეთებული და სახეშეცვლილია. იგი დღესაც მოქმედ ეკლესიას წარმოადგენს (იხ. А. К. Кацця, Илори – памятник XI века, Сухуми, 1963).

174. „ოხვამური“ ნაწარმოებია სიტყვა „ხვამა“-დან, რაც ქართულად ლოცვას ნიშნავს.

175. მეგრ. „ს ა ღ ო რ ო ნ თ ო“ – საღვთო.

176. ი ო რ დ ა ნ ი – მდინარე პალესტინაში, რომელიც მკვდარ ზღვას უერთდება. გადმოცემის მიხედვით იოანე ნათლისმცემელმა მასში მონათლა იესო ქრისტე.

177. „Siporias“ – სიფორია || სიპურია || სიპიასი || წიფურია || ჭიპურია. სამეგრელოში ამგვარი ტოპონიმი დღეს არ არსებობს. ლამბერტის „Cippurias“ აღ. ჭყონიას თარგმანით არის წიფურია. ლამბერტის რუკაზე იგი მოთავსებულია მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე (იხ. სამეგრელოს აღწერა, დანართი რუკა). კ. კეკელიძე მას ჭიპურიას უწოდებს (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II,

მელზედაც ლამბერტი. გარდა ამისა, შარდენს სიტყვიერადაც აქვს მითითებული მი-
სი ადგილმდებარეობა. იგი წერს, რომ Sipias-ი 20 მილით არის დაშორებული ანაკ-
ლიიდან. უფრო ქვევით კი აღნიშნავს: „14-ში ანაკლიიდან გავედით. მდ. ასტოლფის
(ე ნგურის – მ. მ.) აყოლებით გავიარეთ ორი მილი... ხმელეთით გავიარეთ ოთხნა-
ხევარი მილი და შვის ჩასვლისას Sipias-ში ჩავედით“. მოგზაურობის ამ ორ ად-
გილს შორის წინააღმდეგობაა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ 6-5 მილის გავლას
დილიდან სადამომდე არ მოუნდებოდნენ და ამიტომ Sipias -ი ანაკლიიდან უფრო 20
მილის სიშორეზე არი საგულვებელი. ანაკლიიდან დაახლოებით ამ მანძილზე მდ. ენ-
გურის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს სოფელი დიხაზურგა, რომელსაც უწინ დიდი
წიფური ეწოდებოდა (იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და-
ყოფა, თბ, 1966, გვ. 313). Sipias, Cippurias და წიფურიას გაიგივება ამ სიტყვის ფო-
ნეტიკური მსგავსების გამო სავსებით დასაშვებია, მით უმეტეს, რომ წიფურის
სრული მეგრული ფორმა, უდავოდ „წიფურია“ უნდა ყოფილიყო. ამდენად ვფიქ-
რობთ, რომ Sipias-ის ადგილმდებარეობა გარკვეულია და იგი ყველგან გადმოგვაქვს
წიფურიად. რაც შეეხება დღესასწაულის სახელწოდებას – სიპიასობა, როგორც
ჩანს, იგი უცხოელ ავტორთა მიერ თვითნებურად ნაწარმოები სიტყვაა და მას თარ-
გმანშიც ასევე ვტოვებთ. აქვე შევნიშნავთ, რომ მეგრული წიფური ქართულად წი-
ფელია და აქაც ხის კულტთან უნდა გვკონდეს საქმე (დიდი წიფური შრდ. დიდი ჭყო-
ნი – ჭყონდიდი, იხ. შენ. 135).

„წიფურია“ ქართულ წყაროებში არ გვხვდება. პროფ. შ. მესხიას ვარაუდით იგი
თ. ელჩინის მუხლობრივ აღწერაში მითითებული „городок Пискурия“ უნდა იყოს,
რომელსაც ელჩინი ჯგალსა და მარტვილს შორის ათავსებს (III. Месхиа, Города и
городской строй феодальной Грузии, стр. 118).

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ბერაძის აზრით სამეგრელოში კათო-
ლიკე-მისიონერთა რეზიდენცია სოფ. განარჯია-მუხურის ერთი უბანი – წიფურო-
ნი უნდა ყოფილიყო.

178. ტ ე რ ტ უ ლ ი ა ნ ე , კ ვ ი ნ ტ უ ს ს ე კ ტ ი მ ი უ ს ფ ლ ო რ ე ნ -
ს ი (დაახლ. 160-222 წწ.) – ცნობილი კართაგენელი ღვთისმეტყველი.

179. გ რ ი გ ო ლ III – რომის პაპი 731-741 წლებში.

180. VI მსოფლიო საეკლესიო კრება შედგა კონსტანტინოპოლში 680-681
წლებში.

181. მირსობის შესახებ იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრა-
ფია, გვ. 301-302.

182. მეგრი „მ ა რ დ ი“ – მადლი.

183. საგალობელში ქართული ენა ძლიერ არის დამახინჯებული, ისევე როგორც
სხვა ანალოგიურ შემთხვევებში გვაქვს. ჩვენ ყველა ისინი შეძლებისდაგვარად ქარ-
თული საღვთისმეტყველო ტექსტების მიხედვით გავმართეთ.

184. ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ლამბერტსაც (გვ. 145-146) და ჯუდიჩე-
საც (გვ. 97).

185. ილორის წმ. გიორგის კულტთან დაკავშირებული ლეგენდები და გადმოცე-
მები იხ. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული წერილები; თბ, 19569 გვ. 58-70; А. Кациа,
Илори – памятник XI века..., стр. 15-37; ს.მაკალათია, სამეგრელოს ისტორია
და ეთნოგრაფია, გვ. 348-358.

186. ამ დროს იერუსალიმში ქართველების მოღვაწეობის შესახებ იხ. ელ. მეტ-
რეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII
სს.), თბ., 1962.

187. ფ რ ა ნ ც ი ს კ ა ნ ე ლ ე ბ ი (მინორიტები) – კათოლიკე ბერების ორდენი, რომელიც დააარსა ფრანცისკ ასიუზელმა XIII საუკუნის დასაწყისში.

188. გ ო ლ გ ო თ ა – ბორცვი ძველი იერუსალიმის მიდამოებში, სადაც ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით ჯვარს აცვეს ქრისტე.

189. XVII საუკუნეში ნიკოლოზ-ნიკიფორეს სახელით ორი მოღვაწეა ცნობილი. ისინი ორივე ჯვარის მამის პატივს ატარებენ, მაგრამ ერთი მათგანი ტომით ქართველია – ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (იხ. შენ. 120), ხოლო მეორე – ბერძენი. მათ ერთმანეთთან აიგივებდნენ, მაგრამ, როგორც კ. კეკელიძემ გაარკვია, ეს ორი სხვადასხვა პირია (იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II. გვ. 292-313). ნიკიფორე ბერძენი (კუკოსონელი) საქართველოში XVII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწეობდა. იგი აქ ჩამოსულა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან. კახეთის მეფეს თეიმურაზ I იგი ელჩად ჰყოლია მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში. ერთის შეხედვით ძამპის ბერძენი ბერი ნიკოლოზ-ნიკიფორე, ნიკიფორე კუკოსონელად შეიძლება იგივე იყოს, რომ ჩვენი ავტორი არ ამბობდეს – ჯვარის მამად არის იგი ამჟამად. ნიკიფორე კუკოსონელი კი – 1642 წლიდან საქართველოში აღარ ჩანს (კეკელიძე, იქვე, გვ. 296). ამდენად, სიტყვას „ამჟამად“ ძამპის საქართველოში მოღვაწეობის რა პერიოდიც არ უნდა მივუყენოთ (იგი, როგორც ვიცით, ჩვენში 1649 წლიდან იმყოფებოდა), მის დროს ნიკიფორე კუკოსონელი აქ აღარ უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, ძამპის სიტყვებში ეჭვის შეტანა ამ შემთხვევაში მაინც ძნელია. ვარაუდი იმისა, რომ ძამპის დროს კიდევ ერთი ნიკოლოზ-ნიკიფორე ჯვარის მამა იყო (თანაც ბერძენი), არ იქნებოდა რეალური. ისმის ბუნებრივი კითხვა: ნიკოლოზ კუკოსონელი კვლავ ხომ არ გამოჩნდა საქართველოში XVII საუკუნის 60-70-იან წლებში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, სათანადო მასალების არარსებობის გამო, დღესდღეობით შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ბერძენი ნიკოლოზ-ნიკიფორე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით დადგენილ XVII საუკუნის ჯვარის მამათა ქრონოლოგიურ სიაში საერთოდ არ ჩანს (იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის..., გვ. 40).

190. აქ „მოგზაურობის“ სარედაქციო უზუსტობასთან უნდა გვექონდეს საქმე. მიცვალებულის მეორმოცე დღეს დასაფლავება, ბუნებრივია, სრულიად შეუძლებელი იყო. მეორმოცე დღეს, როგორც ცნობილია, იხდიან ე. წ. „ორმოცს“ – მიცვალებულის სულის მოსახსენებელ პანაშვიდს (იხ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 66).

191. გურიის სამთავროს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ოდიშის სამთავრო, აღმოსავლეთით – იმერეთის სამეფო, სამხრეთით – აჭარა, დასავლეთით – შავი ზღვა.

192. როგორც ჩანს, იგულისხმება მდ. ჭოროხი.

193. ცნობილია, რომ იბერია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა.

194. კ ე დ რ ე ნ ე, გ ი ო რ გ ი – XI საუკუნის ცნობილი ქრონოგრაფოსი. საქართველოს შესახებ მისი ცნობები იხ. გეორგიკა, V, თბ, 1963, გვ. 7-82.

195. ს კ ა ნ დ ე || ს კ ა ნ დ ა – ადრეშუასაუკუნეების ცნობილი ციხე-სიმაგრე. მდებარეობს თერჯოლის რაიონში.

196. რ ე ჯ ი ა და ს კ ო რ ჯ ი ა – ამ ციხე-სიმაგრეების ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება.

384

197. პტოლემეაოსთან „კოტატენის ქვეყანა“ არ გვხვდება. ძველი ავტორების ცნობები ქუთაისის შესახებ იხ. ვ. ჩანკვეტაძის წიგნში ქუთაისის ისტორიიდან, თბ.,

1960, გვ. 7-88.

198. ტრაპეზუნდის იმპერია || ტრაპიზონის საკეისრო დაარსებულ იქნა 1204 წელს მცირე აზიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს ესაზღვრებოდა და რომელიც ბიზანტიის იმპერიას თამარ მეფემ ჩამოართვა. ტრაპიზონის სამეფოს ძირითად მოსახლეობას ლაზები, ანუ ჭანები წარმოადგენენ. 1461 წელს ტრაპიზონი თურქებმა დაიპყრეს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 212).

199. შაჰ აბას დიდი გარდაიცვალა 1629 წელს.

200. იგულისხმება ლევან III დადიანი, მანუჩარ I შვილიშვილი, იგივე შამადავლე; მთავრობდა 1661-1680 წლებში, ე. ი. იმ დროს, როცა შარდენი სამეგრელოში იმყოფებოდა.

201. კ ა პ უ ც ი ნ ე ბ ი – კათოლიკური ორდენის ბერები, რომლებიც კაპიშონიან ანაფორებს ატარებდნენ. ორდე ნი დაარსდა 1525 წლის ახლო ხანებში.

202. ი ა ზ ო ნ ი || ი ა ს ო ნ ი – არგონავტების შესახებ ძველი ბერძნული მითის მთავარი გმირი (იხ. შენ. 79).

203. იგულისხმება საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715 წწ.).

204. ასტოლფი, ასტელეფი პატარა კოდორი; ენგური, ქობოსი.

205. ანაკლია ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი იყო შავი ზღვის სანაპიროზე (E. A. Пахомов, Монетные клады, в. V, стр. 8). ჰერაკლეს სახელით მას იხსენიებს ლუი გრანჟიე 1615 წლით დათარიღებულ წერილში (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 140). ლამბერტის ცნობით XVII საუკუნეში აქ საეპისკოპოსო კათედრაც არსებობდა (სამეგრელოს აღწერა, გვ. 121). ანაკლიაში ციხეც იყო.

206. როგორც ჩანს, ლაპარაკია ლევან II დადიანის ვეზირის სადი ათაბას ქვრივზე. ამ ვეზირის შესახებ მი თამარაშვილს მოჰყავს პატრი ძამძის რომში გაგზავნილი წერილი (ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 205).

207. 1627 წელს თეათინელები აღმოსავლეთ საქართველოში მოვიდნენ (ზოგი ავტორის ვარაუდით – 1626 ან 1628 წლებში), სამეგრელოში კი 1633 წელს გადავიდნენ (იხ. შენ. 92, 93.)

208. იგულისხმება ლევან II დადიანი, რომელსაც მართლაც დიდი პატივით მიუღია თეათინელი პატრები (იხ. ჯუდიჩე, წერილები... გვ. 104-105).

209. იეზუიტები – კათოლიკური ორდენის ბერები. იეზუიტთა ორდენი დაარსა იგნასიო ლოიოლამ 1534 წელს. 1773 წელს პაპმა ეს ორდე ნი აკრძალა, მაგრამ 1814 წელს იგი კვლავ აღდგენილ იქნა.

210. იგულისხმება ლევან III მეუღლე, სილამაზით განთქმული თინათინ დედოფალი, ასული ალექსანდრე იმერთ მეფისა.

211. მ ე დ ე ა – გმირი ძველი ბერძნული მითისა არგონავტების შესახებ (იხ. შენ. 79, 202), კოლხეთის მეფის აეტის ასული, გრძნეული ქალი.

212. იგულისხმება ჟან შარდენის პირველი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში (სპარსეთ-ინდოეთში), რომელიც მოგზაურმა განახორციელა 1664 წელს.

213. აქ ნახსენები მთავარი ლევან III დადიანია, ხოლო კათალიკოსი ექვთიმე საყვარელიძე (1666-1673 წწ.) უნდა იყოს, რომელიც სამეგრელოშია. თუ რატომ უნდა ყოფილიყო მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური სამეგრელოში,

ეს განმარტებას მოითხოვს. როგორც ლომინაძემ გაარკვია, XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ბიჭვინტის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი შედარებით მუდმივად ოდიშში (ზოგჯერ გურიაშიც) იმყოფებოდა, რასაც იმერეთის სამეფოს დასუსტება და ოდიშის სამთავროს გაძლიერება განაპირობებდა. ამას ხელს უწყობდა ლევან II დადიანის ფართო საეკლესო პოლიტიკაც, რომელიც მთელი დასავლეთის საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი კათა-

ლიკოსები ძირითადად იმერეთის სამეფოს ცენტრში, გელათ-ქუთაისში იმყოფებიან, რაც ამჟღერადაც ოდიშის სამთავროს დასუსტებით იყო გამოწვეული. (ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 139-240). შარდენის ცნობით კი კათალიკოსი, თუმცა შესაძლოა დროებით, მაგრამ კვლავ დადიანთან არის.

214. შარდენის მიხედვით ქართულად „საბატარი“ უნდა დაგვეწერა, მაგრამ გასათვალისწინებელია ორი გარემოება: 1) საბახტარაშვილი (საბახტარასკუა) დღესაც ცნობილი გვარია. 2) კ. ბოროზდინი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ბეკო საბახტარი პირდაპირი შთამომავალია იმ საბახტარის, რომლის სტუმართმოყვარეობა ორასის წლის წინათ აღმოსავლეთის განთქმულმა მოგზაურმა ფრანგმა შარდენმა აღწერა“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბ., გვ. 333). აქ ნახმარი „თ“ მთარგმნელისეულია, რუსულად) „ტ“ არის და ერთგან ქართულ თარგმანშიაც „საბახტარი“ წერია (გვ. 338). საინტერესოა ისიც, რომ კ. ბოროზდინის მიხედვით ბეკო საბახტარი თავადია (საბახტარები სამასი წლის წინათ გათავადიშვილებულან, ლიპარიტ დადიანის დროს), ჰყავთ აუარებელი კომლი ყმა აზნაურისა და გლეხებისა, თავის მხარეში განთქმულ და გავლენიან კაცად ითვლება, მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებისათვის იოტის ოდენაც არ უღალატია (იქვე, გვ. 335, 337). სხვაგან კი იგივე ავტორი საწინააღმდეგო ცნობას გვაწვდის: „შარდენი ამბობს, რომ იმის დროს საბახტართა გვარი თვალსაჩინო მებატონეებს ეკუთვნოდა, და დღეს მათნი შთამომავალნი მცირემამულიანი აზნაურები არიან“ (კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფ., 1927, გვ. 29). თვით ბოროზდინის ნაამბობიდან გამომდინარე, უპირატესობა წინა ცნობას უნდა მიენიჭოს.

215. ს ა ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო – ოდიშის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი; მდე-ბარეობდა მდ. ტეხურის ზემო წელზე, მის ორსავე მხარეს. ვახუშტის თქმით „და არს ჰყონდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი; და არს ქვეყანა ესე მსგავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“ (აღწერა ...თბ., 1941, გვ. 167). სალიპარტიანო დადიანების გვარის უმცროს შტოს ეკუთვნოდა (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 113; ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, ტფ., 1913-1914, გვ. 218; M. Brosset, Voyages archéologiques, Rapp. VII, p. 33; თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964; შ. ჯღარკავა, სალიპარტიან – ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, 1965).

216. ჭ ი ლ ა მ ე – დასავლეთ საქართველოს ცნობილი ფეოდალური საგვარეულო. მათი სამფლობელო – საჭილაო – მდებარეობდა მდ. რიონის შუა წელზე, აწინდელი აბაშის, სამტრედიისა და ლანჩხუთის რაიონების ტერიტორიაზე. ლევან დადიანის მეორე ცოლი დარეჯანი (ნესტან-დარეჯანი), რომელიც მან თავის ბიძას გიორგი ლიპარტიანს 1628 წელს წაართვა, იყო ასული რომანოზ ჭილაძისა და მისი მეუღლის უტანდარ ჩხეტიძისა. ნესტან-დარეჯან მრავალგზის არის გამოსახული ლევან II საოქრომჭედლო სახელოსნოში შესრულებულ ხატებზე და სამეგრელოს არაერთი ეკ-

386

ლესიის კედლებზე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, თანმხლები წარწერებით. (იხ. ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 2-19; ლ. ხუსკივაძე, ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი კერა გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, საბჭოთა ხელოვნება, 1969, № 1).

217. ვახუშტი ამ ვეზირს პაატას უწოდებს (იხ. საქართველოს ცხოვრება, გვ. 303). ლამბერტის მიხედვით, მას პაპუნა (paponia) რქმევია. იგი მთავრის შემდეგ მეორე კაცი ყოფილა ოდიშში, ამიტომ ლევანს შეშინებია შინაური ომი არ გამოეწვია ამ ამბავს და იმით დაკმაყოფილებულა, რომ დაუტუსაღებია და გურიის მთავრისათვის გადაუცია იგი. ლამბერტისავე ცნობით, ამ ვეზირს მონაწილეობა მიუღია ლევანის

წინააღმდეგ შეთქმულებაში (იხ. სამეგრელოს აღწერა, გვ. 16-19).

218. აფხაზეთის მთავარს ლევან დადიანისათვის სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც ომი დაუწვია (ამის შესახებ არაფერს ამბობენ უფრო სარწმუნო ავტორები ლამბერტი და ჯუდიჩე). შარდენი, ალბათ, გულისხმობს იმ თავდასხმებს რომელსაც აფხაზი ფეოდალები მუდმივად აწარმოებდნენ მეზობელ სამეგრელოს ტერიტორიაზე (იხ. ი. გ. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1951, стр. 30-36; 3. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). стр. 263-264).

219. „ლევან დადიანს ნესტან-დარეჯანისაგან ორი ვაჟი: ალექსანდრე და მანუჩარი და ორი ქალი: გულ და ზირა ანუ ზილიხანი ჰყავდა. ყველა მისი შვილები სუსტი აგებულებისანი იყვნენ, ვაჟები კი დამბლადაცემულები. ალექსანდრემ შეირთო გურიელის ქალი და გარდაიცვალა ერთი წლის შემდეგ. მანუჩარისა და გულის თავგადასავალი არა ვიცით რა. ზილიხანი მიათხოვეს იმერეთის მეფის ალექსანდრეს უფროს ვაჟს“ (მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, ტფ., 1900, გვ. 191). ლევანის ერთ-ერთი ქალიშვილისათვის (სავარაუდოა, რომ გულისათვის) ჯუზეპე ჯუდიჩეს უმკურნალა. ავადმყოფი მცირე ხნით გამოკეთებულა (ჯუდიჩე, წერილები..., გვ. 104), მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც მალე გარდაცვლილა.

220. ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს: „ლევან დადიანს შვილი მოკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დაკვდა დაუმარხავს (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926 გვ. 54). ბროსე წერს, რომ იგი ცხენიდან გადმოვარდნილა ნადირობის დროს და მომკვდარა (ბროსე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 186,198).

221. ვამეყ III, გიორგი I ლიპარტიანის შვილი, ლევან I შვილიშვილი, მთავრობდა 1658-166 წლებში, მანუჩარ I შვილიშვილისა და ლევან II ძმისწულის ლიპარიტ III (1657-1658) შემდეგ. ლიპარიტ III დროს იმერეთის მეფემ ალექსანდრე III მოაოხრა ოდიში (ვახუშტი საქართველოს ცხოვრება, გვ. 305-306; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 109). შარდენი ცდება: ჭილაძეს ვამეყის გამთავრებაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, რადგან იგი ამ დროს დიდი ხნის გარდაცვლილი იყო (გარდაიცვალა 1635 წ.).

222. იგულისხმება ქართლი და მისი მეფე ვახტანგ V, შაჰნავაზი.

223. ალექსანდრე III იმერეთის მეფე, ძე გიორგი III, იგი გამეფდა 1639 წელს და გარდაიცვალა არა 1658 წელს, არამედ 1660 წელს. დიდად იყო შევიწროვებული, ერთის მხრივ, თურქეთისა და ირანისაგან, მეორეს მხრივ, კი ლევან II დადიანისაგან. მან დახმარებისათვის რუსეთის ხელმწიფეს მიმართ და 1649 წელს მოსკოვში ელჩები გაგზავნა (იხ. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ., 1958,

გვ. 306-307; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 427-432).

224. ბ ა გ რ ა ტ მ ი რ ზ ა – იმერეთის მეფე ბაგრატ IV, ალექსანდრე III ძე, გარდაიცვალა 1681 წელს.

225. იგულისხმება სამეგრელოს დედოფალი თინათინი, ლევან III დადიანის ცოლი (იხ. შენ. 210).

226. თეიმურაზ I გამეფდა კახეთში 1606 წელს. წლების განმავლობაში იყო ქართლ-კახეთის მეფე. 1632 წელს ორივე ტახტი დაკარგა და მცირე ამალით იმერეთს გადავიდა. 1634 წელს კვლავ დაიბრუნა კახეთის ტახტი, რომელიც 1648 წელს კვლავ დაკარგა. ამის შემდეგ იმერეთში იმყოფებოდა. ბოლოს ირანის შაჰის დაჟინებით მოთხოვნით ეახლა მას. შაჰმა იგი ასტრახადის ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალა 1663 წელს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია I გვ. 328-352; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევებ..., II გვ. 257-409). თეიმურაზის ასული ნესტან-დარეჯანი, ზურაბ ერისთავის ცოლყოფილი, იმერეთის მეფის ალექსან-

დრე III მეორე ცოლი იყო. „რამეთუ ამა ალექსანდრეს პირველად ედგა გურიელის ასული ცოლად მაშინ დამწამა ცილი რამე ქალსა მას გურიელსა და მისთვის იგი განუტევა ალექსანდრე და ესე დარეჯან ისუა ცოლად“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბ., 1959, გვ. 415).

227. დარეჯანს ბაგრატ მირზასათვის მიუთხოვებია თავისი ძმისწული, დავითის ასული, რომელსაც სახელად ქეთევანი ერქვა და არა ნესტან დარეჯანი (ქც II, გვ. 436; მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 199; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1466--1770), შ. ბურჯანაძის რედაქციით, თბ.) 1959, გვ. 31).

დათუნა || დავითი იყო თეიმურაზის ვაჟიშვილი და არა მმა (იხ. ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 122).

228. ვახტანგ ჭუჭუნასშვილი, იმერეთის მეფის ალექსანდრე III შორეული ნათესავი, „ბაგრატიონი“ (ფარსადან გორგიჯანიძე, საისტორიო მოამბე, II) 1925, გვ. 170-171); დარეჯანმა ქმრად შეირთო და იმეფა მასთან ერთად 1660 წელს. ამ დროს ასლან ფაშა შემოვიდა იმერეთს, დაატყვევა იგი და დარეჯანსა და ქეთევანთან ერთად წაიყვანა ოლთისს (ქც, II, გვ. 437; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 378).

229. ქართულ წყაროებში ამ დროს იმერეთის კარზე ოტია ჩხეიძე არ ჩანს, არის სეხნია ჩხეიძე, სახლთუხუცესი, იმერეთის ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალთაგანი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტახტზე მეფეების აღზევება-ჩამოგდებაში.

230. შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ - ხ ა ნ ი - ქართლის მეფე ვახტანგ V, რომელიც როსტომის შემდეგ (1658 წელს) გამეფდა. იგი იყო თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი. ვახტანგ V-ით იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მოღვაწეობა ქართლის ტახტზე.

231. „ხოლო ამა შანავაზ მეფესა ესუა ცოლად ასული ყაფლანისა, სახელით როდამ, ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა კეთილითა, სრული სწავლითა სამხთოთა და საეროთა, შუენიერი და პირისწყალი დედათა. ხოლო ოდეს უბოძა ყაენმან ქართლი მეფეს შანავაზს, მაშინ მოსწერა შერთვა მარიამ დედოფლისა და ვერღარა ექმნა ყაენსა და არღარა ღონე ჰქონდა; შეირთო მარიამ დედოფალი და ქმნეს ქორწილი სახელოვანი და ესუა ორივე ცოლად. რამეთუ ესხნეს როდამთანა

388

მენი და ასულნი“ (ქც, II, გვ. 435). ე. ი. შაჰმა ვახტანგს ძალით შერთო მეორე ცოლი. ირანის შაჰის მიერ საქართველოში მრავალცოლიაობის იძულებითი შემოღების ცდები ერთ-ერთი საშუალება იყო ჩვენში უცხო ადათ-წესების დანერგვისა და საქართველოს გამაჰმადიანებისათვის.

232. მარიამის პირველი ქმარი იყო სვიმონ გურიელი. როდესაც სვიმონმა 1625 წელს თავისი მამა მამია გურიელი მოკლა, ლევანმა მას შეუთვალა მარიამი გამოემიგრაზენო. სვიმონმა უარი შემოუთვალა. მაშინ ლევანმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ, დაამარცხა იგი და მარიამი თან წამოიყვანა. 1636 წელს იძულებით, „გუემით“ ლევანმა იგი ცოლად მისცა ქართლის მეფე როსტომს. ამ ქორწინების დროს მარიამის მზითვების მეტად საინტერესო სია დღესაც დაცულია (იხ. ს. ბარნაველი, დადიანის ასულის მზითვის წიგნი, მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII-B, 1962). როდესაც 1658 წელს როსტომი გარდაიცვალა, მარიამი შაჰ აბას II ბრძანებით თბილისის ციხეში ჩასვეს, ხოლო შემდეგ შაჰ აბასისვე ბრძანებით მას ვახტანგ V შაჰნავაზი ირთავს (იხ. შენ. 231). „და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოვლისა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“ (ქც II, გვ. 441). მემეტაინის მიერ მარიამის თამარ მეფისთან შედარება შემთხვევითი არ არის. იგი თავისი დროის გამოჩენილი პიროვნება იყო. XVII საუკუნის 40-იან წლებში მი-

სი ბრძანებით გადაწერილ იქნა ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებული, რომელიც დღესაც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით არის ცნობილი. მარიამი იყო მრავალი დანგრეული ტაძრის აღდგენა-განახლების ინიციატორი, მათ შორის სვეტიცხოვლისაც რომლის ერთ-ერთ კედელზე დღემდე შემორჩენილი მისი და მისი შვილის, ოტიას, ფრესკული გამოსახულება. მარიამი გარდაიცვალა 1683 წელს.

233. ა რ ჩ ი ლ ი – მეფე, ცნობილი პოეტი. იგი იყო ვახტანგ V შაჰნავაზისა და მისი პირველი ცოლის, როდამის უფროსი ვაჟი. დაიბადა 1647 წელს. 1661 წელს იგი მამამ იმერეთის ტახტზე დასვა. 1663-1675 წლებში შაჰ აბას II წყალობით, რომელმაც მას მაჰმადიანობა მიაღებინა, განაგებდა კახეთის სამეფოს. 1675 წელს არჩილმა, მამის სურვილის წინააღმდეგ დატოვა კახეთის ტახტი და წავიდა ახალციხის ფაშასთან, რომლის მემკვიდრეთაც 1678 წელს დაიბრუნა იმერეთის ტახტი, მაგრამ 1679 წელს ტახტი კვლავ დაატოვებინეს. შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა. კვლავ რამდენიმეჯერ იბრუნებს და ტოვებს იმერეთის ტახტს. 1699 წელს სამუდამოდ მიემგავზრება მოსკოვს და იქ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. გარდაიცვალა იქვე, 1713 წელს. (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 462-482).

234. აქ უნდა ვიგულისხმოთ ზაალ არაგვის ერისთავი, 1659 წლის სპარსელების წინააღმდეგ კახეთის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, რომელიც არც სპარსეთის შაჰს უღებდა თავს და არც ქართლის მეფეს ვახტანგ V. შაჰს ბრძანება გამოუცია „ზაალის მოსპობისა და განადგურების შესახებ“ (ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. ვ. 1954, გვ. 399) და ამ საქმის შესრულება ვახტანგისათვის მიუზღვია. ვახტანგს გადაუბრებია ერისთავის ძმისწული ოთარი, რომელიც ამავე დროს მეფის დისწულიც იყო და მას მოუკლავს ზაალი დღემდე 1660 წლის მისში (იხ. ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 71; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 407-409).

235. იგულისხმება ლევან III, ლევან II ძმისწული, იოსების ძე.

389

236. მას შემდეგ რაც ვახტანგ მეფემ დადიანად ლევან III შამადავლე დასვა, მას ცოლად შერთო თავისი ძმისწული თინათინი.

237. ამ დროს იმერეთის კარზე ცნობილია „ლაშხის შვილი ხოსია თავი ლეჩხუმისა... შეჩენითა ხოსია ლაშხის-შვილისათა მოკლეს სვანეთს დადიანი ვამიყ ბრძანებითავე ვახტანგ მეფისათა“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 308-309). ამიტომ ვფიქრობთ, რომ შარდენის „Kotzia“ ხოსია უნდა იყოს.

238. 1667 წელს არჩილი ცოლად ირთავს ბაგრატის ნაცოლარს, თეიმურაზის შვილის, დავითის ასულს ქეთევანს, რომელიც მისმა მამიდან, დარეჯანმა ასლან ფაშას მისცა მძევლად და ახალციხეში იმყოფებოდა, „ხოლო აწ საქმითავე დარეჯანისათა დაიხსნა შანაოზ მეფემან ქეთეონ, წარიყვანა და შერთო ძესა თვისსა“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 310; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 122).

239. იგულისხმება დემეტრე, ძე სვიმონ I გურიელისა.

240. უნდა იყოს 1661 წელი.

241. იგულისხმება ლევან III დადიანის მეუღლე თინათინის უმცროსი და.

242. იგულისხმება იმერეთის ყოფილი მეფე დემეტრე და გურიის მთავარი გიორგი.

243. „Ratchia“ – რაჭის ციხედ ვთარგმნეთ, თუმცა გაურკვეველია კონკრეტულად რომელ ციხეზეა ლაპარაკი.

244. უნდა იყოს 1669 წელი.

245. ეს ორი ხოსია (პირველი, რომელმაც ვამეყ დადიანი მოაკვლევინა სვანებს – იხ. შენ. 237; და მეორე – შარდენის მიხედვით პირველის მკვლელი) ერთი და იგივე პიროვნება ჩანს. როცა დარეჯანმა და ვახტანგ ჭუჭუნასშვილმა იმერეთის ტახტი

კვლავ დაიკავეს (1668 წელს) „ჰყვენეს სანდოთ თვისად ლაშხის შვილი ხოსია თავ ლეჩხუმისა და ჰსცხო მირონისაცა დარეჯან ხოსიას“. შემდეგ იმერელმა დიდებულებმა გადმოიბირეს ხოსია და მოაკვლევინეს დარეჯანი (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 311).

246. ჩხარის ბრძოლა სეხნია ჩხეიძის თაოსნობით მომხდარა 1666 წელს. იგი ჯერ ბაგრატს უჭერდა მხარს დარეჯანის წინააღმდეგ, შემდეგ კი ბაგრატსაც აუმხედრდა. მან დახმარებისათვის დადიანს მოუწოდა და შეერთებული ძალებით შეებრძოლა მეფეს, მაგრამ „იძლია სეხნია ჩხეიძე და მოჰკლეს იგი“ (ვახუშტი, საქართველო ცხოვრება, გვ. 312).

247. კ ა ც ი ა ჩ ი ქ ვ ა ნ ი – დასავლეთ საქართველოს ერთი ძლიერი ფეოდალთაგანი. იგი ლევან III დადიანს დაუახლოვდა, მისგან საუფლოდ სალიპარტიანო მიიღო, შემდეგ კი სადადიანოს ვეზირიც გახდა (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 212-214). კაცია ჩიქვანი და მისი ოჯახის წევრები გამოსახულნი არიან მარტვილის ტაძრის კედელზე. ფრესკას თან ახლავს ვრცელი მხედრული წარწერა. კაცია ჩიქვანი გამოსახულია აგრეთვე ნაკურალემის ეკლესიის კედელზე თანმხლები წარწერით (იხ. ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 120-123).

248. ლ ე ჩ ხ უ მ ი – ძველი თავვერი, მდებარეობს მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის სათავეებთან, რაჭის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. ცნობილია, რომ რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე წინათ სვანებს უცხოვრიათ. ჩიქვანების გვარიც სვანური წარმოშობისა უნდა იყოს (ჩიქოიანი || ჩიქქუანი || ჩიქვანი, რაც შემდეგ რუსულის გავლენით, გახლა ჩიქოვანი). 1704 წლიდან ჩიქვანები გადადიანდნენ და შემდეგ ამ საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ოდიშის მთავრები. პირველი

390

ჩიქვანები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ, იყვნენ კაცია და მისი ძმა. ამ უკანასკნელმა ჰყონდიდლობა ჩაიგდო ხელში (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 112.).

249. ჰ ე რ ო დ ო ტ ე – ძველი ბერძენი ისტორიკოსი (ძვ. წ. აღ. 484-425 წწ.), რომელიც „ისტორიის მამად“ იწოდებოდა. წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ ჰალიკარნასიდან იყო. მისი თხზულება „ბერძენ-სპარსელთა ომების ისტორია“ შეიცავს ძვირფას ცნობებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960).

250. იგულისხმება ბოსფორის სრუტის შავ ზღვასთან შეერთების ადგილი.

251. ს ტ ა დ ი ო ნ ი – ძველი ბერძნული სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 174-230 მეტრს.

252. იგულისხმება თურქეთის სულთანნი.

253. ანაკლიიდან მდ. რიონამდე (ფაზისამდე) ენგურის ოდენა სხვა მდინარე არ არის გარდა მდ. ხობისა (ხობის წყალი), მაგრამ მას ძველი და ახალი დროის არც ერთი ავტორი კელმჰელს არ უწოდებს. მდ. ხობს ძველ ავტორებთან ქარიენტი ეწოდება (იხ. შენ. 57). ლანგლეს შენიშვნით აქ უნდა ვიგულისხმოთ მდინარე ხობის თურქების მიერ შერქმეული სახელწოდება Kankhal (Voyages..., I, გვ. 419, შენ. 2).

254. მ უ ს ტ ა ფ ა ლ ა ლ ა ფ ა შ ა – ოსმალთა ჯარის სარდალი, რომელიც 1578 წელს ამიერკავკასიაში მოვიდა. ჩილდირის ტბასთან ოსმალებსა და სპარსელებს შორის მოხდა ბრძოლა, გაიმარჯვეს ოსმალებმა. მუსტაფა ლალა ფაშამ თითქმის მთელი საქართველო დაიპყრო (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 99-100; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 277).

255. გ ა ლ ე რ ა – დიდი ნიჩბებიანი გემი, რომელზედაც აფრები მხოლოდ დამხმარე საშუალებად გამოიყენებოდა. გემის ეს ტიპი უძველეს ხანაში გაჩნდა და

სამხედრო ფლოტში XVIII საუკუნემდე შემორჩა.

256. რ ე ა – ძველი ბერძნების დედა ღვთაება, ცოლი კრონოსისა, ზევსის მშობელი. მას რეა-კიბელას უწოდებდნენ. არიანე ლაპარაკობს არა რეას ტამარზე, არამედ ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკებაზე, რომელიც იდგა მდ. ფაზისში შესასვლელის მარცხენა მხარეს და რომელიც რეას ქანდაკებას წააგავდა (იხ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 39). როგორც „მოგზაურობის“ გამომცემელი ლანგლე შენიშნავს (Voyages..., I გვ. 422, შე ნ. 1). აქ შარდე ნს, შესაძლოა, არეული აქვს კედრენეს მიერ აღნიშნული რეას ტამარი მცირე აზიაში, რომელიც იმპერატორ ზენონის დროს ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს.

257. ზ ე ნ ო ნ ი – ბიზანტიის კეისარი 474-491 წლებში.

258. სებასტი, იგივე სებასტოპოლისი || სევასტოპოლისი, მდებარეობდა არა ფაზისის შესართავთან, არამედ დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე (იხ. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 38, 44, 45).

259. ქალაქ კოლხოსის არსებობის შესახებ ცნობა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ლანგლე (Voyages..., I, გვ. 423, შენ. 2), არც ერთ ძველ წყაროში არ არის აღნიშნული. ამის შესახებ რაიმე ცნობა არც ქართულ წყაროებშია. მართალია, ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება კოლხოსი (მაგ. ჰორაციუსის კომენტატორი ამბობს, რომ კოლხოსი პონტოს ქალაქიაო, ანალოგიური შემთხვევა გვაქვს რასინთანაც), მაგრამ ეს არ შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ.

391

260. მარციალე, მარკუს ავრელიუს – რომაელი პოეტი. ცხოვრობდა დაახ. ახ. 40-102 წლებში.

261. „Copolette“ – სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა ქობულეთისა, რადგან იგი მართლაც მდ. ფაზისის შესართავიდან გონიოსკენ მიმავალ გზაზეა.

262. იგულისხმება მდ. ჭოროხი.

263. ა გ ა თ ი ა ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ო ს ი – VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი.

264. იგულისხმება ახალციხის ფაშა ასლან I (1659-1679 წწ.), როსტომ ფაშის ძეი

265. იგულისხმება პლინიუს უფროსი (23-79 წწ.), ძველი რომაელი მწერალი და მეცნიერი.

266. კ ვ ი ნ ტ - კ უ რ ც ი უ ს ი – ახ წ. აღ. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი.

267. იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 356-323 წწ.) აღმოსავლეთში ლაშქრობა, რომლის დროსაც მან მართლაც მიაღწია ინდოეთამდე და დაიპყრო ამ ქვეყნის ნაწილი.

268. გ ა ნ გ ი – ერთ-ერთი უდიდესი მდინარე ინდოეთში.

269. ი ა ქ ს ა რ ტ ე || ი ა ქ ს ა რ ტ ო ს ი – ახლანდელი მდინარე სირდარია.

270. ჰ ი რ კ ა ნ ი ა – კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყანა.

271. როგორც ჩანს შარდენი, გოდერძის უღელტეხილით გამოსულა მტკვრის ხეობაში.

272. გაურკვეველია თუ რომელ ციხეს გულისხმობს შარდენი. ბგერათმისგავსების მიხედვით შეიძლება ტამალას ციხედ (ასპინძის რაიონში) ვივარაუდოთ.

273. ს ა ნ ჯ ა ყ ი – თურქული დროშა, სადროშო. ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინია (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები..., გვ. 95).

274. შარდენი აქ, უეჭველად, ურბნისს გულისხმობს, რომელიც უძველესი ქალაქი იყო და სადაც დიდი ეკლესია (VI საუკუნის ბაზილიკა) დღესაც დგას.

275. „Congregatia de propaganda fide“ – პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაცია;

დაარსდა რომში 1622 წელს პაპის გრიგოლ XV მიერ. ეს იყო სამისიონერო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა კათოლიკური რელიგიის გავრცელებას არაკათოლიკურ ქვეყნებში. პაპმა ურბან VIII 1627 წელს კონგრეგაციას შეუერთა „Collegium de propaganda fide“, რომელიც ამზადებდა მისიონერებს. პროპაგანდა ფიდე წარმოადგენდა ყველა კათოლიკური მისიის უმაღლესს ინსტანციას. ორგანიზაციაში შედიოდნენ გენერალური პრეფექტი (კარდინალი), ეკონომიკის პრეფექტი, რამდენიმე კარდინალი და მრჩეველი, პაპის მდივანი და დაბალი წოდების სასულიერო პირი. პროპაგანდას თავისი აგენტურა ჰყავდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს ორგანიზაცია არა მარტო მისიონერებს გზავნიდა საქართველოში, არამედ მიწერ-მოწერასაც აწარმოებდა საქართველოს მეფე-მთავრებთან. მაგ: 1665 წელს ფიდეს წერილი გამოუგზავნია ვახტანგ V-სათვის, 1687 წელს გიორგი XI მიუწერია წერილი ფიდესათვის და ა. შ. (იხ. И. М. Табагуа, Грузинско-французские отношения во второй половине XVII в. И в первой четверти XVIII в., автореферат, Тб. 1966, стр. 20-21).

392

276. აქ მთავრდება „მოგზაურობის“ ლანგლესელი გამოცემის პირველი ტომი.

277. შარდენის მიერ აღნიშნულ მანძილზე სხვა არაფერი შეიძლება ვიგულისხმოდ, გარდა ახალქალაქისა, დღევანდელი წითელქალაქი, რომელიც როსტომ მეფის ბრძანებით გაუშენებიათ მდ. თეძამზე XVII საუკუნის 30-იან წლებში და რომლისთვისაც „მეფის ქალაქი“ დაურქმევიათ. (იხ. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ., 1958, გვ. 301). ახალქალაქის ერთ წარწერაში აღნიშნულია: „მას ჟამსა ოდეს ერან-თურანსა ბედნიერი ყ ა ე ნ ი (ხაზი ჩვენია – მ.მ.) კელმწიფე შაჰ სეფი... სახელითა ღუთისათა, ჩუწნ საქართველოს კელმწიფის შუილმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ, კელვჰყავით აღშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მოწასტერი... ქალაქისა ამის მკუიდრობისათვის მეფის ქალაქელთა სომეხთა ჩუენთა სახასოთა ვაჭართა. ქ-კ-ს ტ..., თუესა აპრილსა კდ...“ (Пл. Ио-Селиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850. с. 27). თუმცა წარწერაში როსტომი მეფეთმეფედ ისხენიება, მაგრამ სახელწოდებაში „მეფის-ქალაქი“ „მეფედ“ უნდა იგულისხმებოდეს სპარსეთის ხელმწიფე „ყაენი“ და არა როსტომი. იგი ხომ ოფიციალური „ვალი“ იყო (იხ. შესავალი) და მას, როგორც შაჰის ვასალს, უნდა ვიფიქროთ, ასე ამკარად არ შეეძლო მეფე ეწოდებინა თავისი თავისათვის. აქედან შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ „მეფის ქალაქს „ყაენის ქალაქიც“ ერქვა, საიდანაც უნდა იყოს წარმომდგარი შარდენის Cali-cala. გ. ლეონიძის აზრით, როსტომს აქ არსებული ძველი ქალაქის ერთი უბანი უნდა განეახლებინა მხოლოდ (იხ. ფეშანგი, შაჰ ნავაზიანი, გ. ლეონიძის და სოლ. იორდანი-შვილის რედაქციით, გვ. XXXIII-XXXIV). შარდენს იგი, როგორც ვხედავთ, სრულიად დანგრეული დახვედრია.

278. ლაპარაკია მცხეთის სვეტიცხოველზე (1010-1029 წწ.). იგულისხმება ქრისტეს ეკლის გვირგვინი და კვართი. ამ ტამართან დაკავშირებულ ლეგენდაში წმ. ელია (Elie) არ ფიგურირებს; არის რაბინი ელიოზი (იხ. А. Натроев, Мцхет И его собор Свети-Цховели, Тифлис, 1900, гл. IV).

279. ალი იყო პუნქტი, „საიდანაც, ერთის მხრი, თბილისს, ხოლო, მეორეს მხრივ, ქუთაისს მიდიოდა გზა“ (ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 34).

280. „ალიდან ლიხთიმერეთის გზა ორი გადასასვლელით მიდიოდა: ჯვარკორტოხისა და დედაბერასი (ანუ ულუმბის). პირველი მიმართულებით გზა კოლბეურს გაივლიდა; კოლბეურიდან ის, ერთის მხრით, საჩხერეზე, ხოლო, მეორე მხრით, სვერზე ადიოდა“ (ნ. ბერძენიშვილი, გზები..., გვ. 35); ე. ი. შარდენს ამ „პირველი მი-

მართულებით“ უმგზავრია.

281. ს ა ზ ა ნ ო – სოფელი თერჯოლის რაიონში.

282. სკანდის ციხე, იხ. შენ. 195.

283. იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. აღ. 356-323).

284. პროკოპი კესარიელი, იხ. შენ. 43.

285. ვ. ბარნოვის თარგმანშია „ჩიკარისი“, მაგრამ, როგორც ს. ჯანაშია შენიშნავს, აქ ჩხარი იგულისხმება. „შარდენის მარშრუტი (1672 წ. დეკემბერი): ტფილისი-გორი-ალი-კოლბოური-საზანო (შარდე ნი წერს „სეზანო“; მარჯვნივ რჩება სკანდა) – ჩხარი (ქართ. თარგმანში გაუგებრობით – ჩიკარისი) – ქუთაისი“ (ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 13, შენ. I). შ. მესხიას ვარაუდით, შარდენის ჩი-

393

კარისი უნდა იყოს ჩიხორი, რომელსაც ვახუშტი „მცირე ქალაქად“ იხსენიებს (III. Месхиа, Города и городской строй... стр. 122-123). ჩხარი და ჩიხორი სულ რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ერთმანეთისაგან.

286. კ ი რ ო ს ი – ძველი სპარსეთის მეფე (558-529 ძვ. წ.), აქემენიდების დინასტიის პირველი წარმომადგე ნელი.

287. ა ზ ი ი ს ა ნ უ კ ა ვ კ ა ს ი ო ს ა ლ ბ ა ნ ი ა – ქვეყანა კასპიის ზღვის სანაპიროზე, რომელსაც დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია ეჭირა.

288. ასეთი სახელწოდების ქალაქი კახეთში უცნობია; XVII საუკუნეში კახეთში ერთადერთი ქალაქი თელავი იყო (იხ. შესავალი).

289. იგულისხმება ვახტანგ V შაჰნავაზი და მისი შვილი არჩილი, რომელიც ამ დროს კახეთის გამგებელი იყო. „არჩილ იყო უზუცესი“ (ქც, II, გვ. 435).

290. შარდენის „Sémaché“, უდავოდ, სამცხე უნდა იყოს, რადგან იგი რომელიმე კონკრეტული სოფელი, ქალაქი ან ციხე კი არ არის, არამედ „ადგილია“ და „მხარე“.

291. იგულისხმება პატრიარქი დომენტი (1660-1675 წწ.), ძე ქაიხოსრო მუხრან-ბატონისა, რომელიც შაჰ ნავაზის ბიძაშვილი იყო და არა მძა. „და ამა ჟამსა შინა მიიცვალა კათალიკოზი ქრისტეფორე და დასუა მის წილად ბიძაშვილი თვისი დომენტი, კაცი სრული საქმითა, რამეთუ ამან მატა სჯულსა და წესსა ეკლესიისასა“ (ქც II, გვ. 400).

292. წმ. გიორგი მართლაც ერთი უპირველესი წმინდათაგანია ქართული ქრისტიანობისა, მაგრამ შარდენი, ცხადია, ცდება როცა მის ქართულ სახელად „Mar Cergis“ მიიჩნევს.

293. ი ს მ ა ი ლ I (1486-1524 წ.) – ირანის შაჰი, სეფიანთა დინასტიის დამაარსებელი.

294. თ ა მ ა ზ (ანუ თაჰმაზ I) – ირანის შაჰი სეფიანთა დინასტიიდან (1524-1576 წწ.). მან საქართველო რამდენჯერმე დალაშქრა.

295. ლუარსაბ I ქართლის მეფე (1534-1558 წწ.), ძე დავით X; დიდი წარმატებით ებრძოდა შინაურ და გარეშე მტრებს. „ქართლის ცხოვრება“ მას გორგასალსა და დავით აღმაშენებელს ადარებს (ქც II, გვ. 366). ჰყავდა სამი ძე: სვიმონი, დავითი და ვახტანგი. დაიღუპა გარისის ბრძოლაში 1556 წელს.

296. დავით XI, დაუთ-ხანი (1564-1579 წწ.) იყო „ულმრთო...“, მემავი და მემრუშე“ (ქც II, გვ. 367). ებრძოდა უფროს ძმას, სვიმონს (იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 209-213).

297. ისმაილ II, შაჰ-თამაზ I ძე, ირანის შაჰი 1576-1577 წლებში. ცნობილია თავისი სისასტიკით და უღმობელოებით. „იყო კაცი მესისხლე და მრავალნი კაცნი დაჯოცნა“ (ბერი ეგნატაშვილი, ქც, II, გვ. 371). ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, „შაჰ ისმაილ საწამლავით მოაკდინეს“ (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 11, 13).

298. მაჰმადი, შაჰ მუჰამედ ხუდაბენდედ (ღვთის მსახური, მონა) წოდებული. სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი. ირანის ტახტზე იჯდა 1577-1587.

299. ს ი მ ო ნ ი, ს ვ ი მ ო ნ I – მეფე ქართლისა (1558-1600 წწ.), ლუარსაბ I ძე. 1569 წელს იგი ხელთ იგდეს ყიზილბაშებმა. მან უარყო შაჰ თამაზის წინადადება გამაჰმადიანებულიყო და „ამისთვის შეიპყრა და ტყუე-ყო ციხესა ალამუთისასა“ (ქც II, გვ. 369). 1578 წელს ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს, როცა ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით საქართველოში შემოიჭრა, მუჰამედ ხუდაბენდემ გაათავისუფლა იგი ალამუთის ციხიდან 1590 წელს

394

ირან-ოსმალეთის შეთანხმებით ამიერკავკასია ოსმალეთის საკუთრებად იქნა ცნობილი. სიმონი სათავეში ჩაუდგა ანტიოსმალურ ბრძოლას ქართლში (იხ. შესავალი). მისი ძმა დაუთხანა იმულებული შეიქნა ლალა-ფაშასათვის დახმარება ეთხოვა და შემდეგ „წავიდა სტამბოლს ხონთქართან“ (ქც II, გვ. 379). 1600 წელს ფარცხისთან ბრძოლაში სიმონი ოსმალებმა დაატყვევეს, წაიყვანეს სტამბოლს და იქ გარდაიცვალა (იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები II, გვ. 206-244).

300. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე I I – კახთ-ბატონი (1574-1605 წწ.). მისი მეფობის დასასრულს ხუდაბენდე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო (იხ. შენ. 298). ქც-ის მიხედვით (II, გვ. 370, 516) მას ხუთი ძე და ერთი ასული ჰყავდა. უფროს შვილს დავითი ერქვა, რომელმაც 1601 წელს მამას ტახტი წაართვა ი თავისი ძმა გიორგი თორღას ციხეში გამოკეტა. იბატონა ექვს თვეს და გარდაიცვალა. შარდენი ცდებდა, როცა მას თეიმურაზთან აიგივეს. თეიმურაზ I (იხ. შენ. 227) შვილი იყო დავითისა და შვილიშვილი ალექსანდრესი.

301. ამ დროს ხუდა ბენდე გარდაცვლილი იყო (იხ. შენი 298). მეფობდა მისი ძე შაჰ აბას I (1587-1629 წწ.).

302. ლუარსაბ II ქართლის მეფე (1606-1615 წწ.), იყო გიორგი X ძე და სიმონ I შვილიშვილი.

303. იგულისხმება დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე, მორაო, მერაბ, მეჰრუ, მეხრუ, მორად – მოურავის დამახინჯებული ფორმებია (იხ. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე თბ., 1964, გვ. 41).

304. ეს ქალი იყო არა გიორგი სააკაძის ასული, არამედ და. იგი განთქმული ყოფილა თავისი სიმშვენიერით. (ამას ერთხმად მოწმობენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები). ლუარსაბს იგი შეჰყვარებია და, მიუხედავად საკუთარი დედის, თამარის (ლიპარტიანის ასულის) და დიდებულთა წინააღმდეგობისა, შეურთავს ცოლად. მაგრამ ქართლის დიდებულებს მალე მოუხერხებიათ მათი გაყრა. შარდენი, ალბათ, რომელიმე სპარსული წყაროთი სარგებლობს, როცა ამბობს – ლუარსაბს ეს ქალი (მისი სახელი არ არის ცნობილი) არ შეურთავსო. XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, არაქელ თავრიზელის მიხედვით გიორგის და ლუარსაბს მხოლოდ დანიშნული ჰყოლია (იხ. ქც) II, გვ. 388-390; გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, გვ. 26-28).

305. ლუარსაბ II მამას, ქართლის მეფე გიორგი X (1601-1606 წწ.), ჰყავდა ორი ასული: ლელა და ხორეშანი. მათში უფროსი იყო ლელა, რომელიც შაჰ აბასს ჰყავდა ცოლად (ქვემოთ შარდენი ამბობს, რომ ლუარსაბის ერთი და შაჰ აბასს ჰყავდაო მძევლად) შაჰს მეორე დის შერთვაც მოუწოდებია და შარდენი სწორედ ამაზე მოგვითხრობს. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ამ ქალის შესახებ ჩვენს წყაროებში დიდი უთანხმოებაა. მის თავგადასავალს, ისევე როგორც შარდენი, ჩვენი წყაროებიც ამა თუ იმ სახით უკავშირებენ ქართველთა ტრაგედიას XVII საუკუნის პირველ მეოთხედში. 1612 წელს ხორეშანი თეიმურაზს შეურთავს ცოლად, რაც შარდენის აზრით აბასს ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობის საბაზად გამოუყენებია. თუმცა მოგზაურს კარგად ესმის საქართველოზე შაჰის თავდასხმის ნამდვილი მიზეზები. რაც შეეხება ლელას, შაჰ აბასმა იგი 16623 წელს კახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს დაუთმო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აბასმა ლუარსაბი ვერაგულად მოაკვლევინა (იხ. ქვემოთ) და იმის გამო, რომ დას მძისათვის შური არ ეძია. (ყოველივე ამის შესახებ იხ. კ. კეკე-

ლიძე, ქართველი ქალები შაჰ აბას პირველის კარზე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბი., 1957, გვ. 217-226; იქვე მითითებულია პირველ-

წყაროები და ლიტერატურა). „pehry“ – სპ. „ფარი“ (پری) ანუ „ფარირუ“ (پریرو) აყურადღებოა, რომ არაქელ დავრიჟეციც (თავრიზელი) თავის „ისტორიაში“ ფარის უწოდ (فارخ) ებს ლუარსაბის დას ხორეშანს (იხ.

შათნიძის შარახე ქარყაყხთი ჴარქიძეი, ქარყარჟაოყათ, 1896, გვ. 117.

306. ლ ო ლ ა - ბ ე გ ი - ასეთი სარდალი უცნობია სეფიანთა ირანის ისტორიაში.

307. ი მ ა მ ყ უ ლ ი - ხ ა ნ ი - სეფიანთა სახელმწიფოს გამოჩენილი მხედართმთავრის, წარმოშობით ქართველი, ალაჰვერდი-ხან უნდილაძის უფროსი ვაჟი. 1614 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, იმამ ყული-ხანი დაინიშნა ფარსის ოლქის (მთავარი ქალაქი შირაზი), ქუჰ-გილუეს, ბაჰრეინისა და ჯორუნის ბეგლარბეგად. იმამ ყული-ხანი სიკდილით დასაჯეს 1631 წელს, როდესაც შაჰ-სე ფის ბრძანებით ირანში ამოწვევით უნდილაძეების საგვარეულო დაუდხან უნდილაძის (იმამ ყული-ხანის ძმის) აჯანყების გამო (იხ. ვ. კუცია, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბი, 1963, გვ. 73).

იმამ ყული-ხანის მიერ ქეთევან დედოფლის წამების ამბავი მოთხრობილია ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაშიც“ (ქ-ც, II, გვ. 401-402). ანალოგიური ცნობაა დაცული აგრეთვე XVII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეციცის (თავრიზელის) „ისტორიაშიც“ (შათნიძის შარახე

ქარყაყხთი ჴარქიძეი, ქარყარჟაოყათ,

308. ქეთევანი (ქეთევან წამებული) იყო აშოთან მუხრანბატონის ასული და დავით I კახთ-ბატონის ცოლი. მისი წამების ამბავი საკმაოდ ზუსტად აქვს აღწერილი შარდენს. თეიმურაზის წერილში პაპი ურბან VIII-ისადმი აღნიშნულია, რომ ქეთევანის გვამი საქართველოში ჩამოუტანია ავგუსტინელ ბერს ამბროზიოს (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 102).

309. როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია საქართველოში შაჰ აბასის პირველი შემოსევის შესახებ (1614 წ.), როცა მას თან ახლდა გიორგი სააკაძე.

310. „ჯ ი ლ ა - დიდებულით თავ სარჭობი“ (საბა). ფრინველის ფრთისაგან ქოჩრის მსგავსად გაკეთებულ სამკაულს ნიშნავს თურქულად. იგი ტოტემიანი, ძვირფასი ქვებითა და ოქრო-ვერცხლით მორთული სამკაულია. საქართველოში ჯილა XVII საუკუნეში ჩნდება (იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962, გვ. 141-143).

311. შაჰ აბასის ბრძანებით 1622 წელს „ლუარსაბი გულაბის ციხეში შვილდის საბლით დაარჩვეს და ლუარსაბის და ფათმა სულთან ბეგუმ ყანის სახელით გამოიყვანეს და ფეიქარ-ხანს მისცეს“ (ცხოვრება საქართველოსი, პარიზის ქრონიკა, გამ. ზ. ჭიჭინაძისა, 1910, გვ. 43).

312. ბ ა გ რ ა ტ V I I , ბ ა გ რ ა ტ - ხ ა ნ ი - ქართლის მეფე (1615-1619 წწ.), ძე დაუთ-ხანისა (იხ. შენ. 296), ნაშობი კახთ-ბატონის გვარის ქალისაგან. წყაროების მიხედვით იგი ქართველებს არ უყვარდათ.

313. ეს მოხდა 1616 წელს, საქართველოში შაჰ აბასის მეორე ლაშქრობის დროს. ქართველი ხალხის ისტორიაში ეს იყო უმაგალითო ხოცვა-ჟლეტის, ნგრევისა და აერა-გასახლების ხანა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 334-336).

314. შ ა ჰ - ს ე ე ი - სპარსეთის ხელმწიფე 1629-1642 წლებში.

315. როსტომ მეფე (1632-1658 წწ.) იყო არა სიმონ I, არამედ მისი ძმის დავითის უკანონო შვილი. სიმონი ქართველებს არ მოუკლავთ, იგი ოსმალეთში გარდაიცვალა (იხ. შენ. 299).

როსტომი ირანში აღიზარდა. იყო ისფაჰანის ყულარადასი და ტარულა (ქ. ც, II, გვ. 418). როსტომი საქართველოში გიორგი სააკაძესთან ერთად მოვიდა. იგი იყო პირველი მაჰმადიანი მეფე ქართლის ტახტზე. აქედან მოყოლებული 1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 347).

316. იგულისხმება იმერეთის დედოფალი დარეჯანი, რომელიც თეიმურაზის ასული იყო (იხ. შენ. 226).

317. თეიმურაზი გარდაიცვალა ასტრბადის ციხეში 1663 წელს (იხ. შენ. 226).

318. როსტომი გარდაიცვალა 1658 წელს (იხ. შენ. 315).

319. შაჰმა მარიამი იძულებით შეართვევინა შაჰნავაზს (იხ. შენ. 231, 232).

320. არჩილის მეუღლეს ერქვა ქეთევანი (და არა ნესტან-დარეჯანი), რომელიც იყო თეიმურაზის შვილიშვილი და ერეკლე I და (იხ. შენ. 227, 228). ქვემოთ შარდენი ვრცლად ლაპარაკობს ერეკლეს შესახებ და იცის, რომ იგი თეიმურაზის შვილიშვილია და არა შვილი.

321. არჩილი დანიშნული ყოფილა ნოდარ ციციშვილის ქალზე (მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, ტფ., 1900, გვ. 113).

322. მდ. მტკვარს ძველ ავტორებთან ხშირად კირი || კიროსი ეწოდება (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 224; Г. Меликишвили, К. истории Древней Грузии, Тб., 1959, стр. 286-289).

323. თბილისის ციხის (კალა, შურის-ციხე, ნარიყალა) უძველესი ნაწილი IV საუკუნე ნისაა. მუსტაფა ლალა-ფაშას დროს (იხ. შენ. 254), შესაძლოა, იგი, ისევე როგორც სხვა ციხეები, ოსმალებმა შეაკეთეს (იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, I, თბ., 1960, გვ. 14; დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 119-120).

324. თბილისის სიონი წარმოადგენს VI-VII სს. მიჯნის ძეგლს, მაგრამ თავდაპირველი ნაგებობიდან დღემდე ცოტა რამ არის შემორჩენილი. იგი ძლიერ დაზიანდა XIII საუკუნეში ჯალალედინის, 1522 წელს ირანის შაჰის – ისმაილის, XVII საუკუნეში შაჰ აბასის შემოსევების დროს. დღევანდელი სახით იგი ძირითადად XVII-XVIII საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს. 1710 წელს ვახტანგ VI მიერ აღდგენილი იქნა მისი გუმბათი. 1850-1860 წწ. იგი მოხატა რუსმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა. შარდენის მიერ მოცემული სიონის აღწერა არ არის ზუსტი: ქართული გუმბათოვანი ტაძრები ნაგებად არასდროს არ არის დაყოფილი. სიონის გუმბათი ეყრდნობა არა ოთხ ბურჯს, არამედ ორს და ცენტრალური აფსიდის კედლებს.

325. ანჩისხატი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ბაზილიკურ ნაგებობას წარმოადგენს (იხ. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1936, გვ. 32, 50). სახელი ანჩისხატი მას XVII საუკუნეში მიეკუთვნა. ამ დროს აქ ანჩის (კლარჯეთი) კათედრალური ტაძრიდან გადმოტანილ იქნა ცნობილი ხატი, რომელიც დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება.

326. თბილისის მეტეხის (მეტეხთა) ტაძარი აშენებულია 1278-11289 წლებში დემეტრე თავდადებულის დროს. ვახტანგ V დროიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე იგი „უქმად არს“. აქ წირვა-ლოცვა აღმდგარა 1743-1755 წლებში. მეტეხს თავის ისტორიის მანძილზე არაერთხელ განუცდია ნგრევა და გადაკეთება (იხ. ვ. ბერი-

ძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969.

327. თბილისის როგორც ქართული, ისე სომხური ეკლესიები ვრცლად აქვს

დახასიათებული პლ. იოსელიანს თავის წიგნში თბილისის სიძველეთა შესახებ. იგი შარდენის ცნობებსაც იყენებს. საინტერესოა, რომ პლ. იოსელიანის მიხედვით შარდენის მიერ ჩამოთვლილი სომხური ეკლესიები (შარდენის მოგნაი მასთან მოგნინია, სწორი ფორმა კი მოგნისი უნდა იყოს), თითქმის ყველა XVIII საუკუნის ნაგებობას წარმოადგენს. ამას ავტორი თავისებურად ხსნის კიდევ (იხ. Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тфс, 1866, стр. 231-234).

328. სხვა წყაროების მიხედვით ამ დროს თბილისში რამდენიმე მეჩეთი არსებულა. ერთმა მათგანმა, რომელიც შაჰ ისმაილს (1486-1524 წწ.) აუგია დღევანდელ მეტეხის ხიდთან, ბოლო დრომდე კი მოაღწია. ვახუშტის ცნობით „ხიდის ყურს აღაშენა მეჩეთი შაისმაილ. პთ (89-ე) მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თვსსა ერთი და განჯის-კართან ერთი“ (ვ. ბერიძის მიხედვით – იხ. თბილისის ხუროთმოძღვრება, I, 1960, გვ. 14). რაკი შარდენის მიერ ნახსენები თბილისის ერთადერთი მეჩეთი „რამდენიმე წლის წინათ“ აუგიათ, იგი როსტომ მეფის დროინდელ რომელიმე მეჩეთად შეიძლება გადაკეთდა, მაგრამ როგორც ვხედავთ ეს ასე არ არის: იგი აღწერის მიხედვითაც და „მოგზაურობაში“ ჩართულ თბილისის ხედეზეც ციხის შიგნით მდებარეობს. ამ ადგილას ციხეს კარი არა აქვს. განჯის-კარად იწოდებოდა სალაღავის ხევის კარი. როსტომის სასახლეს ციხის გარეთ იყო. არ არის იგი „ხიდის ყურს“ მდებარე მეჩეთიც უფრო მოგვიანო ხანის თბილისის გეგმებზე. შარდენის მიერ მითითებულ ადგილზე რაიმე მეჩეთი არ ჩანს. (იხ. В. Цинцадзе, Тбилиси, 1958, Таб. 12, 13, 14.).

329. იგულისხმება როსტომ მეფის სასახლე. როსტომმა ციხეში არსებული სასახლე „დაუტევა“, ციტადელი „მისცა სპარსთა“ და „თავისა თვისისათვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა“ (იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, გვ. 14). ეს სასახლე, გადაკეთებული ერეკლე II მიერ, აღწერილი აქვს პლატონ იოსელიანს (Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиси, стр. 240-246).

330. ცხადია, თბილისისთვის სახელი სპარსელებს არ შეუტყვევიათ. თბილისი, როგორც ქალაქი, IV-V საუკუნეში უკვე არსებობს, ხოლო, როგორც ცნობილია, VI საუკუნის დასაწყისიდან იგი აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიის დედაქალაქია. კალა ეწოდებოდა თბილისის უძველეს ციტადელს. არტაქსატი თბილისს არასოდეს არ ეწოდებოდა.

331. არაბი სარდალი ბულა თურქთ საქართველოს 853 წელს შემოესია. ამ დროს თბილისში ამირა იჯდა, რომელიც აღარ ემორჩილებოდა ხალიფას. ბულა თურქი სწორედ ურჩი ამირას დასასჯელად გამოგზავნა ხალიფამ. ბულას სისხლისმღვრელი ლაშქრობა ვრცლად არის აღწერილი ქართულ, არაბულ და სომხურ მატიაწებში. ბულამ „შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრა ყოველნი არენი მისნი“ (ანასეული ქ, გვ. 163). შარდენი საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს თბილისში ამ დროს დატორილებულ ამბებს. მაგ., ბულამ რომ თბილისში 50 ათასი კაცი გაჟლიტა, ეს არაბი ისტორიკოსის ალ-ტაბარის ცნობაა.

332. ეს მოხდა 1226 წლის 9 მარტს. ხვარაზმის (სამეფო შუა აზიაში) შაჰის მუჰამედის შვილი ჯალალედინი შემოესია საქართველოს, აიღო თბილისი და გაანადგუ-

398

რა იგი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 233-236).

333. შაჰ ისმაილმა თბილისი დაარბია 1522 წელს.

334. აქ სხვა სასახლეზეა ლაპარაკი; ეტყობა, თვით შაჰნავაზის მიერ აშენებულზე, რომლის შესახებაც ვახუშტი ასე მოგვითხრობს; „ჟდ (ე. ი. 94-ე) მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმალისოს კედლითა“. ეს სასახლე „შემუსრეს ოსმალთა“ (ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, I, გვ. 14).

335. ფირმანი შარდენის მიერ, როგორც ჩანს, კარგად არის თარგმნილი, მაგრამ ამგვარი სპარსული დოკუმენტისათვის დამახასიათებელ ხატოვან სიტყვა-თქმებსა და კალამბურებს ზედმიწევნით ვერ გადმოსცემს. ამას გვიდასტურებს მისი შედარება ანა-ლოგიურ ფირმანებთან (იხ მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949). ფირმანს თან ახლავს შარდენის განმარტებები. განსამარტავ სიტყვებს სათანადო ციფრები თავზე უზის და ჩვენც ასეთივე წესი გამოვიყენეთ მათი ნუმერაციისათვის.

336. არაბ. – ის არის უზენაესი, დიდება მას.

337. იედოვა, იახვე – იუდეველთა უზენაესი ღმერთი. მისი სახელის წარმოთქმა აკრძალული იყო (იხ. И. И. Скворцов-Степанов, Происхождение нашего бога, М., 1958).

338. იგულისხმება მუჰამედი (იხ. შენი 339).

339. მ უ ჰ ა მ ე დ ი (დაახლ. 570-632 წწ.) – ისლამის ფუძემდებელი. ითვლება ყურანის ავტორად. მუსულმანთა უდიდესი წინასწარმეტყველი და უფლის მოციქული! მისი ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ არსებობს მუსულმანური გადმოცემის თანახმად მუჰამედმა ისლამის ქადაგება დაიწყო 6(.)9 ან 610 წელს მექაში. აქ მან აღიარება ვერ ჰპოვა და 622 წლის 26 ივლისს თავისი მიმდევრობით წავიდა მედინაში. ამას ეწოდება წმინდა გაქცევა ანუ მუსულმანურად – ჰიჯრა. აქ იგი, როგორც ალაჰის მოციქული, გახდა ქალაქის მმართველი, მხედართმთავარი და უმაღლესი მსაჯული. 630 წელს მედინელებმა მისი წინამძღოლობით მექა დაიპყრეს. მუჰამედი დასაფლავებულია მედინაში (იხ. А. Массэ, Ислам, очерк истории, пер. С французского, М. 1962; И. П. Петрушевский, Ислам в Иране, Л., 1966).

340. თ უ ღ რ ა (თურქ. – **طغرا**) სახელმწიფოს სახელისა და ტიტულის პირველი ასოებისაგან შედგე ნილი მონოგრამა (იხ. Л. З. Будагов, сравнительный словарь турецко-татарских наречий, СПб, 1869, т. I, Стр. 737).

341. ს ა ჰ ე ბ – სპ. მფლობელი, პატრონი, მეუფე. ყირან – ორი მნათობის შეერთების ადგილი ზოდიაქოში. საჰებ-ყერან – **(صاحبقران)** – ბედნიერი, ძლევამოსილი, გამარჯვებული, დაბადებული ვენერასა და იუპიტერის ან ვენერასა და მზის შეერთების დროს (იხ. Персидско-русский словарь, М., 1953).

342. ჩ ი ნ გ ი ზ - ხ ა ნ ი , ჩ ი ნ გ ი ზ - ყ ა ე ნ ი , თ ე მ უ ჩ ი ნ ი (დაახლ. 1155-1227 წწ.) – მონღოლეთის უზარმაზარი იმპერიის დამაარსებელი. 1206 წელს მდ. ონონის ნაპირზე შემდგარ ყურულტაიზე არჩეულ იქნა მონღოლთა სახელმწიფოს უზენაეს მბრძანებლად. 1211-1218 წლებში დაიპყრო ჩრდილო ჩინეთი. შემდეგ შუა აზია, აღმოსავლეთ ირანი, ავღანეთი და კავკასიის გზით შეესია ევროპას.

343. თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი (1336-1405 წწ.), ტამერლანი მისი ევროპული დამახინჯებული სახელია – შუაზიელი დამპყრობელი. ცნობილი იყო თავისი სისას-

ტიკით. იგი 1386-1403 წწ. ექვსჯერ შემოესია საქართველოს, გადასწვა და გაანადგურა ქვეყანა.

344. იგულისხმება სამხრეთ აზერბაიჯანი.

345. XVII საუკუნეში ირანში 13 ბეგლარბეგი იყო (იხ. თაზქირათ ალ-მულუქი, მეფეთა სამახსოვრო, თეირანი, 1952, გვ. 5, სპარსულ ენაზე).

346. ე რ ქ ა ნ - ე დ ო უ ლ ე თ **(ارکان دولت)** სიტყვასიტყვით – სახელმწიფოს ბურჯები, სეფიანთა ირანის (1502-1722 წწ.) უზენაესი ხელისუფალნი.

347. არქონტი, ძველ ბერძნულ პოლისებში უმაღლესი თანამდებობის პირი.

348. და ს თ ა ნ ი (ზალ-დასთანი), თ ა ჰ ა მ თ ა ნ ი , ფ ე რ ი ბ უ რ ს ი , რო ს თ ე მ ი (ქართ. როსტომი), – სპარსული ეპოსის შაჰ-ნამეს "მეფეთა წიგნის" გმირები.

349. ა რ დ ე ვ ო ნ ი, „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი მოქმედი პირი.

350. ხ ა ყ ა ნ ი - ნიშნავს ხელმწიფეს. აქედან არის წარმოებული „ყაენი“.

351. ჩვეულებრივად ფირმანებში იხმარება გამოთქმა „ადიჭურვება“ (იხ. ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955).

352. საჰბე-ყერანი (صاحب قران). თემურ ლენგის ტიტული. ამ შემთხვევაში ნიშნავს „ვარსკვლავთ ბედისიერი ბედობის მფლობელი“ (იხ. აგრეთვე შენ. 341).

353. საბათი, ძველი აღთქმის მიხედვით იუდეველთა ღმერთის იეღოვას (იხ. შენ. 337) სახელი – ეპითეტი, რაც ნიშნავს „მომარს“ ან „ომის ღმერთს“.

354. აქ შეცდომაა – შავალი (شوال) არის მუსულმანური წელიწადის მეათე თვე (იხ. Синхронические таблицы хиджри и европейского летоисчисления, М. – Л., 1861, стр. 6).

355. „ვინმესთან ერთად გაქცეული“.

356. ი ს ფ ა ჰ ა ნ ი – სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქი 1598 წლიდან. ყ ა ზ ვ ი ნ ი (ყაზვინი) – ირანის სატახტო ქალაქი 1548-1598 წლებში. ამრიგად, ორივე ქალაქი სხვადასხვა დროს წარმოადგენდა ირანის შაჰების რეზიდენციას. აქედან წარმოდგება მათი ეპითეტიც „ხელმწიფეთა ქალაქი“ ანუ სპარს. „დარალ-სალ-თანე“ (دارالسلطنة).

357. მ ა ზ ა ხ დ ა რ ა ნ ი ანუ ტაბარისტაანი – ოლქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში.

358. 1666 წელი.

359. ამ დოკუმენტის ფრანგულ ტექსტს განსხვავებით შაჰის ფირმანისაგან კომენტარების ნომრები არა აქვს. ეს ორი რამით არის გამოწვეული 1) III, IV და V კომენტარი მხოლოდ ერთ წინადადებას ეკუთვნის და ამასთანავე თანმიმდევრულად არ ლაგდება, 2) დოკუმენტში ნახმარი განსამარტავი სიტყვა-ფრაზები ავტორის მიერ კომენტარებში ზუსტად არ არის განმეორებული. ამიტომ ტექსტის კომენტარებთან შეთანხმებით დანომრვა გამწვანებულია, მაგრამ მისი ნუმერაციის გარეშე დატოვებაც ჩვენის აზრით, არ არის მიზანშეწონილი. „მოგზაურობის“ რუსულ თარგმანში დოკუმენტ და ნომრილია, მაგრამ სასურველი სიზუსტე აქაც ვერ არის დაცული (Пу-Тешествие Шардена по Закавказью в 1672-1673 гг. Тифлис, 1902, стр. 216).

360. იხ. შენ. 32.

361. იგულისხმება ჯვაროსნული ომები. იხ. შენ. 19.

400

362. ფ ა რ ჰ ა ნ გ ი (სპ. فرهنگ). – განათლება, კულტურა, მეცნიერება, ცოდ-
ნა; ლექსიკონი, სიტყვარი (Персидско-русский словарь, М., 1953, стр. 369).

363. ს ა რ ქ ა რ ი (სპ. سرکار) – ზედამხედველი, სამუშაოთა უფროსი. იგი-
ვე სიტყვა შუა საუკუნეების აღნიშნავდა სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო და-
წესებულებებს (სახელოსნოებს, საწყობებს და სხვ.). აქვს აგრეთვე სამეფო ხაზინის
მნიშვნელობაც (იხ. ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ.,
1955, გვ. 480; ვ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტო-
რიისათვის, თბ., 1952, გვ. 209-211).

364. ქ ა რ ხ ა ნ ე (სპ. کارخانه) – სამუშაოთა სახლი. შაჰისა და ცალკეული
ფეოდალების კუთვნილი ძველი სახელოსნოები, რომლებშიც ერთდროულად მუ-
შაობდა 150-180 იურიდიულად თავისუფალი ხელოსანი. ქარხნებში დამზადებული
პროდუქციის ერთი ნაწილი ბაზრისათვის იყო განკუთვნილი და სხვა ქვეყნებში გა-
ჰქონდათ.

365. ვ ა ლ ი (სპ. والي) – სეფიანთა სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი
პროვინციების გამგებანი. XVI-XVII საუკუნეებში ირანში 5 ვალი იყო (არაბის-
ტანის, ლურისტანის, ქართლის, ქურდისტანის და ბახტიარის ტომის ვალიები. იხ.
„თახირათ ალ-მულუქ“ გვ.5; საქართველოში ვალის ინსტიტუტის შესახებ იხილეთ
ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI - XVII საუკუნეებში,
თბ., 1958, გვ. 375-381). „ვალინა 'მათ“ – ხელმწიფის ეპითეტია.

366. ალი, იზნაბუთალიზი – არაბეთის ხალიფთა შორის მეოთხე და უკანასკნელი „წმინდანი“ ხალიფი (656-661 წწ.). იგი იყო მუჰამედის ნათესავი, მისი ერთ-ერთი პირველი მიმდევართაგანი და მისი ასულის – ფატიმას – ქმარი. შიიტებმა იგი გამოაცხადეს თავიანთ პირველ იმამად.

367. იგულისხმება რომის პაპი.

368. როგორც ჩანს, აქ სულ სხვა პირები უნდა ვიგულისხმოთ. კლიმენტი VIII რომის პაპი იყო 1592-1605 წლებში, ხოლო ფილიპე II ესპანეთის ტახტი ეჭირა 1556-1598 წლებში, თეიმურაზი კი 1606-1648 წლებში მეფობდა. ცხადია, რომ მათ მიმოწერა ვერ ექნებოდათ. თეიმურაზის ზეობის წლებში ესპანეთის მეფეები იყვნენ ფილიპე III (1598-1621 წწ.) და ფილიპე IV (1621-1665 წწ.), ხოლო პაპობა და ურბან VIII (1623-1644 წწ.). სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ თეიმურაზსა და ურბან VIII გაუგზავნიათ ერთმანეთისათვის წერილები (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 90-97).

369. აქ ისევე როგორც წერილის სხვა ადგილებში, ეთნიკური და გეოგრაფიული სახელწოდებები დამახინჯებულად არის მოცემული. თარგმანში ზოგიერთი მათგანის პირობითად აღდგენა მოგვიხდა. რაკი მეფე კავკასიონის „იქით და აქეთ“ მცხოვრებ ეთნიკურ ერთეულებს ჩამოთვლის, ვცადეთ მიახლოებით მაინც დაგვედგინა, თუ „რა დასახლებული ადგილები“ იგულისხმება ფრანგული ტრანსკრიპციით მეტად ბუნდოვან სიტყვებში. მაგ.: Jalibusiens გადმოვიღეთ როგორც „ჟალეთისა“, ასეთი მოსაზრებით: ჟალეთი მდებარეობს კახეთის მთიან ნაწილში, ერწოს მოსაზღვრედ. იგი იყო ადმინისტრაციული ცენტრი. აქვე არსებობდა საკათალიკოსო კათედრაც. (ტაძრის ნანგრევები დღემდე არის შემორჩენილი). იყო „ჟალეთის ციხეც“ და ჟალეთის ხატიც“, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო არსებითი ისაა, რომ „ერწოსა და თიანეთის ქვეყნების გვერდით ჟალეთის ქვეყანაც არსებობდა“ (ნ. ბერძენიშვილი, საქარ-

თველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 180-181, 185; იხ. აგრეთვე. ნ. ქადეიშვილი, ჟალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1964). ამდენად, ჩვენის აზრით, ვახტანგ V თუშთა, მუხრანისა, თრიალეთისა და ტაშირთან (ესენი ფრანგულ ტექსტში შედარებით კარგად იკითხება) ერთად ჟალეთიც შეეძლო თავის საუფლო „ქვეყნად“ მიეთვალა. მიუხედავად ამისა, შარდენის მიერ დასახლებული ტერიტორიის უეჭველად და კატეგორიულად ჟალეთთან გაიგივება, შეიძლება ყველაზე რეალური, მაგრამ მაინც ვარაუდია მხოლოდ (იგივე ითქმის სხვა ტოპონიმების შესახებაც). არსებობს ამ საკითხის სხვაგვარი ახსნაც. ჟურნი „დროშაში“ გამოქვეყნებულია ილია ანთელავას ერთი წერილი, რომელშიაც მოცემულია ცდა გვიანფოდალური ხანის ქართველ მეფეთა ტიტულატურის დადგენისა და ამ მიზნით განხილულია ვახტანგ V წერილი პოლონეთის მეფისადმი. ავტორი ხედავს რა „ჟალიბის“ „საოცარ მსგავსებას ქართველურ სატომო სახელ „ხალიბთან“, მათ ერთმანეთთან აიგივებს. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ილ. ანთელავა იყენებს „ხალხთა წარმოშობის წიგნის“ მონაცემებსაც და აღნიშნავს, რომ რადგან ქართველ მეფეთათვის საჭირო იყო სიმრავლე ტიტულებისა (რაც უდავოდ სწორია), ამიტომ მათ თავიანთ ტიტულატურაში „ისეთი ტომების სახელები შეიტანეს, რომლებიც უკვე დიდი ხანია არ არსებობდნენო“ (ილ. ანთელავა, ქართველ მეფეთა ტიტულაციიდან, ჟურნ. დროშა, 1970, № 12, გვ. 19). ჯერ ერთი შარდენთან არის არა „ჟალიბი“, არამედ „ჟალი-ბუზიენ“ და ამდენად მისი ხალიბ-ჟალიბთან მსგავსება არც თუ ისე თვალსაჩინოა, მეორეც – ვახტანგ V წერილიდან ილი ანთელავას მიერ მოტანილ ნაწყვეტებში არც ერთი რეალურად არარსებული „ქვეყანა“ არ არის დასახლებული. რაც მთავარია, მუხრანის, თრიალეთისა და ტაშირის გვერდით ხალიბების დასახლება არაფრით არ იქნებოდა გამართლებული. ვახტანგ V, თუნდაც ტიტულების გამრავლების მიზნით, საკუთარი თავის ხალიბების მეფედ გამოცხადება არ შეეძლო. ამდენად, ავტორის მოსაზრებას დამაჯერებლობა აკლია.

370. საეჭვოა, რომ შაჰნავაზს თავისი თავისათვის ერისთავი ეწოდებინა.

371. მკვლევართა აზრით, ეს არის ზოგდან გურჯიცი, XVII საუკუნის ქართველი დიპლომატი (იხ. ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 61-67; გ. ზედგინიძე, ქართველი დიპლომატი ზოგდან გურჯიცი, ჟურნ. მნათობი, № 12, 1965, გვ. 166-173).

372. შაჰ სულთან სულეიმანი, სპარსეთის ხელმწიფე 1666-1694 წწ.

373. აქ, უდავოდ, იგულისხმება ამ წერილის მიმტანი, შაჰნავაზის დესპანი, რომლის სახელი არ არის ცნობილი. ის პირველად არ მიდის პოლონეთში – ყოფილა წინათაც მისი უდიდებულესობის, იოან კაზიმირის წინამორბედთანაც, რომელსაც იგი სათანადო პატივით მიუღია.

374. ამ წერილის ორიგინალი არ არის ცნობილი. დოკუმენტის შარდენისეული ფრანგული ტექსტის ქართული თარგმანი სათანადო განმარტებებით გამოქვეყნებული აქვს მცირეოდენი შემოკლებით პროფ. ი. ცინცაძეს (იხ. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 64-65; 86-89; დოკუმენტის თარგმანი ეკუთვნის ნ. ქადეიშვილს).

375. ა მ ე ლ ი (მრ. ომმალ) – საფინანსო უწყების მოხელე (ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 477).

ტ ა რ ო ღ ა, ტარულა, დარულა – ქალაქის თავი, პოლიციის უფროსი (ვ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიდან, თბ., 1966, გვ. 103, 105).

402

მ უ ს ტ ო უ ფ ი, მუსტოფი, მუსთოფი – საფინანსო უწყების გამგე, საფინანსო კონტროლიორი (ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 471; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეში, გვ. 404-406; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 379-383).

შ ე ი ო ლ ი ს ლ ა მ – მსაჯული, რომელიც საქმეების გარჩევისას ხელმძღვანელობდა შარიათის ნორმებით.

ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი – ქალაქის უზუცესი, რომელიც უმთავრესად ინიშნებოდა ქალაქში მოსახლე მსხვილი ვაჭრების წრიდან (ვ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები, გვ. 107, 110).

376. ა ლ ა მ ფ ა ნ ა ჰ – უფრო ზუსტი თარგმანია „ქვეყნის მფარველი“.

377. მ ე ჰ მ ე ნ დ ა რ ი – კარის მოხელე, რომლის მოვალეობა იყო სტუმრების მიღება და გაცილება, მესტუმრე (იხ. ვ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 156).

378. შაჰ სეფი ტახტზე ავიდა 1629 წელს.

379. აქ მთავრდება შარდენის გაბმული თხრობა საქართველოს შესახებ. როგორც ვხედავთ, რაიმე ლოგიკური ზღვარი და დასასრული ერთი ქვეყნის აღწერას არა აქვს, რაც „მოგზაურობისათვის“ საერთოდ არის დამახასიათებელი. ამის შემდეგ მოგზაური გაივლის დღევანდელი აზერბაიჯანის ერთ მონაკვეთს და დილიჯანის გზით 1673 წლის 7 მარტს ერევანში ჩადის. „თბილისიდან ერევანამდე ორმოცდარვა ლიეაო“ – აღნიშნავს ავტორი (Voyages..., II, p. 161). სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების აღწერას „მოგზაურობაში“ შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. შარდენი აქაც დაახლოებით იმავე საკითხებით ინტერესდება, რომლებზედაც საქართველოში მოგზაურობის დროს ჰქონდა გამახვილებული ყურადღება: აღწერს გზებს, სოფლებს, ქალაქებს, მონასტრებს და ტაძრებს, რომელთა გავლა და დათვალიერება მოუხდა. ახასიათებს ქვეყნის ბუნებრივ პირობებს, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებას, ეხება სარწმუნოების საკითხებს და სხვ. ერევნიდან მოგზაური ნახჭევანსა და ჯულფაზე გავლით გადადის დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე.

380. მოგვაქვს რამდენიმე ნაწყვეტი „მოგზაურობის“ IX ტომიდან, რომლებ-

შიაც შედარებით ვრცლად არის ლაპარაკი საქართველოს ისტორიის ფაქტებზე. ფრანგულ ტექსტში, სხვა ანალოგიური შემთხვევების მსგავსად, ასეა: „28-ში“ იგულისხმება 1674 წლის 28 ოქტომბერი და ამიტომ აზრის სიცხადისათვის ნაწყვეტს სრული თარიღი დავუსვით. (Voyages..., IX, p. 145-150).

381. იგულისხმება ერეკლე, თეიმურაზ I შვილის დავითის ძე, რომელიც 1652 წლიდან მოსკოვის კარზე იმყოფებოდა.

382. იგულისხმება რუსეთის ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძე (1629-1676 წწ). (დედანშია: Le grand duc).

383. ხ ა ლ ა თ ი, კალათი (არაბული, სპარსული) – ტანსაცმელი, რომელსაც სპარსეთში იძლეოდნენ ჯილდოს სახით. ხალათი საქართველოში პირველად შემოდის (XVII საუკუნეში), როგორც სპარსული და თურქული ტანსაცმლის, ხოლო შემდეგ სპარსელ და ოსმალ ხელისუფალთაგან საჩუქრის ანუ წყალობის სახით. ქართველი მეფეები თანდათანობით შეეჩვივნენ მას და XVII საუკუნის მეორე ნახევარში თვითონაც იცვამდნენ და უწყალობებდნენ ხოლმე თვითონ ქვეშევრდომებს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962, გვ. 115).

403

384. იგულისხმება ვახტანგ V შაჰნავაზი, ქართლის მეფე (იხ. შენ. 230) და მისი შვილები. ვახტანგს ჰყავდა ორი ასული – ანუკა და თამარი და ექვსი ძე – არჩილი, გიორგი, ლუარსაბი, ალექსანდრე, ლევანი და სულეიმანი. „აღზარდა მეფემან დიდად სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თვსნი მრავლითა ფუფუნებითა და სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა“ (ქ-ც, II, გვ. 440).

385. აქ მოთხრობილ ამბავში, როგორც ჩანს, იმერეთის სამეფოს კარზე მომხდარი არეულობა იგულისხმება, რომელიც სხვა წყაროებით არ არის ცნობილი. მარი ბროსეს მიხედვით ამ დროს იმერეთის მეფეა ბაგრატ IV (1669-1678 წწ.), რომელსაც 1674 წელს მოცილედ არავინ ჰყოლია (მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II გვ. 201-206 და შთამომავლობითი სია იმერეთის მეფეთა).

386. Voyages..., IX, გვ. 234-238.

387. ერეკლეს მამას და თეიმურაზის ძეს, დავითს, კახეთის ტახტი არ სჭერია და არც დაუთ-ხანი არ რქმევია.

388. ერეკლეს დედა იყო ელენე დიასამიძე (იხ. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 39).

389. ეს ეპიზოდი ქართული წყაროებიდანაც ცნობილია. ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს: „ხელმწიფემ ჯულფების ხოჯა გრიქორას ხელით ხმალი და ხალათი და რომელიც რაყამი ეთხოვნა, გაუგზავნესო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1952, გვ. 71).

390. ერეკლეს „რა რაყამი მიუვიდა, რუსეთის ხელმწიფეს დაეთხოვა და დედა და შვილი იქ გაუშვა და წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთს ჩამოვიდა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 71).

391. ეს იყო ვახტანგ V შაჰნავაზის ძე არჩილი (იხ. შენ. 233), რომელმაც 1662 წელს მაჰმადიანობა მიიღო, ეწოდა შაჰ-ნავაზ ხანი და 1663-1675 წწ. განაგებდა კახეთს. მას ერეკლეს და ქეთევანი ესვა ცოლად.

392. ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, ერეკლე კახეთიდან შირვანს მისულა. „ყენის ბრძანება იქნა შირვანისხ ხანზედან, ვითაც ერეკლე ბატონიშვილი მთის გზით გადმოსულაო, არმც აკლდეს რამეო, ათასი თუმანი მიართვითო და რაც აკლდეს, გაირიგოსო, წამოვიდესო. ჩვენის ნაზირის ძმა ხალაფ სულთან მეჰმენდრათ გამოგვიგზავნიაო, ყველგან ფიშმაზი უყონო და სამასპინძლო რაც მოინდომონ, მიართვანო და დიდის პატივით ყაზმინს ჩემთან მოიყვანონო“. შემდეგ ფარსადან გორგიჯანიძე აღწერს, თუ რა დიდი პატივით მიიღო ერეკლე შაჰმა (იხ. მისი ისტორია, გვ. 71).

393. Voyages..., IX, გვ. 323-324.

394. Voyages..., IX, გვ. 335-336.

395. Voyages..., IX, გვ. 370-375.

396. იგულისხმება იმერეთი და მისი მეფე ბაგრატ IV (იხ. შენ. 224 და 385).

397. როგორც ვხედავთ, აქ მოტანილი ამონაწერები „მოგზაურობის“ IX ტომიდან ძირითადად ერეკლესა და მასთან დაკავშირებულ ამბებს ეხება. ერეკლე ამ დროს ჯერ კიდევ ისფაჰანშია; მისი შემდგომი ბედი კი შარდენისათვის უცნობია.

404

ПУТЕШЕСТВИЕ ЖАНА ШАРДЕНА В ПЕРСИЮ И ДРУГИЕ СТРАНЫ ВОСТОКА

Резюме

Среди иностранных источников, которые содержат сведения о Грузии, труд знаменитого французского путешественника XVII века Жана Шардена занимает особое место. Его «Путешествие» выгодно отличается от других аналогичных сочинений по богатству материалов и по широте охвата различных вопросов. Оно сыграло огромную роль в деле ознакомления Западной Европы с Грузией.

Жан Шарден прибыл в Грузию в сентябре 1672 года, а в феврале 1673 года покинул город Тбилиси и выехал в Армению. За несколько месяцев он побывал во многих местах Грузии и подробно описал те факты и события, очевидцем которых он сам был. Личные наблюдения он дополнил сведениями об историческом прошлом Грузии, почерпнутыми из трудов древнегреческих, древнеримских и персидских историков, а также из сочинений предшествующих ему европейских путешественников. Соответствующее внимание уделил Шарден сведениям, проживавших в Грузии европейских миссионеров и рассказам самих грузин. Вследствие всего вышесказанного сочинение Шардена считалось своеобразным полным справочником о Грузии, как его современниками, так и авторами XVIII—XIX вв.

Жан Шарден побывал в Грузии проездом в Иран, куда он вез европейские ювелирные изделия, заказанные шахом Аббасом II-ым. Он прибыл в Исфahan проехав через Черное море и Кавказ.

По какой причине избрал путешественник этот маршрут нам неизвестно, но в этом, очевидно, определенную роль, сыграло следующее обстоятельство: Шардену, как хорошему знатоку древней истории, видимо, было известно, что в древности

на территории Грузии проходила важнейшая торговая трасса, соединяющая страны Востока с Западной Европой. В позднее средневековье европейские государства стремятся «оживить» этот путь. По этой дороге прошли многие европейцы, как до Шардена, так и после него.

405

Европейские государи, и в особенности, римский папа, проявляли в этот период большой интерес к Грузии. Сюда посылались миссионеры, целью которых являлось внедрение католичества в Грузию и распространение влияния главы католической церкви на страну. Одним из миссионеров был Йозеф Мария Цампи, которого Шарден встретил в Мегрелии. Цампи за свое долговременное пребывание в Мегрелии, написал сочинение, содержащее описание религиозного быта мегрелов и передал его Шардену. Шарден перевел этот труд с итальянского на французский и целиком включил в свое «Путешествие».

Таким образом, сочинение Цампи обогащает и делает еще более интересным для нас «Путешествие» Шардена. Они восполняют друг друга и сравнительно полно передают состояние Грузии в середине XVII столетия.

В истории грузинского народа 60 – 70-ые годы XVII века отмечены тяжелым политическим и социально-экономическим положением. Грузия была раздроблена на отдельные царства и княжества. В стране господствовала феодальная раздробленность. Глубокий упадок переживали сельское хозяйство, городская жизнь, ремесло и торговля. Было ослаблено политическое и военное могущество страны. Население страдало от продажи «невольников» и постоянных набегов северо-кавказских племен.

Одной из основных причин всеобщего расстройтва страны являлась агрессивная политика двух могущественных восточных государств — Ирана и Турции. Это хорошо видел и понимал Шарден. Эти государства не удовлетворялись периодическими нашествиями на Грузию, уничтожением населения, захватом добычи и пленных. Установленная ими ежегодная подать тяжелым бременем ложилась на страну.

Грузинский народ оказывал упорное сопротивление захватчикам, но безрезультатно. Государственные деятели Грузии искали помощь за рубежом. Грузинские послы неоднократно посещали Россию и Западноевропейские страны, но ни

одна из них не могла оказать действительную помощь далекой Грузии, не хотела из-за нее портить отношения с Ираном и Турцией.

В 1672 году, когда Шарден находился в Мегрелии, в Западной Грузии бесчинствовал Ахалцихский паша. Французский путешественник подробно описывает тяжелую картину этого нашествия.

406

В сочинении Шардена особенное место занимает характеристика политического состояния Грузии. Ему хорошо известно, что Грузия древнейшая страна, которая когда-то являлась единым и могущественным государством и, что в последние столетия она распалась на отдельные царства и княжества. Он старается понять суть происшедших событий, приводит внешние и внутренние причины, способствовавшие разделению единого грузинского царства. Разумеется, Шарден не мог разобраться во всем сложном комплексе причин падения грузинского феодального государства, но его наблюдения небезынтересны.

Шарден перечисляет и характеризует по отдельности грузинские царства и некоторые княжества. Согласно «Путешествию» в Западной Грузии существовали следующие административные единицы: Имеретия, Мегрелия или Одиши (страна Дадиани), Гурия (страна Гуриели), Абхазия; в Восточную Грузию же входят Картли и Кахети. Он довольно точно определяет географическое положение каждого из них. У Шардена мало сведений об отдельных феодальных владениях. Исключение составляет значительная часть Мегрелии – Салипартиано, характеристике которого отведено довольно значительное место.

В этот период вся Южная Грузия находилась во власти Турции, поэтому Шарден не считает ее грузинской территорией. В отношении же стран и племен Северного Кавказа французский путешественник в основном удовлетворяется общими рассуждениями.

«Путешествие» дает определенное представление об исторической организации и структуре феодального общества грузинских царств и княжеств.

В ней часто повествуется о тяжелом положении низших слоев населения – непосредственных производителей. Пользуясь почти неограниченной властью феодалы могли продать

или подарить своего крепостного, присвоить их имущество.

Шарден хорошо видел глубокий хозяйственный упадок страны, но в то же время отмечал и то, что отдельные части ее находились на разных уровнях экономического развития. Сравнительно лучшее положение отмечалось в Картли и Кахети так как в течение нескольких десятилетий здесь существовало относительное спокойствие. Правители Восточной Грузии всячески избегали воин с Ираном и с Турцией и этим обеспечивал,и стране условия для мирного развития. Зато вся Западная Грузия, охваченная феодальными распрями и обеси-

407

ленная постоянными нашествиями турок, находилась на грани нищеты.

Шардена, как купца, естественно, особенно интересовали вопросы, связанные с торговлей в Грузии. В «Путешествии» часто упоминаются товары, вывозившиеся и ввозившиеся в Грузию, отмечаются особенности местной торговли, описываются торговые центры, крупные города, товарно-денежные отношения и т. п.

В этой связи автор особенно пространно пишет о Тбилиси, который по его словам, является богатым городом и значительным торговым центром Востока. Описание Тбилиси, а также зарисовки видов города, представляют уникальные документы по истории Тбилиси.

В «Путешествии» дана определенная картина хозяйственной жизни грузинского народа. В этом отношении Шарден много заимствует из трудов европейских путешественников и миссионеров, побывавших до него в Грузии, но в то же время он приводит свои оригинальные наблюдения.

То же самое можно сказать о сведениях по этнографии и религии Грузии. Цампи и Шарден хорошо разбирались в истории грузинского христианства, но все факты рассматриваются и оцениваются ими с точки зрения своих собственных конфессиональных взглядов и позиций.

Вне поля зрения Шардена не остались также вопросы права и судопроизводства в Грузии.

Цампи и в особенности Шарден мало интересовались культурой грузинского народа, но несмотря на это, в «Путешествии» приводятся такие сведения, которые в какой-то степени отражают состояния грузинской культуры в XVII веке.

В «Путешествии» содержатся многочисленные факты из

политической истории Грузии позднего средневековья.

Повествование истории Западной Грузии Шарден начинает со времени правления князя Мегрелии Левана II Дадиани (1611 – 1657 гг.), характеристике личности и деятельности которого он уделяет особое внимание. Заслуживают интерес также сведения по истории Имеретии и Гурии.

Что касается истории Восточной Грузии, Шарден в основном останавливается на вопросах персидско-грузинских взаимосвязей. В этом случае Шарден опирался на сведения, как он сам пишет, «персидских историй», поэтому основным и главным для него является вопрос «о покорении персами Грузии». Вполне логично, что автор начинает свое повествование с начала XVI века, т. е. с того периода, когда кызылбашское государство Ирана обложило данью Восточную

408

Грузию. Свой пространный исторический экскурс Шарден доводит до 70-ых годов XVII века. Особенно интересны сведения о правлении Вахтанга V Шахнаваза и Кахетинского царя Арчила, с которыми он лично был знаком.

«Путешествие» содержит значительный материал о взаимоотношениях Грузии с Россией, Польшей и с другими европейскими странами.

Следует отметить, что часть сведений Шардена не соответствуют исторической действительности. Некоторые из них непонятны и в ряде случаев противоречат друг-другу, но не смотря на это, в целом они представляют большой интерес. Соответствующий анализ сведений его сочинения, с учетом субъективных суждений автора, и сличение их с другими историческим материалом, дает возможность восстановить довольно полную реальную картину политического и социального состояния, которая характерна была для Грузии времен пребывания Шардена в ней.

Исследование, предпосланное настоящему изданию, ставит целью критически проанализировать сведения Шардена. Некоторые частные вопросы рассматриваются в комментариях, помещенных в конце книги. Таким образом, перевод сопровождается исследованием и комментариями, без которых трудно было бы понять рассказ французского путешественника XVII века.

VOYAGES DU CHEVALIER CHARDIN EN PERSE ET AUTRES LIEUX DE L'ORIENT

Sommaire

Parmi les sources en langue étrangères, qui renferment des renseignements sur la Géorgie, l'ouvrage du célèbre voyageur français du XVII^e siècle Chardin, occupe une place importante. Ses „Voyages“ se distinguent des autres ouvrages par analogues par la grande variété de ses informations et paries larges vues de l'auteur sur diverses questions. Cet ouvrage ajouta un rôle considérable en tant que source d'informations, pour faire connaître la Géorgie à l'Europe Occidentale.

Se rendant en Perse, où il portait des articles de bijouterie européenne admirés par le Chah Abbas II, Jean Chardin visita de passage la Géorgie. Il y arriva au mois de septembre 1672 et repartit pour l'Arménie en février de l'an 1673. Pendant ces quelques mois il visita divers coins de la Géorgie et décrivit en détail les faits et incidents dont il fut lui-même le témoin oculaire. Il completa ses impressions personnelles par des renseignements sur le passé historique de la Géorgie, tirés aussi bien des ouvrages d'historiens grecs, romains et persans, que des ouvrages des voyageurs européens, ses devanciers. Chardin accorda une grande attention aux renseignements des missionnaires européens qui ont séjourné en Géorgie, ainsi qu'à ceux racontés à lui par les géorgiens. De ce qui vient d'être dit, il s'ensuit que l'ouvrage de Chardin était tenu pour un ouvrage original de références complètes sur la Géorgie, tant par ses contemporains, que par les auteurs de XVIII^e-XIX^e siècles.

Dans l'histoire du peuple géorgien, les années 60 – 70 du XVII^e siècle sont le théâtre d'une situation politique, économique et sociale très tendue. La Géorgie était démembrée en roy-

410

aumes et en principautés. Le pays était en proie à des guerres intestines féodales, dont les conséquences étaient déplorables. L'agriculture, la vie urbaine, les métiers et le commerce tombaient en décadence. La puissance politique et militaire du pays était affaiblie. La population était victime du „trafic des esclaves“ et des incursions constantes des peuplades du Caucase Septentrional.

Une des causes essentielles de la décadence générale de la

Géorgie était la politique agressive de deux puissants Etats orientaux, ceux de la Perse et de la Turquie. A cette époque l'histoire de la Géorgie n'est plus qu'une longue série de ravages, de massacres et d'invasions. Ces Etats ne se contentaient pas d'incursions périodiques contre la Géorgie, du massacre de ses habitants, de prises de butin et de captifs. Des impôts annuels établis par les envahisseurs pesaient lourdement sur le pays.

Le peuple géorgien opposait a tout cela une résistance opiniâtre, défendait avec un courage exemplaire sa patrie, disputant pied à pied le sol natal; mais, harcelé constamment, il finit par succomber au nombre. Ses hommes d'Etat cherchaient un soutien à l'étranger. On envoyait constamment des ambassadeurs en Russie et dans les pays de l'Europe Occidentale, mais aucun de ces Etats ne pouvait porter un secours reel a la lointaine Géorgie; aucun d'entre eux ne voulait, à cause de la Géorgie, envenimer des rapports avec les puissants Etats de Perse et de Turquie.

En 1672, lors du séjour en Migrélie de Chardin, le pacha d'Akhaltzikhe se livrait aux pires excès dans la Géorgie Occidentale. Le voyageur français décrit les tristes détails du spectacle douloureux de cette incursion.

La description de la situation politique en Géorgie occupe une place particulière dans l'ouvrage de Chardin. Connaissant l'histoire de ce pays, qui remontait loin dans le temps—jadis la Géorgie avait été un Etat unifié et puissant et ce n'était qu'au cours des derniers siècles qu'elle avait été divisée en royaumes et principautés indépendants—il chercha à démêler les causes des événements passés; il rapporte des causes intérieures et extérieures, qui pouvaient avoir contribué à la division de l'Etat uni

411

géorgien. Bien sûr, Chardin ne pouvait comprendre toutes - les questions épineuses auxquelles devait faire face l'Etat de la Géorgie féodale, mais ses observations ne sont dénuées d'intérêt.

Les „Voyages“ nous présentent un tableau de la vie économique du peuple géorgien. En tant que commerçant Chardin accordait une attention particulière aux problèmes relatifs au commerce de la Géorgie. On trouve aussi dans son ouvrage une quantité d'indications au sujet des relations de la Géorgie avec la Russie, la Pologne et d'autres pays européens.

Mais, il est à noter, qu'une partie des renseignements de

Chardin ne correspondent pas à la réalité historique, quelques-uns d'entre eux sont peu crédibles, se contredisant dans plusieurs cas, et cependant, dans l'ensemble, ils présentent un vif intérêt. Mise à part la subjectivité de l'auteur, après analyse des renseignements fournis par lui et après leur confrontation avec les autres données historiques on peut établir un tableau véridique assez complet de la situation politique et sociale qui caractérisait la Géorgie à l'époque où Chardin y séjournait.

L'étude, précédant la présente publication se pose pour tâche l'analyse critique des renseignements de Chardin. Plusieurs problèmes particuliers sont examinés dans les commentaires, placés à la fin du livre.

Nous espérons que la traduction de l'ouvrage du célèbre voyageur, ainsi que notre examen critique intéresseront les spécialistes de l'histoire de la Géorgie et également le vaste cercle de lecteurs qui s'intéressent à l'histoire de la Géorgie.

412

საძიებლები

პირთა საძიებელი

- | | |
|--|--|
| აზას I, აზას დიდი, იხ. შაჰ აზასი | ანდრია ეპიფანე 33 |
| აზას II 329 | ანთელავა ილია 402 |
| აგათია სქოლასტიკოსი 260, 392 | ანჟ დე ვიტერბი (პატრი) 275, 277, 278 |
| აგათიას საეკლ. კრება 180 | 282, 284, 285 – 289 |
| ადრიანე პუბლიუს ავრელიუს 145, 379 | ანტისთენე 379 |
| აეტი 385 | ანტონიური (იმპ. „კარაკალად“ წოდებული) 144 |
| ავგუსტინე (წმ.) 148, 165, 379 | ანუკა (ვახტანგ V ასული) 404 |
| ავგუსტინელი ბერები (ავგუსტინელები) 136, 295, 307, 378 | არაქელ თავრიზელი (დავრიჟეცი) 395, 396 |
| ავიტაბილე (პატრი) 75, 130, 375, 376 | არგონავტები 257, 259, 374, 385 |
| ალავერდი (შარდენის მსახური) 228 | არდევონი 331, 336, 400 |
| ალექსანდრე (ალექსანდრე II, კახეთის მეფე) 60, 68, 72, 378, 387, 395 | არიანე ფლავიუს 110, 258, 259, 372, 391 |
| ალექსანდრე (ალექსანდრე III, იმერთ მეფე) 22, 30, 48, 50, 51, 230, 235, 236, 302, 387, 388 | არკადიუსი (იმპ.) 166, 168, 380-381 |
| ალექსანდრე (ვახტანგ V ძე) 404 | არტემიდორე ეფესელი 146, 379 |
| ალექსანდრე (ლევან II დადიანის ძე) 235, 247, 387 | არჩილი (ვახტანგ V ძე) 24, 33, 44, 52, 64-66, 70, 239-242, 315-317, 389, 390, 394, 397, 404 |
| ალექსანდრე I 19 | არციერთ (არციერების) ჯარი 135, 377 |
| ალექსანდრე მაკედონელი 165, 269, 280, 392, 393 | ასლან ფაშა (ასლან I ახალციხის ფაშა) 51, 365, 388, 390, 392 |
| ალექსი მიხეილის ძე 403 | ატილა 370 |
| ალი 278, 295, 296, 401 | ექემენიდები 394 |
| ალკიდე 336 | აშკენაზი 256 |
| ალ ტაბარი 398 | აშოთან მუხრან ბატონი 396 |
| ამბროზიო (პატრი) 378, 396 | |
| ამბროსი (წმ.) 176 | ბაგრატი, ბაგრატ-მირზა (ბაგრატ IV) |

ანასტასი (წმ.) 151, 380
ანაქორეტები 141
ანდრია (წმ.) 40, 127, 132, 375, 376
ანდრია (წმ.), მისი სახ. ეკლესია 137

51-54, 56, 62, 235-237, 240, 242,
243, 245-247, 388, 390, 404
ბაგრატი, ბაგრატ-ხანი, (ბაგრატ VII, ძე
დაუთ-ხანისა) 310, 395

413

ბაგრატიონები 24, 388
ბაგრატიონი 51
ბაკური (ბაკურ დიდი) 134, 135, 377
ბარბარო 9
ბარნოვი ვ. 133, 135, 144, 145, 168, 182,
188, 377
ბარტოლდი ვ. 82
ბასილი (წმ.) 143, 161, 179, 182, 381
ბასილი (წმ.), მისი სახ. ოდენი 140,
199, 242
ბახუტოვა ე. 85
ბაჰმანი 293
ბედე 144, 146, 378
ბედიელი 139, 196, 381
ბეკანუსი 145
ბელქრმე 164
ბენიამინი 165
ბერაძე თ. 383
ბერი ეგნატაშვილი 48, 396
ბერმენიშვილი ნ. 61
ბონუ ჟაკ 177
ბოროზდინი კ. 386
ბორომეო ანდრეა 15
ბრაკარი მარტინ 188
ბროსე მარი 387, 404
ბულა დიდი, ბულა თურქი 325, 398

გაგარინი გრიგოლ 397
გაწერელია აკ. 85, 86
გენათელი 137, 241, 243, 247, 282, 284,
285, 287, 288, 290, 378
გიორგი (ალექსანდრე II ძე) 395
გიორგი (გურიის მთავარი) 390
გიორგი X (სიმონის ძე) 60, 395
გიორგი XI (ვახტანგ V ძე) 66, 392, 404
გიორგი III (იმერეთის მეფე, როსტომის
ძე) 47, 48, 62, 387
გიულდენშტედტი 38, 39
გერმანე (არქიეპ.) 157
გორგასალი 394
გრელო 7
გრიგოლ (არქიეპ.) 135, 137
გრიგოლ III (პაპი) 188, 383
გრიგოლ XV (პაპი) 392

გრიგოლ ნაზიანზელი ანუ ღვთისმეტყვე-
ლი 161, 381
გრიგოლ ორსინი 387
გურიელი 20, 24, 29, 48, 52, 53, 55, 74,
131, 202, 387, 388, 393
გურიელი გიორგი 53
გურიელი დიმიტრი (დემეტრე) 23, 52
გურიელი ვახტანგ 80
გურიელი მალაქია 47, 48
გურიელი მამია 23, 389
გურიელი სიმონ 47, 48, 388, 390
გრიქორა (ჯულფეზის ხოჯა) 404
გულ (ლევან II დადიანის ასული) 387
გურგენი 136, 377
გურჯიბეგი (გურჯიციკი ბოგდან, გურჯი-
ბეგ დანზეცი) 73, 351, 402

დადიანები 47, 386
დადიანი 20, 23, 24, 49, 51, 52, 54-56,
74, 130, 178, 205, 230, 247, 248, 250,
282, 386, 390
დადიანი ვამეყ 20, 23, 50, 51, 237, 239
240, 247, 390
დადიანი თეკლე 29
დადიანი ლევან (ლევან II დადიანი)
27-29, 31, 34, 46-50, 52, 55-57,
78, 79, 232-235, 237, 239, 240,
247, 312, 371, 374, 378, 382, 385-
387, 389
დადიანი ლევან (ლევან III დადიანი)
52-54, 249, 251, 385, 389, 390
დადიანი ლიპარიტ 386
დადიანი მანუჩარ 378
დავით X 58, 59, 394
დავითი (ალექსანდრე II ძე) 302, 395,
396
დავით X 58, 59, 494
დავითი, დაუდ-ხანი (დავით XI) 59,
301-303, 394-396, 397, 404
დავითი, დათუნა (თეიმურაზ I ძე) 69,
236, 388, 390, 403, 404
დავით მეფე (წინასწარმეტყველი) 23, 24,
129, 184, 205, 375
დარეჯანი (თეიმურაზ I ასული) 51, 52,
236-239, 242, 244-246, 388, 390,
391

414

დარეჯანი (შარდენის მიხედვით ლუარ-
საბის და ხორეშანი) 304-306

ზაალ არაგვის ერისთავი 378, 389
ზეცხი 391

დარეჯანი (სეტემან შერვაშიძის ასული) 382

დარეჯანი (ჭილაძე) 47, 233, 386
დასთანი (ზალ-დასთანი) 331, 335, 400
დაუდ-ხანი (შარდენის მიხედვით ერეკ-
ლე I მამა – დავითი) 362
დემეტრე თავდადებული 397
დემეტრე (სვიმონ I ძე) 390
დემეტრე (წმ.) 91
დე ნუანტელი 73, 214
დიასამიძე ელენე 404
დიოგენე 146, 379
დიოდორე სიცილიელი 109, 372
დიოკლიტიანე 300
დიონი (დიონ კასიუსი) 145, 379
დომენტი (პატრიარქი) 394

ელენე (გურიელის ასული) 23
ელია (წმ.) 194, 275, 393
ელიოზი (რაბინი) 393
ელჩინი თ. 383
ემიდიო დორტელი დასკოლი 369, 370
ემინ-აღა 356
ეპიფანე (წმ.) 293
ერემია (წმ.) 183
ერეკლე I (ერეკლე მირზა, ნაზარალ-
ხანი) 66, 69, 70, 86, 316, 362-364,
365-367, 397, 398, 404
ერისთავი ზურაბ 388, 378

ვალენტინი (იმპ.) 179
ვამეყი (გიორგი ლიპარტიანის ძე) 235,
387, 390
ვახტანგ V, შაჰნავაზი 9, 14, 23, 24, 30,
33, 34, 41, 50-52, 64-66, 70, 73,
74, 387-390, 392, 294, 397, 399,
402, 404
ვახტანგ VI 43, 397
ვახტანგი (ლუარსაბ I ძე) 394
ვახტანგი 31, 35, 36, 50-52, 286, 387,
240, 245, 388, 390
ვახტანგი 31, 35, 36, 50-52, 386, 387,
394, 398, 399

იეზეკიელი წინასწარმეტყველი 145
152, 157, 379
იეზუიტები 218, 369, 385
იერემია (წმ.) 129, 140, 145, 164, 375
იელოვა, იახვე 399
იერონიმე (წმ.) 157
ივანე (ჟან შარდენი) 267
იზიდა, ისიდა 379
იზიდის ქურუმები 146
ილარიონი (წმ.) 179
იმამ-ყული-ხანი 307, 396
იოან კაზიმირი 73, 74, 350, 402
იოან ლეზუნსკი 74, 351

ზენონი (იმპ.) 259, 391
ზირა, ზილიხანი (ლევან II დადიანის
ასული) 387

თავაქარაშვილი მამუკა 49
თამარაშვილი მ. 15, 76, 78, 80, 81, 375-
377, 385
თამარი (გურიის მთავრის ასული, ალექ-
სანდრე III იმერთ მეფის პირველი
ცოლი) 142, 177, 235, 378
თამარი (ვახტანგ V ასული) 404
თამარი (ლიპარტიანის ასული, ლუარ-
საბ II დედა) 395
თამარ მეფე 385, 389
თამაზ (თაჰმაზ I) 59, 301, 302, 394
თაჰამთანი (თაჰემ თენ-თენი) 331, 335,
400
თბილელი 320, 353
თეათე (ეპისკ.) 373
თეათინელები 14, 15, 40, 76, 80, 115,
130, 131, 192, 206, 207, 209, 210,
217-222, 224, 225, 229, 230, 235,
248, 252-254, 277, 278, 373, 376,
385
თეზეცი 336
თეიმურაზ I, თეიმურაზ-ხანი 40, 44,
61-64, 66, 68-70, 72, 73, 75, 79, 86,
136, 142, 177, 236, 302, 304-308,
310-313, 316, 349, 350, 359, 360-
362, 376, 378, 384, 388, 395-397,
401, 403, 404
თემურ ლენგი 335, 337, 399, 400
თეოდოსი (იმპ.) 94, 370
თომას დე იეზუს კარმელიტი 133
თინათინი (ლევან III დადიანის ცოლი)
80, 385, 388, 390
თრდატი (თრდატ III) 137, 377

იაზონი, იასონი 213, 385
იაკობ (ჯაკომო) დე სტეფანი 130, 376
იაფეტი 256
იგნასიო ლოიოლა 385
იეგლევი ა. 31

კაცია 248
კედრენე 384, 391, 203
კეკელიძე კ. 382, 384, 395
კვირიკე (წმ.) 156, 185
კვინტ-კურციუსი 268, 269, 280, 294, 392
კვირინი 97, 370
კირილე (წმ.) 127, 135
კიროსი 292, 293, 394
კლავდიუს როტა 157
კლიმენტი VIII (პაპი) 127, 135, 377
კონსტანტინე (იმპ.) 127, 135, 377
კონტარინი 9, 11
კოსოვიჩი დ. 85

იოანე კორონა 151
იოანე (სარდალი) 135
იოანე (წმ.) 165, 186, 380, 382
იობი (წმ.) 145, 154
იოსები (ლევან II დადიანის ძმა) 48, 52, 234, 235, 389
იოსელიანი პლ. 398
ირუბაქიმე-ჩოლოყაშვილი 384
ისა-ხანი 62
ისკანდერ მუნში 61
ისმაილი (შაჰ ისმაილ I დიდი) 58, 59, 300-301, 326, 394, 397
ისმაილ II 302, 326
ისიდორე (წმ.) 145, 176
იუბენალი (პატრიარქი) 157, 381
იულიანე განდგომილი 179
იულიუსი (პაპი) 135, 136, 377
იუსტინე (იმპ.) 135, 136, 377
იუსტინ ლივორნელი (პატრი) 284-286, 288, 289, 291

კავადი 136
კანდიუსი 294
კაპუცინები 76-78, 207, 216, 225, 274, 275, 277, 278, 294, 323, 324, 326-328, 343, 346, 348, 349, 352, 353, 385
კარაკალა იხ. ანტონიუსი (იმპ.)
კარაფა (კარდინალი, შემდეგ პაპი პავლე IV) 373
კარლოს II (ინგლ. მეფე) 7
კასიანე 141
კასტელი ქრისტეფორე 77, 80, 133, 376, 382

416

მარიამი (შარდენის მიხედვით ქეთევან დედოფლის სახელი) 306
მარიამი (წმ.) 132, 137
მარიანა (შარდენის მიხედვით ქეთევან დედოფლის სპარსული სახელი) 302
მარინე (წმ.) 156
მარკიანე (იმპ.) 380
მარკო პოლო 11
მარციალე მარკუს ავრელიუს 259, 392
მაქსიმიანე (იმპ.) 157, 380
მაყსუდი 340
მაჰმადი 335, 338, 342, 357
მაჰმადი, მუჰამედი (ხვარაზმის შაჰი) 326, 298
მაჰმად-ფაშა 319
მაჰმადი (ხუდაბენდე) 302, 394
მედეა 224, 385
მეთოდე (წმ.) 135
მესხია შ. 383, 393
მეჰდი 332
მეჰრუ (დიდი მოურავი) 303-305, 307,

კრონოსი 391
ლამბერტი არქანჯელო 15, 19, 22, 27-30, 35, 36, 46, 48-50, 55, 77, 79, 371, 373-376, 382, 383, 385, 387
ლანგლე ლუი მათიე 84-86, 368, 370, 371, 375, 376, 391, 393
ლალა ფაშა 395
ლასხიშვილი ხოსია 390
ლევანი (ვახტანგ V ასული) 404
ლევიტელები 145, 146, 379
ლელა (გიორგი X ასული) 395
ლეონიძე გ. 393
ლესკონტი 7
ლიპარიტ III 387
ლიპარტიანი გიორგი 46, 47, 178, 233, 234, 386, 387
ლოლა-ბეგი 307, 396
ლომინაძე ბ. 378, 386
ლუარსაბი (ვახტანგ V ძე) 404
ლუარსაბ I 59
ლუარსაბ II 61, 62, 68, 301, 303-310, 395-396
ლუი გრანჟიე 385
ლუი XIV 73, 385
ლუთერი მარტინ 164, 381

მაკარი ანტიოქიელი 26, 29, 45, 54
მალაქია კათალიკოსი 376
მანუჩარი (ძე ლევან II დადიანისა) 387
მანუჩარ I 385
მარიამი (დედოფალი) 47, 49, 238, 239, 313, 314, 320, 388, 389, 393, 397

მუჰამედი 329, 333, 339, 349, 399, 401
მუჰამედ ხანი 366

ნაზარალ-ხანი (ერეკლე I) 66
ნაზარეველი 145
ნესტან-დარეჯანი (დარეჯან ჭილაძე) 386, 387
ნესტან-დარეჯანი (თეიმურაზ I ასული) 51, 378, 388
ნესტან-დარეჯანი (თეიმურაზ I შვილი-შვილი ქეთევანი) 236, 316, 388, 397
ნიკოლოზ-ნიკიფორე 199, 384
ნიკიფორე 133, 377
ნიკიფორე ბერძენი (კუკოსონელი) 384
ნიკიფორე ირზახი, ნიკიფორე (ნიკოლოზ ირუბაქიმე-ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ ბერი 44, 45, 49, 73, 77, 78, 14, 378
ნინო (წმ.) 40, 127, 133, 374
ნისენი (ტრევის ეპისკ.) 146
ნუნე (წმ. ნინო) 374
ოთარი (ზაალ ერისთავის ძმისწული)

308, 395
მიორიდატე (მიორიდატე VI ევპატორი)
89, 94, 368
მინორსკი ვ. 82
მირიანი 377
მისიონერები 5, 11, 14, 15, 29, 35, 71,
75-80, 81, 88, 274, 280, 294, 299,
323-325, 383, 392
მიქელ მთავარანგელოზი 185
მიხეილი (მიხეილ VIII პალეოლოგი,
იმპ.) 94, 135, 370
მოზომილე 154
მოსე (წინასწ.) 179, 379, 382
მოსე 329
მოქველი 139
მურადი (სულთანი) 258
მუსტაფა ლალა ფაშა, მუსტაფა, მუსტა-
ფა ფაშა 59, 328, 319, 391, 394, 397
მუხრან ბატონები 388
მუხრან ბატონი აშოთან 396
მუხრან ბატონი თეიმურაზ 388
მუხრან ბატონი ქაიხოსრო 394
მუჰამედ მეჰდი (ვეზირი) 339
მუჰამედ II 95, 370

რამზეს II 372
რამულიო (რამულიო ჯოვანი ბატისტა)
136, 378
რასინი 391
რაფაელ პარმელი (პატრი) 327, 343,
349, 352, 354, 355
რაქილი 165
რეა (ღვთაება) 391
რეა-კიბელა 391
რებეკა 176
რეზენი 6, 7, 9, 73, 214, 331, 339, 356,
368, 369
რემობიტები 141
როდამი (ვახტანგ V პირველი ცოლი)
388, 389
როსთემი 336, 400
როსტომი, როსტომ-ხანი 34, 49, 50, 63,
64, 295, 311-313, 376, 388, 389, 392,
393, 397, 398
რუსტიკე (სარდალი) 135
რუფინუსი 179, 382

სააკაძე გიორგი 61, 395-397
საბახთარი ზეკო 386
საბახტარი 231, 249-253, 386
საბახტარიშვილი, საბახტარასკუა 386
საზელიენის ხატი 195
სარაბიატები 141
საბაოთი 400
საული (ბიბლ.) 129, 375
სადი ათაბა (ვეზირი) 385
სასანიდების დინასტია 377

389
ომარი 338
ოტია (მარიამ დედოფლის ვაჟი) 389

პაატა (ვეზირი) 387
პავლე IV (პაპი) 373
პავლე (წმ.) 182
პაპუნა (ვეზირი) 48, 233, 387
პეტრე (წმ.) 185, 186, 193, 194
პიეტრო დელა ვალე 11, 61, 74
პლინიუსი 268, 272, 292, 293
პლუტარქე 165, 182, 381
პომპეუსი 89, 294, 368
პომპონიუს მელა 103, 293, 371
პროკოპი კესარიელი 105, 258, 260, 280,
371, 393
პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაცია 14,
274, 323, 324, 392
პროტესტანტები 5
პტოლემეოსი 104, 110, 203, 272, 294,
371-373, 385
პტოლემეოსების დინასტია 379
პულქერიანე (დედოფალი) 157, 381
რამაზა (აზნ.) 155

417

სიქტიანები 132, 376
სკუტარო (სკუტარიების) ჯარი 135, 377
სოლომონი 23, 205, 334, 350, 379
სტეფანე პოლინი 77, 378
სტრაბონი 94, 110, 268, 272, 294, 269.,
373
სულიმანი (ვახტანგ V ძე) 404
სულიმანი (შაჰი) 6, 84, 319, 326
სულთან მურადი 49, 258
სულთან სულიმანი 251

ტამერლანი (თემურ ლენგი) 399
ტარკანოტი 135
ტერტულიანე 187, 188, 383
ტოლოჩანოვი ნ. 31
ტომაზო მინადლი 32
ტრაიანეს მარკუს ავრელიუს 133, 377

უნდილაძე ალაჰვერდი-ხანი 396
უნდილაძე დაუდ-ხანი 396
უნდილაძეები 396
ურბან VIII (პაპი) 72, 130, 141, 375,
392, 396, 401

ვასიანე (ქალღმერთი) 391
ვათმა სულთან მეგუ 396
ვარი (შარდენის მიხედვით ლუარსაბის
დის სპარსული სახელი) 304
ვარსადან გორგიჯანიძე 65, 376, 387,
394, 404
ვატიმა 339, 401
ვეიქარ-ხანი 395, 396

საყვარელიძე ექვთიმე 385
სეზოსტრისი, სესოსტრისი 109, 372
სემიტები 382
სერაპისი 379
სეფევიდები 81
სეფი (აბასის შვილიშვილი) 311, 329
(იხ. აგრეთვე შაჰ სეფი)
სეფიანთა დინასტია 394, 396, 400, 401
სეფი-ყული-ხანი 366
სიზი 316, 317
სიმონი, სიმონ-ხანი (სიმონ I ლუარსა-
ბის ძე) 59, 60, 63, 72, 301, 302, 311,
319, 394, 395, 397

418

ქვარიანი ზაქარია 378
ქრისტეფორე (კათალიკოსი) 394
ღვინიევა ე. 85
ყალები 340
შამდავლე (ლევან III დადიანი) 52,
385, 390
შარაშია (შერვაშიძე) 178, 382
შარდენი ჟან 5-8, 20-47, 49-55, 58,
59, 61-87, 214, 331, 339, 356, 368-
370, 372-376, 378, 382, 383, 285-
387, 390-393, 394-399, 401-404
შაჰ აბასი, აბასი 7, 9, 33, 41, 60-64,
68, 69, 136, 205, 302, 304-311, 329,
338, 385, 389, 395-397
შაჰ თამაზი (თამაზ I) 59, 302, 394
შაჰ ისმაილი 59, 398, 399
შაჰნავაზი, შაჰნავაზ-ხანი (ვახტანგ VI)
23, 34, 38, 45, 64-66, 74-78. 238-
240, 312-315, 323, 326, 328, 350,
362, 363, 365-367, 387, 388,
394, 397, 399, 402
შაჰ-ნაზარ-ხანი 363, 365, 404
შაჰ სეფი 50, 63
შაჰ სულთან სულეიმანი 402
შეიხი 329
შერვაშიძე 56
შერვაშიძეები 47
შერვაშიძე სეტემან 382
ჩინგიზ-ხანი, ჩინგის ყაენი, თემუჩინი
335, 399
ჩიქვანები 391
ჩიქვანი კაცია 54, 390, 391
ჩხიძე ოტია 237, 238, 388
ჩხიძე სეხნია 388, 390
ჩხიძე უტანდარ 386
ცაიშელი 139
ცენობიტები 140
ცინცაძე ი. 402

ფერიბურსი 331, 335, 400
ფიესკი სინიზალდი, გრაფი 88
ფილიპე II (ესპ. მეფე) 72, 349, 401
ფილიპე III (ესპ. მეფე) 401
ფრანჩესკო დ'აპრილე 376
ფრანცისკ ასიზელი 384
ფრანცისკანელები 384
ფრანცისკანული ორდენის ბერები 199
ქადეიშვილი ნ. 402
ქეთევანი (დედოფალი) 41, 61, 136, 302,
306, 307, 378, 396
ქეთევანი (თეიმურაზ I შვილიშვილი)
388, 390, 397, 404

დამპი დონ მარი ჟოზეფ 14-17, 20, 25,
37, 39, 40, 42, 44, 45, 71, 77-79,
83, 85-87, 128, 201, 210, 213-217,
219, 220, 223, 224, 252-254, 375,
378, 381, 384, 385

წათე 377
წალენჯიხელი 139
წულუკიოა პატა 169

ჭილაძე 374
ჭილაძე დარეჯან 233-235, 239, 247,
386, 387
ჭილაძე როვანოზ 386
ჭუჭუნაშვილი ვახტანგ იხ. ვახტანგ
ჭუჭუნაშვილი
ჭყონდიდელი 139

ხალიბი 402
ხალიფ სულთანი 404
ხოსია (ვეზირი) 240, 241, 390
ხოსია 245, 246
ხოსრო-მირზა (როსტომ ნეფე) 311
ხორეშანი (გიორგი X ასული) 395, 396
ხუნდაბენდე 59, 395

ჯავახიშვილი ივ. 375
ჯანაშია ს. 393
ჯალალედინი 397, 398
ჯაფარი 329
ჯუდიჩე დონ ჟუზეპე მილანელი 19,
22, 28, 29, 46, 50, 77, 375, 387

ჰანიბალა 332
ჰასან ფაშა 267
ჰეთუმი (ჰაიტონი) 136, 377
ჰეროდოტე 255, 372, 391
ჰორაციუსი 391
ჰორმიზდა (პატრიარქი, რომის პაპი)
135, 377

გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

- აბასგები 105
 აბაშა 110, 373, 386
 ადილელები 371
 ადრიანოპოლი 368, 370
 ავგარი 320
 ავღანეთი 399
 აზაკი 88, 93, 99, 100, 101, 370
 აზოვი 93, 96, 370
 აზერბაიჯანი 400, 403, 394
 აზია 7, 36, 96, 111, 115, 135, 268, 270, 296, 335, 336, 370
 აზიის ანუ კავკასიის ალბანია 293, 394
 აზიის სარმატია 294
 ათენი 94, 309
 ათონის მთა 141
 ალი 32, 295, 296, 329, 342, 357, 393
 ალამუთის ციხე 394
 ალანები 107, 132, 197, 294, 372, 376
 ალბანია 292
 ალექსანდრია 79, 137
 ამორძალები (ამაზონები, ამამონები) 108, 294, 295, 372
 ამიერკავკასია 9, 59-61, 67, 68, 391, 395
 ამსტერდამი 83, 368
 ანაკლია 29, 209, 214-217, 225-228, 259, 383, 391
 ანტიოქია 380
 ანჩისხატი (ეკლ.) 320, 397, 398
 არაბები 257, 295
 არაბეთი 127, 338
 არაბისტანი 401
 არაქოზია 352
 არაქსი 317
 არზრუმი 241
 არმენია 311
 არტაქსატი 325, 398
 არქიპელაგი 96, 370
 ასირია 376
 ასპინძა 392
 ასტოლფი (ასტელეფი) 110, 214, 217, 372, 383, 385
 ასტროტალასა 257
- აფრიკა 115
 აფხაზები 47, 55, 56, 105, 107, 112, 132, 137, 154, 197, 202, 204, 207, 208, 210-212, 215, 234, 248, 253, 255, 376
 აფხაზეთი 20, 23, 25, 28, 42, 48, 55-57, 107, 137, 139, 178, 216, 234, 251, 255, 371, 375, 382, 387
 აყ-სენგის 257
 აშინელები 295
 აშრაფი 331, 338
 აწყური 273
 აჭარა 20, 56, 384
 ახალქალაქი 393
 ახალციხე 9, 13, 21, 35, 45, 51-53, 55-57, 65, 83, 113, 204, 240-245, 247, 250, 261, 263, 267, 272, 273, 278, 283, 284, 292, 293, 315, 316, 365, 389, 390, 392
- ბაბელ-მანდები 256
 ბაბილონი 379
 ბაბილონელები 375
 ბალკანეთის ნახევარკუნძული 370
 ბალტემი 157
 ბაქტრია 367
 ბაშიაჩუკი 371
 ბახტიარი 401
 ბაჰარ-ბონტო (პონტოს ზღვა) 275
 ბაჰრეინი 396
 ბედიის ეკლესია 157, 381
 ბედიელის ეპარქია 196
 ბეთლემი (ეკლ.) 321
 ბეთლემის წყალსატევი 184
 ბენდერ-აბასი 83
 ბერძნები 42, 79, 88, 91, 92, 94, 101, 110, 126, 127, 129, 137, 139, 155, 166-168, 170, 173, 180, 195, 199, 256, 257, 272, 293, 295, 296, 335, 336, 369
 ბია 375
 ბიზანტია 11, 95, 123, 369, 370, 375, 377, 380, 385, 391

420

- ბიზანტიელები 377
 ბიჭვინტა 23, 51, 127, 132, 133, 137, 375, 376, 386
 ბოსფორი (სამეფო) 371
 ბოსფორი, ბოსფორის სრუტე 88, 89, 91,
- გურულები 131, 137, 204
 გურჯისტანი 293, 295
- დამასკო 32
 დარდანელის სრუტე 370

256, 257, 368, 391
ბოსფორები 88
ბორისთენი 256

გაგიდა 373
გალი 380
გალია 203, 340
განარჯია-მუხური 383
ბანგი 269, 392
განჯა 301
განჯის კარი (სალალაკის ხევის კარი) 398
გარისი 59, 394
გედროზია 335
გელათი 375, 378, 386
გენუა 88, 207, 221, 368
გენუელები 94, 95, 368, 370
გეთსიმანიის ველი 157, 381
გეორგიანები (გეორგიელები) 293
გერმანია 96, 374, 381
გერმანელები 122
გლაუკუსი (გლავკოსი) 110, 373
გოა 92, 369
გოდერძის ელელტეხილი 392
გოთია 351
გოლგოთა 199, 379, 384
გონიო 20, 124, 202-203, 252, 259, 260, 262-265, 267, 374, 278, 283, 392
გორვა 259
გორი 13, 31, 32, 76, 245, 273-275, 278-279, 280, 288, 289, 294-296, 299, 323, 375, 393
გორის ციხე 312
გულაბის ციხე 396
გურია 20, 23, 25, 28, 42, 55, 57, 80, 197, 199, 203, 204, 206, 232, 235, 237, 242-244, 247, 248, 258, 259, 268, 282, 312-314, 325, 376, 374, 386, 387, 390
გურია-სამეგრელო 36

დარ ელ მელუქი (მეფეთა ქალაქი) 32, 326
დალესტნელები 20
დედაბერა (ულუმბი) 393
დეალები 350
დეალები 23, 24
დიდი წიფური 383
დიდი ჭყონი, ჭყონდიდი 383
დილიჯანი 403
დიხაზურგა 383
დნეპრი 372
დონი 96, 101, 370, 372, 376
დუზლა (ტუზლაჰ) 101
დუნაი 256, 376
დუშეთი 389

ებრაელები 42, 129, 136, 146, 149, 151, 163, 164, 176, 184, 272, 298, 332, 334, 337-339, 379, 382
ეგეოსის ზღვა 370
ეგვიპტე 109, 199, 369, 379, 382
ეგვიპტელები 146, 179, 372
ევროპა 7-12, 35, 37, 65, 71-73, 76, 78, 80, 96, 98, 141, 240, 246, 261, 268, 296, 305, 324, 326, 327, 353, 370, 378, 381, 399
ევროპელები 28, 34, 42, 75, 83, 97, 98, 203, 217-219, 225, 260, 298, 328, 347, 352, 356, 370
ევქსინის ზღვა, ევქსინის პონტო 255-257, 269, 368
ენგური 110, 214, 254, 257, 372, 374, 383, 385, 391
ეპირი 132, 376
ერზერუმი ვვ, 292, 297
ერისწყალი 373
ერევანი 321, 352, 356, 357, 403
ერევანი (ციხე) 60
ერწო 401
ესპანეთი 141, 349, 374
ესპანელები 72, 349, 350

ვანდალია 351
ვენეცია 9
ვენეციელები 97, 98
ვოლგა 294

ზიგები 104
ზერავზანი 376
ზუგდიდი ვი 374

თაბარესთან 331, 338
თავრიზი 83, 292, 326
თაზირისი 110
თათარი, ტატარი, ტარტარი 93
თათრები 42, 64, 92-96, 101, 102, 104, 105, 136, 202, 204, 294, 298, 337, 362

60, 65, 71, 72., 97, 100, 112-114, 202, 208, 211, 237-239, 242, 249, 252, 261, 268, 273, 305, 312, 320, 321, 326, 352, 365, 370, 385, 387, 391
თურქმანები 63, 295
თუშები 70, 350, 402
თუშეთი 70, 404

იარქსარტე 269, 392
იბერია 72, 108, 203, 292, 293, 350, 362, 265, 377, 384, 398
იბერიელები 72, 133, 349, 350
იერუსალიმი 45, 49, 79, 141, 157, 171-172, 198, 199, 375, 378, 379, 381, 383, 384

თაკვერი 390
თალესტრა 294
თბილისი 5, 20, 31-35, 38, 41, 45, 59,
73, 75-77, 80, 83, 85, 237, 274,
275, 278, 280, 281, 283, 285, 287-
289, 291-295, 297, 299, 302, 303,
308, 311, 312, 314, 316, 317, 319-
326, 339, 352, 353, 357, 358, 363,
376, 393, 397-399, 403
თბილისი (ციხე) 313, 319, 389, 397
თეთრაშენი (ეკლ.) 320
თეთრი ზღვა 257
თელავი 33, 394
თერჯოლა 384, 393
თერჯოლა 384, 393
თემამი 393
თიანეთი 401
თიანელები 350
თორღას ციხე 395
თრაკიის ზოსფორი (ზოსფორის სრუტე)
88, 368
თრიალეთი 350, 402
თურქები 13, 20, 21, 28, 30, 52, 54, 55
-57, 68, 69, 71, 74, 90-96, 98, 100,
102-105, 107, 108, 124, 136, 139,
153, 156, 174, 202-207, 215, 216,
224, 230-232, 240-245, 247-253,
256, 258-264, 268, 272, 273, 282,
284, 287, 288, 305, 310-312, 317,
319, 321, 326, 342, 361, 362, 367, 385
თურქეთი 10, 12, 31, 40, 49, 52, 56, 57,

იეშილ-ირმაკი (ერშილ-ირმაკი) 374
ილორი 39, 196, 380
ილორი (ეკლ.) 185, 380, 382, 393
ილორელები 154, 196
იმაუსი 268
იმერეთი 20, 22-25, 27, 28, 30, 31, 36,
42, 47-55, 62-65, 68, 79, 83, 107,
130, 137, 139, 142, 177, 197, 199,
202-205, 218, 232, 235, 238-247,
251, 258, 259, 275, 276, 279, 281, 282,
285, 286, 292, 293, 312-314, 316,
325, 371, 386-390, 404
იმერლები 244, 371
ინგლისი 78, 141
ინგლის-ინდოეთის კომპანია 8
ინდოეთი 6, 7, 10, 30, 34, 92, 96, 111,
268, 269, 337, 352, 369, 392
ინდოელები 42, 298
ინდოეთის კომპანია 353
ინდოეთის ოკეანე 83
ინდუსტანის ნახევარკუნძული 369
იონანეს (წმ.) ყურე (კავას სრუტე) 100
იონიის ზღვა 376
იორდანი 186, 382
ირანი 8, 9, 20, 30, 31, 40, 49, 50, 58-
70, 73, 387-398, 394, 396, 397,
399-401, 403
ირანელები 30
ირან-თურქეთი 71, 72
ირან-ოსმალეთი 59, 61, 64, 66-68, 77,
80, 394, 395

422

ირან-საქართველო 61
ირისი 124
ისგაური 29, 107, 205-207, 371
ისრაელები 375
ისრაელ-იუდეველთა სამეფო 379
ისფაჰანი 6, 8, 9, 33, 36, 62, 64, 78,
83, 93, 136, 297, 304-306, 311, 313,
338, 353, 360, 365, 378, 397, 400,
404
იტალია 75, 141, 203, 369, 370 373
იტალიელები 370
იუდეველები 399, 400

კაბადოკია 300
კავკასია 7, 10, 12, 372, 374, 391, 399
კავკასიონი (კავკასიის მთები, ქედი, მთი-
ანეთი) 69, 107, 108, 113, 114, 139,
154, 202, 203, 204, 233, 239, 248,
251, 258, 267-272, 279, 292-294,
312, 325, 361, 372, 394, 401
კაზაკები 74, 75, 94, 98, 101
კალა 325, 397, 398
კალი-კალა 275
ქარამანია 335, 352
კარეკლემი (ხვარაზმი) 326

კიევი 351
კიევის რუსეთი 369
კიმერიელები 92, 369, 371
კიმერიული ზოსფორი (კიმერიის ზოსფო-
რი) 100, 371, 372
კირი (კირუსი, კირ, კიროსი) 292, 317,
397
კლარჯეთი 397
კოდორი 107, 109, 127, 373
კოდორი (პატარა) 372, 385
კოლბოური 279, 393
კოლხები 108, 109, 116, 119, 123, 126,
135, 136, 213, 361, 272
კოლხეთი, კოლხიდა 35, 40, 98, 107-
110, 125, 128, 132, 156, 202, 203,
205, 218, 272, 277, 285, 289, 292,
296-298, 361, 372, 376, 377
კოლხოსი (ქალაქი) 108, 259, 372, 391
კონსტანტინოპოლი 7, 9, 10, 60, 73, 78,
79, 86, 188, 94, 97, 98, 104, 124, 135,
137, 156, 204, 207, 210, 211, 219,
220, 235, 238, 250, 261, 298, 310,
368, 370, 375, 377, 383, 384
კორაქსი 272
კოროკანდამა (კოროკანდამე) 104, 371

კასპის ზღვა 30, 93, 108, 256, 268, 292,
296, 301, 302, 304, 309, 311, 370, 392,
394

კაფა 92-100, 103, 104, 207-209, 211,
369, 370

კაფას სრუტე 100

კახეთი 9, 19, 20, 26, 32, 58, 59, 61-66,
69, 70, 117, 136, 293-295, 301, 302,
308, 311, 312, 315, 316, 322, 325, 362,
363, 365, 384, 388, 389, 394, 395,
401, 404

კახეთი (შარდენის მიხედვით ქალაქი) 33,
293

კახელები 61-64, 131

კეთილ იმედის კონცხი 7

კელმხელი (კელმჰელი) 257, 291

კერკეზი 104

კესარია 151

კიანეთს კუნძულები (კიანეთის), 89, 868,
373

კოპიტნარი 379

კორინთოს ყელი 369

კოტატენის ყვეყანა 203, 385

კუოდოსი 104

ლაზები 20, 260, 377, 385

ლაზი 260

ლაზიკა 260

ლათინები 166

ლანჩხუთი 386

ლაოდიკე 382

ლაოდიკეს საეკლესიო კრება 180, 382

ლეკები 65, 350

ლესრნო 351

ლენხუმი 53, 248, 390

ლიანდი 280

ლიახვი 36

ლივონია 351

ლისაბონი 92

ლიტვა 351

423

ლიხთამერი 23, 24, 350

ლიხთიმერი 23, 24, 52, 350, 393

ლონდონი 6-8, 83

ლუვრის გალერეა 341

ლურისტანი 401

ლურჯი ზღვა, იხ. მეოტიდის ჭაობი

მაზანდარანი, მაზანდერონი (ტაბარის-
ტანი) 309, 311, 338, 400

მაზოვია 351

მალტიელები 264

მარგანი 352

მარმარილოს ზღვა (პროპონდიტა) 368,
370

მარტვილი 383

მარტვილის ეკლესია 390.

მაუროტალასა (შავი ზღვა) 257

მეგრელები 13, 17, 28, 29, 37-39, 86,
109, 111-114, 116, 117, 119, 120,
122, 123, 125, 127, 129, 130, 142, 144,
146, 150, 154-157, 160, 163-166,
168, 171, 174-177, 179-185, 188
192-196, 199, 201, 202, 204, 211,
213, 214, 217, 218, 221, 231, 234, 239,
242, 246, 251, 254, 271, 298, 300, 306,
381

მედიანა 333, 399

მედიანელები 399

მეოტიდის ტბა (ჭაობი, სრუტე) 93, 96,
97, 100, 103, 104, 108, 112, 372

მესინა 95, 370

მესინის ყურე 370

მესოპოტამია 379

მესხეთი 60

მეტეხი 310, 397, 398

მექა ვვვ, 338, 399

მოსკოვი, მოსკოვის სახელმწიფო 67-70,
268, 292, 309, 310, 312, 316, 358, 359,
362, 365, 366, 387, 389, 403

მოსკოვიტები 42, 89, 100, 101, 298,
340, 362

მოსე და აარონის სახ. ეკლესია 189
მოქვის ეკლესია 147, 379

მოქვის წყალი 372, 373

მოხევეები 350

მტკვარი 37, 268, 372, 373, 375, 392,
293, 295, 297, 317, 358, 392, 397,
398

მუხაესტატე 378

მუხრანი 350, 402

მცირე აზია 369, 370, 382, 385, 391

მცხეთა 350, 393

ნაკურალე 390

ნარიყალა 397

ნახჭევანი 403

ნიკეა 370

ნოღაელები 92

ნოღაელი თათრები 93

ოდიში 15, 20, 23, 28, 42, 47, 48, 54,
55, 109, 130, 131, 137, 199, 373, 374,
378, 384, 386, 387, 390

ონონი 399

ოლთისი 388

ოსები 203, 350, 372

ოსეთი 23, 24

ოსმალები 13, 20, 42, 52-67, 59, 60

62, 232, 298, 301, 391, 394, 395, 397,
399

ოსმალეთი 12, 20, 22, 23, 33, 54, 55,
59, 60, 65, 67, 68, 73, 202. 297, 373,

მიდია პე, 297, 301, 311, 335, 352
მიდიის აზერბაიჯანი 325
მილანი 9, 377
მკვდარი ზღვა 382
მთიულეები 350
მოგნაი (ეკლ.) 321, 398, 399
მოგნაი (სოფ.) 321
მორეა 93, 369
მონღოლები 20, 40

395, 397
ორუსი 340
ორესანტი 101
ოტომანები 95, 214, 271
ოქუმი 372
ოჩამჩირე 381
პალესტინა 135, 382
პალესტრა 100, 371, 382

424

პართია 352
პარიზი 5, 7, 9, 13, 83, 84, 228, 249, 368
პეინარდი 317
პელეპონესი 93, 369
პერეკოპელი თათრები 93
პერეკოპის ნახევარკუნძული 93
პერეკოპის სათარეთი 92
პერსეპოლისი 83
პიტინტი, პიტინტი, პიცუნდა, პიცივი-ტასი (ბიჭვინტი) 375
პოლონეთი 23, 24, 41, 52, 73, 74, 78, 141, 350, 351, 374, 402
პოლონელები 37, 89, 398, 342
პონტო, პონტოს ზღვა 257, 393
პონტოს სამეფო 369
პორტა 21, 56, 97, 98, 103, 238, 242, 261, 365, 366, 370
პორტუგალიელები 92, 369
პროპონტიდა 257, 368
პრუსია 351
პუდაზი 154
ჟალეთი 350, 401, 402
ჟალეთის ციხე 401
ყალიბი 402
რაჭა 390
რავის ციხე-სიმაგრე 245, 390
რაჭა-ლეჩხუმი 390
რეას ტამარი 259, 391
რეჯია 203, 384
რიონი 107, 108, 258, 371, 386, 390, 391
რკონი 379
რომაელები 108, 144, 260, 280, 295, 337
რომი, რომის იმპერია 10, 11, 14-17, 25, 45, 72, 74, 76-78, 95, 181, 188, 218, 259, 281, 299, 323, 369, 370, 375-379, 381-383, 385, 392, 401
რუსეთი 12, 61, 66-71, 310, 351, 369, 378, 384, 387, 403, 404
რუსეთ-საქართველო 66, 67
რუხი 29, 374
რუხი (ციხე) 53, 115, 230, 248-250, 374

საბარათიანო 350
საბერძნეთი 95, 123, 132, 137, 148, 188, 207, 213, 259, 369, 376
სადადიანო 390
საზანო 279, 393
სათათრეთი 124, 218, 272, 294
სათათრეთი (დიდი) 335
სათათრეთი (უზბეკების) 326
სალიპარტიანო 20, 54, 233, 386, 390
სამეგრელო 9-11, 13-17, 20, 24, 25, 27-30, 34-37, 39, 40, 42, 43, 45-51, 53-57, 73, 75, 77, 78, 80, 83, 85, 86, 88, 89, 98, 199, 104, 105, 107, 108, 110, 111, 113-116, 118, 123-126, 130, 131, 139, 141, 144, 147, 150, 156, 173, 177, 180, 187, 194, 197, 199, 202-206, 210-212, 214-219, 221-223, 230, 232-235, 237-240, 242-245, 247-253, 255, 258! 259, 261, 262, 270, 271, 274-279, 281, 282, 284, 285, 288, 289, 299, 308, 312, 313, 326, 373-377, 380, 382, 383, 385-387
სამოტია 351
სამტრედია 386
სამცხე 30, 36, 296, 394
სამცხე-საათაბაგო 20, 41, 59, 61
სარგაციელები 103
საფრანგეთი 6, 7, 10, 73, 83, 110, 141, 206, 213, 214, 229, 274, 341, 373, 381, 385
საფრანგეთ-ევროპა 77
საჩხერე 393
საქართველო 5, 7, 9-15, 17-24, 26-28, 33-37, 39-44, 46, 48, 50, 54-72, 75-80, 81, 84-86, 107, 112, 126, 131, 137, 199, 203, 205, 216, 218, 226, 235, 236, 238-244, 246, 251, 260, 273, 277, 286, 287, 292, 293-297, 299-302, 304-317, 319-321, 323-325, 335, 344, 352, 353, 359-367, 369, 371, 374-376, 378-382, 384-386, 389-399, 4007 401, 403
საჭილოა 386
სეზასტი (სეზასტოპოლისი, სევესტოპოლისი) 259, 391

- სევასტოპოლი 369
 სვანები 20, 23, 30, 51, 108, 132, 137, 240, 248, 250, 294, 350, 376, 390
 სვანეთი 23, 42
 სვერი 393
 სვეტიცხოველი 389, 393
 სიგამე, სინგამე 110, 373
 სიონი (ეკლ.) 319, 397, 398
 სირ-დარია 392
 სიფორია, სიპურია, სიპიასი, წიფურია, ჭიპურია 382
 სიცილია 370
 სკანდა 203, 246, 280, 281, 384, 393
 სკვითები 202, 204, 295, 369, 376
 სკვითეთი 132, 376
 სკვითეთი 372
 სკორჯია 203, 384
 სკურჩა 29, 371
 სმირნა 368
 სოდიანა, სოგდიანა, სოგდი 376
 სოდიანები 132
 სოკომი 110, 372
 სომხები 30, 42, 94, 135, 172, 298, 311, 319, 320, 321, 352, 393
 სომხეთი 9, 33, 35, 36, 183, 108, 112, 241, 260, 272, 297, 352, 366-367, 377, 403
 სომხეთი დიდი 292
 სომხეთი მცირე 292
 სომხითი 350
 სოდანლული 358
 სოხუმი (ქალაქი, ციხე) 56, 391
 სპარსეთი 6, 7, 10, 12, 21-23, 33, 41, 49, 57-59, 65, 66, 68, 70, 75, 81, 82, 93, 114, 117, 131, 136, 202, 205, 206, 214, 226, 229, 235, 238, 239, 241, 242, 260, 272-274, 277, 292, 293, 300-302, 304, 306-311, 313-315, 319, 325-328, 335, 336, 337, 339-342, 344, 349, 352, 353, 357-359, 360-363, 365-367, 369, 377, 378, 389, 393, 396, 398, 402
 სპარსელები 38, 41, 42, 58, 59, 66, 74, 75, 93, 103, 107, 135, 136, 232, 244, 245, 258, 280, 295, 298, 300, 302, 303, 305, 307, 311, 312, 321, 325, 328, 333, 335-340, 342, 343, 356-358, 360, 362, 365, 366, 377, 378, 391
 სპარსეთის ყურე 352
 სტამბოლი 395
 სუზი 376
 სურამი 32, 273, 295, 296
 სურამის ველი 273
 სურფ-ნიშანი (ეკლ.) 321
 ტაბარისტანის იხ. მაზანდარანი
 ტაგანროგი 371
 ტავრი 92, 268
 ტავრიდა (ტავრიკა, ტავრია) 92, 369
 ტავრის ქედი 268
 ტავრიდის ქერსონესი 92, 93
 ტამალას ციხე 392
 ტანაისი, ტანა (მდ.) 96, 100, 101, 269, 292, 370, 371
 ტანაისი (ქალაქი) 370
 ტანას ციხე-სიმაგრე 101
 ტარსურა (ტერშენი) 110, 372, 373
 ტაშირი 350, 402
 ტებილე-კალა (თბილი ქალაქი) 325
 ტემამი 272
 ტეხური 110, 373, 386
 ტონი, ტენი, დონი იხ. დონი
 ტრაპეზუნელები 260
 ტრაპიზონი, ტრაპეზუნდი 112, 124, 204, 255, 285
 ტრევი 146
 ტუზლაჰ, დუზლა იხ. დუზლა
 ტბილისი 393
 უზბეკები 326
 უზბეკების სათათრეთი იხ. სათათრეთი
 უნაგირი 386
 ურალი 372
 ურზნისი 392
 ურეკ-ადი 368
 ფაზისი (მდ.) 107, 108, 110, 202-204, 255-259, 269, 282, 291, 194, 371, 392
 ფაზისი (ქალაქი) 108, 372
 ქუთაისი (ქალაქი) 30, 31, 53, 122, 240, 247, 258, 271, 274, 282-291, 376, 385, 386, 393
 ქუთაისი (ციხე-სიმაგრე) 51, 57, 203, 236, 237, 242, 258, 282
 ქურდისტანი 401
 ქუპ-გილუე (ოლქი ჩრდ. ირანში) 396

426

- ფაზისი (კუნძული) 259
 ფაზისი (ციხე-სიმაგრე) 258
 ფარსი 311, 396
 ფარცხისი 395
 ფაშ (ფაზისი) 258
 ფაშა-ვანქი (ეკლ) 320
 ფაშაჩუკი, ფაშაკუჩუკი 107
 ფეთხანი (ეკლ.) 321

ფეოდოსია 369
ფიზონი (ფაზისი) 258
ფლორენცია 9, 341
ფოთი 56, 372
ფრანგები 356
ფრანკები 136, 137, 370
ფრიგია 332
ფხოველები 350

ქალკედონის საეკლესიო კრება 157, 381
ქალკედონიტი 281
ქარდიელები 293
ქართველები 5, 20, 21, 30, 37, 45, 58-61, 63, 72, 74, 77, 86, 112, 133, 137, 154, 203, 241, 272-274, 293, 297, 298, 300-303, 305-308, 311, 312, 317, 319-322, 324, 325, 344, 350, 360, 362-364, 366, 383, 395, 396
ქართლი 9, 14, 19, 20, 23, 26, 27, 30, 31, 33, 34, 36, 37, 41, 42, 49, 51, 57-59, 61-166, 68, 72, 74, 75, 83, 293, 394, 301, 387-389, 301, 312, 394-397, 401, 404
ქართლ-კახეთი 27, 33, 36, 41, 60, 63, 65, 376, 388
ქარიე 110
ქარიენტი 372, 373, 391
ქარიტუსი 110
ქაშანი 338
ქერსონესი 92, 108, 133
ქერსონსი (ქერსონესი) 369
ქერჩის სრუტე 371
ქიანე 110
ქობოსი 110, 372, 385
ქობულეთი 259, 262, 392
ქოთეზი 282

ყაზარდო 23
ყაზვინი 301, 338, 361, 400, 404
ყალმუხები, კალმახები 294
ყანდაჰარი 338
ყარადენგისი (შავი ზღვა) 256, 257
ყარა-სუ 257
ყარაჩაელები, ყარაჩერქეზები, 108, 203
ყარსი 241
ყვირილა 373
ყიზილბაშები 59, 63, 394, 398
ყირიმი 9, 10, 86, 92, 108, 369, 377
ყირიმის სათათრეთი 92
ყუბანი 371
ყუმი 313
ყუმუხები 69

შავი ზღვა 7, 28, 29, 52, 74, 75, 86, 88, 89, 91, 92-98, 100, 105, 107, 109, 112, 139, 196, 202, 203, 208, 209, 255-259, 268, 272, 274, 292, 310, 352, 361, 366-369, 372, 374, 376, 384, 385, 387, 391
შავიზღვისპირეთი 205, 361
შაქი 350
შავი ჩერქეზები (ყარაჩერქეზები) 203
შეიხი 329
შემახა 304, 317, 363
შაჰ-ბაჰმან-სუ 293
შირაზი 307, 309, 310, 364, 365, 396
შირვანი 304, 350, 404
შუა აზია 376, 398, 399
შურის ციხე 397

ჩერნიგოვი 351
ჩერქეზები 21, 76, 86, 100, 104, 105, 112, 132, 208, 253, 292, 350, 363, 371, 376

427

ჩერქეზეთი 218, 292
ჩიკარისი 393-394
ჩილდირი 391
ჩინეთი 93, 336, 370, 399
ჩიხორი 394
ჩრდ. კავკასია 21
ჩრდ. კავკასიელები 13, 20, 21, 33
ჩხარი 31, 53, 246, 281, 285, 291, 374, 390, 393, 394

ციხისძირი 56
ცხენისწყალი 110, 373, 390

წითელი ზღვა 178, 256
წითელქალაქი 393
წიფური 379
წიფურია 29, 39, 76, 186, 192, 194, 195, 209, 216-218, 286
წიფურონი 383
წკელკარი 380

ხევსურები 350
ხეთა 154, 380
ხელისა 154, 380
ხერსონესი, იხ. ქერსონესი
ხვარაზმი 398
ხმელთაშუა ზღვა 256
ხოზი 110, 156, 372, 373, 380
ხოზის წყალი 391

ჯგალა 383
ჯვარკორტოხი 393
ჯიქები 108, 197, 376
ჯიქეთი 23
ჯორუნი 396
ჯულფა 403

ჰალიკარნასი 391
ჰელესპონტი 96, 370
ჰერაკლეა 215, 385

ჭანები 385	ჰირკანია 269, 309, 311, 325, 352, 366, 392
ჭანისწყალი 110, 373	ჰიპიკი 294
ჭოროხი 384, 392	ჰიპუსი 110, 373
ჭუბურიშჯინჯი 379	ჰოლანდია 8, 84
ჭყონდიდი 379, 386	ჭუნები 94, 107, 203, 294, 370

428

შინაარსი

შარდენი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ	3
გამოცემისათვის	83
შარდენის „მოგზაურობის“ ქართული თარგმანი	88
დამპის თხზულების ქართული თარგმანი	129-200
*** (ნაწყვეტები „მოგზაურობის“ IX ტომიდან)	358
კომენტარები	368
რეზიუმე რუსულ ენაზე ი ი	405
რეზიუმე ფრანგულ ენაზე	410
საძიებლები	413